ნ. ნანიტაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორია

ნაწილი II
(1945—1974 წწ.)

ნაკვეთი — I

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1976

წიგნი — საზღვარგარეთის ქვეყნების უახლესი ისტორიის მეორე ნაწილი (1945—1974 წწ.) შეიცავს ორ ნაკვეთს. წინამდებარე პირველ ნაკვეთში განხილულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნები: ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, კუბა, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების ეტაპები, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მოღვაწეობის ისტორია.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების განხილვისას მოცემულია სახალხო რევოლუციების ვამარჯვების, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების, სოციალიზმის საფუძვლებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორია.

ამ წიგნის მეორე ნაკვეთი, რომელიც ამჟამად მზადდება, განიხილავს, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების: აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, იტალიის და იაპონიის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისა და საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიას (1945—1975 წწ.).

ნაშრომი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

Н $\frac{10605-064}{М-602\ (08)\ 75}$ 191—76

© გამომცემლობა „განათლება", 1976

თავი I

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განვითარება

თანამედროვე მსოფლიოს ძირითადად ახასიათებს სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების განუხრელი ზრდა. სოციალიზმი სულ უფრო დამაჯერებლად ხდება მსოფლიო განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად. ამჟამად მთელი ჩვენი პლანეტა ცხოვრობს ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მომხრეთა ძალების განმტკიცების ვითარებაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი სოციალურ-ეკონომიური სისტემის, ანუ სოციალისტური სისტემის შექმნას. მაშინ საერთაშორისო იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ძლიერი იყო. სოციალიზმის დამყარება შესაძლებელი გახდა მისი ჯაჭვის ყველაზე უფრო სუსტ რგოლში — რუსეთში, ხოლო შემდეგ — მონგოლეთში.

მეორე მსოფლიო ომმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა იმპერიალიზმის ყველაზე უფრო აგრესიულ და მებრძოლ ძალებს — ჰიტლერულ გერმანიას, იმპერიალისტურ იაპონიას და ფაშისტურ იტალიას, რის გამოც ეს სამი სახელმწიფო დროებით გამოეთიშა იმპერიალისტურ ბანაკს. ომმა დიდი დარტყმა მიაყენა აგრეთვე ინგლისის და საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციებს. ამრიგად, საერთაშორისო იმპერიალისტური ძალები დასუსტებული გამოვიდნენ ომიდან, რამაც მსოფლიოში ხელსაყრელი ვითარება შექმნა სოციალიზმის, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების განმტკიცებისათვის, რევოლუციური პროცესის შემდგომი განვითარებისა და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებისათვის. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი ისაა, რომ მისი ყველა წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად მიმდინარეობს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დასუსტება, კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის კრიზისი, რომლის ერთადერთ გამოსავალ გზას მისი სოციალიზმით შეცვლა წარმოადგენს. „ფაშიზმზე გამარჯვება, — აღნიშნულია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ,—მსოფლიო ისტორიული მოვლენა იყო და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო განვითარების მთელ

მსვლელობაზე. მან ცხადყო, რომ სოციალიზმი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმის ყველაზე საიმედო დასაყრდენია".[1] სახალხო დემოკრატიული რევოლუციები ევროპასა და აზიაში, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების რგოლებს წარმოადგენს. ეს პროცესი გაიშალა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომით დაიწყო.

§ 1. მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების ეტაპები

მსოფლიო სოციალისტურმა სისტემამ განვითარების სამი ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი (1944—1950 წწ.) ხასიათდება სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებით. მეორე ეტაპისათვის (1950—1959 წწ.) დამახასიათებელია ძირეული სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება, რამაც უზრუნველყო სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განმტკიცება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ 1949 წელს შეიქმნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო — ახალი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აგებულია მასში შემავალი ქვეყნების სრულ თანასწორობასა და ამხანაგურ ურთიერთდახმარების საფუძველზე. მესამე ეტაპი (დაიწყო 1959 წელს) ხასიათდება საბჭოთა კავშირის შესვლით კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში და უმეტეს სოციალისტურ ქვეყნებში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობით.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების I ეტაპი. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვება

მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების პირველი ეტაპი მოიცავს 1944—1950 წლებს. ამ ეტაპზე ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიულმა ქვეყნებმა გაიარეს რევოლუციური პროცესის პერმანენტული განვითარების ორი პერიოდი: სახალხო დემოკრატიული რევოლუციის პირველ პერიოდში პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა ახორციელებდა ანტიფეოდალურ და ანტიიმპერიალისტურ გარდაქმნებს, რომლებიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო. ამ პერიოდმა ძირითადად 1944-1948 წლები მოიცვა.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 9/II—1975 წ.

მეორე პერიოდში კი, რომელიც 1948—1950 წლებს მოიცავს, ხორციელდებოდა სახალხო დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურში და პროლეტარული დიქტატურის დამყარება.

რევოლუციის პირველი ეტაპი დაიწყო ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი მომწიფება მიმდინარეობდა ფაშისტური ოკუპაციის პირობებში, განსაკუთრებით ომის უკანასკნელ ეტაპზე. მუშათა კლასის როლი ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში იმდენად გაიზარდა, რომ ეს ბრძოლა არ შეიძლებოდა შეზღუდულიყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჩარჩოებით. „კაცობრიობის უველაზე საშიში მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში, — აღნიშნულია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ,—იყვნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. კომუნისტებმა თავი გამოიჩინეს, როგორც ნამდვილმა პატრიოტებმა და ინტერნაციონალისტებმა“.[1] ომის დროს, გაშლილ წინააღმდეგობის მოძრაობაში მუშათა კლასის და მისი ავანგარდის — კომპარტიების გავლენის ზრდის გამო, ანტიფაშისტურმა ბრძოლამ მიიღო აგრეთვე ანტიიმპერიალისტური ხასიათი. ამ ბრძოლის ამოცანა იყო მოესპო ის სოციალურ-ეკონომიური, საფუძველი, ე. ი. კაპიტალისტური წყობილება, რომელიც წარმოშობს ფაშიზმს.

პროგრესული ძალების ბრძოლა ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ხელსაყრელ საშინაო და საგარეო პირობებში წარიმართა. ომის დროს ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის მიერ ოკუპირებული ზოგიერთი ქვეყნის მემამულურ-ბურჟუაზიული წრეები აშკარად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ფაშისტებთან და ოკუპანტებთან, რის გამოც მათ დაკარგეს თავისი გავლენა მასებზე. ამან ხელსაყრელი საშინაო პირობები შექმნა მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის კომპარტიის მიერ ხალხთა მასების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფაში. გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ საქმეში ჩვენი ჯარების ძლევამოსილმა გამარჯვებამ ფაშისტური ბლოკის ჯარებზე. სკკპ ცკ-ის დადგენილებაში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით, აღნიშნულია: „გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებას მოჰყვა რეაქციული რეჟიმის დამხობა ევროპისა და აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებში, მან ხელშემწყობი ვითარება შეუქმნა მშრომელი მასების ბრძოლას სოციალიზმისათვის“.[2]

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 9/II—1975 წ.

[2] იქვე.

თუ ომის დროს ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები შეიარაღებული გზით წყდებოდა, ომის შემდეგ დემოკრატიული გარდაქმნები, დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადასვლა შედარებით მშვიდობიანად, შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომის გარეშე მიმდინარეობდა.

სახალხო დემოკრატიული რევოლუციის სათავეში იდგა მუშათა კლასი. რომელმაც თავის ირგვლივ გააერთიანა გლეხთა ფართო მასები და ქალაქის ფენების მოსახლეობა. იგი ახალი სახელმწიფო წყობის მშენებლობაში თანამშრომლობდა ანტიფაშისტურად განწყობილ ბურჟუაზიის ნაწილთან. ეს უკანასკნელი, ნაწილობრივ იმის შიშით, რომ არ მოქცეულიყო იზოლაციაში, ხოლო ნაწილობრივ პატრიოტული გრძნობითაც, მიემხრო ამ მოძრაობას იმ იმედით, რომ ხელისუფლებას, საბოლოოდ, თვითონ აიღებდა ხელში. სახალხო დემოკრატიული წყობილების განვითარების პროცესში ყველა პოლიტიკური მიმართულება სარგებლობდა მთლიანი თავისუფლებით, ჰყავდა თავისი წარმომადგენლები მთავრობაში, პარლამენტში და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში. ბუნებრივია, ამ ქვეყნებში ჩვენი ჯარების დროებითმა ყოფნამ იხსნა ეს ხალხები იმპერიალისტური სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენციისაგან და ჩაშალა როგორც საშინაო, ასევე საგარეო კონტრრევოლუციური ძალების ზრახვები ამ ქვეყნების სალხებისათვის სამოქალაქო ომის თავზე მოხვევის საქმეში. თუ ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო პროლეტარიატის მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო, სახალხო დემოკრატიულმა რევოლუციებმა ევროპასა და აზიაში, ხოლო შემდეგ კუბაში, სსრ კავშირისაგან ყოველმხრივი დახმარება ჰპოვა. საბჭოთა კავშირის უდიდესი ავტორიტეტი, სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისათვის მისი სისტემატური კულტურული და ეკონომიური დახმარება. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, მნიშვნელოვნად აადვილებდა მოძმე ქვეყნების ხალხთა ბრძოლას საშინაო რეაქციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ქვეყნებში არ იყო მწვავე კლასობრივი ბრძოლა, ან კიდევ სერიოზული ცდები შეთქმულებისა სახალხო რეჟიმის დამხობის მიზნით. ერთიც და მეორეც იქ, ხშირ შემთხვევაში, ატარებდა მწვავე ფორმას, მაგრამ მას არ მიუღია სამოქალაქო ომისა და საზღვარგარეთის ინტერვენციის ხასიათი. მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის აქ მიმდინარეობდა ერთგვარი შეჯიბრება იმაზე, თუ ვინ უკეთ შეძლებდა ქვეყნის მართვასა და ხელმძღვანელობას. ეს იყო ბრძოლა მასების მხარდაჭერის მოპოვებისათვის, რომელიც სოციალისტური ძალების გამარჯვებით დამთავ-

რდა. მშვიდობიანმა განვითარებამ, ე. ი. განვითარებამ შეიარაღებული შეტაკებისა და სამოქალაქო ომის გარეშე, მაგრამ გაშლილი მწვავე კლასობრივი ბრძოლის სხვა ფორმებში, მუშათა კლასი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა, სახალხო დემოკრატია კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ახალი ფორმა გახდა. მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას პროლეტარული დიქტატურის შესახებ, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ახალი გამოცდილება დაემატა. სახალხო დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ იქ, სადაც მუშათა კლასი მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეძლებს თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანოს ხალხის უმრავლესობა და ხელთ აიღოს ძალაუფლება საერთო-ეროვნულ და სახალხო ფრონტზე დაყრდნობით, შესაძლებელი იქნება სოციალიზმში მშვიდობიანი გზით გადასვლა.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის პირველი პერიოდის დროს ნაციონალიზებულ იქნა მრეწველობის ძირითადი დარგები, ბანკები, სადაზღვევო საზოგადოებები, რის შედეგად სახალხო სახელმწიფოს ხელში გადავიდა გადამწყვეტი ეკონომიური პოზიციები. მაგრამ იმისათვის, რომ სახელმწიფო სექტორი სოციალისტურად გადაქცეულიყო, აუცილებელი იყო პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლის დამთავრება. ეს ამოცანა ძირითადად 1944—1948 წლებში განხორციელდა. თავისი კლასობრივი მტრების განადგურების შემდეგ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მუშათა კლასმა ხელში აიღო ქვეყნის მთელი ძალაუფლება და სათავეში ჩაუდგა თავისი ქვეყნის მოსახლეობას, განახორციელა ძირფესვიანი გარდაქმნები და 50-იანი წლების დასაწყისიდან წარმატებით დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა. ამრიგად, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის პირველ პერიოდში, ე. ი. როდესაც წყდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანები, სახალხო დემოკრატია აღნიშნულ ქვეყნებში წარმოადგენდა მუშათა და გლეხთა კლასების რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურას და არა პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები პირველ პერიოდში ეყრდნობოდნენ ხალხთა მასების ფართო ფრონტს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და იბრძოდნენ გერმანული ფაშიზმისა და ქვეყნის შიგნით მისი დამქაშების წინააღმდეგ. რეფორმების განხორციელების მსვლელობაში საფუძველი ეცლებოდა მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალისა და მემამულეების ბატონობას ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ფართოვდებოდა სახალხო-დემოკრატიის სოციალურ-ეკონომიური ბაზა.

პირველი ეტაპის დროს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში განხორციელდა ძირეული გარდაქმნები, რომელმაც უზ-

რუნველყო სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განმტკიცება. განხორციელდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების, სოციალისტური ნაციონალიზაცია, მაგრამ კონფისკაცია ნაციონალიზაციის ერთადერთი ფორმა როდი იყო. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, უნგრეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში წვრილი და საშუალო საწარმოები შესყიდულ იქნა მეწარმეებისაგან. ნაციონალიზაციის ჩატარების შედეგად შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო სექტორი მრეწველობაში.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადასვლის პროცესს ამ ქვეყნებში ხელს უწყობდა საგარეო პირობები, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეიქმნა. საბჭოთა ჯარებმა დიდი დახმარება გაუწიეს განთავისუფლებული ქვეყნების ეროვნულ ძალებს რეაქციისა და ფაშიზმის წინაღმდეგ ბრძოლაში. მართალია, საბჭოთა ჯარები არ ერეოდნენ ამ ქვეყნების შინაურ საქმეებში, მაგრამ მათი აქ ყოფნის ფაქტი ბორკავდა რეაქციულ ძალებს და ხელს უშლიდა სამოქალაქო ომის დაწყებას. გარდა ამისა, ამ ქვეყნებისათვის სსრ კავშირის პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა მხარდაჭერამ გადაარჩინა ისინი უცხოეთის ინტერვენციისაგან, ხოლო ეკონომიურმა მხარდაჭერამ იმ იმპერიალისტური კაბალისაგან, რომელსაც მათ უმზადებდნენ „მარშალის გეგმის“ ინიციატორები. ჩაიშალა აგრეთვე იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ორგანიზებული ეკონომიური ბლოკადა. საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევდა ომისაგან და ფაშისტური ოკუპაციისაგან განადგურებულ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს ეკონომიკის აღდგენაში და ამით ხელს უწყობდა მათი ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ევროპის თითქმის ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანაში ომის დამთავრების პირველ სამ წელიწადს საშინელი მოუსავლიანობა მძვინვარებდა აშშ-ის მმართველი წრეები მზად იყვნენ მათთვის ეკონომიური დახმარება გაეწიათ იმ პირობით, თუ ისინი შევიდოდნენ „მარშალის გეგმაში“, უარს იტყოდნენ თავის დამოუკიდებლობაზე და სოციალიზმის მშენებლობაზე. ამ ქვეყნების ბურჟუაზიულმა წრეებმა კამპანია გააჩაღეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების „მარშალის გეგმაში“ შესვლისათვის. იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, პირველ რიგში კი აშშ-მა, ემბარგო შემოიღეს სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაში, რომ ხელი შეეშალათ იქ აღდგენითი სამუშაოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში ომის დამთავრების შემდეგ ორ წელიწადს ზედიზედ დიდი მოუსავლიანობა იყო, ხოლო ჩვენი ქვეყნის ნანგრევებად ქცეული ქალაქები აღდგენას საჭიროებდა და ჩვე-

ნა ქვეყანა დიდ სამეურნეო სიძნელეებს განიცდიდა, საბჭოთა ხალხმა დიდი დახმარება გაუწია სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებს.

ამრიგად, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების შედეგად მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების პირველი ეტაპის დროს, რომელიც ქრონოლოგიურად 1944—1950 წლებს მოიცავს, კაპიტალიზმის მარწუხებს თავი დააღწიეს და სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ საბჭოთა კავშირთან და მონგოლეთთან ერთად: ალბანეთი, ბულგარეთი, გდრ, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელთაც მეორე ეტაპის დროს, 1959 წლიდან, შეუერთდა კუბის რესპუბლიკა. ყველა ეს ქვეყანა შედის მსოფლიო სოციალისტურ სისტემაში, რომელიც მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას უპირისპირდება.

მსოფლიო-სოციალისტური სისტემის განვითარების II ეტაპი. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა

სახალხო-დემოკრატიულმა ქვეყნებმა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების II ეტაპიდან, ე. ი. 50-იანი წლებიდან დაიწყეს სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა. სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში ჩატარებულმა სოციალისტურმა გარდაქმნებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ვ. ი ლენინის წინასწარმეტყველება იმაზე, რომ ყველა ერი მივა სოციალიზმამდე, მაგრამ სოციალისტურ გარდაქმნებში შეიტანენ თავისებურებას.

პირველი ეტაპის დროს გატარებული ნაციონალიზაციის შედეგად შეიქმნა სოციალისტური სექტორი მრეწველობაში. რის შემდეგ საჭირო იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, ვინაიდან სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა მრეწველობის განვითარების დონით ჯერ კიდევ ჩამორჩენილი იყვნენ. ამიტომ აქ განხორციელდა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები, რომელთა ამოცანა იყო სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა ეკონომიკაში და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიებები საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით დიდი წარმატებებით განხორციელდა. ერთგვარი სპეციფიკა გამოვლინდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნასთან დაკავშირებით. აქ დიდი ღონისძიებების განხორციელებისას მოძმე ქვეყნების კომუნისტები მხედველობაში იღებდნენ მეურნეობის ეროვნულ სტრუქტურას, მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობას, ისტორიულ ტრადიციებსა და ჩვეულებებს. ბუნებრივია, რომ ერთნაირი წე-

სით ყველგან სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა, თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, უარყოფით შედეგებს გამოიღებდა. ზოგიერთ მოძმე ქვეყანაში კოოპერატივის წევრ გლეხზე შემოსავალი არა მარტო შრომადღეების, არამედ მიწის რაოდენობის მიხედვით სარენტო გადასახადითაც ნაწილდება. სოციალისტური გარდაქმნების განხორციელების ეს მრავალნაირი ფორმები და მეთოდები შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის მოთხოვნებს.

1969 წელს გამართულ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტში „თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანების შესახებ" ნათქვამია: სოციალისტური რევოლუციების გამარჯვების შემდეგ ბევრ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა ხორციელდება საერთო კანონზომიერების საფუძველზე და მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმებში, კონკრეტული ისტორიული პირობებისა და სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება ითვალისწინებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის, თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის, შინაურ საქმეებში ურთიერთჩაურევლობის პრინციპების მკაცრ დაცვას.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების შედეგად ძირეულად შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურა. ისეთი ქვეყნები როგორიცაა: ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი და პოლონეთი აგრარული ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნებად გადაიქცნენ. ჩეხოსლოვაკიამ და გდრ, რომელთაც ადრეც განვითარებული მრეწველობა ჰქონდათ, აითვისეს მრეწველობის ახალი თანამედროვე დარგები. მეურნეობის სოციალისტური ფორმის განმტკიცებასთან ერთად შეიქმნა ერთტიპიური ეკონომიური საფუძველი. სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს მოყვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები, რომლის საფუძველი არის საზოგადოებრივი საკუთრება ძირითად საწარმოო საშუალებებზე. ამის შედეგად აღმოიფხვრა კლასობრივი ანტაგონიზმი. ამრიგად, საზოგადოებრივ სტრუქტურაში გაბატონდა სოციალიზმის ძირითადი პრინციპი, მოისპო ექსპლუატატორული კლასები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრება, რომელიც ეყრდნობა სოციალისტური წარმოების მუშებს, მოსამსახურეებს და კოოპერირებულ სოფლის მეურნეობის გლეხობას. საზოგადოების ეს ფენები მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეადგენს სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვა-

ნელ ძალად გამოდის მუშათა კლასის ავანგარდი მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელსაც ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყნებში მხარში უდგანან აგრეთვე სხვა პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყნებში მრავალპარტიული სისტემის არსებობა მასების სოციალისტურ პრინციპებზე აღზრდის ერთგვარ სკოლას წარმოადგენს. მრავალპარტიულობა სოციალისტურ ქვეყნებში ფაქტიურად საკავშირო ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენს მუშათა კლასსა და მშრომელთა დანარჩენ ფენებს შორის. იგი ჯერ კიდევ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში აღმოცენდა და მოსახლეობის ანტიფაშისტური ძალების გაერთიანება იყო. იგი უკვე მაშინ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ცნობდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელურ როლს. სოციალისტურ ქვეყნებში ყველა ამჟამად არსებული პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ცნობს მარქსისტულ-ლენინური პარტიების როლს, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას და არა მარტო თანამშრომლობენ ამ საერთო იდეალის მშენებლობაში, არამედ აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ მის განხორციელებაში.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების III ეტაპი. სოციალიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა

მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების მეორე ეტაპის დროს სოციალისტური ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები შეაჯამა კომუნისტური და მუშათა პარტიების 1960 წლის თათბირმა და გამოიტანა დასკვნა, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა შევიდა თავისი განვითარების ახალ ეტაპში. ამ ეტაპის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტურმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ გაიმარჯვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის მასშტაბით. ამან ახალი პერსპექტივები შექმნა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის. სოციალისტური ბანაკი გადაიქცა თავისუფალი, სუვერენული ხალხების სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამეგობრობად, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის მჭიდრო კავშირში, საერთო ინტერესებისა და მიზნების ერთობაში და მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ ათწლეულში მრავალმა სოციალისტურ-

მა ქვეყანამ დააშთავრა სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა და გადავიდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე. 1958—1962 წლებში ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ დამთავრდა სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები ამ ქვეყნების პარტიებმა 60-იან წლებში წამოაყენეს, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიამ 1960 წელს, ბულგარეთმა 1962 წელს, გდრ-მ 1967 წელს, რუმინეთმა 1969 წელს. ბუნებრივია, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატებები თანამეგობრობის ქვეყნებში იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების გაცოფებას იწვევდა. იმპერიალისტური სახელმწიფოები და უპირველეს ყოვლისა აშშ 40—50-იან წლებში იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ სოციალისტური მშენებლობა და მისი გამოსვლა ომამდე არსებული გეოგრაფიული საზღვრებიდან, სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მიმართ ახორციელებდნენ ე. წ. „შეკავების დოქტრინას". ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მიმართ ძალის გამოყენების მუქარა, ეკონომიური ბლოკადა და ა. შ. მაგრამ ამ პოლიტიკამ ვერ გამოიღო იმპერიალისტებისათვის სასურველი შედეგი.

ამის შემდეგ „შეკავების დოქტრინა", „კომუნისტების უკუგდებისა" და მისგან „განთავისუფლების" დოქტრინებმა შესცვალეს. ამ ახალი დოქტრინებით ამერიკის ყველაზე უფრო იმპერიალისტური წრეები აშკარად მოუწოდებდნენ პრევანტიული, ე. ი. გამაფრთხილებელი ომისაკენ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ დაეწყოთ სოციალისტური წყობილება. სოციალისტური ქვეყნების „განთავისუფლების" პოლიტიკის იდეოლოგები ფიქრობდნენ თავისი დარტყმების სამი მიმართულებით წარმართვას: ყოველმხრივი პოლიტიკური ომი; დამხმარე სამხედრო აქციები, სადაც ეს საჭირო იქნებოდა, ყოველი სამხედრო აქციების მომზადება, რომელიც აუცილებელი გახდებოდა მომავალში.

„განთავისუფლების" პოლიტიკის ძირითადი ელემენტები იყო: ომი კორეაში 1950—1953 წწ., კონტრრევოლუციური შეთქმულება უნგრეთში 1956 წელს, აგრესიული ბლოკების—ნატოს, სეატოს და სენტოს შექმნა, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი შეყვანა ნატოში 1955 წელს, „ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების გაძლიერება, სოციალისტური ქვეყნების გარემოცვა სამხედრო, საჰაერო, საზღვაო და სარაკეტო ატომური ბაზებით და ა. შ., მაგრამ სოციალისტურ ქვეყნებში იმპერიალისტური სახელმწიფოების

მიერ კაპიტალიზმის რესტავრაციის გეგმები ჩაიშალა. საბჭოთა კავშირის ირგვლივ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ სოციალისტური ქვეყნები. საბჭოთა კავშირში შექმნილმა ატომის და წყალბადის ბომბებმა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურმა რაკეტებმა გამოაფხიზლეს და დააშინეს იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები. მაგრამ მათ ამის შემდეგაც არ აიღეს ხელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაზე. იცვლებოდა ფორმები, მეთოდები და ტაქტიკა ბრძოლისა, ხოლო იმპერიალისტური სტრატეგია სოციალიზმის განადგურებისა კვლავ ძალაში რჩებოდა. კომუნიზმის „შეკავების", „უკუგდების" და მისგან „განთავისუფლების" პოლიტიკა შეიცვალა ე. წ. „დიფერენცირებული" პოლიტიკით. ამ პოლიტიკაზე საერთაშორისო იმპერიალიზმი აშშ-ის მეთაურობით გადავიდა მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდა იმაში, რომ ძალის პოზიციით სოციალისტური წყობილების დამხობა შეუძლებელი იქნებოდა. „დიფერენცირებული პოლიტიკის" ავტორები თვლიდნენ, რომ სოციალისტურ ქვეყნებში დამკვიდრებული სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ დასაყრდენ ძალად უნდა გადააქციონ ქვეყნის შიგნით არსებული რევიზიონისტული, კონტრრევოლუციური და საერთოდ ანტისოციალისტური ელემენტები. ამ ელემენტების მოღვაწეობის გაშლით ისინი იმედოვნებდნენ მშვიდობიანი გზით საზოგადოებრივი წყობის „შინაურ რევოლუციას" და კაპიტალიზმის რესტავრაციას, რა თქმა უნდა, დასავლეთის აქტიური მხარდაჭერით. ამ ელემენტებისათვის მხარდაჭერის და მათი აქტივობის მიზნით ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ყოველწლიურად 100 მლნ დოლარით აფინანსებდნენ.

შინაური კონტრრევოლუციის, ანტისოციალისტური და რევიზიონისტული ელემენტების გააქტიურებისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმი ცდილობდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში ნაციონალისტური და სეპარატისტული განწყობილების გაღვივებას, გაჩაღებოდა ამ ქვეყნების წყობილების „დემოკრატიზაციასა და ლიბერალიზაციის" შესახებ და ა. შ. ამასთანავე, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების ახალ ეტაპზე, როდესაც დამოუკიდებელი, სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების ეკონომიური და პოლიტიკური სიძლიერე განმტკიცდა ცალკეულ ქვეყნებში ერთგვარ შეუფასებლობას იჩენდნენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ინტერესებისადმი. ამავე დროს იწყება იმპერიალისტების ძირგამომთხრელი მოქმედება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში კვლავ მთელი სიმწვავით დადგა მოძმე

სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმის მონაპოვრის დაცვის საკითხი.

ნებისმიერ ქვეყანაში, იქ, სადაც სოციალიზმი დამყარებულია, მისი დაცვა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში აუცილებელია იმისათვის, რათა ქვეყნის შიგნით დაითრგუნოს ექსპლოატატორთა მიერ სოციალიზმის დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენის ცდები.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ გამარჯვებული მუშათა კლასის წინაშე მაშინვე, — როგორც კი იგი ხელისუფლებას თავის ხელში აიღებს, დადგება ახალი წყობილების დაცვის ამოცანა, ბურჟუაზიის აგრესიული, კონტრრევოლუციური შემოტევისაგან.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა მთელი ისტორიული ეპოქაა, და, როგორც მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „სანამ იგი არ დამთავრდება, ექსპლოატატორებს აუცილებლად რჩებათ იმედი რესტავრაციისა. ეს იმედი კი გადაიქცევა რესტავრაციის ცდებად. და პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ, დამხობილი ექსპლოატატორები, რომლებიც არ მოელოდნენ თავის დამხობას, არ სჯეროდათ მისი, ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ იგი, ათმაგი ენერგიით, გაცოფებული ვნებით, სიძულვილით, ასჯერ უფრო მეტად, ებმებიან ბრძოლაში დაკარგული „სამოთხის“ დასაბრუნებლად“[1]. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ექსპლოატატორული კლასები სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური საშუალებებით არ შეიზღუდებიან, არამედ ყოველთვის შეეცდებიან ყოველნაირი საშუალებებისა და მათ შორის ძალის, იარაღის გამოყენებას სოციალიზმის დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენისათვის. თავის ამ ბრძოლაში ექსპლოატატორული კლასები დახმარებას მიიღებენ სხვა ქვეყნების ბურჟუაზიისაგან, რათა გაერთიანებული ძალებით დაამხონ სოციალიზმი. ყოველივე ამის გამო, აუცილებელია სოციალისტური ქვეყნების შემჭიდროება, გაერთიანებული ძალებით ურთიერთდაცვარება, რათა დათრგუნონ, როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო იმპერიალისტური ძალების კონტრრევოლუციური ცდები სოციალიზმის დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისა.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ ხაზს უსვამდა იმას, რომ ესა თუ ის ერი, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგება, მისთვის აუცილებლად საჭიროა მჭიდრო სამხედრო და სამეურნეო კავშირი, წინააღმდეგ შემ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 37, გვ. 264.

თხვევაში კაპიტალიზმი მათ სათითაოდ გასრესს. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების დაცვა ყოველი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელების წმიდათა წმიდა მოვალეობაა. სოციალიზმის ინტერნაციონალური დაცვის ხასიათის ცნობა აუცილებელია, ხოლო იგი შესაძლებელი იქნება სოციალისტურ ქვეყნებს შორის მტკიცე. ძმური კავშირის არსებობის, ყველა ქვეყნის მუშების ურთიერთმხარდაჭერისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე — საერთო მტრის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სოციალიზმის საერთო დაცვა კი, მას შემდეგ, რაც სოციალიზმი ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან გამოვიდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, მოითხოვს ყველა სოციალისტური ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირს.

განმარტავდა რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ იგი ნიშნავს „ერთსა და მხოლოდ ერთს: თავდადებულ მუშაობას საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური პრძოლის განვითარებისათვის, მხარდაჭერას პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად ასეთი ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა და მხოლოდ ასეთისა, განურჩევლად ყველა ქვეყანაში“[1]. ამასთანავე ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებაში შედის ყველა ეროვნული რევოლუციური ძალების გაერთიანება ერთიან კავშირად საერთაშორისო იმპერიალიზმზე გამარჯვებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური იდეა, ყველა ქვეყნის მუშების ძირითადი ინტერესების ერთობის იდეაა. იგი წარმოადგენს საფუძველს სოციალისტური ქვეყნების მიერ სოციალიზმის დაცვაში ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების განუწყვეტელი ერთიანობის სწორი გაგებისათვის.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა რევოლუციური პროლეტარიატის ყველაზე დიდი მიღწევაა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ხალხისათვის მანამდე უცნობი ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობის დამყარება არის კანონზომიერი წანამძღვრები მსოფლიო რევოლუციური პროცესისა და ყოველ მოძმე ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის. მათი აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე რთული და მოცულობით დიდი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელი ხდება

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 31, გვ. 170.

ყველა სოციალისტური ქვეყნის გაერთიანებული ძალების, მხოლოდ ძალზე მჭიდრო და ურთიერთშეთანხმებული მოქმედების გზით.

§ 2. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა

სოციალიზმის და მშვიდობის დაცვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე ხაზი გაუსვა იმას, რომ „მოძმე ქვეყნების საგარეო პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციის ნთავარი ცენტრი იყო და არის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია". ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც იმპერიალისტური სახელმწიფოები უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაადგნენ ახალი სამხედრო იმპერიალისტური დაჯგუფების შექმნის გზას და აშკარად დაემუქრნენ აგრესიით მსოფლიო სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებს. ამრიგად, ვარშავის ხელშეკრულება პასუხი იყო იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკისა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

1955 წლის 11-14 მაისს ვარშავაში მოწვეული იქნა ევროპის სოციალისტური ქვეყნების თათბირი ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და უშიშროების შესახებ. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და ალბანეთის მთავრობათა დელეგაციები. მასში მეთვალყურის სახით მონაწილეობდა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი.

თათბირმა ვააანალიზა საერთაშორისო ვითარება, რომელიც შეიქმნა პარიზის შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. თათბირზე აღინიშნა, რომ დასავლეთ ევროპის სამხედრო დაჯგუფების შექმნა მასში, და აგრეთვე ნატოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეყვანა, მიმართულია სოციალისტური ქვეყნების ეროვნული უშიშროების, დამოუკიდებლობისა და საერთოდ მშვიდობის შენარჩუნების წინააღმდეგ. ამიტომ სოციალისტური ქვეყნები იძულებულნი არიან მიიღონ ღონისძიებანი თავისი უშიშროების უზრუნველყოფისა და ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. ეს გარემოება აიძულებს მათ იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიულ სამხედრო ძალებს მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების მიზნით, დაუპირისპირონ სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული სამხედრო ძალები.

1955 წლის 14 მაისს ვარშავის თათბირის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ — სსრ კავშირს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკასა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას შორის[1].

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია თავდაცვითი ხასიათის სამხედრო ორგანიზაციაა. ხელშეკრულება შედგება შესავლისაგან, 11 მუხლისა და დასკვნისაგან. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1955 წლის 4 ივნისს, როდესაც პოლონეთის მთავრობას, როგორც დეპოზიტორ ქვეყანას, ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი ქვეყნების მიერ რატიფიცირებული სიგელები ჩაბარდა შესანახად. ხელშეკრულება ოცი წლის ვადით დაიდო, შემდეგ კი იგი ავტომატურად გაგრძელდება 10 წლის ვადით იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ერთი წლით ადრე არ აცნობებს პოლონეთის მთავრობას ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოებია: პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობა.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობა, ამოცანები და მოცულობა განსაზღვრულია მეექვსე მუხლით და ნაწილობრივ 1955 წლის 14 მაისის სპეციალური გადაწყვეტილებით. ერთგვარი ტრადიცია დამყარდა, რომლითაც კომიტეტზე ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები წარმოდგენილნი არიან მაღალ დონეზე, კერძოდ, მონაწილეობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების პირველი მდივნები, მთავრობის ხელმძღვანელები, საგარეო საქმეთა მინისტრები, თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი. პოლიტიკურ საკონსულტაციო კომიტეტში ყოველ სახელმწიფოს ერთი ხმა აქვს, სხდომების მოწვევა პერიოდულად, საჭიროების მიხედვით ხდება. როგორც წესი კი წელიწადში ერთხელ რიგრიგობით ხელშეკრულებაზე ხელმომწერ სახელმწიფოთა დედაქალაქებში. თათბირს თავმჯდომარეობენ რიგრიგობით. სხდომებზე იხილავენ და წყვეტენ საერთაშორისო საკითხებს, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ცალ-

[1] 1962 წლიდან ალბანეთი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში აღარ მონაწილეობს.

კეულ სახელმწიფოებს ან მთლიანად მათ ეხებათ და აგრეთვე იხილავენ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასთან და ერთობლივი თავდაცვის ვალდებულებებთან. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის გარდა ვარშავის ხელშეკრულების ხაზით ხშირად ეწყობა ცკ-ის პირველი მდივნების, მთავრობის თავმჯდომარეების შეხვედრები და თათბირები, აგრეთვე თათბირები საგარეო საქმეთა მინისტრებისა, თავდაცვის მინისტრებისა და მათი მოადგილეებისა. ამ თათბირებზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წარმომადგენლები არა მარტო იხილავენ საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებს და იმუშავებენ ალტერნატიულ პოზიციას, არამედ გამოდიან საერთაშორისო დაძაბულობის შემცველების, ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინიციატორებად და ამ მიზნით აყენებენ სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებს.

გაერთიანებული სარდლობის შემადგენლობაში შედიან გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, მათი მოადგილეები და შტაბი. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პერსონალურად ინიშნება მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე. ამჟამად გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია სსრ კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი. მთავარსარდლის მოადგილეები არიან ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები და სხვა საჭიროებისა ხელმძღვანელები. მათზე დაკისრებულია ყოველი მონაწილე სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების სარდლობა, რომელიც ეგზავნება გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისათვის. მთავარსარდლობასთან შექმნილია გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი, რომელიც შეიცავს ბლოკში შემავალ მონაწილე ქვეყნების გენერალურ შტაბების წარმომადგენლებს. შტაბის უფროსი იყო კომის გენერალი ს. ბ. შტეიფანი, შტაბის ადგილსამყოფელია — მოსკოვი.

1969 წლის 17 მარტს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ბუდაპეშტში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოთა თავდაცვის სამინისტროს განმტკიცების მიზნით მიიღეს უმნიშვნელოვანესი ზადაწყვეტილებანი, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო ორგანიზაციის სრულყოფას. ამ მიზნით განიხილეს და დამტკიცეს დებულება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრის კომიტეტის შესახებ, ახალი დებულება გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა და გაერთიანებული სარდლობის შესახებ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრუქტურის და

მმართველობის ორგანოების სრულყოფას. სამხედრო დარგში მონაწილე სახელმწიფოთა თანამშრომლობის მიზანია სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ერთობლივი დაცვა და იმპერიალიზმის ყოველი აგრესიული ცდების უფრო ეფექტურად აღკვეთა.

ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოები სრული პასუხისმგებლობით უდგებოდნენ არა მარტო თავისი საკუთარი უშიშროების და ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ვალდებულებებს, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმესაც. საკუთარი უშიშროება და მშვიდობის უზრუნველყოფა საქმე ევროპაში და მთელ მსოფლიოში ურთიერთშორის ხომ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ამიტომ ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ თანამშრომლობაში და ყოველ საერთაშორისო მოქმედებაში, რომლის მიზანი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს, რათა ურთიერთშორის რეგულარულად აწარმოონ კონსულტაციები უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც მათ საერთო ინტერესებს ეხება.

ვარშავის სახელმწიფოთა ორგანიზაცია რომ მშვიდობის საქმეს ემსახურება, ამას მოწმობს მეორე მუხლში გამოთქმული მათი პოზიცია მასობრივი მოსპობის იარაღსა და საერთოდ შეიარაღების შესახებ. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოები შეეცდებიან მიაღწიონ „სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომლებიც მოინდომებენ ამ საქმეში თანამშრომლობას, ეფექტური ღონისძიებების გატარებას შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის და ატომური, წყალბადის და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვისათვის". ამრიგად, ვარშავის ხელშეკრულებაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლა თავისი ერთობლივი პოლიტიკის ძირითად ამოცანად გამოაცხადეს.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისა და ამ მიზნით საერთო ევროპული ხელშეკრულების დადებისა და მისი ძალაში შესვლის შემდეგ ვარშავის ხელშეკრულება დაკარგავს თავის ძალას. საყურადღებოა, რომ ვარშავის ხელშეკრულების ხელმოწერისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანების შემთხვევაში გაერთიანებული გერმანია თავისუფალი იქნება ვალდებულებებისაგან, რომელიც მიღებულია გერმანიის ამა თუ იმ

ნაწილის მიერ სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

გდრ-ის დელეგაციის ეს განცხადება გამომდინარეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობის გადაწყვეტილებიდან (1954 წლის აპრილი). მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების ანტიკომუნიზმის და რევანშიზმის პოლიტიკამ ხელი შეუშალა გდრ-ის ამ და სხვა წინადადებების რეალიზაციას.

გდრ-ის დელეგაციის განცხადება და მისი მოწონება ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოების მიერ ერთხელ კიდევ უარყოფდა ბურჟუაზიული იდეოლოგების და პოლიტიკოსების შეთითხნილ თეზისს, რომლის მიხედვით თითქოს გდრ-ის შესვლამ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში გააღრმავა გერმანიის გათიშვა. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილეებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ვალდებულება იკისრეს „თავი შეიკავონ თავის საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის მუქარისაგან ან გამოყენებისაგან", იხელმძღვანელონ მეგობრობის, თანამშრომლობის, ურთიერთშორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების სულისკვეთებით, იმოქმედონ ურთიერთპატივისცემის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, იბრძოლონ მასობრივი მოსპობის იარაღების აკრძალვისა, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის, არ მიიღონ მონაწილეობა კოალიციებსა და კავშირებში და არ დადონ შეთანხმებები, რომლებიც ხელშეკრულების მიზნების საწინააღმღეგო იქნება.

ვარშავის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, მასზე ხელმომწერ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, — ხელმომწერი სახელმწიფოები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 51 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განხორციელების უფლების წესით, დაუყოვნებლივ გაუწევენ დახმარებას ურთიერთს მათ განკარგულებაში მყოფი ყველა იმ საშუალებით, რომელსაც აუცილებლად მიიჩნევენ, მათ შორის შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ ჩაატარებენ ურთიერთშორის კონსულტაციებს ერთიანი ღონისძიებების მიღებისათვის, რომლებიც აუცილებელი იქნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენისა და დაცვისათვის. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მთავარი მიზანია მშვიდობის დაცვა

ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამ მიმართულებით მან თავისი შექმნის პირველსავე დღიდან არა ერთი ინიციატივა გამოიჩინა და კონკრეტული წინადადებები წამოაყენა მშვიდობისა და უშიშროების მიზნით. სოციალისტური ქვეყნების მიმართ იმპერიალიზმის აგრესიულობის გამო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოთა წმიდათაწმიდა ვალია განუხრელად ახორციელებდნენ თავისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნას. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილია და ისინი ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა აქტიურად იცავდნენ სოციალიზმს, როგორც მთელი რევოლუციური მოძრაობის საკუთრებას. ამიტომაა, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ მძლავრ შეკავშირებულ ძალას, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს იმპერიალიზმის აგრესიულ ზრახვებს. ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების მთავარი ამოცანაა საიმედოდ დაიცვას სოციალისტური ქვეყნების ხალხთა რევოლუციური მონაპოვარი, ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა. მისი ამოცანაა მტკიცედ და ფხიზლად იდგეს მშვიდობის სადარაჯოზე. ამასთან დაკავშირებით აბს. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია „საიმედოდ იცავს მოძმე ქვეყნების მშვიდობიან ინტერესებს, ეხმარება რა ამბების მსვლელობას ხალხისათვის უფრო ხელსაყრელი კალაპოტისაკენ შემოტრიალებაში... და დღეს იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აგრესორთა აღგზნების გაგრილებისათვის, ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას"[1].

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის — სოციალისტური სამხედრო კოალიციის — პასუხისმგებლობა ის არის, რომ დაიცვას ერთად მიღწეული სოციალისტური მონაპოვარი. სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძლიერების წყაროა ინტერნაციონალური ერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხსა და არმიას შორის. მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელობით ვარშავის ხელშეკრულების ჩარჩოებში მეგობრულადაა შეხამებული მოძმე არმიების ქვეყნების უშიშროების დაცვის ეროვნული ამოცანები ინტერნაციონალურ ამოცანებთან—მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის მონაპოვრის დაცვისა.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, რომელიც აგრეთვე სამხედრო სფეროსაც მოიცავს, სამხედრო კავში-

---

[1] Л. И. Брежнев, Ленинским курсом, т. 3, М., 1972, გვ. 465.

რი სოციალისტური ქვეყნებისა აუცილებელია, რათა საერთო ძალებით და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის დახმარებით განუხრელად სრულყონ, აამაღლონ და სათანადო ტექნიკით აღჭურვონ თავისი ძალები. ერთიანი სოციალისტური სამხედრო კავშირი მიზნად ისახავს აგრეთვე აღზარდონ ჯარისკაცები სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სოციალისტური თანამეგობრობის, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. ამ მიზნით ფართოვდება უშუალო კონტაქტები სოციალისტური თანამეგობრობის სამხედრო მოსამსახურეებს შორის, ეწყობა ურთიერთმეგობრული ვიზიტები, ეწყობა ერთობლივი სამხედრო მანევრები. ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო მზადყოფნის გასინჯვისათვის, ვაერთიანებული შეიარაღებული ძალების ურთიერთშეწყობილი მოქმედების დახვეწისათვის და ა. შ.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის არსებობის მანძილზე ერთობლივი სწავლება და მანევრები მოკავშირე ჯარებისა ჩატარდა ოთხმეს კავშირში შემავალ ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ჯარების ერთობლივი მანევრები, როგორც წესი, გამოდის მარტო სუფთა სამხედრო ხასიათის თანამშრომლობის ჩარჩოებიდან, ვინაიდან მის მომზადებასა და გატარებაში მონაწილეობას ღებულობენ პარტიული და სახელმწიფო ორგანოები და აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა. ასე რომ აქ ერთგვარი კონტაქტები მყარდება არმიისა, პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების მუშაკებსა და ხალხს შორის.

სოციალისტური თანამეგობრობის ჯარების ერთობლივი სწავლება სისტემატურ ხასიათს ღებულობს 60-იანი წლების დასაწყისიდან. იგი ტარდება გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების ეგეგმის შესაბამისად. ერთობლივი მანევრებიდან აღსანიშნავია ე. წ. „კვარტეტი" (1963 წლის 9—14 სექტემბერში), „ოქტომბრის იერიში" (1965 წ. 16—22 ოქტომბერში), „ვლტავა" (1966 წ.), „მანევრი" და „როდოპი" (1967 წლის ზაფხულში), „შუმავა", საზღვაო ძალების მანევრები „ჩრდილოეთის" სახელწოდებით და ქვეითი ჯარებისა „ნემანის" სახელწოდებით (სამივე 1968 წელს), „ოდრანისი" (1969 წელს), საზღვაო და ქვეითი ძალების ერთობლივი მანევრები „იარაღით ძმობა" (1970 წ.). 1972 წლის სექტემბერში სამხედრო მანევრები ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ — საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის და გდრ-ის ჯარები და შტაბები. მანევრებს ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის მინისტრი. მას ესწრებოდნენ ჩეხოსლოვაკიის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები, ვარშავის

ხელშეკრულების სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრები და მონგოლეთის სამხედრო დელეგაცია. მანევრები ატარებდა სახელწოდებას „ფარი-72". მანევრების დროს მოკავშირეთა არმიების წარმომადგენლებს ჰქონდათ მრავალრიცხოვანი შეხვედრები ჩეხოსლოვაკიის მშრომელებთან. სლოვაკიის დედაქალაქ ბრატისლავაში მოეწყო საზეიმო ცერემონია — ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის დაღუპულ საბჭოთა მეომრების პატივსაცემად. მასში მონაწილეობა მიიღო სლოვაკიის ათასობით მოქალაქემ.

ამ მანევრებთან დაკავშირებით პრაღაში უცხოელი და ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტებისათვის მოეწყო პრესკონფერენცია. რომლის დროსაც აღინიშნა, რომ „ფარი-72" მანევრების მთავარი ამოცანაა მონაწილე ქვეყნების არმიების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მებრძოლების და მოძმე ხალხების მეგობრობის ინტერნაციონალური კავშირის გაძლიერება და გაღრმავება.

„ფარი-72" მანევრებთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰ. ჰუსაკმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ „ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც გვეკითხებიან, როგორ შეიძლება სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიანი პოლიტიკა შეეუთავსოთ დიდ სამხედრო სწავლებას. მაგრამ ჩვენ კომუნისტები მშვიდობის იდეალიზაციას კი არ ვახდენთ. ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობის ძალების მუდმივ ზრდასთან ერთად, კიდევ არსებობენ რევანშის რეაქციული ძალები. ამიტომ, ახლა მარტო მშვიდობაზე ლაპარაკი, მშვიდობისადმი მოწოდება არ კმარა. სოციალისტურ ბანაკს უნდა ჰქონდეს თავისი საიმედო ფარი შეიარაღებული ძალები, რომელიც მზად იქნება ყოველი აგრესორის გასანადგურებლად".

გარდა ამ მანევრებისა, სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მოკავშირე ქვეყნების თავდაცვის მინისტრებისა და არმიის ხელმძღვანელური კადრების თათბირები, რომლის დროსაც იხილავენ ჯარების საბრძოლო მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი ამაღლების საკითხებს. არმიის ხელმძღვანელი კადრების თათბირებს, როგორც წესი, რეგულარულად იწვევენ[1].

აქ იხილავენ აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკას. იმუშავებენ თანამედროვე სამხედრო ტექნიკით უზრუნველყოფის, სამხედრო სპეციალისტებით ურთიერთდახმარების. პირადი შემადგენლობის ნაწილების მიერ ახა-

---

[1] თავდაცვის მინისტრების თათბირები მოეწყო 1961 წლის სექტემბერში, 1962 წლის იანვარ-თებერვალში, 1967 წლის ოქტომბერში, 1968, 1969, 1971—72 წლებში და 1973 წელს.

ლი ტექნიკის სწრაფად ათვისების მიზნით, სამხედრო დარგში მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების შედეგების ურთიერთგაზიარების, ურთიერთკონსულტაციების, მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის ურთიერთგაცვლისა და სხვა საკითხებს. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოთა თანამშრომლობას ურთიერთსამხედრო მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმპერიალიზმის აშკარა აგრესიისა ან აგრესიის მუქარის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ურთიერთდახმარება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას სოციალისტური მონაპოვრის შესანარჩუნებლად და კაპიტალიზმის რესტავრაციის წინააღმდეგ. კორეელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის დროს საბჭოთა კავშირი და სხვა მოძმე ქვეყნები დიდ დახმარებას უწევდნენ მას. ასეთივე უანგარო დახმარებას ღებულობდა ვიეტნამელი ხალხი თავისი გმირული ბრძოლის დროს დამოუკიდებლობისათვის და სოციალიზმისათვის. 1968 წლის აგვისტოში, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოებმა — საბჭოთა კავშირმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეასრულეს ოვიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა და დახმარება გაუწიეს ჩეხოსლოვაკელ ხალხს სოციალისტური მონაპოვრის დაცვის საქმეში, კონტრრევოლუციური ძალების ხელყოფისაგან. ამის შესახებ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის დადგენილებაში „კრიზისული განვითარების გაკვეთილები" ნათქვამია — „ხუთი სოციალისტური ქვეყნის მოკავშირეთა ჯარების შეყვანა ჩეხოსლოვაკიაში იყო ინტერნაციონალური სოლიდარობის აქტი, რომელიც ემსახურებოდა, როგორც ჩეხოსლოვაკელი ხალხის საერთო ინტერესებს, ასევე საერთაშორისო მუშათა კლასის, სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის კლასობრივ ინტერესებს". ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ძირითად წანამძღვრებს წარმოადგენს ომის შემდეგ ოდერსა და ნოისზე დადგენილი საზღვრების ხელშეუხებლობის, აგრეთვე გფრ-ისა და გდრ-ას შორის არსებული საზღვრებისა და ამ ორ სახელმწიფოს არსებობის ფაქტის ცნობა, გფრ-ის მიერ უარის თქმა იმ პრეტენზიებზე, რომ იგი ითვლებოდეს მთელი გერმანელი ხალხის წარმომადგენლად, გფრ-ის მიერ უარის თქმა იმაზე, რომ იგი რანაირი ფორმითაც არ უნდა იყოს, ფლობდეს თერმოატომურ იარაღს, დასავლეთ ბერლინის განსაკუთრებული სტატუსის ცნობა და ა. შ. ეს არის სწორედ ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც ომის შემდგომ პერიოდში მოითხოვდა სამართლიან გადაწყვეტას და წარმოადგენდა

ევროპაში საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის უთანხმოებისა და წინააღმდეგობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.

სკკპ XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა ვარშავის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მოღვაწეობას. მან აღნიშნა: ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს ეკუთვნით ევროპაში მშვიდობის ვარმტკიცების გაშლილი პროგრამის წამოყენების ინიციატივა, რომლის ღერძია ახლანდელი სახელმწიფო საზღვრების ურყევობის უზრუნველყოფის მოთხოვნა"[1]. ამ პროგრამის შემუშავებასა და კონკრეტიზაციას მიეძღვნა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის რამდენიმე სხდომა. ვარშავის ხელშეკრულება, მარტო სამხედრო ორგანიზაცია კი არ არის, იგი აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაციის მთავარი ცენტრია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მშვიდობის დაცვა ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ამ მიზანმიმართულებით მან თავისი შექმნის პირველსავე დღიდან საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით არაერთი ინიციატივა გამოიჩინა და კონკრეტული წინადადებები წამოაყენა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით. ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებზე შემუშავებული იქნა არაერთი წინადადება, რომლებიც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა. აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი: წინადადება ევროპაში არსებული სამხედრო დაჯგუფებების ლიკვიდაციისა და მათ ნაცვლად შეიარაღების შეზღუდვისა და კონტროლის სისტემის შემოღების შესახებ; ორივე გერმანულ ნაწილში საზღვარგარეთის ჯარების შეზღუდვის, უკეთ კი მათი მთლიანად გაყვანის შესახებ; საყოველთაო და მთლიანი განიარაღების შესახებ; თერმოატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ; გფრ-ის ჯარების თერმოატომური იარაღით აღჭურვის შესაძლებლობის გამორიცხვის შესახებ; ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების ცნობის შესახებ, ევროპაში უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ და ა. შ. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ ახალ ფორმად იქცა ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პერიოდული შეხვედრა თათბირებზე. ამ თათბირების მოწვევა წინასწარ დადგენილი დროის მიხედვით კი არ ხდება, არამედ ვითარების მიხედვით და აუცილებლობის შემთხვევაში. 60-იანი წლების მეორე ნახევარში ასეთი თათბირები რამდენიმეჯერ ჩატარდა, რაც იმას მოწმობს, რომ ვარშავის ხელ-

[1] „სკკპ XXIV ყრილობის მასალები", თბ. 1973, გვ. 8—9.

შეკრულების სახელმწიფოები სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობენ თავიანთი საგარეო პოლიტიკური კურსის კოორდინაციისათვის. საბჭოთა კავშირის მეთაურობით ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის შედეგი ის არის, რომ 70-იანი წლების დამდეგიდან მსოფლიოში იწყება პროცესი, რომლის მთავარ ტენდენციას წარმოადგენს დაძაბულობის შენელება, სხვადასხვა სოციალისტურ სისტემებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და განვითარება.

§ 3. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნა

1949 წლის იანვრის დამდეგს მოსკოვში შედგა ეკონომიური თათბირი. საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის წარმომადგენლებისა. ომის შემდგომ პირველ წლებში ამ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე თათბირმა აუცილებლად ცნო ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის, თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების მიზნით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნა.

თათბირმა განსაზღვრა, რომ ურთიერთდახმარების საბჭო იქმნება მასში შემავალი ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და თავის უპირველეს ამოცანად თვლის სამეურნეო გეგმების შეთანხმებას წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე. სამეურნეო გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთტექნიკური დახმარების გაწევას და აგრეთვე დახმარებას მანქანებით, მოწყობილობით, ნედლეულით და ა. შ. ხაზგასმული იყო, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო ღია ორგანიზაციაა, რომელშიც ევროპის ყველა ქვეყანას შეუძლია შესვლა, თუ იგი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს პრინციპებს გაიზიარებს და სურვილი ექნება მონაწილეობა მიიღოს ფართო ეკონომიურ თანამშრომლობაში ამ საბჭოს დამფუძნებელ ქვეყნებთან.

1949 წლის თებერვალში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შევიდა ალბანეთი. (1961 წლის დამდეგიდან მან შეწყვიტა მონაწილეობა საბჭოში). 1950 წლის სექტემბრიდან საბჭოში შევიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

1962 წელს საბჭოს XVI რიგგარეშე სესიამ შესაძლებლად ჩათვალა, რომ მასში შესულიყვნენ არაევროპული ქვეყნები და იმავე წლის

ივნისში მიიღეს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ხოლო 1972 წლის ივლისში — კუბის რესპუბლიკა.

ამრიგად, ამჟამად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო აერთიანებს სოციალისტური თანამეგობრობის ცხრა ქვეყანას: სსრ კავშირს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას და კუბის რესპუბლიკას.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ცხრა სოციალისტური ქვეყნის ტერიტორია შეადგენს 25 მლნ. კვ. კმ-ს (ე. ი. დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით 19%). მოსახლეობა 370 მლნ. კაცზე მეტს (1974 წლისათვის), ე. ი. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 10 %. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების მოცულობის 1/3. 1950 წლისათვის კი იგი შეადგენდა 18%. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე მსხვილი ეკონომიური ორგანიზაცია—ევროპის ეკონომიური გაერთიანება („საერთო ბაზარი") 1974 წლის დეკემბრისათვის ასევე ევროპის ცხრა ქვეყანას აერთიანებდა (გფრ, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ბელგია, დანია, ნიდერლანდები, ირლანდია და ლუქსემბურგი). რომელთაც უკავიათ 1,5 მლნ. კვ. კმ. ტერიტორია, 253 მილიონიანი მოსახლეობით და აწარმოებენ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მოცულობის 18 %. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს არაწევრი სხვა სოციალისტური ქვეყნები მონაწილეობდნენ მისი ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში.

1964 წლის სექტემბერში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და იუგოსლავიას შორის დაიდო შეთანხმება მისი მონაწილეობის შესახებ საბჭოს ზოგიერთ ორგანოში. ამ შეთანხმების მიხედვით იუგოსლავია საბჭოს სხვა ქვეყნებთან ერთად თანამშრომლობს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე საერთო ამოცანების გადაწყვეტაში. იუგოსლავია მონაწილეობს, მაგალითად, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, რადიოტექნიკის, ელექტრომოწყობილობის, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებაში და აგრეთვე საგარეო ვაჭრობის, სავალუტო-ფინანსური ურთიერთობისა და მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების სფეროში.

როგორც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXVI სესიაზე აღინიშნა (შედგა მოსკოვში 1972 წლის 10-12 ივლისს) იუგოს-

ლავიის მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში საკითხებზე, რომელიც ურთიერთსაინტერესოა საბჭოს ქვეყნების და იუგოსლავიისათვის, გაფართოვდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ამ სესიამდე, 1972 წლის 16 მარტს საზეიმოდ გაიხსნა ჰიდროენერგეტიკული და სანავიგაციო სისტემა „რკინის კარების" სახელწოდებით, რომელიც სსრ კავშირის, რუმინეთის და იუგოსლავიის მშრომელების ერთობლივი ნაყოფიერი თანამშრომლობისა და მეგობრული დამოკიდებულების შედეგია.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობაში, როგორც მეთვალყურენი, მონაწილეობდნენ: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო დახშულ დაჯგუფებად კი არ გამოცხადდა, იგი ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც დაინტერესებულია მრავალმხრივ თანამშრომლობაში მოლიანი თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

1973 წლის მაისიდან ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს და ფინეთს შორის დაიდო შეთანხმება მათ შორის თანამშრომლობის შესახებ.

1973 წლის აპრილში მექსიკის პრეზიდენტის ვიზიტის დროს მოსკოვში დამყარდა კონტაქტი მექსიკასა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შორის იმ მიზნით, რათა მექსიკა შევიდეს საბჭოში როგორც მეთვალყურე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს რეგულარულ ფუნქციონირებას, როგორც სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივ ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციას, საფუძველი ჩაეყარა საბჭოს I სესიაზე (1949 წლის 26—30 აპრილი). ამ სესიამ განიხილა და გადაწყვიტა აუცილებელი ორგანიზაციული საკითხები. 1959 წლის დეკემბერში შემდგარმა XII სესიამ გააანალიზა და საბჭოს წესდებით განამტკიცა განვლილი 10 წლის პერიოდის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შედეგად დაგროვილი გამოცდილება.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წესდების პირველი მუხლის საფუძველზე მიისი მიზანია: საბჭოს წევრი ქვეყნების გაერთიანებული ძალებით და კოორდინაციით ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობის გეგმიურ განვითარებას, ამ ქვეყნების ეკონომიური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მრეწველობის მხრივ ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებას,

საბჭოს ქვეყნების ხალხთა შრომის ნაყოფიერების განუხრელად ზრდასა და მატერიალური მდგომარეობის განუხრელად ამაღლებას.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო დაფუძნებულია საბჭოში შემავალი ყველა ქვეყნის სუვერენულ თანასწორუფლებიანობაზე. საბჭოს წევრი ქვეყნების ეს თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მასში შემავალ ყველა ქვეყანას, მიუხედავად მისი ტერიტორიისა, მოსახლეობის რაოდენობისა ან საბჭოს ბიუჯეტში შესატანი საწევროს რაოდენობისა და ა. შ. საბჭოს ყოველ ორგანოში აქვს ერთი ხმა და თანასწორი უფლება ყველა საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში.

საბჭოს წევრების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ხორციელდება სოციალისტური ინტერნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი პრინციპების საფუძველზე — მთლიანი თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესებისათვის პატივისცემა, ურთიერთსარგებლიანობა და მეგობრული ურთიერთდახმარება.

საბჭოში შემავალი ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია. კომპლექსური გეგმის მნიშვნელობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის

თავდაპირველად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრთა ურთიერთობა იფარგლებოდა მათ შორის საგარეო ვაჭრობის განვითარებით ძირითადად ორმხრივი ხასიათის საფუძველზე. მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითადი ფორმა იყო მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის და საწარმოო გამოცდილების დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლა. მაგრამ შემდეგში საწარმოო ძალების განვითარების, წარმოების ზრდისა და სოციალისტური წყობილების განმტკიცებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალი, უფრო მაღალი ფორმები განვითარდა. დაახლოებით 50-იანი წლების შუა პერიოდიდან სწრაფად ვითარდება თანამშრომლობის შემდეგი ფორმები: შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, უმსხვილესი სამეურნეო ობიექტების ერთობლივი მშენებლობა, სპეციალიზებული საერთაშორისო სამეურნეო ორგანიზაციების შექმნა, მეცნიერული და ტექნიკური გამოკვლევების კოორდინაცია და ა. შ. თანამშრომლობა სულ უფრო მრავალმხრივ ხასიათს იღებს. 1961 წლის დეკემბერში მოწვე-

ული იქნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XV სესია, რომელმაც შეიმუშავა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სახელწოდებით „შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების ძირითადი პრინციპები". ამ დოკუმენტში განსაზღვრულია შრომის რაციონალურად დანაწილების მიზნები და ძირითადი მიმართულება წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში, შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების მაღალი ეკონომიური ეფექტურობის უზრუნველყოფა. წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის განვითარების გზები ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებასთან შეხამებით.

1962 წლის ივნისში მოწვეულმა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა მოიწონა საბჭოს XV სესიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი. ამ თათბირის გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოს ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებისათვის. თათბირმა საბჭოს მოღვაწეობის ახალ მეთოდად მომავალ პერიოდში დასახა მისი წევრი ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია იმ მიზნით, რათა უფრო რაციონალურად გამოიყენონ თავისი ქვეყნის რესურსები საბჭოში შემავალი ყოველი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკის უფრო სწრაფად განვითარებისათვის. თათბირმა დიდი ყურადღება მიაქცია სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის მსვლელობაში წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის მუშაობის დაჩქარებას, განსაკუთრებით მოწყობილობის წარმოებას მანქანათმშენებლობის ახალი დარგებისათვის, რომლებიც ტექნიკურ პროგრესში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

თათბირმა ხაზი გაუსვა აგრეთვე ნედლეულის, სათბობის, ენერგეტიკული ბაზის მაქსიმალურად განვითარების საკითხს და მოითხოვა, რათა აუცილებლად შეუდგნენ ძირითადი კაპიტალდაბანდების კოორდინაციას მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობის დარგებში. თათბირმა მთავარ ამოცანად ცნო საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების კოორდინაციის გაუმჯობესება-გაღრმავება და მიზანშეწონილად მიიჩნია აუცილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული ქვეყნების ერთობლივი საწარმოების, გაერთიანებული სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების შექმნა. საბჭოს ქვეყნებმა საგეგმო მოღვაწეობის დარგში კოორდინაცია დაიწყეს 50-იანი წლების შუა პერიოდიდან ხუთწლიანი გეგმების კოორდინაციის ფორმით. მაგალითად, 1954 წელს საბჭოს IV

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება 1956—1960 წლების გეგმების კოორ-
დინაციის შესახებ, რომელიც მაშინ უმთავრესად იმაში მდგომარეობ-
და, რომ შეეთანხმებინათ ნედლეულის, სათბობის ძირითადი სახეები-
სა და სხვა სახის საქონლის ურთიერთმიწოდების საკითხები.

1956 წელს მოწვეულმა საბჭოს VII სესიამ განიხილა 1956—1960
წლებში მანქანათმშენებლობის, მრეწველობის სხვა დარგებისა და
აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინა-
ციის საკითხები.

სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის მნიშვნელოვანი
ნაბიჯი იყო გეგმების კოორდინაცია 1961—1965 წწ. რომელმაც მო-
იცვა მეურნეობის უფრო მეტი დარგები და ხელი შეუწყო წარმოების
საერთაშორისო სპეციალიზაციას, საბჭოს წევრი ქვეყნების მოთხოვნე-
ბის უზრუნველყოფის გაუმჯობესებას პროდუქციისა და ნედლეულის
უმნიშვნელოვანეს სახეებზე. 1966—1970 წლების სახალხო მეურნე-
ობის გეგმების კოორდინაცია ხდებოდა ჯერ კიდევ 1961 წლის დე-
კემბერში საბჭოს XV სესიის მიერ შემუშავებული დოკუმენტის სა-
ფუძველზე: „შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების
ძირითადი პრინციპები". ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე ტარ-
დებოდა ურთიერთკონსულტაციები. შედგენილ იქნა წარმოებისა და
სამომხმარებლო პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეების საორიენ-
ტაციო ბალანსი. ამ გეგმების კოორდინაცია მოიცავდა მრეწველობის
ძირითადი დარგებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმო-
ებას, ტრანსპორტის, დაინტერესებული ქვეყნების ცალკეული კაპი-
ტალური მშენებლობის ობიექტებს და უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-
ტექნიკურ მუშაობას. გეგმების კოორდინაციის პროცესში ხდებოდა
შეთანხმება წარმოების სპეციალიზაციის განვითარების, მანქანათმშე-
ნებლობის, ქიმიის და შავი მეტალურგიის მრეწველობის დარგების
საკითხებზე.

1971—1975 წწ. გეგმების კოორდინაცია დამთავრდა 1970 წელს.
იგი აისახა 1969 წელს მოწვეული საბჭოს XXIII სპეციალურ და
1970 წელს მოწვეულ XXIV სესიებზე. ორივე ამ სესიამ ხანგრძლი-
ვი პერიოდით განსაზღვრა საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობისა და
სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის საკითხები.

1971 წლის ივლისში ბუქარესტში მოწვეულ საბჭოს XXV სესიაზე
შეკრებილი წევრი ქვეყნების დელეგაციებმა მინისტრთა საბჭოს თავ-
მჯდომარეების მეთაურობით ერთსულოვნად მოიწონეს და ერთხმად
მიიღეს კომპლექსური პროგრამა.

კომპლექსური პროგრამის განხორციელება გათვალისწინებულია
სამი-ოთხი ხუთწლედის განმავლობაში 15—20 წლის მანძილზე, ცალ-

კეულ ეტაპებად. კომპლექსურ პროგრამაში შედის 200-მდე მსხვილი მასშტაბის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემა, რომელიც საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის კოლექტიური მონაწილეობით უნდა გადაწყდეს. ეს პრობლემები მოიცავს მატერიალური წარმოების სფეროს, (ე. ი. მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მშენებლობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას), მიმოქცევის სფეროს[1], მეცნიერებას და ტექნიკას. კომპლექსური პროგრამა ითვალისწინებს ისეთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, როგორიცაა ეკონომიურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა და მისი დონის გათანაბრება განვითარებული ქვეყნების დონესთან. ეს დახმარება მრავალნაირი იქნება, და მოიცავს როგორც მატერიალურ წარმოებას, ასევე მეცნიერების და ტექნიკის დარგებს.

კომპლექსური პროგრამა უახლოეს წლებში ითვალისწინებს კონკრეტულ ვადებში რიგი ღონისძიებების გატარებას, ხოლო ხანგრძლივვადიანი ღონისძიებების განხორციელება საერთო ფორმითაა ჩამოყალიბებული. აქ ლაპარაკია მეცნიერების და ტექნიკის ახალი ძიღწევის დანერგვისა, მათი გატარების ეტაპებისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარების შესახებ.

კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებების განხორციელებაც, რომლებსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად: მსოფლიო სოციალისტური ბაზრის ტევადობისა და მდგრადობის ამაღლება; საბჭოს წევრი ქვეყნების პოზიციების გაძლიერება მსოფლიოს ეკონომიკაში და საბოლოო ჯამში კაპიტალისტურ სისტემასთან ეკონომიურ შეჯიბრებაში გამარჯვების მიღწევა; სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

კომპლექსურ პროგრამაში მოცემულია აგრეთვე საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობის და ეკონომიური ინტეგრაციის გზები და საშუალებები. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი: ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ურთიერთკონსულტაციების ჩატარება; საგეგმო მოღვაწეობის დარგში თანამშრომლობის გაღრმავება; წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის დარგებში საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების გეგმაზომიერი გაფართოება; ურთიერთვაჭრობის გეგმაზომიერი განვითარება და ეფექტურობის ამაღლება, მისი დაკავშირება სავალუტო-ფინანსური ურთიერთობისა და საგარეო ვაჭრობის ფასების სისტემასთან; უშუალო კავშირის გაფარ-

---

[1] მიმოქცევის სფეროში იგულისხმება: ფასები, სავალუტო, ფინანსური და საკრედიტო ურთიერთობა, საგარეო ვაჭრობა.

თოება საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოებთან, სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან; არსებულის განვითარება და ახალი საერთაშორისო სამეურნეო ორგანიზაციების შექმნა; ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის უფლებრივი საფუძვლების სრულყოფა. კომპლექსურ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ საბჭოში შემავალი ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მოღვაწეობის ძირითადი მეთოდია და მთავარი საშუალებაა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების ორგანიზაციაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამშრომლობა საგეგმო მოღვაწეობის დარგში კომპლექსური პროგრამის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სამრეწველო პროდუქციის პროგრესული სახეების ერთობლივი გადაწყვეტის მიზნით ხდება მათი ერთიანი დაგეგმვა. შემუშავებულია აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმა, ერთობლივი საკონსტრუქტორო, სატრანსპორტო სისტემის მუშაობისათვის და შავი ლითონის ზოგიერთი სახეების გლინვისათვის. სპეციალისტების შეფასებით, წარმოების ერთობლივი დაგეგმვისას დროისა და შრომის მნიშვნელოვან ეკონომიასთან ერთად მცირდება ხარჯები მეცნიერულ კვლევით სამუშაოებზე.

თანამედროვე სტატისტიკით, მსოფლიოში ამჟამად 20 მილიონამდე სხვადასხვა სახის საწარმოო პროდუქციისა და სამომხმარებლო დანიშნულების საქონელს უშვებენ, დაწყებული პურის ნაწარმიდან, სხვადასხვა სახის სასმელებიდან და დამთავრებული ელექტრო-გამომთვლელი მანქანებითა და კოსმოსური ხომალდებით. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში აწარმოებენ 500 ათასზე მეტი დასახელების მანქანებსა და მექანიზმებს. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი კვლავ სწრაფად იზრდება. ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება წინააღმდეგობანი ერთი მხრივ იმაზე, თუ რა შეუძლია ყოველ ქვეყანას საკუთარი ძალებითა და სახსრებით აწარმოოს და მეორე მხრივ იმაზე, რომ მისთვის აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

გასაგებია, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ცალკეულ ქვეყნებს თავისი საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ აწარმოონ ასეთი რაოდენობით ასორტიმენტის საქონელი, ვინაიდან მათი ადამიანების, მატერიალური და ფინანსური რესურსები, თუ თითოეულს ცალ-ცალკე ავიღებთ, ამ მხრივ ძალზე შეზღუდულია. პატარა და საშუალო ქვეყნებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ მსოფლიო ტექნიკურ დონემდე ამაღლება.

ამიტომ თვით შემდგომში ეკონომიური განვითარების მოთხოვნებ-

მა დღის წესრიგში დააყენა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილებისა და სოციალისტური ეკონომიკის ინტეგრაციის განვითარების საკითხები. ამ პროცესების დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს სტანდარტიზაციას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. სტანდარტიზაცია განსაზღვრავს ხარისხობრივ მოთხოვნებს მზა პროდუქციისადმი, ნედლეულისადმი, კომპლექტური ნაწარმის გასალებისადმი. იგი წარმოების უნიფიცირებისა და ზომადობის ერთიანობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ყველაფერს ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე საბჭოში შემავალი ქვეყნების მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენციის შესაძლებლობისათვის.

1962 — 1974 წლებში საბჭოს ფარგლებში სტანდარტიზაციის საშუალოს მოცულობა 10-ჯერ გაიზარდა. კომპლექსური პროგრამის განხორციელებამ და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გაღრმავებამ ძტკიცედ ლაყენა დღის წესრიგში სტანდარტიზაციის დონის ამაღლება. საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის სტანდარტების თანდათანობით უნიფიკაციის მოთხოვნა. ასეთ ერთიანლ ბუნებას უკვე ენიჭებოდა საბჭოთა კავშირი და ევროპა საკმაოდ ფართო ნაბეჭდ ლიტერატურის ნაწარმში. მოლაპარაკებანი აგრეთვე გადაწყვეტილება სსრ კავშირისა და ბულგარეთის სტანდარტების ერთიანეობაზე. ამ საქმეში ბევრი აგრეთვე სხვა პოლონე ქვეყნებია. 1974 წლის ზაფხულში სოფიაში შეხვედრაზე საბჭოს ... სესიაზე დაამტკიცა ფუნდამენტალური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს სტანდარტის შესახებ. ხელმოწერილია აგრეთვე „კრებული ეკონომიური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს სტანდარტების გამოყენების შესახებ. ამ გადაწყვეტილებაში ახალი ისაა, რომ საბჭოში შემავალი ქვეყნების სტანდარტები აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ბაზაში პრაქტიკულ ქვეყნების ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სახელშეკრულებო-უფლებრივ ურთიერთობაში. სტანდარტიზაციის დარგში შესაძლებელი ხდება ერთიანი პოლიტიკის განხორციელება, საგარეო ვაჭრობაში ტექნიკური ზღუდეების აღმოფხვრა. პროდუქციის ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლება. ერთიანი სტანდარტების შემოღება სოციალისტურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის უფრო მტკიცე და ღრმა ბაზას შექმნის.

კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის მსვლელობაში საბჭოში შემავალი ქვეყნების ხელ უფრო მეტი წარმოებები უკავშირდებიან ურთიერთს კოოპერაციულ კავშირებში, და უთანხმდებიან ერთმანეთს, რათა მთელი ნაწარმი კი არა, არამედ ცალკეული აგრეგატები და დეტალები გამოუშვან.

საბჭოს წევრი ქვეყნები ავითარებენ სახელმწიფოთაშორისო სპეციალიზაციას და კოოპერირებას წარმოების ისეთ დარგში, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. საბჭოთა კავშირის მსხვილი დაკვეთების სტაბილურობის გამო საბჭოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა გადავიდა წარმოების სპეციალიზაციაზე და ახალი თანამედროვე დარგების შექმნაზე. მაგალითად, პოლონეთმა დაიწყო შორეული ნაოსნობის გემების ძრავების, გაზის მშენებლობის მანქანების წარმოება: გარდა ამისა, საბჭოს რეკომენდაციით პოლონეთი სპეციალიზირებულია გოგირდის მჟავის, შაქრისა და მერქანის ბოჭკოვანი ფილების ქარხნების მშენებლობაზე. ამის შედეგი კი ისაა, რომ მრეწველობის ეს დარგები პოლონეთში ძალზე განვითარდა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აწარმოებს კარიერებში მუშაობისათვის გიგანტურ მანქანებს, სხვადასხვა დაზგებს. სსრ კავშირის და გდრ-ის სპეციალისტებმა ერთად შეიმუშავეს მაღალი ძაბვის პოლიეთილენების ტექნოლოგიური პროცესების წარმოება. ამის შედეგი კი ისაა, რომ სსრ კავშირში აიგო და 1973 წელს ექსპლოატაციაში ჩაბარდა გიგანტური ქარხანა „პოლიმერ-50". ძალაში შევიდა და ამჟამად მოქმედებს შეთანხმება სამი ჯგუფის დიდი სატვირთო მანქანების წარმოების მრავალმხრივი სპეციალიზაციის შესახებ. 1975 წლის დამლევისათვის დიდი სატვირთო მანქანების სპეციალური საწარმოების ხვედრი დიდი სატვირთო მანქანების საერთო წარმოებაში მიაღწევს 36%-ს. საბჭოში შემავალ ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებით უნგრეთი სპეციალიზირებულია საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტობუსის „იკარუსის" წარმოებაზე და სსრ კავშირსა და საბჭოს სხვა ქვეყნებს აწვდის ასეთი ტიპის ავტობუსებს.

მსუბუქი ავტომანქანების „ჟიგულის" ცალკეული დეტალების წარმოება სპეციალიზირებულია ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში, რომლებიც IX ხუთწლედის ბოლოსათვის ტოლიატის ავტოქარხანას მოაწვდიან „ჟიგულის" 40 სახის დეტალს, სამაგიეროდ მიიღებენ უფრო მეტი რაოდენობის „ჟიგულის" მანქანებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიღწეულ შეთანხმებას საზღვაო და სამდინარო გემების მრავალმხრივი სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ და აგრეთვე ლითონმჭრელ დაზგებზე, სატრაქტორო მრეწველობაზე (150 დასახელების), სატრაქტორო და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე (72 ტიპობრივი ზომისა), კომპლექტურ დანადგარებზე ფოსფორის, აზოტის და გოგირდის მჟავის მისაღებად და ა. შ.

აუცილებლობა პროდუქციის ხარისხის მუდმივად ამაღლებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენციის შესაძლებლობისა მოითხოვს

საბჭოში შემავალი ქვეყნების სტანდარტების დონის ამაღლებას. ამ მიზნით კანონიერია ისეთი წესის შემოღება, რომლის მიხედვითაც სტანდარტების შემოწმება და აუცილებლობის შემთხვევაში მისი გადასინჯვა სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა საბჭოში შემავალ ქვეყნებს შორის 70-იან წლებამდეც ხორციელდებოდა, მაგრამ თავდაპირველად იგი ძირითადად მეცნიერული კვლევითი შედეგების ორმხრივი გაცვლის ხასიათს ატარებდა — ხორციელდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ნაწარმის ნიმუშის ინფორმაციის და საწარმოო გამოცდილების ურთიერთგადაცემის ფორმით, ტექნიკური დახმარების გაწევით სამრეწველო საწარმოების მშენებლობაში და დარგების მომზადებაში. ბუნებრივია, რომ ასეთმა თანამშრომლობამ დიდი როლი შეასრულა ომის შემდგომი განადგურებული მრეწველობის აღდგენისა და მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციაში. მაგრამ შემდეგშიც თანამშრომლობის ეს ფორმა დიდმნიშვნელოვანი იყო. საბჭოში შემავალი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა.

თანამშრომლობის ასეთ ფორმაში დიდია საბჭოთა კავშირის დამსახურება. მაგალითად, 1970 წლამდე საბჭოთა კავშირმა საბჭოს წევრ ქვეყნებს გადასცა 41 ათასი სხვადასხვა ხასიათის მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და ნაწარმის ნიმუშის კომპლექტი და მათგან მიიღო 21 ათასი კომპლექტი. საერთოდ კი საბჭოში შემავალმა ქვეყნებმა ერთმანეთს გადასცეს მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის 80 ათასზე მეტი კომპლექტი. ამავე პერიოდში საბჭოს წევრი ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში 55 ათასამდე სპეციალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია და გაეცნო საბჭოთა გამოცდილებას; 40 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო სსრ კავშირში უმაღლესი განათლება; 50 ათასზე მეტი საბჭოთა სპეციალისტი მივლინებული იყო მოძმე ქვეყნებში ტექნიკური დახმარების გასაწევად და თავისი გამოცდილების გასაზიარებლად. საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით სოციალისტურ ქვეყნებში 1970 წლამდე დაახლოებით 1150 საწარმო, ცალკეული სალამჭრო და სხვა ობიექტები იქნა აგებული. შედეგი კი ასეთი უანგარო დახმარებისა ძალზე დიდია მოძმე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკის განვითარების საქმეში.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სხვა ფორმა იყო მეც-

ნიერული და ტექნიკური გეგმების გამოკვლევის ორმხრივი და მრავალმხრივი კოორდინაცია, რომელიც ხელს უწყობდა მატერიალური და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან შემცირებას და კვლევით მუშაობაში გაუმართლებელი პარალელიზმისა და დუბლირების თავიდან აცილებას. ეს აადვილებდა მეცნიერთა ყურადღების კონცენტრირებას საერთო პრობლემების გადაწყვეტისათვის. მარტო 1966—1970 წწ. მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების გეგმების მრავალმხრივი კოორდინაციის შედეგად შესაძლებელი გახდა თანამშრომლობისათვის განესაზღვრათ 150 პრობლემა და 500-ზე მეტი მეცნიერულ-კვლევითი თემა.

კომპლექსური პროგრამა ითვალისწინებს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დიდი მასშტაბებით გაზრდას. ამ დარგში თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაში მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი დანერგვა და გამოყენება. ამ მიზნით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსთან შექმნილია მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტი. ამ კომიტეტის ხელმძღვანელობით 1971—1975 წლების სახალხო მეურნეობის გეგმების წინასწარი კოორდინაციის შედეგად მუშავდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევის 1900 პრობლემა, მათ შორის დარგთაშორისო ხასიათის 73 უმნიშვნელოვანესი პრობლემა, ხოლო ერთობლივი შესწავლისათვის 216 უმნიშვნელოვანესი თემა. მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომიტეტმა 1972—1975 წლებში შეიმუშავა კონსულტაციების ჩატარების პროგრამა იმ მიზნით, რათა განსაზღვროს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური პოლიტიკა 1976—1980 წლებისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. საბჭოს ქვეყნებმა ფართო პროგრამა დასახეს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და მეცნიერულ-ტექნიკური ინტეგრაციისათვის. კომპლექსურ პროგრამაში განსაზღვრულია ამ თანამშრომლობის ფორმები და გზები: მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ძირითად საკითხებში ურთიერთკონსულტაციების ჩატარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზების დამუშავება 10-15 წლით, ცალკეული მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების ერთიანი პროგრამული დამუშავება დაინტერესებული ქვეყნების მიერ, მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების კოორდინაცია, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარება და ა. შ.

ყოველწლიურად ვითარდება საბჭოს ქვეყნებს შორის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო-ექსპერიმენტული სამუშაოები. ამ მიზნით სოციალისტური ქვეყნების სამინისტროებსა,

სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საუწყებო ორგანიზაციებსა და ცალკეულ საწარმოებს შორისაც კი იდება ხელშეკრულებანი და შეთანხმებები და უშუალო კავშირი აქვთ დამყარებული ერთმანეთთან. მაგალითად, კომპლექსური პროგრამის მიღებიდან 1974 წლის დამდეგამდე 45 შეთანხმება იქნა ხელმოწერილი თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მიზნით ამ შეთანხმებების საფუძველზე შეიქმნა 37 საკოორდინაციო ცენტრი. ამავე მიზნით შეიქმნა მეცნიერთა ორი საერთაშორისო კოლექტივი, ორი საერთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება და ა. შ. მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შედეგები მართლაც რომ ძალზე მნიშვნელოვანია. მაგალითად, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ორგანიზაციები თანამშრომლობენ 384 სამეცნიერო თემის დამუშავებაში. ამ ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა რადიოსარელეო სისტემა, რომლის მეშვეობით ინფორმაციის გადაცემა შეიძლება 12.5 ათასი კმ-ის მანძილზე და ერთდროულად, 2 ათასამდე სატელეფონო დალაპარაკების წარმოება ან სატელევიზიო პროგრამის ტრანსლირება შავთეთრისა და ფერადი გამოსახულებით. მოსკოვში 1975 წლის იანვრის ბოლოს მოწვეულმა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 70-ე სხდომამ განიხილა აქ წარმოდგენილი საბჭოს წევრებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ანალიზი, რომელიც მოწმობს, რომ საბჭოს წევრი ქვეყნები სულ უფრო ფართოდ იყენებენ მეცნიერებაში და ტექნიკაში თანამშრომლობის სრულყოფილ ფორმებსა და მეთოდებს. აქ აღინიშნა, რომ ნაყოფიერად მოღვაწეობენ საკოორდინაციო ცენტრები, მეცნიერთა საერთაშორისო კოლექტივები, საერთაშორისო ლაბორატორიები, საერთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი. აღნიშნული იქნა ის ფაქტი, რომ კომპლექსური პროგრამის შესრულების მიზნით საბჭოს წევრი ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა 1974 წელს ხელი მოაწერეს 70-ზე მეტ შეთანხმებასა და ხელშეკრულებებს მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. აღმასრულებელმა კომიტეტმა საბჭოში შემავალ ქვეყნების სათანადო სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებს და საბჭოს ასეთივე ორგანოებს რეკომენდაცია მისცა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ეფექტურობის სრულყოფისა და ამაღლებისათვის ღონისძიებების შემუშავების დროს გამომდინარეობდნენ ანალიზში მითითებული დასკვნებისა და წინადადებებისაგან.

საბჭოს წევრი ქვეყნების რესურსების რაციონალურად გამოყენება და საერთაშორისო სამეურნეო ორგანიზაციები

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები უკვე შექმნის პირველსავე დღიდან თანამშრომლობენ გაერთიანებული რესურსების გამოყენებისათვის, წარმოების და მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებისა და სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის. საბჭოში შემავალი ქვეყნების მოთხოვნების უფრო, სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის — ნავთზე, ელექტროენერგიაზე, ნედლეულზე და მასალებზე. საბჭოში შემავალი ქვეყნების ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი ადგილი საბჭოთა კავშირს უკავია. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობს ნედლეულის მთელი მსოფლიოს მარაგის უდიდესი ნაწილი: ქვანახშირისა 55%, ნავთისა 37%, ბუნებრივი გაზისა 45%, და ა. შ. საბჭოს წევრი ქვეყნების საერთო მოთხოვნის 70—80% ნედლეულზე, ზოგიერთი სახის ნედლეულზე კი 100% სსრ კავშირი აკმაყოფილებს. საბჭოთა კავშირიდან გაყვანილია ნავთსადენი „მეგობრობა", რომელიც ნავთით ამარაგებს გდრ-ს, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას. პირველი ათი წლის განმავლობაში მარტო ამ ნავთსადენით აღნიშნულმა ქვეყნებმა მიიღეს 170 მლნ. ტონა ნავთი. მეორე ნავთსადენის მწყობრში ჩადგომის შედეგად, 1975 წლიდან მოძმე ქვეყნებისათვის ნავთის მიწოდება მარტო ორივე ამ ნავთსადენით წელიწადში მიაღწევს 50 მლნ ტონას, საერთოდ კი საბჭოში შემავალმა ქვეყნებმა 1966—1970 წწ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნიდან მიიღეს 138 მლნ ტონა ნავთი, 8 მილიარდი კუბ. მეტრი ბუნებრივი გაზი, 14 მილიარდი კ. ს. ელექტროენერგია, 74 მლნ. ტ. რკინის მადანი. 1971—1975 წწ. ხუთწლედში კი ჩამოთვლილი ნედლეულის პროდუქტის მიწოდება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ნავთი—250 მლნ-მდე ტონით, ბუნებრივი გაზი 33 მლრდ. კუბ. მ., ელექტროენერგია 42 მლრდ. კვტ. ს. და ა. შ.

ბუნებრივია, რომ თვით საბჭოში შემავალ ქვეყნებს შორის ფართო თანამშრომლობაა დამყარებული მათ ქვეყანაში არსებული საჭირო ნედლეულის ურთიერთ მიწოდებაში. სოციალისტური ქვეყნები ძირითადად აკმაყოფილებენ თავის საიმპორტო მოთხოვნებს ნავთის პროდუქტებით—88%, რკინის მადნით—82%, ქვანახშირით—98% და ა. შ.

სათბობითა და ნედლეულით შემდგომი გაფართოებისა და უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება საბჭოს წევრი ქვეყნების ფინანსური და მატერიალური საშუალებების გაერთიანების გადა-

წყვეტის გზით. სწორედ ამის გათვალისწინებითაა შედგენილი კომპლექსური პროგრამა, რომელიც სოციალისტური წარმოების შემდგომ ამაღლებასთან ერთად ითვალისწინებს საბჭოს წევრი ქვეყნების მატერიალურ, ფინანსურ და სხვა რესურსების გაერთიანებას სათბობით, ელექტროენერგიით, ნედლეულით და ყველა სახის მასალებით მათი მოთხოვნების მთლიანი დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოში შემავალი ქვეყნების საინვესტიციო რესურსების კონცენტრაციისა და მათი უფრო რაციონალურად და გეგმიურად გამოყენებისათვის დიდ როლს ასრულებს 1971 წლის იანვარში შექმნილი საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი. მან თავის მოღვაწეობის სამი წლის განმავლობაში დააკრედიტა საბჭოში შემავალი ქვეყნების 30-ზე მეტი ობიექტი, რომელთა შორის აღსანიშნავია ფერომაგნიტური ფაბრიკა ბულგარეთში, საფეიქრო ფაბრიკა და ელექტროძრავის ქარხანა პოლონეთში, იზოპრენის კაუჩუკის ქარხანა რუმინეთში, საავტომობილო ქარხანა „ტატრა“ ჩეხოსლოვაკიაში, ავტობუსის ქარხანა „იკარუსი“ უნგრეთში. კომპლექსური პროგრამა ეკონომიური ინტეგრაციისა და თანამშრომლობის განვითარების საქმისათვის დიდ ყურადღებას აქცევს სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდას. ამჟამად 20 ასეთი ორგანიზაცია მოღვაწეობს. მაგალითად, შავი მეტალურგიული წარმოების დარგში „ინტერმეტალი“, ქიმიურ მრეწველობაში „ინტერქიმია“, საკისარის მრეწველობისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, სატვირთო მანქანების საერთო პარკი, პოლონეთისა და უნგრეთის ნახშირის ნარჩენების ერთობლივი გადამუშავების საერთო პარკი „ხალდეკსი“, ბულგარეთ-უნგრეთის საზოგადოება „ინტრასმაში“ — ესაა ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა ქარხნისშიდა ტრანსპორტისა და საწყობების მუშაობის მექანიზაცია-ავტომატიზაციის საკითხების გადასაწყვეტად, ტექნიკური განვითარებისა და მანქანების წარმოების კოორდინაციისათვის. ხილისა და ბოსტნეულის დამუშავების მექანიზაციის მიზნით შეიქმნა „აგრომაშის“ საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირი, ბულგარეთი, უნგრეთი და გდრ. კომპლექსური პროგრამის მიერ დაწყებული ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მატერიალური წარმოების სფეროს. მასში მონაწილეობენ საბჭოში შემავალი ქვეყნების სამინისტროები და უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, საწარმოო გაერთიანებები; საბჭოს ორგანოებში კი მოქმედებენ მუდმივი კომისიები, მუდმივი და დროებითი მუშათა ჯგუფები, თათბირები და ა. შ.

სოციალისტური ქვეყნების მიერ ერთობლივად განხორციელებულმა გეოლოგიურმა ძიებებმა მთელ რიგ მნიშვნელოვან სასარგებლო წიაღისეულზე საგრძნობლად გაზარდა მათი მარაგი. მონგოლეთის

ნაკლებად შესწავლილ და პერსპექტიულ რაიონებში საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის დეფიციტურ სასარგებლო წიაღისეულის ძიებისათვის, მათი ურთიერთსასარგებლო პირობებში შემდგომი დამუშავების მიზნით შემუშავდა პროგრამა და დაიდო შეთანხმება საერთაშორისო კომპლექსური გეოლოგიური ძიების ექსპედიციის შექმნის შესახებ. მოსკოვში 1975 წლის იანვრის ბოლოს მოწვეულმა ეკონომიურ ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა საბჭოს გეოლოგიური ძიების საქმის მუდმივი კომისიის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ, მონგოლეთში საერთაშორისო გეოლოგიური ექსპედიციის შექმნაზე დაინტერესებულ ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა ხელი მოეწერათ შეთანხმებასა და ექსპედიციის დაარსებაზე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო დიდ ყურადღებას აქცევს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეს. ამ მიზნით საბჭოს ორგანოებმა დაადგინეს წესები 1976—1980 წლებისათვის და უფრო ხანგრძლივი პერიოდით ქვანახშირის მრეწველობის განვითარების გეგმების კოორდინაციისათვის, აგრეთვე ისეთი ძირითადი პრობლემების გამოვლენისათვის, რომლებიც გადაწყდება ამ კოორდინაციის მსვლელობაში.

2000 წლამდეა განსაზღვრული საბჭოს წევრი ქვეყნების ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პროგნოზების დამუშავების ეტაპები, რომელთა მთავარი მიზანია სოციალისტური ქვეყნების ქვანახშირზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალისტური ქვეყნები ურთიერთს აწვდიან თავის განკარგულებაში მყოფ საჭირო ნედლეულს. 1973 წელს სსრ კავშირმა ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-თან ხელი მოაწერა შეთანხმებას, მათი საბჭოთა კავშირში ნავთის მოპოვებაში მონაწილეობისა და მათთვის ჩვენი ქვეყნიდან ნავთის დამატებითი მიწოდების შესახებ. გარდა ამისა საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა შეთანხმებას უნგრეთთან და პოლონეთთან ნავთსადენის ერთობლივი მშენებლობის შესახებ, ხოლო ბულგარეთთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს საბჭოთა კავშირიდან ბულგარეთისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების გაზრდას და ამ მიზნით ჩვენს ქვეყანაში გაზის მრეწველობის სიმძლავრის გაზრდისათვის ერთობლივი ღონისძიებების გატარებას.

საბჭოს ორგანოებმა ნავთისა და გაზის მოპოვების ინტენსიფიკაციის მიზნით მრავალი საკითხი განიხილეს და დასახეს ღონისძიებები გეოფიზიკური, გეოლოგიური ძიებისა და გაბურღვის სამუშაოების ეფექტურობის ამაღლებისათვის. ნავთისა და გაზის ძიებების ღონის-

ძიებებისათვის გაბურღვების წარმოება ჩატარდება დიდი სიღრმით, მათ შორის ზღვის აკვატორიუმებში.

სსრ კავშირში არსებული უკვე მოქმედ გაზსადენების გარდა, რომლითაც ევროპის სოციალისტური ქვეყნები იღებენ გაზს, საბჭოში შემავალმა დაინტერესებულმა ქვეყნებმა 1975 — 1976 წლებისათვის დაგეგმეს ახალი უდიდესი გაზსადენი მაგისტრალების მშენებლობა სსრ კავშირიდან ევროპის სოციალისტური ქვეყნებისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზნით.

1974 წლის ივნისში მოწვეულმა საბჭოს XXVIII სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის შესახებ, რომელიც სათავეს იღებს სამხრეთ ურალის ქალაქ ორენბურგიდან. ეს ახალი გაზსადენი ბუნებრივ გაზს შიაწვდის მოძმე ქვეყნებს: ბულგარეთს, პოლონეთს, რუმინეთს და ჩეხოსლოვაკიას. ამ ახალი გაზსადენის მშენებლობის აუცილებლობა იმის გამო შეიქმნა, რომ მოძმე ქვეყნების მოთხოვნები მათი ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით საბჭოთა ბუნებრივ გაზზე — ამ უმნიშვნელოვანეს ნედლეულზე — ძალზე იზრდება.

საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკის შემდგომი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ერთობლივი ძალებით შექმნილ ენერგეტიკულ სისტემას „მშვიდობას“. მრავალ ათას კილომეტრზეა გადაჭიმული 20 მაღალძაბვიანი ხაზი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ევროპის სოციალისტური ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემას. 1962 წელს სოციალისტური ქვეყნების ენერგოსისტემის მუშაობის კოორდინაციისათვის პრაღაში გაიხსნა ცენტრალური სადისპეტჩერო განყოფილება. საყურადღებოა, რომ 1961 წელთან შედარებით 1974 წლისათვის ელექტროენერგიის ურთიერთგაცვლა თითქმის 14-ჯერ გაიზარდა.

კომპლექსური პროგრამით განსაზღვრულია ელექტროენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის ძირითადი მიზნების შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის მიმართულებები. საბჭოში შემავალი ქვეყნების სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, აგრეთვე ენერგეტიკული სისტემის უფრო მთლიანი გამოყენებისა და მათი შემდგომი განვითარების მიზნით გადაწყდა ახალი უძლიერესი ელექტროგადაცემის ხაზის გაყვანა, რომლის ძაბვა 750 კილოვატი იქნება. 1974 წლის თებერვალში სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის და გდრ-ის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას 750 კილოვატიანი ძაბვის ელექტროგადამცემის ხაზების მშენებლობისა და მისი ექსპლოატაციისათვის თანამშრომლობის შესახებ.

ატომური ენერგიისა და ტექნიკის დარგში საერთაშორისო თანამ-

შრომლობის განვითარებაში ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის კომპლექსური პროგრამის მიღებით ახალი ეტაპი დაიწყო. იგი ითვალისწინებს ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო განვითარებასა და ამ განვითარების შედეგად არსებული მიღწევების დანერგვას სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით შეიქმნა შვიდი საკოორდინაციო მეცნიერულ-ტექნიკური საბჭო, რომელშიც თავმოყრილია ამ დარგის ძირითადი პრობლემების სამუშაოები. ესენი შემდეგია: რადიაციური ტექნიკა და ტექნოლოგია (სსრკ), რადიაციური უსაფრთხოება (გდრ), გასხივებული სათბობის გადამუშავება (ჩსსრ), დიდი სიმძლავრის ჩქარი ნეიტრონის რეაქტორების ენერგეტიკის დამუშავება (სსრკ), ახალი საკვლევი რეაქტორების შექმნა და სრულყოფა (რსრ), ენერგეტიკული რეაქტორების წყლის რეჟიმი (გდრ), რადიაქტიური ნარჩენების გადამუშავება და დამარხვა (სსრკ).

თანამშრომლობა გაერთიანებული რესურსების ერთობლივი გამოყენებისათვის ვითარდება წარმოების სხვა დარგების და სამრეწველო ობიექტების მშენებლობაში.

1974—1980 წლებისათვის ხელმოწერილია მრავალმხრივი შეთანხმება სოფლის მეურნეობის კულტურების. სათესი მასალების, საჯიშე თესლების წარმოების და ურთიერთმიწოდების საერთაშორისო სპეციალიზაციის შესახებ. საბჭოში შემავალმა ქვეყნებმა მეცხოველეობის დარგში კომპლექსურად შეიმუშავეს თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიის ბაზაზე პროდუქტების წარმოების, ფერმების დაპროექტების და მაღალპროდუქტიული საჯიშე ცხოველების ურთიერთგაცვლის გაფართოების ღონისძიებები. 1973 წელს დაიდო შეთანხმება სავეტერინარო პრეპარატების წარმოების მრავალმხრივი საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების შესახებ და ა. შ.

კომპლექსური პროგრამა ითვალისწინებს თანამშრომლობას პროგნოზების დარგში კვების მრეწველობის განვითარებისათვის. კერძოდ, 1971—1980 წწ. საბჭოს წევრი ქვეყნები წარმოებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის შესაბამისად ითვალისწინებენ სასურსათო პროდუქტების მოხმარების სტრუქტურის გაუმჯობესებას. ეს გაუმჯობესება უნდა მოხდეს ხორცის, თევზის, კვერცხის, რძისა და მათი ნაწარმის, აგრეთვე ახალი და გადამუშავებული სახით ხილ-ბოსტნეულის მოხმარების მაღალი ტემპებით ზრდის ხარჯზე. ტარდება ერთობლივი სამუშაოები ხორცის კომბინატის, შაქრის, რძის და ლუდის ქარხნების დაპროექტებისათვის.

სოციალისტური თანამეგობრობის შექმნამდე ეკონომიური ურთი-

ერთობა მათ შორის სუსტად იყო განვითარებული. კერძოდ, მათ შორის ურთიერთვაჭრობაზე მოდიოდა მათი საერთო საქონლის ბრუნვის 20%-ზე ნაკლები, სსრ კავშირთან კი კიდევ უფრო ნაკლები. ამჟამად კი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებულ სახელმწიფოთა საქონლის ბრუნვის 60% მოდის ურთიერთვაჭრობაზე. კერძოდ. იგი 1950 წლიდან 1973 წლამდე 10-ჯერ გაიზარდა და მისმა ბრუნვამ მიაღწია 47,5 მლრდ. გადაყვანილ მანეთამდე. 1974 წლისათვის საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის 65% მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე. ადრე საბჭოთა კავშირის იმპორტზე სოციალისტური ქვეყნებიდან სჭარბობდა ნედლეული. მაგრამ სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში განხორციელებული ინდუსტრიალიზაციის შედეგად, 1973 წელს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებზე მოდიოდა საბჭოთა კავშირის მიერ საზღვარგარეთ შეძენილი მანქანა-მოწყობილობების 70%[1].

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ქვეყნებს შორის ასეთი სახის ურთიერთობა მათი ეკონომიკის განუხრელად აღმავლობის ერთგვარი გარანტიაა. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობრივი ზრდა არაა. საგარეო ვაჭრობა სწრაფი ტემპებით კაპიტალიზმის დროსაც იზრდება, საქმე მოძმე ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის ხარისხობრივ ცვლილებებშია, რომელსაც ახალი ტიპის შრომის საერთაშორისო დანაწილების ეკონომიური ორგანიზაცია—ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო ახორციელებს. მარქსიზმ-ლენინიზმმა აღმოაჩინა, სოციალიზმმა კი პრაქტიკულად აამოქმედა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის განვითარების კანონზომიერებანი, რომელსაც შეგნებულად იყენებენ მოძმე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. ისინი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობაში ახალი ტიპის თანამშრომლობის პიონერები არიან. მათ განავითარეს თეორია და გაამდიდრეს პრაქტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური ინტერნაციონალიზაციისა. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტები და მთელი მშრომელები, როდესაც განვლილ გზას უყურებენ და შეფასებას აძლევენ მას, თუ რა იყო და რა არის სოციალისტურ სამყაროში, სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ერთობლივი მუშაობის შედეგებით.

სკკპ-ის XXIV ყრილობაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ ჩვენი პარტია ერთგულია სოლიდარობის პრინციპებისა იმ ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან თავისი ეროვნული და სოციალური გათავისუფლებისათვის და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალისტუ-

[1] „პრავდა", 7/II-1975 წ.

რი ორიენტაციის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაფართოებას. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ტექნიკური დახმარებით ეგვიპტეში მწყობრში ჩადგა ან აშენდა 800, ალჟირში 150, ერაყში თითქმის 250, სირიაში 100 სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, კულტურის ან სხვა ობიექტები.

მათ შორის არის ისეთი დიდი ობიექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდა: ასუანის კაშხალი და ჰიდროელექტროსადგური, მეტალურგიული კომპლექსი ჰელუანში, გემთმშენებელი ქარხანა ალექსანდრიაში (ეგვიპტე); მეტალურგიული და ვერცხლის წყლის კომბინატები და ტყვია-თუთიის გამამდიდრებელი ფაბრიკა ალჟირში; ევფრატის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი სირიაში, ნავთის სარეწაო და ნავთსადენები ჩრდილოეთ რუმეილში (ერაყი). სხვადასხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობა სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებში მათი ინდუსტრიალური განვითარებისა და სასელმწიფო სექტორის განმტკიცების ახალი პერსპექტივების გზას ხსნის.

სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებს საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ეხმარებიან მათი საინჟინრო-ტექნიკური და მუშათა კადრების აღზრდაში.

არაბეთის, აზიის და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები აშენებენ ათობით უმაღლეს და საშუალო სასწავლო დაწესებულებებს, საწარმოო-ტექნიკური სწავლების ცენტრებს, სადაც მზადდება კადრები მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დახმარებით ალჟირში აშენდა ნავთისა და გაზის ინსტიტუტები, ნავთისა და საფეიქრო ტექნიკუმები, რომლებიც ამზადებენ კადრებს არაბეთისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეგვიპტეში საბჭოთა კავშირის დახმარებით შეიქმნა სამთო მეტალურგიული ინსტიტუტი და 42 სასწავლო ცენტრი, სადაც ამზადებენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტებს მრეწველობისათვის და სოფლის მეურნეობისათვის.

საწარმოო-ტექნიკური ცენტრები შეიქმნა სოციალისტური ორიენტაციის ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დახმარებით გვინეაში შეიქმნა სასწავლო ცენტრი „ბოქსიტისმშენებლობა", რომელმაც 1973 წელს იზეიმა თავისი აღზრდილების პირველი გამოშვება.

ყოველმხრივი ურთიერთობის გაფართოება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებსა და სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებს შორის ხელს უწყობს ამ უკანასკნელის შემდგომ წინსვლასა და პროგრესს, ეროვნული და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებას, პერსპექტივაში კი მათი საზოგადოების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნას.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი, რომელიც უდიდეს ეკონომიურ და სამხედრო ძალას ფლობს, გამოდის როგორც ერთგული მეგობარი და მოკავშირე სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებისა, როგორც ძალა, რომელიც იცავს ამ ქვეყნებს იმპერიალისტური და ნეოკოლონიზატორული გამოხდომებისაგან. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საკოორდინაციო ცენტრებს არა მარტო საბჭოში შემავალ სახელმწიფოთა სამეცნიერო ორგანიზაციებთან აქვთ დამყარებული ურთიერთობა, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობა დამყარდა აგრეთვე საფრანგეთთან, აშშ-თან, იტალიასთან, გფრ-სთან, იაპონიასთან, ფინეთთან და მრავალ სხვა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანასთან. საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა თანამედროვეობის ობიექტური მოთხოვნაა. იგი მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების ერთ-ერთი საშუალებაა. ასეთი ურთიერთობის განვითარებაში ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხია დაინტერესებული.

ჰელსინკის თათბირის მნიშვნელობა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის

ჰელსინკში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 35 სახელმწიფოს მიერ 1975 წლის 1 აგვისტოს ხელმოწერილ დასკვნით აქტში შესულია დოკუმენტები, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება აგრეთვე მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას. დასკვნითი აქტის ამ ნაწილში დასახულია ძირითადი მიმართულებანი და ფორმირებულია კონკრეტული რეკომენდაციები სახელმწიფოთა თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების და გაღრმავების, ვაჭრობის, სამრეწველო წარმოების, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, კადრების მომზადების, ტურიზმის განვითარების საქმეში და ა. შ. ამასთანავე თათბირი იქიდან გამომდინარეობდა, რომ ღონისძიებანი, რომელთა მიზანიც არის ეკონომიური და სხვა დარგების თანამშრომლობის განვითარება — ხელს უწყობს ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს და აგრეთვე ეკონომიურ და სოციალურ პროგრესს, ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. დოკუმენტში ყურადღება აქვს დათმობილი ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობისათვის პირობების შექმნას და ამ მიზნით ერთიანი ძალით ისეთი მსხვილი მასშტაბის პროექტების განხორციელებას, რომლებშიც საერთოდ ყველა დაინტერესებული იქნება, მაგალი-

თად, ელექტროენერგიის გაცვლის საქმეში, ევროპაში ელექტროსადგურების სიძლიერის უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით, ენერგიის ახალი წყაროების ძიება, კერძოდ, ატომური ენერგიის დარგში, საგზაო ქსელის განვითარება და თანამშრომლობა კონტინენტზე ერთიანი საზღვაო გემთმოძრაობის სისტემის შექმნისათვის, თანამშრომლობა სხვადასხვა სახის ტრანსპორტისა და კონტეინერების მოწყობილობის განვითარების საქმეში, კვლევის სამუშაოების გაძლიერებისათვის და ა. შ.

ამრიგად, დასკვნით აქტში ჩამოყალიბებული შეთანხმება ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაზე მიზნად ისახავს მყარი საქმიანი კონტაქტების შემდგომ განვითარებას, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას ხანგრძლივვადიანი თანამშრომლობისათვის.

ჰელსინკის თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს, თუ კი ისინი ცხოვრებაში გატარდებიან, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის არსებული უნდობლობის ლიკვიდაციის საქმეში. აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის ხელოვნური ბარიერების შექმნამ „ცივი ომის" პერიოდში და სოციალისტური ქვეყნების ბრძოლამ ამ ბარიერების ლიკვიდაციისათვის მრავალ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ მოღვაწეს ყალბი წარმოდგენა შეუქმნა იმაზე, რომ თითქოს თანამშრომლობის განვითარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მხოლოდ აღმოსავლეთისათვის იყო ხელსაყრელი, რომ მათ შორის ეკონომიური ზღუდეების შექმნა ხელს შეუშლიდა სოციალისტური ქვეყნების სწრაფ ეკონომიურ განვითარებას. ამ თეზისების სიყალბის ნათლად მაჩვენებელია შემდეგი მონაცემები: 1974 წელს 1950 წელთან შედარებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 6-ჯერ, ხოლო 1971 — 1975 წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 35 პროცენტით. „საერთო ბაზრის" ქვეყნებში კი შესაბამისად 3-ჯერ და 14%-ით. 1974 წელს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებმა აწარმოეს უფრო მეტი, ვიდრე „საერთო ბაზრის" ქვეყნებმა: ფოლადი, ელექტროენერგია, ფეხსაცმელი—1,2-ჯერ, გაზი — 1,8-ჯერ, ნახშირი — 3,2-ჯერ, მინერალური სასუქები — 1,6-ჯერ, მარცვლეულის კულტურა — 2,8-ჯერ, ხორცი და რძე — 1,2-ჯერ და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ უპირსპექტივო გახადა ცალკეულ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ეკონომიური განვითარების საქმისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა, მითუმეტეს ევროპის ქვეყნებს შორის. ევროპის სახელმწიფოების ტერიტორიალური სიახლოვე, საზღვაო, შიდასამდინარო და სახმელეთო გზე-

ბის ურთიერთგადახლართვა წარმოადგენს დედამიწის ამ კონტინენტის დამახასიათებელ თავისებურებას. ამ თავისებურებების თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მაქსიმალურად გამოყენება ძალზე ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრეწველობის, ტურიზმის, ექსპორტისა და სხვა მრავალი სახის განვითარებისათვის.

ევროპის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს, მაგრამ მასზე მოდის მსოფლიო ეროვნული შემოსავლის 47%, მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის წარმოების 55%, მსოფლიო ექსპორტის 54%. ევროპის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს აქვთ სამუშაო ძალისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების მაღალკვალიფიციური რესურსები, რომელთაც შეუძლიათ დაეუფლონ ულტრათანამედროვე წარმოებას. საყურადღებოა, რომ ევროპის ქვეყნებში ამჟამად მუშაობს მსოფლიოს ყველა მეცნიერ-მუშაკის დაახლოებით ნახევარი. ცხადია, რომ ყველა ამ პირობის მაქსიმალური გამოყენება ხელს შეუწყობს ევროპის და საერთოდ მსოფლიო ხალხების ურთიერთთანაშრომლობისა და კეთილდღეობის განვითარებას, რითაც საბოლოო ჯამში განმტკიცდება მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა მთელ მსოფლიოში. ეკონომისტების გამოანგარიშებით მარტო დღეისათვის არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაშიც კი 1980 წლისათვის ევროპის სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა მიაღწევს 40 მლრდ. დოლარამდე, მათ შორის სსრ კავშირის სავაჭრო ბრუნვა დასავლეთ ევროპასთან მიაღწევს 12 მლრდ დოლარს.

ამრიგად, ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის შედეგები ხელსაყრელია ევროპის და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის და „არა მარტო რუსებისათვის", როგორც ამას გაჰკივიან ამ თათბირის შედეგების მოწინააღმდეგენი.

„ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგები ასეთია,—აღნიშნა ამის შესახებ ლ. ბრეჟნევმა, „რომ არ არიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი. შემძენები და დამკარგავები. ეს არის გონიერების გამარჯვება. ყველამ მოიგო: აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებმა, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების ხალხებმა — კავშირებისა და ნეიტრალების, მცირესი და მსხვილის მონაწილეებმა. ეს არის ყველას მოგება, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და უშიშროება ჩვენ პლანეტაზე"[1].

---

[1] Международная жизнь, № 10, 1975, გვ. 13.

თავი II

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა[1]

§ 4. ალბანეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

მოკლე ცნობები წარსულიდან

ალბანელები დასაბამიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებად ითვლებიან. ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. თავისი სტრატეგიული მდგომარეობის გამო ალბანეთს „ადრიატიკის კარებს“ და „ადრიატიკის ზღვის გასაღებს“ უწოდებენ. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობის და ბუნებრივი სიმდიდრის გამო არაერთ უცხოელ დამპყრობელს იზიდავდა.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ალბანეთი დაიპყრეს რომაელებმა, შემდეგ ბიზანტიელებმა, VII საუკუნეში კი ბულგარელებმა. XI საუკუნეში ბიზანტიელებმა აქ კვლავ აღადგინეს თავისი ბატონობა. XIII — XIV საუკუნეებში ალბანეთის ნაწილი ემორჩილებოდა სიცილიის სამეფოს, ხოლო XV საუკუნის 40-იან წლებიდან იგი თურქი დამპყრობლების უღლის ქვეშ მოექცა. ალბანელი ხალხი არაერთხელ აჯანყდა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება მოხდა ალბანეთის ეროვნული გმირის გიორგი სკანდერბეგის ხელმძღვანელობით. ამ აჯანყებამ წარმატებასაც კი მიაღწია და ქვეყანა განთავისუფლდა (1443 — 1447 წლებში) თურქი დამპყრობლებისაგან, მაგრამ შემდეგ, ფეოდალურმა შუღლმა და კლასობრივმა წინააღმდეგობამ შესაძლებლობა მისცა თურქებს აქ თავისი ბატონობა კვლავ აღედგინათ. ალბანეთის დიდებულებმა მაჰმადიანობა მიიღეს და მისი გავრცელება ხალხშიც დაიწყეს.

ალბანელმა ხალხმა მხოლოდ 1912 წელს შეძლო თურქეთის ბატონობის დამხობა და დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ იგი კიდევ დიდხანს დიდი სახელმწიფოების სათამაშო ბურთად რჩებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ 1920 წლის 9 ნოემბერს ალბანეთი დიდმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნეს, მაგრამ იგი იტალიის აგრარულ—ნედლეულის დანამატ ქვეყნად გადაიქცა. 1939 წლის აპრილში იტალიამ ალბანეთის ოკუპაცია მოახდინა და მისი ყოველგვარი დამოუკიდებლობა მოსპო. ფაშისტური იტალიის კაპიტულაციის შემდეგ იტალიელი ოკუპანტები გერმანელმა ოკუპანტებმა შეცვალეს (1943 წლის სექტემბერში).

[1] ტერიტორია — 28,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 2,3 მლნ. (1973 წ.) დედაქალაქი — ტირანა (190 ათასი მცხოვრები, 1972 წ.).

ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა

ალბანელი ხალხის ანტიფაშისტურ ბრძოლას სათავეში 1941 წლის 8 ნოემბერს უდგება ალბანელი კომუნისტების მიერ შექმნილი ალბანეთის კომუნისტური პარტია. კომუნისტებმა შექმნეს პარტიზანული ნაწილები, რომლებიც 1942 წლიდან იწყებენ ბრძოლას ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ქვეყანაში იქმნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი საბჭოები (კშილი), რომლებიც გადაიქცნენ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ცენტრად. 1942 წლის სექტემბერში ქალაქ პეზაში შეკრებილმა კონფერენციამ შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი. 1943 წლისათვის ალბანეთში შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია, რომელმაც გააერთიანა ქვეყანაში მოქმედი პარტიზანული ნაწილები. იგი თავის რიგებში 1944 წლისათვის აერთიანებდა 70 ათას მებრძოლს. ალბანეთის განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ ჰიტლერელებმა 1943 წლის დამდეგს და 1944 წლის დასაწყისში დაიწყეს დიდი შეტევები, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა.

ალბანელი ხალხის ბრძოლის წარმატებები შესაძლებელი გახდა, იმის გამო, რომ ფაშისტთა ურდოების ძირითადი ჯარები შებოჭილი იყო საბჭოთა ჯარების მიერ, რაც არ აძლევდა მათ საშუალებას აქ დამატებითი ძალების გადასროლისათვის.

1944 წლის 24 მაისს განთავისუფლებულ ქალაქ პერმეტში მოწვეულმა კონგრესმა შექმნა ალბანეთის ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი საბჭო, რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები მიენიჭა. მან შექმნა ანტიფაშისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც თავის ხელში აიღო დროებითი მთავრობის ფუნქციები. 24 მაისი ითვლება ალბანელი ხალხის დღესასწაულად. 1944 წლის ოქტომბერში ქალაქ ბერატში შემდგარ ეროვნული განთავისუფლების ანტიფაშისტური საბჭოს კონგრესზე ანტიფაშისტურ კომიტეტს დროებითი მთავრობის სახელწოდება მიენიჭა. მთავრობის მეთაური გახდა ენვერ ხოჯა. 1944 წლის 17 ნოემბერს დროებითი მთავრობა გადავიდა განთავისუფლებულ დედაქალაქ ტირანაში. საბოლოოდ გერმანელთა ჯარებისაგან ქვეყნის განთავისუფლება 1944 წლის 29 ნოემბერს დამთავრდა.

ამრიგად, ალბანელი ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ანტიფაშისტური ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ეს ბრძოლა ატარებდა ანტიფაშისტურ განმათავისუფლებელ ხასიათს და იგი მჭიდროდ იყო გადახლართული სოციალურ ბრძოლასთან. ეს იყო ნანდვილი სახალხო რევოლუცია, რომლის დროსაც ერთდროულად წყდებოდა

ეროვნული და სოციალური განთავისუფლების ამოცანები. ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად ქვეყანაში დამყარდა რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომელშიც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა მუშათა კლასს და მის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას. მუშათა კლასის მტკიცე მოკავშირედ ამ რევოლუციის დროს გამოიყოდა გლეხობა. სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა პირობები ჭისი სოციალისტურში გადაზრდისათვის.

დამფუძნებელი კრების არჩევნები და კონსტიტუციის მიღება

ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა დემოკრატიული ფრონტი. რომელშიც შევიდა ქვეყანაში არსებული ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. 1945 წლის დეკემბერში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნებში დემოკრატიულმა ფრონტმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 95%. 1946 წლის 11 იანვარს ალბანეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა. ხოლო 14 მარტს მიღებულ იქნა რესპუბლიკის კონსტიტუცია. იგი ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სახალხო კრებას, ხოლო აღმასრულებელ ორგანოდ მინისტრთა საბჭოს.

გარდაქმნითი ღონისძიებანი

ალბანეთი წარმოადგენდა აგრარულ, ჩამორჩენილ ქვეყანას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის 80% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ქვეყანა განადგურებული და გაძარცული იყო უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობისაგან. ახალმა მთავრობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. ამავე დროს, ვინაიდან ადგილობრივი ბურჟუაზია სუსტი იყო, ალბანეთის მუშათა კლასს შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა.

დროებითმა მთავრობამ რიგი ღონისძიებები განახორციელა, რომლის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა და ერთდროულად მსხვილი კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაცია. 1944 წლის დამდეგსა და 1945 წლის დასაწყისში შემდეგი ღონისძიებები განხორციელდა: სახელმწიფო კონტროლი დამყარდა ალბანეთის ბურჟუაზიის ხელში მყოფ ყველა სამრეწველო საწარმოებსა და სააქციონერო საზოგადოებებზე, ალბანეთში არსებული იტალიისა და გერმანიის საკუთრება კონფისკებულ იქნა, საზღვარგარეთის ყველა ბანკი დაიხურა და შეიქმნა ალბანეთის სახელმწიფო ბანკი. ყველა ამ ღონისძიების

შედეგი ის იყო, რომ უკვე 1947 წლისათვის კერძო სექტორი მრეწველობაში ლიკვიდირებულ იქნა და შეიქმნა სახელმწიფო სექტორი.

მაგრამ მრეწველობა როდი იყო ალბანეთის ეკონომიკის წამყვანი დარგი. მასზე ხელოსნურ წარმოებასთან ერთად მოდიოდა მთელი ქვეყნის ეროვნული პროდუქციის მხოლოდ 18%. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. ალბანეთი ტიპიურ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ძველი ფეოდალური გადმონაშთები. ქვეყნის მთელი მიწების 40% ეკუთვნოდა მემამულეებსა და კულაკებს, რომლებიც მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენდა. გლეხთა ხელში იყო მთელი მიწების 25%. გლეხობა, რომელიც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 80%-ზე მეტს, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ალბანეთში თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ არავითარი აგრარული რეფორმა არ გატარებულა და გლეხობა კვლავ ნახევრად ფეოდალური ხასიათის ჩაგვრას განიცდიდა.

1945 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა აგრარული კანონი, რომელიც ტარდებოდა პრინციპით „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს". 1946 წელს გამოიცა კანონის დამატება, რომლითაც ქვეყანაში ლიკვიდირებული იქნა მემამულეთა და კულაკთა კლასები.

სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა

1948 წლის ნოემბერში შემდგარ ალბანეთის კომპარტიის I ყრილობაზე მიღებული იქნა სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში დიდ სამეურნეო მშენებლობას. ყრილობამ აიღო მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის კურსი. გარდა ამისა, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება კომპარტიის სახელწოდების შრომის პარტიად შეცვლის შესახებ.

საწარმოების ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმის გატარებისა და მემამულური და კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციის შემდეგ შეიქმნა პირობები ქვეყნის მეურნეობის გეგმიური განვითარებისათვის. 1951 წლამდე ალბანეთში ხორციელდებოდა მოკლევადიანი გეგმები. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის დახმარებით ტირანაში აშენდა საფეიქრო კომბინატი, სელიტში ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროსადგური, შაქრის კომბინატი მალიკში. უკვე 1950 წლისათვის ომამდელ დონესთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 4-ჯერ გაიზარდა. სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის მშენებლობის ამოცანები ალბანეთში წყდებოდა ორი ხუთწლედის (1951-1955 და 1956-1960 წწ.) განმავლობაში.

უკვე პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ ალბანე-

თი გადაიქცა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. სამრეწველო წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ხუთწლედში 22,6% შეადგინა და 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გაიზარდა. სულ პირველი ხუთწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 150 სამრეწველო ობიექტი. პირველ და მეორე ხუთწლედებში საბჭოთა კავშირმა ალბანეთს მიაწოდა მთელი სამთომადნო და ნავთის მრეწველობის მოწყობილობების 92%, სატვირთო ავტოტრანსპორტის 90%, ტრაქტორების 80%, სოფლის მეურნეობის მანქანების 65%. საბჭოთა კავშირიდან ალბანეთმა მიიღო აგრეთვე დიდი შეღავათიანი კრედიტები. პირველ და აგრეთვე მეორე ხუთწლედებში ალბანელი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებები შესაძლებელი გახდა იმ უანგარო დახმარების შედეგად, რომელსაც იგი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებიდან იღებდა. 1949 წლიდან ალბანეთი ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი იყო და აქედან სარგებლობდა ყოველგვარი დახმარებით. მეორე ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 91%-სა 2.1-ჯერ გადიდდა და 25-ჯერ გადააჭარბა 1938 წლის მაჩვენებლებს. 1960 წლისათვის ალბანეთის მრეწველობა 15 დღეში იმდენსავე პროდუქციას აწარმოებდა, რამდენსაც მთელ 1938 წელს.

ორი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ალბანეთში აშენდა სოციალიზმის საფუძვლები. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში უდრიდა 90%-ს, მრეწველობის საერთო პროდუქციაში 99%-ს. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა 1960 წლისათვის დასრულდა, როგორც ვიცით, აგრარული რეფორმის განხორციელება დამთავრდა 1946 წლისათვის. ამ რეფორმის შედეგად გლეხური მიწის ნადელების ოდენობა საშუალოდ 1,8 ჰექტარიდან 2.6 ჰექტარამდე გაიზარდა. გლეხებს მიწა ეძლეოდათ საკუთრებაში, უფასოდ და ეკრძალებოდათ მისი გაყიდვა ან იჯარით გაცემა. აიკრძალა აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენება.

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციული მეურნეობის შექმნა დაიწყო 1946 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც 11 სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ფერმებთან ერთად პირველად შეიქმნა 7 სოფლის მეურნეობის კოოპერატივი. ალბანეთში არ იყო სოფლის კოოპერაციული მეურნეობის ტრადიციები, ამიტომ აქ გადაღებული იქნა საბჭოთა პრაქტიკა, მაგრამ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა ძალზე ნელა მიმდინარეობდა. მხოლოდ 1955 წელს ალბა-

ნეთის შრომის პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება კოოპერირების „დაჩქარების“ შესახებ და 1960 წლისათვის კოოპერაციულ მეურნეობაში გაერთიანებული იყო ქვეყნის მიწის ფართობის 84%.

საერთო ეროვნული შემოსავალი მეორე ხუთწლედში თითქმის 48%-ით გადიდდა და 4-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. ორივე ხუთწლედში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიცვალა ალბანეთის საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა. 1960 წლისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში შეიქმნა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ნახევარი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების პირობები შექმნა. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზარდა 1,3-ჯერ. 1957 წელს გაუქმდა მოსახლეობის მომარაგების საბარათო სისტემა. შემცირდა ფასები ფართო მოხმარების საქონელზე. დაბალ ხელფასიანი კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს მოემატათ ხელფასი, მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება დაუწესდა. გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებები.

ალბანეთის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საბჭოთა მთავრობამ გაანთავისუფლა იგი კრედიტების დაფარვისაგან, რომლის თანხა უდრიდა 400 მლნ მანეთს. ორი წელი ზედიზედ (1959—1960 წწ.) ცუდი ამინდების გამო მოუსავლიანობა იყო, რის გამოც ვერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება (76,5%-ით შესრულდა).

§ 5. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან გადახვევის კურსი

1960 წლიდან ალბანეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა და იგი სულ უფრო დაშორდა სოციალისტურ ბანაკს.. ეს აშკარად გამოვლინდა 1960 წელს ბუქარესტისა და მოსკოვის ოთბირებზე. ოფიციალურ პარტიულ ხაზად იგი უკვე გადაიქცა შრომის პარტიის IV ყრილობიდან (1961 წლის თებერვალი). ამას მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან (1961 წლის დეკემბერში) და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავება. ალბანეთი გამოვიდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოდან და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან. მართალია, ორმხრივი ეკონომიური ურთიერთობა ევროპის სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობასთან შეინარჩუნა, მაგრამ ეს ურთიერთობა ძალზე შეიზღუდა, რის გამოც მან ახალი ბაზრების ძებნაში კაპიტალისტურ ქვეყნებთან იწყო დაახლო-

ება. იტალიის კონცერნმა — მონტეკატინმა ქალაქ ფიერეში ააგო ქიმიური სასუქების ქარხანა.

მესამე ხუთწლიანი გეგმა (1961—1965 წწ.) ალბანეთში ვერ განხორციელდა. საქმე ის იყო, რომ ალბანეთის ხელმძღვანელობა დაადგა მცდარ, ოპორტუნისტულ გზას—სოციალიზმის მშენებლობის შესახებ უპირატესად „საკუთარ ძალებზე დაყრდნობით". რომელსაც უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რათა გაემართლებინა მეგობრული ურთიერთობის და თანამშრომლობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ჩინეთთან დაახლოების შედეგი ის იყო. რომ ალბანეთის ხელმძღვანელობა ხშირად მიმართავდა ჩინურ მეთოდებს. აქაც დაიწყო ე. წ. „ნახტომების" პრაქტიკის გამოყენება. ამის გამო გადასინჯული იქნა სოფლის ელექტრიფიკაციის გეგმა. მისი ვადების შემცირების მიზნით, რომელიც ადრე 1935 წლისათვის იყო გათვალისწინებული, ახლა 1971 წლისათვის დაგეგმეს. მთიანი რაიონების ეკონომიკის ამოწევისათვის იქ 1 წლის ვადით იგზავნებოდნენ მუშები, მოსწავლეები, ინტელიგენცია.

განხორციელდა საეკლესიო დაწესებულებების ძალდატანებით დახურვის ღონისძიებები. მარტო 1 წლის განმავლობაში 2169 ასეთი სახის დაწესებულება იქნა ლიკვიდირებული. გატარდა აგრეთვე საშუალო და უმაღლესი სკოლების რეფორმა, რომლის მთავარი მიზანი იყო მთელი ამ სისტემის გასამხედროება. იგი ხორციელდებოდა ლოზუნგით „ბრძოლა დამპალი ინტელექტუალიზმის" წინააღმდეგ. სუბიექტური და ობიექტური შეცდომების შედეგად ალბანეთის ეკონომიკამ რიგი სიძნელეები განიცადა. მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები ვერ შესრულდა. მეოთხე ხუთწლედის (1966—1970) ბოლოს ალბანეთმა შეძლო იმ სიძნელეების დაძლევა, რომელიც მესამე ხუთწლედში შეიქმნა. მაგრამ თვითიზოლაციის პოლიტიკა, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში თანამშრომლობაზე უარის თქმა, არამეგობრული პოლიტიკა და სხვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ, თავისი კავშირის ძირითადად ჩინეთზე ორიენტაცია მრავალ სიძნელესა ქმნის ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელიც უარყოფითად მოქმედებს სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაზე.

1971 — 1975 წლებში ალბანეთში დაიწყო მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება. რომელიც მიღებული იქნა შრომის პარტიის VI ყრილობის მიერ (1971 წლის ნოემბერი). ამ ყრილობის დირექტივების მიხედვით სოფლის მეურნეობას მიიჩნევენ სახალხო მეურნეობის საფუძვლად. 1973 წლის დეკემბერში შემდგარ სახალხო კრების სესიაზე მოხსენებით გამოსულმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ

ნეჰმედ შეხუმ, აგრეთვე სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ხაჯი ლეშიმ განაცხადეს, რომ 1972 წლის გეგმა ვერ განხორციელდა, ხოლო 1973 წლის გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. შრომის პარტიის ხელმძღვანელის ენვერ ხოჯას კურსი უკმაყოფილებას იწვევს ქვეყანაში, რასაც იგი სასტიკი რეპრესიებით ახშობს. მაგალითად, 1973 წელს შემდგარმა შპ-ის ცკ-ის IV პლენუმმა ტირანოს რაიკომის მდივანი ფ. პაჩრამი, რადიოსა და ტელევიზიის დირექტორი და შპ-ს ცკ-ის წევრი ტადუბი გამოაცხადეს „პარტიისა და ხალხის მტრებად". „გაწმენდილი" იქნა აგრეთვე მწერალთა კავშირისა და ხელოვნების მუშაკთა ხელმძღვანელობაც. მაგრამ რეპრესიები ვერ შველის საქმეს და ქვეყანაში უფრო ხშირად გაისმის მოთხოვნები უარი თქვან არასწორ და არამეგობრულ პოლიტიკურ კურსზე საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ.

საგარეო პოლიტიკა

ალბანეთის საგარეო ვაჭრობის 45% ჩინეთზე მოდის (1973 წ.) ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან ალბანეთი უფრო მეტად ავითარებდა ურთიერთობას იუგოსლავიასთან და რუმინეთთან. მაგრამ ალბანეთმა ხელი მოაწერა ხანგრძლივვადიან შეთანხმებებს საქონლის ბრუნვის შესახებ გდრ-თან, ბსრ-თან, უსრ-თან, პსრ-თან, ჩსსრ-თან. (1971—1973 წწ.) რუმინეთთან ხელმოწერილი იქნა ოქმი (1973 წლის სექტემბერში) მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ; უნგრეთთან (1973 წლის ოქტომბერში) შეთანხმება სატვირთო გადატანის შესახებ და ა. შ.

ალბანეთი პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობას ახორციელებდა გდრ-თან და კსდრ-თან. 1973 წლის თებერვალში დაიდო შეთანხმება ალბანეთისათვის გდრ-ის მიერ ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ. 1973 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ალბანეთში იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი. ორივე მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას ვაჭრობისა და გადასახადის შესახებ და ალბანეთის მიერ ვიეტნამისათვის 1974 წელს აუნაზღაურებელი დახმარების გაწევის შესახებ. 1973 წელს ალბანეთში იყო კსდრ-ის წარმომადგენელი, ხოლო ალბანეთის წარმომადგენლები იყვნენ კსდრ-ში.

ალბანეთი ავითარებდა საგარეო ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1971 წელს მან დაამყარა ურთიერთობა საბერძნეთთან, ეთიოპიასთან, ირანთან, ჩილესთან, პერუსთან, ხოლო 1972 — 1973 წლებში დაიდო სავაჭრო ხელშეკრულებები დანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, ავსტრიასთან და ა. შ.

1970 — 1975 წლებშიც ალბანეთის ხელმძღვანელობა კვლავ ანტისაბჭოთა კურსსა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან შეუთანხმებელ ხაზს ატარებდა.

ალბანეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც უარი თქვა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირში მონაწილეობაზე. ალბანეთის პრესა და რადიო კრიტიკით შეხვდა ჰელსინკის თათბირის შედეგებს, ამახინჯებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების პოზიციას და მნიშვნელობას ამ თათბირის წარმატებების საქმეში და აგრეთვე ინდოჩინეთის, ახლო აღმოსავლეთის და განიარაღების საკითხებში.

თავი III

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა[1]

§ 6. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ბულგარეთში და პროლეტარული დიქტატურის დამყარება

მოკლე ცნობები წარსულიდან

ბულგარეთს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორია უკავია. რის გამოც იგი საუკუნეების განმავლობაში უცხოელ დამპყრობთა ყურადღების ცენტრში იყო. ბულგარეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. მასზე გადის უმოკლესი გზები დასავლეთ და ცენტრალური ევროპიდან ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ. შავი ზღვის გასაღების—ბოსფორის და დარდანელის სრუტეებისაკენ და იქიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ. მდინარე დუნაის მეშვეობით კი ბულგარეთი უკავშირდება დუნაისპირა ქვეყნებს.

ბულგარეთის სახელმწიფო შეიქმნა VI—VII საუკუნეებში. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჯერ ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და ერთხანს მის ერთ-ერთ სამფლობელოსაც კი წარმოადგენდა. ხოლო XIV საუკუნიდან თურქეთმა დაიპყრო. თურქებმა აქ სამხედრო-ფეოდალური რეჟიმი დაამყარეს და მთელი ხუთი საუკუნის განმავ-

[1] ტერიტორია — 111 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 8,6 მლნ (1973 წ. დეკემბერი). დედაქალაქი სოფია (1 მლნ-მდე მცხოვრები).

ლობაში ბატონობდნენ. უცხოელი დამპყრობლები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ბულგარელ ხალხს კი არც თვითმყოფობა და არც კულტურა არ დაუკარგავს და საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის. XIX საუკუნეში, როდესაც თურქეთის იმპერია დასუსტდა, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ბრძოლა ბალკანეთზე ბატონობისათვის. ამ მხრივ უპირატესობა მეფის რუსეთის მხარეზე იყო იმის გამო, რომ ბალკანეთის ხალხის დიდი ნაწილი და მათ შორის ბულგარელები სლავური წარმოშობისანი არიან და თავისი ენით, კულტურით და თვითმყოფობით უფრო ახლოს დგანან რუს ხალხთან. მეფის რუსეთი სარგებლობდა რა ამ გარემოებით, ცდილობდა განედევნა თურქეთი ბალკანეთიდან და იგი თავისი ბატონობის ქვეშ მოექცია. ამ მიზნით მეფის მთავრობა მხარს უჭერდა ბალკანელი სლავების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას თურქეთის უღლის წინააღმდეგ. რასაც მიუხედავად მეფის რუსეთის დამპყრობლური გეგმებისა ამ ხალხების მიმართ, ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ამ მხარდაჭერისა და რუსეთის თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის შედეგად მას თურქეთის დასუსტება და ამ ხალხების მათი უღლისაგან განთავისუფლება მოჰყვა.

ბულგარეთი თურქეთის უღლისაგან განთავისუფლდა რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომის შემდეგ, რომლის შედეგად ქვეყანამ თავი დააღწია არა მარტო უცხოელთა ბატონობას, არამედ აგრეთვე, თურქეთის მიერ აქ დამყარებულ სამხედრო ფეოდალურ წყობას და კაპიტალიზმის განვითარების გზას დაადგა. ამის შედეგად ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციები განმტკიცდა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა იმ მიზნით, რომ აქ შეესუსტებინათ რუსეთის გავლენა, ბულგარელ ხალხს თავს მოახვიეს უცხოური, გერმანული დინასტია. ამის შედეგად ბულგარეთი თანდათანობით გერმანიის იმპერიალიზმის გავლენის ქვეშ ექცეოდა და მის აგრარულ-დანამატ ქვეყნად ხდებოდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობაც. გერმანია ცდილობდა ბულგარეთის სტრატეგიული მდებარეობა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა და გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. გერმანიის ეკონომიური ექსპანსიის შედეგად ბულგარეთში იგი თანდათანობით ექცეოდა გერმანიის იმპერიალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენაში. როგორც პირველი, ასევე მეორე მსოფლიო ომების წინ გერმანიის მონოპოლიებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში. მათ ხელში აღმოჩნდა ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის, ბუნებრივი სიმდიდრეების, ბანკების, უმსხვილესი საწარმოების უდიდესი ნაწილი. ბულგარეთის ბურჟუაზიის დიდი ნაწილი, ე. წ. კომპრადორული ბურ-

ეუაზია, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა გერმანულ კაპიტალსა და შინაურ ბაზარს შორის და ამით დიდ მოგებას ნახულობდა, თანდათანობით შეეზარდა და შეუსისხლორცდა გერმანულ კაპიტალს. ბულგარეთის ბურჟუაზიის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა გერმანიის კაპიტალის ბატონობას თავის ქვეყანაში, მასთან ერთად მონაწილეობდა ბულგარელი ხალხის ექსპლოატაციასა და ძარცვაში და გამოდიოდა გერმანიის ორიენტაციის მომხრედ. ამიტომ იგი მხარს უჭერდა ბულგარეთის მონარქიული მთავრობის პროგერმანულ პოლიტიკას. ამ მიზნით, რომ მიეძინებინათ ბულგარელი ხალხის სიფხიზლე, აიძულებინა იგი გერმანიის იმპერიალიზმის მიერ გაჩაღებულ ორივე მსოფლიო ომებში მონაწილეობაზე, აქ ორივე მსოფლიო ომის წინა პერიოდში გაჩაღებული იყო ფართო შოვინისტური „დიდი ბულგარეთის სახელმწიფოს" შექმნის პროპაგანდა. გერმანიის მთავრობა თავისი ინტერესებისათვის იყენებდა ბულგარეთის ბურჟუაზიის რევანშისტულ ტენდენციებს. რომელიც გაიზარდა ბალკანეთის მეორე ომის, პირველ მსოფლიო ომში ბულგარეთის დამარცხებისა და მასზე კაბალური ზავის თავზე მოხვევის შედეგად. ბულგარეთის ბურჟუაზია გერმანიის მთავრობის წაქეზებით ორივე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ოცნებობდა მთელი ბალკანეთის დაპყრობაზე და გერმანიის მფარველობის ქვეშ „დიდი ბულგარეთის" სახელმწიფოს შექმნაზე. სწორედ ამ ზიზღით ჩამოთვლილი მიზეზების გამო იყო, რომ ბულგარეთი ორივე მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე გამოვიდა. ბულგარელი ხალხის ბელადი და საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, გ. დიმიტროვი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ყოველგვარი ეროვნული უბედურებისა და კატასტროფისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განიცადა, იყო დიდბულგარული შოვინიზმი, დიდბულგარული იდეოლოგია და პოლიტიკა ბალკანეთში ჰეგემონიისა და მეზობელ ხალხებზე ბატონობისა. ამ ნიადაგზე ჩვენთან წლების განმავლობაში ძალმომრეობდა ფაშიზმი. ამ ნიადაგზე გერმანიის აგენტურამ მეფე ფერდინანდის და მეფე ბორისის დროს მიჰყიდა ბულგარეთი გერმანელებს და გადააქცია იგი გერმანიის იმპერიალიზმის იარაღად ჩვენი გამათავისუფლებლებისა და ჩვენი მეზობლების წინააღმდეგ, დასავლეთში და სამხრეთში. „დიდი ბულგარეთის" სახელით დიდბულგარულმა შოვინისტებმა—ხალხის გამყიდველებმა და გერმანელმა აგენტებმა — მესამეჯერ მიიყვანეს ჩვენი სამშობლო კატასტროფის ზღვარზე და კინაღამ დაღუპეს იგი"[1].

მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურის წლები ყველაზე შავბნელი

---

[1] Г. Димитров. соч. III, София, 1948, გვ. 40.

წლები იყო ბულგარეთის ისტორიაში, მისი განთავისუფლების შემდეგ თურქეთის უღლისაგან. ეს იყო ტერორის, თვითნებობის, უკანონობის, ქვეყნის ეკონომიკის გერმანიის მონოპოლიებისადმი მთლიანი დამორჩილების, მზარდი უმუშევრობის და მშრომელთა მასების გაძლიერებული ექსპლოატაციის და გაღატაკების პერიოდი.

აშკარა ფაშისტური დიქტატურა ბულგარეთში 1934 წლის 19 მაისს დამყარდა. ამის შემდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებების ნარჩენებიც კი გაუქმდა. ყველა პოლიტიკური პარტია, მათ შორის ბურჟუაზიულიც კი, ლიკვიდირებული იქნა. ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი ასახავდა ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს და მხოლოდ მათი ვიწრო კლასობრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. მან თავისი ქვეყანა მთლიანად დაუმორჩილა ჰიტლერული გერმანიის ინტერესებს. 1941 წლის 1 მარტს მეფე ბორისმა და ფაშისტური მთავრობის მეთაურმა ბოგდან ფილოვმა ჰიტლერულ გერმანიასთან მოაწერეს ხელი ბულგარეთის შეერთების შესახებ ფაშისტური სახელმწიფოების ბლოკთან და იმავე დღეს ქვეყანაში ჰიტლერელთა ჯარები შეუშვეს.

ბულგარელი ხალხის ბრძოლა ქვეყნის განთავისუფლებისათვის. 9 სექტემბრის შეირაღებული აჯანყება

ბულგარეთის მთავრობამ გაითვალისწინა რა თავისი ხალხის სიმპათიები საბჭოთა ხალხისადმი, ომი არ გამოუცხადა საბჭოთა კავშირს. მაგრამ სამაგიეროდ ბულგარეთის ტერიტორია გადააქცია გერმანელი ფაშისტების დასაყრდენად სსრ კავშირის წინააღმდეგ თავდასხმისათვის. გარდა ამისა, ბულგარეთის ჯარებმა შეცვალეს გერმანელთა საოკუპაციო ჯარები მაკედონიაში, დასავლეთ თრაკიასა, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში, რითაც შესაძლებლობა მისცეს ჰიტლერს იქ მყოფი გერმანელთა ჯარები გადაესროლათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჰიტლერელები თავის დამქაშებზე, ბულგარელ ფაშისტებზე და ფილოვის ფაშისტურ მთავრობაზე დაყრდნობით უცერემონიოდ ბატონობდნენ ბულგარეთში და სძარცვავდნენ ბულგარელ ხალხს. ქვეყნის შიგნით აშკარა ტერორისტული დიქტატურის დამყარება, ადგილობრივი და გერმანელი ფაშისტების თავაშვებულობა ბულგარელი ხალხის დიდ აღშფოთებას და ფართო ანტიფაშისტურ ბრძოლას იწვევდა. ამ ბრძოლის ორგანიზატორად და ინიციატორად გამოდიოდა ბულგარეთის მუშათა პარტია, რომელმაც ჰიტლერელებისა და ბულგარელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აიღო შეიარაღებული ბრძოლის კურსი.

1941 წლის ზაფხულიდან დაიწყო პარტიზანული რაზმების შექმნა. ბმპ-ის ინიციატივით. 1942 წლის ზაფხულში შეიქმნა სამამულო ფრონტი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ქვეყნის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს. სამამულო ფრონტში შევიდნენ: ბულგარეთის მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატების მემარცხენეები, ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მემარცხენეები, „ზვენოს კავშირი". ეს უკანასკნელი ძირითადად აერთიანებდა ანტიგერმანულად განწყობილ ოფიცრობასა და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას. სამამულო ფრონტმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა პროგრამა, რომელიც მოითხოვდა ფაშისტური რეჟიმის დამხობას და სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარებას ქვეყანაში, ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას, საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, ბულგარეთის ჯარების გამოყვანას მეზობელი ქვეყნებიდან. პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებას, ფაშისტური პარტიის აკრძალვას და ა. შ. სამამულო ფრონტმა აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის. 1943 წლისათვის პარტიზანთა ნაწილები გაერთიანდნენ ერთიან სახალხო-განმათავისუფლებელ არმიად. შეიქმნა არმიის უმაღლესი შტაბი და მთავარსარდლობა. ამის შემდეგ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ საყოველთაო პარტიზანული ომი გაუჩაღა როგორც საკუთარი, ასევე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. და გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა მათ. ამის საპასუხოდ ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ ჰიტლერელების აქტიური მხარდაჭერით გააძლიერა ბრძოლა ქვეყანაში გაშლილი ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ყველგან მძვინვარებდა სამხედრო-საველე სასამართლოები, რომელთაც ორი ათასამდე სიკვდილის განაჩენი გამოიტანეს. ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყრილი იქნა ორმოცი ათასამდე კაცი. წინააღმდეგობის მოძრაობის 30 ათასზე მეტმა კაცმა თავი შესწირა ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მასობრივი დაპატიმრებები, დახვრეტები, რეპრესიები ვერ აღწევდნენ მიზანს. პირიქით, ბულგარელი ხალხი აღფრთოვანებული საბჭოთა ჯარების წარმატებებით ჰიტლერელთა ჯარებზე კიდევ უფრო აძლიერებდა თავის ბრძოლას შინაური და საგარეო რეაქციების წინააღმდეგ.

ჰიტლერელთა ჯარების დამარცხებები საბჭოთა კავშირში და ქვეყნის შიგნით გაშლილი შეუკავებელი საყოველთაო ანტიფაშისტური ბრძოლა ნათელს ხდიდა ფაშისტური რეჟიმის კრახის მოახლოებას გერმანიაში და ბულგარეთში. ამიტომ ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმი ეძებდა თავისი რეჟიმის გადარჩენის გზებს. მეფე

ბორისი შეეცადა ჰიტლერის აშკარა აგენტის ფილოვის გადაყენებას. და ინგლის-აშშ-ის ორიენტაციის მთავრობის შექმნას, რათა ინგლის-ამერიკის დახმარებით გადაერჩინა თავისი ძირმომპალი რეჟიმი. მაგრამ მეფე ბორისის ეს ხრიკები არ გამოეპარა ჰიტლერს, რომელმაც დაუყოვნებლივ მოუხმო ბორისს ბერლინში და უკან დაბრუნებისას, 1943 წლის 28 აგვისტოს. მეფე „უეცრად" გარდაიცვალა. ამის შემდეგ. ბულგარეთის მეფედ გამოცხადდა მისი მცირეწლოვანი შვილი და შეიქმნა რეგენტთა საბჭო, რომელშიც შევიდნენ რეაქციონერები: ფილოვი, გენერალი მიხოვი და მეფის ძმა კირილი. მთავრობის სათავეში კი ჩაყენებულ იქნა ჰიტლერის დამქაში ბულგარელი ფაშისტი ბოჟილოვი. რომელიც 1944 წლის ივნისში ბაგრიანოვის მთავრობამ შეცვალა.

ბულგარეთის რეაქციამ გააძლიერა ბრძოლა ანტიფაშისტური მოძრაობის წინააღმდეგ. სახალხო განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ რეაქციამ სპეციალურად გამოყო 100 ათასიანი რეგულარული არმია. მაგრამ ვერც ეს ახალი რეპრესიები და ვერც მმართველთა ბანაკში მოთავეთა ხშირი ცვლილებები ვერ აღწევდნენ თავის მიზანს. წინააღმდეგობის მოძრაობა ქვეყანაში საბჭოთა ჯარების შემოვლომი წარმატებების გავლენით სულ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის რიგები იზრდებოდა. 1944 წლისათვის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია თავის რიგებში აერთიანებდა 250 ათას კაცს. პარტიზანული ბრძოლის უკეთესი ხელმძღვანელობისათვის ბულგარეთი მათ დაყვეს 12 სამხედრო-ოპერატიულ ზონად. თითოეულ ზონაში შეიქმნა სამხედრო ოპერატიული შტაბი. 5 სექტემბერს კი ჩვენმა მთავრობამ ბულგარეთის მთავრობას წაუყენა ნოტა. რომელშიც აღნიშნული იყო: „თუ აქამდე საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევდა იმას, რომ პატარა ბულგარეთს არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა გერმანიისათვის, ამჟამად კი შექმნილ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, რომ ბულგარეთი გაწყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას გერმანიასთან, ვინაიდან ბულგარეთი ეხლაც უარს ამბობს გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტაზე, და ადრეც და ეხლაც ომის მდგომარეობაში იმყოფება საბჭოთა კავშირთან. ამიტომ საბჭოთა კავშირიც ამის შემდეგ ომის მდგომარეობაში იქნება ბულგარეთთან".

ბულგარელმა ხალხმა სწორად შეაფასა საბჭოთა კავშირის ეს ნაბიჯი, რომელიც მიმართული იყო არა ხალხის, არამედ ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ. იმავე დღეს ბულგარეთის მუშათა პარტიის ცკ-მა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარმა შტაბმა შეიმუშავეს შეიარაღებული აჯანყების კონკრეტული გეგმა და დაიწყეს აჯანყება. ბევრგან ორგანიზებული იქნა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომლის მსვლელობაში მთელ რიგ ქალაქებში მოხდა აჯან-

ყებები. სამამულო ფრონტის ჯარები ხალხთან ერთად მრავალ რაიონში ამხობდნენ ფაშისტური მთავრობის წარმომადგენლების ხელისუფლებას, თავის ხელში იღებდნენ ძალაუფლებას და ათავისუფლებდნენ პოლიტიკურ პატიმრებს.

8 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა გადალახეს საზღვრები და შეეიდნენ ბულგარეთში, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალების შემჭიდროებას სამამულო ფრონტზე და მათი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებას. 9 სექტემბერს ხალხთა მასებმა ბულგარეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობითა და მუშათა კლასის მეთაურობით, სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარებისა და ხალხის მხარეზე გადასული მთავრობის ჯარების მხარდაჭერით დაიწყეს საყოველთაო სახალხო აჯანყება. აჯანყებულებმა გაანადგურეს რეაქცია, დაამხეს მურავიევის მთავრობა (სექტემბრის დასაწყისში შეცვალა გადამდგარი ბაგრიანოვის მთავრობა) და დააპატიმრეს ფაშისტური მთავრობის წევრები და მეფის რეგენტები. ძალაუფლება გადავიდა სამამულო ფრონტის ხელში და მის ბაზაზე შეიქმნა ახალი დემოკრატიული მთავრობა. მასში შეეიდა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების)[1] 4 წარმომადგენელი, ოთხ-ოთხი წარმომადგენელი — ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირიდან და „ზვენოდან“, 2 სოციალ-დემოკრატი და 2 უპარტიო. მთავრობის მეთაური გახდა „ზვენოს“ ორგანიზაციის წარმომადგენელი კიმონ გიორგიევი. ვინაიდან მონარქია კვლავ რჩებოდა, შეიქმნა ახალი სარეგენტო საბჭო სამამულო ფრონტის სამი წარმომადგენლისაგან, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ცნობილი ბულგარელი მეცნიერი. კომუნისტი თოდორ პავლოვი. ეს სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია თავისი კლასობრივი ხასიათით სოციალისტური რევოლუცია იყო. ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობების გამო ეს რევოლუცია თავისებური გზით ვითარდებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასის მიერ დამყარებულ პოლიტიკურ ხელისუფლებაში გამოიხატებოდა. სამამულო ფრონტის მთავრობაში მუშათა კლასი წამყვან ძალას წარმოადგენდა. მთავრობაში შეეიოდნენ აგრეთვე მშრომელი გლეხობისა და მშრომელთა მასების, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. მაგრამ ხელმძღვანელობა მუშათა კლასის ხელში იყო; ამრიგად 1944 წლის 9 სექტემბრის შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების შემდეგ ბულგარეთში დამყარდა პროლეტარული დიქტატურა სახალხო-დემოკრატიის ფორმით. ეს იყო ანტიიმპერიალისტური და ანტიფაშისტური რევოლუციის პროცესის ლოგიკური შედეგი ფაშისტური დიქტატურისა და ჰიტლერული ოკუ-

[1] 1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ ბულგარეთის მუშათა პარტიის სახელწოდებას დაემატა ბმპ (კომუნისტებისა).

პაციის პირობებში. ბულგარეთის კომუნისტური პარტიიის ცკ პირველი მდივანი თიოდორ ჟივკოვი აღნიშნავს, რომ მუშათა კლასმა თავისი დიქტატურა დაამყარა და განამტკიცა ერთბაშად კი არა, არამედ თანდათანობით, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პროცესში.[1]

გ. დიმიტროვმა ბულგარეთის კომპარტიის V ყრილობაზე ხაზი გაუსვა იმას, რომ „საბჭოთა არმიის გადამწყვეტი დახმარების გაწევის შედეგად 9 სექტემბრის აჯანყებამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზა გახსნა".

ბულგარეთში ფაშისტური მთავრობის დამხობისთანავე, მაშინვე სოციალისტური რევოლუციის დაწყება შესაძლებელი გახდა შემდეგი მიზეზების შედეგად. ბულგარეთში ფეოდალური და მემამულური მიწათმფლობელობა ლიკვიდირებული იქნა ქვეყნის ჯერ კიდევ თურქეთის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ. ფეოდალებსა და მემამულეებს მხოლოდ თურქები შეადგენდნენ და ბულგარეთიდან მათი განდევნის შემდეგ მიწები უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს შორის დანაწილდა. ბულგარეთის სოფლად მხოლოდ ბობოლა გლეხები იყვნენ, რის გამოც ხალხს არ მოუხდა მემამულეთა კლასების წინააღმდეგ ბრძოლა. ვინაიდან ბულგარეთი მრეწველობის განვითარების მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენა ქვეყანაში სუსტი იყო, მითუმეტეს, რომ იგი იმყოფებოდა გერმანიის კაპიტალის გავლენაში. ამ უკანასკნელის პოზიციები ლიკვიდირებული იქნა ქვეყნის განთავისუფლებისთანავე.

1944 წლის 28 ოქტომბერს მოსკოვში ბულგარეთთან ხელი მოაწერეს დაზავებაზე სსრ კავშირმა, აშშ-მა და ინგლისმა, რომლის მიხედვით ბულგარეთი ვალდებულებას იღებდა მონაწილეობა მიეღო ომში გერმანიის წინააღმდეგ, გამოეყვანა თავისი ჯარები საბერძნეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან და ა. შ. ამის შემდეგ ბულგარეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ბულგარეთის ოთხი არმია 450 ათასი კაცის შემადგენლობით მონაწილეობას ღებულობდა იუგოსლავიის, უნგრეთისა და ავსტრიის განთავისუფლებაში და ომის უკანასკნელ ეტაპზე თავისი წვლილი შეიტანა ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები

სამამულო ფრონტის მთავრობა ძალაუფლების ხელში აღებისთანავე შეუდგა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის მიზანი იყო ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაცია. ბურჟუაზიული ფაშისტური სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და სახალხო ხელისუფლების

[1] Т. Живков. Избр. статьи и речи, т. I, 1964, გვ. 408.

განმტკიცება. ძველი პოლიცია დათხოვნილი იქნა და მის ნაცვლად ბულგარეთის მუშათა პარტიის კონტროლის ქვეშ შეიქმნა სახალხო მილიცია. შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტრო, ახალი აპარატი. რამდენიმე დღის განმავლობაში ამ სამინისტროს 30 ათასი მოსამსახურე ახალი კადრებით შეიცვალა. რევოლუციური გარდაქმნები გატარდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. სამამულო ფრონტის კომიტეტების კონტროლის ქვეშ აყენებდნენ სახელმწიფო მოხელეების ახალ კადრებს, აჯანყების დღეებშივე დაიწყო არმიის წმენდა პროფაშისტური რეაქციონერებისაგან—47 გენერალი და 281 ოფიცერი გაძევებულ იქნა არმიიდან. ბულგარეთის მუშათა პარტიის წინადადებით ოფიცრის წოდება მაშინვე მიენიჭა 718 კაცს, რომლებიც პარტიზანული შენაერთების მეთაურები იყვნენ. პარტიზანთა ყოფილი შენაერთებისაგან შეიქმნა რეგულარული ჯარები. არმიაში შემოიღეს პოლიტკომისრების თანამდებობა. დიდი ცვლილებები მოხდა სასამართლო ორგანოებში. სამხედრო დამნაშავეების და ფაშისტების მთელი ქონება, საწარმოები, მიწები და ა. შ. კონფისკებულ იქნა. ჩატარდა უცხოეთის საწარმოების ნაციონალიზაცია. მთავრობამ თავის ხელში აიღო ქვეყნის მთელი რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ელექტროსადგურები, შახტები, გემთსაშენი საწარმოები, დაზღვევის ორგანიზაციები და ბანკების დიდი ნაწილი. ამ ღონისძიებების ჩატარების შედეგად, ჯერ კიდევ ომის დამთავრებისას შეიქმნა სოციალისტური სექტორი. მაგრამ კერძო კაპიტალისტურ სექტორს ეკონომიკაში კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამიტომ ბურჟუაზიის მიერ მტრული მოქმედებისა და საბოტაჟის თავიდან აცილების მიზნით კერძო საწარმოებზე დამყარდა მუშათა და სახელმწიფო კონტროლი. სამამულო ფრონტის მთავრობამ კომუნისტების ინიციატივით და მოთხოვნით ბრძოლა გააჩაღა სამეურნეო სიძნელეების დაძლევისა და მოსახლეობის ღარიბი ფენების ნიგბომარეობის გაუმჯობესებისათვის. ხელფასები გაეზარდათ მუშებსა და მოსამსახურეებს, გაძლიერდა ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ შავ ბაზარზე, გაუმჯობესდა ტრანსპორტის მუშაობა, ვაჭრობა-მომარაგება, მუშებმა უკეთ დაიწყეს მუშაობა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გლეხებს დახმარება ეწეოდათ თესვის კამპანიის გატარებისას. მაგრამ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში დემოკრატიული ძალები სამამულო ფრონტის მთავრობაში იძულებული იყვნენ მთავარი ყურადღება ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ გაუნადგურებელი რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიექციათ.

სახალხო კრების არჩევნებში დემოკრატიული ძალების გამარჯვება და პროლეტარული დიქტატურის დამყარება

სახალხო მთავრობის გაბედულმა ღონისძიებებმა საშინაო და საგარეო რეაქციის დიდი შეშფოთება გამოიწვია. ისეთ ვითარებაში, როდესაც ბულგარეთის რეაქციას სახალხო ხელისუფლებისა და მითუმეტეს ბულგარეთში მყოფი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისათვის ძალები არ გააჩნდა, იგი ბრძოლის შენიღბულ ფორმებზე გადავიდა. ვინაიდან ბულგარეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში სჭარბობდა წვრილბურჟუაზიული მასა, რეაქცია სწორედ ამ მასის მიმხრობით ცდილობდა არ დაეშვა ბულგარეთის სოციალიზმის გზით წასვლა. ქვეყნის ეკონომიკაში სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონა შეადგენდა მხოლოდ 24.8%-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე კი 75,2% მოდიოდა. ბულგარეთის სამრეწველო საწარმოების 80% კუსტარული და ნახევრად კუსტარული ხასიათისა იყო. ქვეყნის მთელ მრეწველობაში დაკავებული იყო 80 ათასი მუშა, რაც შეადგენდა მოსახლეობის 6%-ს, ხოლო მოსახლეობის 80% დაკავებული იყო სოფლის მეურნეობაში.

ბულგარეთის სოფელში ექსპლოატატორული კლასები იყვნენ კულაკები, სპეკულანტები და ვაჭრები. კულაკური მეურნეობა შეადგენდა მთელი მეურნეობის მეათედ ნაწილს, მაგრამ თავის ხელში ჰქონდა მოქცეული მთელი დასამუშავებელი მიწის მეოთხედი ნაწილი, გამწევი პირუტყვის 70%. კულაკური მეურნეობა იძლეოდა მარცვლეულის მოსავლის ორ მესამედს. ამასთანავე, გლეხთა მეურნეობის ორი მესამედი ფლობდა თითოეული 5 ჰექტარზე ნაკლებ მიწას. 120 ათას გლეხთა მეურნეობას ჰქონდა 1 ჰექტარზე ნაკლები მიწა. ასეთ ვითარებაში კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა იყო თავის ირგვლივ დაეგრაზმა ხალხთა მასები, გამოეაშკარავებინა ოპოზიციონერებისა და რეაქციის ხრიკები, მათი ყალბი განცხადებები დემოკრატიული თავისუფლებისადმი ერთგულების შესახებ და არ დაეშვა, რათა სოფლის და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენები და ინტელიგენცია რეაქციის ბანაკში აღმოჩენილიყო, დახმარებოდა ამ ფენებს, რომ მათ გაეგოთ რეაქციის და ოპოზიციონერების კლასობრივი მიზნები. ბულგარეთის კომუნისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი. სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ქვეყნის რეაქციულ ძალებს სათავეში ჩაუდგა კულაკურ-ბურჟუაზიული ოპოზიცია, გემეტო-პეტკოვის მეთაურობით. დოქტორ გემეტომ ხელთ ჩაიგდო ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მდივნის თანამდებობა, ხოლო პეტკოვმა ამ პარტიის გაზეთის „მიწათმოქმედების დროშის“ მთავარი რედაქტორის ადგილი.

ნათ მხარს უჭერდა აგრეთვე სამხედრო მინისტრი (1944 — 1946 წწ.) ველჩევი „ზვენოს“ კავშირიდან და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელები პასტუხოვი და ლულჩევი. საქმე ის იყო, რომ ოპოზიციონერებს ჰყავდათ თავისი წარმომადგენლები სამხედრო ფრონტზე. მთავრობაში და გავლენიან პოლიტიკურ პარტიებში.

სახალხო მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში იარაღი არ დაყარეს აგრეთვე ბულგარელმა ფაშისტებმაც, რომელთა ხელმძღვანელი ცანკოვი ავსტრიაში გაიქცა, იქ შექმნა ე. წ. „ბულგარეთის ეროვნული მთავრობა“ და ბულგარეთში სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აგზავნიდა ტერორისტებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს. ბულგარეთში მოქმედებდნენ ფაშისტების იატაკქვეშა შეთქმულებითი და ტერორისტული ორგანიზაციები „მეფე კრუმი“, „სამხედრო კავშირი“ და სხვები, რომლებიც სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ამზადებდნენ შეიარაღებულ შეთქმულებას და ამავე დროს მიმართავდნენ ფართო ტერორს. ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის მემარჯვენეებმა თავისი გაზეთის ფურცლებზე კამპანია გააჩაღეს ლოზუნგით „მშვიდობა, პური და თავისუფლება“ იმ მიზნით, რათა ჩაეშალათ ბულგარეთის მონაწილეობა ომში. ისინი ქადაგებდნენ აგრეთვე ცრუ „წოდებრივ თეორიას“, რომლის მიხედვით თითქოს ქალაქის „წოდება“ ჩაგრავს სოფლის „წოდებას“, უარყოფდნენ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირს და ქადაგებდნენ „დამოუკიდებელი გლეხთა ხელისუფლების“ შექმნის „თეორიას“.

გემეტო-პეტკოვის ოპოზიციონერებმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მხარდაჭერით მიზნად დაისახეს კომუნისტების განდევნა მთავრობიდან და საშინაო და საგარეო რეაქციის მხარდაჭერით ბურჟუაზიული წყობილების შენარჩუნება ქვეყანაში. ოპოზიციონერებს აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეები. ოპოზიციონერებმა მთავრობაში იმ მიზნით, რომ რეაქციული ელემენტები ეხსნათ სასჯელისაგან და ამასთანავე მათი აქტიური მხარდაჭერა მიეღოთ, კომუნისტ-მინისტრებთან შეთანხმების გარეშე, 1944 წლის ნოემბერში მიიღეს „დირექტივა № 4“, რომლითაც სამხედრო დამნაშავეებს თავისი დანაშაულის გამოსასყიდად უფლება ეძლეოდათ ჯარში დაბრუნებულიყვნენ და ფრონტზე წასულიყვნენ. მაგრამ ხალხისა და კომპარტიის დიდი წინააღმდეგობების შედეგად რეაქციის გადარჩენის ეს ხრიკები ჩაშალა. 1944 წლის ბოლოს ხალხის მოთხოვნით მოეწყო სასამართლო პროცესები ომის მთავარი დამნაშავეების, ფაშისტური ხროვისა და მათი ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ. მეფის ყოფილი რეგენტები ბ. ფილოვი, ნ. მიხოვი, მეფე ბორისის ძმა კირილე და აგრეთვე ბულგარელი ფაშისტების სხვა ხელმძღვანელები, რომელთაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს მკაცრად და-

ისაჯნენ. ბულგარელი მშრომელების და მათი ავანგარდის კომუნისტების ასეთმა პრინციპულმა პოზიციამ ქვეყნის მოღალატეებისა და ჰიტლერელთა ყოფილი დამქაშების წინააღმდეგ ძალზე დააშინა რეაქცია. მაგრამ იგი სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს არ ამბობდა. მხოლოდ ცვლიდა თავის ბრძოლის მეთოდებს. 1945 წლის იანვარში ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირის რიგითი წევრების მოთხოვნის შედეგად დოქტორი გემეტო მოხსნეს ამ პარტიის მდივნის თანამდებობიდან და მალე გარიცხეს კიდეც მისი რიგებიდან.

1945 წლის მაისში მიწათმოქმედების პარტიიდან გაირიცხა და ამ პარტიის გაზეთის მთავარი რედაქტორობიდან მოიხსნა ნიკოლა პეტკოვი. აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს სხვა მემარჯვენე ელემენტებიც. მემარჯვენე ხელმძღვანელობისაგან გაიწმინდა სოციალ-დემოკრატიული პარტიაც. მაგრამ ოპოზიციონერები ამის შემდეგაც არ ცხრებოდნენ. 1945 წლის ზაფხულში ნიკოლა პეტკოვმა შექმნა ახალი ე. წ. „მწვანე“ მიწათმოქმედების კავშირი და მის რიგებში გააერთიანა ქვეყნის ყველა რეაქციონერი და ოპოზიციონერი. ამ პარტიამ დაიწყო მზადება ომის შემდეგ პირველი საკანონმდებლო კრების არჩევნებში მონაწილეობისათვის და იმედი ჰქონდა, რომ მიიმხრობდა სოფლის მოსახლეობას, ქალაქის წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ ფენებს. საკანონმდებლო კრების არჩევნები დანიშნული იყო აგვისტოში, მაგრამ ოპოზიციონერებმა იმ მოტივით, რომ მათ არა აქვთ დამთავრებული მზადება არჩევნებისათვის, მოითხოვეს მისი გადადება. ოპოზიციონერების ამ თხოვნას მხარი დაუჭირეს აშშ-ის და ინგლისის მთავრობებმა, რომელთაც ოფიციალურად განაცხადეს. რომ თუ არ დაკმაყოფილდება ოპოზიციონერთა თხოვნა, ისინი არ ცნობენ სახალხო კრების არჩევნებს კანონიერად და ბულგარეთთან ხელს არ მოაწერენ ზავზე.

ასეთ ვითარებაში სახალხო კრების არჩევნები გადაიდო ნოემბრისათვის, მაგრამ ოპოზიციონერები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, ვინაიდან მათ არა ჰქონდათ იმედი ამ არჩევნებში გამარჯვებისა. ამიტომ ქვეყანაში ქაოსისა და პოლიტიკური კრიზისის შექმნის მიზნით, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების მიერ ოპოზიციონერებისათვის მხარის დაჭერამ ბევრს თვალები აუხილა და ნათელი გახადა, თუ რა მიზანს ისახავდნენ ოპოზიციონერები. მათი კლასობრივი არსის გარკვევაში ხალხს დიდი დახმარება გაუწია ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ. საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის პროგრესული წარმომადგენლები დაეთანხმნენ ბულგარეთის კომპარტიის სოციალისტური განვითარების კურსს და სამამულო ფრონტის აქტიური მონაწილენი დარჩნენ.

1945 წლის 18 ნოემბერს ჩატარებულმა სახალხო კრების არჩევნებმა წარმატება კომუნისტების ხელმძღვანელობაში მყოფ სამამულო ფრონტს მოუტანა. მიუხედავად ოპოზიციონერების ბოიკოტისა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 85,5%-მა. აქედან სამამულო ფრონტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 88,18%-მა. სახალხო კრებაში არჩეული ყველა 276 დეპუტატი სამამულო ფრონტის კანდიდატი იყო, აქედან ბულგარეთის მუშათა პარტიამ (კ) მიიღო 94 ადგილი. ამრიგად, სამამულო ფრონტმა ამ არჩევნებში მთლიან გამარჯვებას მიაღწია.

მაგრამ დემოკრატიული ძალების ამ გამარჯვების შემდეგაც ოპოზიციონერები არ წყვეტდნენ თავის საქმიანობას და ცდილობდნენ, რაც უნდა დასჯდომოდათ, არ დაეშვათ მონარქიის ლიკვიდაცია და 1879 წლის კონსტიტუციის შეცვლა. მაგრამ მიუხედავად რეაქციის წინააღმდეგობისა, 1946 წლის 26 ივლისს სახალხო კრებამ მიიღო კანონი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. სახელმწიფო წყობილების ფორმის დადგენისა და დიდი ეროვნული კრების მოწვევისათვის. 1946 წლის 8 სექტემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მონარქიის ლიკვიდაციისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების მოთხოვნას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 92,7%-მა, თავი შეიკავა მხოლოდ 3%-მა, 4,24%-მა კი ხმა მისცა მონარქიის შენარჩუნებას.

1946 წლის 15 სექტემბერს სახალხო კრებამ ბულგარეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

1946 წლის ოქტომბერში კონსტიტუციის შემუშავების მიზნით ჩატარდა დიდი სახალხო კრების არჩევნები. არჩევნებმა მორიგი წარმატებები მოუტანა სამამულო ფრონტს, რომელმაც 465 დეპუტატის ადგილიდან მიიღო 366, აქედან კომუნისტებმა მიიღეს 275 ადგილი, პეტკოვის ოპოზიციონერებმა კი მიიღეს 99 ადგილი. დიდი სახალხო კრების თავმჯდომარედ და დროებით პრეზიდენტად არჩეული იქნა კომუნისტი ვასილ კოლაროვი, ხოლო რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ნოემბრის დამლევს გახდა გიორგი დიმიტროვი. 1947 წლის 4 დეკემბერს დიდმა სახალხო კრებამ საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელმაც იურიდიულად განამტკიცა ბულგარელი ხალხის რევოლუციური მიღწევები და ახალი სოციალისტური სახელმწიფოს დამყარება სახალხო დემოკრატიის ფორმით. კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება გადავიდა ერთპალატიან სახალხო კრების ხელში, რომელსაც ირჩევენ 4 წლის ვადით, აღმასრულებელი ხელისუფლება კი მინისტრთა საბჭოს ხელში. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად ცხადდებოდა სახალხო საბჭოები, რომელსაც ირჩევდნენ 3 წლის ვადით. კონსტიტუ-

ცია სახელმწიფოს ანიჭებდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების და ვაჭრობის ნაციონალიზაციის უფლებას. ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის კონსტიტუცია.

1947 წლის დეკემბერში დიდმა სახალხო კრებამ კონსტიტუციის შესაბამისად მიიღო კანონი მრეწველობის, ბანკების, რადიო ქსელის და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზაციის ჩატარების შედეგად სახელმწიფოს ხელში გადავიდა ქვეყნის მრეწველობის დაახლოებით 95%. ამ ღონისძიების ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო რეჟიმის განმტკიცებისათვის. ნაციონალიზაციის ჩატარებამ ბოლო მოუღო ბურჟუაზიის ბატონობას ქვეყნის ეკონომიკაში და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. საყურადღებოა, რომ ნაციონალიზაციამ დიდი დარტყმა მიაყენა კულაკებსაც. ვინაიდან ნაციონალიზირებული იქნა მთელი წისქვილები, საღერღი და მატყლის საჩეჩი საწარმოები, რომელთა დიდი ნაწილი კულაკებს ეკუთვნოდათ. რევოლუციის გაღრმავებასთან ერთად ოპოზიციონერები თანდათანობით გადაიქცნენ საზღვარგარეთის იმპერიალისტების აგენტებად. დაუკავშირდნენ მათი დაზვერვის ცენტრებს, ქვეყნის შიგნით იატაკქვეშა და საზღვარგარეთ გაქცეულ ბულგარელ ფაშისტებს და დაიწყეს შეიარაღებული ამბოხების მზადება. მაგრამ სახალხო უშიშროების ორგანოებმა შეთქმულება გახსნეს და შეთქმულნი გაანადგურეს, რითაც ბურჟუაზიამ უკანასკნელი იმედიც დაკარგა თავისი ხელისუფლების აღდგენაზე.

აგრარული რეფორმა

სახალხო რეჟიმის განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა. ბულგარეთის სოფლად ექსპლოატატორ კლასებად ითვლებოდნენ მსხვილი კულაკები, მევახშეები და ეკლესია; ამიტომ ბულგარეთში აგრარული რეფორმა ანტიფეოდალური კი არა, ანტიკაპიტალისტური ხასიათისა იყო. 85 ათასი კულაკური მეურნეობა, რომელიც მთელი სოფლის მეურნეობის მოსახლეობის 7,7%-ს შეადგენდა, ფლობდა ქვეყნის მთელი დასამუშავებელი მიწების 25,5%-ს, ხოლო მცირემიწის მქონე გლეხთა მეურნეობა, რომელზეც მოდიოდა სოფლის მოსახლეობის 55,7%, ფლობდა მთელი დასამუშავებელი მიწების უფრო ნაკლებს—24,6%-ს. გლეხთა მეურნეობის 25%-ზე მეტს არა ჰყავდა გამწევი სამუშაო ძალა, 12%-ს ჰყავდა მხოლოდ ერთი სამუშაო საქონელი, 21,1 პროცენტს კი არა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ინვენტარი. ამრიგად, გლეხთა მეურნეობის უდიდეს ნაწილს არა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ინვენტარი და ამიტომ კულაკების კაბალაში იყო მოქცეული. 1946 წლის 12 მარტს სა-

ხალხო კრებამ მიიღო კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, რომელიც ტარდებოდა პრინციპით „მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს". კანონი მიწის მფლობელობას ზღუდავდა 20 ჰექტარამდე, ხოლო საბრეთ დობრუჯუში 30 ჰექტარამდე. იმ პირებს, ვინც მიწათმოქმედებას არ ეწეოდნენ, შეეძლოთ ჰქონოდათ არა უმეტეს 3 ჰექტარი მიწის ფართობი, სამხრეთ დობრუჯუში კი 5 ჰექტარი. დაწესებულ ნორმაზე ზემოთ არსებული მიწები შესყიდვის საფუძველზე სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. ამ კანონით დაახლოებით 130 ათასმა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხმა მიიღო 140 ათასი ჰექტარი მიწა. მიწის დანარჩენი ნაწილი გადაეცა კოოპერატივებს, რომელთა შექმნა დაიწყო უშუალოდ 1944 წლის 9 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ. 1946 წლის აგრარული კანონი, მართალია, ზღუდავდა კულაკურ მეურნეობას, მაგრამ კულაკობის. როგორც კლასის ლიკვიდაცია მას არ მოუხდენია. კულაკებს და მონასტრებს ჩამოერთვათ დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწა, რაც შეადგენდა 230 ათას ჰექტარს. ამასთან ერთად ტარდებოდა ღონისძიებანი კულაკური ექსპლოატაციის შეზღუდვისათვის. კულაკების ეკონომიური შეზღუდვა ხორციელდებოდა ვადასახადების შეწერით და სახელმწიფოსათვის მტკიცე ფასებში სურსათის ჩაბარების ვალდებულებებით. მაგრამ ამ ღონისძიებებს არ შეეძლო სოფლად არსებული ექსპლოატაციის ყველა ფორმის მოსპობა და სოფლის მეურნეობის აღმავალი გზით განვითარების უზრუნველყოფა. ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის შემთხვევაში — ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების გზით. ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიამ თავისი ქვეყნის სოფლის ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით შემოქმედებითად მიუყენა კონკრეტულ პირობებს ლენინური კოოპერაციული გეგმა. კოოპერაციული მეურნეობების შექმნა სოფლად დაიწყო უშუალოდ ქვეყნის განთავისუფლებისთანავე. უკვე 1944 წლის ბოლოს ბულგარეთში იყო 100-ზე მეტი სოფლის მეურნეობის კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა 7 ათასზე მეტ გლეხთა მეურნეობას. 1945 წლის აპრილში მიღებული კანონით სოფლად კოოპერატიული მეურნეობების შექმნის შესახებ იქმნებოდა ერთი ტიპის სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატიული მეურნეობა. ამასთანავე, კოოპერატივში შეტანილ მიწაზე გლეხი ინარჩუნებდა კერძო მფლობელობის უფლებას. გარდა ამისა, კოოპერატივში ვაერთიანებული გლეხის პირად სარგებლობაში რჩებოდა მიწისა და შრომის იარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი.

1945 წლის კანონით კოოპერატივის შემოსავლის 60% ნაწილდებოდა შრომადღეებზე, 40%—კოოპერატივში შეტანილი მიწის ფართო-

ბის მიხედვით. საყურადღებოა, რომ ამ დროს კოოპერატივებში კულაკებიც შედიოდნენ. ეს უკანასკნელნი კოოპერატივში თავის შეტანილ მიწას ფაქტიურად იყენებდნენ გლეხთა ფარული ექსპლოატაციისათვის. ამიტომ. 1948 წლის კანონით. კოოპერატივებში შემსვლელებს საკარმიდამო მიწის გარდა მთლიანად უნდა შეეტანათ თავისი მიწები, სამუშაო გამწევი ძალა და ინვენტარი. ხოლო 1950 წლის კანონით კოოპერატივებში კულაკების მიღება სასტიკად აიკრძალა. მაგრამ ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და კულაკური ელემენტების ლიკვიდაციისათვის ამით არ დამთავრებულა. ეს იყო მხოლოდ პირველი პერიოდი ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა. „ღარიბთა და საშუალო გლეხობის შრომით მიწათმოქმედების კოოპერატივებში თანდათანობით გაერთიანების შემდეგ — წერდა ამ დროს გ. დიმიტროვი, — მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განვითარებით, და აგრეთვე მიწის იჯარით გაცემის აკრძალვის შედეგად, მიწის ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვის და აკრძალვის შემდეგ, თვით გლეხთა კოოპერატივების გადაწყვეტილებით მიწის რენტის შემცირებისა და ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც ამის პირობები შეიქმნება, მიწის ნაციონალიზაციის საკითხი პრაქტიკულად გადაწყდება იმით, რომ მიწა მუდმივ სარგებლობაში დარჩება მშრომელ გლეხობას“.[1]

სამშვიდობო ხელშეკრულება

როგორც აღნიშნული იყო, ბულგარეთის მონარქიულ-ფაშისტურმა რეჟიმმა ქვეყანა ჰიტლერული ბლოკის მხარეზე ომში ჩააბა ხალხის სურვილისა და ნებართვის გარეშე, ამიტომ, ბულგარეთი, ხალხის უნებურად, ომის დამნაშავედ ითვლებოდა. ბულგარელმა ხალხმა თავისი საძულველი ფაშისტური რეჟიმის დანაშაული სისხლით გამოისყიდა და ომის უკანასკნელ ეტაპზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშისტური გერმანიის განადგურებაში. მშვიდობიანობის დაწყებისთანავე სამამულო ფრონტის მთავრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ანტიჰიტლერულ კოალიციასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები სახალხო რეჟიმისადმი თავისი მტრულად განწყობილების გამო ცდილობდნენ ბულგარეთისათვის თავზე მოეხვიათ კაბალური ზავის პირობები, წაერთვათ ბულგარეთის კუთვნილი ტერიტორიები საბერძნეთის სასარგებლოდ და დაეკისრებინათ უდიდესი სარეპარაციო თანხები. ისინი მხარს უჭერდნენ საბერძნეთის მოთხოვნას, რომ ბულგარეთს საბერძნეთის სასარგებლოდ გა-

[1] Г. Димитров, т. III, გვ. 49.

დაეხადა 985 მილიონი დოლარი. საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოზიციის შედეგად ინგლის-ამერიკის ეს ცდები ჩაიშალა. 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში დადებული ზავით ბულგარეთი ინარჩუნებდა თავის სახელმწიფო საზღვრებს, როგორიც იყო 1941 წლის 1 იანვრისათვის. ბულგარეთი ცნობილ იქნა ომის დამნაშავედ. მაგრამ გათვალისწინებული იქნა მისი დამსახურებაც ომის უკანასკნელ ეტაპზე. მას ეკისრებოდა 8 წლის განმავლობაში გადაეხადა რეპარაციები საბერძნეთის სასარგებლოდ—45 მილიონი დოლარის რაოდენობით, ხოლო იუგოსლავიის სასარგებლოდ—35 მილიონი დოლარის ოდენობით. ბულგარეთს უნდა ჰყოლოდა ქვეითი ჯარის ნაწილები არა უმეტეს—55 ათასი კაცისა, ხოლო სამხედრო საზღვაო ფლოტი—7250 ტონა წყალწყვილა. მოკავშირეთა ჯარები ბულგარეთიდან უნდა გამოყვანილიყო სამშვიდობო ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში. სამშვიდობო ხელშეკრულების დაღების შედეგად ბულგარეთმა თავი დააღწია იმ პოლიტიკურ იზოლაციას, რომელშიც იგი მოქცეული იყო მონარქიული რეჟიმის დროინდელი ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის კურსის გამო.

მუშათა კლასის პოლიტიკური გათიშულობისათვის ბოლოს მოღება

სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებისათვის და ამ საქმეში მუშათა კლასის ხელმძღვანელური როლის უზრუნველყოფისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მუშათა კლასის პოლიტიკური გათიშულობისათვის ბოლოს მოღება. სოციალ-დემოკრატული პარტიის რიგების გაწმენდის შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტული რეაქციული დაჯგუფებების — პასტუხოვ-ლულჩევის და სხვებისაგან აღნიშნული პარტიის ხელმძღვანელობა ხელთ აიღეს მემარცხენეებმა. ამან საფუძველი შექმნა მუშათა ორი პარტიის გაერთიანებისათვის.

1948 წლის 11 აგვისტოს მუშათა ორივე პარტია — ბულგარეთის მუშათა პარტია (კომუნისტებისა) და სოციალ-დემოკრატიული პარტია გაერთიანდნენ მუშათა ერთიან პარტიად. რომელმაც 1948 წლის დეკემბერში ამ პარტიის V ყრილობაზე მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სახელწოდება. ეს გაერთიანება მოხდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველსა და ორგანიზაციულ პრინციპებზე. მუშათა კლასის პოლიტიკური გათიშულობის ლიკვიდაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ქვეყანაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის უზრუნველყოფისათვის. ამის შემდეგ ჩატარდა რეორგანიზაცია სამამულო ფრონტისა, რომელშიც, როგორც უკვე

ადრე აღვნიშნეთ. შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და ჯგუფები, ე. ი. ეს იყო სხვადასხვა პარტიების ბლოკი. მაგრამ 1949 წლიდან მის შემადგენლობაში მხოლოდ ორი პარტია დარჩა — ბულგარეთის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირი[1]. ამ უკანასკნელმა ცნო ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალიზმის მშენებლობაში. ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირმა აირჩია ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც გადაწყდა ამ პარტიის XXVII ყრილობაზე (1947 წ.) და უმაღლესი პარტიული საბჭოს სხდომაზე (1948 წ.) ამ გადაწყვეტილების შედეგად ცნობილი იქნა ბულგარეთის კომპარტიის პროგრამა, ხელმძღვანელი როლი ქვეყნის გამგებლობაში და განისაზღვრა პოლიტიკური ამოცანები ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობისათვის. მიწათმოქმედების სახალხო პარტია ამის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის, გლეხთა და მუშათა კლასს შორის კავშირისა და ბულგარელი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის განმტკიცებისათვის. ამ პარტიის მიერ 1948 წ. ნოემბერში მიღებულ წესდებაში განსაზღვრული იყო სოფლის მეურნეობის კოოპერირების ამოცანები.

1949 წელს „ზვენოს" კავშირმა და რადიკალურმა პარტიამ თავისი თავი თვითდათხოვნილად გამოაცხადეს და სამამულო ფრონტში გაერთიანდნენ.

სამამულო ფრონტი გარდაიქმნა ერთიან საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად საერთო პროგრამითა და წესდებით. შეიქმნა ერთიანი ამორჩეული ხელმძღვანელობა. სამამულო ფრონტმა მიიღო პროგრამა, რომელიც ბულგარეთში სოციალიზმის მშენებლობის პრინციპებს აცხადებდა. აღსანიშნავია, რომ სამამულო ფრონტში ინდივიდუალურ წევრობასთან ერთად დაშვებულია კოლექტიური წევრობაც. კოლექტიური წევრებია სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვის

---

[1] ბულგარეთის მიწათმოქმედების სახალხო კავშირი შეიქმნა 1900 წელს, და იგი მაშინ მიზნად ისახავდა ძირითადად გლეხთა საგანმანათლებლო ამოცანებს, 1908 წლიდან კი გადაიქცა წვრილბურჟუაზიულ გლეხთა პარტიად. იგი ასახავდა გლეხთა ბეძლებული ფენების ინტერესებს, წინააღმდეგი იყო მუშათა და გლეხთა კავშირისა და ქადაგებდა „გლეხთა დამოუკიდებელი ხელისუფლების" თეორიას. 1942 წელს ეს პარტია სამამულო ფრონტში შევიდა და აქტიურად მონაწილეობდა ფაშისტური უღლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამჟამად ამ პარტიის რიგებში 120 ათასი კაცია გაერთიანებული და ჰყავს თავისი წარმომადგენლები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. პარტიას აქვს თავისი წესდება, არა აქვს თავისი პროგრამა, მაგრამ თავის პარტიის წევრებს მოუწოდა, რათა იბრძოლონ ბულგარეთის კომპარტიის პროგრამის განხორციელებისათვის. პარტიის მდივანია — ვ. ტრაიკოვი, ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „მიწათმოქმედების დროშა" („ზემედელსკო ზნამე").

კავშირი[1], ბულგარეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო[2], ქალთა კავშირი, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების კავშირი და ა. შ.

§ 7. ბულგარეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში (1949-1960 წწ.)

დემოკრატიულმა მთავრობამ ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით ძალზე ჩამორჩენილი ეკონომიკა მიიღო. ომამდე ბულგარეთი ისედაც ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, ხოლო ომის დროს ქვეყნის შიგნით არსებულმა მონარქიულ-ფაშისტურმა რეჟიმმა და ჰიტლერული გერმანიის მიერ ბულგარეთის ძარცვამ ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. სამრეწველო წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით 64%-ით დაეცა. ბულგარეთს არ ჰქონდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, ქიმიური, სამთო, შავი და ფერადი მეტალურგია, ხოლო რაც ჰქონდა, ისიც სუსტად იყო განვითარებული. სახალხო მთავრობის მთავარი ამოცანა იყო ამ ჩამორჩენილობის სწრაფი ლიკვიდაცია და გეგმიანი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება. ამის წინაპირობები ქვეყანაში უკვე შეიქმნა მრეწველობის ნაციონალიზაციისა და ომისაგან განადგურებული ეკონომიკის აღდგენის შემდეგ.

1947 — 1948 წლებში წარმატებით განხორციელდა სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების ორწლიანი გეგმა, რომლის შესრულების შედეგად სამრეწველო წარმოებამ ომამდელ დონეს 79.6%-ით გადააჭარბა. სოფლის მეურნეობამ კი, მიუხედავად გვალვებისა და მოუსავლიანობისა, ომამდელს მიაღწია. ორწლიანი გეგმის

---

[1] სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვის კავშირი შეიქმნა 1947 წლის დეკემბერში მთელი რიგი ახალგაზრდათა ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად. კერძოდ, მასში გაერთიანდნენ: მუშათა ახალგაზრდობის კავშირი, მიწათმოქმედების ახალგაზრდა კავშირი, „ზვენოს“ ახალგაზრდობის სახალხო კავშირი და სხვები. 1949 წელს მან მიიღო სახალხო ახალგაზრდობის დიმიტროვის კავშირის სახელწოდება, რომელიც 1974 წელს თავის რიგებში აერთიანებდა ორ მილიონამდე წევრს. იგი შედის დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში და გარდა ამისა, იგი ხელმძღვანელობს დიმიტროვის პიონერთა ორგანიზაციას „სეპტემერიჩეს“ (სექტემბრელებს).

[2] ბულგარეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო შეიქმნა 1904 წელს და მაშინ ატარებდა „მუშათა საერთო პროფესიონალური კავშირის“ სახელწოდებას, ხოლო ახალი სახელწოდება მიიღო პროფკავშირების III ყრილობაზე 1951 წლის დეკემბერში. იგი თავის რიგებში აერთიანებს დარგობრივ პროფკავშირებს და შედის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში.

განხორციელების მსვლელობაში ბულგარეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით აიგო მრავალი ახალი სამრეწველო ობიექტი. 1948 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების მოცულობაში შეადგენდა 92,8%-ს. ეროვნული შემოსავალი ომამდელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა. ორწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შემდეგ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობამ (1948 წ.) გამოაცხადა კურსი ბულგარეთის მოკლე ხნის განმავლობაში ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევისა. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა გ. დიმიტროვი, რომელმაც განსაზღვრა პარტიის გენერალური ხაზი მომავალი 10-15 წლის მანძილზე. ამ მოკლე დროში ინდუსტრიალიზაციის, ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და კოოპერირების გზით ბულგარეთი უნდა გადაქცეულიყო მოწინავე განვითარებულ ქვეყნად.

პარტიის V ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1949 — 1953 წწ.), რომელიც წარმოადგენდა ბულგარეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების კონკრეტულ გეგმას. პირველი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა იყო სოციალიზმის საფუძვლების აგება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ელექტრიფიკაციის, სოფლის მეურნეობის კოოპერირებისა და მექანიზაციის განხორციელების გზით. გეგმა ითვალისწინებდა უპირატესად მძიმე მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიურის, შავი მეტალურგიის და სხვა. ფაქტიურად ეს დარგები ახლად უნდა შექმნილიყო ან რეკონსტრუირებულიყო. მძიმე მრეწველობის უპირატესად განვითარებას უნდა უზრუნველეყო მსუბუქი და კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. პირველ ხუთწლედში გათვალისწინებული იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოოპერირების დაჩქარებული განხორციელება.

ბულგარელი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დიდი პატრიოტული შემართებით შეუდგა პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას, რის შედეგად პირველი ხუთწლიანი გეგმა მთლიანად ოთხ წელიწადში შესრულდა, მრეწველობაში კი კიდევ უფრო ადრე — 3 წელიწადსა და 10 თვეში.

პირველ ხუთწლედში აგებულ და რეკონსტრუირებულ იქნა 700-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, რომელთა შორის აღსანიშნავია ქალაქ დიმიტროვგრადში აგებული სამრეწველო საწარმოების კომპლექსი, რომელშიც შედის: ქიმიური კომბინატი, ცემენტის ქარხანა, ელექტროსადგური და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე ქალაქ პერნიკში აგებული ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, ვ. კო-

ლაროვის სახელობის ელექტროტექნიკური მოწყობილობის ქარხანა და სხვა.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად მრეწველობის საერთო პროდუქციამ ოთხჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობამ — 30%-ით. ეროვნული შემოსავალი გადიდდა 52,8%-ით, საგარეო ვაჭრობა 1,5-ჯერ. 1950 წელი ითვლება ბულგარეთის სოფლის კოოპერირების საქმეში გარდატეხის წლად. საყურადღებოა, რომ 1949 წლისათვის საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანებული იყო მთელი გლეხთა მეურნეობის მხოლოდ 7,4%, რომელთა ხელში იყო მთელი დასამუშავებელი მიწების 13.6%, 1952 წლისათვის კი კოოპერატივებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ყველა გლეხთა მეურნეობის ნახევარზე მეტი, რომელთა ხელში იყო დასამუშავებელი მიწების 60,5% და სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოების 65%. პირველ ხუთწლედში კულაკობა, როგორც კლასი, ლიკვიდირებულ იქნა, მაგრამ მისი საკუთრების ძალდატანებითი ექსპროპრიაციის გარეშე. კულაკობის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შესყიდულ იქნა კოოპერატივების მიერ. კულაკებს აეკრძალათ მიწის იჯარით გაცემა ან დაქირავებული შრომის გამოყენება, რის შემდეგ კულაკები იძულებული გახდნენ თავისი მიწების დიდი ნაწილი კოოპერატივებისათვის გადაეცათ, თავისთვის კი იმდენ მიწას იტოვებდნენ, რამდენის დამუშავებასაც თავის საკუთარი ძალებით შეძლებდნენ. 1957 წლის საწარმოო კოოპერატივების ახალი წესდებით გაუქმდა აკრძალვა კულაკების კოოპერატივებში მიღებისა.

პირველი ხუთწლედის პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. 1952 წლის მაისში გატარდა ფულის რეფორმა და გაუქმდა სასურსათო-საბარათო სისტემა. ხუთწლედის პერიოდში ოთხჯერ განხორციელდა ფასების შემცირება ფართო მოხმარების საგნებზე — პურზე და პურის ნაწარმზე, შალეულზე და სხვა საქონელზე. ამასთანავე გაზრდილ იქნა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასები, პენსიები და სტუდენტთა სტიპენდიები, შემცირებულ იქნა გადასახადები და ლიკვიდირებულ იქნა გლეხთა დავალიანება. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგები ის იყო, რომ მშრომელთა რეალური ხელფასი ომამდელ დონესთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. პირველ ხუთწლედში ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობა — აშენდა 3.4 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი ბინა. გარდა ამისა, 2-ჯერ გაიზარდა საავადმყოფოებისა და სამშობიაროს სახლების, 2,5-ჯერ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლებისა და 3-ჯერ საბავშვო ბაგების რიცხვი.

ომამდელი ბულგარეთი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო ევროპაში განათლებისა და წერა-კითხვის უცოდინართა დონით. მაგალითად, ომამდელი ბულგარეთის მოსახლეობის 32% 8 წლის ასაკიდან და ზემოთ წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მამაკაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 20%-ზე მეტი, ხოლო ქალთა შორის 43%. სკოლის ასაკის ბავშვთაგან მხოლოდ 48%-ს ჰქონდა შესაძლებლობა რვაწლიანი განათლების მიღებისა. მართალია, არსებობდა კანონი სავალდებულო განათლების შესახებ, მაგრამ ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი მშრომელთა ბავშვი სკოლის გარეთ რჩებოდა იმის გამო, რომ თითქმის 1700 დასახლებულ პუნქტში სკოლები არ იყო. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, იგი მისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებულთათვის. სახალხო მთავრობამ სკოლის ასაკის ბავშვთათვის შემოიღო სავალდებულო სწავლება. წერა-კითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულ იქნა 1954 წლისათვის. პირველ ხუთწლედში გაიხსნა მრავალი სკოლა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. ომამდელ ბულგარეთში მხოლოდ 5 უმაღლესი სასწავლებელი იყო, 1952 წლისათვის კი მისი რიცხვი 20-მდე გაიზარდა.

ამრიგად, უკვე პირველ ხუთწლედში სახალხო მთავრობის მშობლიური ზრუნვის შედეგად ბულგარეთი თავისი, როგორც ეკონომიური ასევე კულტურული დონის განვითარებით მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში ჩადგა.

ბულგარეთი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე (1953 — 1957 წწ.) და მესამე (1958—1962 წწ.) ხუთწლიანი გეგმების შესრულების პერიოდში

1954 წელს შემდგარმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ მიიღო მეორე ხუთწლიანი გეგმის (1953—1957) დირექტივები, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სოფლად კი გლეხთა საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანების დასრულება. მეორე ხუთწლიანი გეგმა ბულგარელი ხალხის წინაშე ახალ გრანდიოზულ ამოცანებს სახავდა.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პერიოდში ბულგარეთის პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ იქნა რიგი შეცდომები.

1949 წლის ივლისში გარდაიცვალა ბულგარელი ხალხის ბელადი და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა პარტიის გამოჩენილი მოღვაწე გიორგი დიმიტროვი, ხოლო 1950 წლის იანვარში მისი უახლოესი თანამებრძოლი ვ. კოლაროვი, რის შემდეგ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1954 წლამდე) და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1956 წლამდე) გახდა

ვ. ჩერვენკოვი. მისი პიროვნების კულტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ვ. ჩერვენკოვის პიროვნების კულტის შედეგად გლეხთა მატერიალური ღაინტერესებისა და კოოპერატივში ნებაყოფლობით გაერთიანების პრინციპი უხეშად ირღვეოდა. ასევე შემცირდა მძიმე ინდუსტრიის განვითარების ზრდის ტემპები.

1954 წელს ცკ-ის პირველი მდივანი გახდა თ. ჟივკოვი. 1956 წლის აპრილში მოწვეულმა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგმო ვ. ჩერვენკოვის მიერ დაშვებული შეცდომები და გაათავისუფლა იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან. ეს პოსტი დაიკავა ა. იუგოვმა. ბულგარეთის კომპარტიის VIII ყრილობამ რომელიც 1962 წელს შედგა, ვ. ჩერვენკოვი გარიცხა პარტიიდან, ხოლო ა. იუგოვი, რომელიც ფრაქციონერთა დაჯგუფებას ჰაუდგა სათავეში, მოხსნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან და გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა თ. ჟივკოვი[1].

მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა და მთელი რიგი სიძნელეებისა, ბულგარელმა ხალხმა მეორე ხუთწლედიც წარმატებით შეასრულა. სამრეწველო წარმოების მოცულობა 76%-ით გაიზარდა, რაც 6-ჯერ მეტი იყო ომამდელ დონესთან შედარებით. სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა მთელი სამრეწველო წარმოების 98% და საცალო საქონელბრუნვის 99%, მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის საწარმოო კოოპერატივებში და სახელმწიფო მეურნეობებში გაერთიანებული იყო ყველა გლეხური მეურნეობის 90% და მათზე მოდიოდა მთელი დასაბუშავებელი მიწების 93%. ბულგარეთში ყველაზე ადრე სხვა სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით. დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოოპერირება და ჩამოყალიბდა მხოლოდ ერთი ტიპის სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივები. რომელმაც თავისი განვითარების ეტაპი განვლო. როგორც ადრე აღინიშნა, კოოპერატივში გაერთიანებული გლეხობა შემოსავალს ღებულობდა არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების, არამედ აგრეთვე კოოპერატივში შეტანილი

---

[1] თ. ჟივკოვი დაიბადა 1911 წ. ღარიბი გლეხის ოჯახში. 19 წლისა შეეიდა ბულგარეთის კომკავშირში, 1932 წელს კი კომპარტიაში, რომელიც მაშინ იატაკქვეშ მუშაობდა. თ. ჟივკოვი, ბულგარეთის ფაშისტური გერმანიის მხარეზე ჩაბმის შემდეგ გახდა პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიურად მონაწილეობდა 1944 წლის 9 სექტემბრის აჯანყების ორგანიზაციაში. აჯანყების გამარჯვების შემდეგ აქტიურად მონაწილეობს პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაში, ირჩევენ ბკპ ცკ-ში, ხდება სოფიის კომიტეტის მდივანი. 1951 წელს აირჩიეს ცკ მდივნად, შემდეგ ბკპ პოლიტბიუროს წევრად 1954 წლიდან კი გახდა ბკპ ცკ-ის პირველი მდივანი, 1962-71 წწ, ჟივკოვი იმავე დროს იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1971 წლიდან კი არის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

მიწის ფართობის მიხედვითაც. შემდეგ კი თანდათანობით, თვით კოოპერატივის წევრთა გადაწყვეტილებით, მიწაზე კოოპერატივის შემოსავლის განაწილება მცირდებოდა და საბოლოოდ გაუქმდა. ამრიგად, მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის კოოპერატივის შემოსავლის განაწილება მის წევრთა შორის ხდებოდა სოციალისტური პრინციპების საფუძველზე — შრომადღეების მიხედვით.

მეორე ხუთწლედში დიდი იყო წარმატებები აგრეთვე საირიგაციო სისტემის გაფართოების საქმეში: ომამდელ ბულგარეთში სარწყავი მიწების ფართობი აღწევდა 375 ათას დეკარს (დეკარი უდრის 0,1 ჰექტარს), 1957 წლისათვის ეს ციფრი 9 მილიონ დეკარამდე გადიდდა. ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად 1980 წლისათვის სარწყავი მიწების ფართობი მიაღწევს 29 მილიონ დეკარს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბულგარეთში აითვისებენ სარწყავად გამოსადეგი მთელი მიწების 80%-ს. ამრიგად, მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ დამთავრდა ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნა და ბულგარეთი გადაიქცა სოციალისტურ ინდუსტრიულ ქვეყნად მსხვილი კოოპერირებული სოფლის მეურნეობით. თუ 1948 წელს თანაფარდობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას შორის შეადგენდა 30:70, 1958 წელს იგი შეადგენდა 68:32. ბულგარეთის სახალხო მეურნეობაში წარმოების საშუალებებზე სოციალისტურმა საკუთრებამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მის ორ ფორმაში — სახელმწიფოებრივსა და კოოპერატიულში. დამთავრდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გარდამავალი პერიოდი.

სოციალისტური წარმოების წესის მთლიანმა გამარჯვებამ ღრმა ცვლილებები გამოიწვია ბულგარეთის საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში: კაპიტალისტთა კლასი მთლიანად იქნა ლიკვიდირებული. ხალხი გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნების ბატონ-პატრონად. სოფლის კოოპერაციული საკუთრების საფუძველზე ჩამოყალიბდა კოოპერატიული გლეხის კლასი, განმტკიცდა კავშირი მუშათა კლასსა, გლეხობასა და ამ კლასებისაგან ჩამოყალიბებულ მშრომელ ინტელიგენციას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის.

1958 წელს შემდგარმა ბულგარეთის კომპარტიის VII ყრილობამ დასაბუთებული დასკვნა გააკეთა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. თ. ჟივკოვმა ყრილობაზე განაცხადა: „ჩამორჩენილი ქვეყნიდან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა გადაიქცა სოციალისტურ ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, მსხვილი კოოპერატიული და მექანიზირებული სოფლის მეურნეობით“. ყრილობამ განაცხადა, რომ „სოციალიზმმა ბულგარეთში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა“[1].

[1] Т. Живков. Избранные статьи и речи, т. I, М., 1964, зз. 443.

მეორე ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ქალაქისა და სოფლის მშრომელების მატერიალური და კულტურული დონე: 28%-ით შემცირდა ფასები ფართო მოხმარების საგნებზე, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი საშუალოდ 27%-ით, გლეხთა შემოსავალი კი 40%-ით გაიზარდა. საბინაო მშენებლობა ამავე პერიოდში მთლიანად მთელ რესპუბლიკაში, ქალაქადაც და სოფლადაც, ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა—აგებულ იქნა 8,2 მლნ. კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართობი.

ორი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ბულგარეთში შეიქმნა წინაპირობები სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე გადასასვლელად. ამ ორ ხუთწლედში ბულგარეთის ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია და ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. ბულგარეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განმასხვავებელი თვისება ის არის, რომ ქვეყანაში ახლად შეიქმნა მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგები: მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და უპირატესად მრეწველობის ენერგეტიკული დარგები. აღმოცენდნენ ახალი ინდუსტრიული ცენტრები — დიმიტროვგრადი, რუდეზემი, მადანი, ბატაკი, კირჯალი, როდოპი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთი მდიდარია ფერადი ლითონებით — ტყვიისა და თუთიის მარაგით, მეორე მსოფლიო ომამდე მისი წარმოება არ იყო. დემოკრატიული რეჟიმის დროს ფერადი მეტალურგიის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა. ამის შედეგად უკვე 1960 წელს ბულგარეთმა მსოფლიოში ტყვიის წარმოებით მეცამეტე, თუთიის წარმოებით კი მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა. თუ მანამდე ბულგარეთს შემოჰქონდა ფერადი ლითონები, ამის შემდეგ იგი, პირიქით, მის ექსპორტიორად გადაიქცა. კომუნისტური პარტიის VII ყრილობამ, რომელიც 1958 წ. ივნისში შედგა, მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმის (1958—1962 წწ.) დირექტივები. მესამე ხუთწლედის მთავარი ამოცანა იყო ბულგარეთში სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობა ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის გზით. სამრეწველო წარმოება ხუთწლედში 1957 წელთან შედარებით უნდა გაზრდილიყო 62%-ით, სოფლის მეურნეობის წარმოება კი 35%-ით. ბულგარელმა ხალხმა დიდი შრომითი შემართების შედეგად მესამე ხუთწლედი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით სამ წელიწადში შეასრულა. 1960 წლისათვის სამრეწველო წარმოება 63%-ით გაიზარდა წინა ხუთწლედის შედეგების მაჩვენებლებთან შედარებით და 12,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1960 წლისათვის მთლიანად დასრულდა გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირება.

1962 წლის ნოემბერში შემდგარმა ბულგარეთის კომპარტიის VIII ყრილობამ შეაჯამა განვლილი პერიოდის სოციალისტური მშენებლობის შედეგები ქვეყანაში და აღნიშნა, რომ ბულგარეთში წარმატებით განხორციელდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გარდამავალი პერიოდის ამოცანები და უზრუნველყოფილია სოციალიზმის სრული გამარჯვება.

ბულგარელ ხალხს თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი. სწორედ ეს დახმარება იყო ერთ-ერთი მთავარი საწინდარი ბულგარელი ხალხის დიდი წარმატებებისა. 1963 წლის ოქტომბრისათვის, ე. ი. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობის 19 წლის განმავლობაში, საბჭოთა პროექტებით, საბჭოთა მანქანებისა და საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აიგო მთელი რიგი მსხვილი საწარმოები, კერძოდ, აშენდა 70 სამრეწველო საწარმო და საამქრო, ხოლო 32 საწარმო მშენებლობის დამთავრების პროცესში იყო. მათი აგებისათვის საბჭოთა კავშირმა ბულგარეთს ხელსაყრელ პირობებში მისცა კრედიტი 1200 მილიონი ლევის რაოდენობით. ამ პერიოდში სსრ კავშირიდან მიღებულია დაახლოებით 3000 კომპლექტის რაოდენობის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია, თითქმის 3,500 საბჭოთა სპეციალისტი მუშაობდა ახალ მშენებლობაზე, მონაწილეობას იღებდა მოწყობილობის მონტაჟსა და მის ამუშავებაში. შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილება მტკიცე ბაზას ქმნის სოციალისტური ქვეყნების ურთიერთეკონომიური კავშირის განმტკიცებისათვის.. ბულგარეთის ხვედრი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში სოციალისტურ ქვეყნებთან 1962 წლისათვის აღწევდა 82.6 პროცენტს.

§ 8. ბულგარეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში

ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების, გარდამავალი პერიოდის ძირითადი ამოცანების განხორციელებისა და სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად ბულგარეთში შეიქმნა აუცილებელი წინაპირობები ქვეყნის გადასვლისათვის ახალი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე. 1962 წლის ნოემბერში მოწვეულმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ მიიღო ქვეყნის შემდგომი განვითარების დირექტივები 1961 — 1980 წლებისათვის. ამ გენერალური პერსპექტიული გეგმის მთავარი ეკონომიური ამოცანაა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დასრულება და თანდათანობით გადასვლა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაზე.

ბკპ-ის VIII ყრილობამ, გენერალური პერსპექტიული გეგმის შესაბამისად დაამტკიცა მეოთხე ხუთწლიანი გეგმა (1961—1965), რომლის განხორციელება უკვე 1961 წლიდან დაიწყო. მისი მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდა და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.

1965 წლისათვის ბულგარეთმა წარმატებით დაამთავრა სახალხო მეურნეობის მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულება. 1961 — 1965 წლებში იმდენივე ძირითადი საწარმოო ფონდი შეიქმნა, რამდენიც — 1944 წლიდან დაწყებული 1960 წლამდე. მეოთხე ხუთწლედის ბოლოს მრეწველობის საერთო პროდუქცია 1960 წელთან შედარებით 73%-ით გადიდდა, რაც 21-ჯერ მეტი იყო ომამდელ დონესთან შედარებით. მრეწველობის ხვედრითი წონა ქვეყნის მთელი პროდუქციის საერთო წარმოებაში 74%-ს შეადგენდა. ამრიგად, მეოთხე ხუთწლედის ბოლოს მრეწველობამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ქვეყნის ეკონომიკაში. მნიშვნელოვანი იყო წარმატებები აგრეთვე სოფლის მეურნეობაში, რომლის წარმატებამ ორჯერ მეტად გადააჭარბა ომამდელს.

მეოთხე ხუთწლედი ბულგარეთის ეკონომიურ ცხოვრებაში იმითაც აღსანიშნავია, რომ 1964 წლიდან დაიწყო სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და ხელმძღვანელობის სისტემის ექსპერიმენტები. დაგეგმვის ძველმა სისტემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაში, ოთხივე ხუთწლიანი გეგმის შედგენასა და განხორციელებაში. მაგრამ ეს სისტემა უკვე აღარ შეესაბამებოდა ბულგარეთის მაღალ ეკონომიურ დონეს. გატარდა რიგი ღონისძიებები ხელმძღვანელობის მეტისმეტი ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ფართო განვითარება ჰპოვა საწარმოებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებამ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საერთო შემოსავალი ბულგარეთში, ისევე როგორც ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში, ზემოდან არ იგეგმება, არამედ ბიუჯეტისათვის დადგენილია მტკიცე პროცენტული ანარიცხი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ (1966 წლის ნოემბერში) დაამტკიცა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის (1966 — 1970 წწ.) ძირითადი ამოცანები. მეხუთე ხუთწლედი ითვალისწინებდა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების ფართოდ გამოყენების საფუძველზე და მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალი სისტემის თანმიმდევრულად დანერგვის გზით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციასა და მოდერნიზაციას, შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკის

ეფექტურობის ამაღლებას. საყურადღებოა, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის სამრეწველო წარმოების მოცულობის გაზრდა გათვალისწინებული იყო 70%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა კი—30%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის მთელი მატების 90% და სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 70% უნდა მიღებულიყო შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე.

ბულგარელი ხალხი დიდი პატრიოტული გრძნობითა და შრომითი შემართებით შეუდგა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებას.

1969 წელი ბულგარელი ხალხისათვის საიუბილეო წელი იყო: ქვეყანამ 1969 წლის 9 სექტემბერს აღნიშნა სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავი. ბულგარელი ხალხის ამ საყოველთაო სახალხო ზეიმზე მონაწილეობდნენ მოძმე ქვეყნების მთავრობისა და პარტიის დელეგატები: სსრ კავშირიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან, მონგოლეთიდან, გდრ-იდან და ა. შ.

საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. თ. ჟივკოვი, რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა ბულგარეთის სოფლად მომხდარი ცვლილებები: „სიღატაკისაგან გატანჯული, პატარა ბავშვობიდანვე ცხვარსა და ხარს მიჯაჭვული, შრომითა და დარდით ღონემიხდილი, უდროოდ დაბერებული, მომავალში არავითარი იმედის ნაპერწკალი რომ არ ჰქონდა, არც თავისათვის, არც თავისი ბავშვებისათვის, ძველი ბულგარელი გლეხი ერთი კვალისათვის მზად იყო ნაჯახი აეწია თავის ძმაზე... ახლანდელი გლეხი, კოოპერატორი თავისუფალია კერძო საკუთრებისაგან; იგი არ შიმშილობს, რათა დააგროვოს კაპიკები მიწისა და ხარის საყიდლად; მან არ იცის მარტოობისა და გამოუვალობის გრძნობა“[1].

1969 წლისათვის ბულგარეთში იყო 850-ზე მეტი კოოპერატიები და 200-ზე მეტი სახელმწიფო მეურნეობა, რომლებიც აერთიანებდა 1,100 ათას გლეხთა კომლს, მინდვრებში მუშაობდა 84 ათასი ტრაქტორი. შრომის ნაყოფიერება სოფლად 25 წლის განმავლობაში გაიზარდა 4-ჯერ, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 2-ჯერ და უფრო მეტად.

კიდევ უფრო დიდია წარმატებები მრეწველობაში. 1969 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ გადააჭარბა 1939 წლის დონეს 33-ჯერ. მათ შორის ელექტროენერგიისამ 6-ჯერ, მანქანათმშენებლობის პროდუქციამ—378-ჯერ.

ბულგარეთმა პირველი ადგილი დაიკავა ბალკანეთის ქვეყნებს შო-

---

[1] გაზეთი „პრავდა“, 1969 წ. 11/IX.

რის ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის, სპილენძის, გოგირდ-მჟავის, თუთიის, ტყვიის, აზოტოვანი სასუქების, შალისა და ბამბის ქსოვილების, რადიომიმღებების და სხვა პროდუქციის წარმოებით. 1969 წლისათვის ელექტროენერგიის წარმოებამ ერთ სულ მოსახლეზე 2030 კვ. საათს მიაღწია, 1939 წლისათვის კი 1 სულ მოსახლეზე 3 კვ.-საათს შეადგენდა.

მძიმე მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისა და ერთდროულად მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გაზრდის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა თანაფარდობა სამრეწველო პროდუქციის საგარეო მოცულობაში, წარმოების საშუალების წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის. 1968 წელს იგი შეადგენდა 56,5:43,5, 1939 წელს კი 22,6:77,4. ეროვნული შემოსავალი 25 წლის განმავლობაში გაიზარდა 5-ჯერ. 12 დღეში ბულგარეთი იმდენსავე სამრეწველო პროდუქციას უშვებდა, რამდენსაც 1939 წელს.

1969 წელს ბულგარეთის სახალხო მეურნეობამ კიდევ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ. 1964 წლიდან დაწყებული მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალი სისტემის შემოწმება დამთავრდა 1966 წლისათვის, 1969 წლიდან კი იგი გავრცელდა სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგსა და სფეროში. ახალი სისტემა წარმოებას ათავისუფლებს ზედმეტი რეგლამენტაციისაგან, აფართოებს მის უფლებებს და ავითარებს ინიციატივას. წარმოებები იღებენ უფლებებს საწარმოო ფონდების გამოყენებაზე, დადონ ხელშეკრულებები ნედლეულის შესყიდვისა და მზა პროდუქციის გასაღებაზე და ა. შ.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ბულგარელმა ხალხმა დიდი წარმატებით განახორციელა. მეხუთე ხუთწლედში კვლავ მაღალი ტემპებით ვითარდებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ხორციელდებოდა ეკონომიკის განვითარებაში შემობრუნება ექსტენსიურიდან ინტენსიურისაკენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში. წარმატებები და მიღწევები შემდეგნაირი ხასიათისაა. მრეწველობის პროდუქცია 1970 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 2-ჯერ, ქიმიური და რეზინის მრეწველობისა—2,7-ჯერ, შავი ლითონების წარმოებისა 2,3-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობისა—2,1-ჯერ, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციისა—62,3%-ით, გემოკვების მრეწველობა — 36,6%-ით. მთელი ხუთწლედის განმავლობაში მშრომელთა რეალური შემოსავალი გაიზარდა 33,5%-ით.

მთლიანად, 1970 წელს მრეწველობამ 70%-ით მეტი პროდუქცია აწარმოა, ვიდრე 1965 წელს. შრომის ნაყოფიერება ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 40%-ით, ეროვნული შემოსავალი კი—52%-ით. საყურადღებოა, რომ ეროვნული შემოსავლის მატების 97% შრომის-

ნაყოფიერების ამაღლების შედეგად არის მიღწეული. სოფლის მეურნეობის ყოველწლიური საშუალო წარმოება მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 26%-ით.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბულგარეთს კომუნისტური პარტიის ცკ-ის 1970 წლის აპრილის პლენუმს. აქ განიხილეს ბკპ-ის ცკ-ის პირველი მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. ჟივკოვის მოხსენება „სოფლის მეურნეობის კონცენტრაციისა და განვითარების შესახებ სამრეწველო საფუძველზე". პლენუმის გადაწყვეტილება ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისია, რომელიც ხასიათდება სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციის ამაღლებით და ამ საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, წარმოებასა და მართვაში სამრეწველო მეთოდების გამოყენების გზით. ამისათვის გამოყენებული იქნა სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს მსხვილ ეკონომიურად ძლიერ სოციალისტურ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას წარმოების მაღალი კონცენტრაციით და დარგობრივი სპეციალიზაციით. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი იქმნება იმ კოოპერატიული და სახელმწიფო მეურნეობების ნებაყოფლობითი გაერთიანებით, რომლებიც ხასიათდებიან მსგავსი ბუნებრივი და ეკონომიური პირობებით. ამასთანავე ისინი ინარჩუნებენ თავის იურიდიულ დამოუკიდებლობასა და ორგანიზაციულ ფორმებს. ამით უზრუნველყოფილი ხდება სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ახალი ეკონომური ორგანიზაციის არსებული ფორმების მემკვიდრეობითობის შენარჩუნება. აგრარული კომპლექსების ძირითადი ამოცანაა საწარმოების ეკონომიური ინტეგრირების ამაღლება, სოფლის მეურნეობის საწარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის გზით, ამისათვის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების ჩარჩოებში იქმნება ოპტიმალურ ზომებში სპეციალიზირებული მასივები ერთნაირი კულტურებისა, მეცხოველეობის ფერმები, ფურაჟისა და ნედლეულის ბაზები კვების მრეწველობისა. მარტო 1970 წლის აპრილიდან დეკემბრამდე შეიქმნა 140-მდე აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რომელთაგან თითოეული აერთიანებს 20 ათასიდან 40 ათასამდე ჰექტარ მიწას და თავის განკარგულებაში აქვს უდიდესი სოფლის მეურნეობის ტექნიკა. დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ღონისძიებაა მინისტრთა საბჭოს მიერ 1970 წლის 20 ნოემბერს მიღებული დადგენილება, რომლითაც წარმოების კონცენტრაციის ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ფორმად მიჩნეულია სამეურნეო გაერთიანებანი. ამის შესაბამისად დადგენილებაში მითითებულია, რომ ასეთი გაერთიანებანი, უნდა გადაიქცნენ მოქმედ ეკონომიურ ერთეულებად, რომლებიც უფრო

წარმატებით უხელმძღვანელებენ დარგობრივი ან ქვედარგობრივი საწარმოების მთელ სამეურნეო ცხოვრებას. მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად განხორციელდა სამეურნეო ცხოვრების რეორგანიზაცია. 1970 წელს არსებული 119 სახელმწიფო გაერთიანების ნაცვლად უკვე 1971 წლის პირველი იანვრისათვის 65 უმსხვილესი გაერთიანება შეიქმნა. ამასთან ერთად, სახელმწიფო სამეურნეო გაერთიანებების ახალი სტატუსი იქნა მიღებული, რომლის შესაბამისად ამ გაერთიანებებს დიდი უფლებები და შესაძლებლობები ენიჭებოდა. მათ შეუძლიათ შეიმუშაონ ეკონომიური პოლიტიკა და დარგის განვითარების სტრატეგია. ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ მთელ კომერციულ მოღვაწეობას, ქმნიან თავის საინვენსტიციო ფონდებს და პასუხისმგებელნი არიან სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებაში.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად მიღებული იქნა მეექვსე ხუთწლიანი გეგმა (1971 — 1975 წწ.), რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფისათვის მუშაობის შემდგომ თანმიმდევრულ გაგრძელებას, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ეფექტურობის ამაღლებას, ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას, ხალხის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების კომპლექსურ უზრუნველყოფას და უფრო მთლიან დაკმაყოფილებას, სოციალისტური შეგნების ამაღლებას. სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 55-60%-ით, სოფლის მეურნეობისა—17-20%-ით, ეროვნული შემოსავალი კი—45-50%-ით.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა დაამტკიცა ბულგარეთის კომპარტიის X ყრილობამ, რომელიც 1971 წლის აპრილში შედგა. ყრილობას ესწრებოდნენ მოძმე პარტიების დელეგაციები, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. პარტიის X ყრილობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა იყო ქვეყნის ცხოვრებაში. ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი —განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამა. ახალი პროგრამა ითვალისწინებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დასრულებას და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის მატერიალური და სულიერი წანამძღვრის შექმნას. ყრილობამ აღნიშნა, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნა შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების ყოველმხრივი გამოყენებისა და ბულგარეთის ეკონომიკის სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკასთან დაახლოების პროცესის შემდგომი გაღრმავების საფუძველზე. ეს ახალი პროგრამა გამომდინარეობს იქიდან, რომ განვითარებული სოციალისტური სა-

ზოგადოების მშენებლობის პროცესი წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციური პროცესის ნაწილს, რომელიც ვითარდება ობიექტური კანონების შესაბამისად. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება პროგრამაში დახასიათებულია, როგორც კომუნისტური ფორმაციის განვითარების ეტაპის პირველი ფაზა.

ყრილობამ ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად კვლავ თ. ჟივკოვი აირჩია.

ყრილობამ მოიწონა აგრეთვე კონსტიტუციის პროექტი, რომელიც შემუშავებულ იქნა კომისიის მიერ თ. ჟივკოვის თავმჯდომარეობით და გამოქვეყნდა 30 მარტს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის[1]. კონსტიტუცია 16 მაისს იქნა მიღებული საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის მიერ მოწონების შემდეგ. მასში დაკანონებულია ის ღრმა სოციალურ-ეკონომიური ცვლილებები, რომელიც განხორციელდა ქვეყანაში. იგი წარმოადგენს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების სამართლებრივ საფუძველს.

1971 წლის კონსტიტუციამ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ზოგიერთი ცვლილებები შეიტანა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, გაიზარდა და გაფართოვდა სახალხო კრებისა და სახელმწიფო ორგანოების უფლებები, რომელთაც მიენიჭათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

1971 წლის ივნისის ბოლოს, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარდა სახალხო კრებისა და ადგილობრივი სახალხო საბჭოების, აგრეთვე სასამართლოების არჩევნები. არჩევნებში მონაწილეთა 99.9%-მა ხმა მისცა სამამულო ფრონტის კანდიდატებს; სამამულო ფრონტში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, გაერთიანებული არიან კომპარტია, მიწათმოქმედების სახალხო კავშირი, კომკავშირი და უპარტიოები. სახალხო კრებაში არჩეულ 400 დეპუტატიდან 266 ბულგარეთის კომპარტიის წევრია, 100 მიწათმოქმედების სახალხო კავშირიდანაა და 34 უპარტიოა.

1971 წლის ივლისში სახალხო კრების სესიამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია თ. ჟივკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი სტანკო თოდოროვი[2].

---

[1] 1971 წლის კონსტიტუციამ შეცვალა 1947 წლის კონსტიტუცია, ამ უკანასკნელში ცალკეული ცვლილებები შეტანილი იქნა 1961, 1965 და 1969 წლებში.

[2] სტანკო თოდოროვი 1920 წელს დაიბადა. 16 წლისა გახდა მუშა-ახალგაზრდობის კავშირის წევრი, 1943 წლიდან კი ბულგარეთის კომპარტიის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ანტიფაშისტურ მოძრაობაში. 9 სექტემბრის აჯანყების შემდეგ მას ეკავა ბულგარეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ადგილი, შემდეგ ბკპ-ის ცკ-ში განყოფილების უფროსის, მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობა. 1961 წლიდან გახდა ბკპ-ის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. მრავალი წლის განმავლობაში იყო ბულგარეთის წარმომადგენლად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში, ბკპ-ის IX ყრილობაზე აირჩიეს ცკ-ის მდივნად.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანებისა და აქედან გამომდინარე მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებითი განხორციელების შესაბამისად ბულგარეთის ეკონომიკა სულ უფრო მკვეთრად იღებს ინტენსიურ ტიპის სახეს. თანამედროვე ბულგარეთის ეკონომიკა — ეს რთული მრავალდარგობრივი სახალხო სამეურნეო კომპლექსია, რომელიც ვითარდება მაღალი და სტაბილური ტემპებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის პროგრესულ სრულყოფას. ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წონა იზრდება. იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაც. ბულგარეთის სოციალისტური მრეწველობა სახალხო მეურნეობის ყველაზე უფრო დინამიკური დარგია. 1950—1973 წლებში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 16-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი 1951 — 1973 წლებში იყო 12.6%. 1950 წლისათვის მრეწველობამ შექმნა ეროვნული შემოსავლის 36,8%, 1973 წლისათვის კი 51,5%.

განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდება მანქანათმშენებლობა. საყურადღებოა, რომ მანქანათმშენებლობის მრეწველობის შექმნა ბულგარელმა ხალხმა ფაქტიურად სახალხო რეჟიმის დროს დაიწყო ნულიდან. 1973 წლისათვის მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოებაში შეადგენდა 23%-ს. 1972 წლისათვის 1950 წელთან შედარებით მანქანათმშენებლობის მოცულობა გაიზარდა 47-ჯერ. 1973 წლისათვის ბულგარეთმა აწარმოა 24,4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ორჯერ მეტია 1965 წლის დონესთან შედარებით, ხოლო შავი ლითონების წარმოება 2 მილიონ ტონაზე მეტს შეადგენდა, ან ხუთჯერ მეტი იყო, ვიდრე 1965 წელს. საყურადღებოა, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მარტო პირველი სამი წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში გადაეცა 864 მეგავატის[1] სიმძლავრის ელექტროსადგურები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ბულგარეთის მრეწველობის წამყვან დარგებში. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში უპირატესად ვითარდება ელექტრონიკა, რადიოტექნიკა, ავტომატიკა, ხელსაწყოების მშენებლობის, ამწე-სატრანსპორტო, სოფლის მეურნეობების მოწყობილობების და მანქანების წარმოება. ქიმიურ მრეწველობაში იზრდება ნავთის და გაზის გადამამუშავებელი წარმოების ხვედრითი წონა, რის შედეგად ფართოვდება პლასტმასის, სინთეზური ფისის, ბოჭკოების, კაუჩუკის და სასუქების წარმოება. ქვეყნის სათბობ-ენერგეტი-

[1] მეგავატი — ელექტრონის სიძლიერის ზომაა, რომელიც უდრის 1 მილიონ კვტ-საათს.

კულ ბალანსში იზრდება ნავთის, ბუსებრივი გაზის და ელექტროენერგიის ხვედრითი წონა. ახლო მომავალში განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით გაიზრდება ატომგულის ენერგეტიკა. მაგალითად, ქვეყნის განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით მწყობრში ჩადგა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პირველი ატომური ელექტროსადგური, რომელმაც 1980 წლისათვის უნდა აწარმოოს ქვეყნის მთელი ელექტროენერგიის მეოთხედი ნაწილი. 1974 წელს მწყობრში ჩამდგარი პირველი რიგის ატომური ელექტროსადგურის სიმძლავრე 440 ათასი კილოვატია. ამ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება საბჭოთა კავშირის დახმარებით.

თანამედროვე ბულგარეთში სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციის პერსპექტიული ფორმა გახდა აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც იქმნება საწარმოო სოფლის მეურნეობის კოოპერატივებისა და სახელმწიფო მეურნეობების გაერთიანების საფუძველზე. აგრარულ-სამრეწველო კომპლექსები არა მარტო ამაღლებენ სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტურობას, არამედ წარმოადგენენ ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ერთიანი სახალხო საკუთრების შექმნის საქმეში სახელმწიფო და კოოპერატიული სოფლის მეურნეობის ფორმების გაერთიანების საფუძველზე. სოფლის მეურნეობის წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციის და ინდუსტრიალიზაციის ეს ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომლის საფუძველია აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, მეექვსე ხუთწლედში უფრო ფართოდ ვითარდებოდა. 1973 წლის შემოდგომისათვის ბულგარეთში უკვე მოქმედებდა 170 აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი, რომელიც აერთიანებდა მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის 90%-ზე მეტ დასამუშავებელ მიწას და სამუშაო ძალას. კომპლექსის ჩარჩოებში ერთიანდებიან აგრეთვე რემონტის, მომარაგების, ტრანსპორტის საქმიანობა, იქმნება აგროქიმიური ცენტრები.

1972 წლის დეკემბრის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა სამრეწველო-აგრარული გაერთიანება „ბულგარეთის შაქარი“, რომლის შემადგენლობაში შევიდა შვიდი სამრეწველო-აგრარული კომპლექსი, რომლებიც სპეციალიზირებული არიან შაქრის, რძის და ხორცის წარმოებაზე. ეს სამრეწველო-აგრარული კომპლექსი არის სოფლის მეურნეობის წარმოების ინტეგრაციის ფორმა გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე მტკიცდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მაღალ ტექნიკურ აღჭურვილობაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 1973 წელს იქ მუშაობდა 110 ათასი ტრაქტორი, 19,5 ათასი კომბაინი და ათეული-

ათასობით სხვა მანქანები, 1948 წლისათვის კი მხოლოდ 5 ათასი ტრაქტორი იყო. 1973 წლისათვის ბულგარეთის სოფლის მეურნეობას მიაწოდეს 633 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 1950 წლისათვის კი—მხოლოდ 6,2 ათასი ტონა. როგორც ადრე აღვნიშნეთ ფართოდ ხორციელდება ჰიდრომელიორაციული მშენებლობაც, 1973 წლისათვის სარწყავი ფართობი შეადგენდა 1,2 მლნ ჰექტარ მიწას (20% მთელი დასამუშავებელი მიწისა).

ყველაფერი ეს ქმნის აუცილებელ წინაპირობებს სოფლის მეურნეობის წარმოების სწრაფი ზრდისათვის და მისი ეფექტურობის ამაღლებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1974 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 3-ჯერ. ბულგარეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში მინერალური სასუქების გამოყენების საქმეში 1 ჰექტარი მიწის ფართობის ანგარიშით.

ბულგარელი ხალხი დიდი წარმატებით ახორციელებს მეექვსე ხუთწლიან გეგმას. 1974 წლისათვის სამრეწველო წარმოება 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 40.9 პროცენტით, ეროვნული შემოსავალი შესაბამისად გაიზარდა 33.3 პროცენტით, კაპიტალური დაბანდებანი—31%-ით. მარტო 1973 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის ანგარიშში მიღებული იქნა ეროვნული შემოსავლის მატება 95%-ით და 79%-ით კი სამრეწველო პროდუქციის მატება. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა განუყრელად დაკავშირებულია ბულგარელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტლად ზრდასთან. „ზრუნვა ადამიანზე, აღნიშნულია ბკპ-ის პროგრამაში — ძირითადი ზრუნვაა პარტიისა, აზრი და შინაარსია მთელი მისი პოლიტიკისა“. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი არსებობის მანძილზე განუხრელად იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი, რაც სახალხო მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა განუხრელად ეზრუნა ხალხთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაზე. 1950—1973 წლებში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 7,4-ჯერ, ხელფასი კი 3-ჯერ. მეხუთე ხუთწლედში და მეექვსე ხუთწლედის დასაწყისში მშრომელთა რეალური შემოსავლის გაზრდა ხორციელდებოდა უმთავრესად შრომითი ჯილდოების გაზრდით. 1971 წლისათვის საშუალო ხელფასი აღწევდა 127 ლევს, ხოლო საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების სახსრებთან ერთად—173 ლევს. 1973 წელს მინიმალური ხელფასი იყო 65-ან 80 ლევამდე, რომელიც უთანაბრდებოდა 1956 წელში არსებულ მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიურ ხელფასს.

1972 წლის დეკემბერში შედგა ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის

გაფართოებული პლენუმი, რომელმაც განიხილა აძხ. თ. ჟივკოვის მოხსენება „ბკპ-ის X ყრილობის გადაწყვეტილებები ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლების თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ". პლენუმმა დაამტკიცა სოციალური ღონისძიებების ფართო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გაზრდას, კოოპერატივების შემოსავლის, პენსიების და დახმარებების გაზრდას, საბინაო პირობებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებით, კომუნალური მომსახურეობით და ა. შ.

1973 წელი იყო პირველი წელი ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლების კომპლექსური ეროვნული პროგრამის განხორციელებისა. ერთი წლის განმავლობაში ამ პროგრამის მიღებიდან მშრომელთა ზოგიერთი კატეგორიის ხელფასი (დაახლოებით 1,5 მლნ კაცი) გაიზარდა 18-26%-ით. განხორციელდა აგრეთვე ფასების დაკლება ხალხთა მოხმარების საგნებზე და საყოფაცხოვრებო მომსახურეობაზე. 1973 წლის დადგენილებით შემცირდა სამუშაო დღე და შემოღებულ იქნა ხუთდღიანი სამუშაო კვირა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოხმარების სტრუქტურაში.

დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. სახალხო ხელისუფლების დროს ქვეყნის საცხოვრებელი ფონდი ნახევარზე მეტად გაიზარდა. მარტო 1974 წლისათვის აგებული იქნა 44.5 ათასი საცხოვრებელი ბინა. დიდია წარმატებები ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, მაგალითად, ექიმთა რაოდენობის მიხედვით 1 ათას მოსახლეზე, სიკვდილიანობის შემცირების მიხედვით საერთოდ და განსაკუთრებით ბავშვებში და ა. შ., ბულგარეთი ინგლისზე, საფრანგეთზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, ავსტრიაზე და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებზე წინ დგას.

დიდი მიღწევებია სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში. 1972/73 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 1,121 ათასი კაცი, 1950/51 წლებში კი მათი რაოდენობა 970 ათასი კაცი იყო. 1973/74 სასწავლო წელს 28 უმაღლესი სასწავლებელი იყო ქვეყანაში, სადაც 103,5 ათასი სტუდენტი სწავლობდა. ბულგარეთის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპები, მისი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდა ერთხელ კიდევ ადასტურებს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურზე. ბულგარეთის ეს დიადი წარმატებები იმით აიხსნება, რომ მის ხალხს თავის წინაშე ნათელი მიზნები აქვთ: დაამთავროს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და გადავიდეს კომუნიზმის მშენებლობაზე.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა—მშვიდობის, მეგობრობის და სოციალიზმის განმტკიცების პოლიტიკაა

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა „ესაა თანმიმდევრულად ინტერნაციონალური, ნამდვილად დემოკრატიული და მშვიდობიანი პოლიტიკა". ასეთი პოლიტიკის არსი განისაზღვრება სოციალისტური ბუნებით, ბულგარეთის კომპარტიის მარქსისტულ-ლენინური ხასიათით, მისი ერთგულებით ბულგარეთისა და რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესებისადმი. თანამედროვე ბულგარეთის საგარეო პოლიტიკა არის პოლიტიკა სახელმწიფოსი, რომელიც განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს და ბულგარელი ხალხის ამ დიადი, საშინაო ამოცანებიდან გამომდინარე ახორციელებს მშვიდობიან სოციალისტურ საგარეო პოლიტიკას. ამრიგად, საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება საშინაო პოლიტიკით და მის გაგრძელებას წარმოადგენს, იგი მთლიანად ბულგარელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურება. ასეთი თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელი გახდა სახალხო რეჟიმის დამყარებისა და მონარქიულ-ფაშისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. ძველი რეჟიმის დროინდელი ბულგარეთი წარმოადგენდა საზღვარგარეთისა და უპირველეს ყოვლისა გერმანიის იმპერიალიზმის ექსპლოატაციის და ჩაგვრის ობიექტს, სათამაშო ტიკინას, რომელსაც იგი იყენებდა ბალკანეთში და ახლო აღმოსავლეთში თავისი იმპერიალისტური ბატონობის დამყარების იარაღად. ამის შედეგი ის იყო, რომ, როგორც გ. დიმიტროვი აღნიშნავდა, ბულგარეთი სამჯერ აღმოჩნდა „კატასტროფის ზღვარზე და კინაღამ დაიღუპა"[1]. ბულგარეთი წარმოადგენს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განუყოფელ ნაწილს. იგი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ითვლება ვარშავის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრად. ამიტომ მისი გავლენისა და პრესტიჟის განმტკიცება საერთაშორისო ურთიერთობაში არის საერთო პროცესის ნაწილი მსოფლიო სოციალისტური სისტემის გავლენისა და ავტორიტეტის განმტკიცებისა მთელ მსოფლიოში. სხვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად ბულგარეთი აქტიური მონაწილეა მსოფლიოს მშვიდობის, დემოკრატიის და პროგრესის პრობლემების გადაჭრაში. ესა და სხვა ფაქტები კიდევ ერთხელ მოწმობენ იმას, თუ რა ძირეული ცვლილებები შეიტანა სოციალიზმმა თანამედროვე ეპოქის საერთაშორისო ცხოვრების სისტემასა და სტრუქტურაში. ბულგა-

[1] Г. Димитров, т. III, გვ. 44.

რეთი პრინციპულ, ნათელ და უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს მშვიდობის, უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის მთელ მსოფლიოში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თ. ჟივკოვის მოხსენებაში პარტიის X ყრილობაზე აღინიშნა, რომ „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ განამტკიცა და აამაღლა თავისი საერთაშორისო პრესტიჟი, მისმა პოლიტიკამ დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება, როგორც კონსტრუქტულმა ფაქტორმა ჩვენი დროის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის. არასოდეს ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა ასეთი ფართო საერთაშორისო კავშირი, არასოდეს მას არ ჰყავდა ამდენი მეგობარი ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში"[1].

ძველ ბულგარეთს ოფიციალური ურთერთობა ჰქონდა 30 სახელმწიფოსთან, უმთავრესად ევროპის ქვეყნებთან, დღევანდელ ბულგარეთს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 91 ქვეყანასთან. ბულგარელი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებები სოციალისტურ განვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა პრინციპული და თანმიმდევრული მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის გარეშე, რომელსაც სამამულო ფრონტის მთავრობა თავისი ხელისუფლების დამყარების პირველივე დღიდან ახორციელებს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შესახებ ბკპ-ის X ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ნათქვამია, რომ „ამ პოლიტიკის მიზანია—მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სოციალიზმის მონაპოვრის დაცვას, ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნას, მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და ყველა ქვეყნების კომუნისტების საბრძოლო ძმობის განმტკიცებას, ხალხებისა და მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლების გაძლიერებას, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებასა და გაღრმავებას, ყველა რევოლუციური ძალების შემჭიდროებას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და თანამშრომლობის გამტკიცებას ხალხებს შორის, სოციალიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში"[2].

სოციალისტური ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იურიდიულად დაკანონებულია 1971 წლის კონსტიტუციით, რომლის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ „ბულგარეთის სახელმწიფო ემსახურება ხალხს, აწესრიგებს ეროვნული დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის და ქვეყნის ტერიტორი-

---

[1] X съезд БКП, София, 1972, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 37, იხ. აგრეთვე გაზეთი „პრავდა", 21—26 აპრილი, 1971 წ.

ული მთლიანობის დაცვას, ავითარებს მეგობრობას, თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ახორციელებს ურთიერთგაგების პოლიტიკას ყველა ქვეყანასა და ხალხთან"[1].

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომლის მთავარი ამოცანაა ურთიერთნდობის, ძმური თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების განვითარება ცალკეულ ქვეყნებთან, ეროვნული ინტერესების განუხრელად შეხამება სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებთან, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე სოციალისტური ქვეყნების მოქმედების ერთიანობის განმტკიცება და განვითარება, სოციალისტური ინტეგრაციის გაღრმავება მატერიალურ, საზოგადოებრივ და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში, შეგნებული და ნებაყოფლობითი თვითდისციპლინის, სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესების დასაცავად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოცენებული მოძმე ქვეყნებისა და ხალხების სოციალისტური თანამეგობრობა შემჭიდროვდა და განმტკიცდა საზოგადოებრივი წყობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის შეხედულებების ერთიანობის გამო თანამედროვეობის ძირითად საკითხებზე.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური თანამშრომლობა, ერთობა და ურთიერთდახმარება გამოდის საერთაშორისო ურთიერთობის ჩარჩოებიდან. იგი უფრო მჭიდროა და ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით. კონტაქტები არსებობს მოძმე ქვეყნების ცენტრალურ კომიტეტებს შორის. პარტიისა და სახელმწიფო ხელმძღვანელებს შორის ეწყობა პერიოდული შეხვედრები. აგრეთვე არსებობს კავშირი და თანამშრომლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს შორის.

სოციალისტურ ბულგარეთს მრავალი ხელშეკრულება და შეთანხმება აქვს დადებული სოციალისტურ ქვეყნებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც საიმედო გარანტიაა არა მარტო სოციალისტური მონაპოვრის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის, არამედ უდიდესი დაბრკოლებაა ევროპასა და მთელ მსოფლიოში იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მიღწევებია საბჭოთა კავშირის მეთაურობით ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, რომლის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობაში მოხდა

[1] X съезд БКП, София, 1972, гз. 37. იხ. აგრეთვე გაზეთი „პრავდა", 21—26 აპრილი, 1971 წ.

შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ. ასეთი შემობრუნების ერთ-ერთი შედეგი უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო არენაზე ძალთა თანაფარდობაში ორ სისტემას შორის ცვლილებები სოციალიზმის სასარგებლოდ მოხდა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა აწარმოებს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური და პოლიტიკური აქციების მუდმივ კოორდინაციას. გარდა ამისა, ბულგარეთის საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან დადებულ ორმხრივ პოლიტიკურ ხელშეკრულებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ასეთი ხელშეკრულებების ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განახლება. მაგალითად, 60-70-იან წლებში ბულგარეთმა თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან განაახლა ორმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები. ბულგარეთის კომუნისტური პარტია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას იხილავს არა მარტო როგორც ეროვნულს, არამედ როგორც ინტერნაციონალურ პროცესს. ბკპ-ის ახალ პროგრამაში ხაზგასმულია, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ინტეგრაცია სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, და უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან... სახალხო მეურნეობის სოციალისტური ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკის ქვაკუთხედია“.

ბულგარეთის სოციალისტურ განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან დამყარებული ეკონომიური ურთიერთობა და თანამშრომლობა, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ჩარჩოებში.

თანამედროვე ბულგარეთის საგარეო ეკონომიურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი უკავია სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარებას, საერთაშორისო შრომის დანაწილების გაღრმავებასა და გაშლას, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამის საფუძველზე. სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაცია კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს ქმნის ბულგარეთის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის, მოძმე ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის, საჭირო ნედლეულის და გარანტირებული ბაზრების უზრუნველყოფისათვის ურთიერთდაქვემდებარებულ მჭიდრო კავშირის საფუძველზე. ბულგარეთის ეკონომიურ განვითარებასა და საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილე-

ბაში მის მონაწილეობაზე, მოწმობს ის ფაქტი, რომ სოციალისტური მშენებლობის მთელი პერიოდის დროს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ტემპი ბევრად აღემატება ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპს. მეექვსე ხუთწლედში საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უნდა გაიზარდოს 60—65%-ით, ეროვნული შემოსავალი კი—47-50%-ით. 1974 წლისათვის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1973 წელთან შედარებით გაიზარდა 23,6%-ით, ეროვნული შემოსავალი კი შესაბამისად—7,5%-ით. მეექვსე ხუთწლედის ბოლოს ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მიაღწევს ასტრონომიულ ციფრს—29 მლრდ. ლევს, რაც 10 მილიარდით მეტია მეხუთე ხუდწლედთან შედარებით.

ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის 80% მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე და მისი მთავარი პარტნიორია საბჭოთა კავშირი, რომელზეც მოდის ბულგარეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 55%. ბულგარეთს მეოთხე ადგილი უკავია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში. 1950-1973 წლებში ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საქონელბრუნვა გაიზარდა 22-ჯერ. საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს სახალხო ბულგარეთს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის დახმარებით ბულგარეთში აგებული ქარხნები 1974 წლისათვის აწარმოებდნენ შავი ლითონების პროდუქციის 95%-ს, ნავთისგადამამუშავებელი და ქიმიური მრეწველობის პროდუქციის 80%-ს, ელექტროენერგიის 60%-ს და ა. შ. მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდება 150 საწარმო, რომელთა შორის თავისი მასშტაბით გრანდიოზულია ატომური ელექტროსადგური კოზლოდუეს რაიონში, ლევნის სამრეწველო კომპლექსი და ა. შ. სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის წყალობით წარმატებით იქნა გადაწყვეტილი ბულგარეთის სათბობ ენერგეტიკის და ნედლეულის პრობლემები. ბულგარეთს არა აქვს საკმარისი ნედლეულისა და ენერგეტიკის რესურსები, რომელიც საშუალებას მისცემდა მას განვითარებინა მრავალდარგობრივი წარმოება. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირიდან მიწოდების წყალობით ბულგარეთი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს თავის იმპორტულ მოთხოვნებს ნავთზე, ბუნებრივ გაზზე, თუჯზე, ელექტროენერგიაზე; 2/3-ით-ნავთის პროდუქტებზე, ფოსფორიან სასუქებზე; 3/5-ით-ბამბაზე, ქვანახშირზე, მარგანეცზე; 90%-ით—რკინის მადანზე, 80%-ით—ხე-ტყეზე.

1975 წლისათვის სსრ კავშირი სახალხო ბულგარეთს მიაწვდის 3 მილიარდ კუბმეტრ ბუნებრივ გაზს, 10 მილიონ ტონა ნავთს, 4 მილიარდ კილოვატ საათ ელექტროენერგიას.

1974 წელს დამთავრდა გაზსადენის—სსრკ—ბულგარეთის მშენებლობა, რომლითაც სსრ კავშირი 1975 წლიდან ყოველწლიურად ბულგარეთს აწვდის 3 მილიარდ კუბმეტრ ბუნებრივ გაზს. 1967 წლიდან

მწყობრში ჩადგა ელექტროგადამცემი ხაზი ბიოჩონოვცი—კრაიოვა 220 ათასი ვოლტის ძაბვით, რომლის მეშვეობით ბულგარეთი ჩაერთო ევროპის ერთიანებულ ენერგოსისტემა „მშვიდობას“. 1972 წელს გაიხსნა ელექტროგადამცემი მოლდავეთის სსრ—ბსრ, რომლითაც ბულგარეთი ყოველწლიურად მიიღებს 3-4 მილიარდ კილოვატ საათ ელექტრო-ენერგიას.

1974 წელს ბულგარეთმა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან (უსრ, გდრ, პსრ, სსრკ, ჩსსრ) ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას „ვინიცა—ალბერტირშას (უსრ.)“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში თანამშრომლობის შესახებ. ამ ხაზის სიმძლავრე იქნება 750 ათასი ვოლტი.

ბულგარეთის ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას სსრ კავშირთან, ჟდანოვის მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალთან“ ფოლადის ბლოკებისა და სამსხმელო თუჯის წარმოებაში დამატებითი სიძლიერის შექმნის შესახებ. ბულგარეთი სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს უსტ-ილიმსკის ცელულოზის კომბინატისა და კიემშაევის აზბესტ სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაში. ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ ქვეყნებთან წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში. სახელმწიფო მეურნეობრივი გაერთიანება „ბალკანკარის“ პროდუქციის 95% განკუთვნილია ექსპორტისათვის. 1974 წლისათვის ბულგარეთს მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა ამწე-ტრანსპორტის მანქანების წარმოებით. დიდია მიღწევები საავტომობილო მრეწველობის სპეციალიზაციასა და კოოპერირებაში. ბულგარეთი პოლონეთთან და უნგრეთთან ერთად მსუბუქი მანქანების ვოჟსკის ქარხანას აწვდის 60 დასახელების დეტალს. ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებულია შეთანხმება მძიმე სატვირთო მანქანების „შკოდას“ წარმოებაში მონაწილეობის შესახებ. 1972 წელს ბულგარეთსა და პოლონეთს შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს 100 ათასი ტონა ტვირთმზიდი ტანკერების სერიული მშენებლობის კოოპერირებას.

1971 წელს მიღებული კომპლექსური პროგრამის საფუძველზე ბულგარეთი სპეციალიზებულია 129 ტიპისა და სახეობის (374-დან) ძოწყობილობების წარმოებაში კვების მრეწველობისათვის. იგი აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციის განვითარების შემდეგ დარგებში: ავტომატური ტელეფონების, ელექტროგამომთვლელი, ქიმიური მრეწველობის და ა. შ.

ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების საერთაშორისო სამეურნეო გაერთიანებებ-

ში, რომლებიც იქმნებიან პერსპექტიული წარმოების დარგებში. ბულგარელი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების მიერ დაგეგმილ ბევრ სამეცნიერო კვლევებში და ამ მიზნით თანამეგობრობის ქვეყნებთან 38 მრავალმხრივი შეთანხმებაა დადებული მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ბულგარელი მეცნიერები მონაწილეობენ ქ. დუბნის ატომგულის გაერთიანებულ კვლევით ინსტიტუტში, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრში და ა. შ. ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნების სახალხო მეურნეობების განვითარების გეგმების კოორდინაციაში 1976—1980 წლებსა და გრძელვადიან გეგმებში 1990 წლამდე. თანამედროვე ბულგარეთის, როგორც ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნის, ექსპორტში ჰარბობს სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონა. ამასთანავე იგი არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმსხვილესი მიმწოდებელი. განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდება მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტი. 1950 წლისათვის ბულგარეთს საერთოდ არ გაჰქონდა ასეთი სახის საქონელი. 1972 წლისათვის მანქანა-მოწყობილობების ექსპორტის ხვედრითი წონა საერთო ექსპორტში შეადგენდა 34,1%-ს, 1975 წლისათვის კი მიაღწია 43%-ს. საყურადღებოა, რომ 1973 წელს განვითარებად ქვეყნებში ბულგარეთის ექსპორტის მეხუთედ ნაწილს მანქანები და მოწყობილობები შეადგენდა. ბულგარეთის მრეწველობის ისეთ ნაკეთობებზე, როგორიცაა ელექტროკარები, საზღვაო გემები, ტრაქტორები და მრავალი სხვა, დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო სოციალისტურ და განვითარებად, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ბულგარეთი ითვლება სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმსხვილეს მიმწოდებელ ქვეყნად განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში. დიდი მოთხოვნილებაა ბულგარულ ხილზე, ყურძენზე, პამიდორსა და კონსერვებზე. როგორც აღვნიშნეთ, ბულგარეთს 91 ქვეყანასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ოთხთან კი — საკონსულო ურთიერთობა, რომელთაგან 2/3 ახლად განთავისუფლებული, ახალგაზრდა სახელმწიფოები არიან. ბულგარეთი ყოველმხრივ მხარს უჭერს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და იგი მას თავის ინტერნაციონალურ, რევოლუციურ ვალდებულებად მიაჩნია, ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენს ეპოქაში განუხრელადაა დაკავშირებული კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლასთან და წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციური პროცესის განუყოფელ ნაწილს. ბულგარეთი მხარს უჭერს არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლას და მოითხოვს, რათა ისრაელმა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული გადა-

წყვეტილება, ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანაზე 1967 წელს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან და პალესტინელი არაბი ხალხების უფლებების და ინტერესების აღდგენას.

ბულგარეთი დიდ დახმარებას უწევდა ინდოჩინეთის ხალხების სამართლიან ბრძოლას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და უსასყიდლოდ აწვდიდა მათ სურსათს და იარაღს. ბულგარეთს სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა აქვს ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებთან და ეს ურთიერთობა მუდმივად ფართოვდება. 1972 წლისათვის ბულგარეთი თანამშრომლობდა 70-ზე მეტ განვითარებად ქვეყანასთან. ურთიერთობა ამ ქვეყნების ნახევარზე მეტთან აგებული იყო ხანგრძლივვადიანი ან მოკლევადიანი ორმხრივი სამთავრობო შეთანხმებების საფუძველზე, ვაჭრობასა და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. მარტო უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქონელბრუნვა ამ ქვეყნებთან 10-ჯერ გაიზარდა. ბულგარეთმა ამ ქვეყნებს (სირია, ეგვიპტე, ერაყი, ალჟირი, ტუნისი, ირანი, ინდოეთი, გვინეა, მალაია და სხვა) მისცა კრედიტი საწარმოო მიზნებისათვის. 1973 წლისათვის ამ ქვეყნებისათვის მიცემული კრედიტი შეადგენს 556 მილიონ დოლარს. 3 ათასზე მეტი ბულგარელი სპეციალისტი მონაწილეობს აღნიშნული ქვეყნების ახალი მშენებლობის პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში, ეხმარება მათ უკვე მწყობრში ჩამდგარი ობიექტების ათვისებაში. გარდა ამისა, ბულგარეთი მათ ეხმარება მეცნიერულ-ტექნიკური კადრების აღზრდაში. მრავალი ბულგარელი პედაგოგი, ექიმი და სხვა სპეციალისტი მუშაობს აღნიშნულ ქვეყნებში, ხოლო ბულგარეთში 1500-ზე მეტი ახალგაზრდა იღებს განათლებას ინსტიტუტებში და სამეცნიერო დაწესებულებებში აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. განვითარებად ქვეყნებში ბულგარელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები მუშაობენ სამრეწველო საწარმოების, გზების, წყალსაცავებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობაში.

ბულგარეთი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ყველა იმ საერთაშორისო პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება. იგი მონაწილეობდა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირის მომზადებასა და გატარებაში მის პირველ და მეორე ეტაპზე. მის პირველ ეტაპზე ჰელსინკში (1973 წლის ივლისში) ბსრ-ის დელეგაციამ პსრ-ის დელეგაციასთან ერთად განსახილველად შეიტანა დოკუმენტის პროექტი „კულტურული თანამშრომლობის, კონტაქტების და ინფორმაციის გაცვლის განვითარების ძირითადი მიმართულებანი“.

ბულგარეთი ავითარებს ურთიერთობასა და თანამშრომლობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რაც თავის გამოხატულებას პოულობს საკავშირო ეკონომიურ დარგში და საერთაშორისო კავშირის გაფართოებაში. კერძოდ, 1973 წელს ადგილი ჰქონდა ს. თოდოროვის ვიზიტს ფინეთში, პ. მლადენოვისა — საფრანგეთში, თ. ჟივკოვისა — ავსტრიაში და ა. შ. ამავე წელს ბსრ-სა და აშშ-ს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესახებ. 1973 წლის 21 დეკემბერს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ბულგარეთსა და გფრ-ს შორის.

ყოველწლიურად იზრდება უცხოეთის ტურისტების ინტერესი ბულგარეთისადმი.

ბულგარეთის წარმატებები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მისი აქტიური საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, დემოკრატიის, მშვიდობისა და პროგრესის ძალების მხარდაჭერას კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე, ხელს უწყობს სოციალისტური სისტემის გავლენის გაძლიერებას მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პროცესებზე.

თავი IV

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა[1]

§ 9. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება უნგრეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში

მოკლე ცნობები წარსულიდან

უნგრეთის[2] სახელმწიფო შეიქმნა X საუკუნეში, XII საუკუნის დასაწყისში უნიის შედეგად გაერთიანდა ხორვატიასთან და ადრიატიკის ზღვის სანაპიროც კი შეიერთა. XIII საუკუნეში უნგრეთი ფეოდალურ სამთავროებად დაიშალა. XIV საუკუნეში უნგრეთის სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლება კვლავ ძლიერდება. XV საუკუნეში თურქეთის მოძალების შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში უნგრეთს მძიმე ომების გადახდა მოუხდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებ-

[1] თანამედროვე უნგრეთის ტერიტორია უდრის 93 ათას კვ. კმ, მოსახლეობა 10,449 ათასი (1974 წლის 1 იანვრისათვის). დედაქალაქი ბუდაპეშტი 2 მილიონამდე მოსახლეობით.

[2] უნგრელები ურალისპირეთიდან მოსული ხალხია.

ლობის შენარჩუნებისათვის. ფაქტიურად უნგრეთი სათავეში ჩაუდგა ბალკანელი ხალხის ბრძოლას თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ სწრაფად მიიწევდა ბალკანეთისაკენ. 1456 წელს ბელგრადთან მომხდარი დიდი ბრძოლის დროს უნგრეთმა სასტიკად დაამარცხა თურქი დამპყრობლების ჯარი და დროებით შეაჩერა თურქეთის წინ წაწევა. მაგრამ 1526 წელს მოხაჩთან მომხდარი დიდი ბრძოლის შემდეგ უნგრეთი დამარცხდა და მისი აღმოსავლეთ ნაწილი თურქეთის ხელში აღმოჩნდა, ხოლო უნგრეთის დასავლეთ ნაწილი ჩეხეთთან და ხორვატიასთან ერთად დაიპყრო ავსტრიამ, შემდეგ კი აღმოსავლეთ უნგრეთიც, თურქეთთან წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ავსტრიის ხელში გადავიდა. ამრიგად, უნგრეთმა თავისი დამოუკიდებლობა დაკარგა და ავსტრიის უღლის ქვეშ მოექცა, მაგრამ მას ქედი არ მოუხრია დამპყრობლების წინაშე და დამოუკიდებლობის აღდგენისთვის იბრძოდა. 1848—1849 წლების რევოლუციის დროს უნგრელი ხალხი აჯანყდა ავსტრიის ბატონობის წინააღმდეგ, განდევნა თავისი ქვეყნიდან ავსტრიის მოხელეები და ჯარი, მოიწვია ეროვნული კრება, რომელმაც უნგრეთი 1849 წლის 14 აპრილს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. დამოუკიდებელი უნგრეთის წინააღმდეგ გაგზავნილი ავსტრიის ჯარები ხალხმა დაამარცხა და თავისი ქვეყნიდან გამოდევნა. ავსტრიის მთავრობის ყველა ცდები თავისი ბატონობის აღდგენაზე უნგრეთში, მარცხით მთავრდებოდა. მაშინ ავსტრიამ დახმარებისათვის რუსეთის მეფეს ნიკოლოზ I-ს მიმართა, რომელმაც 100 ათასიანი არმია გაგზავნა ავსტრიის დასახმარებლად და უნგრეთში კვლავ ჰაბსბურგთა ბატონობა აღდგა. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით 1900 წ. წერდა: „მეფის მთავრობას არა მარტო ჩვენი ხალხი ყავს მონობაში, — იგი აგზავნის მას სხვა ხალხების დასამორჩილებლად (როგორც ეს იყო 1849 წელს, როდესაც რუსეთის ჯარებმა ჩაახშეს რევოლუცია უნგრეთში)[1].

უნგრელი ხალხის ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის არც შემდეგ შეწყვეტილა. ავსტრიის საერთაშორისო ურთიერთობის გაუარესებამ და მრავალეროვანი იმპერიის შიგნით შექმნილმა კრიზისმა, მძლავრმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა ბრძოლამ აიძულა ავსტრიის გაბატონებული კლასები კომპრომისზე წასულიყვნენ უნგრეთის ზედა ფენებთან, იგი განსაკუთრებით დაჩქარდა ავსტრია-პრუსიის 1866 წლის ომში ავსტრიის დამარცხების შემდეგ. 1867 წლის თებერვალში დაიდო ავსტრია-უნგრეთის შეთანხმება, რომლითაც ორივე ქვეყანა თანასწორუფლებიანად ცხადდებოდა. უნგრეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ცხადდებოდა ჰაბსბურგების მეთაურობით. მას უფლე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. IV ტომი, გვ. 151-152.

ბა ეძლეოდა ყოლოდა თავისი მთავრობა. ავსტრიასა და უნგრეთს სამი საერთო სამინისტრო ექნებოდათ: საგარეო, სამხედრო-საზღვაო და ფინანსური. უნგრეთის მმართველობაში საკუთრივ უნგრეთს გარდა შედიოდა ხორვატია, სლოვენია, ტრანსილვანია, სერბიის ვოევოდინა, ბანატი, სლოვაკია და იმიერკარპატის უკრაინა. უნგრეთის მმართველობაში შემავალი ეს ტერიტორიები იწოდებოდა ტრანსლეიტანიად (მდ. ლეიტის აღმოსავლეთით მდებარე მიწები). ტრანსლეიტანია მრავალეროვანი იყო, აქ უნგრელები მოსახლეობის 50%-ს შეადგენდნენ, მთელი ძალაუფლება კი უნგრელი ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელში იყო.

ოქტომბრის რევოლუციის გავლენით ავსტრია-უნგრეთის ეს დუალისტური, მრავალეროვანი იმპერია დაშალა და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები შეიქმნა. სლოვენები, ხორვატები და სერბები გამოეყვნენ უნგრეთს და იუგოსლავიის სახელმწიფოში შეერიდნენ, ავსტრია-უნგრეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. უნგრეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. რუსეთის შემდეგ უნგრეთი პირველი ქვეყანა იყო, სადაც 1919 წელს საბჭოთა რესპუბლიკა დამყარდა, რომელმაც ოთხი თვე იარსება და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად იგი ლიკვიდირებული იქნა. მალე ამის შემდეგ, ქვეყნის რეაქციული ძალების და ინტერვენტთა ჯარების მხარდაჭერით 1920 წლის 1 მარტს უნგრეთში, უფრო ადრე, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში, დამყარდა ფაშისტური დიქტატურა ჰორტის მეთაურობით.

1920 წლის 4 ივნისს ვერსალის დიდ სასახლეში, ტრიანონში ხელმოწერილი იქნა საზავო ხელშეკრულება უნგრეთთან, რომლითაც სლოვაკია და იმიერ კარპატის უკრაინა ჩეხოსლოვაკიას გადაეცა. უნგრეთმა ცნო ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დამოუკიდებლობა. ამ უკანასკნელს იგი უთმობდა შემდეგ ტერიტორიებს: ხორვატიას, სლოვენიას, დასავლეთ ბანატს და ბაჩკას. უნგრეთის ხარჯზე რუმინეთმა მიიღო ტრანსილვანია, ბუკოვინა და ბანატის აღმოსავლეთი ნაწილი. უნგრეთმა დაკარგა ზღვაზე გასასვლელი. ტრიანონის ზავით უნგრეთის ტერიტორია 283 ათასი კვ. კმ-დან 91 ათას კვ. კმ-მდე შემცირდა, ე. ი. სამჯერ, მოსახლეობა კი 18 მილიონიდან 7,5 მილიონამდე, ე. ი. 2,5-ჯერ. უნგრეთმა დაკარგა სამრეწველო რაიონები და აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

მიუნხენის გარიგების საფუძველზე ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის კუთვნილი ტერიტორიის სუდეტის ოლქის მითვისების შემდეგ, უნგრეთს, „ღერძის სახელმწიფოების“ მიერ ვენის პირველი არბიტრაჟის გადაწყვეტილებით (1938 წლის 2 ნოემბერი), გადაეცა სლოვაკიის სამხრეთ ნაწილი და იმიერკარპატის უკრაინა. მა-

ლე ამის შემდეგ. 1939 წლის 24 თებერვალს უნგრეთი „ანტიკომინტერნის პაქტს“ შეუერთდა. 1939 წლის მარტში უნგრეთმა ხელთ ჩაიგდო აგრეთვე მთელი იმიერკარპატის უკრაინა და ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ლიკვიდაცია მოახდინა. 1940 წლის 30 აგვისტოს „ღერძი სახელმწიფოების“ ვენის არბიტრაჟის მეორე გადაწყვეტილებით რუმინეთის ხარჯზე დაკმაყოფილდა უნგრეთის პრეტენზიები და მას გადაეცა ჩრდილოეთ ტრანსილვანია, ხოლო 20 ნოემბერს უნგრეთი შეუერთდა ბერლინის პაქტს, რომლის შედეგად იგი გადაიქცა გერმანიის აგრარულ დანამატ, მორჩილ ქვეყნად და ჩაება ჰიტლერელების მიერ წამოწყებულ აგრესიულ ომში.

1940 წელს უნგრეთსა და იუგოსლავიას შორის დაიდო ხელშეკრულება მუდმივი მეგობრობის შესახებ, მაგრამ 1941 წელს, აპრილში, ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად უნგრეთიც თავს დაესხა იუგოსლავიას, რისთვისაც ჯილდოდ იუგოსლავიის ხარჯზე მიიღო მისი ტერიტორიის ნაწილი (10, 69 კვ. კმ., 1 მილიონი მოსახლეობით).

უნგრეთის განთავისუფლება ფაშისტური რეჟიმისაგან

უნგრეთის ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ ჰორტის ფაშისტურმა დიქტატურამ ქვეყანა გახადა ჰიტლერული გერმანიის აგრესიის მონაწილე სახელმწიფოდ. 1941 წლის ივნისში უნგრეთი ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და აწარმოებდა მის წინააღმდეგ ომს. ომმა ძალზე დიდი ზიანი მიაყენა უნგრეთს. ქვეყანას ძარცვავდნენ როგორც უნგრელი, ასევე გერმანელი ფაშისტები. ფრონტზე იღუპებოდა ასეული ათასობით ადამიანი. ჰორტისტების ავანტურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებოდნენ ხალხთა სულ ახალი და ახალი ძალები. უნგრეთის კომპარტია[1], მიუხედავად მძიმე ტერორისა და დევნისა, ღრმა იატაკქვეშ აწარმოებდა დაუღალავ და თავგანწირულ ბრძოლას ფაშისტური რეჟიმისა და მძარცველური ომის წინააღმდეგ. 1942 წლის თებერვლიდან ბუდაპეშტში არალეგალურად გამოდიოდა კომპარტიის გაზეთი „თავისუფალი ხალხი“, რომელიც ხალხს მოუწოდებდა ებრძოლა უსამართლო, უნგრეთის ხალხის ინტერესებისათვის საწინააღმდეგო ომისა და ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. თვით ისეთმა პარტიებმა, როგორიც იყო სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია და

[1] უნგრეთის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1918 წელს, 24 ნოემბერს. უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ კომპარტია არალეგარულ მდგომარეობაზე გადავიდა და ბრძოლას აგრძელებდა ტერორისა და დევნის პირობებში.

სოციალ-დემოკრატიული პარტია, როდესაც ნათელი გახდა, რომ ომი წაგებულია, მოითხოვეს უნგრეთის ომიდან გამოსვლა და ზავის დადება. სტალინგრადთან ჰიტლერელების განადგურებისა და უნგრეთის ჯარების დიდი ნაწილის ვორონეჟთან მოსპობის შემდეგ, უნგრეთის მმართველი ხროვა ჰორტის მეთაურობით (1943 წლის იანვარში), საბჭოთა ჯარების სწრაფად წინ წაწევით დაშინებული შეეცადა ომიდან გამოსულიყო და ინგლისთან და აშშ-თან სეპარატული ზავი დაედო, რათა მათი ჯარების დახმარებით ძველი რეჟიმი შეენარჩუნებინა.

გერმანიისათვის ეს ცნობილი გახდა და უნგრეთის, როგორც მოკავშირის შენარჩუნების მიზნით, 1944 წლის 21 მარტს ესესელთა ნაწილებმა მოახდინეს მთელი უნგრეთის ოკუპაცია. ამის შემდეგ ქვეყანაში გაიშალა წინააღმდეგობის მოძრაობა, რომლის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო კომუნისტური პარტია. 1944 წლის მაისში კომპარტიის ინიციატივით, რომელთანაც თანამშრომლობდნენ მემარცხენე სოციალისტები, შეიქმნა უნგრეთის დამოუკიდებლობის ანტიფაშისტური ფრონტი, უნგრეთის ფრონტის სახელწოდებით, რომელშიც შევიდნენ: კომპარტია,[1] სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია და ეროვნულ-გლეხთა პარტია. უნგრეთის ფრონტში შემავალნა პარტიებმა იკისრეს ვალდებულება ერთიანი ბრძოლის წარმოებისა ჰიტლერელებისა და უნგრელი ფაშისტების წინააღმდეგ. გამოქვეყნებულ „უნგრელი ერის დემოკრატიული პარტიების მანიფესტში" ჩამოყალიბებული იყო უნგრეთის ფრონტის პროგრამა: დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული უნგრეთის შექმნა, მიწის რეფორმის და სხვა დემოკრატიული გარდაქმნების გატარება. კომპარტიამ შექმნა სამხედრო კომიტეტი, შეუდგა შეიარაღებული ჯგუფების შექმნას და წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციას. უნგრეთის განთავისუფლება საბჭოთა ჯარებმა 1944 წლის სექტემბერში დაიწყეს. ჰორტი და მისი ბრბო საბჭოთა კავშირის გარეშე და მის ზურგს უკან შეეცადნენ თავისი რეჟიმის გადარჩენას დასავლეთის სახელმწიფოების დახმარებით. ამ მიზნით ჰორტმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნა მოკავშირეთა შტაბში ნეაპოლის მახლობლად. ჰორტისტებს უნდოდათ გაეგოთ, შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდათ ინგლის-ამერიკის იმედი უნგრეთში მათი არმიის წითელ არმიაზე ადრე შესვლისა. მაგრამ ჰორტის დამქაშები დარწმუნდნენ, რომ ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის გზა ბალკანეთისაკენ ჯერ შორს იყო, ვინაიდან ისინი ძალზე ნელა მიიწევდნენ წინ. ამის შემდეგ ეს მისია

[1] უნგრეთის კომუნისტებმა არასწორად გაიგეს კომინტერნის დათხოვნა და უნგრეთის კომუნისტური პარტია რეორგანიზებულ იქნა მშვიდობის პარტიად. 1944 წლის სექტემბერში კომპარტია კვლავ აღსდგა უნგრეთის კომუნისტური პარტიის სახელწოდებით.

ჩაიშალა. ჰორტი და მისი ჯგუფი დარწმუნდნენ, რომ უგულებელყოფა საბჭოთა კავშირისა, რომლის ჯარები უკვე უნგრეთს უახლოვდებოდნენ, შეუძლებელი იყო, რის შემდეგ ჰორტი იძულებული გახდა თავისი დელეგაცია მოსკოვში გაეგზავნა იმ მიზნით, რათა დაზავების პირობები გაეგო. წინასწარი დაზავების პირობები მოსკოვში 1944 წლის 11 ოქტომბერს მოწონებულ იქნა ჰორტის წარმომადგენლების მიერ და 15 ოქტომბერს ჰორტმა რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ უნგრეთი გამოდის ომიდან, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია გერმანელებისაგან თავისი საზღვრების დასაცავად. ჰორტი გადადგა და მალე იგი გერმანელებმა მოიტაცეს, მის ადგილას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დააყენეს ფაშისტური, ნილაშისტების პარტიის მეორე ლიდერი ფერენც სალაში. ამრიგად, ჰორტისტები ისე გამოვიდნენ ომიდან, რომ გერმანელებს იმაშიც არ შეუშალეს ხელი, რომ შემდეგ მაინც არ გამოეყენებინათ უნგრეთის ჯარი და ტერიტორია თავისი მიზნებისათვის. ამის შედეგი ის იყო, რომ გერმანიის მოკავშირედ ომის ბოლომდე მხოლოდ ნილაშისტური უნგრეთი რჩებოდა. უნგრეთის ჯარები დააქუცმაცეს წვრილ შენაერთებად და განალაგეს გერმანელთა ჯარების შენაერთებს შორის, მხოლოდ პირველი არმია, რომელიც კარპატებში იდგა, გენერალ-პოლკოვნიკ ბელა მიკლოშის სარდლობით 18 ოქტომბერს ჩვენი ჯარების მხარეზე გადავიდა. უნგრეთის ხალხთა მასები კომუნისტური პარტიის მეთაურობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ნილაშისტებსა და გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტებს, საბჭოთა ჯარებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ხალხთა მასების ბრძოლის ძირითადი ფორმა ამ დროს იყო ფაშისტური მთავრობის ღონისძიებებისადმი საბოტაჟი, მოსახლეობის ევაკუაციის წინააღმდეგ გერმანიაში; მუშებისა და ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის აქტიური ბრძოლა გერმანიაში ქარხნების გატანის ან განადგურების მიზნით; არმიიდან მასობრივი დეზერტირობა, არმიაში გაწვევისათვის თავის არიდება და ბოლოს პატრიოტების შეიარაღებული ბრძოლა. ფაშისტებმა გამოაცხადეს მამაკაცების საყოველთაო მობილიზაცია 12-დან 70 წლის ასაკამდე, არმიაში ან სამხედრო სამსახურში გაგზავნის მიზნით.

1944 წლის 30 ნოემბერს უნგრეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა „უნგრეთის დემოკრატიული აღდგენისა და აღორძინების პროგრამა“. კომპარტიამ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, მთავარ ამოცანად წამოაყენა ფართო ეროვნული კოალიციის შექმნის მოთხოვნა უნგრელი და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ქვეყნის აღდგენისა და დემოკრატიული გარდაქმნების მიზნით.

ამის შემდეგ კომპარტიამ გაშალა ბრძოლა უნგრეთის დამოუკიდებელი ეროვნული ფრონტის შექმნისათვის ფაშისტების უნგრეთიდან საბოლოო განდევნისა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ამასთან დაკავშირებით უნგრეთის განთავისუფლებულ ქალაქში სეგედში დაიწყო მოლაპარაკება წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს შორის, რომელიც დამთავრდა 1944 წლის 2 დეკემბერს უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტის შექმნით, რომელშიც კომპარტიასთან ერთად შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, ეროვნულ გლეხთა პარტია, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები და აგრეთვე პროფკავშირები. ამრიგად, ქვეყნის ძირითადმა პარტიებმა თავის ხელში აიღეს სახელმწიფო ხელისუფლება. 2 დეკემბერს მიღებული პროგრამა თავისი შინაარსით იყო ეროვნული, დემოკრატიული, ანტიფაშისტური და ანტიფეოდალური ხასიათისა. მისი ამოცანა იყო ფართო საფუძველზე გაეერთიანებინა მუშები, გლეხები, დემოკრატიული ინტელიგენცია და ანტიფაშისტურად განწყობილი ბურჟუაზიის ნაწილი.

1944 წლის დამლევსა და 1945 წლის დასაწყისში გერმანელთა ჯარები უკან დახევისას ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევდნენ უნგრეთის ბურჟუაზია და მემამულეები. ვანთავისუფლებულ ტერიტორიაზე კოალიციურ საფუძველზე იქმნებოდა სოფლის, ოლქების, ქალაქის ეროვნული კომიტეტები, როგორც ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც მოქმედებდნენ უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტის სახელით. ვინაიდან ცენტრალური მთავრობა და ორგანოები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ადგილობრივი ეროვნული კომიტეტები მთელ ძალაუფლებას თავის ხელში იღებდნენ.

1944 წლის დეკემბრის დასაწყისში ჩვენი ჯარების მიერ განთავისუფლებულ ქალაქ დებრეცენში შეიკრიბნენ არა მარტო უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიები, არამედ აგრეთვე ყოფილი ჰორტისტების ნაწილიც, ძირითადად სამხედროები, რომლებიც 16 ოქტომბერს საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდნენ.

12 დეკემბერს დებრეცენში შეიქმნა დროებითი ეროვნული კრების მოწვევის მოსამზადებელი კომისია, რომლის ხელმძღვანელობით განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ჩატარდა არჩევნები. ეროვნული კომიტეტები ადგილებზე აყენებდნენ დეპუტატებს და დეპუტატის მანდატებს აძლევდნენ მათ, ვისაც ასახელებდნენ ქალაქისა და დიდი სოფლების სახალხო კრებებზე.

1944 წლის 21—22 დეკემბერს დებრეცენში გაიხსნა დროებითი ეროვნული კრების პირველი სესია. მისი შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: კომპარტიას ჰქონდა დეპუტატთა მანდატების 26.1%. დემოკრატიულ ძალებს: კომპარტიას, სოციალ-დემოკრატიულ, ეროვნულ გლეხთა პარტიებთან და პროფკავშირებთან ერთად ჰქონდათ ადგილების 62,6%, ხოლო მათთან კოალიციაში მყოფ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიასთან ერთად ჰქონდათ ადგილების 90%.

1944 წლის 22 დეკემბერს დროებითმა ეროვნულმა კრებამ აირჩია პოლიტიკური საბჭო, რომელიც 22 წევრისაგან შედგებოდა. მასში შეიდნენ: კომპარტიის 4, სოფლის წვრილმეურნეთა პარტიის 5, სოციალ-დემოკრატული პარტიის 4, ეროვნულ გლეხთა პარტიის 3 წარმომადგენელი და ა. შ.

პოლიტიკურმა საბჭომ თავის ხელში აიღო სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები და პრემიერ-მინისტრად აირჩია უნგრეთის პირველი არმიის ყოფილი სარდალი ბელა მიკლოში, რომელიც ომის დროს საბჭოთა ფრონტზე მოქმედებდა, ხოლო 1944 წლის შემოდგომაზე ჩვენი ჯარების მხარეზე გადავიდა. დროებით კოალიციურ ეროვნულ მთავრობაში შევიდნენ კომპარტიის 3, სოციალ-დემოკრატიული პარტიის 2, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის 2 და ეროვნულ გლეხთა პარტიის 1 წარმომადგენელი. მართალია, მთავრობის შემადგენლობა უფრო მემარჯვენე გამოდგა, ვიდრე პარლამენტი, მაგრამ მთავრობის შემადგენლობაში მაინც უმრავლესობას მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები შეადგენდნენ. საქმე ის იყო, რომ საბჭოთა არმია უნგრეთის განთავისუფლებისათვის მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა ჯერ კიდევ ძლიერი მტრის წინააღმდეგ.

1944 წლის 28 დეკემბერს უნგრეთის მთავრობამ გააუქმა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებები და ომი გამოუცხადა მას. მოსკოვში გაიგზავნა უნგრეთის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელმაც 1945 წლის 20 იანვარს ხელი მოაწერა დაზავებაზე სსრ კავშირთან, აშშ-თან და ინგლისთან. დაზავების პირობებით უნგრეთს მონაწილეობა უნდა მიეღო გერმანიის წინააღმდეგ ომში და გამოეყვანა არანაკლები რვა დივიზიისა, გაეყვანა თავისი ჯარები და მოხელეები დაპყრობილი ტერიტორიიდან: რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იუგოსლავიიდან, უნგრეთის 1937 წლის 31 დეკემბრისათვის არსებულ საზღვრებში, განეიარაღებინა და დაეტყვევებინა უნგრეთში მყოფი გერმანელთა ჯარები, დაეპატიმრებინა და გაესამართლებინა სამხედრო დამნაშავენი, დაეთხოვა ყველა ფაშისტური და პროფაშისტური პარტია, ნაწილობრივ აენაზღაურებინა ზარალი — 300 მილიონი დოლარით, აქედან 200 მილიონი საბჭოთა კავშირისათვის 6 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა. უქმ-

დებოდა აგრეთვე ვენის არბიტრაჟის (1938 და 1940 წლების) გადაწყვეტილებები. ხელმოწერილ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ დაზავების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებდა მოკავშირეთა საკონტროლო კომისია საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და აშშ-ის წარმომადგენლობის მონაწილეობით. კონტროლს ახორციელებდა კომისია კ. ე. ვოროშილოვის თავმჯდომარეობით.

საბჭოთა ჯარების შენაერთებმა ბუდაპეშტისთვის ალყის შემორტყმა დაამთავრეს 25 დეკემბრისათვის და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ 1945 წლის 13 თებერვლისათვის გაათავისუფლეს იგი. უნგრელი ფაშისტები ჰიტლერელ ჯარებთან ერთად უკან დახევისას, მოტყუებულნი ჰიტლერის მიერ მოკლე ხანში „სასწაული იარაღის“ გამოყენებაზე, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენ ჯარებს, რასაც ამაო მსხვერპლი მოჰყვა. უნგრეთის მთლიანი განთავისუფლება ჩვენმა ჯარებმა 1945 წლის 4 აპრილისათვის დაამთავრეს.

დროებით მთავრობაში შემავალი წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები და თვით ჰორტისტული გენერალი ბელა მიკლოში აშკარად ვერ ბედავდნენ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ გამოსვლას, მაგრამ ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ დაზავების პირობების შესრულება. დროებითმა მთავრობამ გერმანიას ომი 1944 წლის 28 დეკემბერს გამოუცხადა და თავისი ეს გადაწყვეტილება 1945 წლის 20 იანვარს დაადასტურა. მაგრამ ზოგიერთი მინისტრი, განსაკუთრებით ყოფილი ჰორტისტული გენერლები, აჭიანურებდნენ ჯარების შექმნას. მხოლოდ კომუნისტების დაჟინებითი მოთხოვნით 1 თებერვალს გამოაცხადეს ჯარების მობილიზაცია. ნაცვლად დაპირებული 8 დივიზიისა შეიქმნა 2 დივიზია. ეს 2 დივიზიაც ძალზე დაგვიანებით გაიგზავნა ფრონტზე და იმ დროს ჩავიდა, ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაც ვერ მოასწრო, ვინაიდან ომის დამთავრებამ მოუსწრო. დროებით მთავრობაში უმრავლესობას მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები შეადგენდნენ, სწორედ მათი დაჟინებული მოთხოვნით და ხელმძღვანელობით დაიწყო ქვეყანაში ღრმა გარდაქმნითი ღონისძიებების განხორციელება. 1945 წლის თებერვლის დამლევს გამოიცა დადგენილება ფაშისტური ხასიათის პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციების დათხოვნისა და ფაშისტების საწარმოების და ქონების კონფისკაციის შესახებ. დაითხოვეს აგრეთვე ჟანდარმერია და პოლიცია, რომლის ნაცვლად იქმნებოდა ახალი დემოკრატიული მილიცია. ყველა საწარმოებში იქმნებოდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებიც, ადგილებზე ახორციელებდნენ ეროვნული კომიტეტების მითითებებს, ხელმძღვანელობდნენ ეკონომიკის აღდგენას, იცავდნენ მუშათა ინტერესებს და ზღუდავდნენ კაპიტალისტების ექსპლოატაციას, აწესებდნენ წარმოებებზე კონტროლს.

რესპუბლიკის დამყარება და ხალხთა მასების ბრძოლა რეაქციული ძალების წინააღმდეგ საერთო დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდისათვის

უნგრეთში გერმანელი და ადგილობრივი ფაშისტების ბატონობამ და ომმა ძალზედ გააპარტახა ქვეყანა. სახალხო მეურნეობის აღდგენის, ფაშისტური იდეოლოგიით მოწამლული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განკურნებისა და ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის საჭირო იყო ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლის წარმოება. უნგრეთის კომუნისტური პარტიის გავლენა და ავტორიტეტი მუშათა კლასს შორის საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ მუშათა საყოველთაო მხარდაჭერისათვის საჭირო იყო კომუნისტების კიდევ მეტი შრომა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას შორის კომუნისტების გავლენას, იგი ჯერ კიდევ ძალზე სუსტი იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ჰორტისტების თითქმის 25 წლის ბატონობის შედეგად კომპარტია იმყოფებოდა ღრმა იატაკქვეშ, მისი მოწინავე ნაწილი იმყოფებოდა პატიმრობაში და მოწყვეტილი იყო მასებს. 1945 წლის მარტში, ე. ი. ომის დამთავრებამდე, დროებითმა მთავრობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც კონფისკებულად ცხადდებოდა სამშობლოს გამყიდველების, ომის დამნაშავეების და ფაშისტთა მეთაურების მიწები. ამ რეფორმით უნდა მოსპობილიყო მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა და იგი მშრომელ გლეხობას შორის განაწილებულიყო. მსხვილ მემამულეებს, რომელთაც 100-ზე მეტი ჰოლდი (უდრის 0,57 ჰა) მიწა ჰქონდათ, ჩამოეჭრათ გამოსყიდვის საფუძველზე. აგრარული რეფორმის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის ღარიბებმა, რომლებიც სარგებლობდნენ მუშათა კლასის აქტიური მხარდაჭერით. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მსხვილი მიწათმფლობელობა უნგრეთში ლიკვიდირებულ იქნა. კონფისკებული მიწებიდან 3258738 ჰოლდი (ე. ი. 58,2%) კერძომფლობელობაში გადაეცა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს; 26,1% მიწებისა (უმთავრესად ტყის მასივი) გადავიდა სახელმწიფოს ხელში; 422 ათასი ჰოლდი საძოვარი მიწები (7,6%) გახდა საზოგადოებრივ საკუთრებად, დანარჩენი მიწები სხვადასხვა საზოგადოებრივი მიზნებისათვის იქნა გამოყენებული. რეფორმის გატარების შემდეგ 584 893 მოჯამაგირემ, სოფლის მუშამ და მცირე მიწის მქონე გლეხმა, საშუალოდ თითოეულმა მიიღო 5,1 ჰოლდი მიწა. მემამულეთა მიწათმფლობელობა 100 ჰოლდზე ზევით და კულაკური 200 ჰოლდზე ზევით ლიკვიდირებული იქნა. ამ რეფორმამ ძირეულად შეცვალა სოფლის კლასობრივი სახე. ლატიფუნდიების, ე. ი. მსხვილი მიწათმფლობელობისა და „სამი მილიონი ღატაკის“ ქვეყანა გადაიქცა საშუალო წარმოების ქვეყნად.

აგრარულმა რეფორმამ საბოლოოდ მოსპო ფეოდალიზმის გადმონაშთები, ლიკვიდაცია უყო ღარიბ გლეხების ექსპლოატაციას მემამულეების მხრივ და გლეხების დამოკიდებულებას მემამულეებისადმი. საგლეხო რეფორმის დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ რეაქციის მთავარი წყარო მსხვილი მიწათმფლობელი კლასი მოსპო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის, ვინაიდან ამ ღონისძიებით რეაქციას გამოეცალა თავისი დასაყრდენი ძალა სოფლად მემამულეთა და მსხვილ მიწათმფლობელ კაპიტალისტთა სახით.

რეფორმის შემდეგ სოფლად გაიზარდა საშუალო გლეხთა მეურნეობა 78,4%, ხოლო მათ ხელში იმყოფებოდა ქვეყნის საუკეთესო მიწების 40%, საერთოდ კი მშრომელი გლეხობის ხელში იყო კერძო სექტორის მიწების 80%. გლეხობამ მარტო მიწა კი არ მიიღო. არამედ მათ გაუნაწილდათ 70 მილიონი კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართი და სამეურნეო ნაგებობა, 160 ათასი სოფლის მეურნეობის და 250 ათასი სხვა მანქანები, განთავისუფლდნენ 1 მილიარდზე მეტი ფორინტის ვალიდან და ა. შ.

ამრიგად, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე და შემდგომ პერიოდშიც მოისპო ჰორტისტული და ნილაშისტური რეჟიმი და შემოღებულ იქნა სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიული ორგანოები. რომელშიც წამყვანი ადგილი ეკავა მუშათა კლასს და მის ავანგარდს კომპარტიას. 1945 წლის ზაფხულისათვის საერთო დემოკრატიული რევოლუციის ამოცანები ქვეყანაში გადაწყვეტილი იყო და შეიქმნა პირობები სახალხო რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა.

სანამ ომი მიმდინარეობდა კომუნისტური პარტიის გარდა დროებით მთავრობაში შემავალი სხვა პოლიტიკური პარტიები აშკარა ბრძოლას ვერ ბედავდნენ, მაგრამ, მათი მთავარი ამოცანა იყო, რომ რევოლუცია არ გამოეყვანათ საერთო დემოკრატიული, ბურჟუაზიული. ანტიფეოდალური რევოლუციის ჩარჩოებიდან და არ დაეშვათ მისი სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდა. მთავრობის კოალიციაში როგორც აღვნიშნეთ, გარდა კომპარტიისა შედიოდნენ: სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და ეროვნულ გლეხთა პარტია.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყო მემარცხენეთა ფრთა, რომელიც კომუნისტურ პარტიასთან ერთად იბრძოდა ორივე პარტიის ერთიანი მოქმედებისათვის მთავრობაში, პროფკავშირებში და საქარხნო კომიტეტებში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერები ომის დროს ვერ ბედავდნენ მუშათა ამ ორივე პარტიის ერთიანი მოქმედების წინააღმდეგ გამოსვლას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შე-

ასრულა საერთო დემოკრატიული რევოლუციის წარმატების საქმეში. მაგრამ ომის დამთავრებისა და რევოლუციის შემდგომი გაღრმავების ვითარებაში მემარჯვენე სოციალისტები სულ უფრო და უფრო იხრებოდნენ ბურჟუაზიული პარტიების მხარეზე და გამოდიოდნენ რევოლუციის შემდგომი გაღრმავების წინააღმდეგ.

სოფლის წვრილ მეურნეთა კარტია ჰორტისტული რეჟიმის დროს კულაკების ინტერესებს ასახავდა, აგრეთვე მას მიყვებოდა მდიდარი გლეხობის ნაწილი, წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელიც დასავლეთის ორიენტაციის მომხრედ გამოდიოდა. ეს პარტია ომის დამთავრებამდე თავშეკავებულად მოქმედებდა იმ იმედით, რომ იგი შეძლებდა უნგრეთის განვითარების შეჩერებას საერთო-დემოკრატიული რევოლუციის ბურჟუაზიულ ჩარჩოებში.

ეროვნულ-გლეხთა პარტია, რომელიც 1939 წელს შეიქმნა ძირითადად ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო გლეხთა ფენების ინტერესებს ასახავდა და ფაქტიურად თავისი მოღვაწეობა მან ომის შემდეგ დაიწყო. ამ პარტიაში დიდი გავლენით მემარცხენეები სარგებლობდნენ, რომლებიც კომუნისტებთან თანამშრომლობის მომხრედ გამოდიოდნენ.

მთავრობაში მყოფი მემარჯვენე რეაქციული, ფაქტიურად ჰორტისტული რეჟიმის მომხრე ელემენტები ბელა მიკლოშის მეთაურობით საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებასა და მემარცხენე ძალებთან ბლოკზე თავისი ტყავის გადასარჩენად წავიდნენ და ომის შემდეგ ჰორტისტული რეჟიმის რესტავრაციაზე ფიქრობდნენ.

მემარჯვენე პარტიების მთავარ ძალას წარმოადგენდა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, რომელიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა ქალაქის, განსაკუთრებით კი სოფლის საშუალო და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებსა და ინტელიგენციას შორის. მართალია, ამ პარტიაშიც იყო მემარცხენეთა ფრთა იშტვინ დობის მეთაურობით, მაგრამ მან თავიდან ვერ მოიპოვა მნიშვნელოვანი გავლენა. ამ პარტიის ირგვლივ, არჩევნების წინ, იწყეს გაერთიანება ყველა ბურჟუაზიულმა და რეაქციულმა ძალებმა „დასავლეთის დემოკრატიის“ დროშის ნიღბით. მათ მხარს უჭერდა აგრეთვე კათოლიკური ეკლესია, რომლის მეთაურად უნგრეთში (კარდინალად) რომის პაპმა, პიუს XII, 1945 წლის სექტემბერში დანიშნა იოჟეფ პეშა, რის შემდეგ მან მინდსენტის სახელი მიიღო. კარდინალი მინდსენტი სათავეში ჩაუდგა უნგრეთის კლერიკალურ რეაქციას და თავის ქადაგებებში მორწმუნე უნგრელებს მოუწოდებდა კომუნისტებისათვის ხმა არ მიეცათ და მხარი დაეჭირათ მემარჯვენეებისათვის. მინდსენტი გამოდიოდა აგრეთვე დემოკრატიული გარდაქმნების წინააღმდეგ.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მემარჯვენე პარტიები და უპირველეს ყოვლისა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის წარმომადგენლები და აგრეთვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ კომპარტიის იზოლირებას, ცილისმწამებლური გამონაგონით გამოდიოდნენ მისი და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კომპარტიამ იმ მიზნით, რომ ჩაეშალა კოალიციის ამომრჩეველებიდან იზოლირების მზაკვრული გეგმები, წინადადება მისცა უნგრეთის ეროვნულ ფრონტში შემავალ პარტიებს, რომ არჩევნებში ერთიანი სიით გამოსულიყვნენ. მართალია, ამას კომპარტიამ ვერ მიაღწია, მაგრამ ის მაინც გააკეთა, რომ სოციალ-დემოკრატებთან, ეროვნულ-გლეხთა პარტიასთან და სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიასთან დადო შეთანხმება უნგრეთის ხალხისადმი ერთობლივი მიმართვის შესახებ. ამ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ პარტიები არჩევნებში ცალ-ცალკე სიებით გამოდიან, მაგრამ ინარჩუნებენ ერთიან მოქმედებას და შექმნიან კოალიციურ მთავრობას, რომლის ამოცანა იქნება: აგრარული რეფორმის დამთავრება, სპეკულაციისათვის ბოლოს მოღება, ხალხის პურით უზრუნველყოფა, სახელმწიფო აპარატის რეაქციონერებისაგან გაწმენდა, წიაღისეულისა და ელექტროსადგურების ნაციონალიზაცია და ა. შ. მაგრამ მემარჯვენეები ხელს აწერდნენ რა ამ მოწოდებას, სრულებითაც არ ფიქრობდნენ კომუნისტებთან ერთ ბლოკში გამოსვლას. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა ომის შემდგომი პირველი არჩევნები. იგი ჩატარდა 1945 წლის საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც აცხადებდა საყოველთაო, პირდაპირ და ფარული ხმის მიცემას. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიიღო ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტმა (5. 160 ათასმა კაცმა).

ყველაზე მეტი ხმები—57% მიიღო სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიამ. კომუნისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების — 17-17% თითოეულმა. ეროვნულ გლეხთა პარტიამ მიიღო ხმების 7%.

ამრიგად, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია გამოვიდა პირველ ადგილზე. საქმე იმაში იყო, რომ არ პარტიამ შეძლო თავის მხარეზე გლეხობის მიმხრობა. იგი საარჩევნო კამპანიის დროს კომპარტიას ბრალს სდებდა იმაში, რომ თითქოს მას უნდოდა კოლმეურნეობების შექმნა, გლეხობისათვის მიწის წართმევა და ყველას ერთ „საერთო ქვაბში“ გაერთიანება. გლეხთა შორის ილუზიები სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისადმი არსებობდა და ამ პარტიას ისინი თავისი ინტერესების ამსახველად თვლიდნენ. მაგრამ მომავალმა პოლიტიკურმა ბრძოლამ ეს ილუზიები მალე გააქარწყლა. ამ არჩევნებმა ნათელყო, რომ რეაქციის პოზიციები უნგრეთში ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ ეს არჩევნები იმასაც მოწმობდა რომ კომპარტიის გავლენა მოსახლე-

ობის პროლეტარულ ფენებში დიდი იყო, განსაკუთრებით ბუდაპეშტსა და სხვა უმსხვილეს სამრეწველო ცენტრებში. 15 ნოემბერს შექმნილ მთავრობაში 18 წევრიდან 9 ადგილი სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიას ერგო, 4-4 კომუნისტურსა და სოციალისტურ პარტიებს და ერთი ეროვნულ გლეხთა პარტიას. პრემიერ-მინისტრი გახდა ზოლტან ტილდი. აღსანიშნავია, რომ კომუნისტებმა მთავრობაში დაიკავეს მეტად მნიშვნელოვანი უბანი—შინაგან საქმეთა სამინისტრო.

კომუნისტების ინიციატივითა და ხალხის მასების ზეგავლენით 1945 წლის დეკემბერში ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი 1946 წლის 1 იანვრიდან ქვანახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზირებულ იქნა შახტები, მაღაროები და აგრეთვე ხუთი უმსხვილესი მეტალურგიული და მანქანათმშენებლობის კომბინატები და ა. შ. 1946 1 თებერვალს უნგრეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ზ. ტილდი, ხოლო მისი მოადგილე პარტიის ხაზით, კულაკების იდეოლოგი ფერენც ნადი გახდა პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის ყველა რეაქციული ძალები, მათ შორის ყოფილი მემამულეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის არჩევნებში გამარჯვებას და მოითხოვდნენ ჩამორთმეული მიწების უკან დაბრუნებას, ხოლო რეაქციულად განწყობილი მოხელეები კი საბოტაჟს უცხადებდნენ სახელმწიფო აპარატის წმენდას და ქვეყნის განსაკუთრებით ეკონომიკის აღდგენას. ჰორტისტული მოხელეები ჯერ კიდევ ბოგინობდნენ ზოგიერთი სოფლის ადგილობრივ ორგანოებში და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ გლეხთა შორის მემამულეთა მიწების დანაწილებას, ხოლო ზოგიერთ ადგილებში კი, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ, იქამდეც მიდიოდნენ, რომ გლეხებს ართმევდნენ მიწებს. მაგალითად, უკვე 1946 წლის იანვრისათვის ზოგიერთ ოლქში 20 პროცენტამდე განაწილებული მიწა უკან დაუბრუნეს ძველ მფლობელებს, ხოლო ზოგან რეაქციონერები მოითხოვდნენ ჩამორთმეული მიწების 75%-ის უკან დაბრუნებას. თავი წამოყვეს აგრეთვე ფაშისტებმაც. მდგომარეობა იმითაც იყო გართულებული, რომ მემარცხენე ძალებს შორის, არჩევნების შემდეგ ერთიანობა დაირღვა და სოციალ-დემოკრატიული და ეროვნულ-გლეხთა პარტიაში სწორედ ის მემარჯვენე გლეხები გაძლიერდნენ, რომლებიც კომუნისტებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ისინი არჩევნებში თავისი წარუმატებლობის მთავარ მიზეზად სწორედ კომუნისტებთან თანამშრომლობასა და საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას თვლიდნენ, მოითხოვდნენ ამ თანამშრომლობისა და ურთიერთობის გაწყვეტას და ინგლის-ამერიკაზე ორიენტაციას.

რეაქციონერების აშკარა გამოსვლას და მათი ერთიანი ფრონტით მოქმედებას კომუნისტებისა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ აბრ-

კოლებდა უნგრეთში მყოფი საბჭოთა ჯარები, ამიტომ ბრძოლა რეაქციულ და დემოკრატიულ ძალებს შორის მიმდინარეობდა შეიარაღებული შეტაკების გარეშე, მაგრამ კლასთა ბრძოლის მწვავე ფორმებში — სამინისტროებში, მთავრობაში, პარლამენტში, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ყველა დაწესებულებებსა და წარმოებებში.

ასეთ ვითარებაში კომპარტიის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ყველა მემარცხენე ძალების გაერთიანება და რეაქციის წინააღმდეგ ერთიანი ძალით ბრძოლა. კომუნისტების დიდი მეცადინეობის შედეგად 1946 წლის მარტის დამდეგს შეიქმნა მემარცხენე ბლოკი, რომელშიც კომუნისტებთან ერთად შევიდნენ სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-გლეხური პარტიის მემარცხენეები და პროფკავშირები. მემარცხენეები თავის პოზიციებს სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის შიგნითაც აძლიერებდნენ იშტვან დობის მეთაურობით, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა მემარცხენე ბლოკს. მემარცხენე ბლოკში გაერთიანებული პარტიები ასახავდნენ მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, პროგრესული ინტელიგენციის ინტერესებს და ეს გაერთიანება სწორედ ამ ძალების კავშირი იყო. მემარცხენე ბლოკმა კომპარტიის ხელმძღვანელობით ბრძოლა გააჩაღა რეაქციის წინააღმდეგ. კომპარტიამ, შეაფასა რა ქვეყანაში შექმნილი კითარება, გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო რეაქციის წინააღმდეგ, დაეცვა მუშათა და გლეხთა ინტერესები, არ დაეშვა რეაქციის ცდები აგრარული რეფორმის გადასინჯვაზე. კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: „მიწას არ დავაბრუნებთ!“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა გლეხთა შორის. ამავე დროს კომპარტიამ გლეხებს მოუწოდა, რათა მათ ებრძოლათ თავისი მიწის დასაცავად, გაეწმინდათ ადგილობრივი ორგანოები ყოფილი ჰორტისტული და ნილაშისტური ხელმძღვანელობისაგან. მართლაც კომუნისტების მოწოდების შედეგად ათასობით გლეხი ჩამოდიოდა ბუდაპეშტში ლოზუნგით „ვინც მიწას ხელს ახლებს, მოკვდება!“ მემარცხენე ბლოკმა წამოაყენა თავისი მოთხოვნები: მიწის რეფორმის ბოლომდე მიყვანა, სახელმწიფო აპარატისა და ადგილობრივი ორგანოების გაწმენდა რეაქციონერებისაგან, მძიმე მრეწველობისა და ნავთის საბადოების ნაციონალიზაცია, ბანკებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, პროფკავშირების მონაწილეობა სახელმწიფო აპარატში და სხვა. სამრეწველო ცენტრების მუშები ზედიზედ აგზავნიდნენ , თავის დეპუტაციას მოთხოვნით, რათა გაეწმინდათ სახელმწიფო აპარატი რეაქციონერებისაგან და მიეღოთ ღონისძიებანი მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განეხორციელებინათ მძიმე მრეწველობის საწარმოების, ენერგეტიკული რესურსების ნაციონალიზაცია და ა. შ.

მეპარცხენე ბლოკის მოღვაწეების შედეგი ის იყო, რომ იგი სწრაფად ზრდიდა თავის გავლენას მუშებსა და გლეხებში. გლეხობა თანდათანობით თავისუფლდებოდა ილუზიებისაგან სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის მიმართ, ვინაიდან ხედავდა, რომ ამ პარტიის ხელმძღვანელობა თანაუგრძნობდა, ან ყოველ შემთხვევაში ყურს უყრუებდა მემამულეთა ცდებს კონფისკებული მიწების უკან დაბრუნებაზე.

1946 წლის 7 მარტს ბუდაპეშტში, მემარცხენე ბლოკის მოწოდებით გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც 400 ათასი მუშა მონაწილეობდა. დემონსტრანტებმა მოითხოვეს მემარცხენე ბლოკის პროგრამის განხორციელება. დემონსტრანტების მიერ მოწყობილ მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო: „მუშებისა და გლეხების ერთიანი ძალით დავიცავთ აგრარულ რეფორმას, არც ერთ მტკაველ მიწას არ დავაბრუნებთ“.

მთავრობის ხელმძღვანელი ფერენც ნადი იძულებული გახდა ოფიციალურად განეცხადებინა, რომ აგრარულ რეფორმას არ გადასინჯავდნენ, მიეღო მემარცხენე ბლოკისა და ბუდაპეშტის მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნა ყველაზე უფრო რეაქციონერი წარმომადგენლების მთავრობიდან და პარლამენტიდან განდევნის შესახებ, პარლამენტიდან გაძევებული იქნა ყველაზე უფრო რეაქციონერი 21 დეპუტატი.

1946 წლის შემოდგომაზე შედგა უნგრეთის კომპარტიის III ყრილობა, რომელმაც პარტიისა და დემოკრატიული ძალების წინაშე მთავარ ამოცანად დასახა კაპიტალიზმის შემდგომი შეზღუდვისათვის ბრძოლა და წამოაყენა ლოზუნგი: „გაეთრიონ ხალხის მტრები კოალიციიდან“.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების სამწლიანი გეგმა (1947 — 1950 წწ.). ამ გეგმის სახელმწიფო კანონად გამოცხადებისათვის კომპარტიას დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდა.

ამ დროისათვის უნგრეთში მძიმე ეკონომიური მდგომარეობა იყო შექმნილი. ხალხთა მასების ცხოვრების დონე კატასტროფულად ეცემოდა. მაგალითად, 1945-1946 წწ. ომამდელ დონესთან შედარებით სასურსათო მარაგი შეადგენდა: მარცვლეულისა—24, ხორცისა—12, ცხიმისა—17, შაქრისა—14, რძისა—40 პროცენტს. ფასები დღეში ორჯერ-სამჯერ იზრდებოდა. მუშათა რეალური ხელფასი ეცემოდა არა დღეობით, არამედ საათობით. ერთი კვირის ხელფასით მუშა 1 კგ კარტოფილსაც ვერ ყიდულობდა. კატასტროფული სისწრაფით ეცემოდა აგრეთვე ფულის კურსიც.

კომპარტია და მემარცხენე ბლოკი ყოველ ზომებს ღებულობდნენ რთული ეკონომიური ვითარების დასაძლევად. 1946 წელს მემარცხენე ბლოკმა მოაწყო ხალხთა ფართო ფენების მრავალრიცხოვანი გაფიც-

ვები, დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები აღნიშნული მოთხოვნების განხორციელების გატარებისათვის. 1946 წელს კომპარტიის მოთხოვნით გატარდა ფულის რეფორმა. შემოღებული იქნა ოქროთი უზრუნველყოფილი ფულის ახალი ერთეული—ფორინტი, რომელმაც ბოლო მოუღო ფულის ინფლაციას, ნაციონალიზირებული იქნა, ან დაწესდა სახელმწიფო კონტროლი ელექტროსადგურებზე, მსხვილ წარმოებებზე.

1946 წლის 18 ოქტომბერს მემარცხენე ბლოკმა მთავრობას წაუყენა მემორანდუმი სამრეწველო საქონელზე ფასების 25%-ით დაკლებისა, ქიმიური მრეწველობის ნაციონალიზაციისა და ბანკებზე კონტროლის დაწესების შესახებ. მემორანდუმი მოითხოვდა აგრეთვე რეაქციონერების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმოებას. ფერენც ნადის მთავრობამ უარყო მემორანდუმი. ამავე დროს რეაქციამ დაიწყო შეთქმულების მზადება გადატრიალების მიზნით, ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის აღდგენისა და დემოკრატიული ძალების განადგურებისათვის. შეთქმულების სოციალური ბაზა იყო მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, კულაკობა, ყოფილი მემამულეები, ფაშისტები. ისინი იმედოვნებდნენ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, რომელიც კომუნისტების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, თავის დროზე აღმოაჩინეს შეთქმულება. იგი გახსნილი იქნა 1946 წლის დეკემბერში. დადგინდა, რომ შეთქმულნი დაკავშირებული იყვნენ საზღვარგარეთის იმპერიალისტებთან. ქვეყნის შიგნით ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად გამოდიოდა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის ხელმძღვანელობა. გამოძიებისას გამოირკვა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ ბელა ვარგი და ფერენც ნადი. ეს უკანასკნელი დასვენების საბაბით შვეიცარიაში იმყოფებოდა. შეეშინდა რა სახალხო სასამართლოსი, მან უარით უპასუხა წინადადებას უნგრეთში დაბრუნებაზე და გადადგა. შეთქმულები თავისი განზრახვის განხორციელებას ფიქრობდნენ ზავის დადებისა და საბჭოთა ჯარების უნგრეთიდან გაყვანის შემდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდა იატაკქვეშა ფაშისტური ორგანიზაცია „უნგრეთის ერთობა". შეთქმულების განადგურების შემდეგ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის ხელმძღვანელობიდან და მთავრობის შემადგენლობიდან განდევნილი იქნენ რეაქციონერები. სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიის სათავეში მოექცნენ მემარცხენეები იშტვან დობის მეთაურობით. შეთქმულების განადგურების შემდეგ მემარცხენეებმა მოითხოვეს პარლამენტის არჩევნების ვადაზე ადრე ჩატარება, ვინაიდან მასში კლასთა ძალების განლაგება მემარცხენე პარტიების სასარგებლოდ შეიცვალა. ქვეყანაში ჯერ კიდევ იყო რამდენიმე პარტია, რომლის იმედი ჰქონდა როგორც საში-

ნაო, ისე საგარეო რეაქციას. ეს პარტიები იყვნენ „კათოლიკური სახალხო პარტია“, „უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტია“ და „სოციალ-დემოკრატიული პარტია“. ამ უკანასკნელი პარტიის ლიდერები ვერ ბედავდნენ სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლებს. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ კომპარტიის წინადადებაზე საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ. ამ ბლოკში აღნიშნული პარტიების გარდა შეეიდნენ ეროვნულ გლეხთა პარტია და მემარცხენეები სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიიდან.

არჩევნებში, რომელიც ჩატარდა 1947 წლის 31 აგვისტოს, ხმების უმრავლესობა (60,2%) მიიღო მემარცხენე პარტიების ბლოკმა. აქედან, კომუნისტურმა პარტიამ მიიღო სხვა დანარჩენ პარტიებთან შედარებით ყველაზე მეტი ხმები (21.8%), ოპოზიციურმა რეაქციულმა პარტიებმა ერთად მიიღეს ხმების 39,8%. საყურადღებოა, რომ ამ არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიამ, რომელმაც 1945 წლის არჩევნებთან შედარებით 2 მლნ ხმით ნაკლები მიიღო. ამ პარტიის ყოფილი ლიდერის შეთქმულებაში მონაწილეობის შედეგად მათი გავლენა გლეხობაში დაეცა. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 14%.

არჩევნების შედეგების მიხედვით შეიქმნა მთავრობა, რომელშიც კომუნისტებმა წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს. არჩევნების შემდეგაც ქვეყნის რეაქციულ ძალებს არ დაუყრიათ ფარ-ხმალი. მათ დასაყრდენად ამჯერად გახდნენ მემარჯვენე სოციალისტები პეიერის მეთაურობით, უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტია და კათოლიკური ეკლესია კარდინალ მინდსენტის მეთაურობით. უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიის მოღვაწეობა აკრძალულ იქნა, პეიერი საზღვარგარეთ გაიქცა, ხოლო მისი დამქაშები დაპატიმრებული იქნენ.

1948 წელს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გახსნეს სახალხო მთავრობის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი შეთქმულება, რომლის სათავეში იდგა კარდინალი მინდსენტი. იმავე წლის დეკემბერში მინდსენტი და მისი ჯგუფი დააპატიმრეს. გამოძიებისას დამტკიცდა, რომ შეთქმულნი დაკავშირებული იყვნენ უცხოეთის დაზვერვასთან და საზღვარგარეთის იმპერიალისტების დახმარებით მიზნად ისახავდნენ ქვეყნის შიგნით ომამდელი რეჟიმის აღდგენას.

მუშათა ორი პარტიის გაერთიანება

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ელემენტებისაგან გაწმენდის შემდეგ 1948 წლის ივნისში კომუნისტური და სოციალისტური პარტიები გაერთიანდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიად. მუ-

შათა კლასის ორ პოლიტიკურ პარტიად გათიშულობის ლიკვიდაციასა და ერთიანი პარტიის შექმნას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პარტიაში საკმაო რაოდენობით გაძვრენ კარიერისტები და საეჭვო ელემენტები, რის გამოც მშრომელთა პარტია დანაგვიანებული აღმოჩნდა. მისი რიგები მეტისმეტად გაიზარდა, 1 მილიონზე მეტ წევრამდე (9,3 მლნ მოსახლეობაზე). პარტიის მთავარი ბირთვი ფაქტიურად გათქვეფილი აღმოჩნდა მრავალრიცხოვან წევრებს შორის. პარტიის შიგნით ჩამოყალიბდა ფრაქციონერთა ჯგუფი, რომელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა არ მიმდინარეობდა. პარტიაში გამძვრალი საეჭვო და კარიერისტული ელემენტების წყალობით ქვეყნის შიგნით არსებულმა რეაქციონერებმა თავისი ძალები შეინარჩუნეს. უნგრეთის მშრომელთა პარტიამ დაუშვა მთელი რიგი შეცდომები ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში და ვერ უზრუნველყო პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის როლი. 1948 წლის ზაფხულში დამთავრდა „გარდატეხის წელი“ უნგრეთის რევოლუციური პროცესის განვითარებაში, ვინაიდან ამ წელს მშრომელ გლეხობასთან კავშირში სახელმწიფო ხელისუფლებიდან გამოაძევეს ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მათი მომხრეები და დაამყარეს პროლეტარული დიქტატურა.

ამრიგად, 1948 წლისათვის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

§ 10. უნგრეთი. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია

1949 წლის მაისში უნგრეთში ჩატარდა ეროვნული კრების რიგგარეშე არჩევნები. არჩევნების წინ მშრომელთა პარტიამ შეჰქმნა უნგრეთის სახალხო ფრონტი, რომელშიც შევიდნენ: მშრომელთა პარტია, სოფლის წვრილ მეურნეთა პარტია, ეროვნულ გლეხთა პარტია, სხვა მრავალრიცხოვანი პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები. სახალხო ფრონტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 95,6%-მა. პირველად უნგრეთის ისტორიაში აირჩიეს პარლამენტი, რომელშიც ბურჟუაზიისა და მემამულეთა არც ერთი წარმომადგენელი არ იყო.

1949 წლის 20 აგვისტოს უნგრეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად და მიღებულ იქნა უსრ-ის კონსტიტუცია. კონსტიტუცია სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სახელმწიფო კრებას, რომელსაც ირჩევდნენ 4 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოა მინისტრთა

საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო კრების წინაშე. კონსტიტუცია უზრუნველყოფდა უნგრელი ხალხის უფლებებს შრომაზე, დასვენებაზე, განათლებაზე და ა. შ. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 1950 წლის ოქტომბერში ჩატარდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რომლის შედეგადაც შეიქმნა 3217 ადგილობრივი საბჭო.

ბრძოლა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოოპერირებისათვის

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 1946 წელს ჩატარდა ნაციონალიზაცია, ან დაწესდა სახელმწიფო კონტროლი შახტებზე, ელექტროსადგურებსა და მსხვილ საწარმოებზე.

1947 წლის შემოდგომიდან 1948 წლის ზაფხულამდე ნაციონალიზებულ იქნა აგრეთვე ყველა სამრეწველო საწარმო, სადაც მუშაობდა 100-ზე მეტი კაცი. 1949 წლის დეკემბერში ეროვნული კრების დეკრეტით კი ნაციონალიზებულ იქნა ყველა სამრეწველო საწარმო, სადაც 10-ზე მეტი კაცი მუშაობდა. ამის შემდეგ სოციალისტური სექტორი მრეწველობაში შეადგენდა 91.1%-ს.

სოციალისტური სექტორის შექმნის შემდეგ მრეწველობაში მთავრობა დაადგა ქვეყნის ეკონომიკის გეგმაზომიერი განვითარების გზას. უნგრელმა ხალხმა 1949 წლისათვის წარმატებით განახორციელა სამწლიანი გეგმა (1947—1949 წწ.), რომლის მთავარი ამოცანა იყო ომის დროს განადგურებული მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. 1949 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 40%. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მიუახლოვდა ომამდელ დონეს.

1949 წლის დეკემბერში სახელმწიფო კრებამ მიიღო პირველი ხუთწლიანი გეგმა (1950 — 1954 წწ.).

პირველი ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა იყო: ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, უპირატესად მძიმე მრეწველობის, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობის განვითარება, ტრანსპორტის მოდერნიზაცია, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და მისი მექანიზაცია, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, უნგრეთის აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევა.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მატიას რაკოშის მეთაურობით, არ გაითვალისწინა ქვეყნის რეალური შესაძლებლობანი და მოახდინა პირველი ხუთწლიანი გეგმის ისედაც მაღალი მაჩვენებლების გადასინჯვა, მისი გაზრდის მიზნით. 1951 წლის თებერვალში ეს გადასინჯული გეგმა მოიწონა უნგრე-

თის მუშათა პარტიის XI ყრილობამ. ხოლო მაისში დაამტკიცა იგი სახელმწიფო კრებამ. ახალი გეგმით სამრეწველო პროდუქცია 86.4%-დან უნდა გაზრდილიყო 240%; მანქანათმშენებლობის წარმოება 125-დან—290%, მეტალურგიისა—95-დან—162%; სოფლის მეურნეობის პროდუქცია—42.4-დან—54%, საერთოდ ცხოვრების დონე ნაცვლად 35%-სა 50%-ით. გეგმის პირველი ვარიანტით უნდა აგებულიყო 263 საწარმო, მეორე ვარიანტით 341.

მიუხედავად ასეთი გაზრდილი, ფარარეალური ვალდებულებისა, უნგრეთის ხალხის თავდადებული შრომის შედეგად პირველ ხუთწლედში მიღწეულ იქნა გრანდიოზული წარმატებები. ააგეს 75 უმსხვილეული სამრეწველო საწარმო, ხოლო 100-ზე მეტი რეკონსტრუირებული იქნა. მწყობრში ჩადგა ათობით ახალი შახტი და მაღარო. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები—ხელსაწყოთმშენებლობის, გემთმშენებლობის, ავტოსატრაქტორო, ბოქსიტ-ალუმინის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ა. შ. გაფართოვდა იქნა ახალი გზები, არხები. აიგო მრავალი ხიდი, შეიქმნა ახალი ინდუსტრიული ქალაქები და რაიონები — დუნაივაროში, ბეკეკეაროში, კომლო, ბორშოდი და სხვები.

პირველ ხუთწლედში სამრეწველო საწარმოები იზრდებოდა გიგანტური ტემპებით — ყოველწლიური საშუალო მატება 25% შეადგენდა. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1954 წლისათვის სამჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. მრეწველობის ხვედრითი წონა ხუთწლედის ბოლოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 50-დან 64% გადიდდა.

მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი საშუალოდ 20%-ით გაიზარდა. ხოლო ეროვნული შემოსავალი—50%.

უნგრეთი აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყნიდან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

დიდი ცვლილებები მოხდა სოფლად. 1948 წლიდან უნგრეთის მშრომელთა პარტიამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის კურსი აიღო, რომლის განხორციელება თავდაპირველად თანდათანობით იყო გათვალისწინებული, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შედეგად. კერძოდ, ჯერ გატარდა მიწაზე კერძო საკუთრების შეზღუდვა, აიკრძალა რეფორმის შედეგად მიღებული მიწების გაყიდვა, ხოლო სხვა სახის მიწების ყიდვა-გაყიდვაზე, ან იჯარით გაცემაზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. შეიქმნა მანქანა-ტრაქტორების სადგურები, მანქანათა გაქირავების პუნქტები, სოფლის მეურნეობის მანქანების შეკეთების სახელოსნოები და ა. შ. გაჩნდა პირველი სახელმწიფო მეურნეობები და კოოპერატიული გაერთიანებები. უკა-

ნასკნელთან დაკავშირებით, 1948 წლის 17 დეკემბერს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცა დებულება კოოპერატივების ტიპების შესახებ, რომელიც რეკომენდაცია იყო გლეხების კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლისათვის. ამ დებულების მიხედვით შეიქმნა მარტივი და უმაღლესი ტიპის საწარმოო კოოპერატივები. მარტივი გაერთიანების ფორმა იყო სოფლის მეურნეობების ამხანაგობები, რომლის წევრები ერთობლივად ხნავდნენ და თესდნენ, მაგრამ მოსავალს ცალ-ცალკე იღებდნენ და ინარჩუნებდნენ კერძო საკუთრებას მიწაზე, გამწევ ძალაზე, შრომის იარაღებზე. ისინი გადასახადებს ინდივიდუალურად იხდიდნენ, კოოპერატივში გაწეული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ. ეს იყო პირველი ტიპის კოოპერატივი ანუ ამხანაგობა.

მეორე ტიპის კოოპერატივებში ყველა სასოფლო სამუშაოს კოლექტიურად აწარმოებდნენ, მაგრამ ინარჩუნებდნენ კერძო საკუთრებას მიწაზეც და წარმოების ყველა იარაღზეც. კოოპერატივის ყველა წევრის მუშაობა და შემოსავალი განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი მიწის ფართობი ქონდა შეტანილი კოოპერატივში.

უმაღლესი გაერთიანების, მესამე ტიპის კოოპერატივებში, წევრების ძირითადი წარმოების იარაღების გაერთიანება ნებაყოფლობით ხდებოდა. ამ ტიპის კოოპერატივებში მიწის დამუშავება: დახვნა, დათესვა, მოვლა და მოსავლის აღება კოლექტიურად სრულდებოდა, შემოსავლის 80% შრომადღეებზე ნაწილდებოდა, დანარჩენი კი კოოპერატივის წევრთა მიერ შეტანილი მიწის ფართობის მოცულობის მიხედვით. კოოპერატივის წევრი კოოპერატივში შეტანილ მიწაზე ინარჩუნებდა კერძო საკუთრების უფლებას, გარდა ამისა მას რჩებოდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და ინვენტარი. 1952 წლის დამლევისათვის უნგრეთში უკვე 5 ათასი კოოპერატივი არსებობდა, რომელიც ამუშავებდა სახნავი მიწების 22 პროცენტს.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში დაშვებული შეცდომები. მემარცხენე და მემარჯვენე გადახრები

სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და განვითარებაში უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობამ დიდ წარმატებებთან ერთად რიგი შეცდომები დაუშვა. მემარცხენე გადახრა პარტიის ხელმძღვანელობის ნაწილში გამოიწვია მისწრაფებებმა ფრონტალური შეტევები ეწარმოებინათ სოფლის ექსპლუატატორთა წინააღმდეგ მათი ლიკვიდაციის მიზნით. პარტიამ საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის პოლიტიკა გამოაცხადა, მაგრამ ხშირად გლეხთა ამ ფენების ინტერესებიც ილახებოდა. 1951 — 1952 წლებში გლეხთა კოოპერატივებში დაჩქარებით გაერთიანების მიზნით ადმინისტრაციული და სამეურნეო

ხელმძღვანელები ხელოვნურად ზღუდავდნენ ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობას, რამაც გამოიწვია სასაქონლო პროდუქციის შემცირება. ამას მოჰყვა ქალაქსა და სოფელს შორის სასაქონლო ვაჭრობის შემცირება, რის გამოც, მართალია, საწარმოო კოოპერატივებმა გაზარდეს, როგორც საცალო, ასევე საბითუმო ვაჭრობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არა საკმარისი იყო და მას არ შეეძლო საერთო პროდუქციის შემცირების კომპენსირება. შექმნილი ვითარებიდან მთავრობა გამოსავალს ეძებდა სახელმწიფოსადმი სავალდებულო გადასახადების მოცულობის ინტენსიური გაზრდით. ამ გზით სურდა მას უზრუნველეყო მრეწველობა ნედლეულით და ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. 1948 — 1950 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სისტემა, მიუხედავად მისი ზოგიერთი ნაკლისა, არ იყო დიდი. დამზადების შემდეგ გლეხებს რჩებოდათ ზედმეტი პროდუქტები. რომელიც ბაზარზე გაქონდათ.

1951 წელს მდგომარეობა შეიცვალა. სავალდებულო დამზადების პროდუქტებში შევიდა ყველა სახის სოფლის მეურნეობის ნაწარმი და გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ნორმებიც არა მარტო კულაკური, არამედ აგრეთვე საშუალო და ღარიბი გლეხების მეურნეობებზეც. დამზადებიდან თუ ადრე ათავისუფლებდნენ 5 ჰოლდზე ნაკლები მიწის მფლობელს, ახლა მისგან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ერთი და ნაკლები ჰოლდი მიწის მფლობელები, რამაც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთგვარი შეფერხება გამოიწვია. ყოველივე ამის შედეგად შემცირდა ინდივიდუალური და კოოპერატიული მეურნეობის გლეხთა შემოსავალი. ამის შედეგად კი, მაგალითად, 1953 წელს 1 მლნ ჰოლდზე მეტი მიწა დაუთესავი დარჩა. ნაადრევმა და ადმინისტრირების მეთოდებით კოოპერირების პოლიტიკამ, სავალდებულო დამზადების გაზრდამ გლეხთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

გარდა ამისა კოოპერირების გატარების დროს ადგილებზე დაშვებული იქნა შეცდომები. ყოველთვის არ ხორციელდებოდა ნებაყოფლობის პრინციპები, ხშირი იყო საშუალო გლეხობის განკულაკება, ხოლო კულაკობის, როგორც კლასის იზოლაციის ნაცვლად ხშირად იყო მათი რეპრესირება. შეცდომები აფერხებდა სოფლის მეურნეობის კოოპერირების საქმეს, ირღვეოდა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ამის შედეგად დასუსტდა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის საკითხში მემარცხენე გადახრა გამოიხატა მძიმე მრეწველობის ფორსირებული განვითარების კურსში—შესაძლებლობათა გათვალისწინების გარეშე. ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები ისედაც დიდი იყო, მისი ახალ ვარიანტში მი-

ღების დროს საკონტროლო ციფრები კიდევ უფრო გაზარდეს. გეგმის ახალი ვარიანტის შესრულება მოკლე დროში, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც უნგრეთია, ძალზე ძნელი გახდა. მძიმე მრეწველობაში დააბანდეს სახალხო მეურნეობისათვის გათვალისწინებული ძირითადი თანხა, მეურნეობის სხვა დარგები კი რთულ პირობებში აღმოჩნდა. პირველი ხუთწლიანი გეგმის ორივე ვარიანტის შესრულება არარეალური ამოცანების განხორციელების დასახვას ნიშნავდა. ამიტომ დიდი სიძნელეები შეიქმნა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

კაპიტალური დაბანდების მაქსიმალურმა ფორსირებამ მათი ეფექტურობის ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე, მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაბამისი ამაღლების გარეშე, გამოიწვია მკვეთრი დისპროპორცია სახალხო მეურნეობაში, მშრომელთა ცხოვრების დონის დაცემა, რაც იწვევდა ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას. პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში მყოფი რაკოშის ჯგუფი არ იბრძოდა ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, სულ უფრო ღრმად ეშვებოდა ბიუროკრატიზმის, ადმინისტრირებისა და სექტანტიზმის ჭაობში. იგი თანდათანობით მოსწყდა ხალხს. ცკ-ში ოლიგოლოვა კოლექტივიზმის პრინციპი. ამის შედეგი კი ის იყო, რომ იგი პატიოსანი კომუნისტებისა და მოღვაწეების სწორ, სამართლიან კრიტიკას და შენიშვნებს გაუმართლებელი რეპრესიებით პასუხობდა, რითაც უხეშად არღვევდა სოციალისტურ კანონიერებას, ცილს სწამებდნენ მუშათა კლასის, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების საუკეთესო მოღვაწეებს. მათ წინააღმდეგ მიმართავდნენ უსაფუძვლო რეპრესიებს. დაპატიმრებულთა შორის ბევრი იყო მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული შვილები, რომელთაც დიდი დამსახურება ჰქონდათ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცებაში. 1949 წლის ზაფხულში ყალბი და შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს უნგრეთის კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, დაპატიმრებამდე შინაგან საქმეთა, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრი ლასლო რაიკი. მასთან ერთად რეპრესიები განიცადა 19-მა გამოჩენილმა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემ.

ლ. რაიკის „საქმეზე" მოწყობილი სასამართლო „სპექტაკლი" დასაბამი გახდა ასეთი პროცესების მთელი სერიისა, ანუ როგორც უნგრეთში უწოდებენ „კონცეპციური პროცესებისა". 1950 — 1951 წლებში დაპატიმრებული იქნენ აგრეთვე ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ი. კადარი, დ. კალაი, ა. საჟიშჩი, ა. სალაი.

„უნგრეთის კომპარტიის 40 წლისთავისადმი გამოქვეყნებულ თეზისებში მ. რაკოშის მოღვაწეობა შემდეგნაირადაა დახასიათებული: „მ. რაკოშმა დიდი როლი შეასრულა ჰორტისტული რეჟიმის წინააღ-

მდეგ ბრძოლაში. ქვეყნის ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ იგი ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ხელისუფლებისათვის წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლაში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში. მ. რაკოში ჯერ ურიგდებოდა თავის პიროვნების კულტს. შემდეგ კი მალე თვითონ აქეზებდა მას და უშვებდა სულ უფრო და უფრო ბევრ შეცდომას. მისმა მოღვაწეობამ ძირი გამოუთხარა პარტიის ერთობას, სერიოზულად შეასუსტა პარტიის კავშირი მასებთან და დიდი ზარალი მიაყენა სოციალიზმის საქმეს. იმის შემდეგაც კი, როდესაც მისი შეცდომები გამოაშკარავდა, მან ვერ შეძლო მისი ნამდვილი გაგება, ხელს უშლიდა მის გამოსწორებას; მას არ ყოფნიდა პოლიტიკური და მორალური გამბედაობა, რათა დაეძლია თავისი შეცდომები. თავისი მოღვაწეობით იგი რევიზიონისტულ დემაგოგიას კვებავდა.“

ასეთ ვითარებაში ერთი მხრივ სოციალიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით ხდებოდა სოციალისტური იდეების დამკვიდრება მასებში, მეორე მხრივ, კი იმის გამო, რომ დაირღვა რიგითი წევრებისა და მისი ხელმძღვანელობის ერთიანობა. არ მიმდინარეობდა გადამწყვეტი ბრძოლა პარტიის შიგნით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და მათ მიმართ მოდუნდა სიფხიზლე. ამან გამოიწვია პროლეტარული დიქტატურის შესუსტება. მემარჯვენე გადახრას პარტიაში სათავეში ედგა ფრაქციონერ-რევიზიონისტთა ჯგუფი იმრე ნადის ხელმძღვანელობით.

1953 წლის ივნისში უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ გაფართოებულმა პლენუმმა განიხილა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. პლენუმმა აღნიშნა მიღწეული წარმატებები სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამასთანავე პლენუმმა მთელი სერიოზულობით განიხილა პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომები: კავშირის შესუსტება პარტიასა და მუშათა კლასს შორის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის განუხრელად ამაღლებისათვის ზრუნვის საქმეში ყურადღების მოდუნება და ა. შ. პლენუმმა ხაზი გაუსვა, რომ პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელობა თავის მოღვაწეობაში ანგარიშს არ უწევდა უნგრეთის ეკონომიურ შესაძლებლობებს და ისეთ ამოცანებს აყენებდა, რომლის შესასრულებლად სათანადო პირობები არ იყო და ქვეყნის ძალებს აღემატებოდა. პლენუმმა გაილაშქრა ინდუსტრიალიზაციის ტემპების, მისი ცალმხრივი მიმართულების წინააღმდეგ და მოითხოვა სოციალისტური მრეწველობის ისეთი განვითარება, რომელიც მშრომელი მასების და უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის განუხრელად ამაღლებას გამოიწვევდა.

დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვას. პლენუმმა აღნიშნა ის დიდი ცვლილებები, რომელიც სოფლად მოხდა, მაგრამ ხაზი გაუსვა იმ შეცდომებსაც, რომლებიც დაშვებულ იქნა კოოპერატივების რიცხობრივ ზრდაში, ყურადღება შიაქცია იმ მდგომარეობას, რომ არასაკმარისი ყურადღება და დახმარება ეწეოდა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემცირება.

პლენუმმა აღნიშნა, რომ დაეცვათ სოციალისტური კანონიერება.

ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გამოიტანეს მთელი რიგი დადგენილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მუშათა და გლეხთა კლასებს შორის, პარტიასა და მასებს შორის კავშირის განმტკიცებას. მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში მთავრობამ ორჯერ შეამცირა ფასები მოხმარების საქონელზე და ტარიფები მოსახლეობის კომუნალურ და სხვა მომსახურებაზე. რაც მშრომელებს ყოველწლიურად 1.5 მლრდ ფორინტის ეკონომიას აძლევდა.

მიღწეულ წარმატებათა შედეგად 1953 წელს გამოშვებული სესხი 700 მლნ ფორინტით ნაკლები იყო, ვიდრე წინა წელს. მთავრობის სპეციალური დადგენილებით სავალდებულო გადასახადების და დამზადების სისტემა შეიცვალა. დამზადების ახალი სისტემით შემცირდა მისი მოცულობა და იგი მიწის ფართობის მიხედვით, სამი წლით ადრე უნდა განსაზღვრულიყო. დადგენილება ითვალისწინებდა აგრეთვე სავალდებულო დამზადების მნიშვნელოვნად შემცირებას. გლეხთა დავალიანება ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმდა. აგრეთვე გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვაზე არსებული შეზღუდვები, რომლის შედეგი იყო მშრომელი გლეხობის დამშვიდება, მომავლის რწმენის განმტკიცება და მისი დაინტერესება პროდუქციის ზრდაში.

ივნისის პლენუმის შესაბამისად გადანაწილდა კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, რომლის მთავარი მიზანი იყო მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარება, ხოლო მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელება. 1953 წლის ბოლოს, ისევე როგორც სსრ კავშირში მოხდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს, დაიწყო კერძო ინიციატივის წახალისება მსუბუქ მრეწველობაში, ვაჭრობაში და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ადგილობრივი საბჭოების ნებართვით ხელოსნებმა და ვაჭრებმა მიიღეს პატენტები. გამოიცა ბრძანებულება ამნისტიის შესახებ, ლიკვიდირებული იქნა ინტერნირების სისტემა, აიკრძალა მო-

ქალაქების გასახლება ბუდაპეშტიდან და სხვა ქალაქებიდან სოციალური ნიშნის მიხედვით. ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება და ნაკლოვანების გამოსწორება დაევალა იმრე ნადს, რომელიც გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. როგორც აღვნიშნეთ, პარტიაში იგი ხელმძღვანელობდა ფრაქციონერ-რევიზიონისტთა ჯგუფს. 1947—1948 წლებში იგი ჯერ კიდევ როდესაც კომპარტიის, შემდეგ მშრომელთა პარტიის პოლიტბიუროს წევრი იყო, გამოდიოდა უნგრეთის სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის წინააღმდეგ. თავის ასეთ პოზიციას იგი ამართლებდა იმით, რომ ქვეყანა ვითომც ამისათვის ჯერ ეკონომიურად სათანადოთ მომწიფებული არ იყო. იმრე ნადი და მისი ჯგუფი მხარს უჭერდნენ კულაკობასა და ქალაქის წვრილბურჟუაზიულ ფენებს და ამის გამო იყო, რომ ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გლეხთა კოოპერირებისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის.

ამრიგად, ეს მემარჯვენე გადახრა წვრილბურჟუაზიული ხასიათისა იყო. პოლიტიკურ დარგში მემარჯვენეების საქმიანობა ძირს უთხრიდა პროლეტარულ დიქტატურას, უარყოფდა საბჭოებს, როგორც პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს.

1950 წლის ივლისში უნგრეთის საბჭოებში არჩევნები ჩატარდა. არჩეული 220 ათასი დეპუტატიდან 85% მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ. ამ არჩევნების შემდეგ შეიცვალა ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. დეპუტატთა მესამედი უნგრეთის მშრომელთა პარტიიდან იყვნენ. რევიზიონისტებს არ მოსწონდათ, რომ საბჭოების უმრავლესობას მუშები და მშრომელი გლეხები შეადგენდნენ. რევიზიონისტები გამოდიოდნენ აგრეთვე დემოკრატიული ცენტრალიზმის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელი როლის შესუსტებას ქვეყნის გამგებლობაში და უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტით შეცვლას, რომელიც შეიქმნა 1949 წელს უნგრეთის დამოუკიდებლობის ეროვნული ფრონტის რეორგანიზაციის შემდეგ. მასში შედიოდნენ: უნგრეთის მშრომელთა პარტია, პროფკავშირები, უნგრეთის მშრომელი გლეხობისა და სოფლის მეურნეობის მუშების კავშირი, უნგრეთის ქალების დემოკრატიული კავშირი, უნგრეთის ახალგაზრდობის სახალხო კავშირი. სახალხო ფრონტმა სცნო უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობა და მისი სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა. იმრე ნადისა და მისი მიმდევრების ამოცანა იყო უნგრეთის მშრომელთა პარტიისათვის ძირის გამოთხრა, სოციალიზმის მშენებლობისათვის ხელის შეშლა, რასაც საბოლოო ჯამში კაპიტალიზმის

რესტავრაცია მოყვებოდა. მემარჯვენეების პრაქტიკული მოღვაწეობა განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა 1953—1955 წლებში ხელისუფლების სათავეში იმრე ნადის ყოფნის დროს. უნგრეთის „სოციალიზმში გადასვლის თავისებური გზის“ გამონახვის მოტივით იმრე ნადი მხარს უჭერდა და აღვივებდა ნაციონალისტურ და ანტისაბჭოთა განწყობილებას. მას მხარს უჭერდა უპარტიო და პარტიული ინტელიგენცია. „დოგმატიკოსებისა“ და „სექტანტების“ წინააღმდეგ ბრძოლის ილუზიების საბაბით მან შეძლო თავისი გავლენის გაძლიერება მუშათა კლასის იმ ნაწილზე, რომელიც წვრილბურჟუაზიული წრიდან იყო გამოსული. მარქსისტულ-ლენინურ დებულებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების პროპორციულად განვითარების შესახებ, საზოგადოების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისათვის იმრე ნადი თავისი დემაგოგიური მიზნებისათვის იყენებდა. მან გაილაშქრა არა მარტო მძიმე ინდუსტრიის უპირატესად განვითარების, არამედ საერთოდ ინდუსტრიის განვითარების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ინდუსტრიალიზაციის ტემპების მკვეთრი შესუსტება. ამის შედეგი კი ის იყო, რომ 1954 წელს ზოგიერთი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტის მშენებლობის დამთავრების გეგმა არ შესრულდა, ხოლო სამრეწველო ობიექტების მშენებლობის დიდი ნაწილი, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა და უკვე გაწეული უზარმაზარი ხარჯებისა, შეჩერდა. გაიზარდა პროდუქციის დიდი ნაწილის თვითღირებულება, რადგან არასწორად იხარჯებოდა ხელფასის ფონდი, სამუშაო დრო, მასალები. მკვეთრად დაეცა შრომისა და სამოქალაქო დისციპლინა, გაიზარდა, საზოგადოებრივი ქონებისა და სახელმწიფო სახსრების დატაცება.

თუ 1953 წლამდე უნგრეთის ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას ხელს უშლიდა ინდუსტრიალიზაციის მეტისმეტი ტემპები და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა, 1954 წლის ბოლოდან, აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, იწყება მძიმე მრეწველობის წარმოების დაცემა და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა, ბუნებრივია, რომ მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდა. იმრე ნადის მოღვაწეობამ დიდი ზიანი მიაყენა პარტიას, სოციალიზმის მშენებლობის საქმეს უნგრეთში, დეზორგანიზაცია შეიტანა უნგრეთის მუშათა კლასსა და გლეხობაში, ხელი შეუწყო სოციალიზმის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო მტრების გააქტიურებას უნგრეთის ხალხის რევოლუციური მონაპოვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მდგომარეობა იმითაც რთულდებოდა, რომ 1953 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ იმრე ნადის რევიზიონისტული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტიურად შეწყდა. მხოლოდ 1955 წლის

მარტსა და აპრილში მოწვეულმა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაილაშქრა ფრაქციონერ-რევიზიონისტ იმრე ნადის წინააღმდეგ. პლენუმმა განსაზღვრა, რომ იმრე ნადი როგორც უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ისეთი პოლიტიკური შეხედულებებისაა, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკას, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ინტერესებს. პლენუმმა იმრე ნადი გამოიყვანა პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და დაითხოვა ყველა იმ თანამდებობიდან, რომლებიც მას ეკავა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გახდა ანდრაშ ჰეგედიუში. მაგრამ პლენუმმა ბოლომდე ვერ გააშიშვლა იმრე ნადის ოპორტუნიზმის სოციალური სახე და ზოგიერთის თვალში იგი იდეებისათვის მებრძოლ და დაზარალებულ პიროვნებად წარსდგა. გარდა ამისა, იმრე ნადის ფრაქციის ნაწილი დარჩა ცენტრალურ კომიტეტში და კვლავ აქტიურად აწარმოებდა თავის ბნელ საქმიანობას, განსაკუთრებით ინტელიგენციის ფენებში. შემდეგ. იმრე ნადის საწინააღმდეგოდ სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ მან 1955 წლის დეკემბერში შექმნა იატაკქვეშა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ მისი უახლოესი თანამზრახველები გეზა ლოშონცი, ფერენც დონატი, მიკლოშ გიმეში, იოჟეფ სილადი. ეს ჯგუფი შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა და თავის ამოცანად სახელმწიფო ხელისუფლების ხელთ ჩაგდება განიზრახა. ამ მიზნით იგი იყენებდა არალეგალურ და ლეგალურ ყველა შესაძლებლობას, გააჩაღა ბრძოლა პარტიისა და არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. იმრე ნადი გამოვიდა პროლეტარული დიქტატურისა და ამ სისტემაში პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. სიტყვით იგი ყოველთვის ხაზს ესვამდა თავის კომუნისტობას, მაგრამ სინამდვილეში სოციალიზმის და კომუნიზმის მტერი იყო. თავის თავს იგი „ნაციონალ-კომუნისტს“ უწოდებდა და კომუნიზმის დამყარებას „უნგრეთის თავისებური გზით“ პროლეტარული დიქტატურის გარეშე ფიქრობდა. იმრე ნადს და მის თანამზრახველებს ესმოდათ, რომ ანტისოციალისტური ლოზუნგებით გამოსვლის შემთხვევაში ისინი მშრომელთა აღშფოთებას დაიმსახურებდნენ. ამიტომ ძალიან ნელებოდნენ და მასების შეცდომაში შეყვანას ფიქრობდნენ. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს იმრე ნადი თავისი დემაგოგიური მიზნების გამოყენებისათვის ფიქრობდა და ფართო პროპაგანდა გააჩაღა „პიროვნების კულტის“ სტალინიზმის და რაკოშიზმის წინააღმდეგ. მან თავისი თავი XX ყრილობის მიერ გამოცხადებულ „სოციალიზმის ინტერესებისათვის „დემოკრატიზაციის პროცესის“ მომხრედ გაასაღა. რაკოშ-გერეს ჯგუფი ვეღარ ართმევდა თავს რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და თავისი საქმიანობით

დემორალიზირებულ გავლენას ახდენდა პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელ და რიგით წევრებზე. მ. რაკოში სიტყვით ცნობდა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პიროვნების კულტის დაძლევას პარტიულ და სახელმწიფო ცხოვრებაში, მაგრამ სინამდვილეში მან ვერ შეძლო ამ გზით წასვლა, ვერ შეძლო ახლებურად, ახალი მოთხოვნების შესაბამისად თავისი მუშაობის გარდაქმნა. რაკოშ-გერეს ჯგუფი ოპორტუნიზმთან ბრძოლის საბაბით ძველებური დოგმატური და რეპრესიების გზით მოქმედებდა და ამით თავისი ძველი პოლიტიკის გამართლებას ცდილობდა.

1956 წლის ივლისში შემდგარმა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შექმნილი ვითარება, მოხსნა მ. რაკოში ცკ-ის პირველი მდივნობიდან და გამოიყვანა პოლიტბიუროს შემადგენლობიდან. ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეს ახალი შემადგენლობა: ი. კადარი, დ. კალაი და სხვები. სიკვდილის შემდეგ რეაბილიტაცია უყვეს ლასლო რაიკსა და სხვა კომუნისტებს. მაგრამ ივლისის პლენუმმა დაუშვა შეცდომა იმაში, რომ განთავისუფლებული რაკოშის ნაცვლად ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ერნე გერე. ეს უკანასკნელი არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობდა პარტიის წევრებს შორის. გარდა ამისა, იგი მანამდე რაკოშის მარჯვენა ხელი იყო და მასთან ერთად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ცკ-ის მიერ მანამდე დაშვებული სექტანტური შეცდომებისათვის.

ივლისის პლენუმის გადაწყვეტილება ფრიად მნიშვნელოვანი იყო და ამით წარსული შეცდომების დაძლევის შესაძლებლობა შეიქმნა. მაგრამ ამავე დროს, რევიზიონისტებმა განიზრახეს ეს გადაწყვეტილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და პარტიის ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომების კრიტიკასთან ერთად დაეწყოთ შეტევები ყველა იმ წარმატებების წინააღმდეგ, რასაც პარტიის ხელმძღვანელობით უნგრეთის ხალხმა თავისი დაუღალავი შრომის შედეგად მიაღწია.

§ 11. 1956 წლის კონტრრევოლუციური შეთქმულება

სკკპ-ის XX ყრილობის მიერ ღრმა და გაბედული თვითკრიტიკა უნდოდა უნგრეთის საშინაო და საგარეო რეაქციას სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ გამოხდომებისა და ცილისწამებისათვის გამოეყენებინა. იმის შიშით, რომ პარტია და უნგრეთის მშრომელები თავისი ძალებით გამოასწორებდნენ შეცდომებს, საშინაო და საგარეო რეაქციამ 1956 წლის შემოდგომაზე გააძლიერა ბრძოლა სახალხო დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ. უპირველეს ყოვლისა მათ გამოიყენეს რაკოშ-გერეს ჯგუფის მიერ დაშვებული შეცდომები,

იმრე ნადის ჯგუფის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც დემაგოგიურად „მარქსიზმის აღორძინების“ „ანტიდოგმატიზმის“, „ანტისექტანტიზმის“ ლოზუნგებით გამოდიოდა, სინამდვილეში კაპიტალიზმის რესტავრაცია დაისახა მიზნად. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ეს ჯგუფი „ეროვნული კომუნიზმის“ მოტივით ფართოდ აღვივებდა ნაციონალიზმს. სწორედ ნაციონალიზმი წარმოადგენდა უნგრეთის კონტრრევოლუციურ იდეურ-პოლიტიკურ საფუძველს.

დასავლეთის სახელმწიფოების ბურჟუაზიული პროპაგანდის მიბაძვით უნგრეთის რევიზიონისტები ცდილობდნენ ქვეყნის მშრომელებში ანტისაბჭოთა განწყობილების შექმნას, ილაშქრებდნენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მეგობრობის წინააღმდეგ და აცხადებდნენ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უთანასწორო ხასიათისაა, რომ უნგრეთში არსებული ყველა სიძნელეები „საბჭოთა სქემისადმი ბრმა მიბაძვის შედეგია“. მათ წამოაყენეს „სუფთა დემოკრატიის“, მრავალპარტიული სისტემის. პრესის სრული თავისუფლების, ყველასათვის „თავისუფალი“ აზროვნების, სიტყვისა და მოქმედების უფლებების ლოზუნგები. „სუფთა დემოკრატიისა“ და სხვა დემაგოგიური ლოზუნგები ფაქტიურად ბურჟუაზიული დემოკრატიის და წესების დანერგვას ნიშნავდა, რაც საბოლოოდ დამთავრდა რევიზიონისტების გადასვლით ბურჟუაზიულ ბანაკში. რევიზიონისტები მოქმედებდნენ საშინაო კონტრრევოლუციასა და საერთაშორისო იმპერიალიზმთან მჭიდრო კავშირში. „სტალინიზმისა“ და „რაკოშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მათ დაასუსტეს უნგრეთის მშრომელთა პარტია და მისი მოქმედება. იმრე ნადის ყალბმა ლოზუნგებმა „ეროვნული კომუნიზმის“, „ეროვნული დამოუკიდებლობის“ და „დემოკრატიზმის“ შესახებ შეცდომაში შეიყვანა ბევრი წესიერი და პატიოსანი მოქალაქე, განსაკუთრებით ინტელიგენცია—მწერლები, სტუდენტები და მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ნაწილიც კი.

1956 წლის სექტემბერში მწერლების ოპოზიციამ მოაწყო მშრომელთა კონფერენცია, რომელმაც მოითხოვა იმრე ნადის სრული რეაბილიტაცია და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მისი დაბრუნება. კონფერენციის დადგენილებით მწერლებს დაევალათ ჯგუფურად ან ინდივიდუალური წესით ევლოთ საწარმოებში და გაეცნოთ მუშებისათვის კონფერენციის გადაწყვეტილებები. კონფერენციამ გამოაცხადა მწერლების „განსაკუთრებული როლის“ შესახებ სახელმწიფოში და გაილაშქრა პარტიის მიმთითებლური როლის წინააღმდეგ ლიტერატურაში. საყურადღებოა, რომ მწერალთა კონფერენცია უნგრეთის კონტრრევოლუციის იდეოლოგიური მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო.

იმრე ნადმა და მისმა რევიზიონისტულმა ჯგუფმა თავისი ნაციონალისტური ლოზუნგებით მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს უმაღლეს სასწავლებლებში და დაიწყეს სტუდენტთა დემონსტრაციების მზადება, რომელიც ერთგვარი საფარი და ამავე დროს საბაბიც უნდა გამხდარიყო კონტრრევოლუციური ამბოხებისათვის. რევიზიონისტული ჯგუფი დიდ მუშაობას აწარმოებდა აგრეთვე მუშათა კლასს შორისაც. იმრე ნადმა წამოაყენა ლოზუნგი, რომ „მუშათა კლასმა ერის საერთო ინტერესები თავის კლასობრივ ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს". „ეროვნული ერთობა", „ძმობა" და ა. შ. უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობამ რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ გამოიჩინა პრინციპულობა, საჭირო იყო მათი იდეური განადგურება, მათი დემაგოგიის გამოაშკარავება და საჯაროდ, ხალხთა ფართო მასების წინაშე რევიზიონიზმის კლასობრივი სახის, სოციალური არსის და მიზნების გაშიშვლება. მაგრამ პარტიის მაშინდელი ხელმძღვანელობა რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებებით იზღუდებოდა, რაც საბოლოო ჯამში პარტიის პოზიციებისა და გავლენის შესუსტებას იწვევდა მასებში. გარდა ამისა, უნგრეთის მშრომელთა პარტიის წევრთა ერთი ნაწილი აღმოჩნდა მერყეევი, ვინაიდან პარტიის რაოდენობის სწრაფი ზრდის დროს მის რიგებში ბევრი ისეთიც გაძვრა, რომელიც რეფორმიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციებზე დარჩა. პარტიაში ბევრი კარიერისტი და მიტმასნილი ელემენტი იყო. რევიზიონისტების შეტევასთან ერთად პარტიისა და სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ გააქტიურეს თავისი მოქმედება უნგრეთის იატაკქვეშა ორგანიზაციებმა: „თეთრმა პარტიზანებმა", „ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობამ", „კადეტების ორგანიზაციებმა", „ქრისტიანულმა ფრონტმა", რომლებიც მოქმედებდნენ ავსტრიასა და დასავლეთ გერმანიაში გახიზნულ გაუნადგურებელ ჰორტისტულ და ნილაშისტურ ბანდებსა და დასავლეთის დაზვერვის ცენტრებთან მჭიდრო კავშირში.

კონტრრევოლუციური იატაკქვეშა ორგანიზაციები აქტიურ ძირგამომთხრელ ანტისოციალისტურ და ნაციონალისტურ პროპაგანდასთან ერთად ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებსა და შეიარაღებულ ამბოხებას სახალხო რეჟიმის დამხობის მიზნით. უნგრეთის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მთავარი წამქეზებელი, ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველო, რომელსაც როგორც სასამართლო პროცესებზე გამოირკვა, მრავალი დაქირავებული აგენტი ჰყავდა ყოფილი ჰორტისტებისა და ნილაშისტების ფაშისტური ბანდებიდან. თვით უნგრეთში გააძლიერეს თავისი ანტიუნგრული გადაცემები რადიოსადგურებმა „ამერიკის ხმამ",

„თავისუფალმა ევროპამ“, აგრეთვე დაიწყეს პროკლამაციების ჰაერიდან გავრცელება უნგრეთში, რომელშიც მოუწოდებდნენ სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებისაკენ, ტერორისაკენ და ა. შ. გარდა ამისა, 1955 წლის 30 დეკემბერს აშშ-ის მთავრობამ განაცხადა, რომ „აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლება აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის და იქნება, მანამ სანამ ამ მიზანს არ მივაღწევთო“. სწორედ ამ დროს იყო, რომ ამერიკის იმპერიალიზმი აბორციელებდა აღმოსავლეთ ევროპიდან „კომუნიზმის უკუგდების“ გეგმას და ამ „უკუგდების“ ერთ-ერთ მთავარ მოქმედების ობიექტად უნგრეთი აირჩია.

ამრიგად, საშინაო და საგარეო რეაქციის ერთობლივი მტკიცე კავშირით დაიწყო შეიარაღებული ამბოხების მზადება უნგრეთის სახალხო რეჟიმის დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის მიზნით, რომლის შედეგად ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში დაირღვა რესპუბლიკის მშვიდობიანი ცხოვრება. იმრე ნადის მომხრეები გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. 1956 წლის ოქტომბერს მათ მოაწყვეს მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში კრებები და მოუწოდეს სტუდენტებს, მოეწყოთ დემონსტრაციები მოთხოვნით, რათა ხელისუფლების სათავეში გასულიყვნენ რევიზიონისტები. რევიზიონისტთა გავლენა სტუდენტთა შორის აიხსნება ამ უკანასკნელების პოლიტიკური მოუმწიფებლობით და იმითაც, რომ სტუდენტებს შორის ჯერ კიდევ ბევრი იყო ბურჟუაზიულ-მემამულური წრიდან გამოსული და სახალხო ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი. ბევრი ისეთი პედაგოგიც იყო, რომელთა მეშვეობით რევიზიონისტები გავლენას ახდენდნენ სტუდენტებზე.

კონტრრევოლუციის გეგმით 23 ოქტომბერს მოწყობილი სტუდენტთა დემონსტრაცია ამბოხების დაწყების ნიშანი უნდა გამხდარიყო. მართლაც, 23 ოქტომბერს სტუდენტთა დემონსტრაციის ხელმძღვანელობა მთლიანად კონტრრევოლუციის ხელში გადავიდა. იმრე ნადის მომხრემ, ბუდაპეშტის პოლიციის უფროსმა შანდორ კოპაჩმა პოლიციის რაიონულ განყოფილებებს უბრძანა, არ გამოსულიყვნენ ამბოხებულთა წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, გადაეცათ მათთვის იარაღი და შენობები. ასეთი გზით ამბოხებულებმა 20 ათასზე მეტი ცალი ცეცხლსასროლი იარაღი ჩაიგდეს ხელში.

23 ოქტომბერს ღამით სახელმწიფო უშიშროების ნაწილებსა და ამბოხებულებს შორის დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა, რომლის შემდეგ უკანასკნელებმა ხელთ ჩაიგდეს რადიოსადგური, რკინიგზის სადგურები, იარაღის რამდენიმე საწყობი. ამბოხებულების მხარეზე თავისი შენაერთებით გადავიდა პოლკოვნიკი პ. მალეტერი.

ამბოხებულებმა ციხიდან გაათავისუფლეს 9,5 ათასი სისხლის სამართლის დამნაშავე, რომლებიც დაუყოვნებლივ შეიარაღეს და ამბოხებულთა ნაწილებში გაერთიანეს.

23 ოქტომბრის ღამეს ე. გერეს ხელმძღვანელობით შედგა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ-სა და მთავრობის სხდომა. მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა მთავრობისათვის ამბოხების ლიკვიდაციაში დახმარების თხოვნის შესახებ.

საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გაეწია ასეთი დახმარება. უნგრეთში მყოფ საბჭოთა ჯარებმა ბუდაპეშტში შესვლის ბრძანება მიიღეს და ღამის სამ საათზე შევიდნენ დედაქალაქში. ამბოხებულებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და ჩვენმა ჯარებმა ყოველგვარი გასროლის გარეშე დაიკავეს სადგურები, პარლამენტის შენობა, სადაც მთავრობა იმყოფებოდა, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა საელჩოს შენობა.

ამასთანავე, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცკ-ში, პოლიტბიუროსა და მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები. პრემიერ-მინისტრი გახდა იმრე ნადი. 24 ოქტომბერს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, შეიქმნა სამხედრო საველე სასამართლოები კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. იმრე ნადმა და მისმა მომხრეებმა ჩაიგდეს რა ხელთ ცკ-ის, პოლიტბიუროს და მთავრობის ხელმძღვანელი ადგილები, ფაქტიურად დაშალეს უნგრეთის მშრომელთა პარტია და ხელს უშლიდნენ კონტრრევოლუციის განადგურების საქმეს. პირიქით, იმრე ნადის ჯგუფმა კავშირი შეკრა ქვეყნის ყველაზე კონტრრევოლუციურ და რეაქციულ წრეებთან. იმრე ნადის ბრძანებით ციხიდან გაათავისუფლეს კარდინალი მინდსენტი, რომელმაც მაშინვე გააჩაღა ბრძოლა სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ და თავისი გამოსვლისას რადიოთი მოუწოდა „ღმერთმორწმუნე“ უნგრელებს აჯანყებისაკენ, სახალხო რეჟიმის ლიკვიდაციის მიზნით.

27 ოქტომბერს იმრე ნადმა შექმნა კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ სოფლის წვრილ მეურნეთა პარტიისა და ეროვნული გლეხთა პარტიის ყოფილი ლიდერები. იმრე ნადის მოადგილე გახდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი პრეზიდენტი (1946 წ.) ზოლტან ტილდი. ამავე დროს, სარგებლობდნენ რა იმრე ნადის მთავრობის მფარველობით და მხარდაჭერით კონტრრევოლუციონერები არბევდნენ და სდევნიდნენ ხალხის მიერ კანონიერად ამორჩეულ ხელისუფლების ორგანოებს და მათ ნაცვლად ქმნიდნენ ეგრეთ წოდებულ „რევოლუციურ საბჭოებს“, „ეროვნულ კომიტეტებს“, რომელთა უმრავლესობას სათავეში ჩაუდგნენ კონტრრევოლუციური ელემენტები. კონტრრევოლუციის შეიარაღებულმა ბანდებმა დაიწყეს არ-

ნახული თეთრი ტერორი ნამდვილი კომუნისტებისა და მოწინავე მუშების წინააღმდეგ. იმრე ნადმა კი თავის გამოსვლაში რადიოთი 27 ოქტომბერს, ეს კონტრრევოლუციური ძალადობა „დიდ დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობად“ გამოაცხადა, რომლის ამოცანა თითქოს „ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იყო“.

29 ოქტომბერს უნგრეთის მთავრობის თხოვნით საბჭოთა ჯარები გამოყვანილი იქნენ ბუდაპეშტიდან და მეორე დღესვე იმრე ნადმა ლიკვიდაცია უყო ერთპარტიული მმართველობის სისტემას და მთავრობა 1945 წლის კოალიციური პარტიებიდან შექმნა. იმავე დღეს ნადმა შეიარაღებული ძალების მინისტრად კონტრრევოლუციონერთა მოთავე პ. მალეტერი დანიშნა, რომელიც ყოფილი ჰორტისტული არმიის კადრის ოფიცერი იყო. ამის შემდეგ კონტრრევოლუციონერებმა კიდევ უფრო აშკარად დაიწყეს სოციალიზმისადმი ერთგული კომუნისტების, მუშებისა და სხვების ტანჯვა-წამება, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. თეთრი ტერორი მოედო როგორც დედაქალაქს, ასევე პროვინციულ ქალაქებსა და სოფლებს. ასობით ადამიანი დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს. მარტო ბუდაპეშტის პარტიის ქალაქკომის დარბევისას 60-ზე მეტი თანამშრომელი მოკლეს.

1 ნოემბერს ი. ნადის მთავრობამ გამოაცხადა უნგრეთის ვარშავის ხელშეკრულებიდან გამოსვლისა და „ნეიტრალიტეტის“ შესახებ და მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით, რათა მას დაეცვა უნგრეთის „ნეიტრალიტეტი“.

აშშ-ის და ინგლისის საელჩოებმა ბუდაპეშტში დაამყარეს პირდაპირი კავშირი კონტრრევოლუციონერებთან, აქეზებდნენ მათ და პირდებოდნენ დახმარებას. აშშ-ის პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა 25 ოქტომბერს პრესისათვის განცხადებაში აღნიშნა, რომ „შეერთებული შტატები უნგრეთში ამჟამად მიმდინარე ამბებს უყურებენ, როგორც უნგრელი ხალხის მისწრაფებების ინტენსიურ გამოვლენას თავისუფლებისაკენ“. შემდეგ კი დ. ეიზენჰაუერი იმრე ნადის მთავრობას 20 მლნ დოლარით შეპირდა დახმარებას.

ამერიკის და ინგლისის სამხედრო ატაშეები რჩევა-დარიგებას აძლევდნენ იმრე ნადის კონტრრევოლუციურ მთავრობას, რათა გაეერთიანებიათ სამხედრო და კონტრრევოლუციური ძალები. ამერიკის მისიამ უნგრეთში ამბოხებულების განკარგულებაში გადასცა რადიოგადამცემი „თავისუფალ ევროპის“ რადიო სადგურთან პირდაპირი კავშირისათვის. დასავლეთ გერმანიაში განლაგებული ნატოს ბაზებიდან წითელი ჯვრის თვითმფრინავებით ამბოხებულებს აწვდიდნენ დიდძალ იარაღს და საომარ მასალას. მოეწყო ე. წ. „საჰაერო ხიდი“ ვენა-ბუდაპეშტი, რომლითაც ამბოხებულებმა მიიღეს მრავალი სახის იარაღი. ამ ხიდით დასავლეთ გერმანიიდან და ავსტრიიდან უნგრეთში

გადაიყვანეს 20 ათასზე მეტი ემიგრანტი, ყოფილი ოფიცრები და ჯარისკაცები, ჰორტისტული და ნილაშისტური პარტიებიდან, რომელთაგან ბევრმა აქტიური როლი შეასრულა დემოკრატიული ძალების ხოცვა-ჟლეტაში.

ნოემბრის დასაწყისში მდგომარეობა უნგრეთში კატასტროფული გახდა. ყველგან დაძრწოდენ კონტრრევოლუციური ბანდები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ სახალხო რეჟიმის მომხრეებს, ერთგულებს და მებრძოლებს. მუშათა და მშრომელთა მასების საუკეთესო შვილებმა კონტრრევოლუციონერების მიერ გაჩაღებულ თეთრ ტერორს წითელი ტერორით უპასუხეს, მაგრამ ამ უკანასკნელთა მოქმედება სტიქიურ და დაქსაქსულ ხასიათს ატარებდა იმის გამო, რომ იმრე ნადმა უნგრეთის მშრომელთა პარტია დათხოვნილად გამოაცხადა და მის ნაცვლად გადაწყვიტა შეექმნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია.

ბუდაპეშტში და სხვა სამრეწველო ცენტრებში მთელი ეკონომიური ცხოვრება პარალიზებული აღმოჩნდა. შეწყდა სამრეწველო საწარმოების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა. კონტრრევოლუციამ ნაადრევად ჩამოიხსნა თავისი ნიღაბი და აშკარად შეუდგა ძველი რეჟიმის რესტავრაციას. სხვათა შორის, აშშ-ის საქმეთა რწმუნებული უნგრეთში ი. ნადს ურჩევდა არ აჩქარებულიყო მანამდე მაინც, სანამ საბჭოთა კავშირი თავის ჯარებს მთლიანად არ გამოიყვანდა უნგრეთიდან და ყალბად მაინც განეცხადებინა თავისი უნდობლობის შესახებ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი, ვინაიდან მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ასეთნაირად „შეიძლება მიღწეული შედეგების შენარჩუნება“.

კონტრრევოლუციური შეთქმულების განადგურება

თეთრი ტერორის ეს ტრაგიკული დღეები უნგრეთში თითქმის ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. საშინაო და საგარეო რეაქციის გეგმები უნგრეთში სახალხო რეჟიმის დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისა ჩაიშალა. რეაქციის გეგმების წინააღმდეგ გამოვიდა გლეხთა და მუშათა უდიდესი ნაწილი. მშრომელთა ის ნაწილი, რომელიც თავდაპირველად რევიზიონისტების დემაგოგიური პროპაგანდის ტყვეობაში მოხვდა და მეამბოხეების მხარეზე აღმოჩნდა ფიქრობდა, რომ გამოსწორდებოდა რაკოშ-გერეს ჯგუფის მიერ დაშვებული შეცდომები. მაგრამ მშრომელთა ამ ნაწილმა როდესაც დაინახა, რომ მეამბოხეების მიზანი სახალხო რეჟიმის ლიკვიდაცია იყო, იგი გაემიჯნა ამბოხებუ-

ლებს და სახალხო რეჟიმის მხარეზე დადგა. საჭირო იყო ხალხის ორგანიზება მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ე. გერეს ხელმძღვანელობამ ამ ამოცანას ვერ გაართვა თავი. მართალია, 25 ოქტომბერს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ე. გერე გაათავისუფლა პირველი მდივნობიდან და მის ნაცვლად იანოშ კადარი აირჩია, მაგრამ მალე ამის შემდეგ იმრე ნაგის ძირგამომთხრელი მოქმედების შედეგად, უნგრეთის მშრომელთა პარტია დაიშალა.

მშრომელთა მასების შეკავშირებისა და კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა 1956 წლის 4 თებერვალს შექმნილი ახალი უნგრეთის რევოლუციური სოციალისტური მუშათა პარტია, რომლის ორგანიზატორი იყო იანოშ კადარი[1]. იმავე დღეს შეიქმნა რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც მტკიცედ გამოვიდა რევიზიონისტებისა და კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. თავის განცხადებაში ახლად შექმნილმა მთავრობამ და პარტიამ დაადასტურა უნგრეთის კომუნისტების ერთგულება მუშათა კლასისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, სოციალიზმის მშენებლობისადმი სოციალისტურ ქვეყნებთან უწყვეტი და მჭიდრო კავშირის საფუძველზე. რევოლუციურმა მთავრობამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, სოციალისტური მონაპოვარის დაცვას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სწრაფად გაუმჯობესებას და ა. შ. ამავე დროს სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის თავიდან აცილების, კონტრრევოლუციური ბანდების თავაშვებული და ტერორისტული მოქმედებისათვის ბოლოს მოღების მიზნით. რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა კავშირს.

---

[1] ი. კადარი დაიბადა 1912 წ. მოჯამაგირის ოჯახში. სწავლის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, იგი იძულებული იყო ემუშაკა ლამხმარე მუშად, შეგირდად, ფოსტის დამტარებლად. სკოლის დამთავრების შემდეგ ი. კადარი მელითონე მუშაა. 17 წლიდან იგი მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში. 1931 წლიდან უნგრეთის კომკავშირის ცკ-ის წევრია და ამავე წელს შედის კომპარტიაში. იგი მრავალჯერ იყო პატიმრობაში. ომის დროს ი. კადარი უნგრეთის არალეგალური კომპარტიის ცკ-ის წევრია. უნგრეთის გერმანელთა ჯარების ოკუპაციის შემდეგ ი. კადარი გესტაპოს ჩაუვარდა ხელთ, მაგრამ მიუხედავად მხეცური წამებისა იგი არ გატყდა. მან მოახერხა პატიმრობიდან გაქცევა. უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ იგი სახალხო მილიციის ორგანიზატორია, შემდეგ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, ცკ-ის პირველ მდივნის მოადგილედ. რაკოშის ჯგუფის მიერ ი. კადარისათვის ცრუ ბრალდების წაყენების შემდეგ იგი დაპატიმრებული იქნა, შემდეგ მთლიანად რეაბილიტირებული და კვლავ პარტიულ სამუშაოზე დაინიშნა. 1956 წ. აირჩიეს ცკ-ის მდივნად და პოლიტბიუროს წევრად. ამბოხების დროს ი. კადარმა გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა ი. ნაგის გამყიდველურ მთავრობასთან და გახდა მის მიერ შექმნილი პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი.

თავისი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ვალდებულებიდან გამომდინარე საბჭოთა მთავრობამ დახმარება გაუწია ი. კადარის მთავრობას. წითელმა არმიამ უნგრეთის რევოლუციურ ძალებთან ერთიანი მოქმედებით, მიუხედავად კონტრრევოლუციონერთა გააფთრებული წინააღმდეგობისა, მოკლე ხანში გაანადგურა ამბოხებულთა ძალები. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ „საბჭოთა კავშირის ძმური მხარდაჭერა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სამოკავშირო ერთგულების შესანიშნავი გამოვლენა იყო, რომელმაც ხელი შეუშალა თეთრი ტერორის შემდგომ სისხლიან ბოროტმოქმედებას, დაეხმარა სოციალიზმის ძალებს დაეთრგუნათ კონტრრევოლუციის შეიარაღებული ძალები და თავიდან აეცილებინათ ომის საშიშროება“.

ამბოხების ხელმძღვანელები—ნადი, მალეტერი, დუდაში და მათი დამქაშები სასტიკად იქნენ დასჯილი. მინდსენტმა აშშ-ის საელჩოს შეაფარა თავი ბუდაპეშტში. კონტრრევოლუციური ამბოხების მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი საზღვარგარეთ გაიქცა.

ამრიგად, 1956 წლის ამბოხების მთავარ ხელშემწყობ ძალად გამოვიდა ი. ნადის რევიზიონისტული ბრბო, რომელიც ვითომცდა მოქმედებდა პარტიის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული „შეცდომების გამოსწორების“ მიზნით. ამ ბრბომ თავისი საქმიანობა დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის გადასინჯვის ცდით და დაამთავრა მუშათა კლასის ინტერესების აშკარა გაყიდვით და ბურჟუაზიის ბანაკში გადასვლით. ამბოხების მომზადებისა და გატარების ძირითად ძალას წარმოადგენდა უნგრეთის ფაშისტური და ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუცია, რომელიც აქტიურად მოქმედებდა უნგრეთშიც და საზღვარგარეთაც. ამბოხების ორგანიზაციასა და გატარებაში დიდი როლი შეასრულა საერთაშორისო იმპერიალიზმმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს სოციალისტური სისტემის ქვეყნებში შექმნილ ვითარებას და ისარგებლა რა ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომებით და უნგრეთში შექმნილი დროებითი სიძნელეებით, შეეცადა გამოეგლიჯა უნგრეთი სოციალისტური თანამეგობრობიდან და კაპიტალიზმის რესტავრაცია მოეხდინა. უნგრეთის, ხოლო შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიის ამბებმა, ცხადჰყო, თუ როგორი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საერთაშორისო იმპერიალიზმი სოციალისტურ ქვეყნებს და ცდილობს მცირე შეცდომებიც კი გამოიყენოს კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. მაგრამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით არსებული მსოფლიო სოციალისტური სისტემის პირობებში იმპერიალიზმის მიერ კაპიტალიზმის რესტავრაციის ყოველგვარი ცდები კრახით დამთავრდა.

სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დამთავრება (1957-1962 წწ.)

ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება.

კონტრრევოლუციური შეთქმულების განადგურების შემდეგ უნგრელი ხალხი შეუდგა მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. კონტრრევოლუციის მიერ უნგრეთის სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი 22 მილიარდ ფორინტს შეადგენდა, რაც ქვეყნის წლიური ეროვნული შემოსავლის მეოთხედი იყო. ძალზე დაეცა მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმე, რომელიც მოწესრიგდა სოციალისტური ქვეყნების და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის დახმარების შედეგად. 1957 წლის 1 თებერვლამდე სოციალისტურმა ქვეყნებმა უნგრეთს გაუწიეს მატერიალური დახმარება 700 მლნ ფორინტის რაოდენობით. უნგრეთს მიეცა გრძელვადიანი სასაქონლო და ფულადი კრედიტი და რამდენიმე მილიონი მანეთის აუნაზღაურებელი დახმარება, რომელიც მთლიანად 2,5 მლრდ მანეთს შეადგენდა (ვალუტით). ამ უანგარო დახმარების შედეგად ქვეყანა აცდა ფულის ინფლაციას, უმუშევრობას და შიმშილს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და მთავრობა ენერგიულად შეუდგნენ ეკონომიკისა და ნორმალური ცხოვრების სწრაფად აღდგენას, რაც მთელი 1957 წლის მანძილზე გრძელდებოდა. სხვადასხვა კატეგორიის მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს, პედაგოგს და მოსამსახურეს გაეზარდა ხელფასი. 1957 წლისათვის ხელფასის ფონდი 4 მლრდ 300 მლნ ფორინტით გაიზარდა.

გატარდა ღონისძიებანი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის. 6 ნოემბრის ბრძანებულებით გაუქმდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო დამზადების სისტემა, რომელიც არახელსაყრელი იყო გლეხებისათვის, იგი აფერხებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდას, ვინაიდან გლეხებს არ ჰქონდათ მატერიალური დაინტერესება. მთავრობამ დააფინანსა არსებული და ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის კოოპერატივები და მიაწოდა ტექნიკა. კოოპერატივის წევრთათვის დაწესდა პენსიები. ყველა ამ ღონისძიებამ უნგრეთის სოფლის მეურნეობა კრიზისიდან გამოიყვანა და ხელი შეუწყო კოოპერატიული მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

კონტრრევოლუციური ამბოხების დროს საზოგადოებრივმა სექტორმა სოფლის მეურნეობაში დიდი ზარალი განიცადა: 1957 წლისათვის იგი 21-დან 10%-მდე შემცირდა. რეაქციამ შეცდომაში შეიყვანა გლეხობა და საწარმოო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიშალა. მაგრამ, კონტრრევოლუციური ამბოხების დროს გლეხობამ დაინახა,

რომ კულაკებს სურდათ მათთვის მიწის ჩამორთმევა და კულაკური მეურნეობის აღდგენა. სოფლის მშრომელებისათვის ნათელი გახდა, რომ სახალხო-დემოკრატიული წყობილება მათი ინტერესების ერთადერთი საიმედო დამცველია. დაიწყო მშრომელი გლეხობის მასობრივი შემობრუნება სახალხო რეჟიმისაკენ. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა პარტიის მუდმივმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ გლეხობას შორის. პარტია სოფლის მშრომელებს განუმარტავდა, რომ მსხვილი სასაქონლო წარმოება ერთადერთი გზაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდისათვის და, რომ მშრომელი გლეხობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება სხვანაირად შეუძლებელია. მართალია, უნგრეთის ტერიტორიის 90% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მაგრამ მისი ფართობი იმდენად მცირეა, რომ ერთ სულზე ნახევარი ჰექტარი მოდის, ამიტომ სოფლის მეურნეობა მაღალინტენსიური რომ იყოს, საჭიროა მხოლოდ საწარმოო კოოპერატივების შექმნა. საჭირო იყო ამ საკითხში გლეხთა გარკვევა და დარწმუნება. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა მან წარმატებით შეასრულა.

1957 წელს უნგრელმა ხალხმა ძირითადად მოახერხა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება.

ძალზე რთული ამოცანების გადაწყვეტა იყო საჭირო იდეურ-პოლიტიკურ ფრონტზე. ერთი მხრივ, საჭირო იყო დოგმატიზმისა და სექტანტიზმის, ხოლო მეორე მხრივ, რევიზიონიზმის და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა—მარქსიზმის სიწმინდის დაცვა—საჭირო იყო სოციალისტურ მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების გამოსწორება, შემდგომი წარმატებების უზრუნველყოფისათვის პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება.

ცნობილია, რომ ამბოხების ჩახშობის შემდეგ კონტრრევოლუციურმა ძალებმა უცებ როდი შეწყვიტეს წინააღმდეგობა. მათ მხოლოდ შეცვალეს ბრძოლის ტაქტიკა. „სტალინიზმის“ და „რაკოშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საწარმოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში სდევნიდნენ ნამდვილ კომუნისტებს და ახალი მთავრობის მომხრეებს, ალაგ-ალაგ მოაწყეს პროვოკაციული გაფიცვები და ა. შ.

პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობამ 1956 წლის დეკემბრის პლენუმზე ოთხი ერთ და იმავე დროს მოქმედი ფაქტორით ახსნა კონტრრევოლუციური ამბოხების მიზეზები: 1. ძველი ხელმძღვანელობის სექტანტობით; 2. იმრე ნადის რევიზიონისტული გამყიდველური მოქმედებით; 3. საშინაო კონტრრევოლუციის ძირგამომთხრელი საქმიანობით; 4. საერთაშორისო იმპერიალიზმის მოქმედებით.

ახალმა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა პარტიის შემდგომი მოღვაწეობის თეორიული და პოლიტიკური საფუძვლები და ამ ოთხი ფაქ-

ტორის გაანალიზების შემდეგ ენერგიულად შეუდგა მუშაობას ყველა შეცდომის გამოსწორებისათვის, მკაცრად შეუტია კონტრრევოლუციურ ძალებს. სწრაფად წავიდა პოლიტიკური მდგომარეობის ნორმალიზაცია. პრინციპული და თანმიმდევრული ხაზის გატარების შემდეგ უზრუნველყოფილ იქნა პარტიის იდეოლოგიური და ორგანიზატორული ერთობა. პარტიამ გამოააშკარავა კონტრრევოლუციონერების ყალბი ლოზუნგები, რომლებიც „სტალინიზმის" და „რაკოშიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ცდილობდნენ წესიერი და აქტიური კომუნისტების იზოლირებას, განახლებულ პარტიის აღდგენისათვის და მასებზე მისი გავლენის გაზრდისათვის ხელის შეშლას. პარტიის და მთავრობის ეფექტური ღონისძიებანი უპასუხებდა ხალხის ძირეულ ინტერესებს და ამიტომ იგი მის მიერ სულ უფრო ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა.

სოციალისტური საფუძვლების მშენებლობის დამთავრება

1958 — 1962 წლებში უნგრელმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის, კულტურის და მეცნიერების განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ამაღლებაში. 1958 — 1960 წლებში განხორციელდა სამწლიანი გეგმა, რომლის ამოცანა იყო ეკონომიკის შემდგომი განვითარება და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. სამრეწველო წარმოება გეგმით გათვალისწინებულ 22%-ის ნაცვლად 40%-ით გაიზარდა. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი სამწლედში 10-11%-ით გადიდდა, აშენდა ათასობით კეთილმოწყობილი ბინა. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა ძირეული ცვლილებები. ხალხის ნდობა და მხარდაჭერა განახლებული უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისადმი გაიზარდა, რამაც თვალსაჩინო ასახვა ჰპოვა 1958 წლის ნოემბრის სახელმწიფო კრების არჩევნებში. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 98,4%-მა. სამამულო სახალხო ფრონტის კანდიდატების ერთიან სიას ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 99,6%-მა.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობა 1959 წელს და VIII ყრილობა 1962 წელს. პარტიის VII ყრილობამ უახლეს წლებში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დასრულების კურსი აიღო.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცკ-ის თებერვლის (1960) პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარების ღონისძიებების შესახებ, რომლის შემ-

დეგ სოფლის მეურნეობის კოოპერირება უფრო სწრაფი ტემპით წავიდა და 1961 წელს ძირითადად დამთავრდა.

პარტიის VIII ყრილობამ საზეიმოდ გამოაცხადა უნგრეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დამთავრება და ქვეყნის გადასვლა განვითარების ახალ ეტაპზე — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე.

უნგრელი ხალხის სოციალისტურ მშენებლობაში გამარჯვება — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა სფეროში მიღწეული წარმატებების შედეგი იყო.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ უზრუნველყო უნგრეთის მრეწველობის სწრაფი განვითარება. 1962 წელს მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1938 წელთან შედარებით გადიდდა 5-ჯერ. მრეწველობის ხვედრითი წონა ამავე პერიოდში ერთი მესამედიდან 60% გაიზარდა.

1962 წლისათვის მრეწველობაში დასაქმებული მშრომელთა რაოდენობა გაიზარდა ომამდელთან შედარებით ორჯერ და შეადგინა სახელმწიფო საწარმოებში—1194 ათასი, კოოპერატიულში—166 ათასი კაცი.

1938 წელთან შედარებით 1962 წლისათვის უნგრეთში ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 9,4 მლნ ტონიდან 28,5 მლნ ტონამდე, ნავთისა 43 ათასი ტონიდან 1,63 მლნ ტონამდე, ელექტროენერგიისა 1,4 მლრდ კვ საათიდან 9,1 მლრდ კვ საათამდე, თუჯის 335 ათასი ტონიდან 1,4 მლნ ტონამდე, ფოლადის 647 ათასი ტონიდან 2,4 მლნ ტონამდე. 1962 წლისათვის ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოცულობა 3-ჯერ მეტი იყო ომამდელ დონესთან შედარებით და 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1949 წელს.

სოციალისტურმა ურთიერთობამ საბოლოოდ გაიმარჯვა სოფლადაც. 1961 წლის ბოლოსათვის კოოპერატიული და სახელმწიფო სოციალისტური სექტორის ხელში სოფლად იყო ქვეყნის მთელი სახნავი მიწების 96%, 1958 წლის ბოლოსათვის კი — 30%. 1962 წლისათვის სოფლის მეურნეობის წარმოების სფეროში დაკავებული იყო ქვეყნის მოსახლეობის 32,7%, 1949 წელს კი—52,9%.

ამრიგად, 1962 წლისათვის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ, რომლის შედეგად უნგრეთი შევიდა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში.

§ 12. უნგრეთი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში

მეორე ხუთწლიანი გეგმის (1961-1965 წწ.) წარმატებით შესრულება

სოციალისტური საფუძვლების მშენებლობის დასრულება მიმდინარეობდა მეორე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში. მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის VII ყრილობამ მიიღო 1959 წელს, რომელიც შემდეგ დაზუსტდა პარტიის ცკ-ის პლენუმზე (1961 წ.). 1961 წლის ოქტომბერში სახელმწიფო კრების სესიამ მიიღო კანონი სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ 1961 — 1965 წწ. გეგმა ითვალისწინებდა ხუთი წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოების მოცულობის გაზრდას 48-50%-ით, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა 22-23%-ით, ხოლო ეროვნული შემოსავლისა 36%-ით. მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან შრომის საერთაშორისო დანაწილების ყოველმხრივ გაფართოებას და გაღრმავებას. გეგმის შემუშავებისას ძირითადი ყურადღება ექცეოდა უნგრეთის სამრეწველო წარმოების ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც უნგრეთის პირობებში ყველაზე რაციონალურია. აქედან გამომდინარე, გეგმა ითვალისწინებდა უპირატესად შემდეგი დარგების განვითარებას: ხელსაწყომშენებლობის, ჩარხმშენებლობის, კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოებისა და ზოგიერთი სხვა შრომატევადი დარგებისას.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ უნგრელმა ხალხმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 25%-ით. სამრეწველო წარმოება ხუთწლედში 47%-ით გადიდდა, აქედან ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 91%-ით გაიზარდა, მანქანათმშენებლობისა—59%-ით. 1965 წელს მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო პროდუქციაში 28%-ს შეადგენდა, ხოლო ქიმიური მრეწველობისა—10%-ს. მეორე ხუთწლედში აიგო 100-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო და ობიექტი. უნგრეთში განსაკუთრებით განვითარდა ფარმაცევტული წარმოება. მედიკამენტების წარმოების მხრივ უნგრეთს მსოფლიოში თვალსაჩინო ადგილი უკავია.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნამ ხელი შეუწყო მეორე ხუთწლედის პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გაზრდას 27%-ით. გაიზარდა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. მაგალითად, 1965 წელს უნგრეთში 64 ათასი ტრაქტორი მუშაობდა—1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1960 წელს.

მეორე ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება დაეთმო მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის საკითხს, მარცვლეულზე მოთხოვნილება ქვეყანას საკუთარი წარმოებით უნდა დაეკმაყოფილებინა. 1960 წელს უნგრეთმა 270 ათასი ტონა მარცვლეული შეისყიდა, მაგრამ 1964 წლისათვის უნგრეთის წლიური მოთხოვნილება სასურსათო მარცვლეულზე საკუთარი წარმოებით დაიფარა.

უნგრეთი მესამე (1966 — 1970 წწ.) და მეოთხე (1971—1975 წწ.) ხუთწლიანი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში

ეკონომიურ განვითარებაში ახალი წარმატებების მიღწევამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიურ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობის უფრო ენერგიულად გამოყენების მიზნით, ეკონომიკის ინტენსიფიკაციაზე გადასვლისათვის, სამეურნო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, საერთაშორისო სოციალისტური შრომის დანაწილების უპირატესობის გამოყენებისათვის, რათა გაზრდილიყო ეკონომიური განვითარების ტემპები და ქვეყნის ბუნებრივი და შრომის რესურსების ეფექტური გამოყენება.

1964 წლის ბოლოს უნგრეთის სოციალისტური პარტიის ცკ-მა სასწრაფო ღონისძიებები მიიღო სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის. 1966 წელს პარტიის ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიური რეფორმის შესახებ, რომლის განხორციელება 1968 წლის იანვრიდან დაიწყო. რეფორმის საფუძველზე ეკონომიური ფუნქციების დიდი ნაწილი გამოვიდა მთავრობისა და სამინისტროების რწმუნებიდან და გადაეცა საწარმოებსა და საბჭოებს. ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებში დარჩა ძირითადი სახალხო მეურნეობის პროპორციების მეცნიერული განსაზღვრა და ხანგრძლივვადიანი გეგმების შემუშავება. ამრიგად, დაგეგმვის ცენტრალიზება, როგორც ეკონომიკის ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპი, რჩება, მაგრამ იგი ითვალისწინებს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უფრო ფართოდ გამოყენებას. ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების მიზნით ძლიერდება სტიმულირების ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა საკრედიტო პოლიტიკა, სამეურნეო ანგარიში, მოგებები და ა. შ.

სამეურნეო რეფორმა საწარმოთა დაინტერესებას იწვევდა მოგების გაზრდაში. ამასთანავე, რეფორმა ხელს უწყობდა საწარმოების ეკონომიურ შეჯიბრებას ბაზარზე, რომლის დროსაც ისინი იძულებულნი არიან შეამცირონ თავიანთი საწარმოო დანახარჯი, გააუმჯობესონ საქონლის ხარისხი, ტექნოლოგია და პროდუქციის რენტაბელობა. ასე-

თი შეჯიბრით მოგებული უნდა დარჩეს მყიდველი და საზოგადოება მთლიანად.

1966 წლის ნოემბერში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის IX ყრილობამ განიხილა და მიიღო უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 — 1970 წლების მესამე ხუთწლიანი გეგმა, რომლის ამოცანა იყო სოციალისტური საზოგადოების შემდგომი მშენებლობის გაგრძელება, ქვეყნის რესურსებისა და ეროვნული შემოსავლის გაზრდა, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

1967 წლის 24 ნოემბერს პარტიის ცკ-მა განიხილა პროექტი ფართო მოხმარების საგნებზე ფასების გაზრდის შესახებ და დათანხმდა საქონელზე და მომსახურებაზე ფასების გაზრდას 1-2%-ით. მაგრამ ამავე დროს, მოსახლეობის რეალური შემოსავალი 3-4%-ით გაიზარდა.

ეკონომიური რეფორმის გატარებამ დადებითი გავლენა მოახდინა მესამე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებაზე. სამრეწველო წარმოების ნამატმა ხუთწლედში შეადგინა 352%, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. კაპიტალური დაბანდების მოცულობამ სახალხო მეურნეობაში დაგეგმილ დონეს გადააჭარბა. სოფლის მეურნეობის საერთო წარმოება 16%-ით მეტი იყო, ვიდრე წინა ხუთწლედში.

ეროვნულმა შემოსავალმა 1970 წლისათვის 39-40%-ით გადააჭარბა 1965 წლის დონეს. ამასთანავე დაგროვებამ ხუთი წლის განმავლობაში შეადგინა ეროვნული შემოსავლის 24%, მოხმარების ხელფრითმა წონამ კი — 76%.

ეროვნული შემოსავლის გაზრდამ გამოიწვია მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება. მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავლის გაზრდა მესამე ხუთწლედში დაგეგმილი იყო 14-16%-ით. გაიზარდა კი 31%-ით, რეალური ხელფასი ნაცვლად დაგეგმილი 9-10%-ისა 17%-ით. გლეხთა რეალურმა შემოსავალმა მიაღწია მუშათა შემოსავლის დონეს. განხორციელდა აგრეთვე საბინაო მშენებლობის გეგმაც, აშენდა 320 ათასი კეთილმოწყობილი ბინა.

1966 წლიდან მრეწველობაში და მშენებლობაში 48 საათიანი სამუშაო კვირიდან 44 საათიანზე გადასვლა დაიწყო, რომელიც შეეხო 2 მილიონ კაცს. შემდგომ წლებში ეს ღონისძიება გავრცელდა სხვა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებზე და 1973 წლისათვის შემცირებულ კვირაზე გადავიდა მუშა-მოსამსახურეთა 60%.

მესამე ხუთწლედში ეკონომიკის ზრდის ტემპები უფრო მაღალი იყო, ვიდრე წინა ხუთწლედში. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ეროვნული შემოსავალი და პროდუქციის წარმოების მოცულობა.

ამავე დროს მესამე ხუთწლედში ეკონომიკის განვითარებაში ნაკლოვანებებიც აღინიშნა. კერძოდ ვერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერება. გეგმა ითვალისწინებდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით სამრეწველო პროდუქციის მატების 80%-ით უზრუნველყოფას, იგი მხოლოდ 55-60%-ით იქნა უზრუნველყოფილი. მთლიანად ვერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული დავალება სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით კი მეცხოველეობაში.

უნგრეთში სამი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების გრანდიოზულ შედეგებზე ნათლად მეტყველებს შემდეგი მონაცემები: 1970 წელს ეროვნული შემოსავალი 3,8-ჯერ მეტი იყო ომამდელთან შედარებით, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1938 წლის დონეს 8,2-ჯერ გადააჭარბა, 1960 წლის დონეს კი—193%-ით. 1970 წლისათვის ეროვნული შემოსავლის 98% შეადგინა სახალხო მეურნეობის სოციალისტურმა სექტორმა. 1970 წლისათვის მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 2,3-ჯერ გაიზარდა 1950 წლის დონესთან შედარებით.

1970 წელს მრეწველობაში და მშენებლობაზე დაკავებული იყო მოსახლეობის 43,7%.

მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებამ უნგრეთი მნიშვნელოვნად წაწია წინ დასახული ამოცანის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აგების საქმეში.

1970 წლის ნოემბერში უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობამ განიხილა და მოიწონა უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმა (1971—1975 წწ.). მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ კანონში აღნიშნულია, რომ უნგრეთში სოციალიზმის მთლიანი აშენებისათვის აუცილებელია საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარება, ეკონომიური ეფექტურობის მხრივ კი ეკონომიურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების დონესთან მიახლოება. მეოთხე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა მთელი ეკონომიკის განვითარების ინტენსიფიკაცია, საზოგადოებრივი შრომის წარმოებისა და სახალხო მეურნეობის რენტაბელობის ამაღლება.

მეოთხე ხუთწლედით გათვალისწინებულია ეროვნული შემოსავლის გაზრდა 30-32 პროცენტით, სამრეწველო წარმოებისა 32-34%-ით. ამასთანავე მისი ზრდის 75-80% უნდა უზრუნველყოფილი იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდა დაგეგმილია 15-16%-ით.

პარტიის ცკ-ის 1972 წლის პლენუმის დადგენილების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში ცენტრალიზებული დაგეგმვის საწყისების განმტკიცებას, მინისტრთა საბ-

ჯომ 1973 წლის თებერვალში მიიღო გადაწყვეტილება 50 სამრეწველო საწარმოსა და ტრესტის მუშაობის შესახებ, რომელთა განკარგულებაშია მრეწველობის ძირითადი და ბრუნვითი ფონდების 60% და უშვებენ მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტს. მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს დაევალათ სისტემატურად ადევნონ თვალყური ამ საწარმოების მოღვაწეობას და აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელონ ეკონომიური და ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის გაიშალა მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ძირითადი ფორმაა სოციალისტური შრომის ბრიგადების შექმნა. ამ მოძრაობაში მონაწილეობს 1,3 მლნ კაცი, რომლებიც 110 ათას ბრიგადაში არის გაერთიანებული.

გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად უნგრელი ხალხი დიდი წარმატებით ახორციელებს მეოთხე ხუთწლიან გეგმას. 1974 წელს სამრეწველო წარმოება 1970 წელთან შედარებით 30,1%-ით გაიზარდა, კაპიტალური დაბანდება 18%-ით, ეროვნული შემოსავალი 28%-ით, საცალო საქონლის ბრუნვა 28,8%-ით. გადაჭარბებით შესრულდა მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. მსხვილ სამრეწველო ქალაქში დუნაივაროშში სსრ კავშირის დახმარებით მწყობრში ჩადგა ფოლადის შეუწყვეტელი ჩამოსხმის მეორე დანადგარი, რამაც კომბინატის სიძლიერე 25%-ით გაზარდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფის საქმეც: მარტო 1974 წელს აიგო 88 ათასი ბინა.

უნგრეთში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ სოციალისტურ ქვეყნებთან შეთანხმებით და კომპლექსური პროგრამის ამოცანებთან შესაბამისად ვითარდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა.

თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ერთობლივი მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობაზე გადასვლა სპეციალიზაციისა და კოოპერირების ხანგრძლივვადიანი პროგრამის, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გაერთიანების საფუძველზე.

1974 წელს ურთიერთდახმარების საბჭოს კომიტეტის ჩარჩოებში დამთავრდა 1976-1980 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციის მუშაობის პირველი ეტაპი. ამით აიხსნება ის, რომ უნგრეთში 1974 წელს, პარტიის ცკ-ის მიერ კომპლექსური პროგრამის შესაბამისად მიღებული პროგრამით, გრძელდებოდა ტრაქტორების, პორტალური ამწეების, სატვირთო ავტომანქანების წარმოების შემცირება. სამაგიეროდ სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ავტობუსების („იკარუსების"), ქიმიური ხელსაწყოების, ხე-

ლოვნური ბოჭკოების წარმოება. უნგრეთმა ეკონომიური ურთიერთ-დახმარების საბჭოს XXVIII სესიაზე ხელი მოაწერა საბჭოში შემავალ თანამეგობრობის კონვენციას სტანდარტიზაციის უნიფიკაციის შესახებ.

1973 წლის აგვისტოში მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ახალი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მომზადებასთან ერთად, სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის, ეკონომიური კომპლექსური პროგრამის შესაბამისად შეადგინოს უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა 1976-1980 წლებისათვის.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარება და სრულყოფა

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს პარტიული და სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და სრულყოფას. პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს, უზრუნველყოფს თავის მოღვაწეობას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე, მუდმივად ავითარებს და სრულყოფს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურას და პარტიის შიდა დემოკრატიას. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო კრების როლი მთავრობის მოღვაწეობაზე კონტროლის გაწევის განხორციელებაში. კერძოდ, სახელმწიფო კრების მუდმივი კომისიები იხილავენ კანონ-პროექტებს, მინისტრები და მათი მოადგილეები გამოდიან თავისი მოღვაწეობის თვითანგარიშით სახელმწიფო კრებაზე და ა. შ. თვით სახელმწიფო კრებაში შექმნილია დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია ამომრჩევლებთან ადგილებზე, სწავლობენ ამომრჩეველთა მოთხოვნებს და ეხმარებიან ამ მოთხოვნების გადაწყვეტაში. სახელმწიფო კრებაში გაიზარდა დეპუტატთა რაოდენობა.

უნგრეთში დემოკრატიის გაფართოებასა და განმტკიცებაზე მოწმობს აგრეთვე 1966 წელს და შემდგომ 1967 და 1970 წლებში გამოცემული კანონები. 1966 წლის კანონით საარჩევნო სისტემაში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც სახელმწიფო კრების დეპუტატების არჩევნებისას სამხარეო საარჩევნო ოლქების ნაცვლად, სადაც კანდიდატებს სიებით აყენებდნენ და ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ საერთო სიებს, შემოღებულია ინდივიდუალური საარჩევნო ოლქები, როგორც ეს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებისას იყო. 1970 წლის ოქტომბერში სახელმწიფო საბჭომ მიიღო ახალი კანონი საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ კანონით დე-

პუტატის კანდიდატებად წამოყენების უფლება ენიჭებათ ამომრჩეველთა კრებებს (1966 წლის კანონით კი ამის უფლება ჰქონდათ მხოლოდ სამამულო სახალხო ფრონტის სათანადო ორგანოებს). დეპუტატის კანდიდატად წამოყენების პოლიტიკურ პირობად უნდა იყოს სამამულო სახალხო ფრონტის პროგრამის ცნობა. გაფართოვდა შესაძლებლობანი დეპუტატის 1 ადგილზე ორი, ან მეტი კანდიდატების წამოყენებისა.

1971 წლის ივნისის სახელმწიფო საბჭოს სესიაზე პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიღებულ იქნა დადგენილება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ და ამ მიზნით შეიქმნა კომისია პარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრისა და სამამულო სახალხო ფრონტის თავმჯდომარის დ. კალაის ხელმძღვანელობით. კონსტიტუციაში აისახა ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა განვლილ პერიოდში ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1972 წლის მარტში პარტიის ცკ-ის პლენუმმა განიხილა კომისიის წინადადებები, რომლებიც შემდეგ მოიწონა სახელმწიფო კრებამ.

ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები განვლილი მეოთხედი საუკუნის პერიოდში. კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა არის სოციალისტური სახელმწიფო, რომელშიც მთელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. კონსტიტუციაში შეტანილია პრინციპული დამატება, რომ უნგრეთის საზოგადოების ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტია. კონსტიტუციით ქვეყნის ეკონომიური წყობის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა.

კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სახელმწიფო კრების და პრეზიდიუმის უფლებები გაფართოვდა და აგრეთვე გაფართოვდა მთავრობის უფლებები.

1967 წელს გამოიცა შრომის კანონების ახალი კოდექსი, რომლითაც გაფართოვდა პროფკავშირების კომპეტენციები და როლი წარმოების ეკონომიურ საქმიანობაში, მშრომელთა შრომისა და ცხოვრების კონტროლის განხორციელებაში. პროფკავშირების წარმომადგენლები კონსტიტუციით მონაწილეობენ სამეურნეო ხელმძღვანელთა დანიშვნის, ან მოხსნის დროს, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სახელმწიფო და პროფკავშირული ორგანოების ურთიერთდახმარებას ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებაში.

პროფკავშირებისათვის ამ უფლებების მიცემა მიზნად ისახავდა კრიტიკის გაძლიერებას იმ სამეურნეო ხელმძღვანელთა მიმართ. რომლებიც არღვევენ მშრომელთა ინტერესებს. 1974 წლისათვის პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 3,5 მლნ კაცი. უნგრეთის პროფკავ-

შირები შედის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, რომლის VII კონგრესი 1969 წელს შედგა ბუდაპეშტში. 1971 წელს ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარდა სახელმწიფო კრების არჩევნები. ყველა კანდიდატი სამამულო სახალხო ფრონტის ერთიანი პროგრამით გამოვიდა. სახელმწიფო კრების არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 98,7%, რომელთაგან 99%-მა ხმა მისცა სამამულო სახალხო ფრონტის კანდიდატებს.

სახელმწიფო კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დულ კალაი, პრეზიდიუმის თავმჯდომარედ პალ ლოშონცი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ენე ფოკი.

1970 წელს მთავრობის დადგენილებით ადგილობრივი საბჭოების ფინანსური და სამეურნეო დამოუკიდებლობის და რესურსების გაზრდის მიზნით საწარმოები და კოოპერატივები გადასახადს უხდიან საბჭოებს შესაბამისი ტერიტორიის მიხედვით. სოფლის საბჭოების როლი იზრდება, რასაც კიდევ უფრო მეტად ხელი შეუწყო 1971 წლიდან დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე გატარებულმა კანონმა, რომლითაც რაიონული საბჭოების არჩევითობა გაუქმდა (ბუდაპეშტის გარდა), ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის მდივნების კომპეტენციები გაფართოვდა. მათ ნიშნავენ განუსაზღვრელი დროით და ფართო რწმუნებით. კერძოდ, აღმასკომის მდივნებს საბჭოების გადაწყვეტილებების გაუქმების უფლებაც კი აქვთ. რაიონებში ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები არჩევითი კი არა, დანიშვნითაა, საბჭოების კომიტეტების შედგენა კი ხდება ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლებისაგან და დანიშნული პირებისაგან. ამ რეფორმის შედეგად გაფართოვდა ადგილობრივი საბჭოების უფლებები, განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა და ამაღლდა დამოუკიდებლობა საბინაო მშენებლობისა და კულტურული დაწესებულებების, განათლების, ვაჭრობის და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

უნგრეთის მშრომელების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია მუდმივად ზრუნავს მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელად ამაღლებისათვის. 1970 წლისათვის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობამ 5 მლნ კაცს მიაღწია. 20 წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობას შეემატა 3,1 მლნ კაცი, აქედან 2,2 მლნ ახალგაზრდობაა, 210 ათასი მოზრდილი მამაკაცია, რომელიც არ მუშაობდა წარმოებაში და 725 ათასი ქალია. სულ ამ ხნის განმავლობაში ქალთა რაოდენობა წარმოებაში 800 ათასამდე გაიზარდა. მრეწველობაში და

სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალთა რაოდენობა თითქმის თანაბარია მამაკაცებთან, ვაჭრობაში კი ქალებს უკავიათ ადგილების 60%. მაგრამ ქალების საშუალო ხელფასი, მათი შედარებით დაბალი კვალიფიკაციის გამო, შეადგენს მამაკაცების ხელფასის დაახლოებით 65%. 1968 წლისათვის სახალხო მეურნეობაში მომუშავეთაგან საშუალო და უმაღლესი განათლებით იყო 430 ათასი კაცი, აქედან უმაღლესი განათლებით 196 ათასი.

განუხრელად იზრდება აგრეთვე მოსახლეობის რეალური შემოსავალი. მეორე ხუთწლედში თუ იგი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 17%-ით, მესამეში—34%-ით.

როგორც ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, უნგრეთშიც ხელფასის გარდა იღებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, პენსიებს, სტიპენდიებს (მოსწავლეები), სარგებლობენ უფასო განათლებითა და სამედიცინო მომსახურებით და ა. შ. დიდ დახმარებას ღებულობენ მშრომელები საზოგადოებრივი მოხმარების ფონდიდან. მაგალითად, 1965 წელს სახელმწიფომ ბიუჯეტიდან ამ მიზნით გაიღო 9 მლრდ, 1970 წელს კი 22 მლრდ ფორინტი. საყურადღებოა, რომ პარტიის IX ყრილობის გადაწყვეტილებით ყველა მომუშავე ქალი მშობიარობის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თუ არ მუშაობს და ბავშვს უვლის, იღებს თავისი საშუალო ხელფასის 40%. მარტო 1970 წელს ასეთი ქალთა რაოდენობა შეადგენდა 167 ათასს და ამ მიზნით დაიხარჯა 1,7 მლრდ ფორინტი. მესამე ხუთწლედში ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ბავშვები ჰყავდათ, ღებულობდნენ დახმარებას თვეში 50 ფორინტს ერთ ბავშვზე. 1968 წლიდან კი კოოპერატივის გლეხების ორ ბავშვიანი ოჯახები ღებულობენ თვეში 70—100 ფორინტს.

1967 წლიდან პენსიას ღებულობს 65 წელს ასაკგადაცილებული ყოველი გლეხი მამაკაცი, ხოლო ქალი 60 წლის ასაკიდან, თუ კოოპერატივში არანაკლები 10 წელი მუშაობდა. პენსიის მინიმალური რაოდენობაა 400 ფორინტი[1].

20 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა ხელფასი. მაგალითად, 1950 წელს მუშა-მოსამსახურეთა და კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხთა ხელფასი საშუალოდ 681 ფორინტი იყო, 1970 წლისათვის იგი 2152 ფორინტს შეადგენდა.

ამრიგად, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ხელფასის გათანაბრება არ ნიშნავს მუშათა და გლეხთა ცხოვრების დონის გათანაბრებას, ვინაიდან სოფლად საშუალო ხელფასი მიღებულია უფრო ხანგრძლივი სამუშაო დღის შედეგად, ვიდრე მრეწველობაში. სოფლის

[1] 100 ფორინტი=7 მან და 67 კაპ.

მოსახლეობის პენსიებიც უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქისა, მაგრამ კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ადრე გლეხთა შემოსავალი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენს უხდიდნენ მას შრომა დღეებზე, ამჟამად კი იგი შრომის რაოდენობის მიხედვით იღებს ხელფასს.

1949 წლიდან 1963 წლამდე უნგრეთში ააგეს 665 ათასი ბინა. 15 წლიანი პროგრამის შესაბამისად (1961—1975 წწ.), უნგრეთში დაგეგმილია კიდევ 1 მლნ ბინის აგება, რაც ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ ყოველი ოჯახი მიიღებს კეთილმოწყობილ იზოლირებულ ბინას. მეოთხე ხუთწლედში დაგეგმილია 300 ათასი ბინის მშენებლობა, მათ შორის 35-40% სახელმწიფოს ხარჯზე, ხოლო 60-65% კი მოსახლეობის პირადი დანაზოგი სახსრებით. 1970 წლის აპრილში პარტიის ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე 1971 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა ბინის გადასახადი, რაც გამოწვეული იყო ბინის კეთილმოწყობის გაუმჯობესებით, ხოლო თანამედროვე ყაიდაზე მოწყობილი ბინების გადასახადი უცვლელი დარჩა. ბინის გადასახადების გაზრდას მოსახლეობის ცხოვრების ღონის დაცემა რომ არ გამოეწვია, მცხოვრებლებს ეძლევათ ბინის გადასახადის რაოდენობის შესაბამისი კომპენსაციები სამუშაო ადგილზე, სპეციალურად გათვალისწინებული დახმარების ფონდებიდან. მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის შესაბამისად ეს დახმარება თანდათანობით გაუქმდება. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბინების მიღების დროს მოქალაქე ერთდროულად იხდის ე. წ. საამშენებლო შესატანს 10-დან 40 ათასამდე ფორინტს მისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინების მიხედვით.

მოსახლეობის ცხოვრების ღონის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1970 წლის 1 მარტიდან პენსიებისა და დახმარებების გაზრდას მინიმალური პენსიების მქონეთათვის. საშუალოდ იგი 7,5% გაიზარდა. 1971 წლის 1 იანვრიდან ყველა კატეგორიის პენსია გაიზარდა 2%-ით. შემდგომ პერიოდში პენსიები ყოველწლიურად იზრდება 2%-ით. 1970 წლის 1 მარტიდან ხელფასი გაეზარდა 275 ათას მშრომელს. 1971 წლის 1 ივნისიდან კი ხელფასები საშუალოდ 10—20%-ით გაეზარდათ დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლებს, ექიმებს. საშუალო სამედიცინო პერსონალს და აგრეთვე ზოგიერთ სხვა კატეგორიის მშრომელებს. ეს ღონისძიება შეეხო 400 ათას კაცს ანუ შრომით საქმიანობაში ჩაბმულთა 8%.

1973 წელს ფასები საცალო ვაჭრობაში გაიზარდა 3,5%-ით, რაც მნიშვნელოვნად დაკავშირებულია იმავე წლის იანვრიდან სპირტის სასმელებზე, თამბაქოზე, რძეზე და რძის ნაწარმზე ფასების გაზრდით. სამაგიეროდ, 1973 წლის განმავლობაში ფასები შემცირდა ბავშვის

ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, ავეჯსა და ზოგიერთ სხვა საქონელზე.

უნგრეთის ეკონომიკის გარდაქმნას მოჰყვა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შეცვლა, რომლის საფუძველს შეადგენს ორი ურთიერთმეგობრული კლასი — მუშათა კლასი და კოოპერატიული გლეხობა.

1962 წლისათვის მუშები და მოსამსახურეები შეადგენდნენ მოსახლეობის 65,5%, გლეხობა—31,8%-ს. 1970 წლისათვის ამ უკანასკნელის რაოდენობა შემცირდა და იგი მოსახლეობის 22,4%-ს შეადგენს, ხოლო მუშები (2,6 მლნ კაცი იყო) და მოსამსახურეები შეადგენენ მოსახლეობის 74,2%-ს.

ამრიგად, სოციალისტური მეურნეობის ფორმასთან დაკავშირებულია უნგრეთის მოსახლეობის 96,8%. 1970 წლისათვის მუშათა 50% კვალიფიცური იყო. სახალხო ხელისუფლების პერიოდში კულტურული რევოლუციის განხორციელების შედეგად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, დიდად განვითარდა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. შექმნილია ახალი ქსელი სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურისა და დასასვენებელი სახლების. სახალხო რეჟიმის დროს სწრაფი ტემპით იზრდება ინტელიგენციის რაოდენობა. 1963 — 1968 წლებში იგი გაიზარდა 26%-ით და შეადგინა 1,1 მლნ კაცი. განსაკუთრებით გაიზარდა მეცნიერულ-ტექნიკური მუშაკების რაოდენობა. 1970 წლისათვის იგი 20,5%-ზე მეტად გაიზარდა და მიაღწია 61786 კაცს.

უნგრეთისათვის დამახასიათებელია, რომ ჰუმანიტარულთან შედარებით ტექნიკური ინტელიგენცია უფრო იზრდება. უნგრეთში მთლიანად და საბოლოოდ ლიკვიდირებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

უნგრეთის სინამდვილე ცხადყოფს, რომ სოციალიზმი უზრუნველყოფს მთელი მშრომელების მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის სწრაფ ზრდას, ქმნის აუცილებელ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საგარეო პოლიტიკა

ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციის შემდეგ სახალხო უნგრეთის მთავარი ამოცანა იყო თავი დაეღწია საგარეო პოლიტიკური იზოლაციისაგან. ჯერ კიდევ პოტსდამის კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა აშშ-ის და ინგლისის მთავრობებს, რათა დამყარებულიყო დიპლომატიური ურთიერთობა გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან. მაგრამ ინგლის-ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელები, იმ

მოტივით, რომ გერმანიის ყოფილ მოკავშირეთა ქვეყნებში და მათ შორის უნგრეთშიც, არ არსებობს ავტორიტეტული მთავრობები და მათ თითქოს არა აქვთ ინფორმაციები ამ ქვეყნების შესახებ, უარი თქვეს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე. ინგლის-ამერიკის მთავრობები უნგრეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საფასურად ცდილობდნენ ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევას, რათა არ დაეშვათ სახელმწიფოს გამგებლობის სათავეში კომუნისტების მოქცევა და მისი სოციალისტური გზით განვითარება. ისინი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს უნგრეთში მიმდინარე ცვლილებებს და არა ერთხელ შეეცადნენ ზეგავლენა მოეხდინათ მასზე.

საგარეო პოლიტიკური იზოლაციიდან თავის დაღწევაში უნგრეთს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა.

1945 წლის 25 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღსდგა დიპლომატიური ურთიერთობა უნგრეთთან.

1945 წლის ნოემბრის არჩევნებში სოფლის წვრილ მესაკუთრეთა პარტიისა და ბურჟუაზიული ძალების წარმომადგენლებმა დასავლეთის სახელმწიფოებს იმედი მისცეს, რომ უნგრეთში ბურჟუაზიულ წყობილებას შეინარჩუნებდნენ, ამიტომ აღადგინეს დიპლომატური ურთიერთობა მასთან. ამის შემდეგ ისინი ყოველმხრივ აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ უნგრეთის ბურჟუაზიულ-მემამულურ რეაქციას. ინგლის-ამერიკას სურდა, რათა უნგრეთი საშინაო პოლიტიკაში დამყარებოდა კაპიტალიზმს, ხოლო საგარეო პოლიტიკაში აეღო დასავლეთის ორიენტაცია. დასავლეთის სახელმწიფოები, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ცდილობდნენ უნგრეთისათვის კაბალური საზავო პირობები მოეხვიათ თავს. მაგრამ საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერის შედეგად ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. 1947 წლის 10 თებერვალს დადებული პარიზის ზავით უნგრეთის სახელმწიფო საზღვრები დაწესდა 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ფარგლებში. უნგრეთს უნდა გადაეხადა დაზავებით გათვალისწინებული რეპარაციები.

1948 წელს უნგრეთმა დადო ხელშეკრულება მეგობრობისა, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, 1949 წელს კი ჩეხოსლოვაკიასთან და აგრეთვე მონაწილეობა მიიღო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანიზაციაში. უნგრეთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. უნგრეთი სოლიდარობას უცხადებდა კორეელი და ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და თავისი წვლილი შეჰქონდა მათ წარმატებებში. უნგრეთმა სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი მოაწერა 1955 წელს ვარშავის ხელშეკრულებას. 1950 — 1955 წლებში უნგრეთმა მნიშვნელოვნად განავითარა თავისი ურთიერთობა ევროპის კა-

პიტალისტურ ქვეყნებთან. 1955 წელს უნგრეთი მიიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. უნგრეთი თავისი საგარეო პოლიტიკაში სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებით იბრძოდა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გაჩაღებულ „ცივი ომის“ პოლიტიკის წინააღმდეგ.

1956 წლის კონტრრევოლუციური შეთქმულების განადგურების პირველსავე დღიდან დასავლეთის ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ გააჩაღა აღვირახსნილი, ანტიუნგრული და ანტისაბჭოთა კამპანია. თავისი მტრული ანტიუნგრული პროპაგანდისათვის დასავლეთის სახელმწიფოებმა შეთითხნეს ე. წ. „უნგრეთის საკითხი“ და რამდენიმე წლის განმავლობაში თავს ახვევდნენ განსახილველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. იმპერიალისტური ქვეყნები უნგრეთის მანდატს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ სცნობდნენ, მთავრობისაგან კი მოითხოვდნენ. რათა აშშ-ის და ზოგიერთ სხვა ქვეყნების წინადადებით შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ხუთთა კომიტეტისათვის“ მიეცათ უნგრეთში საქმიანობის უფლება. დასავლეთის სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ასეთი გზით ისინი მიაღწევდნენ უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის დაგმობას საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრივ, ამ ორი ქვეყნის იზოლირებას საერთაშორისო არენაზე და ამით სოციალიზმის იდეისათვის სახელის გატეხვას. დასავლეთის სახელმწიფოები საეჭვოდ ხდიდნენ უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხური მთავრობის კანონიერებას. „უნგრეთის საკითხი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იდგა 1963 წლამდე. იმავე წელს უნგრეთში ყოფნის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ. ტანმა განაცხადა, რომ „უნგრეთის საკითხი“ უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდანო. 1963 წლის სექტემბერში მოწვეული გენერალური ასამბლეას XVIII სესიაზე „უნგრეთის საკითხი“ მოიხსნა დღის წესრიგიდან და ამის შემდეგ უნგრეთის დელეგაციის უფლება-მოსილობის საკითხიც აღარ აღძრულა.

ამრიგად, უნგრეთმა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებით გაარღვია ის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და დიპლომატიური ბლოკადა, რომელიც მოაწყო დასავლეთის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა უნგრეთში მომხდარი ამბოხების განადგურების შემდეგ.

კონტრრევოლუციური ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღმოცენებული უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხური მთავრობა განუხრელად ახორციელებდა საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა. უნგრეთს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ

ქვეყნებთან მჭიდრო კოორდინაცია აქვს საერთაშორისო ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

მრავალ საერთაშორისო კონგრესებზე, თათბირებზე და ფორუმებზე უნგრეთი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოდის მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრედ, მხარს უჭერდა და უჭერს კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მეგობრობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე. უნგრეთი მონაწილეობას ღებულობდა და ღებულობს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ყველა სხდომაზე, რომელიც ეხებოდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხების განხილვას, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირების და სხვა მრავალ საკითხებში.

უნგრეთის მთავრობა ფართო ღონისძიებებს ღებულობს არაბეთისა და სხვა განვითარებად ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი პრინციპების საფუძველზე გააფართოვოს თავისი ურთიერთობა. იგი ავითარებს ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკის, მეცნიერების და ტექნიკის დარგში, ცდილობს მის გამოყენებას მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისა და დაძაბულობის შენელებისათვის საერთაშორისო არენაზე და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის. ამ მხრივ უნგრეთმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ავსტრიასთან, ფინეთთან, ნორვეგიასთან, გფრ-ან, მიუხედავად უნგრეთის მთავრობის ყოველგვარი ცდებისა აშშ-თან ჯერ კიდევ არაა მოგვარებული მთელი რიგი სადავო საკითხები.

უნგრეთს ფართო საგარეო ეკონომიური ურთიერთობა აქვს უპირველეს ყოვლისა სოციალისტურ ქვეყნებთან, აგრეთვე მსოფლიოს ბრავალ ქვეყანასთან. 1974 წლის დამლევისათვის უნგრეთს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 105 სახელმწიფოსთან.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ი. კადარმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა იმ ძალების ავანგარდშია, რომლებიც იბრძვიან მთელი კაცობრიობის პროგრესისათვის“,[1] რომ უნგრეთის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია: ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში სოციალიზმის მშენებლობის უზრუნველყოფა, ბრძოლა ომის საშიშროებისა და აგრესიის წინააღმდეგ, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება, მათი პოლიტიკური და ეკონომი-

[1] «Международная жизнь», № 12, 1975, зз. 118.

ური ურთიერთობის განვითარება, სამხედრო ძლიერების ამაღლება, უსრ-ის ყოველმხრივი ურთიერთობის განვითარება სოციალისტურ ქვეყნებთან; სოლიდარობა იმ ძალებთან, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში იბრძვიან დემოკრატიული თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის და სოციალური პროგრესისათვის. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარის დაჭერა, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის, იმპერიალისტური ექსპლუატაციის და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში; მრავალმხრივი თანამშრომლობის მოგვარება განვითარებად ქვეყნებთან, თანმიმდევრული დაცვა და ბრძოლა სხვადასხვა სოციალისტურ სისტემებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებისათვის.

ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზარდა საგარეო ვაჭრობა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უნგრეთის მოთხოვნების ორი მესამედი ნედლეულზე და ნახევარფაბრიკატებზე, იფარება იმპორტის ხარჯზე. 1967 წელს უნგრეთსა, სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო ხელშეკრულება ნავთსადენ „მეგობრობის“ უფრო ეფექტურად გამოყენების შესახებ, საბჭოთა კავშირიდან უნგრეთში ნავთის მიწოდების გაზრდის მიზნით. ამ შეთანხმების განხორციელების შედეგად უნგრეთის ტრანსპორტის ხარჯები ნავთის გადაზიდვაში რკინიგზის ხარჯებთან შედარებით ყოველწლიურად შემცირდა 30 მლნ ფორინტით. უნგრეთსა და პოლონეთს შორის, პოლონეთის ტერიტორიაზე უნგრეთის ტექნოლოგიით ქვანახშირის მოპოვების გაზრდისათვის შეიქმნა ერთობლივი სააქციონერო საზოგადოება „ჰალდექსი“.

1967 წელს უნგრეთ-საბჭოთა კავშირს შორის 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით დაიდო ახალი ხელშეკრულება 20 წლის ვადით. ასეთივე ხელშეკრულებები დადო უნგრეთმა გდრ-ან (1967 წ.), პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან (1968 წ.) და ბულგარეთთან (1969 წ.). უნგრეთს საგარეო ვაჭრობა აქვს 100-ზე მეტ ქვეყანასთან, მაგრამ საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი 65% (1970 წ.) მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე, აქედან საბჭოთა კავშირზე 35%.

1970 წელს საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის დაიდო სავაჭრო შეთანხმება 1971—1975 წლებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა საქონლის ბრუნვის გაზრდას 1,6-ჯერ, მან 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგინოს 9,3 მლრდ მანეთი. 1973 წელს საქონლის ბრუნვის მოცულობამ პირველად გადააჭარბა 2 მლრდ მანეთს.

1973 წელს ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო ახალი შეთახმებები წარმოების სპეციალიზაციის შესახებ: ქიმიის, ნავთობქიმიის, ქიმიურ, მანქანათმშენებლობისა და სხვ. დარგებში.

საბჭოთა კავშირში სოციალისტური ქვეყნების მონაწილეობით შენდება მაღალძაბვიანი 750 მლნ კილოვატსაათის სიძლიერის ელექტროგადაცემის ხაზი (ვინიცა-დასავლეთ უკრაინა-ალბერტიშა-უსრ), მასში სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მონაწილეობს უნგრეთიც.

უნგრეთსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს სხვა მრავალი სახის ურთიერთობაც. მრავალმხრივ ურთიერთობას უნგრეთი ავითარებს განვითარებად და კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მარტო 1970 წელს უნგრეთი მონაწილეობდა 610 საერთაშორისო ორგანიზაციაში, მათ შორის 40-ში მთავრობათა დონეზე. უნგრეთი მონაწილეობს 300 სამეცნიერო და 100 კულტურულ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ეს ფაქტები ნათლად მოწმობენ იმაზე, რომ უნგრეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს.

თავი V

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა[1]

§ 13. ანტიფაშისტური დემოკრატიული წყობილების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში

მდგომარეობა ომის დამთავრების შემდეგ

ვ. ულბრიხტმა შემდეგნაირად დაახასიათა ომის დამთავრებისას შექმნილი ვითარება: „ნაციზმმა გერმანელი ხალხი ძალზედ შორს გადაისროლა უკან. მან დატოვა ნანგრევები, სულიერი გაპარტახება და მორალური გახრწნილობა[2]“ გერმანია მანამდე ბევრჯერ დამარცხებულა, მაგრამ ასეთი მთლიანი და გამანადგურებელი დარტყმა არასდროს არ მიუღია. ფაშიზმის განადგურება გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის მარტო ერთ-ერთი ფორმის კრახს კი არ ნიშნავდა. ფაშიზმის განადგურება ნიშნავდა გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და იდეოლოგიურ კრახსაც. ეს კანონზომიერი მოვლენა იყო, ვინაიდან გერმანიის ფაშიზმი, რომელიც ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული ფენის, მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავდა, მიზნად ისახავდა მსოფლიოს და უპირველეს ყოვლისა სლავი ხალხების დაშინებასა

---

[1] ტერიტორია — 108,2 ათასი კვ კმ, მოსახლეობა—17011 ათასი (31. XII 1972 წ.), დედაქალაქი—ბერლინი (მცხ. 1097 ათასი, 1972 წ.)

[2] В. Ульбрихт. К истории новейшего времени, М., 1957, გვ. 21.

და ფიზიკურ განადგურებას. ეს არარეალური ამოცანა იყო და საამისო სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური პოტენციალი გერმანიის ფაშიზმს არ გააჩნდა. ამიტომ იგი თავიდანვე განწირული იყო დასაღუპად და დაიღუპა კიდეც.

გერმანიის ფაშიზმის კრახმა მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო.

გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ცდა, რომ ჰიტლერის თვითმკვლელობის წინ მის მიერ დანიშნული მემკვიდრის გროს-ადმირალ კ. დენიცის მიერ ქალაქ ფლენსბურგში[1] შექმნილი „მთავრობა" გამოეყენებინა ომის შემდგომ გერმანიაში თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად, კრახით დამთავრდა. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ქვეყნის გაბატონებული კლასები მთლიანად განიარაღებული აღმოჩნდნენ. მათ განკარგულებაში აღარ იყო სახელმწიფო აპარატი, არმია, პოლიცია, პრესა, რომლებმაც შეწყვიტეს არსებობა. ძალზე შერყეული იყო გერმანიის ბურჟუაზიის პოზიციები ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. მოგვიანებით ჩატარებული აღწერით დადგინდა, რომ ომის დროს წარმოებული დაბომბვების შედეგად დაზიანდა მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალური პოტენციალის 15%. სამრეწველო წარმოება ომამდელ დონეზე მაღალი იყო, მაგრამ ნედლეულისა და ენერგიის უქონლობის გამო მთელი სამრეწველო ცხოვრება შეწყდა. ქვანახშირის უქონლობისა და უწყლობის გამო პარალიზებული იყო აგრეთვე სატვირთო და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა. მკვეთრად დაეცა მარკის კურსი. შავ ბაზარზე ურთიერთ გაცვლის, ან ყიდვის ერთეულად გადაიქცა სიგარეტები, ვისკი, პენიცილინის ამპულები, ან ამერიკული დოლარი.

ამრიგად, ომის დამთავრებისას გერმანიაში გაბატონდა სამეურნეო ქაოსი. სამეურნეო ნგრევამ გამოიწვია უმუშევრობა, უსახლკარობა, შიში და შიმშილი. გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში შენობების 50%-ი დანგრეული იყო, არ მოქმედებდა წყალსადენი, გაზის საწარმოები და ელექტროსადგურები, შეწყვეტილი ან არასაკმარისი იყო ქალაქების მომარაგება სურსათ-სანოვაგით. 1936 წლის დონესთან შედარებით გერმანიის ეროვნული სიმდიდრე 1/3-ით, სამუშაო ძალა კი 15-20%-ით შემცირდა.

გერმაანიის ბურჟუაზიის ეკონომიური პოზიციები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ძალზე შერყეული იყო და მას თავისი საკუთარი ძალებით არ შეეძლო დამოუკიდებელი მოქმედება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გერმანიის ბურჟუაზია, როგორც კლასი განადგურდა, ან მისი ეკონომიური სიძლიერე მოისპო.

[1] ფლენსბურგი დანიის საზღვართანაა.

ვას იმედი ჰქონდა ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ქვეყნის რეაქციული და ანტიდემოკრატიული ძალების მხარდაჭერისა და, რაც მთავარია, დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზიის კლასობრივი სოლიდარობისა. ფაშიზმის კრახი და ბურჟუაზიის პოლიტიკური, ეკონომიური, სამხედრო და იდეოლოგიური განიარაღება ქვეყნის შიგნით მოხდა არა თვით გერმანელი ხალხის მიერ, არამედ საგარეო ფაქტორით, სამხედრო დამარცხების შემდეგ. გერმანიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოზიციების სრული ლიკვიდაციისათვის აუცილებელი იყო ანტიიმპერიალისტური რევოლუციური გადატრიალების მოხდენა, რომელიც ხელისუფლებას ხალხს გადასცემდა. მაგრამ გერმანელი ხალხის დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალები ომის დამთავრებისას არაორგანიზებული იყვნენ და ამავე დროს, ჰიტლერული დიქტატურის თითქმის ცამეტწლიანი ტერორისტული, სისხლიანი, აღვირახსნილი რეჟიმის გამო ძალზედ დასუსტდნენ. მასობრივი ტერორის შედეგად, მათ რიგებს გამოაკლდა, ფაშისტურ ჯურღმულებში და საკონცენტრაციო ბანაკებში განადგურებული ათიათასობით გერმანელი ხალხის საუკეთესო შვილი — კომუნისტები, სოციალისტები, პატრიოტები და სხვა დემოკრატები. მაგრამ ბევრი მათგანი გადაურჩა ჰიტლერულ ტერორს, ქვეყნის შიგნითა და ემიგრაციით. ქვეყნის ერთადერთ ორგანიზებულ ძალას, რომელიც რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ გმირულ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა, კომუნისტური პარტია წარმოადგენდა. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ, რომლის რაოდენობა განახევრდა (1932 წელს 300 ათას კაცს აერთიანებდა), მიუხედავად დიდი მსხვერპლისა და მამაცობისა, ვერ შეძლო ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხის დარაზმვა. ამის მიზეზები იყო შემდეგი: მძვინვარე ფაშისტური ტერორი, დაპყრობილი ხალხების ძარცვა-გლეჯის შედეგად მიღებული სარგებლობა, რომლის ნაწილს გერმანელი ხალხიც იღებდა, ფაშისტების რასისტული იდეოლოგიით ხალხის შეგნების მოშხამვა და ჰიტლერული პროპაგანდის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს სამხედრო მარცხს გერმანელი ხალხის ფიზიკური განადგურებაც მოყვებოდა. გერმანელი ხალხის ფართო ფენები მორალურ-პოლიტიკური, ღრმა ფსიქოლოგიური დეპრესიის და გაცბუნების მდგომარეობაში იმყოფებოდა, ბურჟუაზიის არამონოპოლისტური და მოსახლეობის საშუალო ფენები სრულიად დემორალიზებული იყვნენ. ჰიტლერელებმა შეძლეს ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მათი პარტიის იდეები გერმანელი ერის მიზნებს ემსახურებოდა და ამიტომ ფაშიზმის კრახი მათ „ერის იდეოლოგიის“ კრახად, ხოლო ფაშისტური რაიხის განადგურება „გერმანიის დასასრულად“ მიიჩნიეს. ბევრი მათგანისათვის დამახასიათებელი იყო შინაგანი გაპარტახება, გაღიზიანებული სიძულვილი პოლიტიკისადმი და

დიდი შიში მომავლისადმი. ბევრი მათგანი წლობის განმავლობაში ფაშისტური პროპაგანდის მომშხამავი ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური აგიტაციის შედეგად სიძულვილით იყო განწყობილი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტებისადმი საერთოდ.

მილიტარიზაციისა და რასიზმის შხამით მოწამლული იყო მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილიც. ამას ისიც დაერთო, რომ ომის დროს მუშათა რიგებში მოხდა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები, მთავარი პროლეტარული ბირთვი შემცირდა.

ფაშიზმის კრახისა და გერმანიის ოკუპაციის შემდეგ ხალხი მალე დარწმუნდა, რომ არავინ არ აპირებდა გერმანელების ფიზიკურად მოსპობას. ხალხი გრძნობდა, რომ საჭირო იყო ძირეული ცვლილებების განხორციელება პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ თუ როგორი გზით უნდა წასულიყო ომის შემდგომი გერმანიის განვითარება ეს ნათლად მხოლოდ კომუნისტებს ჰქონდათ წარმოდგენილი. სხვა სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად გერმანელმა კომუნისტებმა განთავისუფლების მსვლელობაში, ან მისი დამთავრებისას ანტიფაშისტური ძალების სისუსტის გამო ვერ შეძლეს დემოკრატიული მთავრობის შექმნა, რომელიც მთელი გერმანიის სახელით შეძლებდა გამოსვლას და იკისრებდა პასუხისმგებლობას გამარჯვებული სახელმწიფოების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

1945 წლის 5 ივნისს ბერლინში მარშალმა გ. ჟუკოვმა, გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა, ფელდმარშალმა ბ. მონტგომერიმ და გენერალმა დიოლარტ დე ტასინიმ ხელი მოაწერეს გერმანიის დამარცხების დეკლარაციას და ოთხივე სახელმწიფოს მიერ გერმანიაში უმაღლესი ხელისუფლების ხელში აღების შეთანხმებას.

კაპიტულაციის აქტისა და გერმანიის დამარცხების დეკლარაციის საფუძველზე გერმანიის მმართველობა საოკუპაციო ხელისუფლების ხელში გადადიოდა.

გერმანიის დაყოფა ზონებად და მოკავშირეების გადაწყვეტილება გერმანიის შესახებ

გერმანია დაიყო ოთხ საოკუპაციო ზონად — საბჭოთა საოკუპაციო ზონაში შევიდა აღმოსავლეთ გერმანია — მეკლენბურგი, საქსონია, ტიურინგია-საქსონიის პროვინცია და ბრანდენბურგი. ეს უკანასკნელი 1947 წელს გადაკეთდა საქსონია-ანგალტის მიწებად. ზონის მთავარი ქალაქი ბერლინი[1].

[1] აღმოსავლეთ გერმანიის საოკუპაციო ზონის ტერიტორია აღმოსავლეთ ბერლინთან ერთად შეადგენდა—108,2 ათას კვ.კმ. მოსახლეობა—17,3 მლნ კაცს. 1972 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით გდრ-ში ცხოვრობდა—17,011 ათასი კაცი, აღმოსავლეთ ბერლინში — 1097 ათასი კაცი.

ამერიკის ზონაში შევიდა გერმანიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; ჰესენი, ბავარია, ვიურტენბერგი-ბადენი და ბრემენი. ზონის მთავარი ქალაქი მაინის ფრანკფურტი.

ინგლისის ზონაში შევიდა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი: შლეზვიგ-ჰოლშტეინი, ქვედა საქსონია, ჩრდილოეთ რაინი-ვესტფალია და ჰამბურგი. მთავარი ქალაქი ჰამბურგი. საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში შევიდა: რაინლანდ-ფვალცი, ბადენი, ვიურტენბერგ-ჰოჰენცოლერნი. ზონის მთავარი ქალაქი — მაინცი. ბერლინიც დაყოფილი იქნა ოთხ საოკუპაციო ზონად. აღმოსავლეთ ბერლინი შევიდა საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონაში, ხოლო დასავლეთ ბერლინი კი აშშ-ს, ინგლისის და საფრანგეთისაში. დასავლეთის სახელმწიფოების ზონებში შევიდნენ გერმანიის მრეწველობის მხრივ ყველაზე უფრო განვითარებული რაიონები. აქ წარმოებდა მთელი ომამდელი გერმანიის ქვანახშირის ამოღების 82%, მანქანათმშენებლობის 58%, მეტალურგიის 90%. 1945 წლისათვის დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობდა 43,4 მლნ კაცი.

ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებების საფუძველზე ომის შემდგომ გერმანიაში უნდა აღმოფხვრილიყო ნაციზმი, ფაშიზმი, შოვინიზმი, მილიტარიზმი და შექმნილიყო პირობები, რომ გერმანიას აღარასოდეს დაერღვია მშვიდობა. ამ მიზნით უნდა გატარებულიყო ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, უზრუნველყოფილიყო გერმანიის გაერთიანება მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით. აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიის ნაწილი, ქალაქ კენინგსბერგითურთ, რომელსაც გერმანია ყოველთვის აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში აგრესიის ბაზად იყენებდა, გადაეცა საბჭოთა კავშირს. გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილის საზღვარი პოლონეთთან მდინარეებზე ოდერსა და ნოისეზე დაწესდა. პოლონეთს უბრუნდებოდა სილეზია, პომერანიისა და აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი ქალაქ დანციგით (გდანსკი). ეს საზღვრები მომავალ საზავო კონფერენციას უნდა დაემტკიცებინა. საყურადღებოა აქვე აღინიშნოს, რომ პოლონეთისათვის დაბრუნებული მიწებიდან გერმანელი მოსახლეობა უნდა გასახლებულიყო.[1]

უმაღლესი ხელისუფლება ყოველ ზონაში უნდა განხორციელებულიყო ოთხი სახელმწიფოს მთავარსარდლობის მიერ. ზონების მთავარსარდლები ადგენდნენ საკონტროლო საბჭოს, რომელსაც ცხოვრებაში უნდა გაეტარებინა ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებანი. საკონტროლო საბჭოს გადაწყვეტილებების მიღე-

[1] პოლონეთისათვის დაბრუნებული მიწებიდან გაიქცა, ან გასახლებულ იქნა 5 მილიონამდე გერმანელი.

ბისათვის დაწესდა ერთხმივობის პრინციპი. მის ადგილსამყოფელად მიჩნეული იქნა ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონა. საბჭოთა ზონის მთავარსარდლად დაინიშნა მარშალი გ. ჟუკოვი. შეიქმნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელსაც აღნიშნული კონფერენციების გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეემუშავებინა სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან.

იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილების ჩაშლა აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის მიერ და გფრ-ის შექმნა

იალტისა და პოტსდამის გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა შეაჩერეს დასავლეთ გერმანიაში დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესი და დაადგნენ გერმანიის გათიშვის გზას.

გერმანიის გათიშვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ინგლისის და აშშ-ის საოკუპაციო ზონების გაერთიანება 1946 წლის დეკემბერში და ე. წ. ბიზონიის შექმნა თავისი ეკონომიური და ადმინისტრაციული ორგანოებით. 1948 წლის ივლისში დასავლეთ გერმანიაში გატარდა ფულის სეპარატული რეფორმა. იმავე წლის ზაფხულში „ბიზონიას" შეუერთდა საფრანგეთის საოკუპაციო ზონა. ხოლო სექტემბერში შეიქმნა ე. წ. „საპარლამენტო საბჭო", რომელსაც დაეკალა კონსტიტუციის შემუშავება სეპარატული დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოსათვის. გფრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის). მიღება 1949 წლის მაისში, ბუნდესტაგის (პარლამენტის) არჩევნების ჩატარება 1949 წლის აგვისტოში და დასავლეთ გერმანიის მთავრობის შექმნა 1949 წლის სექტემბერში ნიშნავდა დასავლეთის სახელმწიფოების სამ საოკუპაციო ზონაში სეპარატული სახელმწიფოს—გფრ-ის შექმნას, რამაც დაამთავრა გერმანიის გათიშვა ორ ნაწილად დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიად. გფრ-ის შექმნა მთლიანად პასუხობდა, როგორც დასავლეთის სახელმწიფოების წრეების ინტერესებს, რომლებიც ფიქრობდნენ დასავლეთ გერმანიის გამოყენებას თავისი აგრესიული მიზნებისათვის, ასევე დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებისა და რევანშისტების ინტერესებს.

ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩაშალეს იალტისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება და ევროპის ცენტრში კვლავ აღადგინეს მილიტარისტული ხასიათის სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახით. ამით დასავლეთის სახელმწიფოებმა ხელი შეუშალეს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას გერმანიასთან.

დემოკრატიული გარდაქმნები აღმოსავლეთ გერმანიაში და ანტიფაშისტური დემოკრატიული ფრონტის შექმნა

საბჭოთა საოკუპაციო ზონის მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ნორმალიზაცია. ამ მიზნით უპირველეს ყოვლისა მიღებულ იქნა ზომები მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით რეგულარულად მომარაგების უზრუნველყოფისა და ქალაქის განადგურებული მეურნეობის აღდგენისათვის. საბჭოთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დახმარებით აღსდგა ელექტროსადგურები, კანალიზაცია, წყალსადენი, ქალაქის ტრანსპორტი, სასურსათო მაღაზიები, მომსახურების სფეროს სხვა კულტურული დაწესებულებები. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზების მიზნით გამოსცა განკარგულება, რომლითაც ანტიფაშისტურ პარტიებს და ორგანიზაციებს თავისუფალი მოღვაწეობის უფლება მიეცათ. საბჭოთა ადმინისტრაციული ორგანოები გერმანიაში ხელმძღვანელობდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით და მიზნად ისახავდნენ გერმანელი ხალხისათვის დახმარების გაწევას მშვიდობისმოყვარე გერმანული სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ბუნებრივია, რომ გერმანელი ანტიფაშისტები და უპირველეს ყოვლისა გერმანიის კომუნისტური პარტია მიზნად ისახავდნენ, ქვეყნის გამგებლობაში აღარ დაეშვათ იმპერიალისტური ძალები.

აღდგენით სამუშაოებში მასების ჩაბმაში და ანტიფაშისტური, დემოკრატიული ფრონტის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს ე. წ. „პირველი საათის აქტივისტებმა", რომლის სათავეში იდგა გერმანიის კომპარტიის ცკ-ის რწმუნებულთა ჯგუფი ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით. ეს ჯგუფი ბერლინში ჩამოვიდა 1945 წლის 30 აპრილს საბჭოთა კავშირიდან, სადაც იგი ომის დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა. კომუნისტებმა და სოციალისტებმა დაამყარეს ურთიერთშორის თანამშრომლობა და შეუდგნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნას, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე უპარტიოები და წინააღმდეგობის მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფები, მათ შორის ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებიც.

1945 წლის 11 ივნისს გერმანიის კომპარტიის ცკ-მა გამოაქვეყნა მოწოდება. იგი გერმანელ ხალხს მოუწოდებდა 1848 წლის რევოლუციის მიერ დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების დამთავრებას, პოტსდამის გადაწყვეტილებების საფუძველზე ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას და გერმანიის დემოკრატიული პარლამენტალური რესპუბლიკის შექმნას. მოწოდება მოითხოვდა მუშათა კლასს შორის ერთიანობა დამყარებულიყო და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების ფრონტი შექმნილიყო, რომელიც უნდა გამხდარიყო განახლე-

ბული დემოკრატიული გერმანიის მამოძრავებელი ძალა. ამ დროისათვის, როდესაც პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება იყო სუსტი, ხოლო ქვეყანა ომისაგან გაპარტახებული, გერმანიის კომუნისტებს უშუალოდ ანტიფაშისტური წყობილების დამყარებისაკენ ჰქონდა აღებული გეზი, რომელიც უნდა გამხდარიყო აუცილებელი გარდამავალი ეტაპი სოციალისტური წყობილებისაკენ. ამავე დროს კომუნისტური პარტიის მოწოდება პარლამენტურ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე არ ნიშნავდა ძველი, ვაიმარის ტიპის რესპუბლიკისაკენ დაბრუნებას, არამედ უნდა დამყარებულიყო ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, რომელშიც გადამწყვეტ როლს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა შეასრულებდა. კომუნისტური მოწოდება ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნების პირველი ეტაპის მთავარ ამოცანად შემდეგ ღონისძიებებს სახავდა: ნაციზმის მთლიანი აღმოფხვრა, დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, სამხედრო დამნაშავეებისა და მსხვილი ნაცისტების ქონების კონფისკაცია, აგრარული რეფორმის გატარება მსხვილ მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის საფუძველზე, მონოპოლიების ლიკვიდაცია, მუშათა კონტროლის დამყარება წარმოებაზე და ა. შ.

ამრიგად, მოწოდება მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობისა და მონოპოლიების ლიკვიდაციას მოითხოვდა. ამასთანავე. იგი იძლეოდა გარანტიას, რომ კულაკური მეურნეობა და კერძო წარმოება ხელუხლებელი დარჩებოდა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის მოწოდება შეესაბამებოდა გერმანელი ხალხის ინტერესებს და მან მოწონება დაიმსახურა ქვეყანაში. ბერლინში მთელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დროებითი ხელმძღვანელობა ხელში აიღო მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სათავეში იდგნენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ოტო გროტეოლი, მაქს ფეჰნერი, ჰელმუტ ლემანი და სხვები, რომლებიც გამოვიდნენ კომუნისტებთან ერთიანი მოქმედებისა და ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების მომხრედ.

15 ივნისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ-მა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის მოწოდებას და მზად არის, იბრძოლოს გერმანიის განახლებისათვის მუშათა კლასის ორგანიზებული ერთიანობის საფუძველზე.

19 ივნისს ბერლინში კომუნისტური პარტიის მოწოდების პროგრამული მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა ორივე მუშათა პარტიის ერთიანი მოქმედების ორგანო—ცკ, სადაც წარმომადგენლობა ორივე პარტიის პარიტეტულ უფლებებზე იყო აგებული. მუშათა ერთიანი მოქმედების კომიტეტები შეიქმნა სხვა ქალაქებში, პროვინციებსა და სოფლებში, რომელიც პირველი ნაბიჯი იყო მუშათა კლასის გათიშუ-

ლობის ლიკვიდაციის საქმეში. ამ გათიშულობის ლიკვიდაციისა და მუშათა ორივე პარტიას შორის თანამშრომლობის დამყარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1945 წლის ივნისში თავისუფალი გერმანული გაერთიანებული პროფკავშირების შექმნას, რომელიც სათავეში ჩაუდგა არა მარტო პროფკავშირულ მოძრაობას, არამედ ქვეყნის განადგურებული ეკონომიკის აღდგენასა და ეკონომიკის დენაციფიკაციას. ე. ი. ფაშისტების განდევნას ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი თანამდებობიდან.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე“.[1] მუშათა ორივე პარტიამ განაცხადა თავისი გადაწყვეტილება ერთიანი ანტიფაშისტური ბლოკის ჩარჩოებში სხვა დემოკრატიულ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ. 1945 წლის ივნის-ივლისში ბერლინში ორი ბურჟუაზიული პარტია შეიქმნა: ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. ორივე ამ პარტიის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ბურჟუაზიულმა ჯგუფებმა. მათში შედიოდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლებიც, მემარჯვენე პროფკავშირების ლიდერები და რეაქციული კონსერვატორული შეხედულებების წარმომადგენლები. მაგრამ, მემარჯვენე რეაქციონერების საქმიანობა ამ ორივე პარტიაში თავიდანვე აღიკვეთა პროგრესული ძალების აქტიური მოღვაწეობის შედეგად თვით პარტიის შიგნით.

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი თავის გამოქვეყნებულ მანიფესტში მხარს უჭერდა აგრარული რეფორმის, ნაციონალიზაციის და გეგმიური ეკონომიკის განხორციელების მოთხოვნებს.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მეწარმეთა კავშირის დატოვების მომხრედ გამოდიოდა. რაც შეეხება მსხვილ მემამულეთა მიწამფლობელობასა და მონოპოლიებს, მათზე მხოლოდ „საზოგადოებრივი კონტროლის“ დამყარების მომხრე იყო. საყურადღებოა, რომ ბერლინში შექმნილი ყველა პარტია თავის თავს სრულიად გერმანიის პარტიებად თვლიდნენ, მაგრამ გარდა კომუნისტური პარტიისა ისინი არ იქნენ ცნობილი დასავლეთ გერმანიის შესაბამისი პარტიების პოლიტიკური მოღვაწეების მიერ და მათი რწმუნებები მხოლოდ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გავრცელდა.

1945 წლის 14 ივლისს ბერლინში შეიქმნა ოთხი პოლიტიკური პარტიის ბლოკი ერთიანი მოქმედების კოორდინაციისა და ერთიანი პო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 263.

ლიტიკის გატარების მიზნით. ამ ბლოკის მიერ შექმნილ ერთიან კომიტეტში, სადაც ერთხმივობის პრინციპი შემოიღეს, შევიდნენ შემდეგი პარტიები: გერმანიის კომუნისტური პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. ეს ბლოკი წარმოადგენდა მუშათა კლასის კავშირს მშრომელთა საშუალო ფენებთან, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის დემოკრატიულ ელემენტებთან. მუშათა ორივე პარტიის თანამშრომლობამ უზრუნველყო ამ ბლოკში მუშათა კლასის წამყვანი როლი. ეს ბლოკი გადაიქცა საზოგადოებრივი ძალების საფუძვლად განახლებული დემოკრატიული გერმანიის შექმნის საქმეში. ამრიგად, აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა სახალხო ანტიფაშისტური ბლოკი.

დემოკრატიული გარდაქმნების გატარება

ანტიფაშისტური ბლოკის შექმნამ და დემოკრატიულ ძალებს შორის თანამშრომლობამ გაზარდა მოსახლეობის საზოგადოებრივი აქტივობა. ამის შედეგი ის იყო, რომ ბევრი გერმანელი თანდათანობით თავისუფლდებოდა დიდმპყრობელური, ნაცისტური და შოვინისტური შხამისაგან და აქტიურად ებმებოდა ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფერხულში.

ქვეყანაში წესრიგის დაცვისათვის მუშებისაგან შეიქმნა პოლიციის ნაწილები. ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიის წარმომადგენლებისა და უპარტიოებისაგან ყველგან იქმნებოდა თვითმმართველობის ორგანოები, პროვინციული და საოლქო მმართველობა. თვითმმართველობის ორგანოები თავისი ხასიათით მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა იყო პროლეტარიატის ხელმძღვანლობით. 1945 წლის ივლისში დემოკრატიული პარტიების წინადადებით საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გერმანიაში საბჭოთა ზონის ხუთ ოლქში, საქსონიაში, ტიურინგიაში, საქსონია-ანგალტში, ბრანდებურგსა და მეკლენბურგში დაამტკიცა პრეზიდენტებისა და ვიცე-პრეზიდენტების ადმინისტრაცია. ხუთიდან სამი პრეზიდენტი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იყო, 1 ლიბერალურ დემოკრატიული პარტიიდან, 1 კი უპარტიო იყო. ხუთი პრეზიდენტის გარდა 18 ვიცე-პრეზიდენტი იყო, რომელთაგან 6 კომუნისტი, 4 სოციალ-დემოკრატი, 5 ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენელი და 1 უპარტიო იყო. თავის მოღვაწეობაში აღნიშნული თანამდებობების პირები ეყრდნობოდნენ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ ბლოკს.

1945 წლის ოქტომბერში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს განკარგულებების გამოცემის უფლება მისცა. მნიშვნელოვანი იყო მუშათა კონტროლის შემოღება

საწარმოებზე და მუშათა მონაწილეობა წარმოების მართვაში. ამ მიზნით ქარხნებსა და ფაბრიკებში ქმნიდნენ, თავდაპირველად სტიქიურად, შემდეგ კი ორგანიზებულად საწარმოო საბჭოებს, რაც ხელს უწყობდა მუშებს შორის შეგნების გაზრდას, რომ აუცილებელი იყო საწარმოებზე კერძო მფლობელობის ლიკვიდაცია და სოციალისტური გარდაქმნების ჩატარება.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ გერმანიაში ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილების შესაბამისად განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ძველი ბანკები დახურა და მათ ნაცვლად გაიხსნა ახალი ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გამოცემულ 1945 წლის ოქტომბრის ბრძანებით მის დროებით მმართველობაში გადადიოდა ფაშისტური სახელმწიფოს, ნაცისტური პარტიის და აქტიური ფაშისტების მთელი ქონება.

პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით გერმანიას დაევალა იმ დიდი ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებს. ეს სარეპარაციო თანხა 20 მილიარდით განისაზღვრა. ამ თანხის 50% უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირს და პოლონეთს, რომელთაც ყველაზე დიდი ზარალი განიცადეს გერმანიის აგრესიისაგან. ეს იყო წვეთი ზღვაში იმ დიდ ზარალთან შედარებით, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა. სარეპარაციო ანგარიშში საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო, როგორც სამრეწველო მოწყობილობები, აგრეთვე წარმოების პროდუქცია. საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სარეპარაციო გადასახადი ძირითადად უნდა ამოღებულიყო საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან და 25% დასავლეთის ზონიდან. 676 საწარმოდან, რომელიც დემონტირებულ იქნა საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან. 600 იყო სუფთა სამხედრო. ხასიათის საწარმო. 200-მდე საწარმო. რომელიც უნდა დემონტირებულიყო აღმოსავლეთ გერმანიაში, საბჭოთა კავშირმა დატოვა გერმანელი მუშების თხოვნით. ეს საწარმოები თავდაპირველად საბჭოთა სააქციონერო საზოგადოების ფორმით საბჭოთა კავშირის საკუთრება იყო და ამ საწარმოების მიმდინარე პროდუქცია რეპარაციების ანგარიშზე მუშაობდა. 1947 წლის დასაწყისში ამ საწარმოების მესამედი საბჭოთა კავშირმა აუნაზღაურებლად გადასცა გერმანელ ხალხს, ხოლო 1954 წლისათვის მთელი ეს 200 საწარმო მთლიანად ანაზღაურების გარეშე დაუბრუნდა მათ.

საბჭოთა სააქციონერო საზოგადოების ეს საწარმოები ერთგვარი მაგალითი გახდა გერმანელი ხალხისათვის სოციალისტური ხასიათის საწარმოების შექმნის საქმეში. საბჭოთა საოკუპაციო ადმინისტრაცია გერმანიაში დიდ მუშაობას ეწეოდა ნაცისტური იდეოლოგიის დაძლევისა და ნამდვილი, სოციალისტური დემოკრატიული შეგნების ჩამო-

ყალიბებისათვის გერმანელ ხალხში, ეხმარებოდა თვითმმართველობის ორგანოებს დემოკრატიის მტრების უვნებელყოფაში, რომლებიც ხელს უშლიდნენ მშვიდობიან მშენებლობას. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების დახმარებით 1945 — 1948 წლებში დემოკრატიული თვითმმართველობის მშენებლობისა და დენაციფიკაციის გატარების პროცესში ძველი სახელმწიფო აპარატი საბოლოოდ დამსხვრეულ იქნა, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან, დაწესებულებებიდან გაძევებული იქნა 520 ათასი ნაცისტი, რომელთა ადგილები მუშებმა და მშრომელებმა დაიკავეს.

საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენდა მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. კერძოდ შემოღებულ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე, სამართლიანი შრომისათვის სამართლიანი ხელფასი, ქალთა მთლიანი თანასწორუფლებიანობა მამაკაცებთან, ეხმარებოდა გლეხებს სათესი მარცვლეულით, ტექნიკით, ნედლეულით, ახალგადმოსახლებულებს დასახლებაში და ა. შ. ამრიგად, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ თავისი მზრუნველობით ხალხისადმი, მოსახლეობას შორის დიდი სიმპათიები დაიმსახურა. გაქარწყლდა გერმანელი მოსახლეობის შიში და სიძულვილი საბჭოთა მეომრებისადმი. რასაც ჰიტლერული პროპაგანდა ასე ხანგრძლივად ნერგავდა მათ შორის.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ დროებით თავის მმართველობაში აიღო ფაშისტური სახელმწიფოს, ნაცისტური პარტიის და აქტიური ფაშისტების მთელი ქონება. ეს ღონისძიებები ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, ვინაიდან, ამის შემდეგ მონოპოლისტებს უკვე აღარ შეეძლოთ თავისი ქარხნების ან მოწყობილობების დაბავლეთ გერმანიაში გატანა. ამის გაკეთებას ისინი მანამდე როგორც წესი, ცდილობდნენ, მაგრამ ამ ღონისძიებით მათი ცდები აღიკვეთა. საბჭოთა ადმინისტრაციამ ნაცისტების ქონების ბედის საკითხის საბოლოო გადაწყვეტილება თვით გერმანელ ხალხს მიანდო და კერძოდ თვითმმართველობის ორგანოებს. ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ადგილობრივი ორგანოების, პარტიის, პროფკავშირების, წარმოებების საწარმოო საბჭოების წარმომადგენლები.

საქსონიის ოლქში ამ საკითხის მრავალმხრივი განხილვის შემდეგ და ანტიფაშისტური დემოკრატიული პარტიების და პროფკავშირების წინადადების საფუძველზე გადაწყდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი და მას გადაეწყვიტა ეს საკითხი. ვინაიდან ჰიტლერების მიერ გაჩაღებული ომის მატერიალურ მომზადებაში მთავარი დანაშაული მონოპოლისტურ კაპიტალს ეკისრებოდა, ექსპროპრიაციის სიაში უპირველეს ყოვლისა კონცერნების საწარმოები შეიტანეს. რეფერენდუმის ჩა-

ტარების წინ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის პრესამ და რადიომ გააფთრებული პროპაგანდა გააჩაღა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ომის გაჩაღებაში თითქოს ისინი კი არა, არამედ მარტო ჰიტლერი იყო დამნაშავე, რომელიც ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს. ამავე დროს იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოეხდინა ამომრჩევლებზე, განსაკუთრებით საშუალო ფენებზე, დასავლეთის პროპაგანდა აშინებდა მათ, რომ კომუნისტები მონოპოლიების ქონების კონფისკაციასთან ერთად მალე ყოველგვარ კერძო საკუთრებას მოსპობენო. ბუნებრივია, რომ ასეთი პროპაგანდა მოსახლეობის საშუალო ფენებში ერთგვარ შეშფოთებას იწვევდა. დასავლეთის პროპაგანდა იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ასეთი სახის ღონისძიებები საერთო გერმანიის მასშტაბით უნდა ტარდებოდესო.

აღმოსავლეთ გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მემარჯვენეებიც წინ აღუდგნენ რეფერენდუმის ჩატარებას და ანტიფაშისტურ ბლოკში მოითხოვეს, ექსპროპრიაციის საკითხი გადაედოთ საერთოგერმანული მთავრობის შექმნამდე. გასაგებია, რომ ასეთი განცხადებები დემაგოგია იყო, რომელიც მიზნად ისახავდა მსხვილი მონოპოლიების გადარჩენას და რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმას.

1946 წლის 30 ივნისს საქსონიაში ჩატარდა რეფერენდუმი სამხედრო დამნაშავეების, ფაშისტური პარტიის და აქტიური ნაცისტების ქონების ექსპროპრიაციის საკითხზე. საქსონიის ყველა ამომრჩევლების 77,7 პროცენტმა მოიწონა სამხედრო დამნაშავეების, აქტიური ნაცისტების და მსხვილი მონოპოლიების ქონების აუნაზღაურებელი კონფისკაცია. საქსონიის მსგავსად ეს ღონისძიებები აღმოსავლეთ გერმანიის სხვა ოლქებშიც გატარდა. სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა სათემო, სარაიონო და საოლქო (ლანტაგების) წარმომადგენელთა ორგანოების არჩევნები. მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გარდაქმნებს. ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ მიიღო ხმების 50%.

1947 წელს ხალხის მიერ ამორჩეულმა წარმომადგენელთა ორგანოებმა მიიღეს კანონები მაღაროებისა და სასარგებლო წიაღისეულის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელიც ადრე ჩატარებული ექსპროპრიაციისაგან განსხვავებით ითვალისწინებდა კომპენსაციას.

ამ ღონისძიებების ჩატარების შედეგად 1948 წლის შუა პერიოდში სოციალისტური სექტორი იძლეოდა საერთო პროდუქციის 40%-ს, საბჭოთა სააქციონერო საზოგადოებასთან ერთად კი 61%-ს. ამ ღონისძიებების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში მსხვილი კაპიტალისტური საკუთრება მოისპო.

აღმოსავლეთ გერმანიის მრეწველობაში სოციალისტური სექტორის შექმნის შედეგად დადგა საკითხი მისი განვითარებისა და გეგმიურ წარმოებაზე გადასვლისათვის. ამ მიზნით საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ დემოკრატიულ ბლოკში შემავალი პარტიების მოთხოვნის შესაბამისად, ჯერ კიდევ 1947 წელს სათათბირო ხმის უფლებით შექმნილ გერმანიის ეკონომიურ კომისიას 1948 წლის მარტის კანონით მიანიჭა განკარგულებების გამოცემის უფლება.

1948 წლის აპრილში საწარმოო პრინციპების საფუძველზე შეიქმნა მთავარი სახალხო გაერთიანებული სამმართველო. მიღებულ იქნა აღმოსავლეთ გერმანიის სახალხო მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა (1949 — 1950 წწ.).

ორწლიან გეგმას წინ უძღოდა ნახევარწლიანი გეგმა (1948 წლის ივლისი-დეკემბერი), მაგრამ ასეთი მოკლევადიანი გეგმებით არ შეიძლებოდა ომამდელი დონისათვის მიღწევა, მით უმეტეს ამ დონისათვის გადაბიჯება და წინ სვლა. ორწლიანი გეგმით 1950 წლისათვის 1948 წელთან შედარებით წარმოება უნდა გაზრდილიყო 37%-ით. ეს გეგმა საფუძვლიანად განიხილეს ბლოკში შემავალმა ანტიფაშისტურ-მა-დემოკრატიულმა პარტიებმა და მიიღო გერმანიის ეკონომიურმა კომისიამ, რომლის შემდეგ იგი ძალაში შევიდა.

ამრიგად. აღმოსავლეთ გერმანიაში ანტიფაშისტურ-დემოკრატიული გარდაქმნების შედეგად ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ლიკვიდირებულ იქნა მსხვილი მონოპოლების და მსხვილი იუნკრულ-მემამულური მიწათმფლობელობის ხელისუფლება. შეიქმნა სახალხო სექტორი, რის შემდეგ დემოკრატიული ძალები გადავიდნენ თავისი ქვეყნის ეკონომიური განვითარების გეგმიურ წარმოებაზე.

ღონისძიებანი კულტურისა და განათლების დარგში

დიდი ღონისძიებები გატარდა კულტურის და განათლების დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა განათლების საქმის დემოკრატიზაციას, კერძოდ სახალხო განათლების ორგანოების გაწმენდას ნაცისტებისაგან. საყურადღებოა, რომ გერმანელი ახალგაზრდობის აღზრდა უკვე მცირეწლოვანებიდანვე ემსახურებოდა სხვა ხალხებისადმი სიძულვილისა და დამპყრობლურ მიზნებს. მასწავლებელთა 3/4 ნაწილი იყვნენ ფაშისტური პარტიის წევრები და ნაცისტურ ტრადიციებზე აღზრდილნი. ნაცისტური იდეოლოგიის აღმოფხვრა სკოლაში შეუძლებელი იქნებოდა ძველი პედაგოგებით. მათი შეცვლისათვის საჭირო იყო 40 ათასი მასწავლებლის სწრაფად მომზადება, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ საბჭო-

თა კავშირის განათლების სამინისტროს დახმარებით ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა.

ათიათასობით ანტიფაშისტმა მოკლევადიანი კურსები გაიარა და სკოლაში წავიდა მასწავლებლად. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სკოლაში ჯერ კიდევ სათანადოდ მოუმზადებელ კადრებს უშვებდნენ და ამხნევებდნენ: „არ იცი, არაუშავს, სკოლაში ისწავლი, საღამოთი შენ ისწავლე, დღე კი ბავშვებს ასწავლე". ასეთი ღონისძიებებით მასწავლებელთა შემადგენლობა გაწმენდილ იქნა ნაცისტებისაგან. 1946 წლის 1 სექტემბრიდან საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ძალაში შევიდა კანონი სკოლის დემოკრატიზაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ერთიანი დემოკრატიული სასკოლო სისტემის შექმნას. შემოღებულ იქნა 8-წლიანი სავალდებულო სწავლება. ის. ვინც რვაწლედს წარმატებით დაამთავრებდა, შეეძლო გაეგრძელებინა სწავლა საშუალო სკოლაში, შემდეგ კი უმაღლეს სასწავლებელში. 1945 წლის ზაფხულიდან ლაიფციგის სტამბამ დაიწყო სკოლის ახალი სახელმძღვანელოების ბეჭდვა. 1945 წლის ოქტომბერში იენაში გაიხსნა ფ. შილერის სახელობის უნივერსიტეტი, 1946 წლის დამდეგს კი სხვა უნივერსიტეტები.

გერმანიის სტამბებმა მასობრივი ტირაჟით დაიწყეს გამოცემა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა და გერმანიისა და სხვა ქვეყნების კომპარტიების ლიდერთა ნაშრომებისა.

ინტელიგენციას შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, რომ მათ აზროვნებაში აღმოფხვრილიყო ნაცისტური, შოვინისტური და დიდმპყრობელური შეხედულებანი, ე. ი. მომხდარიყო „რევოლუცია აზროვნებაში", როგორც უწოდებდნენ გერმანიის კომუნისტები, დიდი მუშაობა გაწია „გერმანიის დემოკრატიული განახლების კულტურის მოღვაწეთა კავშირმა" („კულტურბუნდ"). მის პირველ პრეზიდენტად იყო ცნობილი მწერალი-ანტიფაშისტი ი. ბეჰერი.

1945 წელსვე გაიხსნა კინო და თეატრი. თეატრის სცენებზე კვლავ განახლდა ისეთი პიესების დადგმა, რომელიც ფაშიზმის დროს აკრძალული იყო. კვლავ განახლდა ისეთი მწერლების ნაწარმოებების გამოცემა, როგორიცაა ჰენრიხ ჰაინე, თომას მანი და სხვები.

ამრიგად, დენაციფიკაციის გატარება, მუშათა კონტროლის შემოღება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, ფაშისტური სახელმწიფოს, ჰიტლერული პარტიისა და სამხედრო დამნაშავეების ქონების კონფისკაცია და სხვა ყველა ეს ღონისძიება იყო ერთი პროცესი აღმოსავლეთ გერმანიის საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიზაციის საქმეში. ამ ღონისძიებებმა ძირი გამოუთხარეს აღმოსავლეთ გერმანიაში იმპერიალისტური ძალების ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებს, ანტიფაშისტური ძალების ერთიანი მოქმედება

კომუნისტების ხელმძღვანელობით ხელს უწყობდა მუშათა კლასის ხელმძღვანელური როლის განმტკიცებას ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

აგრარული რეფორმა

ომის მთავარ დამნაშავეთა შორის იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც წარმოადგენდნენ ყველაზე უფრო რეაქციულ, მილიტარისტურ, აგრესიულ კლასს. აქედან გამოდიოდნენ სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწენი, ოფიცრობა და გენერალიტეტი, დიპლომატები და ა. შ., რომლებიც ქმნიდნენ და ახორციელებდნენ საშინაო რეაქციულ და აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. მათ მსხვილ მონოპოლისტებთან ერთად გამოკვებეს და ხელისუფლების სათავეში დააყენეს ფაშისტები. ისინი მჭიდროდ შეერწყნენ პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც მსხვილ მონოპოლისტურ კაპიტალს. გერმანიის კომპარტიის მიერ ჩატარებული ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად აშკარა გახდა იუნკრებისა და მსხვილი მემამულეების დანაშაული, მაგრამ, აზრთა სხვადასხვაობა იყო იმაში თუ როგორ განეხორციელებინათ აგრარული რეფორმა. იუნკრების ხელში იყო დიდი ლატიფუნდიები, მამულები და ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხებს. აღმოსავლეთ გერმანიაში 6 ათას მემამულეს ერთნახევარჯერ მეტი მიწა ჰქონდა, ვიდრე 300 ათას წვრილ და საშუალო გლეხს ერთად. გლეხთა ძირითადი მასა უმიწო, ან მცირე მიწის მქონე იყო. აგრარულ რეფორმას ბოლო უნდა მოეღო იუნკრების მრავალსაუკუნოვანი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობისათვის ქვეყანაში და საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირისათვის. აგრარული რეფორმის აუცილებლობას ბურჟუაზიული წრეებიც კი სთვლიდნენ. ისინი ვერ ბედავდნენ რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლას. აგრარულ კანონმდებლობას საფუძვლად დაედო გერმანიის კომპარტიის მიერ შემუშავებული და ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიების მიერ მოწონებული აგრარული პროექტი. იგი ითვალისწინებდა გლეხთა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს მიწისადმი და მიზნად არ ისახავდა მიწის ნაციონალიზაციას.

1945 წლის სექტემბერში აღმოსავლეთ გერმანიის პროვინციული მთავრობების მიერ გამოქვეყნებული აგრარული რეფორმა იმ მემამულეთა მიწების აუნაზღაურებელ ექსპროპრიაციას ახდენდა, ვისაც 100 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდა, ამასვე ექვემდებარებოდა სამხედრო დამნაშავეებისა და აქტიური ნაცისტების მთელი მიწები. რეფორმის გატარებისას გლეხთა შორის მიწის განაწილების ოდენობა დადგინდა 5 ჰექტარის რაოდენობით. მიწას პირველ რიგში იღებდნენ მოჯამაგირე-

ები. ანტიფაშისტები და ახლად ჩამოსახლებულნი, ხოლო მცირე მიწის მქონეებს მიწას უმატებდნენ იმდენი ოდენობით, რომ მათი მეურნეობა არ აკმარებდა დადგენილ ნორმას. გლეხები მიღებული მიწის საფასურად იხდიდნენ მასზე მოწეული ჰვავის ერთი საშუალო მოსავლის ფასს, ისიც 10-20 წლის განძავლობაში. რეფორმის გასატარებლად აირჩიეს კომისიები, რომელშიც შევიდა 40 ათასი კაცი. ესენი იყვნენ: გლეხთა, მოჯამაგირეთა, მუშათა და ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი პარტიების წარმომადგენლები.

აგრარული რეფორმის გატარება საბოლოოდ დამთავრდა 1950 წლისათვის. სულ კონფისკებულ იქნა 3,3 მლნ ჰექტარი მიწა. 300 ათასზე მეტმა მოჯამაგირემ და გლეხმა მიიღო 2 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა. გლეხთა ახალ მეურნეობებს საშუალოდ ჰქონდათ 7-8 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, 180 ათასმა მუშამ, ხელოსანმა და მოსამსახურემ შეიძინა 0,5 ჰექტარის ოდენობით ნაკვეთი ბაღ-ბოსტნისათვის და 40 ათასამდე საშუალო გლეხთა ფენებმა ტყის ნაკვეთები საშუალოდ 1,5 ჰექტარის რაოდენობით.

გლეხებმა მიწის გარდა მიიღეს 260 ათასი სხვადასხვა სახის სოფლის-მეურნეობის ინვენტარი, 6 ათასი ტრაქტორი, 180 ათასი ბინა და სხვადასხვა ნაგებობა, 450 ათასი სული პირუტყვი. აგრარული რეფორმის გატარების მსვლელობაში შეიქმნა გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტები. რომელშიც შევიდნენ ღარიბი და საშუალო გლეხები. კომიტეტებმა თავის განკარგულებაში მიიღეს ექსპროპრირებული მანქანებისა და ინვენტარის ნაწილი, აგრეთვე მერძევეობის ფერმები, სახელოსნოები და ა. შ. კომიტეტებმა ბევრ ადგილას შექმნეს მანქანებისა და ინვენტარის გაქირავების პუნქტები. კომიტეტები გაერთიანდნენ გლეხთა ურთიერთდახმარების გაერთიანებაში, რომელიც თავის რიგებში ნახევარ მილიონამდე წევრს ითვლიდა. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად აღმოსავლეთ გერმანიაში გაძლიერდა მუშათა კლასისა და დემოკრატიული ძალების პოზიციები, საფუძველი გამოეთხარა გერმანიის მილიტარიზმის დასაყრდენს იუნკრულ-მემამულურ ბატონობას.

მთელი დასამუშავებელი მიწების ნახევარზე მეტი გადავიდა წვრილი და საშუალო გლეხების ხელში. რეფორმის გატარების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მთავარი ფენა გახდა საშუალო გლეხი. ბუნებრივია, რომ აგრარული რეფორმის გატარება მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. იუნკრები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რეფორმის გატარებისათვის. მაგრამ მუშათა კლასის და საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის დახმარებით ეს წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნა

გერმანიის მუშათა კლასის გათიშულობა ორ და ხშირად რამდენიმე პარტიადაც, ქვეყნის რეაქციული ძალები ყოველთვის თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ომმა და ფაშიზმის განადგურებამ ბევრ მუშას და მათ ხელმძღვანელებს თვალები აუხილა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარული სოლიდარობის გზაზე დააყენა. ფაშიზმის კრახის შემდეგ მუშათა ორივე პარტიას შორის თანამშრომლობა დამყარდა. წინააღმდეგობანი და აზრთა სხვადასხვაობა ამ ორ პარტიას შორის კიდევ არსებობდა, მაგრამ მეგობრული, პოლიტიკური დისკუსიის მსვლელობაში სოციალ-დემოკრატები თანდათანობით თავისუფლდებოდნენ რეფორმისტული ილუზიებისაგან, ხოლო კომუნისტები კი სექტანტური შეცდომებისაგან. მაგრამ ამ ორი პარტიის გაერთიანება მოხდა არა მთელი გერმანიის მასშტაბით, არამედ საბჭოთა საოკუპაციო ზონის ფარგლებში, ვინაიდან დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატები წინ აღუდგნენ კომუნისტებთან ერთ პარტიაში გაერთიანებას.

ამ ორი პარტიის გაერთიანების თეორიული პრინციპების შემუშავების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის 1946 წლის იანვრიდან გამოსულ ჟურნალს „აინჰაიტს“ („ერთობა“). სოციალ-დემოკრატული პარტიის რიგითი წევრები მოითხოვდნენ კომუნისტებთან გაერთიანებას. გამოკითხვის დროს 605 ათასი წევრიდან 539 ათასმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითმა წევრმა მოითხოვა კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანება.

1946 წლის 21 აპრილს მოწვეულ იქნა გერმანიის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გაერთიანებული ყრილობა, რომელმაც ეს ორივე პარტია გაერთიანებულად გამოაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სახელწოდებით. ორივე პარტიის ლიდერის ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლის ისტორიული ხელის ჩამორთმევით დადასტურდა ყრილობის გადაწყვეტილება.

ყრილობამ მიიღო ახალი პარტიის პროგრამა პარტიის გაერთიანებაზე—„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პრინციპების და მიზნების“ სახელწოდებით. პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პროგრამა მინიმუმისაგან და პროგრამა მაქსიმუმისაგან. პროგრამა მინიმუმი აყენებდა პარტიის უახლოეს ამოცანებს — ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნების დამთავრებას. პროგრამა მაქსიმუმი კი სოციალიზმის აშენებას. პროგრამაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სოციალისტური საზოგადოების აგების წინამძღვრებს წარმოადგენს მუშათა კლასის მიერ სოციალისტური საზოგადოების აშენება მშრომელთა ფენებთან კავშირში. ახალი პარტიის თანასწორუფლებიან

თავმჯდომარეებად ორივე ყოფილი პარტიის ხელმძღვანელები აირჩიეს: ვ. პიკი და ო. გროტეოლი. პარტიის ცკ-ში აირჩიეს ორივე პარტიის წარმომადგენლები პარიტეტულ საფუძველზე 40 ყოფილი კომუნისტი და ამდენივე ყოფილი სოციალ-დემოკრატი.

მუშათა ერთიანი პარტიის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ გერმანიის მშრომელების წარმატებებისათვის მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნისას, თავდაპირველად ზოგიერთი პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული საკითხები გადაუჭრელი დარჩა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო ღრმა იდეოლოგიური წინააღმდეგობის დაძლევისათვის, რომელიც ამ პარტიაში გაერთიანებულ ყოფილი ორი პარტიის წევრებს შორის არსებობდა. დისკუსია პარტიის კონსოლიდაციისა და იდეოლოგიური ერთობისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე პარტიის შიგნით ძირითადად გაჩაღდა II (1947 წ.) და III (1950 წ.) ყრილობებს შორის და იგი ახალი ტიპის პარტიად გადაქცევის პერიოდადაა მიჩნეული.

გერმანელი ხალხის ბრძოლა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისათვის

დასავლეთის სახელმწიფოების მიერ აღებულმა გერმანიის გათიშვის კურსმა ქვეყნის დემოკრატიული ძალების წინაშე მთელი სერიოზულობით დააყენა ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის ბრძოლის აუცილებლობა. 1947 წლიდან დასავლეთის სახელმწიფოები აშშ-ის იმპერიალიზმის მეთაურობით აშკარად დაადგნენ „ცივი ომის" პოლიტიკას და უარი თქვეს ყირიმის და პოტსდამის კონფერენციების ვადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებაზე.

ამის საპასუხოდ, 1947 წლის დეკემბრის დამდეგს ბერლინში ერთიანი სოციალისტური პარტიის ინიციატივით მოწვეულ იქნა გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი ზავის პირველი საერთო გერმანული სახალხო კონგრესი, რომელმაც შექმნა მუდმივი კომიტეტი. მუდმივმა კომიტეტმა თავის წინაშე დაისახა ორივე მხარის გერმანიის მშრომელთა მასების ბრძოლის მობილიზაციის ამოცანა, ერთიანი, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შესაქმნელად. მუდმივმა კომიტეტმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ერთიანი გერმანიის სახელმწიფოს შექმნის მიზნით. 1948 წელს მან მთელ გერმანიაში ჩაატარა რეფერენდუმი და მიუხედავად დასავლეთ გერმანიაში ამ რეფერენდუმის აკრძალვისა, მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის ძნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელმაც მოითხოვა ერთიანი დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნა. ამასთანავე, აღმოსავლეთ გერმანიაში არსებულ ბურჟუაზიულ პარტიებში—ქრისტიანულ-დემოკრატი-

ულ კავშირისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენეები გამოვიდნენ ანტიფაშისტური ბლოკის ღონისძიებების წინააღმდეგ, ცდილობდნენ მის დაშლას, ერთიანი სოციალისტური პარტიის იზოლირებას და აღმოსავლეთ გერმანიაში კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებას. ისინი აღმოსავლეთ გერმანიაში მძიმე ინდუსტრიის უპირატესად განვითარების წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ, იმის შიშით, რომ ეს გამოიწვევდა სოციალისტური სექტორის პოზიციების გაზრდას მრეწველობაში. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ მსუბუქი მრეწველობის უპირატესად განვითარებას, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო კერძო კაპიტალის პოზიციები. მემარჯვენეები გერმანიის სახალხო კონგრესის მოწვევის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ. ფრაქციული ბრძოლის შედეგად ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობაში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა, მაგრამ მისმა დემოკრატიულმა ლიდერებმა ო. ნუკშეს, დ. ჰ. ჰეტინგის მეთაურობითა და რიგითი წევრების აქტიური მხარდაჭერის შედეგად შეძლეს მემარჯვენეების ჩამოშორება ხელმძღვანელობიდან და 1948 წელს აღნიშნული პარტიის ახალი დემოკრატიული ხელმძღვანელობის არჩევა. მაგრამ ანტიფაშისტურმა ბლოკმა დროებით შეწყვიტა თავისი არსებობა.

1948 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ გერმანიაში კიდევ ორი ახალი პარტია შეიქმნა: გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტია და გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ორივე პარტიაში გაერთიანდნენ წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და პატრიოტულად განწყობილი ფაშისტური პარტიის რიგითი წევრები. ახლად შექმნილმა პარტიებმა უფრო აქტიურად დაუჭირეს მხარი მუშათა კლასის ბრძოლას ახალი გერმანიის შექმნაში და დიდი როლი ითამაშეს მუშათა კლასსა, გლეხობასა და ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებაში. ეს ორივე პარტია შევიდა ანტიფაშისტურ ბლოკში, რომელმაც კვლავ განაახლა მუშაობა; იგი გაფართოვდა აგრეთვე, ხუთი პოლიტიკური პარტიის გარდა, შემდეგი მასობრივი ორგანიზაციების შესვლით: გერმანიის პროფკავშირების გაერთიანება, თავისუფალ ახალგაზრდათა კავშირი, დემოკრატიულ ქალთა კავშირი, გლეხთა ურთიერთდახმარების გაერთიანებული კომიტეტები, კულტურის პროგრესულ მოღვაწეთა ორგანიზაციითა და ა. შ. ამასთანავე საბჭოთა მთავრობა გმობდა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ აღებულ გერმანიის გათიშვის კურსს და იბრძოდა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნისათვის. ჯერ კიდევ 1948 წელს დასავლეთ გერმანიაში სეპარატული ფულის რეფორმის ჩატარების საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ შემოიღო ტრანსპორტის მიმოსვლის და ეკონომიური კავშირის შეზღუდ-

ვები აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიასა და აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის. საოკუპაციო ზონებს შორის.

1949 წლის მაისში საბჭოთა მთავრობამ მოხსნა ეს შეზღუდვები და წინადადებით მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს, რათა განეხილათ გერმანიასთან ზავის დადების საკითხი. დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდნენ საკითხის განხილვას. პარიზში 1949 წლის 23 მაისიდან 20 ივნისამდე მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მორიგი სესია, სადაც საბჭოთა წინადადება იხილებოდა. დასავლეთის სახელმწიფოებმა უარყვეს საბჭოთა კავშირის კონკრეტული წინადადებები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა. მისი ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისა და გერმანიასთან ზავის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარების გაყვანის შესახებ. მაგრამ აქვე იძულებული გახდნენ ვალდებულება აეღოთ არ მიეღოთ რაიმე ღონისძიებები, რომელიც გააღრმავებდა ქვეყნის გაყოფას. ამ სესიის მიერ მიღებულ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ ისინი გააგრძელებენ მოლაპარაკებას გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური მთლიანობის აღდგენისათვის და კონსულტაციებს ბერლინში. ამასთანავე საოკუპაციო ხელისუფლებებს თავის ზონებში წინადადება ეძლეოდათ ამ საკითხის ირგვლივ მოეწვიათ გერმანელი ექსპერტები და სათანადო ორგანიზაციები გერმანიის ერთიანობის აღდგენის ირგვლივ მოლაპარაკებისათვის. ამ კომუნიკედან ჩანს, რომ გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმე ძირითადად გერმანელ ხალხზეც იყო დამოკიდებული. ამ დროისათვის, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ გერმანიაში არსებობდნენ პასუხისმგებელი პოლიტიკური ორგანოები, პარტიები და მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მართალია, თავისი კლასობრივი არსით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამოდიოდნენ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეძლოთ აქტიურად ებრძოლათ მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნისათვის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიურომ, აღნიშნული სესიის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, განაცხადა თავისი მზადყოფნა, ეთანამშრომლა ყველა პარტიებთან, ორგანიზაციებთან მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმეში.

1949 წლის მაისში, ამ მიზნით აღმოსავლეთ გერმანიაში ჩატარდა საყოველთაო ფარული კენჭისყრის საფუძველზე გერმანიის მესამე, სახალხო კონგრესის დელეგატების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა ამომრჩეველთა 95%. საყურადღებოა, რომ დელეგატების კანდიდატების სია წარმოადგინა ანტიფაშისტურ-დემოკრატიულმა

პარტიებმა და ორგანიზაციებმა, არჩევნებში მონაწილეთა ორმა მესამედმა ხმა მისცეს კანდიდატებს.

არჩევნების შედეგად შეკრებილმა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესმა 1949 წლის მაისის დამლევს დაამტკიცა დემოკრატიული გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის შემუშავებასა და განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ხალხთა მასები. კონსტიტუციაში აღნიშნული იყო, რომ „ყველაფერი ხალხისაგან გამომდინარეობს, ყველაფერი ხალხისათვისაა". კონსტიტუციაში დაკანონებული იყო მონოპოლიებისათვის, ბანკირებისათვის, მსხვილი მიწათმფლობელებისა და იუნკრებისათვის პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა. აქვე აღნიშნული იყო მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი და სხვა დემოკრატიულ თავისუფლებათა შესახებ.

გერმანიის მესამე კონგრესმა აირჩია გერმანიის სახალხო საბჭო[1], რომელსაც დაევალა გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის მშრომელების მშვიდობიანი, დემოკრატიული, ერთიანი გერმანიისათვის გაჩაღებული ბრძოლა დასავლეთის სახელმწიფოების მმართველ წრეებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სახალხო პროგრესის, პროფკავშირებისა და სხვა დემოკრატიული ძალების ცდები, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინათ დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებთან ამ საკითხზე და არ დაეშვათ გერმანიის გათიშვა უშედეგოდ დამთავრდა. ამ საქმეში წარმატებების მთავარი ხელშემშლელი ფაქტორები იყო ის, რომ დასავლეთ გერმანიაში ფაქტიურად არ გატარდა ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების დენაციფიკაცია და რაც მთავარია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა შუმახერის მეთაურობით მტრული პოზიცია დაიკავეს აღმოსავლეთ გერმანიაში გატარებულ ანტიფაშისტური, დემოკრატიული გარდაქმნებისადმი, უარი თქვეს მუშათა ერთიანი, ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნაზე და ამით ხელი შეუწყვეს გერმანიის გათიშვას და დასავლეთ გერმანიაში მონოპოლისტური ბურჟუაზიის ბატონობის შენარჩუნებას. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტურ წრეებს და შექმნეს მათი ბატონობის შენარჩუნებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო.

---

[1] გერმანიის სახალხო საბჭოს დემოკრატიულ ბლოკში შეთანხმების საფუძველზე შევიდა: 90 წარმომადგენელი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიიდან, 45 ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან, 45 ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან, 15 გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიიდან და ა. შ. გერმანიის სახალხო საბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა აღმოსავლეთ გერმანიაში არჩეულმა 2 ათასმა დელეგატმა და დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ორგანიზაციების და გაერთიანებების 528 დელეგატმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის დემოკრატიული ძალები იძულებულნი გახდნენ ეზრუნათ აღმოსავლეთ გერმანიაში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე. 1949 წლის ოქტომბერს გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმმა და დემოკრატიულმა ბლოკმა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ არჩეული სახალხო საბჭო გარდაექმნათ დროებით სახალხო პალატად (პარლამენტად) და შეექმნათ კონსტიტუციის შესაბამისი გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობა.

1949 წლის 7 ოქტომბერს ბერლინში დროებითმა სახალხო პალატამ საზეიმოდ გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. პრემიერ-მინისტრად აირჩიეს ოტო გროტეეოლი, რომელმაც შექმნა მთავრობა. მასში შეეიდნენ ყველა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები. პრემიერ-მინისტრის მოადგილეებად დანიშნეს ჰერმან კასტნერი (გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან) ოტო ნუშკე (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან) და ვალტერ ულბრიხტი. მთავრობაში შეეიდნენ ერთიანი სოციალისტური პარტიის 8 წარმომადგენელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის 4 წარმომადგენელი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის 3 წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი გლეხთა დემოკრატიული პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 11 ოქტომბერს საოლქო ლანდტაგებისა და დიდი ბერლინის დემოკრატიული ბლოკის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი პალატა, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს რაინგოლდ ლობედანცი (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიიდან). დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კი აირჩიეს იოჰანეს დიკმანი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან).

11 ოქტომბერს ორივე პალატამ გაერთიანებულ სხდომაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ვილჰელმ პიკი.[1]

1949 წლის 10 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გადასცა მთელი ადმინისტრაციული ფუნქციები, რომელსაც მანამდე ასრულებდა საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია. იმ გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი,

---

[1] ვ. პიკის გარდაცვალების შემდეგ 1960 წლიდან პრეზიდენტის პოსტი გაუქმდა და შეიქმნა სახელმწიფო საბჭო.

რომელიც გერმანიას ეხებოდა, გადაეცა საბჭოთა საკონტროლო კომისიას.

1949 წლის ოქტომბერში დროებითმა სახალხო პალატამ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც მანამდე მოწონებული იყო გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მიერ. ამ კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა სახალხო საბჭო. პრემიერ-მინისტრის კანდიდატს აყენებდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელიც პალატაში ყველაზე ძლიერ ფრაქციას წარმოადგენდა. პრემიერ-მინისტრი პალატაში შემავალ ფრაქციებიდან რაოდენობის შესაბამისად ქმნიდა მთავრობას.

§ 14. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის გადაზრდა სახელმწიფო ხელისუფლებაში, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციას ასრულებდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხუთი პოლიტიკური პარტიის არსებობა გახდა ერთგვარი პოლიტიკური ფორმა მუშათა კლასის კავშირისა მოსახლეობის არაპროლეტარულ ფენებთან, რომლებიც ასევე ჩაებნენ სოციალისტურ მშენებლობაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით დაიწყო ანტიფაშისტური, დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურში, მაგრამ არა მთელ გერმანიაში, არამედ მის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში. სოციალიზმის მშენებლობისათვის საჭირო იყო სოციალისტური სექტორის განმტკიცება და მსხვილი მრეწველობის უპირატესად განვითარება.

1949 — 1950 წლებში დროებითმა სახალხო პალატამ გამოსცა რიგი კანონები, რომელიც მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა კლასების ხელისუფლების განმტკიცებას. გამოიცა კანონი შრომის შესახებ, წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის შესახებ, სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის დაცვის შესახებ და ა. შ.

ამნისტირებულ იქნენ ნაცისტური პარტიის ის რიგითი წევრები, რომელთაც სამხედრო დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი.

მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფოს განმტკიცება მიმდინარეობდა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. დასავლეთის პრესა ფართო პროპაგანდას ეწეოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინა-

აღმდეგ. გაჰკიოდა. რომ ვითომც იგი უკანონოდ ხალხის არჩევნების და მათი სურვილის გარეშე ყოფილიყო შექმნილი. მათ მხარი აუბეს აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის რეაქციონერებმა. რომლებიც მოითხოვდნენ დემოკრატიული გარდაქმნების და ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების გადასინჯვას, აყენებდნენ დემაგოგიურ თხოვნას სახალხო პალატაში არჩევნების ჩატარების შესახებ. გარდა ამ აშკარა მოთხოვნებისა, ისინი სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ფარულად და ვერაგულად. მაგალითად. ყოფილი ფინანსთა მინისტრები რონერი საქსონიაში და მოოგი ტიურინგიაში ერთი მხრივ აქეზებდნენ კერძო კაპიტალისტური საწარმოების მფლობელებს, რომ გადასახადი არ გადაეხადათ, მეორე მხრივ კი პროვოკაციულად ავიწროებდნენ ხელოსნებსა და წვრილ მეწარმეებს, რათა მათი უკმაყოფილება გამოეწვიათ. მათ მიზნად დაისახეს არ დაეშვათ აღმოსავლეთ გერმანიის განვითარება სოციალიზმის გზით. უფრო მეტიც. ისინი დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ აშკარა შეთქმულების გზას დაადგნენ. 1949 წლის ბოლოსათვის აღმოჩენილ იქნა ყოფილი ნაცისტების შეიარაღებული იატაკქვეშა და ჯაშუშური ჯგუფები ბრადენბურგში, მეკლენბურგში და საქსონია-ანგალტში. ამ უკანასკნელის მთავრობის 10 ხელმძღვანელი მუშაკი დაკავშირებული იყო ამ ბანდებთან და დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებთან, მათ აწვდიდა პატენტებს, საწარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას და დასავლეთ გერმანიაში გადაიტანა 10 მლნ მარკის ფასეულობა. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა გაწმენდილ იქნა მემარჯვენეებისაგან, რის შემდეგ ორივე ეს პარტია თანდათანობით წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიებად გადაიქცნენ.

გერმანიის სახალხო კონგრესის ბაზაზე შეიქმნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტი, რომელმაც შეიმუშავა ერთიანი წინასაარჩევნო პროგრამა და წამოაყენა ერთიანი სია კანდიდატებისა 1950 წლის 15 ოქტომბერს დანიშნული სახალხო პალატისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში, რომელშიც ეროვნულმა ფრონტმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ეროვნული ფრონტის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 99,7%.

პირველი ხუთწლიანი გეგმა (1951—1955 წწ.) სოციალიზმის მშენებლობის დასაწყისი

1948 წელს მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ორწლიანი გეგმა

(1948 — 1950 წწ.), რომელიც წარმატებით, ვადაზე ადრე, წელიწადნახევარში შესრულდა. 1950 წლის ბოლოსათვის სამრეწველო წარმოებამ 1936 წლის დონესთან შედარებით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 81%-ისა 103% შეადგინა.

1950 წლისათვის მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობამ ომამდელ დონეს მიაღწია, მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების წარმოებამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. ამ მხრივ წარმატება იყო მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის სულადობაში. 1950 წლისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში, მოსახლეობის გადმოსახლების გამო, ომამდელთან შედარებით 3 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობდა, ამიტომ ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ბევრად დაბალი იყო ომამდელთან შედარებით.

1950 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მრეწველობაში 54,5% შეადგენდა. მაგრამ, კერძო საწარმოების რიცხვი ჯერ კიდევ დიდი იყო. 17543 კერძო კაპიტალისტურ საწარმოში 0.5 მილიონზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო, ხოლო სოფლად კერძო კაპიტალისტური მეურნეობის ხელში იყო დასამუშავებელი მიწების თითქმის მეოთხედი ნაწილი. ასევე კერძო საბითუმო ვაჭრობა რესპუბლიკაში შეადგენდა თითქმის მთელი ვაჭრობის ნახევარს.

ამრიგად, ახალგაზრდა რესპუბლიკა სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობას ისეთ პირობებში შეუდგა, როდესაც მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის მას აუცილებელი ბაზა არ გააჩნდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის აღმოსავლეთ გერმანიაში იყო მხოლოდ 1 მეტალურგიული ქარხანა და ისიც 4 მოძველებული ბრძმედით, დასავლეთ გერმანიაში კი იყო 121 თანამედროვე ბრძმედი. ომამდელ გერმანიაში აღმოსავლეთ ნაწილზე მოდიოდა თუჯის წარმოების 1,3, ქვანახშირის წარმოების 2 და ფოლადის წარმოების 7%, ელექტროენერგიის წარმოების 25% და ა. შ. ქვეყანაში იგრძნობოდა ენერგეტიკული ბაზის დიდი ნაკლებობა.

რესპუბლიკაში სიძნელეების შექმნას ცდილობდა საშინაო და საგარეო რეაქცია, აწყობდნენ აფეთქებებსა და სხვა დივერსიულ აქტებს, რომლის ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის დეზორგანიზაცია და ეკონომიური სიძნელეების შექმნა, განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მიიღო ფერადი ლითონების ძარცვამ. 1950 წლის მარტში უშიშროების ორგანოებმა მოახდინეს 5,5 მლნ კგ ფერადი ლითონების კონფისკაცია, რომლის გადატანას დამნაშავეები დასავლეთ. გერმანიაში აპირებდნენ.

გარდა ამისა, ეკონომიური ბლოკადის გამო, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები 1947 წლიდან სოციალისტური ქვეყნების

მიმართ ახორციელებდნენ, დაირღვა ტრადიციული ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთ გერმანიისა და დასავლეთ გერმანიასთან და ამავე დროს, პირველი მათგანი მოწყვეტილი აღმოჩნდა რურისა და რაინის ნედლეულისა და მრეწველობისაგან. ამიტომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III ყრილობის (1950 წ. ივლისი) მიერ მიღებული პირველი ხუთწლიანი გეგმის (1951—1955 წწ.) მთავარი ამოცანა იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. იგი ითვალისწინებდა: გერმანიის გათიშვის შედეგად შექმნილი დისპროპორციის ლიკვიდაციას, საკუთარი მეტალურგიული, მძიმე მანქანათმშენებლობისა და ნედლეულის ბაზის შექმნას. გეგმით სამრეწველო პროდუქცია ომამდელთან შედარებით უნდა გაზრდილიყო ორჯერ. გეგმის მთავარი ამოცანა იყო ომის შედეგების საბოლოო ლიკვიდაცია. პარტიის III ყრილობამ მიიღო ახალი წესდება, შემოიღო პარტიული სწავლება და დაადგინა პარტიული ბილეთების გამოცვლა. თავის მოქმედების პროგრამაში ყრილობას არ დაუსახავს სოციალიზმის გეგმიურ მშენებლობაზე დაუყოვნებლივ გადასვლა. მისი ამოცანა იყო ეკონომიური და პოლიტიკური წანამძღვრების შექმნა სოციალისტური გარდაქმნებისათვის.

სოციალიზმის მშენებლობის კურსის გამოცხადება

სოციალიზმის მშენებლობის საფუძვლების წანამძღვრები აღმოსავლეთ გერმანიაში აღმოცენდა ჯერ კიდევ ანტიფაშისტური დემოკრატიული რევოლუციის მსვლელობის დროს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოსა და ეკონომიკაში განუწყვეტლივ იზრდებოდა. მუშათა კლასი პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში ეუფლებოდა მეურნეობის სოციალისტურ მეთოდებს.

1952 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მთელი ქვეყნის საერთო წარმოებაში შეადგენდა 62%. მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა სოციალისტურ სექტორს. სოფლად თვით მშრომელი გლეხობის ინიციატივით, რომელსაც პარტიაც მხარს უჭერდა, შეიქმნა საწარმოო კოოპერატიული მეურნეობები. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და გაიზარდა მისი ავტორიტეტი. მუშათა კლასი საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად გადაიქცა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და რესპუბლიკური მთავრობა თავს იკავებდნენ უკვე ობიექტურად მომწიფებული სოციალისტური რევოლუციის ამოცანების განხორციელებისაგან, ვიდრე მთლიანად არ ამოიწურა გერმანიის დემოკრატიულ საფუძველზე გაერთიანების შესაძლებლობანი. აღ-

მოსავლეთ გერმანიის პარტია და მთავრობა იმედოვნებდა, რომ მთელი გერმანელი ხალხის მშვიდობის ძალების მეცადინეობით თავიდან აიცილებდა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და მიაღწევდა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან დასაყრდენად გადაიქცეოდა. ასეთი პოლიტიკის გამო აღმოსავლეთ გერმანიის საზოგადოებრივი განვითარების ტემპების ხელოვნურად დაყოვნება ხდებოდა, რაც ქვეყანაში დამატებით სიძნელეებს ქმნიდა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია და რესპუბლიკის მთავრობა არაერთხელ შეეცადნენ დასავლეთ გერმანიის მმართველ წრეებთან პირდაპირი კონტაქტების გზით მიეღწიათ შეთანხმებისათვის გერმანიის გაერთიანების საკითხში. მაგრამ ყველა ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა. 1952 წლის 26 მაისს ბონში ადენაუერის მთავრობის მიერ დასავლეთის სახელმწიფოებთან საერთო ხელშეკრულებით და ხელშეკრულებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპის თავდაცვით გაერთიანებაში შესვლის შესახებ, გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობა დასამარდა. დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციამ და იმპერიალისტური რეაქციის შეტევაზე გადასვლამ, როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი გერმანია დიდი საშიშროების წინაშე დააყენა. ამასთანავე დასავლეთ გერმანიის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წარმატებები, მუშათა კლასის გადაქცევა საზოგადოების წამყვან ძალად, ახალ ღონისძიებებს მოითხოვდა, მიღწევების დაცვისა და განმტკიცებისათვის. როდესაც პარტიის და გდრ-ის მთავრობის ხელმძღვანელებმა გერმანიის დემოკრატიული გზით გაერთიანების ყოველგვარი შესაძლებლობა ამოწურეს იძულებულნი გახდნენ მიეღოთ ახალი აუცილებელი ღონისძიებანი მუშურ-გლეხური ხელისუფლების, მიღწეული წარმატებების განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

1952 წლის ივლისში მოწვეულ იქნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის II კონფერენცია. რომელმაც მიიღო დირექტივები გდრ-ში სოციალიზმის საფუძვლების შექმნის შესახებ და შეიმუშავა მუშურ-გლეხური ხელისუფლების ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. ეს ამოცანები მიზნად ისახავდა შრომის ნაყოფიერების გეგმაზომიერ აღმავლობას სოციალისტურ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნასა და ყველა მშრომელების ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლებას. პარტიულმა კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტია მიზნად არ ისახავს წვრილი და საშუალო მეწარმეების ექსპროპრიაციას, რომლის შესახებ დასავლეთის პროპაგანდა აშინებდა საზოგადოების ამ ფენებს.

II კონფერენცია მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების, მშრომელთა მთავარი იარაღის განმტკიცებას დასახული მიზნების განხორციელებაში. ეს ნიშნავდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის და მისი კავშირის გაძლიერებას გლეხობასა და ხალხთა სხვა ფენებთან, აგრეთვე ეროვნული ფრონტის მოღვაწეობის სრულყოფას. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, რომელიც უკვე წარმატებით ასრულებდა პროლეტარული დიქტატურის ფუნქციებს უნდა გაეტეხა დამხობილი და ექსპროპრიირებული მსხვილი კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების წინააღმდეგობა და მშრომელები შემოეკრიბათ მუშათა კლასის ირგვლივ სოციალიზმის მშენებლობისათვის.

დემოკრატიულ ფრონტში შემავალმა ყველა პარტიამ და ორგანიზაციამ სცნეს და მიესალმნენ II კონფერენციის გადაწყვეტილებას და განაცხადეს თავისი მზადყოფნის შესახებ მონაწილეობა მიეღოთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

II კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაში შეტანილი იქნა რიგი ცვლილებები.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში შემორჩენილი იყო ძველი იმპერიის დროინდელი ადმინისტრაციული დაყოფა ქვედა (მაზრებად) და საშუალო (მიწებად) ორგანოებად, რაც აღარ შეესაბამებოდა ეკონომიური განვითარების ხასიათსა და აფერხებდა მეურნეობის მართვას.

ახალი კანონის საფუძველზე ძველი ადმინისტრაციული დაყოფა გაუქმდა. 5 მიწის ნაცვლად 14 (შემდეგ 15) ოლქი შეიქმნა, ხოლო 132 მაზრის ნაცვლად 217 რაიონი შეიქმნა. ეს დაყოფა განხორციელდა უკვე ჩამოყალიბებული ეკონომიური სტრუქტურის შესაბამისად. ამის შედეგად გაძლიერდა დემოკრატიული ცენტრალიზმი.

კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება. 1953 წლის ამბოხების განადგურება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელების წარმატებები საერთაშორისო რეაქციის დიდ აღშფოთებას იწვევდა. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაზე გადასვლას დასავლეთ გერმანიის მმართველმა წრეებმა უპასუხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. 1952 წელს ბონში შეიქმნა სპეციალური „კვლევითი საბჭო გერმანიის გაერთიანებისათვის“, რომელშიც ძირითადად შევიდნენ მონოპოლიებისა და იუნკრების წარმომადგენლები. ამ საბჭომ შეიმუშავა აღმოსავლეთ გერმანიაში

„ხელისუფლების აღების გენერალური გეგმა“. ეს საბჭო ემორჩილებოდა საერთო გერმანული საკითხების სამინისტროს, რომელიც აფინანსებდა მას და ხელს უწყობდა მისი საქმიანობის გაშლას. საბჭო დაუკავშირდა აღმოსავლეთ გერმანიაში თავის აგენტებს და ცდილობდა ამ აგენტების ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. ეს აგენტები ღებულობდნენ მითითებებს, რათა გამძვრალიყვნენ ხელმძღვანელ ადგილებზე. დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად ცდილობდნენ გამოეყენებინათ აგრეთვე ყოფილი ნაცისტები, ექსპროპრიირებული კლასები, ქვეყნის წვრილი და საშუალო ფენები და კულაკები, რომელთაც დასავლეთის პროპაგანდა ყოველთვის ექსპროპრიაციით აშინებდა.

1952 — 1953 წლებში დაშვებული იქნა რიგი შეცდომები. ხშირად ირღვეოდა მატერიალური დაინტერესების პრინციპები, ზრდიდნენ გამომუშავების ნორმებს მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, კერძო საწარმოების მფლობელებს ბეგრავდნენ დამატებითი გადასახადებით, კონფისკაციას უკეთებდნენ მათ ნედლეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, არ აძლევდნენ სასურსათო ბარათებს, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობები ეროვნულ ფრონტში.

გარდა ამისა, დისპროპორცია ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული, კერძოდ ნედლეულის მომარაგებაში. რამაც გამოიწვია საწარმოო პროცესის დარღვევა და სერიოზული სიძნელეები სახალხო მეურნეობაში. მაგალითად, თუჯის ნაკლებობის გამო ყოვნდებოდა მძიმე მრეწველობის საწარმოების მშენებლობა, რომლებიც აწარმოებდნენ ენერგეტიკულ მოწყობილობებს, ელექტროსადგურებისა და ელექტრომომარაგების სისტემისათვის. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ენერგიის წარმოების შეზღუდვას მოყვა წარმოების შეზღუდვა და საწარმოების შეჩერებაც.

სახელმწიფო ორგანოები დისპროპორციის ლიკვიდაციის დაჩქარებას ცდილობდა მძიმე მრეწველობის ფორსირებული განვითარების გზით. პირველი ხუთწლიანი გეგმის ბოლო წლისათვის გათვალისწინებული ზოგიერთი დავალებანი 1953 წლის გეგმაში შეიტანეს, მაშინ როდესაც ამ წლის გეგმით გათვალისწინებული დავალებაც პირველი კვარტალისათვის არ შესრულდა. ასიგნების გაზრდამ მძიმე მრეწველობაში გამოიწვია ბსუბუქი მრეწველობისა და მოხმარების საგნების მრეწველობის განვითარების ტემპების დაყოვნება. დაგეგმილი კაპიტალური დაბანდება აღემატებოდა ბიუჯეტის შესაძლებლობებს. ახალი სახსრების ძიებას მოყვა სოციალური მიზნებისათვის გათვალისწინებული ასიგნების შემცირება, შესუსტდა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები.

სასამართლო ორგანოებმა რიგი შეცდომები დაუშვეს. ხშირად

ისინი უგულებელყოფდნენ სოციალისტური მართლმსაჯულების აღმზრდელობით ფუნქციებს და ვერ ხედავდნენ განსხვავებას რესპუბლიკის აშკარა მტრებსა და მშრომელთა მასების ხშირად მცდარ მოქმედებას შორის, ერთიანი სიმკაცრით უდგებოდნენ ორივეს, რაც მხოლოდ უკმაყოფილოთა რიცხვს ზრდიდა. ამის შედეგად შეიქმნა საშიშროება მუშათა კლასისა და მისი პარტიის კავშირის შესუსტებისა ხალხთა მასებთან.

ასეთ ვითარებაში ქვეყანაში თავი წამოყვეს აგრეთვე ანტისოციალისტურმა ძალებმა. ბუნებრივია, რომ კერძო მეწარმეები დიდი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს მრეწველობაში სახელმწიფო სექტორის პოზიციის ზრდას, იმედს კარგავდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციაზე აღმოსავლეთ გერმანიაში, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სოციალისტური მშენებლობისათვის, დეზორგანიზაცია შეჰქონდათ მოსახლეობის მომარაგებაში, თავს არიდებდნენ გადასახადების გადახდას, ეწეოდნენ სპეკულაციას და ა. შ. წვრილბურჟუაზიული ფენებისა და მუშათა კლასის ნაწილიც კი თავის დამოკიდებულებაში სახალხო რეჟიმისადმი ერთგვარ მერყეობას იჩენდა. საქმე იმაში იყო, რომ თვით მუშათა კლასის შემადგენლობაში ამ დროს ცვლილებები მოხდა. წარმოების მუშაობაში ჩაბმულ იქნენ წვრილი და თვით საშუალო ბურჟუაზიის ფენებიდან, აგრეთვე ყოფილი ნაცისტებიდან, მოხელეებიდან გამოსული პირები, რომლებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მიეღოთ სახელმწიფოსაგან თვითონ კი ნაკლები გაეკეთებინათ. ეს ფენები არა თუ არ ფიქრობდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, არამედ პირიქით, აყოვნებდნენ მას, უხარისხო საქონელს უშვებდნენ, და ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ წარმოების პროცესის გაუმჯობესებისათვის.

კოოპერატიული მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა აგრეთვე სოფლადაც. კულაკები და მათი მომხრეები ბურჟუაზიულ პარტიებში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გლეხების კოოპერატივებში შესვლაზე, აშინებდნენ მათ, რომ დაკარგავდნენ მიწას და ხშირად მათ წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებსაც კი მიმართავდნენ. ამასთანავე აქაც დაშვებული იქნა შეცდომები. გლეხთა კოოპერაციულ მეურნეობებში გაერთიანებისათვის დარწმუნების მეთოდების ნაცვლად ხშირი იყო ადმინისტრირების მეთოდები. პარტიის II კონფერენციამ, ეხებოდა რა გლეხთა კოოპერაციულ მეურნეობაში გაერთიანების საკითხს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმას, რომ „სოფლის მეურნეობის კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ გლეხთა დარწმუნების გზით, ამიტომ დაუშვებელია ადმინისტრირების და მით უმეტეს იძულებითი ღონისძიებები-

სათვის მიმართვა". ყველაფერი ამის გამო გაიზარდა მოქალაქეთა გადასვლა აღმოსავლეთ გერმანიიდან დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელობამ სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. 9 ივნისს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, ხოლო 11 ივნისს მინისტრთა საბჭომ განიხილა შექმნილი ვითარება და დასახა რიგი ღონისძიებები შეცდომების გამოსწორებისათვის. საყურადღებოა, რომ პარტიამ და მთავრობამ აშკარად განაცხადეს დაშვებული შეცდომების შესახებ. სახალხო მეურნეობის გეგმაში ახალი შესწორებები იქნა შეტანილი, გადაწყდა, რომ რამდენიმედ შეემცირებინათ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპები და აქედან სახსრები გადაესროლათ მსუბუქ მრეწველობაში, ფართო მოხმარების საგნების მასობრივად წარმოებისათვის. ამ ღონისძიებების მთავარი ამოცანა იყო მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის სწრაფად გაუმჯობესება. მეტი ყურადღება დაეთმოთ ვაჭრებს, ხელოსნებს, ინტელიგენციას, ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობებს. დაისახა ღონისძიებანი კერძო ინიციატივის განვითარებისათვის. კერძო სექტორს მიეცა სახელმწიფო კრედიტი 49 მლნ მარკის ოდენობითი. კრედიტი მიეცათ აგრეთვე გლეხებს, განსაკუთრებით ახალ გადმოსახლებულებს. განხორციელდა ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ამასთანავე მთავრობამ განაცხადა, რომ არ დაუშვებს კაპიტალის კონცენტრაციას და დააწესებს საზღვრებს კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების განვითარებისათვის. პარტიის და მთავრობის ყველა ამ ახალ ღონისძიებას ეწოდა „ახალი კურსი". მას მიესალმა მოსახლეობის დიდი ნაწილი. „ახალმა კურსმა" შინაური და საგარეო რეაქციის შეშფოთება გამოიწვია. მათ ესმოდათ, რომ ახალ ღონისძიებებს შეიძლება მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა ხალხთა მასების მდგომარეობა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს დაეჩქარებინათ კონტრრევოლუციური ამბოხება, რომელსაც ისინი დიდი ხანია ამზადებდნენ.

1953 წლის ივნისში დასავლეთ ბერლინში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან გადაისროლეს ყოფილი ფაშისტური შეიარაღებული ბანდები, რომლებიც იქიდან ბერლინში და სხვა ქალაქებსა და სოფლებში გაძვრნენ. დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდა აგრეთვე აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლები ალენ დალესის მეთაურობით და გფრ-ის საერთო გერმანული საკითხების მინისტრი იაკობ კაიზერი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფი თავისი აგენტების მეშვეობით ამბოხების ორგანიზატორებმა მიაღწიეს იმას, რომ ბერლინისა და სხვა ქალაქების მოსახლეობის ნაწილმა გაფიცვა გამოაცხადა და მუშაობა შეწყვიტა, მაგრამ მუშაობა შეწყვიტა მხოლოდ მუშა-

თა 5,5%. ბერლინიდან შემოჭრილმა შეიარაღებულმა ბანდებმა აიყოლიეს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის ნაწილი, მოაწყვეს დემოხსტრაცია, დაარბიეს, ცეცხლი წაუკიდეს, დაანგრიეს და ააფეთქეს დემოკრატიული ორგანიზაციები და მაღაზიები. პრემიერ-მინისტრის მოადგილე ო. ნუშკე ძალით გაიყვანეს დასავლეთ ბერლინში. მაგრამ კონტრრევოლუციონერებმა 10 ათასი თემიდან მხოლოდ 272 თემში, სადაც მათ დაზვერვის ჯგუფები ჰყავდათ, შეძლეს უწესრიგობის გამოწვევა.

მოსახლეობის დიდი ნაწილი მალე დარწმუნდა იმაში თუ რა მიზანს ისახავდნენ ამბოხებულები, ამიტომ იგი გამოვიდა ამბოხებულთა წინააღმდეგ. დემოკრატიული გერმანიის მთავრობამ მოსახლეობის უმრავლესობის აქტიური მხარდაჭერით და საბჭოთა ჯარების დახმარებით გაანადგურა ამბოხებულები. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არავითარი პირობებით არ დაუშვებს დასავლეთის ჯარების, ან გფრ-ის ბუნდესვერის შეჭრას გდრ-ში. საყურადღებოა, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ მუშებმა შექმნეს თავდაცვის რაზმები და ბრძოლაში ჩაებნენ პროვოკატორების წინააღმდეგ. ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ მუშათა ეს რაზმები გარდაიქმნენ მუდმივად მოქმედ რაზმებად.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის შიგნით შეიქმნა რევიზიონისტული ჯგუფი რ. ჰერნშტადტისა და ვ. ციისერის ხელმძღვანელობით, რომლებიც ცდილობდნენ, განსაკუთრებით ამბოხების დროს ხელთ ჩაეგდოთ პარტიული ხელმძღვანელობა და შეეცვალათ „ახალი კურსი". ფრაქციონერები მოითხოვდნენ აგრეთვე სოციალიზმის ზრდის ტემპების შენელებასაც.

ამბოხების ლიკვიდაციის შემდეგ ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული პარტიები და ორგანიზაციები კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ საშინაო და საგარეო რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

1953 წლის 21 ივნისს პარტიის ცკ-ის პლენუმზე შეიმუშაევს დემოკრატიული ხელისუფლების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

1953 წლის დეკემბერში გდრ-ის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მუშათა კლასის შრომის, ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და პროფკავშირთა უფლებების გაფართოების შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად გაფართოვდა დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, სასადილოების ქსელი და საბინაო მშენებლობა.

ამ საგანგაშო დღეებში საბჭოთა კავშირმა დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა დემოკრატიული გერმანიის მშრომელებს. 1953 წლის აგვისტოში მოსკოვში ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის დაიდო შეთანხმება. საბჭოთა კავშირიდან გდრ-ში საქონლის მიწოდების მნიშვნელოვნად

გაზრდის შესახებ, რომლის საფუძველზე დემოკრატიულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირიდან დამატებით მიიღო სურსათი, რკინა, ქვანახშირი, სხვა სახის ნედლეული და კრედიტი 48,5 მლნ მანეთის ოდენობით. 1952 — 1954 წლებში საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უსასყიდლოდ გადასცა რეპარაციების ანგარიშზე აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირის საკუთრებაში მყოფი 99 საწარმო. 1950 წელს საბჭოთა მთავრობამ გდრ-ან მისაღები სარეპარაციო თანხა, რომელიც მას 15 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა 50%-ით შეამცირა, ხოლო 1953 წელს დარჩენილი სარეპარაციო გადასახადი 5.7 მლრდ დოლარის ოდენობით გააუქმა.

საბჭოთა მთავრობის ასეთმა უანგარო დახმარებამ და გდრ-ის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად აამაღლა მშრომელთა მასების ცხოვრების დონე.

პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები

დროებითი სიძნელეების დაძლევის შემდგ დემოკრატიული გერმანიის მოსახლეობა ახალი ძალით შეუდგა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. 1953 წლის ბოლოსათვის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში უკვე მიაღწიეს ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილ დონეს. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში პარტიამ მთელი მოსახლეობა დარაზმა. 1954 წელი „დიადი თაოსნობის“ წელი გახდა. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და საწარმოების მოწინავეთა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობამ (1954 წ.) შეიმუშავა დირექტივები უპირატესად სათბობი, ენერგეტიკული და ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებისათვის.

პირველი ხუთწლიანი გეგმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით განახორციელეს, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმანაც, რომ გდრ 1950 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში. მართალია, მძიმე მრეწველობამ მთლიანად ვერ მიაღწია ხუთწლედში თავდაპირველად დადგენილ დონეს, მაგრამ მიუხედავად ამისა წარმატებები მაინც გრანდიოზული იყო. სამრეწველო წარმოება ომამდელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი მძიმე მრეწველობა, ქვანახშირის, მეტალურგიული ბაზა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძველი მეტალურგიული ქარხნები. აიგო ორი ახალი მეტალურგიული გიგანტური ხასიათის კომბინატი „ოსტი“ წელიწადში 500 ათასი ტონა თუჯის წარმოების სიმძლავრისა, რომელიც მუშა-

ობს საბჭოთა კავშირის მიერ მიწოდებულ რკინის მადანზე და „ვესტი“ კალბეში, ესაა პირველი მეტალურგიული ქარხანა, სადაც პირველად მსოფლიოში გამოყენებულ იქნა გდრ-ის მეცნიერების მიერ შემუშავებული გამოდნობის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიყენონ ღარიბი რკინის მადანი. ამ კომბინატის მუშაობის წყალობით აღმოსავლეთ გერმანია გათავისუფლდა დასავლეთ გერმანიაში თუჯის შესყიდვის აუცილებლობისაგან. მეცნიერთა კოლექტივმა შეიმუშავა მურა ნახშირიდან კოქსის მიღება, რომელიც მანამდე დასავლეთ გერმანიიდან შემოქონდათ. ეს უკანასკნელი ხშირად განზრახ შლიდა აღმოსავლეთ გერმანიისათვის კოქსის მიწოდებას, რათა ქვეყნის ეკონომიკაში სიძნელეები გამოეწვია. პირველ ხუთწლედში აიგო ახალი გემთსაშენი ქარხნები. 1952 წელს ქალაქ როსტოკში აიგო პირველი საოკეანო სავაჭრო გემი.

ახალი კომბინატების აგებისა და ძველის მოდერნიზაციის შედეგად გდრ-ში თუჯის გამოდნობა ხუთწლედში 4,5-ჯერ გაიზარდა, ფოლადის გამოდნობა 2,5-ჯერ, ნაგლინისა-144%-ით გადიდდა. მნიშვნელოვნად შემცირდა დისპროპორციები მრეწველობაში.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოებამ ხუთწლედის ბოლოს 66%-ით გადააჭარბა ომამდელს, შრომის ნაყოფიერება ხუთწლედის ბოლოს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 47%-ით, რომლის ხარჯზე მიიღეს სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 62%.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ხუთწლედში 25%-ით გადიდდა, ხოლო ომამდელთან შედარებით ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა 1/5-ით მაღალი იყო. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში თუ შეადგენდა 1950 წელს 5,7%-ს, 1955 წლისათვის იგი 27,3%-მდე გადიდდა. სახელმწიფო თითქმის მთლიანად უწევდა კონტროლს საბითუმო ვაჭრობას. საცალო საქონელბრუნვა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 59%-ისა 83%-ით გაიზარდა. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 3-ჯერ გადიდდა, რომლის 3/4 სოციალისტურ ქვეყნებზე მოდიოდა.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხთა მასების მატერიალური მდგომარეობა. მოხმარების საგნებზე ფასები შემცირდა 32%-ით, ცხოვრების ღირებულება 37,8%-ით, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 116%-სა გაიზარდა 144%-ით. პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ძირითადი შედეგი ის იყო, რომ რესპუბლიკაში მტკიცე ეკონომიური ბაზა შეიქმნა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. მუშათა კლასი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად შეადგენდა მოსახლეობის ნახევარზე მეტს, 6,1 მლნ მშრომელიდან, რომელიც ხელფასს იღებდა

4,5 მლნ-ზე მეტი მუშა იყო. მუშათა კლასმა უკვე ისწავლა სახელმწიფოსა და ეკონომიკის მართვა. შეიცვალა აგრეთვე დემოკრატიული ფრონტის მოღვაწეობის შინაარსიც. თუ მანამდე მისი მიზანი იყო საერთო დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტა, მოსახლეობის ანტიფაშისტური სულისკვეთებით აღზრდა, ამ ამოცანების ძირითადად განხორციელების შემდეგ იგი მიზნად ისახავს მშრომელთა მასების დარაზმვას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

1955 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა კავშირსა და გდრ-ს შორის დადებული ხელშეკრულებით ამ უკანასკნელმა მთლიანი სუვერენიტეტი მიიღო თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხების გადაწყვეტაში, მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში, როგორიცაა ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების საკითხი. ხელშეკრულება აცხადებდა ორივე ქვეყნის თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, სუვერენიტეტის და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

§ 15. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვება (1956-1961 წწ.)

სოციალისტური გარდაქმნების ფორმები, მეორე ხუთწლიანი გეგმის მიღება

პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისა და სოციალიზმის საფუძვლების შექმნის შემდეგ გდრ-ის პარტიის, მთავრობის და მუშათა კლასის მთავარი ამოცანა იყო სოციალისტური გარდაქმნების დასრულება. უკვე პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის ყველასათვის ნათელი გახდა, რომ კერძო კაპიტალისტურმა საწარმოებმა წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდაში თავის ზღვარს მიაღწიეს და სოციალისტური სექტორისაგან იწყეს მნიშვნელოვნად ჩამორჩენა. მაგალითად, პირველ ხუთწლედში სოციალისტური სექტორის წარმოების ყოველწლიური მატება 16%-ს შეადგენდა, კერძო საწარმოებში კი მხოლოდ 8,6%. ასეთი ტენდენცია იგრძნობოდა სოფლადაც კერძო მეურნეობებში. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემდგომი გაზრდა შეიძლებოდა მხოლოდ ახალი ტექნიკის დანერგვით, წარმოების კონცენტრაციისა და სოფლის მეურნეობის გაზრდით. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაწყების პირობებში მისი წარმოებაში დანერგვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ თანამედროვე მსხვილი წარმოების შექმნის, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვების გზით.

50-იანი წლების შუა პერიოდში, განსაკუთრებით 1956 — 1957 წლებში დაიწყო წვრილი და კაპიტალისტური წარმოების სოციალისტურ ყაიდაზე თანდათანობით და მშვიდობიანი გარდაქმნის გზების გამონახვა, რომელიც შემოქმედებით ხასიათს ატარებდა, გდრ-ის ტრადიციებს და სპეციფიკურ მდგომარეობას ითვალისწინებდა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის 25-ე ყრილობაზე (1955 წ. თებერვალში) პირველად განიხილეს სახელმწიფოს მონაწილეობის საკითხი კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში. 1956 წლის თებერვალში რვა კერძო საწარმოს მეწარმეებმა სურვილი გამოთქვეს იმაზე, რათა სახელმწიფო გამხდარიყო მათი საწარმოების თანამფლობელი. ამ საკითხის სახალხო ფრონტში შემავალი პარტიების მიერ, საშუალო ფენების წარმომადგენლებთან ყოველმხრივი განხილვის შემდეგ ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ წინადადება წამოაყენა გაეადვილებინათ საშუალო ფენების თანდათანობითი ჩაბმა სოციალიზმის მშენებლობაში ხელოსანთა საწარმოო კოოპერატივების შექმნის გზით და აგრეთვე სახელმწიფოს საქმიანი მონაწილეობა მიეღო კერძო კაპიტალისტურ საწარმოებში. ეს გზები და ფორმები ემსახურებოდა, როგორც საშუალო ფენების წარმომადგენელთა, ასევე საზოგადოების ინტერესებს — სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ამის შემდეგ იქმნებოდა შერეული, ნახევრად გასახელმწიფოებრივებული კერძო კაპიტალისტური საწარმოები, სადაც ფართოდ ინერგებოდა ახალი მანქანები და მოწყობილობები, რომლის შედეგად პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ხელოსნების საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანების დროს იქმნებოდა ორი ტიპის კოოპერატივი. პირველი ტიპის კოოპერატივში გაერთიანებული იყო მხოლოდ შრომა, საწარმოო საშუალებანი კი ხელოსნის საკუთრებაში რჩებოდა; კოოპერატივის შემოსავლის ნახევარი მიდიოდა მანქანებისა და ნედლეულის შესასყიდად, დანარჩენი ნაწილდებოდა შრომადღეების მიხედვით.

მეორე ტიპის გაერთიანებაში შემოსავალი ნაწილდებოდა შრომა დღეების მიხედვით, წარმოების საშუალებანი კოოპერატივის ხელში გადადიოდა. პირველი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ათავისუფლებდა ხელოსნების კოოპერატივებს ყოველგვარი გადასახადებისაგან და აძლევდა შეღავათებს კრედიტის მიღებაში.

ვაჭართა ფენებს ეძლეოდათ შესაძლებლობა საკომისიო ,ხელშეკრულებების დადებისა სახელმწიფო საბითუმო დაწესებულებებთან. ვაჭრებიც თავისუფლდებოდნენ სავაჭრო ბრუნვისა და საწარმოო გადასახადებისაგან. თავისი შრომისათვის ვაჭრები იღებდნენ სავაჭრო ბრუნვისაგან საკომისიოებს 6-8%-ის ოდენობით. 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო სოფლის ინდივიდუალური გლეხთა და კულაკთა მე-

ურნეობების სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ფორმების და მეთოდების შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება. იგი ითვალისწინებდა მიწაზე კერძო საკუთრების შენარჩუნებას. რეკომენდებული იყო გლეხთა სამი ტიპის საწარმოო კოოპერაციული მეურნეობების შექმნა. პირველი ტიპის კოოპერატივში საერთო სარგებლობაში მხოლოდ მიწა გადადიოდა, რაც შეეხება მანქანებს, გამწევ ძალას და ა. შ. რჩებოდა ინდივიდუალურ საკუთრებაში; შემოსავლის 60% შრომადღეების მიხედვით ნაწილდებოდა, დანარჩენი კი კოოპერატივში შეტანილი მიწისა და ინვენტარის მიხედვით. მეორე ტიპის კოოპერატივში წევრების საერთო გამოყენებაში გადადიოდა სოფლის მეურნეობის მანქანები და გამწევი საქონლის ნაწილი; შემოსავლის 70% შრომადღეებზე ნაწილდებოდა. მესამე ტიპის კოოპერატივებში ერთად იყენებდნენ მიწასა და ინვენტარსაც. შემოსავლის 80%-ის განაწილება შრომადღეების მიხედვით ხდებოდა. ამრიგად, სოფლად იქმნებოდა გარდამავალი ეტაპის დაუმთავრებელი სოციალისტური ტიპის საწარმოო ურთიერთობანი. ამრიგად, მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის უკვე შემუშავდა კერძო კაპიტალისტური სექტორის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ძირითადი ფორმები, რომელიც სოციალიზმის მშენებლობისათვის აუცილებელი იყო და ამასთანავე ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებისათვის მისაღები გახდა.

1956 წლის მარტში ბერლინში შედგა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III კონფერენცია, რომელმაც განაცხადა, „მას შემდეგ, რაც გდრ-ში სოციალიზმს საფუძვლები ჩაეყარა დღის წესრიგში დადგა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა მთლიანი გამარჯვებისათვის ბრძოლა". ამ ამოცანას ემსახურებოდა III კონფერენციის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956 — 1960 წწ.), რომლითაც სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა უნდა გაზრდილიყო 55%-ით. მეორე ხუთწლიან გეგმაში ახალი ის იყო, რომ მისი ძირითადი მაჩვენებლები კოორდინირებული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხანგრძლივვადიანი სახალხო მეურნეობის გეგმებთან. მეორე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის ბრძოლა. გეგმა ითვალისწინებდა სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გაზრდას მრეწველობაში (90%-ით), სოფლის მეურნეობაში და ვაჭრობაში, მშრომელთა მასების ცხოვრების დონის ამაღლებას და კულტურული რევოლუციის შემდგომ განხორციელებას.

ხუთწლედის კაპიტალური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტები იყო მურა ნახშირის („შვარცე პუმპე") კომბინატის მშენებლო-

ბა როსსენდორფში (დრეზდენთან). ეს უკანასკნელი აშენდა უკვე 1957 წელს საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით.

დროებითი სიძნელეები და მათი წარმატებით დაძლევა. III ხუთწლიანი გეგმის შედეგები

1954 წლის პარიზის შეთანხმების რატიფიკაციამ გფრ-ის ნატოს შემადგენლობაში შესვლამ და მასთან დაკავშირებით ბუნდესვერის შექმნამ აიძულა გერმანიის დემოკრატიული ძალები თავისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე ეზრუნა. 1956 წლის 18 იანვარს სახალხო პალატამ მიიღო კანონი ეროვნული სახალხო არმიის შექმნის შესახებ. თავდაცვის მინისტრად დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი. გდრ-ის ჯარები შეეიდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

1956 წელს სოციალისტური მშენებლობა გდრ-ში სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ერთი მხრივ გამოწვეული იყო საერთაშორისო დაძაბული ვითარებით, რომელმაც უარყოფითი შედეგები გამოიღო აღმოსავლეთ გერმანიისათვის და მეორე მხრივ, შიდაპოლიტიკური მიზეზებით.

კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ უნგრეთში და ამასთან დაკავშირებით პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებამ პოლონეთში დროებით დაარღვია გდრ-ის კავშირი ამ ქვეყნებთან. კერძოდ, შეწყდა პოლონეთის ქვანახშირის მიწოდება გდრ-ში, რის შედეგად გაძნელდა რიგი საწარმოების ნორმალური მუშაობა. ამას ზედ დაერთო მკაცრი ზამთარი და ყოველივე ამასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯები. დამატებით სახსრებს მოითხოვდა აგრეთვე არმიისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.

სკკპ-ის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის კრიტიკა, იმპერიალისტური პროპაგანდა ცდილობდა გამოეყენებინა სოციალისტური იდეების სახელის გატეხისა და მოსახლეობაში შეშფოთების შეტანისათვის. გდრ-ის პოზიციების განმტკიცებამ შეასუსტა კლასობრივი ბრძოლა და ბრძოლის ცენტრმა გადაინაცვლა გფრ-თან.

ქვეყნის შიგნითაც გამოცოცხლდნენ რევიზიონისტური ელემენტები, განსაკუთრებით იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს შორის. პარტიის III კონფერენციის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გაილაშქრეს შირდევან-ვოლვებერ-ცილერის ჯგუფმა. კარლ შირდევანი პარტიის ცკ-ის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო, ერნსტ ვოლვებერი გდრ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გერჰარდ ცილერი პარტიის ცკ-ის მდივანი. ამ ჯგუფს არ ესმოდა გფრ-ის ნატოში შეს-

ვლასთან დაკავშირებით ახლად შექმნილი სიტუაცია, მოითხოვდნენ სოციალისტური მშენებლობის ტემპების შენელებას და იმედოვნებდნენ, რომ ასეთი გზით შეიძლებოდა დასავლეთის ქვეყნებიდან დათმობების მიღწევა გერმანიის გაერთიანების საქმეში. ისინი აყენებდნენ სოციალისტური გარდაქმნების სტრუქტურულობის თეორიას, მისი განვითარების ტემპების შენელებას იმ მოტივით, რომ არ გაღრმავებულიყო უფსკრული გერმანიის ორივე სახელმწიფოს შორის გაერთიანების საქმეში. ამ ჯგუფის საშიში შეხედულებანი ობიექტურად კლასობრივი მტრისადმი მხარდაჭერას ნიშნავდა და პარტიამ იგი უარყო. მაგრამ ამ ჯგუფმა არ სცნო პარტიის კრიტიკა და ისევ ძველ შეხედულებებზე დარჩა. ეს ჯგუფი ილაშქრებდა პარტიის ცკ-ის ოცდამეათე პლენუმის (1956 წლის 1.1-1.11), განცხადების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ პირობით, თუ გფრ-ში გატარდება დემოკრატიული გარდაქმნები და თუ მის საზოგადოებრივ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ის ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მშვიდობის შენარჩუნებისა და ურთიერთგაგების საქმეში.

აღნიშნული დაჯგუფება პარტიის ცკ-ის 35 პლენუმმა გარიცხა ცენტრალური კომიტეტიდან.

ფილოსოფოსმა ბლოჰმა გაილაშქრა მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი რევიზია. ინტელიგენციის ერთი ნაწილი მიემხრო ამ რევიზიონისტებს და გამოვიდა პარტიული პრინციპის წინააღმდეგ მეცნიერებაში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში, აღვივებდა ნაციონალისტურ და ანტისაბჭოთა ტენდენციებს. 1956 წლის ოქტომბერში ბერლინში შეიქმნა სხვადასხვა კონტრრევოლუციური ჯგუფების არალეგალური ცენტრები, რომელთაც თავისი აგენტები ჰყავდათ მრავალ სამრეწველო დაწესებულებასა და რიგ ქალაქში. იყო ცდები მთავრობის საწინააღმდეგო სტუდენტთა დემონსტრაციების მოწყობისა, რათა შემდეგ იგი კონტრრევოლუციურ ამბოხებაში გადაზრდილიყო. მაგრამ საშიშროება გდრ-ას მაინც დასავლეთ გერმანიიდან მოელოდა. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა ინტერვენციის მოწყობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გდრ-ის მთელ რიგ ქალაქებში გაფიცვებისა და აჯანყებების მოწყობას, ახალი მთავრობის შექმნას და ნატოს ქვეყნებისათვის დახმარების თხოვნას. ამ მიზნით დასავლეთის დაზვერვამ აღმოსავლეთ გერმანიაში აამოქმედა სოციალიზმის ყველა ჯურის მტრები. მაგრამ შეიარაღებულმა მუშებმა ეროვნული სახალხო არმიის ნაწილებთან ერთად გაანადგურეს პროვოკატორები და უვნებელყვეს ყველა მტრული ელემენტები, რომელთაც თავი წამოყვეს

საერთაშორისო რეაქციის აქტივიზაციის ვითარებაში. კერძოდ, განადგურებულ იქნა კონტრრევოლუციური ჯგუფები ჰარიჰასა და სხვების მეთაურობით, რომლებიც უცხოეთის დაზვერვასთან იყვნენ დაკავშირებულნი, მათ აგენტებად ითვლებოდნენ და მათი მითითებით მოქმედებდნენ. ჰარიჰას ჯგუფი მაგალითად, უცხოეთიდან მიღებული მითითებებით შეეცადა ამბოხებისა და არეულობის მოწყობას და მოითხოვდა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია ჩამოეშორებინათ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან, გდრ-ას შეეცვალა თავისი ორიენტაცია, ე. ი. გაეწყვიტა კავშირი საბჭოთა კავშირთან და დასავლეთის ორიენტაცია აეღო. მაგრამ შინაური და საგარეო რეაქციის ეს გამოხდომებიც უშედეგოდ დამთავრდა.

1956—1958 წლებში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია დიდ მუშაობას ეწეოდა ქვეყანაში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. ჩატარდა მწვავე იდეოლოგიური დისკუსია. პარტიის ცკ-ის (1957 წელს) 30-ე პლენუმმა შეიმუშავა ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებების ფართო პროგრამა, რომლის მიზანი იყო სოციალიზმის მშენებლობის უზრუნველყოფა და ეკონომიკის სტაბილიზაცია.

გატარებული ღონისძიებებითა და საბჭოთა კავშირის დახმარებით ეკონომიური სიძნელეები დაძლეულ იქნა. 1957 წელს სსრ კავშირსა და გდრ-ის შორის დაიდო შეთანხმება საქონლის ბრუნვის გაფართოების შესახებ. კერძოდ, 1957 წელს საქონლის მიწოდება სსრ კავშირიდან გდრ-ში წინა წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა. გდრ-მა მიიღო 340 მლნ მანეთის თავისუფალი ვალუტის კრედიტი. 1958 წლის ზაფხულისათვის ეკონომიური სიძნელეები დაძლეულ იქნა. პარტიის ცკ-ის 30-ე პლენუმის გადაწყვეტილებანი მშრომელთა მასების ერთგვარ სტიმულად გადაიქცა სოციალიზმის დაჩქარებული ტემპებით მშენებლობისათვის. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. რომლის შედეგად გდრ-ის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. 1959 წელს გდრ-ამ სამრეწველო განვითარებით მეორე ადგილი დაიკავა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ხოლო საერთოდ ევროპაში მეხუთე ადგილზე გამოვიდა (სსრ კავშირის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიის და საფრანგეთის შემდეგ) სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით, ხოლო ელექტროენერგიის წარმოების დონით ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. გდრ-ის ეკონომიურ წარმატებებზე დადებით გავლენას ახდენდა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში გდრ-ის მონაწილეობამ საშუალება მისცა მას განევითარებინა მრეწველობის ის დარგები, რომლის სათანადო პირობები იყო ქვეყანაში, კერძოდ ენერგეტიკული, მეტალურგიული, მან-

ქანათმშენებლობის, ფართო მოხმარების საგნების წარმოება და ა. შ.

გრანდიოზული წარმატებები იქნა მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. 1960 წელს ძირითადად დამთავრდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირება, რის შედეგად სოფლად გაიმარჯვა სოციალისტურმა ურთიერთობამ. ყოფილმა კულაკებმა მიიღეს შესაძლებლობა შესულიყვნენ კოოპერატიულ მეურნეობებში, როგორც სრულუფლებიანი წევრები, მაგრამ მათ მიერ კოპერატივებში ხელმძღვანელი ადგილების დაკავება შეიზღუდა. 1960 წელს კოოპერატივში შესულ 265 ათას ერთპიროვნულ გლეხთა შორის 14 ათასი მსხვილი გლეხთა მეურნეობა იყო, რომელთაც თითოეულს 20 ჰექტარზე მეტი მიწა ჰქონდა. სულ 23 ათასი ყოფილი კულაკი შევიდა კოოპერატივში, რომელთა შორის ბევრი სოფლის მეურნეობის საქმის კარგი მცოდნე იყო და შემდეგ ხელმძღვანელი ადგილებიც კი დაიკავეს. ზოგიერთი ყოფილი კულაკი ცდილობდა კოოპერატივის სხვა წევრების ხარჯზე ცხოვრებასა და გამდიდრებას. მაგრამ ასეთები უმნიშვნელო იყო და მათთან ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარების შემდეგ ისინი თანდათანობით შრომის ფერხულში ჩაებნენ.

1960 წლისათვის ყველა გლეხის სოციალისტური საწარმოო ურთიერთობაზე გადასვლა პერსპექტივაში დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის და შრომის ნაყოფიერების სისტემატური ზრდისათვის.

სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა დაინერგა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა კერძო საწარმოები. მაგალითად, ნახევრად გასახელმწიფოებრიებული სამრეწველო საწარმოების რიცხვი 1958—1960 წლებში სამჯერ გაიზარდა, ხოლო იმ ხელოსანთა რიცხვი, რომლებიც საწარმოო კოოპერატივებში გაერთიანდნენ — 10-ჯერ.

ამრიგად, კერძო კაპიტალისტური საწარმოების, ხელოსნების, კუსტარების და საცალო ვაჭრობის დიდი ნაწილი თანდათანობით სოციალისტურ მშენებლობაში ჩაება.

§ 16. სოციალიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა (1961-1974 წწ.)

შვიდწლიანი გეგმის მიღება, პარტიის ახალი პროგრამა. მართვისა და დაგეგმვის ახალ მეთოდებზე გადასვლა

1961 წლიდან გდრ-ის ისტორიაში დაიწყო ახალი, სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდი. პარტიის V ყრილობის (1958 წლის ივლისი) დირექტივების საფუძველზე შემუშავებულ იქნა სახალხო მე-

ურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას უნდა უზრუნველეყო სოციალისტური საწარმოო ურთიერთობათა მთლიანი გამარჯვება.

მეორე ხუთწლიანი გეგმით მის ორ უკანასკნელ წელზე (1959—1960 წწ). გათვალისწინებული დავალებანი, არა უბრალოდ ჩართეს შვიდწლიან გეგმაში, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდეს.

შვიდწლიანი გეგმის გდრ-ის სახალხო პალატის მიერ მიღებას წინ უძღოდა მისი საყოველთაო-სახალხო განხილვა. შვიდწლიანმა გეგმამ დასახა ამოცანა: სოციალისტურ ქვეყნებსა და უპირველეს ყოვლისა გდრ-სა და საბჭოთა კავშირს შორის შრომის საერთაშორისო დანაწილების სრულყოფის საფუძველზე განევითარებინა მრეწველობის ისეთი დარგები, რომლისათვის გდრ-ში იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. შვიდწლიანი გეგმა უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებდა ენერგეტიკული, ელექტროტექნიკური, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის იმ დარგების განვითარებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის მთელ სახალხო მეურნეობაში. შვიდწლედში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დაწეოდა და გაესწრო დასავლეთ გერმანიისათვის ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების ოდენობის მიხედვით.

მრეწველობის პროდუქციის საშუალო ყოველწლიური მატების ტემპი 1959 — 1965 წლებში უნდა ყოფილიყო 9,5%, ხოლო სამრეწველო წარმოება შვიდწლედის ბოლოსათვის 88%-ით უნდა გაზრდილიყო. სამრეწველო წარმოების თითქმის მთელი მატება შრომის ნაყოფიერების ხარჯზე უნდა მიღებულიყო.

დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები და რევანშისტები გაოცებით უყურებდნენ გდრ-ის მშრომელების წარმატებებს და ხელი არ აიღეს მის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობაზე. საყურადღებოა, რომ დასავლეთ ბერლინში დაახლოებით 100-მდე სხვადასხვა სახის დივერსიული და სადაზვერვო ცენტრები იყო, რომლებიც მრავალრიცხოვან დივერსიულ აქტებს აწყობდნენ გდრ-ის სხვადასხვა ქალაქებში. ისინი რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრას ცდილობდნენ სპეკულაციისა და იმ საქონლის მასობრივად შესყიდვით და გატანით, რომელიც ყველაზე დიდი მოთხოვნით სარგებლობდა ქვეყანაში. დასავლეთიდან შემოჰქონდათ საქონელი, „შავ ბაზარზე“ არნახული სპეკულაცია გაჩაღდა. ყველაფერი ეს რა თქმა უნდა ქვეყნის ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად არღვევდა.

1961 წლის ზაფხულში დასავლეთის იმპერიალისტებმა გააძლიერეს გდრ-ის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა. დასავლეთ გერმა-

ნიის რევანშისტებმა ნატოს მხარდაჭერით აშკარად დაიწყეს მზადება აგრესიისათვის გდრ-ის წინააღმდეგ.

გერმანიის გაერიანების საკითხის საბჭომ, რომელიც დასავლეთ გერმანიაში არსებობდა, 1961 წლის 6 ივლისს მიიღო გდრ-ის დასავლეთ გერმანიასთან ძალით შეერთების გეგმა. ეს გეგმა მოწონებულ იყო გფრ-ის მთავრობის მიერ, რომლის ხელისუფლების სათავეში მყოფმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიის ხელმძღვანელობამ 11 ივლისს განაცხადა, რომ მისი პოლიტიკის მიზანია გერ-ს შეყვანა „გაერთიანებულ გერმანიაში, რომელიც შევა ინტეგრირებული ევროპის გაერთიანებაში". 1961 წლის 1 აგვისტოს გფრ-ის მინისტრმა შტრაუსმა აშშ-ში ყოფნის დროს ნიუ-იორკში ოფიციალურად განაცხადა, რომ დასავლეთი მზად უნდა იყოს სამოქალაქო ომისათვის გერმანიაში. ამ მიზნით დასავლეთ ბერლინში თავი მოუყარეს თავზეხელაღებულ ბანდებს, რომლებიც ემზადებოდნენ გდრ-ში შესაჭრელად. მათი მიზანი იყო მოეწყოთ არეულ-დარეულობა ქვეყანაში და ე. წ. „აჯანყების" ინსცენირება, რათა საბაბი შეექმნათ გფრ-ს ჯარების შეყვანისა დემოკრატიულ გერმანიაში და აღმოსავლეთ გერმანია დასავლეთ გერმანიასთან გაეერთიანებინათ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი ყველა სოციალისტური ქვეყანა საბჭოთა კავშირის მეთაურობით ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს დასავლეთის სახელმწიფოების ხრიკებს. ბუნებრივია, რომ ისინი გულგრილად არ შეხვდებოდნენ იმპერიალისტების გამოხდომებს მოძმე ქვეყნის წინააღმდეგ და ყოველგვარ ზომებს მიიღებდნენ გდრ-ის დასაცავად. გდრ-ის მთავრობა წლების განმავლობაში თავდაჭერილად ითმენდა გფრ-ის მთავრობისა და დასავლეთის სახელმწიფოების დაზვერვის მიერ ორგანიზებულ პროვოკაციებს. ყოველ ზომას იღებდა დასავლეთ ბერლინთან და გფრ-თან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის. მაგრამ პროვოკაციები აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ, არა თუ შეწყდა, პირიქით ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა. როდესაც ყოველგვარი ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდა, 1961 წლის 13 აგვისტოს გდრ-ის შეიარაღებულმა ძალებმა მუშათა კლასის საბრძოლო ჯგუფებთან ერთად თავისი კონტროლი დაამყარეს გდრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის არსებულ ღია საზღვრებზე და ამით პროვოკატორებს ინციდენტების საშუალება მოუსპეს. გდრ-ის მთავრობის ეს გადაწყვეტილებანი შეთანხმებული იყო ვარშავის ხელშეკრულების სოციალისტურ ქვეყნებთან. ბრანდენბურგის კარებთან და ქალაქის მთელ სასაზღვრო ხაზზე თავდაცვის მტკიცე კედელი აღიმართა, რომლის დაცვის სამსახურზე სურვილი განაცხადა 250 ათასმა კაცმა.

დასავლეთ გერმანიის აგრესიული გეგმების ჩაშლამ გდრ-ის მშრო-

მელებს საშუალება მისცა უფრო მტკიცე რწმენით შესდგომოდა თავისი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

1963 წლის იანვარში შედგა პარტიის VI ყრილობა. მან მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ძირითადი პრინციპები. ამ დროისათვის ძირითადად დამთავრებული იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდი. ამიტომ ეს პროგრამა მშრომელების წინაშე მთავარ ამოცანად სახავდა სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის აშენებას.

გარდამავალი პერიოდის მეურნეობის მართვა და დაგეგმვის პრაქტიკა აღარ შეესაბამებოდა სოციალიზმის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის ახალ ეტაპს და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს, ყრილობამ გადაწყვიტა გადასულიყო ეკონომიური პოლიტიკის ახალ პრინციპებზე და ეკონომიური სტრუქტურა ისე გარდაექმნა, რომ უზრუნველეყო იმ დარგების განვითარება, რომელიც განსაზღვრავდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. სახალხო მეურნეობის მმართველობის ახალ სისტემაზე გადასვლის მიხედვით გაიზარდა საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა და მათი ეფექტური მუშაობის საზომად გახდა არა საერთო, არამედ სასაქონლო პროდუქცია, ხელფასის ფონდი, შრომის ნაყოფიერება და თვითღირებულება, მოგება, მატერიალური სტიმულირება, კაპიტალური დაბანდებანი, ახალი ტექნიკის დანერგვა.

სახელმწიფო მრეწველობის მართვის ძირითად ორგანოებად გადაიქცნენ ერთნაირი დარგის საწარმოთა გაერთიანებანი, რომლებიც გეგმავენ და წარმართავენ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების განვითარებას. საწარმოთა გაერთიანებებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა პროდუქციის გამოშვებაზე და მის ხარისხზე.

შვიდწლიანი გეგმის შედეგები

სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის ახალ ეკონომიურ სისტემაზე გადასვლამ, რომელიც შერწყმული იყო სოციალისტური დემოკრატიის მუდმივ განვითარებასთან, უზრუნველყო გდრ-ის მყარი დინამიური განვითარება. გდრ-ის სახალხო მეურნეობა ვითარდებოდა ახალი კრედიტების გარეშე. პირიქით, მან დაიწყო საბჭოთა კავშირიდან ადრე მიღებული კრედიტების გადახდა. შვიდწლიანი გეგმის მიხედვით აიგო უმნიშვნელოვანესი, ევროპაში გიგანტური ელექტროსადგურები ლუბენაუში და ფეჩაუში, რომლებიც მურა ნახშირზე მუშაობდა. მარტო ეს ორი სადგური 1965 წლისათვის იმდენივე ელექტროენერგიას იძლეოდა, რამდენსაც მთელი ომამდელი

გერმანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ელექტროენერგიით ქვეყნის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ არ იყო გადაჭრილი.

შვიდწლედში რეკონსტრუირებულ იქნა მეტალურგიული კომბინატი „ოსტი", ნახევარგამტარების ქარხანა ოდერის ფრანკფურტში, ქიმიური კომბინატი „ლეინა 11" და ა. შ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გდრ-ის სახალხო მეურნეობისათვის „ნავთსადენ მეგობრობის" უკანასკნელ პუნქტში ოდერის შვედეში აგებულ უდიდეს ნავთის გადამამუშავებელ კომბინატს. 1964 წელს გდრ-ამ უკვე მიაღწია მთელი გერმანიის 1936 წლის სამრეწველო წარმოების დონეს. გდრ შევიდა მსოფლიოს 10 ყველაზე უფრო განვითარებულ სამრეწველო სახელმწიფოთა რიცხვში.

1965 წელს გდრ-ის სამრეწველო წარმოების მოცულობამ თითქმის 4,3-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1950 — 1964 წლებში სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატების ტემპმა 10% შეადგინა. განსაკუთრებით ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფდნენ ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ ელექტროენერგეტიკის, ქიმიური და მანქანათმშენებლობის მრეწველობა. 1965 წლისათვის აღნიშნული დარგების ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოებაში 51%-ზე მეტს შეადგენდა. 1965 წლისათვის ქვეყანაში 2.7-ჯერ მეტი ელექტროენერგია იქნა გამომუშავებული, ვიდრე 1950 წელს. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებით გდრ-ამ გაუსწრო გფრ-სა და საფრანგეთს და მეექვსე ადგილზეა ევროპაში. ილუსტრაციისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ გდრ უფრო მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე ჰოლანდია, ბელგია, დანია და ფინეთი ერთად აღებული.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გდრ-ის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის კულტურების წარმოებაში, მოსავლიანობის ზრდაში და ა. შ. წარმატებებმა მრეწველობაში უზრუნველყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე გადასვლა. 1965 წელს სოფლად მუშაობდა 124,3 ათასი ტრაქტორი, 14,5 ათასი კომბაინი და ა. შ. 1965 წლისათვის საკუთარი რესურსებით იფარებოდა ქვეყნის მოთხოვნა ხორცზე 96,6%, კარაქზე 90.3% და ა. შ.

შვიდწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონე.

ვდრ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დასრულების პერიოდში. სოციალისტური კონსტიტუციის მიღება

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VII ყრილობამ, რომელიც 1967 წლის აპრილში შედგა, მიიღო „პერსპექტიული გეგმა 1970 წლამდე". იგი მოიცავდა 1966—1970 წლებს. ყრილობამ განაცხადა, რომ „როგორც არ უნდა იყოს ამბების მსვლელობა დასავლეთ გერმანიაში, ჩვენ სსრ კავშირთან და ყველა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირში, განუხრელად, მიზანდასახულად და თანმიმდევრულად წავალთ წინ ჩვენი სახელოვანი სოციალისტური გზით. გერმანიის მიწაზე, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სამშობლოში, ჩვენ ვამთავრებთ სოციალიზმის მშენებლობას. ამით ჩვენ შესანიშნავ მაგალითს ვაჩვენებთ მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოში".[1]

პერსპექტიული გეგმა 1970 წლამდე გერმანიის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს და ამით კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს სოციალიზმის, განვითარებული საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობაში. 1970 წლისათვის 1965 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი 29%-ით გაიზარდა—84 მილიარდიდან—108 მილიარდ მარკამდე. კაპიტალური დაბანდებების მოცულობამ 1970 წელს შეადგინა 32.6 მლრდ მარკა, 1965 წელს კი იგი 20,5 მლრდ მარკას შეადგენდა, ე. ი. გაიზარდა 59%-ით. ამავე პერიოდში მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 37%-ით, რომელიც ძირითადად მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. შრომის ნაყოფიერება ხუთწლედში 32%-ით გაიზარდა. მშენებლობა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40%-სა გაიზარდა 48%-ით, სახალხო მეურნეობაში ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულება 1965 წელს შეადგენდა 392,5 მლრდ მარკას, 1970 წლისათვის კი იგი 465 მლრდ მარკამდე გაიზარდა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი იყო 24,8 მლრდ მარკა. მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქცია გაიზარდა, ისე როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, 20%-ით, მაგრამ მემინდვრეობის დარგში გეგმა მთლიანად არ შესრულდა. ხუთწლედში შეიქმნა წანამძღვრები სოციალისტური რაციონალიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარებისათვის.

---

[1] «VII Съезд социалистической единой партии Германии», М., 1968, გვ. 380.

აღნიშნულ პერიოდში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 22%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები.

1967 წლის პირველ დეკემბერს პალატამ მიიღო გადაწყვეტილება გდრ-ის 1949 წლის კონსტიტუციის ნაცვლად, ახალი გამარჯვებული სოციალისტური სახელმწიფო კონსტიტუციის პროექტის მომზადების შესახებ. 1968 წლის 31 იანვარს შეიქმნა კომისია ვ. ულბრიხტის[1] ხელმძღვანელობით, რომელმაც შეიმუშავა კონსტიტუციის პროექტი. იგი გადაეცა ხალხს განსახილველად. ხალხმა შეიტანა 12454 წინადადება და დამატებანი, რომლებიც გათვალისწინებული იქნა კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო ფორმულირებისას. ამის შედეგად მასში 18 ცვლილება იქნა შეტანილი.

1968 წლის 6 აპრილს პლებისციტის ჩატარების შედეგად კონსტიტუციის პროექტი მოიწონა ფარული კენჭისყრის საფუძველზე 11 536803 ამომრჩეველმა (94,49%-მა). 8 აპრილს ვ. ულბრიხტმა კონსტიტუცია მიღებულად გამოაცხადა. კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ გდრ არის ქალაქისა და სოფლის მშრომელების სახელმწიფო, მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის—მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. კონსტიტუცია გდრ-ის ეკონომიურ საფუძვლად აცხადებს სოციალისტურ საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე.

კონსტიტუცია კრძალავს ყოველგვარ სამხედრო და რევანშისტულ პროპაგანდას. ომის. რასობრივი სიიულვილის და მტრობის პროპაგანდა გამოცხადდა დანაშაულად.

კონსტიტუცია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებს სახალხო პალატას, რომლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მოქალაქეს აქვს. აღმასრულებელ სახელმწიფო ორგანოს მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს.

კონსტიტუცია გდრ-ის სახელმწიფო წყობილების მთავარ პრინციპად აცხადებს ხალხის სუვერენულ ხელისუფლებას, რომელიც ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე.

1971 წლის 3 მაისს შედგა პარტიის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც დააკმაყოფილა ვ. ულბრიხტის თხოვნა ხანდაზმულობის გამო ცკ-ის პირველი მდივნობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. მისი დამსახურების ნიშნად ვ. ულბრიხტი აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ.

---

[1] 1960 წლის სექტემბერში ვ. პიკის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი გახდა ვ. ულბრიხტი. სახალხო პალატამ გააუქმა პრეზიდენტის პოსტი და მისი ფუნქციები გადავიდა სახელმწიფო საბჭოს ხელში, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ულბრიხტი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს ერიჰ ჰონეკერი[1].

1971 წლის ივნისში პარტიის VIII ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1971—1975 წლებისათვის. ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანაა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და განმტკიცება. გეგმა შედგენილია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის გათვალისწინებით. გეგმა მთავარ ამოცანად აყენებს ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, წარმოების ზრდის საფუძველზე, მისი ეფექტურობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გაზრდას, ეკონომიკის დაგეგმვის, მართვისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სრულყოფას. ინტენსიფიკაცია და ეფექტურობის ამაღლება განსაზღვრულია, როგორც მთავარი გზა საზოგადოებრივი წარმოების მოცულობისა და ხარისხის გაზრდისათვის. გეგმა ამოცანად აყენებს სოციალისტური რაციონალიზაციის ფართო დანერგვას, სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფას დარგების მიხედვით.

1975 წლისათვის 1970 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი უნდა გაიზარდოს 27%-ით, სამრეწველო საქონლის წარმოება 34%-ით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 35%-ით, კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობაში 29%-ით, სოფლის მეურნეობაში წარმოების მოცულობა 12,5%-ით, მოხმარება 21—23%-ით, მოსახ-

---

[1] ჰონეკერი დაიბადა 1912 წელს მეშახტის ოჯახში. მუშაობდა სახლის მხურავად. 1926 წელს იგი შევიდა გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში, 1929 წლიდან კი კომუნისტური პარტიის წევრია.

1930 წელს იგი სწავლობდა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში. იგი ინტერნაციონალურ მუშათა ბრიგადაში იყო და მონაწილეობდა მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში. 1931 წელს იგი გერმანიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის საარის საოლქო კომიტეტის მდივანია. 1934 წელს აირჩიეს ამ კავშირის ცკ-ის მდივნად, მონაწილეობდა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1935 წლის დეკემბერში დაპატიმრებულ იქნა ფაშისტური პოლიციის მიერ და 10 წლის პატიმრობა მიესაჯა.

ჰონეკერი იყო თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის დამაარსებელი, 1946 — 1955 წლებში იყო მისი თავმჯდომარე.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად ყოფნის დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო ორი პარტიის გაერთიანებაში, რომლის 1 ყრილობამ იგი აირჩია ცკ-ის წევრად. 1950 წლიდან პოლიტბიუროს წევრია. 1958 წლიდან ცკ-ის წევრია, ხოლო 1971 წლის 3 მაისიდან ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს.

ლეობის რეალური შემოსავალი 22%-ით. ხუთწლედის განმავლობაში გათვალისწინებულია 500 ათასი ბინის აგება.

1971 წლის ნოემბერში ჩატარდა სახალხო პალატის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა ამომრჩეველთა 98,48%. ეროვნული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 99,85%-მა. სახალხო პალატაში აირჩიეს 434 დეპუტატი და დეპუტატის მოადგილე. ამ უკანასკნელებს საარჩევნო კანონის საფუძველზე ირჩევენ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზების გამო დეპუტატი გამოაკლდება და მათ ადგილს იკავებენ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ვ. ულბრიხტი აირჩიეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ვილი შტოფი დაინიშნა[1]. ე. ჰონეკერი აირჩიეს თავდაცვის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ.

1973 წლის პირველ აგვისტოს გარდაიცვალა კომუნისტური და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ვ. ულბრიხტი. 3 ოქტომბერს გდრ-ის სახალხო პალატამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვ. შტოფი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი ჰორსტ ზინდერმანი.[2]

1972 წელს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის. გაფართოებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. სახელმწიფოს მონაწილეობით არსებული კერძო შერეული საწარმოები, ასევე კერძო სამრეწველო და სამშენებლო საწარმოები და ხელოსანთა საწარმოო გაერთიანებანი, რომლებიც სამრეწველო პროდუქციას აწარმოებდნენ გარდაიქმნენ სახალხო საკუთრებათ. ამ ღონისძიების შედეგად შეიქმნა 11 ათასზე მეტი საწარმო, სადაც 0.5 მლნ კაცი მუშაობდა. საყურადღებოა, რომ ეს ღონისძიებები ჩატარდა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ნებაყოფლობის საფუძველზე და წარმოების შეფერხების გარეშე.

1972 წლის აპრილში გაეზარდა პენსიები და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გადასახადები 3,9 მილიონ მოქალაქეს, გაუმჯობესდა

---

[1] ვ. შ ტ ო ფ ი დაიბადა 1914 წელს. მეშაობდა ქვისმთლელად, ტექნიკურ მშენებლად. 1928 წელს შევიდა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირში, 1931 წლიდან კი კომპარტის წევრია. ფაშისტური დიქტატურის შემდეგ მუშაობდა არალეგალურად. 1945 წლიდან ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები პარტიულ და სახელმწიფო აპარატში. 1950 წლიდან ცკ-ის, ხოლო 1953 წლიდან პოლიტბიუროს წევრია. იგი იყო შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1964 წლიდან კი ო. გროტეოლის გარდაცვალების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

[2] ჰ. ზინდერმანი 1915 წელს დაიბადა. 1929 წლიდან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრია. 1933 — 1945 წწ. ფაშისტური მთავრობის პატიმარი იყო სატესაღოებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. 1945 წ. კომპარტიაში შედის, ეკავა პასუხისმგებელი თანამდებობები პარტიულ, საზოგადოებრივ და პრესის ორგანოებში. 1963 წლიდან ცკ-ის, 1967 წლიდან კი პოლიტბიუროს წევრია. 1971 წლიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მცირეწლოვან ბავშვთა დედების, ახლად დაქორწინებულების მდგომარეობა, შემცირდა ბინის გადასახადები მუშებისათვის, გადაწყდა ბინის ქირის ხელფასის შესაბამისობაში მოყვანა.

სახალხო მთავრობა ამ ბოლო წლებში მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა სოციალისტური დემოკრატიის, სულიერი და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის. 1974 წლის 28 იანვარს სახალხო პალატამ მიიღო კანონი ახალგაზრდობის შესახებ, რომლის მთავარი ამოცანაა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება იმპერიალიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებები გდრ-ში გაცოფებას იწვევს დასავლეთის კაპიტალისტურ სამყაროში და აძლიერებს იდეოლოგიურ ბრძოლას. დასავლეთის სახელმწიფოების ანტიკომუნისტური უზარმაზარი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ საზოგადოებას შიგნიდან. ანტიკომუნისტურ მოღვაწეობაში მთავარი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური მიზნებისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების გაყალბებას. დასავლეთ გერმანიის იდეოლოგები ცდილობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ისე წარმოადგინონ, როგორც ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო. ისინი ცდილობენ, რომ სოციალისტური და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი წარმოადგინონ დამახინჯებულად ანტისაბჭოთა პროპაგანდის გაძლიერების მიზნებისათვის. დასავლეთის პროპაგანდა გაჰკივის იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს თავისი „არსებული მიზნებისათვის“ და საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის იყენებს. ამ გამონაგონს მხარს უჭერენ და ბანს აძლევენ აშშ-ის სამრეწველო მაგნატები, რომლებიც გფრ-ისა და საერთოდ დასავლეთის ყველა ულტრამემარჯვენე ძალებთან ხელიხელ ჩაკიდებული ბინძურ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, ჩირქს სცხებენ მთავრობის პროლეტარული სოლიდარობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკას.

გდრ-ის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შემოჭრილ სოციალ-რეფორმიზმს, რომელიც ცდილობს სოციალიზმისათვის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის, ბურჟუაზიულ-პარლამენტური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლების პრინციპების დაპირისპირებას. გფრ-ის პროპაგანდა ამ მიზნებისათვის ფართოდ იყენებს ტელევიზიასა და რადიოს. „ეს ვარიანტი,—აღნიშნა ე. ჰონეკერმა,—განკუთვნილია იმისათვის, რათა უფრო მოქნილად, ნაკლებად უხეში მე-

თოდებით, ვიდრე ის, რაც დამახასიათებელია კონსერვატორულ-იმპერიალისტური ძალებისათვის, მიაღწიონ იმავე მიზნებს, სახელდობრ გამოაცალონ სოციალიზმს არსი და თანდათანობით ლიკვიდაცია უყონ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას". ანტიკომუნისტები უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ ინტერნაციონალიზმის ნაციონალიზმით შეცვლას და პირველ ადგილზე აყენებენ „გერმანელი ერის ერთიანობის" იდეას. ე. ჰონეკერმა ეს კონცეფციები გამოააშკარავა პარტიის VIII ყრილობაზე. მან განაცხადა, რომ ამჟამად ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს არც „ერთიან გერმანელ ერზე", არც „განსაკუთრებულ შიდაგერმანულ ურთიერთობაზე". „მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებით, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობით, ვითარდება ახალი ტიპის ერი, სოციალისტური ერი".[1]

პარტიის VIII ყრილობამ გამოაცხადა ძირითად სტრატეგიულ ხაზად გდრ-ის ურღვევი კავშირი საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. გდრ-ის მშრომელები დიდი წარმატებით ახორციელებენ მიმდინარე სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას 1971—1975 წლებისათვის.

ეროვნულმა შემოსავალმა 1973 წლისათვის შეადგინა 127 მილიარდი მარკა, ე. ი. ექვსჯერ მეტი გახდა, ვიდრე 1949 წელს იყო. ამავე პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 8-ჯერ, ეროვნული შემოსავალი 1970 წელთან შედარებით 1974 წლისათვის 24,4%-ით გაიზარდა, კაპიტალური დაბანდება 17,7%-ით, სამრეწველო წარმოება 28,5%-ით, საცალო საქონლის ბრუნვის მოცულობა 23,4%-ით. 1973 წლისათვის გდრ-ის მრეწველობა აწარმოებდა პროდუქციას 200 მლრდ მარკაზე მეტი ოდენობით.

მრეწველობის საერთო ზრდის პროცესში უფრო მაღალი ტემპით ვითარდებოდა შემდეგი დარგები: მანქათამშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, ელექტრონიკა და ხელსაწყოთა მშენებლობა. მაგალითად, თუ 1950 — 1972 წლებში რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა გაიზარდა 6-ჯერ, ამ დინამიკური განვითარების დარგები შესაბამის წლებში გაიზარდა, მანქანათმშენებლობა— 8,1-ჯერ, ქიმიური მრეწველობა 7-ჯერ, ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა და ხელსაწყოთა მშენებლობა—13,8-ჯერ. 1952—1972 წლებში მათი ხვედრითი წონა ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 35,7%-დან 147,7%-მდე.

გდრ-ის სამრეწველო განვითარებისათვის დამახასიათებელია მოწყობილობების მოდერნიზაციის ინტენსიური პროცესი, შრომის ტექნიკური შეიარაღების ამაღლება, პროგრესულ ტექნოლოგიური

[1] VIII съезд Социалистической единой партии Германии, 1972, გვ. 75.

პროცესის დანერგვა. შრომის ტექნიკური შეიარაღების ამაღლებამ ხელი შეუწყო მისი ნაყოფიერების სტაბილურ ზრდას.

მაგალითად, 1974 წლისათვის მრეწველობაში ყოველი დაკავებული საშუალოდ 4,5-ჯერ მეტ პროდუქციას იძლეოდა, ვიდრე 1950 წელს. თითქმის მთელი სამრეწველო წარმოების ნამატი უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. განვითარებულ მრეწველობაზე დაყრდნობით გდრ-ის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი სამრეწველო საფუძველზე გადაყვანის საქმეში. 1960 — 1972 წლებში კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 23-ჯერ და 1974 წლისათვის იგი უახლოვდებოდა მრეწველობაში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს. ქვეყნის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 60% წარმოებს მის პროფილირებულ დარგში—მეცხოველეობაში. სადაც სწრაფად მიმდინარეობს ინდუსტრიალური მეთოდების დანერგვა. 1974 წლისათვის მინდვრის მთელი სამუშაოების 99 პროცენტი მანქანებითა და მექანიზმებით ტარდებოდა. საკუთარმა ქიმიურმა მრეწველობამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობა მინიმალური სასუქებით, რომელიც 334 კგ მოდიოდა ჰექტარზე. ამის შედეგი კი იყო მაღალმოსავლიანობის მიღწევა. მაგალითად, 1974 წლისათვის 1 ჰექტარზე მოჰყავდათ პურის მარცვლეული თითქმის 40 ცენტნერი. კარტოფილი 188 ცენტნერი, შაქრის ჭარხალი — 325 ცენტნერი. საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობაში დაკავებულთა რიცხვი სახალხო ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა: თუ 1950 წელს იგი 2,2 მლნ კაცს შეადგენდა, 1974 წლისათვის 850 ათასამდე შემცირდა.

1950 წლისათვის სოფლის მეურნეობაში ყოველი ერთი კაცი საკვების პროდუქტებით უზრუნველყოფდა საშუალოდ 5—6 კაცს. 1973 წლისათვის კი 28 კაცს. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის საერთო მოცულობა შესაბამის პერიოდში გაიზარდა 12,1 მილიარდი მარკიდან 30.8 მილიარდ მარკამდე. 1974 წლისათვის რესპუბლიკა უზრუნველყოფდა კვების პროდუქტებით თავის ქვეყნის მოთხოვნების 80%-ზე მეტს.

რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების წარმატებებმა ხელი შეუწყეს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ყოველთვიური ხელფასი 290 მარკიდან (1949 წელს) გაიზარდა 815 მარკამდე (1972 წელი); 1972 წლისათვის მოსახლეობის სუფთა ფულადი შემოსავალი შეადგენდა 86,6 მლრდ მარკას.

1974 წლისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონე. მარტო ერთი წლის გან-

მავლობაში მოსახლეობის სუფთა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 4.8%-ით. ეს მოხდა ნაწილობრივ ხელფასის გაზრდით ზოგიერთ კატეგორიის მშრომელებისათვის და აგრეთვე პენსიების მომატების გზით მოხუცებულობისა და ინვალიდებისათვის. გარდა ამისა შემცირდა ფასები მოხმარების მთელ რიგ საგნებზე, გაიზარდა ფასიანი შვებულების მინიმალური ვადა.

მიმდინარე ხუთწლედში გდრ კიდევ უფრო გააფართოვა ეკონომიური და სავაჭრო თანამშრომლობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. გდრ-ს მარტო საბჭოთა კავშირთან 1974 წლისათვის დადებული ჰქონდა 70 შეთანხმება მთავრობის ან სამინისტროების დონეზე. აქედან ნახევარზე მეტი დაიდო პარტიის VIII ყრილობის შემდეგ. ეს შეთანხმებანი მიზნად ისახავენ ერთიანი ამაღლებული გზით უზრუნველყონ ორივე ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალის ეფექტურობა. ეს ახლა დამახასიათებელია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის. იგი მთელი ძალით განსაზღვრავს ინდუსტრიალური დარგების და უმნიშვნელოვანესი ეკონომიური კომპლექსების შეთანხმებულ განვითარებას. დიდ როლს ასრულებს ერთიანი მოღვაწეობის გაფართოება დაგეგმვის დარგში. მაგალითად, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები უკვე ათანხმებენ მომავალი ხუთწლიანი და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტიულ გეგმებს. რათა უფრო გეგმაზომიერად და პროპორციულად მიაღწიონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიური პოტენციალის აღმავლობას. გდრ-ის ისეთი სასიცოცხლო უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა, ენერგეტიკული და ნედლეულის ბაზებით უზრუნველყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების გამოყენება სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისათვის, შესაძლებელი გახდა, მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების წყალობით. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის დაჩქარებული ტემპების აუცილებლობა კომპლექსური პროგრამის ჩარჩოებში.

გდრ-ში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო განათლების სისტემის სრულყოფის საქმეს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო პალატის მიერ 1965 წელს მიღებულ კანონს სოციალისტური განათლების ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ. რომელიც მოიცავს სწავლების ყველა ეტაპს სკოლამდელიდან დაწყებული უმაღლესი სკოლით დამთავრებული. ამ კანონის საფუძველზე ერთმანეთთან შერწყმულია ზოგადი და სპეციალური სწავლება, ახალგაზრდობის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდასთან. უმაღლესი განათლების

დარგში გატარდა სამი რეფორმა. მესამე რეფორმის გატარების პროცესში განხორციელდა უმაღლესი სკოლის რეორგანიზაცია, შემუშავდა მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ახალი გეგმები, სასწავლო გეგმები მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში, რომელიც ძალაში შევიდა 1969 წლის სექტემბრიდან.

1969/70 სასწავლო წლიდან შეიქმნა 10 საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტთა საერთო რაოდენობა 122 ათას კაცამდე გაიზარდა. გაიზარდა კვლევითი მოღვაწეობის კოოპერირება ხელშეკრულებების საწყისებზე უმაღლეს სასწავლებლებსა და მრეწველობას შორის. კვლევითი პოტენციალი გადაჯგუფდა და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა კვლავწარმოების საზოგადოებრივ პროცესს.

1969 წელს პარტიის ცკ-ის პოლიტბიურომ და მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სახალხო განათლების სამინისტროს ღონისძიებების გეგმა განათლების კანონის შემდგომი შესრულებისა 1980 წლამდე. ეს გეგმა მთავარ ამოცანად სახავს სავალდებულო 10 კლასიანი განათლების შემოღებას და ახალი სასწავლო გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველყოფას. კარგი შედეგებია მიღწეული განათლების ერთიან სოციალისტური სისტემის განხორციელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე გადასვლაში. 1970 წელს მოსწავლეთა 85%, რომელთაც 8 კლასიანი სკოლა დაამთავრეს, აგრძელებდნენ სწავლას საერთო-საგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლების IX კლასში (1975 წელს კი 73%). მინისტრთა საბჭოსა და გერმანელთა თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების ერთობლივმა კომისიამ შეიმუშავა პროექტი მშრომელთა საერთო-საგანმანათლებლო დონისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრინციპების შესახებ, რომელიც 1970 წლის სექტემბერში დაამტკიცა სახალხო პალატამ.

1970 წლის აპრილში მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება პროფესიული ხანგრძლივვადიანი განათლების სისტემის ამოცანების შესახებ, მაისში კი დაამტკიცა პროფესიები, რომლის მიხედვითაც 1971—1975 წწ. მიმდინარეობს სწავლება.

1973 წლის ზაფხულში გდრ-ის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ახალგაზრდობისა და სტუდენტების X მსოფლიო ფესტივალი. მასში მონაწილეობისათვის ბერლინში ჩამოვიდა 140 ქვეყნიდან 25 ათასი უცხოელი სტუმარი. ფესტივალი ჩატარდა ლოზუნგით: „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობა, მშვიდობა და მეგობრობა“.

ამრიგად, ღრმა გარდაქმნების, ეკონომიკის დაჩქარებული ტემპებით განვითარების, იმპერიალისტური და ფაშისტური იდეოლოგიის აღმოფხვრის, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების აღზრდის შედეგად გდრ გადა-

იქცა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ქვეყანად.

საგარეო პოლიტიკა

აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე პროგრესული ძალების მიერ დემოკრატიულ პრინციპებზე შექმნილი სახელმწიფო გადაიქცა მშვიდობისმოყვარე ქვეყნად. გერმანიის ტერიტორიაზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოების, სოციალისტურის და კაპიტალისტურის ჩამოყალიბების შედეგად გდრ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად გახდა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის და რევანშიზმის წინააღმდეგ მშვიდობის ბასტიონად გადაქცევა ევროპაში. გდრ-ის მთავრობა რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღიდან მთელ ძალებს იყენებდა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის, გფრ-ისა და საერთოდ დასავლეთის სახელმწიფოების ახალი ომის გეგმების ასალაგმავად.

გდრ-ის მისწრაფებანი მშვიდობისა და მეგობრობისაკენ, მეზობელი სახელმწიფოებისადმი უპირველეს ყოვლისა საფუძვლად დაედო გერმანიის პრობლემის გადაწყვეტას. გდრ-ის მთავრობამ მრავალი ღონისძიება მიიღო გერმანიის გათიშვის გაღრმავების წინააღმდეგ. იბრძოდა პოტსდამის ხელშეკრულების საფუძველზე მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისათვის.

გდრ-ის შექმნის პირველივე დღიდან, სცენეს და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. 1950 წელს გდრ მიიღეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში.

1950 წელს, როდესაც დასავლეთ სახელმწიფოებმა აშკარად აიღეს გფრ-ის რემილიტარიზაციის კურსი, ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ შეიმუშავა გერმანიის პრობლემის გადაწყვეტის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა იმას, რომ არ დაეშვა გერმანიის რემილიტარიზაცია და მისი აგრესიულ ბლოკში ჩაბმა, პარიტეტულ საწყისებზე შეექმნათ საერთო გერმანული დამფუძნებელი საბჭო, საერთოგერმანული დროებითი მთავრობის შექმნის მოსამზადებლად. 1951 წელს გდრ-ის მთავრობამ წამოაყენა წინადადება ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესახებ. გფრ-ის მთავრობა თანახმა იყო საყოველთაო არჩევნების ჩატარებაზე მხოლოდ საზღვარგარეთის და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ, რაც ფაქტიურად შათ შინაურ საქმეებში ჩარევას გამოიწვევდა. საბჭოთა მთავრობამ გდრ-ის შექმნის შემდეგ განაცხადა, რომ გერმანიის გაერთიანება თვით გერმანელების საქმეა. გდრ-ის მთავრობამ

არაერთხელ მიმართა ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობებს წინადადებით, რათა დაეჩქარებინათ სამშვიდობო ხელშეკრულების დადება გერმანიასთან. გდრ-ის მთავრობამ მხარი დაუჭირა საბჭოთა მთავრობის მიერ 1952 წლის 4 მარტს წამოყენებულ სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტს. 1954 წელს ბერლინში, ხოლო 1955 წელს ჟენევაში მიმდინარე საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დროს გდრ-ის მთავრობამ კვლავ წამოაყენა წინადადება გერმანიის გაერთიანების შესახებ ორივე გერმანიაში საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით, მაგრამ საზღვარგარეთის კონტროლის გარეშე. როდესაც გფრ შევიდა ნატოში, გდრ გახდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, მაგრამ მას უფლება ეძლეოდა ერთიანი დემოკრატიული გერმანული სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში გამოსულიყო ვარშავის ორგანიზაციიდან.

გფრ-ის ნატოში შესვლისა და პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ გერმანიაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ამის შემდეგ გდრ-ის მთავრობამ 1957 წელს გერმანიის საკითხზე შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორივე გერმანული სახელმწიფოს განვითარებაში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების შექმნის გამო მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის გატარებას. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში თავისუფალი არჩევნების გზით გერმანიის გაერთიანების საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან. ამის ნაცვლად გდრ-ის მთავრობამ წამოაყენა ორი გერმანული სახელმწიფოს თანდათანობითი დაახლოების კონკრეტული გზა. ეს უნდა ყოფილიყო საერთო გერმანული სახელმწიფოს კონფერენციის შექმნა საერთაშორისო ხელშეკრულების ბაზაზე. ამ მიზნით პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების დადება გერმანიის ტერიტორიაზე ატომური იარაღის წარმოებისა და შენახვის აკრძალვაზე, ორივე სახელმწიფოს გამოსვლა სამხედრო ბლოკიდან, სამხედრო ვალდებულებების გაუქმება და ა. შ.

1961 წელს გდრ-ის სახალხო პალატამ მიიღო გერმანიის მშვიდობის გეგმა, რომლის მთავარ ამოცანას გფრ-ის რემილიტარიზაციის გამო წარმოადგენდა ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა, ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან დემოკრატიული სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. გდრ-ის მთავრობა მომდევნო წლებშიც დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდა გფრ-თან, ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობისათვის, ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე. მაგრამ გდრ-ის მთავრობის ყველა სამშვიდობო წინადადებანი უგულებელყოფილი იქნა და აწყდებოდა გფრ-ის რეაქცი-

ული მთავრობის წინააღმდეგობებს. ეს უკანასკნელი უარს ამბობდა ეცნო გდრ-ის საერთაშორისო უფლებრივობა, პრეტენზიებს აცხადებდა მთელი გერმანიის წარმომადგენლობაზე. აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ ახორციელებდა მისი გფრ-თან ძალით შერწყმის კურსს. ამ მიზნით გფრ ფართოდ იყენებდა დასავლეთ ბერლინის ტერიტორიას, მრავალრიცხოვან პროვოკაციებს და დივერსიებს აწყობდა გდრ-ის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ გდრ-ის მთავრობამ 1961 წლის აგვისტოში გფრ-სა და დასავლეთ ბერლინს შორის არსებულ საზღვრებზე დააწესა კონტროლი, რომელიც არსებობს ყველა სუვერენულ სახელმწიფოს საზღვრებზე.

გდრ-ის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური თანამეგობრობის, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობისა და მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება. გდრ-ის შექმნის პირველივე დღიდან საბჭოთა კავშირი მას ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდა. სსრ კავშირმა 1950 წელს 50%-ით შეამცირა გდრ-თან მისაღები სარეპარაციო გადასახადი, ხოლო 1953 წელს კი მთლიანად გააუქმა იგი და გარდა ამისა გდრ-ს გადასცა მის ტერიტორიაზე არსებული რეპარაციის ანგარიშზე კონფისკებული ფაშისტთა სამხედრო საწარმოები. 1955 წელს დაიდო „სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის ურთიერთობის ხელშეკრულება", რომლითაც გდრ-ამ მიიღო შეუზღუდველი სუვერენული უფლებები. გაუქმდა უმაღლესი კომისრის აპარატი და მის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება. 1964 წლის ივლისში სსრ კავშირსა და გდრ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ.

გდრ-ის მიერ ყოველი გადადგმული ნაბიჯი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე წარმატებით იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ იგი იქნება მჭიდრო კავშირში სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან. ამ თანამეგობრობის ჩარჩოებში გდრ განმტკიცდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მტკიცედ იდგნენ გდრ-ის მხარეზე, როცა იგი თავს იცავდა გფრ-ის მონოპოლისტური კაპიტალის ნაციონალისტური და რევანშისტური წრეების აგრესიული მუქარისაგან. გდრ-ის წინააღმდეგ გფრ-ის და დასავლეთის სახელმწიფოების აგრესიული წრეები, ხელი რომ შეეშალათ გდრ-ში სოციალისტური მშენებლობისათვის და გამოეგლიჯათ იგი სოციალისტური სისტემისათვის ყველაზე ბინძური მეთოდების გამოყენების წინაშეც არ ჩერდებოდნენ. მის წინააღმდეგ მიმართავდნენ სოციალიზმის „უკუგდების", „ჰალშტეინის," „შეელის" გაბანკროტებულ დოქტრინებს, დისკრიმინაციულ აქტებს, სამხედრო ინტერვენციის მუქა-

რას, ეკონომიურ ბლოკადას, პროვოკაციებს, საბოტაჟს და ა. შ. მაგრამ ყველაფერმა ამან, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერის შედეგად, კრახი განიცადა. ეს, ერთი მხრივ, საერთაშორისო არენაზე ძალთა თანაფარდობაში სოციალიზმის სასარგებლოდ მომხდარი ცვლილებებისა და, მეორე მხრივ, იმპერიალიზმის ღრმა კრიზისის შედეგია. სოციალიზმის თანამეგობრობის ქვეყნების განუხრელმა აყვავებამ და წინსვლამ ხელსაყრელი საგარეო პირობები შექმნა გდრ-ში სოციალიზმის განმტკიცებისათვის. ამის წყალობით კი გდრ-ს, თავს მხრივ ქმედითი წილი შეჰქონდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის პოზიციების განმტკიცებაში. გდრ-ის მთავრობა სისტემატურ ბრძოლას აწარმოებდა მისი საერთაშორისო-უფლებრივი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოდ ცნობისათვის. 1969 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა გფრ-ის პრეზიდენტს გ. ჰაინემანს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გერმანულ სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის საჭიროა ურთიერთობის ფორმირება საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო უფლებრივი ნორმების საფუძველზე. მიმართვასთან ერთად გაიგზავნა სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული პროექტი „ხელშეკრულების თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარების შესახებ გდრ-სა და გფრ-ს შორის“.

1970 წლის 19 მარტს, შემდეგ კი მაისში, გდრ-ის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა გფრ-ის კანცლერ ვ. ბრანდტსა და გდრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფს შორის. ეს შეხვედრები ოცი წლის განმავლობაში პირველი იყო ორივე გერმანული სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის მარტში ერფურტში (გდრ), მაისში კასელში (გფრ). ვ. შტოფმა განაცხადა, რომ გდრ მზად არის სასწრაფო წესით მოამზადოს და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას თანასწორუფლებიანი ურთიერთობის შესახებ, ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის. ამ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს შორის შეხვედრები მოეწყო აგრეთვე 1970 წლის ნოემბრის ბოლოს ბერლინსა და ბონში.

გდრ დასავლეთ ბერლინისადმი ახორციელებდა კურსს, რომლის მიზანი იყო დაძაბულობის შენელება ევროპის ცენტრში და მოითხოვდა გფრ-ის უკანონო ჩარევის შეწყვეტას დასავლეთ ბერლინის საქმეებში.

ვ. ულბრიხტმა 1970 დეკემბერში განაცხადა, რომ გფრ-ის დასავლეთ ბერლინის საქმეებში ჩარევის შეწყვეტა გზას გახსნიდა გდრ-სა და გფრ-ს შორის შეთანხმების მიღწევაში ორმხრივი სატრანზიტო მიმოსვლის დამყარების საქმისათვის.

საბჭოთა კავშირსა და გფრ-ს შორის 1970 წლის აგვისტოში დადებულ შეთანხმებას, ომის შემდგომ დადგენილი საზღვრების ცნობის შესახებ და ოთხმხრივ შეთანხმებას (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი), რომელიც 1971 წლის სექტემბერში დაიდო გდრ-ის ტერიტორიაზე მდებარე დასავლეთ ბერლინის შესახებ, გდრ-ის მთავრობა მიესალმა და, თავის მხრივ, დიდი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ამ ხელშეკრულების დადებისას აშშ-მა, ინგლისმა და საფრანგეთმა პირველად, ვალდებულებების სახით აღნიშნეს გდრ-ის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს შესახებ. გდრ, გფრ და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც გდრ-ის ინიციატივით 1971 წლის გაზაფხულზე დაიწყო, დეკემბერში დამთავრდა მათ შორის შეთანხმების დადებით სამოქალაქო პირების და ტვირთის სატრანზიტო მიმოსვლის შესახებ დასავლეთ ბერლინსა და გფრ შორის. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წლის 3 ივნისს.

1972 წლის 26 მაისს ბერლინში, გდრ-ის ინიციატივით, გფრ-თან დაიდო სატრანსპორტო შეთანხმება. ეს არის პირველი სახელმწიფო შეთანხმება გდრ-სა და გფრ-ს შორის. ამ შეთანხმებებს აქვთ საერთაშორისო უფლებრივი ძალა, რაც კიდევ ერთხელ უსაფუძვლოს ხდის დასავლეთის პროპაგანდის მტკიცებას იმაზე, რომ ორივე გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობა წარმოადგინოს. როგორც „შიდაგერმანული". აღნიშნული ხელშეკრულების დადების შემდეგ 1971 წელს ერთგვარი ძვრები მოხდა გდრ-თან ურთიერთობაში.

დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა გდრ-ის ცნობის ეროვნული კომიტეტები, რომლებიც 1971 წლის ბოლოს მსოფლიოს 53 ქვეყანაში იყო.

1972 წლისათვის გდრ-ის პოზიციების განმტკიცება საერთაშორისო არენაზე სწრაფი ტემპით ვითარდებოდა: ნოემბერში იგი გახდა იუნესკოს წევრი და მიიღო მუდმივი მეთვალყურის სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. დეკემბერში გახდა ამ ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის წევრი. აშშ-ის, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ გდრ და გფრ განცხადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მათი მიღების შესახებ. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ სცნო გდრ-ის რესპუბლიკა და დაამყარა მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა.

1972 წლის 21 დეკემბერს ბერლინში გდრ-სა და გფრ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ. ეს ხელშეკრულება შემობრუნების პუნქტია ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. იგი ძალაში შევიდა 1973 წლის 21 ივნისს ორივე ქვეყნის პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემდეგ.

ხელშეკრულება აგვარებს ამ ორ ქვეყანას შორის როგორც სუ-ვერენულ სახელმწიფოების ურთიერთობას, სცნობს ორივე გერმანუ-ლი სახელმწიფოს სუვერენულ თანასწორუფლებიანობას, მათ დამო-უკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და ბოლოს უღებს გფრ-ის პრეტენზიებს მარტო თვითონ გამოდიოდეს მთელი გერმანიის სახელით.

1973 წელს გდრ მიღებული იქნა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში, ხოლო 18 სექტემბერს იგი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზა-ციის წევრი. 1973 წელს მიმდინარეობდა გდრ-ის ურთიერთობის ნორ-მალიზაცია კაპიტალისტურ ქვეყნებთან, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. დიდმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა და მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ სცნო გდრ, დაამყარა მასთან დიპლომატიური, სავაჭრო, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობა. 1974 წლისათვის გდრ დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამ-ყარებული 100-ზე მეტ სახელმწიფოსთან. 1974 წლის 14 მარტსა და ივნისში ვენაში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გდრ და გფრ შორის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ აკრედიტირე-ბული იქნენ მათი მუდმივი წარმომადგენლები სახელმწიფოს მეთა-ურებთან.

ამრიგად, ამ ორ გერმანულ სახელმწიფოებს შორის თანასწორ-უფლებიანობისა და სუვერენული უფლებების საფუძველზე დამყარ-და დიპლომატიური და სხვა სახის ურთიერთობანი.

საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობაში გდრ ახორციელებდა ინტენ-სიურ საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას დაძაბულობის შენელების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მომზადება-სა და გატარებაში. თათბირის პირველი ეტაპის დროს გდრ-ის და უნ-გრეთის წარმომადგენლებმა შეიტანეს ერთობლივი დოკუმენტის პრო-ექტი თანამშრომლობის განვითარების შესახებ ეკონომიკის, ვაჭრო-ბის, მეცნიერების, ტექნიკის, გარემოს დაცვის საკითხებში. გდრ მო-ნაწილეობდა ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევრო-პაში შეიარაღებული ძალების, შეიარაღების შემცირების შესახებ და სსრ კავშირთან, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ერთად მან შე-იტანა შეთანხმების ერთობლივი კონკრეტული პროექტი.

„სოციალისტური ქვეყნების კოორდინირებული მოქმედება—განა-ცხადა ე. ჰონეკერმა, ჩვენი პოლიტიკისადმი მოძმე ქვეყნების მხარ-დაჭერამ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საშუალება მისცა მიეღწია თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის საერთაშორისო ცხოვრებაში“.

გდრ უკვე 25 წელია რაც არის სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი ქვეყანა და ძმური სოლიდარობით არის დაკავშირებული, როგორც მოძმე სოციალისტურ, ასევე მშვიდობის, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ქვეყანასთან.

ამრიგად, გერმანიის ტერიტორიის 1/3 ნაწილზე მოხდა დიდი ისტორიული შემობრუნება, აშენდა ახალი სოციალისტური საზოგადოება, აღმოცენდა ახალი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გადაიქცა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

თავი VI

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა[1]

§ 17. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება პოლონეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში

პოლონეთის განთავისუფლება ჰიტლერული უღლისაგან და საერთო დემოკრატიული სახალხო რევოლუციის ეტაპი.

1939 წლის 1 სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს და დაამყარა იქ სისხლიანი ფაშისტური საოკუპაციო რეჟიმი. ომამდელი ბურჟუაზიული პოლონეთის მმართველი წრეების რეაქციულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც საფუძვლად ედო კავშირი საერთაშორისო რეაქციასთან და მტრული ურთიერთობა სსრ კავშირთან, პოლონეთი სექტემბრის კატასტროფამდე მიიყვანა. პოლონელ ხალხს ძალზე ძვირად დაუჯდა ასეთი „დამოუკიდებელი" პოლიტიკა. ტერორისტული უღლის ქვეშ პოლონელი ხალხი გმინავდა ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ჰიტლერელებმა მათ მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ტერიტორიაზე შექმნეს მასობრივი მოსპობის ბანაკები და სატუსაღოები. სადაც ახორციელებდნენ პოლონელი ხალხის მასობრივ ფიზიკურ განადგურებას. ჰიტლერელ ჯალათთა მსხვერპლი გახდა მილიონობით ადამიანი. პოლონელი მოსახლეობა აღმოჩნდა ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე. განადგურდა პოლონეთის ხალხის

---

[1] ტერიტორია — 312,5 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 33,5 მლნ. (1973 წლის ბოლოსათვის), დედაქალაქი — ვარშავა (1973 წლის 1 იანვრისათვის ცხოვრობდა 1356 ათასი კაცი), მოსახლეობის 98,5% შეადგენენ პოლონელები. ეროვნული უმცირესობანი (უკრაინელები, ბელორუსები, სლოვაკები, ლიტველები, ებრაელები, გერმანელები) შეადგენენ მოსახლეობის 1,2%.

საუკუნეობით მოპოვებული ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი, კულტურის ძეგლები, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი. ყველაფერი, რაც იყო ეროვნული, განიცდიდა ნგრევას და განადგურებას. რაც შეეხება პოლონეთის ბურჟუაზიასა და მემამულეებს ისინი ფაქტიურად ჰიტლერელების სამსახურში ჩადგნენ და თავის პოზიციას ნაწილობრივ ინარჩუნებდნენ. პოლონეთის ბურჟუაზიის კაპიტალმა შეინარჩუნა ზოგიერთი პოზიციები, ხოლო კრაკოვში 100 საწარმოდან 43 პოლონური იყო. მსხვილმა მემამულეებმა არა თუ შეინარჩუნეს თავისი მამულები, არამედ ღებულობდნენ სხვადასხვა შეღავათებს და კრედიტებს. რაც შეეხება გლეხებს, მათ ართმევდნენ მიწებს, ბეგრავდნენ აუტანელი გადასახადებით და მიერეკებოდნენ გერმანიაში. პოლონეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის ერთი ნაწილი ჰიტლერულ გერმანიის პოლონეთზე თავდასხმისთანავე საზღვარგარეთ გაიქცა და თავისი ქვეყანა ბედის ანაბარა მიატოვა, ხოლო პოლონეთის მმართველი წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლეონ კოზლოვსკი, ელჩი გერმანიაში ვისოცკი, მინისტრი გეტელი და სხვები, აშკარად გადაბარგდნენ ჰიტლერელთა ბანაკში და თავიანთი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1939 წლის შემოდგომაზე საზღვარგარეთის ქალაქ ანჟერში შეიქმნა ემიგრანტული მთავრობა. ბენერალ სიკორსკის მეთაურობით, ხოლო საფრანგეთში გერმანელების შეჭრის შემდეგ აღნიშნული მთავრობა ლონდონში გაიქცა.

პოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ, რომელშიც შედიოდნენ აშკარა რეაქციონერები, რაჩკევიჩი, მიკოლაიჩაკი და სხვები, საბჭოთა კავშირისადმი თავიდანვე მტრული პოზიცია დაიკავა. ჩვენი მთავრობის სამართლიან ღონისძიებებს დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის უკან დაბრუნებაზე, რომლებიც თეთრპოლონეთს ჯერ კიდევ 1920 წლიდან უკანონოდ ჰქონდა მიტაცებული, ხოლო გერმანელების პოლონეთში შეჭრისას მათ ხელში გადავიდოდა, პოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადებით უპასუხა. ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, როდესაც ჩვენმა მთავრობამ მიზნად დაისახა ყველა ანტიჰიტლერული ძალების გაერთიანება, საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას შორის 1941 წლის 30 ივლისს დაიდო ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ერთიანი წარმოების შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საბჭოთა ტერიტორიაზე პოლონეთის არმიის შექმნას, რომელსაც ოპერატიულ ურთიერთობაში სსრ კავშირის უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელობით უნდა ემოქმედა. საბჭოთა მთავრობამ პოლონეთის მთავრობას სესხიც კი მისცა. ემიგრანტული მთავრობის ტაქტიკა აღნიშნული

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა კავშირიც და გერმანიაც მაქსიმალურად დასუსტებულიყვნენ ამ ომში, ხოლო ომის შემდეგ კი ინგლის-ამერიკის დახმარებით აღედგინა პოლონეთში ომამდელი ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციული რეჟიმი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პოლონეთის არმიას გენერალ ანდერსის მეთაურობით ეკრძალებოდა მონაწილეობას საომარ ოპერაციებში და ფაქტიურად არა მარტო დასავლეთის სახელმწიფოების, არამედ თვით გესტაპოს შპიონაჟის ბუდედაც კი იქცა. ამ არმიაში შეიქმნა ფარული ანტისაბჭოთა ჯგუფი „შეიარაღებული ბრძოლის კავშირი", რომელსაც სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდა და სჯიდა იმ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებსაც შეამჩნევდა საბჭოთა კავშირისადმი კეთილგანწყობილებას.

სტალინგრადთან ბრძოლის დროს პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მითითებით გენერალმა ანდერსმა თავისი არმია ახლო აღმოსავლეთში გაიყვანა, იმ იმედით, რომ სტალინგრადთან საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. იმის ნაცვლად, რომ ჰიტლერელების მიერ დაპყრობილი თავისი ტერიტორიის გათავისუფლებაზე ეფიქრა, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა პრეტენზიებს აცხადებდა საბჭოთა ტერიტორიების მიმართ. მაგალითად, 1943 წლის თებერვალში ამ მთავრობამ წამოაყენა მოთხოვნა უკრაინის, ბელორუსიის და ჩეხოსლოვაკიის დანაწილებაზე. იმის ნაცვლად, რომ ანტიჰიტლერულ კოალიციაში გაერთიანებულ სახელმწიფოთა სიმტკიცეზე ეფიქრა, რომლის ბურჯს და მთავარ დასაყრდენს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, პოლონეთის ემიგრანტულმა მთავრობამ სწორედ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გააჩაღა ბინძური კამპანია, რაც ჰიტლერელებმა თავისი პროვოკაციის მოსაწყობად გამოიყენეს.

საყურადღებოა, რომ სმოლენსკის ხელში ჩაგდების შემდეგ ჰიტლერელებმა დაატყვევეს ათასობით პოლონელი ოფიცერი, რომლებიც 1939 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ იყო ინტერნირებული. დატყვევებული ოფიცრები, გერმანელებმა კატინის ტყეში წაიყვანეს და დახვრიტეს. ხოლო უიარაღო ხალხის დახვრეტის ეს საზარელი აქტი 1943 წელს საბჭოთა სარდლობას გადაამბრალეს. ფაშისტთა ამ პროვოკაციას პოლონეთის ემიგრანტული მთავრობაც აჰყვა და ანტისაბჭოთა კამპანია გააჩაღა. საბჭოთა მთავრობამ ამის შემდეგ გასწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან და ლიკვიდაცია უყო მათ მრავალრიცხოვან წარმომადგენლობას საბჭოთა კავშირში. პოლონეთის დემოკრატიულმა წრეებმა, აღშფოთებულებმა ემიგრანტული მთავრობის ასეთი მოქმედებით, საბჭოთა კავშირში შექმნეს და მალე ჩამოაყალიბეს თა-

დეუშ კოსტიუშკოს სახელობის დივიზია. იგი მალე პოლონეთის არმიად გადაიქცა და საბჭოთა ჯარებთან ერთად ომის უკანასკნელ დღემდე იბრძოდა ფაშისტების განადგურებისათვის.

საბჭოთა მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა პოლონეთის დემოკრატიულ ძალებს როგორც თვით პოლონეთში, ასევე მის გარეთ ბრძოლაში ქვეყნის განთავისუფლებისათვის ფაშისტური უღლისაგან. დემოკრატიული და პატრიოტული ძალების ხელმძღვანელად ქვეყნის შიგნით გახდა „პოლონეთის მუშათა პარტია[1] (პმპ), ~~რომელიც~~ აღმოცენდა 1942 წლის იანვარში. იგი შეიქმნა ღრმა იატაკქვეშ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე. 1943 წლის თებერვალში პმპ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალგაზრდათა ბრძოლის კავშირები.

პმპ თავისი შექმნის პირველივე დღიდან სათავეში ჩაუდგა და ორგანიზატორი გახდა პოლონელი ხალხის ეროვნული, ანტიფაშისტური, გამათავისუფლებელი ბრძოლისა. პმპ, ანტიფაშისტური, გამათავისუფლებელი ბრძოლის გაშლისა და გაფართოების მიზნით ჰქმნის ჯერ პარტიზანულ ნაწილებს, რომლებიც შემდეგ ერთიანდებიან ლუდოვოს გვარდიაში (სახალხო გვარდია). ლუდოვოს გვარდია შემდეგ ლუდოვოს არმიად გადაიქცა. უკვე 1942 წლის მაისიდან დაწყებული თვით პოლონეთის გათავისუფლებამდე პოლონეთის პარტიზანები განუწყვეტლივ და თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ ფაშისტების წინააღმდეგ და გამანადგურებელ დარტყმას აყენებდნენ მათ. 1944 წლის იანვარში ვარშავაში მპ-ის ინიციატივით დემოკრატიული ჯგუფებისა და პარტიების არალეგალურ კრებაზე შეიქმნა „კრაიოვო რადა ნაროდოვა“ ანუ პოლონეთის ეროვნული საბჭო. მან მიზნად დაისახა ქვეყნის ყველა ანტიფაშისტური ძალების გაერთიანება. მასში პმპ-თან ერთად შევიდნენ: მემარცხენე სოციალისტები, სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების მემარცხენეები, იატაკქვეშა პროფკავშირული ორგანიზაციები, საზოგადოებრივი და შეიარაღებული ჯგუფების და პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც იბრძოდნენ ჰიტლერელების წინააღმდეგ. 1944 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ დაიწყო პოლონეთის ტერიტორიის გათავისუფლება. კრაიოვო რადა ნაროდოვამ შექმნა პოლონეთის ეროვნული

---

[1] 1918 წლს „პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ გაერთიანდა „პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენეებთან“ და შექმნა პოლონეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც 1938 წლამდე იარსება. ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში პოლონეთში 1939-1940 წლებში აღმოცენდნენ იატაკქვეშა კომუნისტური ორგანიზაციები. სსრ კავშირთან მეგობრობის საზოგადოება, „სახალხო პოლონეთი“ და სხვები. 1942 წელს ამ ორგანიზაციების ბაზაზე შეიქმნა პოლონეთის მუშათა პარტია.

გათავისუფლების კომიტეტი, რომელმაც გათავისუფლებულ ტერიტორიაზე აიღო დროებითი მთავრობის ფუნქციები. საბჭოთა მთავრობამ სცნო აღნიშნული კომიტეტის ხელისუფლება განთავისუფლებულ ტერიტორიაზე. პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტი 1944 წლის 31 დეკემბრიდან გარდაიქმნა დროებით მთავრობად.

პოლონეთის დროებითი მთავრობის მთავარი პროგრამა იყო პეგკ-ის მანიფესტი, რომელიც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1944 წლის 22 ივლისს. მანიფესტი მოითხოვდა პოლონეთის ხალხის ყველა ძალების მობილიზაციას ჰიტლერელების წინააღმდეგ საბრძოლველად, დამოუკიდებელი, ძლიერი და დემოკრატიული პოლონეთის შექმნისათვის. მანიფესტი პოლონეთის ეროვნულ საბჭოს აცხადებდა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად, რომლის კონსტიტუციურ საფუძვლად, დამფუძნებელი სეიმის მოწვევამდე, ცხადდებოდა 1921 წლის კონსტიტუცია. 1935 წლის ფაშისტური კონსტიტუცია გაუქმებულად ცხადდებოდა. დამფუძნებელი სეიმის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მანიფესტი მოითხოვდა პოლონეთის დასავლეთის ძველი მიწების უკან დაბრუნებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გერმანელების მიერ იყო მიტაცებული, კერძოდ — პოლონეთის პომორიეს, სილეზიის, აღმოსავლეთ პრუსიისა და პოლონეთისათვის ზღვაში ფართო გასასვლელის მიცემას. პოლონეთის დასავლეთის საზღვრები უნდა გასულიყო ოდერსა და ნოისზე, აღმოსავლეთი კი უნდა გადაწყვეტილიყო საბჭოთა კავშირთან შეთანხმებით — პოლონეთის მიწები პოლონეთს უნდა გადასცემოდა. უკრაინის, ბელორუსიის და ლიტვის კი შესაბამისად -- საბჭოთა უკრაინას, საბჭოთა ბელორუსიას და საბჭოთა ლიტვას.

კრაიოვო რადა ნაროდოვას ხელში გადადიოდა სსრ კავშირში მყოფი პოლონეთის არმიისადმი უმაღლესი ხელისუფლება. პოლონეთის არმია და ლუდოვოს არმია ერთიანდებოდა ერთიან პოლონურ არმიად. მანიფესტი მოითხოვდა სამშობლოს ყველა გამყიდველისა და გერმანელი დამნაშავეების დასჯას, პოლონეთისათვის ომისა და ოკუპაციისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

მანიფესტი დღის წესრიგში აყენებდა აგრეთვე თვით განთავისუფლების მსვლელობაში ძირფესვიანი გარდაქმნის ჩატარებას.

პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენდა აგრარული რეფორმის გატარება.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მიწების უდიდესი ნაწილი მსხვილი მემამულეების ხელში იყო. მაგალითად, მსხვილი მემამულეები, რომელთა ხელში იყო 100 ჰექტარზე მეტი მიწა, შეადგენდა მთელი მი-

წათმფლობელთა 0,5 პროცენტს. მათ ხელში იყო მთელი მიწების 31 პროცენტი, მაშინ როდესაც მიწათმფლობელთა 64,4 პროცენტს, რომლის მიწის ნაკვეთი არ აღემატებოდა 5 ჰექტარს, ეკავა მთელი მიწების 14 პროცენტი.

კანონი აგრარული რეფორმის შესახებ მიღებულ იქნა 1944 წლის სექტემბერში. იგი ითვალისწინებდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაციას და მიწების მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის გადაცემას.

შანიფესტი ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პროგრამა გახდა. აგრარული რეფორმის განხორციელება დაიწყო პოლონეთის განთავისუფლების მსვლელობაში, რომლის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა მემამულეთა მიწათმფლობელობა. 6 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა უფასოდ გადაეცა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ომის მსვლელობაში ქვემოდან ხალხის მიერ ტარდებოდა აგრეთვე ნაციონალიზაცია. მსხვილი მრეწველობა, ბანკები, რკინიგზები, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი გადავიდა ხალხის ხელში. შემოღებულ იქნა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური ფაშისტური სახელმწიფო აპარატი დამსხვრეულ იქნა და მის ნაცვლად შეიქმნა ახალი სახალხო-დემოკრატიული მმართველობის სახელმწიფო აპარატი. ბუნებრივია, რომ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნაში მისმა პროგრამამ და დემოკრატიულმა გარდაქმნებმა საშინაო და საგარეო რეაქციის დიდი შეშფოთება გამოიწვია. ისინი სარგებლობდნენ აშშ-ის და ინგლისის მმართველი წრეების მხარდაჭერით და გადაწყვიტეს ხელთ ჩაეგდოთ ძალაუფლება, არ დაეშვათ პოლონეთის დემოკრატიული გზით განვითარება. ამ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ისინი დაადგნენ ნამდვილ ავანტურისტულ გზას, იმის შიშით, რომ ვარშავაში ჩვენი ჯარები შევიდოდნენ, 1944 წლის 1 აგვისტოს, კრაიოვოს არმიის სარდლობამ, რომელიც ლონდონის ემიგრანტულ მთავრობას ემორჩილებოდა, აჯანყება დაიწყო დედაქალაქში. ეს აჯანყება, მისი ორგანიზატორების აზრით, პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის ძალების ერთგვარი დემონსტრაცია უნდა ყოფილიყო. კრაიოვოს არმიას ვარშავაში თავმოყრილი ჰყავდა 15 ათასიანი კაცისაგან შემდგარი იატაკქვეშა ძალები, რომელთაგან მხოლოდ 2,5 ათას კაცს ჰქონდა იარაღი. ვარშავაში კი ამ დროს ჰიტლერელებს 20 ათასიანი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული გარნიზონი ჰყავდა. გარდა ამისა, გერმანელებს ყოველ წუთში შეეძლოთ ახლობელი რაიონებიდან დამატებითი ჯარების თავმოყრა. ეს აჯანყება ემიგრანტული მთავრობის მეთაურს მიკოლაიჩიკს იმისათვის სჭირდებოდა, რომ იგი ამ დროს მოსკოვში მიემგზავრებოდა საბჭოთა მთავრობასთან და პოლონეთის ეროვნული გა-

თავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებ-ლად და ფიქრობდა, რომ ვარშავის აჯანყება ამ მოლაპარაკების დროს მის პოზიციებს გააძლიერებდა.

აჯანყებულებმა ვერ შეძლეს ვარშავის სტრატეგიული პუნქტების ხელთ ჩაგდება. აჯანყებულთ ვარშავის მთელმა მოსახლეობამ დაუჭირა ხელი, მაგრამ სამწუხაროდ ეს მხარდაჭერა სტიქიურ და არაორგანი-ზებულ ხასიათს ატარებდა. ვარშაველებმა არაფერი არ იცოდნენ ამ აჯანყების მზადების შესახებ. ისინი მასში ჩაებნენ ოკუპანტების წი-ნააღმდეგ დიდი სიძულვილის გამო. აჯანყებაში ჩაება აგრეთვე ლუ-დოვოს არმიაც და ამრიგად, მან საყოველთაო ხასიათი მიიღო.

საბჭოთა სარდლობამ არაფერი არ იცოდა ამ აჯანყების შესახებ. საყურადღებოა, რომ ჩვენი ჯარები ზაფხულის დიდი შეტევის შედე-გად დაქანცული იყვნენ და ამავე დროს მოწყვეტილი იყვნენ ზურგი-დან და საჭიროებდნენ დასვენებასა და შევსებას. ამიტომ საბჭოთა სარდლობას ამ დროისათვის არ ჰქონდა გეგმაში ვარშავაზე შეტევის დაწყება. საბჭოთა არმიის სარდლობა დაეხმარა აჯანყებულ ვარშავე-ლებს. ჩვენი თვითმფრინავები აჯანყებულებს თვითმფრინავიდან უყ-რიდნენ საომარ მასალას, იარაღს, სურსათს. ამასთანავე საბჭოთა ჯა-რები პოლონეთის ჯარებთან ერთად სწრაფი შეტევებით 14 სექტემ-ბერს დაეუფლნენ ვარშავის მარჯვენა სანაპიროს პრაღას, მაგრამ მარ-ცხენა სანაპიროზე გადასვლა, სადაც მიმდინარეობდა აჯანყება, ვერ შეძლეს.

ჰიტლერელებმა ვარშავის გარეუბნებიდან თავი მოუყარეს დედა-ქალაქში დიდძალ ჯარებს, შეავიწროვეს აჯანყებულები, მოწყვიტეს ვისლას და ალყა შემოარტყეს მათ ქალაქის დასავლეთ რაიონებ-ში. 2 ოქტომბერს კრაიოვოს არმია სარდალ კომოროვსკის მეთაურო-ბით ჰიტლერელებს ჩაბარდა.

ვარშავის აჯანყება ერთ-ერთი უდიდესი ანტიფაშისტური აჯანყებაა ომის დროს, მან დიდების და გმირობის ფურცლები ჩაწერა პოლონე-ლი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ფაშიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მისი ორგანიზატორები — პოლონეთის რეაქცია მის გამოყენებას თავისი ვიწრო კლასობრივი მიზნებისათვის ფიქრობდა. ვარშაველებს ძალზე ძვირად დაუჯდა რეაქციის ეს პოლიტიკური ავანტურიზმი. ამ აჯანყე-ბისას 250 ათასამდე ვარშაველი დაიღუპა. ჰიტლერის პირადი ბრძანე-ბით მთელი ქალაქი დანგრეული იქნა, ხოლო მისი მცხოვრებნი საკონ-ცენტრაციო ბანაკებში გარეკეს, სადაც უმრავლესობა დაიღუპა. დედაქალაქის თაობიდან თაობამდე შექმნილი მატერიალური და კულ-ტურული ძეგლები და უძვირფასესი ფასეულობა ნანგრევებსა და ცეცხლში ჩაიფერფლა.

ასეთია შედეგი საშინაო და საგარეო რეაქციის ამ ავანტურისტული და მოუფიქრებელი გამოსვლისა.

1944 წლის 6-7 აგვისტოს მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებსა და მიკოლაიჩიკის ემიგრანტულ მთავრობას შორის. მიკოლაიჩიკმა უარი თქვა ეცნო 1921 წლის კონსტიტუცია და მოითხოვდა 1935 წლის ფაშისტური კონსტიტუციის შენარჩუნებას. მან დაგმო აგრეთვე ის სოციალ-ეკონომიური ცვლილებები, რომელიც პოლონეთში განთავისუფლების მსვლელობაში მიმდინარეობდა. მოლაპარაკება მათ შორის ჩაიშალა. ამის შემდეგ მიკოლაიჩიკს იმის თავხედობაც კი ეყო, რომ საბჭოთა მთავრობისაგან მოეთხოვა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისათვის მხარდაჭერის შეწყვეტა, რაზეც საბჭოთა მთავრობამ უარით უპასუხა.

საბჭოთა ჯარებმა ვარშავა 1945 წლის 17 იანვარს გაათავისუფლეს, ხოლო 1 თებერვალს ქალაქ ლუბლინიდან პოლონეთის დროებითი მთავრობა ვარშავაში გადავიდა. მისი მეთაური ანუ პრემიერი გახდა ვ. ოსუბკა-მორავსკი. პირველი მოადგილე — ვ. გომულკა.

პოლონეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1945 წლის 21 აპრილს საბჭოთა კავშირ-პოლონეთს შორის მოსკოვში ხელმოწერილ ხელშეკრულებას მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

სამი სახელმწიფოს მეთაურის ყირიმის კონფერენციაზე. საბჭოთა კავშირის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად აშშ და ინგლისი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ პოლონეთისათვის მისი კუთვნილი დასავლეთის მიწების უკან დაბრუნებაზე. პოტსდამის კონფერენციამ საბოლოოდ დაადასტურა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილება და დაადგინა პოლონეთის დასავლეთის საზღვრები. ამის მიხედვით პოლონეთის დასავლეთის საზღვარი შემდეგნაირად დადგინდა: ბალტიის ზღვიდან სვინემუნდის ცოტა დასავლეთით და იქიდან მდინარე ოდერის გასწვრივ დასავლეთ ნოისეს შესართავამდე და დასავლეთ ნოისედან ჩეხოსლოვაკიამდე. პოლონეთის საზღვრებში შევიდა აღმოსავლეთ პრუსიის სამხრეთი ნაწილი. პოლონეთი ღებულობდა ბალტიისპირეთში ფართო ზოლს მსხვილი საპორტო ქალაქებით დანციგი (ამჟამად გდანსკი) და შტეტინით (ამჟამად შეცინი). პოლონეთისათვის დაბრუნებული ტერიტორიიდან გერმანელი მოსახლეობა უნდა გასახლებულიყო გერმანიაში. ყირიმის კონფერენციაზე გადაწყდა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხიც, რომლითაც იგი უნდა გასულიყო „კერზონის ხაზის“ გასწვრივ, ზოგიერთ ადგილებში ჩვე-

ნი საზღვრებისაკენ 5—8 კილომეტრის გადახრით პოლონეთის სასარგებლოდ.

1945 წლის 16 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების შესახებ. ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების მიხედვით საზღვარი ამ ორ სახელმწიფოს შორის დაწესდა ე. წ. კერზონის ხაზის მიხედვით ჩვენი საზღვრებისკენ 17—30 კმ-ის გადახრით პოლონეთის სასარგებლოდ. საბჭოთა კავშირმა პოლონეთის სასარგებლოდ უარი თქვა პრეტენზიებზე გერმანიის იმ საწარმოებსა და აქციებზე, რომლებიც პოლონეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა თავისი რეპარაციების ხვედრიდან, რომელიც მას გერმანიიდან უნდა მიეღო, პოლონეთს დაუთმო: მთელი რეპარაციების მიწოდების 15% საბჭოთა საოკუპაციო ზონიდან, და 15% დასავლეთის ზონიდან.

დემოკრატიული ძალების ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად

ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის ზაფხულში პოლონეთში დაბრუნდა პოლონეთის გაბანკროტებული ემიგრანტული მთავრობა მიკოლაიჩიკის მეთაურობით. მიკოლაიჩიკი და მისი დამქაშები სარგებლობდნენ ინგლის-ამერიკის მხარდაჭერით და ცდილობდნენ ისახავდნენ სამოქალაქო ომის გაჩაღებასა და ომამდელი რეჟიმის აღდგენას პოლონეთში. 1945 წლის ივნისში შეიქმნა ეროვნული ერთობის მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს მიკოლაიჩიკი და მისი მომხრეები[1].

მიკოლაიჩიკმა მთავრობაში დაიკავა მეორე ვიცე-პრემიერის პოსტი. მიკოლაიჩიკის ჯგუფი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა მრეწველობის, ვაჭრობის, ბანკებისა და ტრანსპორტის ნაციონალიზაციისათვის, რომელიც როგორც ვიცით, ჯერ კიდევ განთავისუფლების მსვლელობაში ტარდებოდა ქვემოდან, ხალხის ინიციატივით. მიუხედავად მიკოლაიჩიკის და მისი ჯგუფის წინააღმდეგობისა 1946 წელს კრაიოვო რადა ნაროდოვამ მიიღო კანონი მრეწველობის, ბანკების,

[1] ყირიმის კონფერენციაზე აშშ-ის და ინგლისის მთავრობებმა მოითხოვეს, პოლონეთში შექმნილიყო მთავრობა ემიგრანტული მთავრობის ბაზაზე მიკოლაიჩიკის მეთაურობით და სახალხო წარმომადგენლების მონაწილეობით. დასავლეთის სახელმწიფოები ფიქრობდნენ, რომ მიკოლაიჩიკი ასეთ შემთხვევაში შეძლებდა ძალაუფლების შენარჩუნებას საშინაო რეაქციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერის გზით. ისინი ემიგრანტული მთავრობის ბაზაზე მთავრობის შექმნას მოითხოვდნენ ეროვნული ერთიანობის შენარჩუნების მოტივით.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა საწარმოები, სადაც 20 კაცზე მეტი მუშაობდა. წარმოების ნაწილი გადავიდა კოოპერატივების ხელში. ამ რეფორმის შედეგად მთელი მსხვილი და საშუალო მრეწველობა ნაციონალიზებულ იქნა. წვრილი საწარმოები ხელუხლებელი რჩებოდა. მათ ხელში რჩებოდა საწარმოების 16%. საბანკო სისტემა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. მსხვილი, საშუალო მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ამ ღონისძიების შედეგად ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები მოხდა. ეკონომიური საფუძველი გამოეცალა საზღვარგარეთის კაპიტალისა და ადგილობრივი მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ბატონობას ქვეყანაში. მრეწველობის ნაციონალიზებას დაემთხვა აგრეთვე აგრარული რეფორმის გატარებაც.

მიკოლაიჩიკი და მისი ჯგუფი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ აღნიშნული გარდაქმნების გატარებას. მიკოლაიჩიკმა ჯერ კიდევ 1945 წლის აგვისტოში მოახერხა გლეხთა პარტიის სტრონიცტვო ლუდოვოს გათიშვა, მიიმხრო ამ პარტიის მემარჯვენე ელემენტები და შეაკოწიწა პარტია პოლსკოე სტრონიცტვო ლუდოვოს (პსლ) სახელწოდებით. მასში გაერთიანდნენ ქვეყნის ყველა ანტიდემოკრატიული ელემენტები. საშინაო რეაქციის შეტევას დემოკრატიულმა პარტიებმა პროფკავშირებთან ერთად ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნით უპასუხეს. 1946 წლის 30 ივნისს, ზოგიერთი კონსტიტუციური საკითხის გადასაჭრელად, ჩატარდა საერთო სახალხო რეფერენდუმი. ხალხმა ხმა მისცა სენატის გაუქმებას და მოითხოვა გარდაქმნების კონსტიტუციურად დაკანონება. დემოკრატიული ძალების საარჩევნო ბლოკში ოთხი პარტია გაერთიანდა: პოლონეთის მუშათა პარტია, პოლონეთის სოციალისტური პარტია, გლეხთა პარტია, დემოკრატიული პარტია და აგრეთვე პროფკავშირები. მათი პროგრამა მოითხოვდა ქვეყნის ღრმა გარდაქმნით ღონისძიებებს და ძლიერი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნას. მიკოლაიჩიკის პარტიის მფარველად გამოვიდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამავე დროს საკანონმდებლო სეიმის არჩევნების დროს, რომელიც 1947 წლის 19 იანვარს ჩატარდა, ინგლის-ამერიკის მთავრობა ცდილობდა პოლონელ ამომრჩევლებზე ზეგავლენა მოეხდინა მიკოლაიჩიკის სასარგებლოდ. აღნიშნული მთავრობის წარმომადგენლებმა თავიანთ განცხადებებში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს პოლონეთის დასავლეთის საზღვრები. ინგლის-ამერიკის მთავრობათა ასეთმა უხეშმა ჩარევამ პოლონელ ხალხში მიკოლაიჩიკისა და მისი ჯგუფისადმი უკურეაქცია გამოიწვია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიკოლაიჩიკის გლეხთა მემარჯვენე პარტიამ და მისმა მომხრე სხვა მემარჯვენე ჯგუფებმა დემოკრატიული ბლოკის

პროგრამას ვერაფერი საპასუხო ვერ დაუპირისპირეს. მემარჯვენეებს მხარს უჭერდნენ რეაქციული იატაკქვეშა ბანდები, რომელნიც თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ დემოკრატიულ მოღვაწეებს. მათთან უშუალო კავშირისათვის მიკოლაიჩიკის პარტიის 22 სარაიონო ორგანიზაცია დაიხურა.

აღნიშნული არჩევნებისას გამარჯვებას მიაღწია დემოკრატიული პარტიების ჯგუფმა, რომელმაც 444 ადგილიდან 384 ადგილი მიიღო. მიკოლაიჩიკის ჯგუფმა მიიღო მხოლოდ 28 ადგილი. ამის შემდეგ მიკოლაიჩიკი და მისი ჯგუფი დარწმუნდნენ თავის წარუმატებლობაში და საზღვარგარეთ გაიქცნენ. 1947 წლის 5 თებერვალს შეიქმნა სახალხო მთავრობა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ბოლესლავ ბერუტი. სეიმმა მიიღო ოსუბკა-მორავსკის მთავრობის გადადგომა[1]. მთავრობის შედგენა დაევალა უ. ცირანკევიჩს. ცირანკევიჩის მთავრობაში რეაქციის არც ერთი წარმომადგენელი არ შეიყვანეს.

1947 წლის 19 თებერვალს მიღებულ იქნა ე. წ. მცირე კონსტიტუცია — „საკონსტიტუციო კანონი პოლონეთის რესპუბლიკის სტრუქტურისა და უმაღლესი ორგანოების კომპეტენციების შესახებ“, ხოლო 22 თებერვალს სამოქალაქო უფლებების და თავისუფლების შესახებ. აღნიშნული კანონებით საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა საკანონმდებლო სეიმის, ხოლო აღმასრულებელი—პრეზიდენტის, სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის ხელში. ცხადდებოდა დემოკრატიული თავისუფლებები. სამრიგად, საშინაო და საგარეო რეაქციის ყოველგვარი ცდები, რომ არ დაეშვათ პოლონეთის განვითარება დემოკრატიული გზით და აღედგინათ ომამდელი რეჟიმი, კრახით დამთავრდა. ჩაიშალა აგრეთვე მათი ცდები, რომ პოლონელი ხალხისათვის თავზე მიეხვიათ სამოქალაქო ომი და მოეწყოთ საზღვარგარეთის ინტერვენცია. საბჭოთა ჯარების ყოფნამ პოლონეთის ტერიტორიაზე და პოლონეთის მუშათა კლასისა და გლეხობის მჭიდრო კავშირმა ჩაფუშა ეს გეგმები. 1947 წლამდე სახალხო დემოკრატიული რეჟიმი თავისი კლასობრივი არსით პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა იყო. 1944 — 1946 წლებში ჩატარებული გარდაქმნები ძირითადად, დემოკრატიული ხასიათისა იყო,

[1] ოსუბკა-მორავსკი პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი მემარჯვენე ლიდერი იყო. მან წამოაყენა „თეორია“, რომელიც პრაქტიკულად კლასობრივ ბრძოლას უარყოფდა. ის აცხადებდა სოციალისტური, კაპიტალისტური და წვრილსაკუთრული სექტორების პარალელური განვითარების შესაძლებლობაზე პოლონეთის ეკონომიკაში. ამ მავნე თეორიიდან გამოჰქონდა დასკვნა „მესამე ძალის“ კონცეპციის შესახებ, პოლონეთის მუშათა პარტიასა და მიკოლაიჩიკის გლეხთა პარტიას შორის. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა რევოლუციური ძალების კავშირს რეაქციასთან.

მაგრამ იგი ახლოს იდგა და მჭიდროდ უკავშირდებოდა სოციალისტურსაც და შექმნა პირობები სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლისათვის. 1947 წლის სეიმის არჩევნებში დემოკრატიული ძალების გამარჯვებით პოლონეთში იწყება განვითარების ახალი, პროლეტარული დიქტატურისა და სოციალიზმის საფუძველის მშენებლობის პერიოდი. მაგრამ პოლონეთის რეაქციამ უცებ კი არ დაყარა ფარ-ხმალი. იგი ამჯერად იატაკქვეშ განაგრძობდა შეიარაღებული ბანდებით ბრძოლას თვით 1948 წლამდე. რამაც პოლონეთის მუშათა პარტიის ბევრი საუკეთესო წარმომადგენელი იმსხვერპლა. მაგალითად, 1948 წლამდე იატაკქვეშა რეაქციონერებმა 15 ათასი პარტიის წევრი მოკლეს. მაგრამ ტერორმა და იატაკქვეშა ბანდიტურმა თავდასხმებმა ვერ გასტეხეს პმპ-ის და მუშათა კლასის მტკიცე გადაწყვეტილება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ, მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობისა, გაიმარჯვა. მისი თავისებურება ის იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და სოციალისტური რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტა თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა.

§ 18. პოლონეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის შექმნა

1947 წლისათვის ძირითადად დამთავრდა აგრარული რეფორმისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარება. განადგურებულ იქნა ყველა რეაქციული ბურჟუაზიული პარტია, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციისა და სოციალიზმის გზით განვითარების საქმეს. მაგრამ მუშათა კლასის ხელისუფლების განმტკიცებისათვის საჭირო იყო მუშათა კლასის გათიშულობის ლიკვიდაცია. ცალ-ცალკე არსებობდა პოლონეთის მუშათა პარტია და პოლონეთის სოციალისტური პარტია. პოლონეთის სოციალისტური პარტიის რიგების მემარჯვენე ელემენტებისაგან გაწმენდის შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ ორი პარტიის გაერთიანება. 1948 წლის დეკემბერში შედგა აღნიშნული პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელზეც შეიქმნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია (პგმპ).

ამრიგად, მუშათა კლასის გათიშულობას ბოლო მოეღო და პგმპ შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე. ყრილობაზე მიღებულ იქნა პროგრამა და წესდება. წესდებაში მითითებული იყო, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მიზანია სოციალისტური წყობილების აშენება, რომელშიც მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

პარტიის ერთიან ეროვნულ ბლოკში გაერთიანება.

1949 წელს გაერთიანდა „სტრონიცტვო ლიუდოვო" და მიკოლაიჩიკის შ-ერ შექმნილი, მაგრამ ამჯერად უკვე მემარჯვენე და რეაქციონერი ელემენტებისაგან გაწმენდილი „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვო" და შეიქმნა გლეხთა გაერთიანებული პარტია[1].

1950 წლის იელისში გაერთიანდა კიდევ ორი პარტია—დემოკრატიული პარტია[2] (იგი აერთიანებდა პროგრესულად განწყობილ ინტელიგენციას და ხელოსნებს) და „შრომის პარტია" („სტრონიცტვო პრაცი") (აერთიანებდა ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებს). ამ ორი პარტიის გაერთიანების შემდეგ მან მიიღო დემოკრატიული პარტიის სახელწოდება. სამივე პარტია სცნობს პგმპ-ის ხელმძღვანელ როლს. 1951

---

[1] გლეხთა გაერთიანებული პარტია ასახავს გლეხების ინტერესებს, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში და სოციალიზმის მშენებლობაში. 1969 წელს ამ პარტიის V ყრილობაზე მიღებულ და VI ყრილობაზე (1973 წ.) უმნიშვნელოდ შეცვლილ საპროგრამო დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამ პარტიის ამოცანაა პოლონეთის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება და მისი ყოველმხრივი განვითარება, რათა ეფორ მთლიანად დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები. პარტია თავის რიგებში აერთიანებს 428 ათას წევრს (1973 წ. აპრილი). პარტიის სოციალური შემადგენლობა ასეთია: გლეხები—74%, გონებრივი შრომის მუშაკები—19%, მუშები—5%, ღანარჩენი ხელოსნებია. თავმჯდომარეა—სტანისლავ გუცვა. პარტიას ყავს თავისი წარმომადგენლები სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებში, მათ შორის საბჭოებში—50 ათასი დეპუტატი; სეიმში—117 დეპუტატი. პარტიის ბეჭდვითი ორგანოებია ყოველდღიური ორგანო—„სახალხო კაზეთი", კერძოდ ორჯერ გამოდის გაზეთი—„მწვანე დროშა", ყოველთვიური ჟურნალი „თანამედროვე სოფელი".

[2] დემოკრატიული პარტია 1939 წელს შეიქმნა. იგი ანტიფაშისტური პარტია იყო და გამოვიდა პოლონეთში არსებული ბურჟუაზიულ-მემამულეური რეჟიმის წინააღმდეგ. ომის დროს მან კავშირი დაამყარა მუშათა პარტიასთან, მონაწილეობდა იატაკქვეშა ბრძოლებში დამოუკიდებელი და დემოკრატიული პოლონეთის ლოზუნგით. ომის შემდეგ დემოკრატიული პარტია თანამშრომლობდა მუშათა პარტიასთან, შემდეგ კი პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასთან. თავის პროგრამულ დოკუმენტებში დემოკრატიული პარტია სცნობს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის ხელმძღვანელ როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში და სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას. იგი მომხრეა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული კავშირისა.

დემოკრატიული პარტია თავის რიგებში ითვლის 90 ათას წევრს, აქედან—60% შეადგენენ გონებრივი შრომის მუშაკები—უმთავრესად ინტელიგენცია, 40%—ხელოსნები, კერძო ვაჭრები და მოსახლეობის სხვა ფენები (1973 წ.). დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის ცკ-ის თავმჯდომარეა ანჯერ ბენეში (აირჩიეს X ყრილობაზე 1973 წ.).

პარტიის ბეჭდვითი ორგანოებია ყოველდღიური საღამოს გაზეთი „პოლონეთის კურიერი" და „ილუსტრირებული პოლონეთის კურიერი", ასევე ყოველკვირეული გაზეთი „დემოკრატიული ყოველკვირეული".

წელს პგმპ-ის ინიციატივით შეიქმნა ხალხთა ეროვნული ფრონტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა ყველა პოლიტიკური პარტია და მასობრივი ორგანიზაცია — პროფკავშირები, სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი, სოფლის ახალგაზრდობის კავშირი, პოლონელი სტუდენტების კავშირი[1].

პოლონეთის მუშათა კლასის გათიშულობის ლიკვიდაციამ, სხვა არსებული პოლიტიკური პარტიების მიერ პგმპ-ის ხელმძღვანელი როლის ცნობამ, და ბოლოს, ყველა პარტიის და ორგანიზაციის გაერთიანებამ ერთიან ეროვნულ ბლოკში ხელი შეუწყო პოლონეთში მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება, სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობისათვის ბრძოლაში

მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების ხელში აღებამ სახალხო-დემოკრატიულ მთავრობას საშუალება მისცა ეზრუნა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპით გატარებისათვის. პარტიამ და მთავრობამ გასაოცარი სისწრაფით გაატარეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა. ომამდელი პოლონეთი ღარიბი და ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო. მისი სამრეწველო პოტენციალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის სამჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჰიტლერულმა ოკუპაციამ დიდი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, ეროვნული სიმდიდრის თითქმის 40% განადგურდა. პოლონეთი წარმოადგენდა ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას. მსხვილი ოა საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ სახელმწიფოს ხელში გადავიდა 15 ათასი სამრეწველო საწარმო, სადაც შრომობდა წარმოებაში და-

---

[1] პროფკავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი თავის რიგებში აერთიანებენ 22 დარგობრივ კავშირს და სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა 90%.

სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი მუშაობას აწარმოებს ქალაქის მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. სოფლის ახალგაზრდობის კავშირი მუშაობას აწარმოებს ახალგაზრდა გლეხებსა და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის. პოლონეთის სტუდენტთა კავშირის რიგებში ქვეყნის სტუდენტობაა გაერთიანებული. ყველა ამ პარტიისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს ხალხის ერთიანობის ფრონტი, რომლის საფუძველია მუშათა და გლეხთა კავშირი და ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანამშრომლობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით. ხალხის ერთიანობის ფრონტის თავმჯდომარეა ი. გროშკოვსკი.

კავებული მუშათა 78%. მეურნეობის უდიდესი ნაწილის ნაციონალიზაცია სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანის გადაჭრას ნიშნავდა. მაგრამ საჭირო იყო აგრეთვე სოციალისტური რევოლუციის მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრა — ეკონომიური ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევა, მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის დაუღალავად ზრუნვა, რათა ხალხს ეგრძნო და დაენახა მოწინავე სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. საერთო ეროვნულ შემოსავალში უპირატესობა წვრილსასაქონლო, უმთავრესად გლეხური მეურნეობის სასარგებლოდ იყო, მაგალითად, 1947 წლისათვის საზოგადოებრივი სექტორის წილი ეროვნულ შემოსავალში 35,9% შეადგენდა. ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი სექტორის უპირატესობის გაზრდა საერთო ეროვნულ შემოსავალში, ომისაგან განადგურებული ეკონომიკის აღდგენა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა. სოციალისტური ეკონომიკის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს იარაღს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიანობა. მან უნდა უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის მიერ ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობის დაკავება და ეკონომიკის ყველა დარგის სწრაფი განვითარება.

1947 წელს მთავრობამ გაატარა „ბრძოლა ვაჭრობისათვის", რომლის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ დაეხურათ ყველა ის არხი, რომლითაც კაპიტალისტური ელემენტები სახელმწიფო საწარმოებში წარმოებული პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელში ჩაგდებით და გადაყიდვით ხელს ითბობდნენ. ეს ღონისძიება წარმატებით ჩატარდა. უკვე 1948 წლისათვის სახელმწიფო საცალო ვაჭრობა 10-ჯერ გაიზარდა. სოციალისტური სექტორის წილი საბითუმო ვაჭრობაში შეადგენდა 80—85%. საგარეო ვაჭრობის მოცულობამ ომამდელს გადააჭარბა.

ომის დამთავრებისთანავე მთავრობა და პარტია სათავეში ჩაუდგნენ პოლონეთის ძველი დასავლეთის მიწების აღორძინების საქმეს. ჰიტლერელებმა ამ მიწებიდან უკან დახევის დროს წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაანადგურეს. ამ მიწებზე ადრე მცხოვრები გასახლებული გერმანელების ნაცვლად მთავრობამ იწყო უფრო მჭიდროდ დასახლებული სხვა რაიონებიდან პოლონელების ჩასახლება. სოფლები და ქალაქები იქ სულერთიანად გადაბუგული და ყველაფერი ახლიდან დასაწყები იყო. ამიტომ მოსახლეობა თავს არიდებდა იქ ჩასახლებას, ხოლო ჩასახლებულნი უკან ბრუნდებოდნენ. პარტიას დიდი ენერგიისა და სახსრების დახარჯვა დასჭირდა იმისათვის, რათა

გადაეჭრა დასავლეთის მიწებზე ხალხის დასახლება, სოფლის მეურნეობის და წარმოების აღდგენა. ამ მიზნით იქ დიდი თანხები ბანდდებოდა. 1948 წელს დასავლეთის მიწებზე მოდიოდა მთელი სახელმწიფოს დაბანდების საერთო თანხის 38%. 1949 წლისათვის დასავლეთის მიწებზე უკვე 6 მილიონი კაცი ცხოვრობდა. პოლონელი ხალხის აღმშენებელ მუშაობას დასავლეთის ოლქებში დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი.

პოლონეთის მუშათა პარტიამ შეიმუშავა სამწლიანი გეგმა (1947 — 1949), რომლის ძირითადი ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის აღდგენა, ომამდელი დონისათვის მიღწევა და მისი შემდგომი განვითარება. სამწლიანი გეგმის შესრულების შედეგები ის იყო, რომ ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლებით პოლონეთმა ომამდელ დონეს გადააჭარბა.

ექვსწლიანი გეგმის (1950 — 1955. წწ.) მთავარი ამოცანა იყო პოლონეთში სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა. მისი შესრულების დაწყების წინ სოციალისტურ სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი ადგილი ეკავა, განსაკუთრებით მრეწველობაში, სადაც იგი შეადგენდა 89%. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ შემდეგნაირი მდგომარეობა იყო. 1949 წლიდან პოლონეთში დაიწყო საწარმოო კოოპერატივების შექმნა. მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწების ნაწილზე შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები. არსებობდა აგრეთვე მანქანა-ტრაქტორების სადგურები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ სახელმწიფო კოოპერაციულ და გლეხთა მეურნეობებს. სამწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ პოლონეთმა კი გადააჭარბა ომამდელ დონეს, მაგრამ ომამდე ხომ იგი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, ამიტომ ექვსწლიანი გეგმა მიზნად ისახავდა ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, მძიმე ინდუსტრიის, როგორც კაპიტალური მშენებლობის, უპირატესად განვითარებას. გეგმით გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გაზრდა.

ექვსწლიანი გეგმის მსვლელობის პერიოდში პოლონელმა ხალხმა დიდ წარმატებას მიაღწია თავისი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაში. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: საავტომობილო, საავიაციო, გემთმშენებლობის, სატრაქტორო, დაზგათმშენებელი, აიგო ძლიერი ელექტროსადგურები, აღმოცენდა ახალი სამრეწველო ცენტრები: ლუბლინი, ჟეშუვი, კრაკოვი და სხვ. ექვსწლიანი გეგმის შესრულების შედეგად პოლონეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

1952 წლის კონსტიტუცია

ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის მშენებლობის პროცესში ხდებოდა ცვლილებები აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ცვლილებები დაკანონდა და განმტკიცდა 1952 წლის კონსტიტუციით, რომლის პროექტი მიიღო სეიმმა აღნიშნული წლის დასაწყისში და დაამტკიცა 22 იელისს ხალხის მიერ საყოველთაო განხილვის შემდეგ. კონსტიტუციით დაკანონდა ქვეყანაში მომხდარი ყველა პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებები. კონსტიტუცია ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ აცხადებდა ერთპალატიან სეიმს და სახელმწიფო საბჭოს. სეიმს ირჩევენ ოთხი წლის ვადით და იგი კონტროლს უწევს მთავრობისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების საქმიანობას. სახელმწიფო საბჭოს ირჩევს სეიმი და მას სეიმის სესიებს შორის პერიოდში უფლება აქვს გამოსცეს კანონები, რომელიც შემდეგ სეიმს შეუძლია გააუქმოს ან დაამტკიცოს. ადგილობრივ ხელისუფლებას ახორციელებენ სახალხო საბჭოები. ანუ როგორც პოლონეთში უწოდებენ „რადი ნაროდოვები". პრეზიდენტის პოსტი გაუქმდა და მის ნაცვლად დაწესდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ გამოცხადდა მინისტრთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სეიმის წინაშე. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იღებს 18 წლის ასაკის ყველა მოქალაქე. ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 1952 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა სეიმის არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნულ ფრონტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99.8 პროცენტმა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე ზავადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ გახდა ი. ცირანკევიჩი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII პლენუმი და მისი გადაწყვეტილებები

როგორც უკვე აღინიშნა, ექვსწლიანი გეგმის განხორციელების დროს წარმოიშვა დროებითი სიძნელენი ქვეყნის ეკონომიურ და მშრომელთა მატერიალურ ურთიერთობაში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში გრანდიოზულ წარმატებებთან ერთად პოლონელი ხალხი აღმოჩნდა მთელი რიგი სიძნელეების წინაშე. საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გამო დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო მნიშვნელობის მრეწველობის განვითარებას, რის გამოც აქ გაწეული იქნა გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯები, მრეწველობის ზოგიერთმა დარგებმა (ქვანახშირის, ცემენტის და ა. შ.) ვერ შეასრულეს

გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და სხვა დარგების განვითარებასთან შედარებით ჩამორჩენა დაიწყეს. ამასთანავე, სოფლის მეურნეობამ ვერ შეასრულა ექვსწლიანი გეგმით დასახული ამოცანები. სკკპ-ის XX ყრილობაზე პიროვნების კულტის კრიტიკამ დიდი გავლენა მოახდინა პოლონეთზე. გაძლიერდა სოციალისტური მშენებლობის დროს დაშვებული შეცდომების კრიტიკა. მაგრამ, კომუნისტური პოზიციებიდან გამომდინარე სწორ კრიტიკასთან ერთად ქვეყნად არსებულმა ბურჟუაზიულმა და კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა გააჩაღეს, საერთოდ, სოციალისტური წყობილების, პროლეტარული დიქტატურის და ქვეყანაში გატარებული სოციალური გარდაქმნების წინააღმდეგ კრიტიკა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც აიდეალებდნენ პოლონეთში ადრე არსებულ ფაშისტურ რეჟიმს და მოითხოვდნენ მის აღდგენას. ამას ისიც დაემთხვა, რომ 1956 წლის მარტში გარდაიცვალა პგმპ-ის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი. შექმნილი ვითარება გამოიყენეს საზღვარგარეთის აგენტებმა და ქვეყნის შიგნით არსებულმა რეაქციულმა იატაკქვეშა პროვოკატორებმა, რომლებმაც წინასწარ შედგენილი გეგმით დაიწყეს მოქმედება. მათ 1956 წლის 28 ივნისს პოზნანში, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო ბაზრობა, მოაწყვეს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. ამბოხებულები თავს დაესხნენ სამხედრო პროკურატურის შენობას, რადიოსადგურს, ბანკს, ვაგზალს, ციხეს და გამოუშვეს თავზეხელაღებული ბანდიტები. ამ ამბოხებას მთავრობამ მუშების მხარდაჭერითა და დახმარებით მეორე დღესვე სწრაფად უყო ლიკვიდაცია. 1956 წლის ოქტომბერში პოლონეთში პოლიტიკური ვითარება კვლავ გამწვავდა. პარტიის მიერ საჯაროდ გატარებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამოყენებას რეაქციონერები თავის სასარგებლოდ ცდილობდნენ. „სტალინელების" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით მათ გააჩაღეს კამპანია მთელი პარტიის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ისეთივე პროვოკაციის მოწყობას, როგორსაც ადგილი ჰქონდა უნგრეთში. შექმნილმა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა ხელი შეუწყეს იმას, რომ თავი წამოეყოთ პოლონეთის საშინაო და საგარეო მტრებს. ამ დროს მიმდინარეობდა ინგლის-ისრაელის ინტერვენცია ეგვიპტის წინააღმდეგ, ამბოხება უნგრეთში და იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ასეთ ვითარებაში 1956 წლის ოქტომბრის დამლევს ჩატარდა პგმპ-ის ცკ VIII პლენუმი. პლენუმმა სასტიკად გააკრიტიკა წარსულის შეცდომები, სოციალისტური კანონმდებლობის დარღვევანი, სოციალიზმის მშენებლობის მანკიერი მეთოდებით ხელმძღვანელობა და დასახა ღონისძიებანი სოციალიზმის მშენებლობაში შექმნილი სიძნელეების სწრაფი ლიკვიდაციისათვის.

გადაწყდა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილიყო კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების მიზნით. შეიცვალა აგრეთვე სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეთოდები და ხელმძღვანელობა. გაიზარდა სამრეწველო საწარმოების უფლებები. წარმოებაში მშრომელთა როლის გაზრდის მიზნით შეიქმნა მუშათა თვითმმართველობის ორგანოები, რომელთაც ფართო რწმუნებები მიეცათ. პლენუმმა პგმპ-ის პირველ მდივნად აირჩია ვლადისლავ გომულკა, რომელიც უკანონოდ იყო რეპრესირებული. პლენუმმა სასტიკად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ სახალხო დემოკრატიული რეჟიმის ლიკვიდაციას და ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების აღდგენას. პლენუმზე გადაწყდა ლიკვიდაცია მოეხდინათ ნაკლებად რენტაბელურ კოოპერატივებისათვის, რომლებიც სახელს უტეხდნენ სოფლის მეურნეობის კოოპერირების საქმეს და მხარი დაეჭირათ ძლიერი კოოპერაციული მეურნეობისათვის. შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებანი, ფასები კი ზოგიერთ პროდუქტებზე გაიზარდა, გაუმჯობესდა სოფლის მომარაგება სასუქებით, საამშენებლო მასალებით, გაიზარდა დახმარება კოოპერატივებისათვის. ამ პოლიტიკამ შემდგომშიც ჰპოვა განვითარება, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას, სოფლად სოციალისტური მშენებლობის შემდგომ გაფართოებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდას 25%-ით, მშრომელთა შემოსავლის კი 30%-ით. სამრეწველო წარმოება უნდა გაზრდილიყო 49,1 პროცენტით.

პლენუმმა განაცხადა, რომ პარტია ყოველგვარ ზომებს მიიღებს მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მშრომელებს გაეზარდა ხელფასი, პენსიები და დახმარება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სეიმისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებების გაზრდის შესახებ. VIII პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გაიზარდა პარტიის კავშირი მასებთან, აღსდგა ხელმძღვანელობის ლენინური ნორმები, ჩაიშალა რეაქციის ცდები პოლონეთში ბურჟუაზიული რეჟიმის აღდგენაზე. ხალხმა მხარი დაუჭირა პარტიის ახალ კურსს. ამას მოწმობს 1957 წლის იანვარში წარმატებით ჩატარებული სეიმის არჩევნები. საშინაო რეაქციის ყოველგვარი ცდები, რომ ჩაეშალათ სეიმის არჩევნები, კრახით დამთავრდა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩევლების 94,14%. არჩევნებისას პგმპ-ამ შექმნა სახალხო ერთობის ფრონტი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა 98,4%.

შეკრებილმა სეიმმა, 1957 წლის 20 თებერვალს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ალექსანდრე ზავადსკი აირჩია, ხოლო მთავრობის შედგენა ისევ ცირანკევიჩს დაევალა.

§ 19. პოლონეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში

პოლონეთის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება 60-იან წლებში და 70-იანი წლების დამდეგს

1959 წლის მარტში შედგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის III ყრილობა, რომელმაც მოახდინა პირველი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადასინჯვა დაგეგმილის გადიდების მიზნით. პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა — სამრეწველო წარმოება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49.1 პროცენტისა გაიზარდა 58.8%-ით. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტემპების ყოველწლიური ზრდა პირველ ხუთწლედში შეადგენდა 9.9%-ს, ეროვნული შემოსავლისა — 6.5%, ხოლო ეროვნულ შემოსავალში კაპიტალური დაბანდების ხვედრითმა წონამ ხუთწლედში შეადგინა 15.4%. საყურადღებოა, რომ სამრეწველო პროდუქციის მატების 3/4 მიღებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად. ეს უკანასკნელი ხუთწლედში კი 45%-ით გაიზარდა. მშრომელთა რეალური შემოსავალი ხუთწლედში 29%-ით გაიზარდა. ამავე პერიოდში უფრო მეტი საცხოვრებელი ბინა აშენდა, ვიდრე მთელ ომამდელ პოლონეთში.

1960 წელს სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა პოლონეთის მრეწველობის საერთო პროდუქციაში უდრიდა 99,4 პროცენტს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში—10,6 პროცენტს, სახალხო საქონელბრუნვაში—97,8 პროცენტს. პოლონეთი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, რომლის საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ცვლილებები საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში. მაგალითად, ომამდელ პოლონეთში, 1938 წლისათვის მთელი ექსპორტის 1,4% მოდიოდა მანქანებსა და ტრანსპორტის საშუალებებზე, 1960 წლისათვის კი 28%.

ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე პოლონეთის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ მიმართულებაში. ომამდე პოლონეთი ძირითადად ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობდა, ქვეყნის მთელი ვაჭრობის მხოლოდ 0.5% მოდიოდა საბჭოთა კავშირზე. 1960 წლისათვის პოლონეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 62.3% მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებზე კი მოდიოდა 55,2%. მაგრამ პოლონეთის ეკონომიური ურ-

თიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან მარტო ვაჭრობით კი არ იყო შეზღუდული. როგორც უკვე ვიცით, სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ახალი ეკონომიური ურთიერთობა — შრომის სოციალისტური დანაწილება, სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაცია, სამრეწველო ობიექტების ერთობლივი მშენებლობა, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება. პოლონეთმა აღნიშნულ პერიოდში თავისი საგარეო ვაჭრობა გააფართოვა აგრეთვე ევროპის ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

1959 წლის გაზაფხულზე შემდგარმა პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიის III ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები (1961—1965 წწ), რომელიც 1961 წლის თებერვალში დაამტკიცა სეიმმა. მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მასების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების პროგრამას. მის განხორციელებას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების გაზრდას 52%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისას — 22%-ით, ეროვნული შემოსავლისას — 40.6%-ით. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა რეალური შემოსავლისას — 23%-ით. ქვეყნის ტერიტორიაზე ძალთა განლაგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ოთხი ახალი სამრეწველო რაიონის შექმნას. მეორე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა მრეწველობის ისეთ გადამწყვეტ დარგებში, როგორიცაა ქიმიური, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის. განვითარების ტემპებით პირველ ადგილზე გამოვიდა ქიმიური მრეწველობა. მეორე ხუთწლედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის გაფართოებას. მეორე ხუთწლედის დროს კვლავ ხორციელდებოდა დაჩქარებული ტემპებით ეკონომიური განვითარების პოლიტიკა, მზადდებოდა გადასვლა წარმოების განვითარების ექსტენსიური მეთოდებიდან ინტენსიურზე, ე. ი. რაოდენობრივიდან ხარისხობრივზე.

მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს პოლონელი ხალხი მთელი რიგი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. 1962 — 1963 წლებში ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, დიდი მოუსავლიანობა იყო, ე. წ. „საუკუნის ზამთრის“ შედეგად, რასაც მოჰყვა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპების მკვეთრი შემცირება. იმპორტის ზრდის გამო ექსპორტთან შედარებით სიძნელეები შეიქმნა საგარეო ვაჭრობაშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეორე ხუთწლედში სახალხო მე-

ურნეობის წარმატებები მაინც დიდი იყო: სამრეწველო წარმოება 50,9%-ით გადიდდა, აქედან მანქანათმშენებლობის — 88%-ით, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის — 71%-ით, ტრაქტორების რიცხვი გაიზარდა 89%-ით. სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა მეორე ხუთწლედის ბოლოს ომამდელ დონესთან შედარებით 9-ჯერ გაიზარდა. პოლონეთის მრეწველობამ ხუთწლედის ბოლოს 3-ჯერ მეტი ქვანახშირი, 5,5-ჯერ მეტი ფოლადი, 27-ჯერ მეტი რკინიგზის ვაგონები აწარმოვა. მარტო 1964 წელს მწყობრში ჩადგა 100-ზე მეტი ახალი ქიმიური საწარმო. დიდი ქიმიის საფუძველს პოლონეთში წარმოადგენს ნავთის გადამამუშავებელი ქარხანა ქალაქ პოლცკში, რომელიც მუშაობს „მეგობრობის" ნავთსადენიდან მიღებულ ნავთზე. პოლონეთი მეორე ხუთწლედში გადაიქცა ევროპის წამყვან გემთმშენებლობის სახელმწიფოდ.

სახელმწიფო საბჭოსა და სეიმის გადაწყვეტილებით 1960—1966 წწ. გამოცხადდა პოლონეთის სახელმწიფოს შექმნიდან ათასი წლისთავის იუბილედ. ამ ღირსშესანიშნავი იუბილეს დღესასწაულმა პოლონელ ხალხში დიდი პატრიოტული მოძრაობა გამოიწვია. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირეს ხალხთა ერთიანობის ფრონტში შემავალმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, ქვეყანაში განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყებები. დევიზით „ერი—თავისი ახალგაზრდობისა". საზოგადოებრივ სახსრებზე ააგეს 1200-ზე მეტი „სკოლა ათასი წლისთავისა", საავადმყოფოები, სტადიონები, კულტურული დაწესებულებები; გაიყვანეს ათასი კილომეტრის გზა. ათასი წლისთავის იუბილეს დღესასწაულის დროს აღინიშნა აგრეთვე პოლონელი ხალხის სხვა ღირსშესანიშნავი თარიღი: გრიუნვალდის ბრძოლის 550-ე წლისთავი, 1863 წლის აჯანყების ასი წლისთავი, სახალხო პოლონეთის შექმნის 20 წლისთავი.

კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა კარდინალმა ს. ვიშინსკიმ განიზრახა ათასი წლისთავის იუბილესათვის დაეპირისპირებინა პოლონეთის მიერ ქრისტიანობის მიღების (966 წ.) იუბილეს აღნიშვნა, რათა თავის ხელში აეღო დღესასწაულის ჩატარების ინიციატივა და გაეძლიერებინა თავისი გავლენა განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. მაგრამ მისმა წამოწყებამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა და, პირიქით, დაგმობილ იქნა ხალხის მიერ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შემდეგ, ანტისოციალისტური, რევიზიონისტული და სექტანტური ძალები განადგურდა. გაფართოვდა სოციალისტური დემოკრატია, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ახალ საარჩევნო კანონში, რომლის მიხედვით ხალხთა ერთიანობის ფრონტს

დეპუტატის ერთ მანდატზე შეუძლია რამდენიმე კანდიდატი წამოაყენონ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საკანონმდებლო სეიმის უფლებები, მისი კონტროლი მმართველობის ორგანოებისადმი. 1957 წელს შეიქმნა სეიმისადმი დაქვემდებარებული უმაღლესი საკონტროლო პალატა, რომელიც კონტროლს უწევს მთავრობის მოღვაწეობას.

1964 წლის ივნისში შედგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IV ყრილობა, რომელმაც განიხილა სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები. იგი ითვალისწინებდა ხუთწლედში სამრეწველო წარმოების გადიდებას 45—47 პროცენტით, სოფლის მეურნეობისას — 14—15 პროცენტით, ეროვნული შემოსავლისას კი — 30 პროცენტით. მესამე ხუთწლედით დაგეგმილი იყო სამრეწველო წარმოების ტემპების ყოველწლიური ზრდა 7.5 პროცენტით. მესამე ხუთწლედი ითვალისწინებდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისას, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ქიმია.

1965 წლის ივლისში შემდგარმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება მესამე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის მმართველობისა და დაგეგმვის სისტემაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. იგი ითვალისწინებდა დაგეგმვის ცენტრალიზებული მეთოდების სრულყოფასთან ერთად წარმოებების და სამრეწველო გაერთიანებების უფლებების გაფართოებას, მშრომელების მატერიალური დაინტერესების ამაღლებასა და ა. შ.

1968 წლის ნოემბერში შედგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობა, რომელმაც მიუთითა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიის მთავარ ამოცანას შეადგენს სახალხო სახელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის გზით. ამასთანავე, ვინაიდან ხალხთა ერთობის ფრონტში შემავალ ზოგიერთი პარტიების შიგნით თავი იჩინა ოპოზიციურმა განწყობილებამ, ყრილობამ განაცხადა, რომ პოლონეთში არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი ოპოზიციურ პარტიას, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი.

1966 — 1970 წლების ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში მიმდინარეობდა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება. ხალხის ენერგიული შრომითი საქმიანობის შედეგად მესამე ხუთწლედით გათვალისწინებული ძირითადი მაჩვენებლები შესრულდა. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 34%-ით. 1970 წლისათვის წარმოებული იქნა: ელექტროენერგია 64,5 მლრდ კვ. საათი, ქვანახშირი 140,1 მლნ ტონა; ფოლადი 11,79 მლნ ტონა; აზოტური სასუქები 1031,4 ათასი

ტონა; აგებულ იქნა საზღვაო გემები 2518,5 ათასი ტონა დედვეიტით[1], გამოშვებულ იქნა 67,9 ათასი მსუბუქი ავტომანქანა. მესამე ხუთწლედში შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები 1,5 მლნ კაცისათვის, აღმოცენდა ახალი სამრეწველო რაიონები: ლეგნიც-გლუტოვო, ტუროშოვი, პლოცკი, კონინსკი. აგებულ იქნა და ექსპლოატაციაში გადაეცა მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. 1965 წელთან შედარებით ძირითადი ფონდები სოფლის მეურნეობაში 22%-ით გაიზარდა და შეადგინა 530 მლრდ ზლოტი. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 50%-ით.

მაგრამ, ამ დიდ წარმატებებთან ერთად, მესამე ხუთწლედში ერთგვარი სიძნელეებიც შეიქმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რომლის მიზეზად პოლონეთის ეკონომისტები 1970 წლის მკაცრ და გახანგრძლივებულ ზამთარს ასახელებენ. ზოგიერთ სავოევოდოში სეზონურად დაზიანდა ზამთრის ნათესები, რის გამოც ერთ მილიონამდე ჰექტარი დათესილი მიწა ხელახლა გადახნეს. ამის შედეგად ქვეყნის საერთო სათესი ფართობი შემცირდა 400 ათასი ჰექტარით, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ვერ შესრულდა. 1970 წელს წინა წელთან შედარებით მარცვლეულის მოსავალი 2 ცენტნერით შემცირდა და შეადგინა 19,6 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ქვეყნის მთლიანი მოსავალი შეადგენდა 15.4 მლნ ტონა მარცვლეულს (შემცირდა 13.8%). შემცირდა აგრეთვე მსხვილფეხა საქონლის და ღორების საერთო რაოდენობა (შესაბამისად, 210 ათასი და 900 ათასი სული), ამის შედეგად ხორცის წარმოება დაეცა 2,1%-ით.

წინა ხუთწლედთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის ტემპების ყოველწლიური ზრდა 1966 — 1970 წლებში უფრო დაბალი იყო და საშუალოდ შეადგენდა—8,4%. ასევე ბევრად დაბალი იყო ეროვნული შემოსავლის ტემპების ზრდაც წინა ხუთწლედებთან შედარებით. კვლავ ირღვეოდა პროპორცია წარმოების წესის წარმოებასა და სახალხო მოხმარების საგნების განვითარებას შორის, დაბალი იყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობაც. მაგალითად, თუ 1961—1965 წწ. პოლონეთს ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური ტემპების ზრდით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ეკონომიური ურთიერთდახმარების ქვეყნებს შორის, 1966 — 1970 წწ. იგი ამ მაჩვენებლით ბოლოდან მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე

[1] დედვეიტი ნიშნავს გემის მთლიან ტვირთმზიდაობას, მათ შორის გემის ეკიპაჟისათვის ყველა აუცილებელი მარაგით (სათბობით, წყლით და სხვ.).

აღინიშნა, რომ მიღწევებმა წარმოების სფეროში ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში. რეალური ხელფასი საცალო ფასების ზრდასთან დაკავშირებით 1966 — 1970 წლებში საზოგადოებრივ სექტორში მხოლოდ 10%-ით გაიზარდა, გლეხთა რეალური შემოსავალი კი მხოლოდ 3%-ით. საშინაო ბაზარზე ცვების პროდუქტების არასაკმაო წარმოების გამო იგრძნობოდა მნიშვნელოვანი დაძაბულობა. საბინაო და კომუნალური მშენებლობის ტემპები შემცირდა.

ამ შეცდომებზე იმსჯელა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცკ-ის VIII პლენუმმა და VI ყრილობამ, რომლებზეც აღინიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგი იყო, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეს არაკომპლექსურად და ზერელედ უდგებოდნენ. ყოველწლიური დირექტივებით კორექტივები შეჰქონდათ ხუთწლედში, რაც იმაში გამოიხატებოდა. რომ კაპიტალური დაბანდებების მოცულობის გადასინჯვა სდებოდა მისი გაზრდის გზით, იმ მიზნით, რათა უპირატესად გაეზარდათ სახალხო მეურნეობის ხან ერთი და ხან მეორე დარგი. მექანიკურად კარნახობდნენ ხშირად არარეალურ დავალებებს. ასეთი პრაქტიკა საწარმოოს კოლექტივებს შორის არასტაბილურ და მერყეე ატმოსფეროს ქმნიდა. სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემაში ფართოდ პროპაგანდირებული ღონისძიებანი ეხებოდა ძირითადად კერძო საკითხებს. ხოლო მთავარ საკითხს სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფის საქმეს გვერდს უვლიდა. რამაც ასევე სიძნელეები გამოიწვია.

1970 წლის 12 დეკემბერს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საცალო ფასებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ფასების გაზრდა შეეხო სახალხო მოხმარების საქონლის დიდ ნაწილს, უპირველეს ყოვლისა, სასურსათო საქონელს—ხორცს და ხორცის ნაწარმს, თევზს, ფქვილს, ბურღულს და ა. შ., ხოლო შემცირება სამრეწველო საგნებზე შეეხო—ტელევიზორებს, რადიომიმღებებს, მაცივრებს, ხელოვნურ ბოჭკოებს, ქსოვილებს და ა. შ.

ფასების შეცვლა მოტივირებული იყო ამ საქონელზე მოთხოვნილებისა და მიწოდების გათანაბრების, მოხმარებისა და წარმოების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობით. ფასების გაზრდამ მცირეხელფასიანი და მრავალშვილიანი ოჯახების მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, ამას მოჰყვა მუშების დიდი უკმაყოფილება და იგი უშუალო მიზეზი გახდა ბალტიისპირა ქალაქების გდანსკის, გდინის, შეცინის და ელბლონგის მშრომელების გამოსვლისა ამ ღონისძიებების წინააღმდეგ. აღნიშნულ ქალაქებში მოხდა შეტაკებანი,

რომელსაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. ამ ტრაგიკულმა ამბებმა პარტიისა და ხალხის დიდი შეძრწუნება გამოიწვია.

1970 წლის 20 დეკემბერს შედგა პგმპ-ის ცკ-ის VIII პლენუმი, რომელმაც განიხილა ქვეყანაში შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. პლენუმმა მიიღო ვ. გომულკას განცხადება ცკ-ის პირველი მდივნობიდან მისი გადადგომისა და პოლიტბიუროს წევრობიდან გამოსვლის შესახებ.

პგმპ-ის ცკ-ის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ედვარდ გერეკი[1]. პლენუმმა ცვლილებები მოახდინა აგრეთვე პგმპ-ის ცკ-ის სამდივნოსა და პოლიტბიუროს შემადგენლობაში. პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი განახლება მოხდა აგრეთვე სავოეოდოშიც. ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტბიუროს დაავალა განეხილა ღონისძიებანი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დაბალხელფასიანი და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

პოლონეთის სეიმმა 1971 წლის 23 დეკემბერს დააკმაყოფილა ი. ცირანკევიჩის თხოვნა მისი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გათავისუფლების შესახებ. ი. ცირანკევიჩი დაინიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. სეიმმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა პეტრე იაროშევიჩი[2].

1971 წლის 15 იანვარს პოლონეთის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს პლენუმმა თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა ი. ლოგა-სოვინსკი და მის ნაცვლად თავმჯდომარედ აირჩია პგმპ-ის ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ვ. კრუჩეკი.

პგმპ-ის ცკ-ის VII პლენუმისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტი-

---

[1] ე. გ ე რ ე კ ი დაიბადა 1913 წელს. იგი პოლონეთის მუშათა აჯანყებაში მონაწილეობის შემდეგ ბურჟუაზიული მთავრობისაგან დევნის გამო ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთსა და ბელგიაში, სადაც 17 წლის განმავლობაში მეშახტედ მუშაობდა. 1931 წელს შეუერთდა საფრანგეთის კომპარტიაში, შემდეგ კი აქტიურ მონაწილეობას ეწეოდა ბელგიის კომპარტიაში და ფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1948 წელს იგი პოლონეთში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო პგმპ-ის ცკ-ში. 1954 წლიდან იგი პგმპ-ის ცკ-ის წევრია. ხოლო 1956 წლიდან პარტიის VI პლენუმმა იგი ცკ-ის მდივნად აირჩია, იმავე წლის VII პლენუმმა ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. 1957 წლიდან ე. გერეკი პგმპ-ის კატოვიცის სავოეოდოს კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

[2] პ. ი ა ო ო შ ე ვ ი ჩ ი 1909 წელს დაიბადა. 1944 წელს იგი შეუერთდა პოლონეთის მუშათა პარტიაში, 1948 წლის დეკემბრიდან პგმპ-ის ცკ-ის წევრია, 1964 წლიდან ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1952 წლიდან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს ბოლო წლებში იგი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი იყო. პგმპ-ის ცკ-ის VII პლენუმმა (1970 წ.) იგი პოლიტბიუროს წევრად აირჩია.

ლებათა შესაბამისად პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ყველაზე დაბალი ხელფასების გაზრდის, მშრომელთა დაბალი ხელფასის მქონე ზოგიერთი ჯგუფებისათვის ხელფასებზე წანამატების, ოჯახური დახმარებების და აგრეთვე მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების გაზრდის შესახებ.

1971 წლის 9 იანვარს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება ორი წლის ვადით სასურსათო საქონელზე ფასების გაყინვის შესახებ.

1971 წლის 6—7 თებერვალს შედგა პგმპ-ის ცკ-ის VIII პლენუმი, რომელმაც შეაფასა დეკემბრის ამბები და განიხილა პარტიის აქტუალური ამოცანები. პლენუმის მიერ მოწონებულ ე. გერეკის მოხსენებაში აღინიშნა, რომ დეკემბრის ამბების მთელი მიზეზები და წყაროები იყო პარტიის სწორი პოლიტიკური ხაზიდან, მისი მოღვაწეობის ლენინური ნორმებიდან გადახვევა. პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთში სოციალიზმის მშენებლობის გენერალური ხაზი. ჩვენი ხალხის ისტორიული ბედის შეფასების თვალსაზრისით, რჩება ურყევ სწორ ხაზად.

საბჭოთა კავშირმა მოძმე პოლონეთს ამ სიძნელეების დროსაც დიდი დახმარება გაუწია კრედიტებით, სასურსათო საქონლით და ა. შ. ამიტომ 1971 წლის 15 თებერვალს პგმპ-ის ცკ-ის პოლიტბიურომ და მინისტრთა საბჭომ გააუქმეს 1970 წლის 12 დეკემბრის დადგენილება ფასების ცვლილებების შესახებ და 1971 წლის 1 მარტიდან კვლავ დაადგინეს ფასები ისეთივე დონეზე, როგორიც ის იყო 1970 წლის 13 დეკემბრისათვის. ამასთანავე ძალაში დარჩა 13 დეკემბრის დადგენილება ფასების შემცირების შესახებ ზოგიერთ საქონელზე და პგმპ-ის ცკ-ის VII პლენუმის დადგენილება მშრომელთა შემოსავლის გაზრდისა და სოციალური დახმარების შესახებ. 10%-ით გაიზარდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობის გეგმა.

კორექტივები შეიტანეს აგრეთვე ადრე შემუშავებულ 1971 — 1975 წწ. ხუთწლიან გეგმაში, რომელიც ითვალისწინებს მოხმარების საგნების წარმოების გაზრდას 42%-ით, მაშინ როდესაც წინა ხუთწლედებში იგი 36%-ით გაიზარდა. წარმოებების საშუალებების წარმოების გაზრდა კი დაიგეგმა 52%-ით.

1971 წლის 6—11 დეკემბერს შედგა პგმპ-ის VI ყრილობა, რომელზეც წარმოდგენილი იყო 2 მლნ 270 ათასი წევრი და 165 ათასით მეტი კანდიდატი, ვიდრე 1968 წელს შემდგარ V ყრილობაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1971 წლის პირველი სამი კვარტლის მანძილზე პარტია გათავისუფლდა 100 ათასზე მეტი პასიური და შემოხვევითი წევრისაგან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების 70-მდე კომუნისტური, მუშათა

და სოციალისტური პარტიების დელეგაციები, მათ შორის სკკპ-ის დელეგაცია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. ყრილობამ ცვლილებები და დამატებები შეიტანა პარტიის წესდებაში, რომლის მიზანია პარტიის შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება, შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპების გაღრმავება. პგმპ-ის ცკ-ის ახალი შემადგენლობის პირველმა პლენუმმა პარტიის ცკ-ის პირველ მდივნად კვლავ ე. გერეკი აირჩია. ყრილობის დადგენილებაში—„პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი სოციალისტური განვითარებისათვის" რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დარგში დასახულია ამოცანები სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის. ამ პროგრამულ დოკუმენტში საზოგადოებრივ-ეკონომიური პოლიტიკის მთავარ ამოცანად დასახულია სოციალური ყოფა-ცხოვრებისა და ცხოვრების კულტურული პირობების სისტემატური გაუმჯობესება, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს შრომის ნაყოფიერების და ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლება, ქვეყნის ეკონომიური სტრუქტურის გარდაქმნა და მოდერნიზაცია, სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფა. 1971—1975 წლებში დაისახა სახალხო მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში რეალური ხელფასის გაზრდა 17—18%-ით. პირადი მოხმარების ფონდი გაიზრდება 38—39%-ით, ხოლო მოსახლეობის თითოეულ სულზე გაანგარიშებით 33 პროცენტამდე. ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 38—39%-ით და 1975 წლის ბოლოს მიაღწევს 1045—1052 მლრდ ზლოტს. ეროვნული შემოსავლის ასეთი გაზრდა მიღწეული იქნება სამრეწველო წარმოების 48—50%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობისა — 18—21%-ით გაზრდით. კაპიტალური დაბანდება წარსულ ხუთწლედთან შედარებით 42%-ით გაიზრდება, ხოლო საბინაო მშენებლობის მოცულობა კი 25%-ით. ყრილობამ აღნიშნა, რომ პარტია ისწრაფვის გააძლიეროს წარმომადგენლობის როლი, სახელმწიფო ორგანოების სისტემაში სეიმის, სახალხო საბჭოების, მმართველობისა ქალაქად და სოფლად. წამოყენებულია ამოცანა სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, ბიუროკრატიზმის როგორც გარეგანი მხარის, ასევე უფრო ღრმა მიზეზების აღმოფხვრისათვის. აქ მხედველობაშია მოღვაწეობის განსაზღვრული ფორმების ჩამორჩენის წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელება, რათა მათ იმუშაონ შეცვლილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტში ხაზგასმულია პგმპ-ის, როგორც ხელმძღვანელი, განმსაზღვრელი და წარმმართველი ძალის განმტკიცების მნიშვნელობის შესახებ.

პგმპ-ის VI ყრილობის მთავარი შედეგები ის არის, რომ იგი მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა მასების, მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალურად გაუმჯობესებას და პოლონეთის შემდგომ განვითარებას სოციალიზმის გზით.

აღნიშნულ საპროგრამო დოკუმენტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას.

პოლონეთის ხალხმა მთლიანად მოიწონა ღონისძიებები, რომლებიც ბიიღო პარტიამ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დასაჩქარებლად და მშრომელთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

პგმპ-ის VI ყრილობის მიერ დასახული, პოლონეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების პროგრამამ დაიწყო ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელება. პგმპ გააძლიერა ორგანიზატორული და იდეოლოგიური მოღვაწეობა და კიდევ უფრო გაზარდა თავისი ავტორიტეტი მასებში. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ღრმავდება სოციალისტური დემოკრატია და ერთდროულად მაღლდება საზოგადოებრივი დისციპლინა.

პგმ -ის VI ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას მასებში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. VII პლენუმმა (1972 წლის ნოემბერი) შეიმუშავა ახალგაზრდობის იდეური აღზრდის კომპლექსური პროგრამა. 1973 წლის აპრილში გაერთიანდა ახალგაზრდათა ორგანიზაციები პოლონეთის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირების ფედერაციაში. ფედერაციაში შევიდნენ: სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირი (1.3 მლნ წევრი), გლეხთა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი (1 მლნ წევრი), პოლონელი სტუდენტების სოციალისტური კავშირი (227 ათასი წევრი), პოლონელი ხარცერების კავშირი (2 მლნ სკოლის მოსწავლე) და არმიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი.

პოლონელი ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირების ფედერაცია მოღვაწეობს პგმპ-ის იდეური ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასების ინტერნაციონალურ აღზრდას. 1971 წელს მიღწეულმა შედეგებმა და აგრეთვე 1972 წლის პირველი თვეების წარმატებებმა საშუალება მისცა პარტიას ახალი კორექტივები შეეტანა 1971 — 1975 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში, ეკონომიკის დინამიკური და ჰარმონიული განვი-

თარების მიზნით. კორექტივებისა და დამატებების შეტანის შემდეგ 1971 — 1975 წლების ხუთწლიანი გეგმა სეიმმა საბოლოოდ 1972 წლის ივნისში დაამტკიცა. VI ყრილობის დირექტივებთან შედარებით იგი ითვალისწინებს ეროვნული შემოსავლის გაზრდას ნაცვლად 38 — 39 პროცენტისა 40%-ით, საერთო სამრეწველო პროდუქციისას ნაცვლად 48 — 50 პროცენტისა 52,2%-ით, მოხმარების საგნებისას ნაცვლად 42 პროცენტისა 48,4%-ით, მანქანათმშენებლობის მრეწველობის პროდუქციისას ნაცვლად 70 პროცენტისა 75,3%-ით, კვების მრეწველობის პროდუქციისას ნაცვლად 24 — 27 პროცენტისა 31%-ით, სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების გაზრდა (1971 წლის ფასებით) ნაცვლად 1430 მლრდ-სა 1454 მილიარდით. მოხმარების საგნების წარმოების და წარმოების საშუალების წარმოების ზრდას შორის პროპორციის გათანაბრების მიზნით გათვალისწინებულია უკანასკნელის შემცირება 52%-დან 51,2%-მდე. ეს ცვლილებები მიზნად ისახავენ ხალხის მატერიალური და კულტურული პირობების უფრო სწრაფად გაუმჯობესებას დაჩქარებული ეკონომიური განვითარების ბაზაზე.

პგმპ-ის VI ყრილობისა და 1972 წელს შეტანილი დამატებების დავალებები 1971—1975 წლების ხუთწლედში წარმატებებით ხორციელდება როგორც მატერიალური წარმოების, ასევე მოხმარების სფეროში და კაპიტალურ დაბანდებებში. სახალხო მეურნეობის გეგმები წარმატებით განხორციელდა 1972, 1973 და 1974 წლებში და ზოგიერთ დარგში დიდი გადაჭარბებითაც იქნა შესრულებული.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქვეყნის ფაშიზმისაგან გათავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თეზისებში მითითებულია, რომ სოციალისტური პოლონეთის სახელმწიფოს დაბანდების ოცდამეათე წლისთავი — ეს უმნიშვნელოვანესი საყოველთაო სახალხო იუბილეა.

ოცდაათი წლის განმავლობაში პოლონეთის სამრეწველო წარმოება გაიზარდა 10-ჯერ. ამჟამად პოლონეთი აწარმოებს 10-ჯერ მეტ ფოლადს. მარტო 1974 წელს პოლონეთში მწყობრში ჩადგა 100-მდე სამრეწველო საწარმო. პოლონეთის ხვედრითი წონა სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო წარმოებაში 2-ჯერ გაიზარდა. პოლონეთში 1973 წელს წარმოებულ იქნა: 14,1 მილიონი ტონა ფოლადი, 15,5 მილიონი ტონა ცემენტი, 84,3 მლრდ კილოვატსაათი ელექტროენერგია, 156,6 მლნ ტონა ქვანახშირი. თანამედროვე პოლონეთი რომ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს, ამას ისიც მოწმობს, რომ იგი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის თვალსაზრისით შედის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ათეულში. პოლონეთი 1974 წლისათვის 20 დღის

განმავლობაში იმდენივე პროდუქციას აწარმოებდა, რამდენსაც ომამდე. პოლონეთის სახალხო მეურნეობის გრანდიოზული წარმატებები შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის მუდმივი და უანგარო დახმარების, სოციალისტურ თანამომძმეთა ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის, სოციალისტურ და ეკონომიურ ინტეგრაციაში აქტიური მონაწილეობის წყალობით, რამაც უზრუნველყო პოლონეთის სახალხო მეურნეობის დინამიკური ზრდა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამის მიერ დაწყებული ამოცანების შესაბამისად, ვითარდება და სრულყოფილი ხდება ერთობლივი დაგეგმვის მოღვაწეობა, თანმიმდევრულად ხორციელდება სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე გადასვლა, ერთობლივი მოღვაწეობის განვითარება გრძელვადიანი პროგრამის სპეციალიზაციისა და კოოპერირებისა, აგრეთვე მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გაერთიანებისათვის. პოლონეთი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობს სხვადასხვა დარგში და მისი ბევრი მშენებლობა დაკავშირებულია მოძმე ქვეყნების საწარმოებთან. 1975 წლის დასაწყისში დამთავრდა პსრ-ისა და გდრ-ის ერთობლივი ბამბის სართავი საწარმოს მშენებლობის პირველი რიგი ქალაქ ზაევრცეში. პოლონეთის სამ საზღვაო ნავსადგურს გდანსკს, გდინს და შეცინს მოკლე ხანში დაემატება ახალი დიდი ნავსადგური ჩრდილოეთი. ომამდელ პოლონეთს კი საერთოდ არ გააჩნდა არც ერთი ნავსადგური, ხოლო დღევანდელი ნავსადგურები ნანგრევებად იყო ქცეული. ვარშავის მსგავსად მთლიანად დანგრეული იყო ქალაქ-ნავსადგური შეცინი. გებელსმა ერთ-ერთ უკანასკნელ სიტყვაში ამ ქალაქის შესახებ თქვა, რომ „ვერავინ და ვერასოდეს ვერაფერს ვერ შეძლებს ამ ტოტალურ საფლავზე". 1946 წლის გაზაფხულზე შეცინში მხოლოდ ხუთი ათასი მცხოვრები იყო, მაგრამ პოლონეთმა მალე მოიშუშა ჭრილობები და აღადგინა განადგურებული ქალაქები, მათ შორის შეცინიც. პოლონეთი ამჟამად ერთ-ერთი მსხვილი საზღვაო სახელმწიფოა. მისი საზღვაო საზღვრები ბალტიისპირეთში ხუთას კილომეტრზეა გადაჭიმული სვინოუისცედან-ბრანევომდე. 150 ათასი პოლონელი ასე თუ ისე დაკავშირებულია თავისი ცხოვრებით ზღვასთან—თევზის სარეწაოებთან, საზღვაო სამსახურთან, გემთმშენებლობასთან. პოლონეთის გემთმშენებლობაში აგებული ბევრი გემი მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ზღვაში დაცურავს.

თავდაპირველად შეცინში, სანამ ყველაფერს აღადგენდნენ, მხოლოდ გემების შეკეთება წარმოებდა. 1949 წელს პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც საბჭოთა კავშირმა პოლონეთს გემების დიდი დაკვეთები მისცა. ამ დაკვეთებს მარ-

ტო გდანსკის და გდინის გემთსაშენი ქარხნები ვერ შეასრულებდნენ და დადგა საკითხი შეცინის მთლიანი აღდგენისა და იქ გემთსაშენი ქარხნების აგების შესახებ. ამ მხრივ ძმურ პოლონეთს დიდი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. თავდაპირველად აქ აგებდნენ კონსტრუქციით უბრალო გემებს, შემდეგ კი გადავიდნენ უფრო რთულ, თანამედროვე ძრავებით და სანავიგაციო მოწყობილობებით აღჭურვილ გემთმშენებლობაზე. ამჟამად აქ აგებენ გემებს, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი. აგებენ ისეთ გემებსაც, რომელიც ოკეანოგრაფიის კვლევებისათვისაა განკუთვნილი ყოველგვარ კლიმატურ ზონებში—ეკვატორიდან დაწყებული არქტიკასა და ანტარქტიდით დამთავრებული. შეცინის და განსაკუთრებით კი გდინის გემთმშენებლობის ქარხნები აგებენ დიდი ტონაჟის გემებს და ტანკერებს. გდინში ამჟამად აგებენ ახალ გემთსაშენებს, სადაც 200—400 ათასი ტონა წყალწყვის გემებს ააშენებენ. იმ უპირატესობათა გამოყენების წყალობით, რომელიც იძლევა მოძმე ქვეყნებს შორის შრომის სოციალისტური დანაწილება, პოლონეთი მსოფლიოში გემთმშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს მწარმოებელ ქვეყნად გადაიქცა. პოლონეთი შედის იმ ათ სახელმწიფოთა რიგში, რომლებიც გემების უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნებად ითვლება. იგი გემებს აწვდის 30 ქვეყანას. პოლონეთი აწარმოებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნების საავაჭრო ფლოტის მესამედს და თევზჭერის გემების მეხუთედს. პოლონეთის ექსპორტში პირველ ადგილზეა ქვანახშირი, მეორეზე კი გემები. 25 წლის განმავლობაში პოლონეთმა, უმთავრესად მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში გაიტანა 800 გემი, აქედან 600 საბჭოთა კავშირში.

პოლონეთის გემთმშენებლებს კავშირი აქვთ თავის კოლეგებთან მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში — ბულგარეთთან, გდრ-თან, სსრ კავშირთან. მათთან თანამშრომლობის შედეგად ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, მიღწევებს, აწვდიან გემის მოწყობილობებს. მაგალითად, პოლონეთის გემთმშენებლებთან თანამშრომლობით ბულგარეთმა 1980 წლისათვის უნდა ააგოს 24 ტანკერი 100 ათასი ტონა წყალწყვისა თითოეული.

გარდა ამისა, ეკონომური ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებული ქვეყნების მეზღვაურები ემსახურებიან მთელ რიგ ერთობლივ რეგულარულ საოკეანო ხაზებს. მაგალითად, სანაოსნო ორგანიზაციებმა: „პოლსკოე ლინიე ოკეანიჩნე“ (პოლონეთი), „დოიჩე ზეერედერაი“ (გდრ), „ბალტიის საზღვაო ნაოსნობა“ (სსრკ), დააწესეს რეგულარული მიმოსვლა—„ბალტამერიკა“, რომელიც მოიცავს უზარმაზარ სივრცეს ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების ნავსადგურები-

დან დაწყებული სამხრეთ ამერიკის ნავსადგურებით დამთავრებული. პოლონეთის, გდრ-ის და სსრ კავშირის სანაოსნო საწარმოები ასევე ერთად მუშაობენ რეგულარულ ხაზზე „იუნიაფრიკა". ეს ხაზი ერთმანეთს აკავშირებს ბალტიისა და დასავლეთ ევროპის ნავსადგურებს, დასავლეთ აფრიკის ნავსადგურებთან. „დოიჩე ზეერედერაის" და „პოლსკე ლინიე ოცეანიჩნეს" გადააქვთ ტვირთი ბალტიის ზღვისა და აღმოსავლეთ აფრიკის ნავსადგურებს შორის. ისინი ჩეხოსლოვაკიის გემებთან ერთად ემსახურებიან აგრეთვე ცენტრალური ამერიკის ხაზს.

ჩეხოსლოვაკიას და უნგრეთს, მიუხედავად იმისა, რომ არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი (ისინი ხომ ევროპის ცენტრშია და ზღვებიდან მოწყვეტილი არიან), აქვთ თავისი საოკეანო ფლოტი და ნავსადგური—შეცინი. ჩეხოსლოვაკიას და უნგრეთს თავისი ძმური თანამშრომლობის წყალობით პოლონეთთან, საშუალება მიეცათ გამხდარიყვნენ საზღვაო ქვეყნებად. საყურადღებოა, რომ შეცინის ვარსკის სახელობის გემთსაშენში ჩეხოსლოვაკიის დაკვეთით და მისთვის შენდება საოკეანო გემები.

1974 წლის დასაწყისში შეცინში თავისი მოღვაწეობა დაიწყო პოლონეთის და გდრ-ის ერთობლივმა სამეურნეო ორგანიზაციამ „ინტერპორტმა". მისი ამოცანაა უფრო რაციონალურად გამოიყენონ ამ ორი მეზობელი ქვეყნის ნავსადგურები: შეცინი, გდინი, გდანსკი, როსტოკი. შტრალზუნდი, ვისმარი. „ინტერპორტს" ევალება მოემსახუროს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის და უნგრეთის ინტერესებსაც.

პოლონეთისა და გდრ-ის ნავსადგურების სატრანზიტო გზებს იყენებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც. მათაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ „ინტერპორტში".

საერთო ევროპული მასშტაბით სატრანზიტო მაგისტრალად ახლო მომავალში გადაიქცევა აგრეთვე პოლონეთის მდინარე—ოდრა. ევროპის რკინიგზის ხაზების მეტისმეტად გადატვირთვის გამო მდინარეების სანაოსნო ხაზებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბევრი რთული სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრა შეუძლია ოდრა-დუნაის არხს (318 კმ სიგრძისაა), რომლის პროექტი უკვე შეიმუშავეს სოციალისტურმა ქვეყნებმა. მისი გაყვანა ბალტიის ზღვის ნავსადგურებისაკენ გზას გაუხსნის ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების სამდინარო გემებს. ასეთი არხის წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდება საქონლის გადმოზიდვის ვადები გდრ-დან და პოლონეთიდან შავი ზღვის აუზში სამდინარო გემების მეშვეობით და არა ევროპის შემოქცევით. როგორც ამჟამადაა.

ოდრა-დუნაის შეერთების პროექტი სულ უფრო რეალურ ფორმებს იღებს. ამით დაინტერესდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპისათვის სამდინარო ნაოსნობის ეკონომიური კომი-

სიის ქვეკომისია. ეს საკითხი განიხილა აგრეთვე საერთაშორისო სიმპოზიუმმა პოლონეთში, რომელსაც ესწრებოდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების სპეციალისტებიც. ამ პროექტის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე რუმინეთის და იუგოსლავიის მიერ აგებული ჰიდროსისტემა 'რკინის ჭიშკარის რაიონში', რომელმაც ადრე დუნაის ამ საშიშ ადგილზე უზრუნველყო გემების უშიშარი მოძრაობა.

1980 წლისათვის დაგეგმილია რაინ-მაინ-დუნაის არხის მშენებლობის დამთავრება, რომელიც ჩრდილოეთის ზღვას შავ ზღვასთან დააკავშირებს. ოდრა-დუნაის არხის გაყვანა უზრუნველყოფდა ამ სამდინარო ტრასაზე გასვლას. იუგოსლავიის პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი, რომელიც ითვალისწინებს დუნაის შეერთებას მდინარე რიეკოსთან, ცენტრალური ევროპის ქვეყნების სამდინარო გემები შეძლებენ ადრიატიკის ნავსადგურებში შესვლას.

სამრეწველო აღმავლობამ სერიოზული გავლენა მოახდინა აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაზრდაზე. მისი წარმოება გაიზარდა 2-ჯერ. 1974 წელს სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა შეადგენდა 20%, ხოლო ინდივიდუალური გლეხთა მეურნეობისა—80%. პირველში შედის სახელმწიფო მეურნეობები და სოფლის მეურნეობის კოოპერატივები. პოლონეთში 5800-მდე სახელმწიფო მეურნეობაა, რომელსაც უკავია 3 მლნ. ჰექტარი მიწა, რაც მთელი სავარგული მიწების 12%-ია. არის აგრეთვე დაახლოებით 1200 სოფლის მეურნეობის კოოპერატივი, რომელიც აერთიანებს 25 ათასამდე გლეხთა ოჯახს. გარდა ამისა, პოლონეთის სოფლად არსებობს აგრეთვე გლეხთა ორგანიზაციის ტრადიციული საზოგადოებრივ-სამეურნეო ფორმა, სოფლის მეურნეობის წრეები, რომლებიც ინარჩუნებენ კერძო საკუთრებას მიწაზე. მასში გაერთიანებულია პოლონეთის გლეხების 80%-ზე მეტი. მაგრამ სახელმწიფო მეურნეობები და სოფლის მეურნეობის კოოპერატივები ამჟამად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მარცვლეულისა და ხორცის პროდუქტების წარმოებაში და დიდ გავლენას ახდენენ სოფლის ცხოვრებაზე. ამასთანავე გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის საქმიანობა რეგულირდება სახელმწიფოს გეგმის ჩარჩოებში. გლეხები აქტიურად მონაწილეობენ პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიებების განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გაზრდას. ამ მიმართულებით, რომ მნიშვნელოვანი წარმატებებია, ამას ის მოწმობს, რომ 1973 წელს მარცვლეულის საერთო წარმოებამ 20,5 მილიონ ტონას მიაღწია, მო-

[1] იხილე თავი I.

საკლიანობამ კი 26 ცენტნერს ჰექტარზე. მაგრამ მარცვლეულით ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ყოველწლიურად პოლონეთი საზღვარგარეთ ყიდულობს 2 მლნ ტონა მარცვლეულს. პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს პოლონეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო მაჩვენებლების გაზრდას ორჯერ. ამ მიზნით პოლონეთის სოფლებში გაზრდიან სოფლის მეურნეობის მანქანებს, ქიმიური სასუქების, მცენარეულის დაცვის საშუალებებს[1], რაც უდაოდ მნიშვნელოვნად გაზრდის მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას. პგმპ-ის სრულიად პოლონეთის კონფერენციის გადაწყვეტილებით (1973 წლის ოქტომბერში), ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის წარმოებაში სერიოზულად გაიზრდება სახელმწიფო მეურნეობის, საწარმოო კოოპერატივების და წრეების როლი. კვლავ გაგრძელდება ეკონომიური კავშირის და წარმოების პროცესის გაძლიერება და გაღრმავდება გლეხთა მეურნეობებსა, სახელმწიფო მეურნეობებსა და კოოპერატივებს შორის მიწების გაერთიანება მათი ერთობლივი დამუშავებისათვის, სახელმწიფოსაგან ტექნიკის იჯარით აღებისათვის და ა. შ. შემუშავდა ახალი პრინციპები ერთპიროვნულ გლეხთა მეურნეობიდან ისეთი მიწების შესყიდვისა, რომლებიც არამწარმოებლურად არის გამოყენებული და აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლის მიზანია სოციალისტური სექტორის გაძლიერება.

გრანდიოზულია წარმატებები კულტურისა და აგრეთვე სოციალური კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით. კულტურული რევოლუცია ქვეყანაში დაიწყო უკვე დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისთანავე და ატარებდა საყოველთაო სახალხო ხასიათს. ოცდაათი წლის განმავლობაში პოლონელმა ხალხმა დიდ შედეგებს მიაღწია. 1973 წლისათვის 730 ათასზე მეტმა კაცმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, 4 მლნ-მა კაცმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული სკოლები, ხოლო 8 მლნ. სწავლობდა სხვადასხვა სასწავლებლებში.

ასეთივე მნიშვნელოვანია მიღწევები სოციალურ სფეროში. მოსახლეობის 3/5 ქალაქად ცხოვრობს, ქალაქად აიგო 2,5 მლნ. ბინა, სოფლად კი 1 მლნ. მოსახლეობა ომის შემდეგ 10 მილიონი კაცით გაიზარდა, რომელთა შორის უმრავლესობა 20—30 წლის ასაკის ახალგაზრდები არიან.

პგმპ-ის VI ყრილობისა და სრულიად პოლონეთის I კონფერენციის გადაწყვეტილებებით შემუშავებულია პოლონეთის შემდგომი განვი-

---

[1] ომამდელ პოლონეთში სოფლად იყო მხოლოდ 1 ათასი ტრაქტორი, 1974 წლისათვის კი 200 ათასზე მეტი ტრაქტორი იყო.

თარებისა და აყვავების პერსპექტიული გეგმა, რომელიც მომდევნო 20 წელზეა გათვალისწინებული. მომავალ 20 წელიწადში სახალხო მეურნეობაში დაბანდდება 5-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე წინა ოც წელიწადში იყო. 1990 წლისათვის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 4-ჯერ.

ამჟამად მთელი პოლონეთი გადაქცეულია უზარმაზარ საამშენებლო მოედნად, რომლის ყოველ კუთხეში აშენებენ ახალს, ან რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას უკეთებენ ძველს. ამჟამად პოლონეთში ისეთი გიგანტები შენდება, რომელიც გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ქვეყნის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე. მაგალითად, კატოვიცაში (სილეზია) შენდება უზარმაზარი მეტალურგიული კომბინატი, რომელიც თავდაპირველად 4,5 მლნ. ტონა ფოლადს მისცემს ქვეყანას, შემდეგ კი მისი წარმოება უფრო გაიზრდება. 1973 წელს ნოვა გუტას მეტალურგიულმა კომბინატმა ქვეყანას მისცა 6,8 მლნ. ტონა ფოლადი.

მომავალ ოც წელიწადში დაგეგმილია აგრეთვე დიდი ღონისძიებები ბინათმშენებლობის საქმეში, უნდა აშენდეს 7,3 მილიონი ბინა. პარტიისა და მთავრობის ამოცანა ისაა, რომ ყოველ ოჯახს ჰქონდეს კეთილმოწყობილი ბინა.

გრანდიოზული გეგმებია დასახული განათლების დარგში. 1990 წლისათვის შემოიღებენ სავალდებულო საშუალო განათლებას. ხოლო ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი 19 — 24 წლის ასაკში მიიღებს უმაღლეს განათლებას. აღნიშნულ პერიოდში უმაღლესი სასწავლებლების მიერ სპეციალისტების გამოშვება 3-ჯერ გაიზრდება. ამავე პერიოდში დაგეგმილია 250 ათასზე მეტი ინჟინრის მომზადება.

პგმპ-ის ცკ-ის, პსრ-ის 30 წლისთავის თეზისები ნათელ წარმოდგენას იძლევა არა მარტო თანამედროვე მიღწევებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორი იქნება ქვეყანა ოცი წლის შემდეგ. თეზისებში მითითებულია, რომ 90-იანი წლების პოლონეთი იქნება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ქვეყანა.

საგარეო პოლიტიკა

პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მიერ გამოცხადებული მანიფესტის შესაბამისად, სახალხო პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად, სახალხო მთავრობის შექმნის პირველივე დღიდან გახდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, ხოლო მის ძირითად მიმართულებად მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. მანიფესტში ნათქვამი იყო: „მტკიცე კავშირი ჩვენ უახლოეს მეგობრებთან — საბჭოთა კავშირ-

თან და ჩეხოსლოვაკიასთან — პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იქნება. პოლონეთის საგარეო პოლიტიკა იქნება დემოკრატიული, რომელიც დაეყრდნობა კოლექტიური უშიშროების პრინციპებს".

საბჭოთა კავშირის წინადადებით პოტსდამის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც პოლონეთმა დაიბრუნა თავისი დასავლეთის მიწები და მისი საზღვარი გავიდა ოდერზე და ნოისზე. ამ მიღწეულის განმტკიცება გადაიქცა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ დაეშვათ, რათა გერმანიას როდისმე კიდევ დაერღვია პოლონეთის საზღვრები, მშვიდობა და უშიშროება ევროპაში. გდრ-ის პოზიცია პოლონეთის დასავლეთის საზღვრებისადმი ჩამოყალიბდა 1950 წლის 6 ივლისს პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, რომელიც სცნობდა პოტსდამის გადაწყვეტილებებს პოლონეთის დასავლეთის საზღვრების შესახებ. რაც შეეხება გფრ-ს, მან უარი თქვა ამ საზღვრების ცნობაზე, რაც დაძაბულ ურთიერთობას ქმნიდა პოლონეთსა და გფრ-ს შორის. ომის შემდეგ დადგენილი საზღვრების ცნობისათვის ბრძოლას პოლონეთი საბჭოთა კავშირთან ერთად აწარმოებდა 25 წლის განმავლობაში. ამ მიმართულებით იგი ყოველმხრივ მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირის ინიციატივას და, თავის მხრივ, აყენებდა რიგ წინადადებებს. ბოლოს, 1969 წლის 17 მაისს, პოლონეთმა წამოაყენა წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ გფრ-თან. რომლითაც ეს უკანასკნელი იცნობდა საზღვრებს ოდერსა და ნოისზე. პოლონეთსა და გფრ-ს შორის 1970 წლის 7 დეკემბერს ვარშავაში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომლითაც გფრ სცნო პოლონეთის საზღვრები. ამ ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა პოლონეთის უდიდეს წარმატებას.

სახალხო პოლონეთი ყოველთვის იბრძოდა „ცივი ომის" წინააღმდეგ და უშიშროების ისეთი სისტემის შექმნისათვის, რომელიც მტკიცედ დაამკვიდრებდა მშვიდობის საქმეს, ყერძოდ საერთოევროპული კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის. ამ საკითხში პოლონეთის უმნიშვნელოვანეს ინიციატივას წარმოადგენს 1957 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რაპაცკის მიერ წამოყენებული გეგმა უატომო ზონის შექმნის შესახებ ცენტრალურ ევროპაში, რომელიც მოიცავდა პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, გდრ და გფრ. მართალია, ეს გეგმა დასავლეთის სახელმწიფოების უარყოფითი პოზიციის გამო არ განხორციელდა, მაგრამ მან ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ევროპის ხალხში. 1960 წელს პოლონეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა წინადადება დასახელებული ოთხი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თერმოატომური იარაღის ლიკვიდაციის

შესახებ, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ეს წინადადებაც უარყვეს.

პოლონეთის მთავრობამ თავისი წვლილი შეიტანა უშიშროების და თანამშრომლობის სამივე ეტაპის სამუშაოების წარმატებით დაგვირგვინებაში. ამასთანავე პოლონეთი იბრძვის იმისათვის, რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას მოჰყვეს აგრეთვე სამხედრო დაძაბულობის შენელებაც. პოლონეთი მონაწილეობს ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და თავისი წვლილი შეაქვს ამ მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებისათვის. სახალხო პოლონეთი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ყველა სამშვიდობო ინიციატივას.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლასთან ერთად ევროპასა და მთელ მსოფლიოში, პოლონეთის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საქმეს, არა მარტო სოციალისტურ, არამედ კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც. 1972 წელს ე. გერეკის საფრანგეთში ყოფნის დროს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება პოლონეთსა და საფრანგეთს შორის 10 წლის ვადით ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე იაროშევიჩი ვიზიტებით იყო შვეციაში, ფინეთში, ნორვეგიაში, დანიასა და ისლანდიაში და რიგი ხელშეკრულებები და შეთანხმებები დადო ამ ქვეყნებთან.

1973 წლის სექტემბერში პოლონეთის ინიციატივით ქალაქ გდანსკში შედგა ბალტიის ზღვის ქვეყნების წარმომადგენლების კონფერენციაჟ რომელიც დასაწყისი გახდა ბალტიის ზღვის რაიონში თანამშრომლობის პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისათვის. სახალხო პოლონეთი თავის ურთიერთობას ავითარებს ინგლისთან, იტალიასთან, ბელგიასა და სხვა ქვეყნებთან.

1972 წელს ვარშავაში ვიზიტად იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომლის დროსაც დაიდო შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ. სულ უფრო აქტიურდება პოლონეთის სახელმწიფოს კონტაქტები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

პოლონეთი იბრძვის საერთაშორისო კონფლიქტების კერების ლიკვიდაციისათვის. მხარს უჭერდა ვიეტნამელი და ინდო-ჩინეთის ხალხების ბრძოლას. პოლონეთი მონაწილეობდა საერთაშორისო კომისიებში — კორეის, სამხრეთ ვიეტნამის და ლაოსის საკითხებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებულ ძალებში ახლო აღმოსავლეთში. სახალხო პოლონეთს, როგორც აღნიშნა სა-

გარეო საქმეთა მინისტრმა სტეფან ოლშოვსკიმ, თავისი საგარეო მოღვაწეობა „მიაჩნია მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ბრძოლის შემადგენელ ნაწილად... პოლონეთის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია სამართლიან პრინციპებზე, რომელიც პასუხობს პოლონელი ხალხის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, მშვიდობის და პროგრესის მთელი ძალების ინტერესებს".

უკანასკნელი წლების მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობას, რომლის წყალობით მოსახლეობის მოთხოვნები მოხმარების საგნებზე უფრო მთლიანად კმაყოფილდება, მდიდრდება ასორტიმენტი საშინაო ბაზარზე. 1973 წლისათვის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა შეადგენდა 47.5 მლრდ სავალუტო ზლოტს, რაც წინა წელთან შედარებით 25,7 პროცენტით მეტია. ექსპორტი გაიზარდა 17,8%-ით, იმპორტი— 33%-ით (1972 წელს კი შესაბამისად 17 და 21%-ით). მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებთან დაკავშირებით პოლონეთში იზრდება სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის იმპორტი. მაგალითად, 1950 წელთან შედარებით 1972 წელს ასეთი საქონლის ხვედრითი წონა იმპორტის საქონლის სტრუქტურაში გაიზარდა 3,3 პროცენტიდან 7,9 პროცენტამდე. საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1971—1973 წწ. ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1966—1970 წწ. საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს წარმოების სიმძლავრის მოდერნიზაციას. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის დიდი ნაწილი ძირითადად მოძმე სოციალისტურ ქვეყნებზე მოდის. კერძოდ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებზე მოდის პოლონეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 60%. ამ უკანასკნელ დროს საბჭოში შემავალმა ქვეყნებმა შემოიღეს თანამშრომლობის ახალი ფორმა — სახალხო მოხმარების საგნების პირდაპირი გაცვლა უშუალოდ. საშინაო ვაჭრობის ხაზით შეპირობებული კონტინგენტის ფარგლებში. ეს საშინაო ბაზარზე დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ფართო საგარეო ვაჭრობა აქვს პოლონეთს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან და აგრეთვე განვითარებად ქვეყნებთან.

როდესაც პოლონელი ხალხი ფაშიზმისაგან თავისი ქვეყნის გათავისუფლების 30 წლისთავს ზეიმობდა და თავისი ცხოვრების განვლილ შედეგებს აჯამებდა იგი სრულიად სამართლიანად ამაყობდა თავისი გმირული შრომის მიღწევებით.

თავი VII

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა[1]

§ 20. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუმინეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში

მოკლე ცნობები წარსულიდან

X — XI საუკუნეებში დღევანდელი რუმინეთის ტერიტორიაზე რამდენიმე წვრილი ფეოდალური ხასიათის სახელმწიფოებრივი გაერთიანება ჩამოყალიბდა. ამ დროს და შემდგომ პერიოდს განეკუთვნება ორი მონათესავე ხალხის—მოლდაველებისა და ვალახელების ჩამოყალიბების პროცესი. რუმინეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები X—XI საუკუნეებში განიცდიდნენ პაჭანიკების, XII საუკუნეში—ყივჩაყების თავდასხმებს. XIII საუკუნეში ისინი მოექცნენ მონგოლების, ხოლო XIV საუკუნიდან კი ქვეყნის ნაწილი აღმოჩნდა უნგრეთის უღელქვეშ. XIV ს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოები მოლდავეთისა და ვალახეთისა, რომლებიც XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე თურქეთის უღელქვეშ აღმოჩნდნენ. ტრანსილვანიის სამთავრო ერთხანს—თურქეთის, XVII საუკუნიდან კი 1918 წლამდე ავსტრიის უღელქვეშ იყო.

1862 წელს რუსეთისა და საფრანგეთის მხარდაჭერით მოლდავეთის და ვალახეთის სამთავროები გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოდ „რუმინეთის" სახელწოდებით, მაგრამ იგი ჯერ კიდევ თურქეთის დამოკიდებულებაში რჩებოდა. რუმინეთმა ისარგებლა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომით და 1877 წლის მაისში თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. რუმინელმა ხალხმა ამ ომში მონაწილეობა მიიღო რუსეთის მხარეზე და თავისი წვლილი შეიტანა თურქეთის დამარცხებაში. 1878 წლის სან-სტეფანოს ზავით თურქეთმა და რუსეთმა შემდეგ კი ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც სცნეს რუმინეთის დამოუკიდებლობა.

პირველ მსოფლიო ომში რუმინეთი ანტანტის მხარეზე გამოვიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რუმინეთმა ისარგებლა საბჭოთა რუსეთის დროებითი სისუსტით და 1918 წლის იანვარში ხელთ იგდო ბესარაბია, ხოლო ავსტრია-უნგრეთის კაპიტულაციის შემდეგ ნოემბერში — ბუკოვინა, დეკემბერში კი ტრანსილვანიის ოკუპაცია მოახდინა. 1919 წლის სენ-ჟერმენის და 1920 წლის ტრიანონის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუმინეთს დარჩა ბუკოვინა, ტრანსილვანია

---

[1] თანამედროვე რუმინეთის ტერიტორია შეადგენს—237,5 ათას კმ², მოსახლეობა—20,9 მლნ. (1974 წლის 1 იანვრისათვის). დედაქალაქია ბუქარესტი (1,6 მლნ. მცხოვრები 1972 წელს).

და აღმოსავლეთ ბანატი, ხოლო 1919 წლის ნეის ზავით რუმინეთს დაუტოვეს სამხრეთ დობრუჯუ, რომელიც რუმინეთმა ბალკანეთის მეორე ომის დროს წაართვა ბულგარეთს. ამ დაპყრობების შედეგად რუმინეთის ტერიტორია 137 ათასი კვ. კმ-დან, თითქმის, 300 ათასი კმ²-მდე გაიზარდა, მოსახლეობა კი შესაბამისად—7,9 მილიონიდან — 17,3 მილიონ კაცამდე. რუმინეთის გაბატონებული კლასები ახლად შეერთებული ხალხების მიმართ ეროვნული ჩაგვრისა და გაძლიერებული ექსპლოატაციის პოლიტიკას ატარებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის წინ რუმინეთში გაძლიერდა ჰიტლერული გერმანიის გავლენა, რასაც 1938 წლის თებერვლიდან მეფის დიქტატურის დამყარება მოჰყვა. მეფე კარლოს II გააუქმა 1923 წლის კონსტიტუცია. ძალაში შესული ახალი კონსტიტუციით ლიკვიდირებულ იქნა ყველა ელემენტარული დემოკრატიული თავისუფლებანი, რომელსაც ადრინდელი კონსტიტუცია ფორმალურად მაინც ცნობდა. რუმინეთის გაბატონებული კლასები ახორციელებდნენ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ კურსს და თავისი ქვეყანა გადააქციეს ფაშისტური გერმანიის ძარცვის ობიექტად. მათ 1939 წლის მარტში ფაშისტურ გერმანიასთან დადებული კაბალური ეკონომიური შეთანხმებით რუმინეთის ეკონომიკა მთლიანად ჰიტლერელებს დაუმორჩილეს.

ჰიტლერული გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისთანავე რუმინეთი ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მემამულეების მხარდაჭერით გადაიქცა გერმანიის ერთ-ერთ მთავარ, ნედლეულისა და სურსათის მიმწოდებელ, ანტისაბჭოთა დასაყრდენ ქვეყნად. ასეთ ვითარებაში საბჭოთა მთავრობამ 1940 წლის ივნისში მოსთხოვა რუმინეთს, რათა მას დაებრუნებინა 1918 წელს უკანონოდ მიტაცებული ბესარაბია და აგრეთვე სსრ კავშირისათვის გადაეცა უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინა. რუმინეთის მთავრობა იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა საბჭოთა მთავრობის ეს სამართლიანი მოთხოვნა.

1940 წლის 30 აგვისტოს ვენის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ფაშისტურმა გერმანიამ და იტალიამ რუმინეთს მოსთხოვეს, უნგრეთისათვის გადაეცა ჩრდილოეთ ტრანსილვანია (45 ათასი კმ²). ამ დანაკარგის ანაზღაურებას რუმინეთს ჰიტლერი პირდებოდა საბჭოთა კავშირის ხარჯზე.

რუმინეთის მთავრობის ასეთმა „გულუხვობამ" ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია და მეფის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. ასეთ ვითარებაში რუმინეთის რეაქციამ 1940 წლის 4 სექტემბერს ხელისუფლების სათავეში ჩააყენა ჰიტლერის აგენტი გენერალი ი. ანტონესკუ. მან მეორე დღესვე გააუქმა კონსტიტუცია და აშკარა ფაშისტური დიქტატურა დაამყარა. ხელისუფლების კონსოლიდაციის მიზნით

თავიდან მოიშორეს სახელგატეხილი მეფე კარლოს II, რომლის ადგილას დააყენეს ახალგაზრდა მემკვიდრე მიხაი. ფაქტიურად მთელი ძალაუფლება გენერალ ანტონესკუს ხელში გადავიდა, რომელმაც ქვეყნის შიგნით კომუნისტური და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ აშკარა ტერორი გააჩაღა. 1940 წლის აგვისტოში ბულგარეთმა რუმინეთს მოსთხოვა თავისი ყოფილი ტერიტორიის — დობრუჯუს უკან დაბრუნება. მოლაპარაკება ამ საკითხზე 1940 წლის 7 სექტემბერს რუმინეთსა და ბულგარეთს შორის დადებული ხელშეკრულებით დამთავრდა, რომლის მიხედვით რუმინეთმა მას დაუბრუნა ბალკანეთის მეორე ომის დროს რუმინეთის მიერ ბულგარეთისათვის 1913 წელს წართმეული. ბულგარელებით დასახლებული ტერიტორია სამხრეთ დობრუჯუ. ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ანტონესკუს ფაშისტურმა მთავრობამ რუმინეთი გერმანიისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნად გადააქცია და ჰიტლერელების მითითებით საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ამზადებდა. რუმინეთის რეაქციას ჰიტლერელები პირდებოდნენ მოლდავეთს და უკრაინის დიდ ნაწილს.

1940 წლის მაისში გერმანიასა და რუმინეთს შორის დაიდო ე. წ. „ნავთის პაქტი“, რომლითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას კისრულობდა გერმანიისათვის ყოველწლიურად მიეწოდებინა 3 მლნ ტონა ნავთი, მსოფლიოს ბაზარზე არსებული ფასების მხოლოდ 33%-ის ღირებულებით. რუმინეთი აკმაყოფილებდა გერმანიის სამხედრო მოთხოვნებს ნავთზე 30%-ით. ვინაიდან ამ ხელშეკრულებამ არა მარტო მშრომელების, არამედ ბურჟუაზიის აღშფოთებაც გამოიწვია, ანტონესკუ თავისი რეჟიმის განმტკიცებას გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდა. ამ მიზნით 12 ოქტომბერს გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებით მან რუმინეთში მოიწვია ჰიტლერელების „სამხედრო მისია“, რომლის რაოდენობა 1941 წლისათვის 200 ათას კაცამდე გაიზარდა. ანტონესკუს ფაშისტური რეჟიმი ქვეყნის გამგებლობას გერმანელთა ხიშტებზე დაყრდნობით ფიქრობდა. „სამხედრო მისია“ შეუდგა რუმინეთის ჯარების გაწვრთნას თანამედროვე ყაიდაზე, ახალი სამხედრო ტექნიკის შესაბამისად.

1940 წლის ნოემბერში ანტონესკუმ ხელი მოაწერა ე. წ. ანტიკომინტერნის პაქტს, რომლითაც იგი ფაშისტურ ბლოკს შეუერთდა.

რუმინელი ხალხის ბრძოლა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პირველსავე დღეს რუმინეთი ომში ჩაება ჰიტლერული გერმანიის მხარეზე და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყვანა 1 მილიონი ჯარისკაცი. ომის მსვლელობაში ანტონესკუს მთავრობა, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, არაერთხელ ახდენდა თავისი ჯარების შევსებას. რუმინე-

თის ·ფაშისტებსა და გაბატონებულ კლასებს მიზნად ჰქონდათ დასახული ხელთ ჩაეგდოთ საბჭოთა მიწები და გაეფართოვებინათ რუმინეთის საზღვრები დნესტრამდე და ბუგამდე. რუმინეთის დამღუპველი პოლიტიკა არ პოულობდა ხალხთა მასების მხარდაჭერას და იწვევდა ომის საწინააღმდეგო მოქმედებას. მრავალი რუმინელი ჯარისკაცი ტყვედ ბარდებოდა საბჭოთა ჯარებს, ან დეზერტირობდა. ჯარისკაცების დეზერტირობამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ 1943 წლის 14 აპრილს რუმინეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით დეზერტირები უნდა შეეპყროთ, უკან დაებრუნებინათ და ორივე ხელისგულზე ამოეწვათ ასო „დ—ი", ე. ი. დეზერტირი.

ანტონესკუს ფაშისტური მთავრობა დიდი სიმკაცრით ახშობდა ომის საწინააღმდეგო ყოველგვარ მოძრაობას. რუმინეთის კომპარტია ჯერ კიდევ 1942 წლიდან იმყოფებოდა ღრმა იატაკქვეშ და მხეცურ დევნას განიცდიდა. მისი საუკეთესო წარმომადგენლები ან მოკლულ იქნენ, ან პატიმრობაში იმყოფებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და ფაშისტურ ჯურღმულებში. მიუხედავად სისხლიანი ტერორისა, ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო მოძრაობა რუმინეთში განსაკუთრებით ჩვენი ჯარების სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ ღებულობს ფართო ხასიათს. უკვე 1941 წლის 6 სექტემბერს რუმინეთის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა მშრომელებს შეექმნათ ეროვნული ფრონტი, გაეერთიანებინათ ყველა ანტიფაშისტური ძალა ჰიტლერელების ქვეყნიდან გასადევნად და ანტონესკუს ფაშისტური მთავრობის დასამხობად. 1943 წლის დასაწყისში კომპარტიის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით ქვეყნის დემოკრატიული და ანტიფაშისტური ორგანიზაციები გაერთიანდნენ „პატრიოტულ ანტიფაშისტურ ფრონტში". მასში კომუნისტებთან ერთად, 1933 წლიდან არსებული და კომუნისტებთან თანამშრომლობაში მყოფი გლეხთა დემოკრატიული ორგანიზაცია „მიწათმოქმედების ფრონტიც" შევიდა პეტრუ გროზას მეთაურობით, აგრეთვე პატრიოტების კავშირი, ტრანსილვანიელ უნგრელთა დემოკრატიული ორგანიზაცია „მადოსი", სოციალ-დემოკრატიული პარტია და სხვები. „პატრიოტულმა ფრონტმა" მიიღო მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ანტონესკუს მთავრობის დამხობას, ჰიტლერელების განდევნას ქვეყნიდან, დემოკრატიული მთავრობის შექმნას და რუმინეთის გაერთიანებას ანტიჰიტლერულ კოალიციაში. „პატრიოტულმა ფრონტმა" 1943 წლის იანვარში არალეგალურად დაიწყო თავისი გაზეთის „თავისუფალი რუმინეთის" გამოცემა. 1943 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირში მყოფმა რუმინელმა ანტიფაშისტებმა და სამხედრო ტყვეებმა შექმნეს თუდორ ვლადიმირესკუს სახელობის მოხალისეთა დივიზია, რო-

მელიც საბჭოთა ჯარებთან ერთად იბრძოდა ფაშისტური ჯარების წინააღმდეგ.

ჩვენი ჯარების რუმინეთის საზღვრებთან მიახლოებამ ძალზე დააშინა რუმინეთის ბურჟუაზიული პარტიები. ბრატიანუს ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-ლიბერალური და მანიუს ხელმძღვანელობით არსებული ეროვნულ-ცარანისტული პარტიები შეუერთდნენ კომპარტიის მიერ 1944 წლის ივნისში ახლად შექმნილ ეროვნულ დემოკრატიულ ბლოკს იმ მიზნით, რომ ომის შემდეგ შეენარჩუნებინათ ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმი. საბჭოთა მთავრობამ 1944 წლის 12 აპრილს წინადადება მისცა რუმინეთს დაზავების შესახებ, მაგრამ ანტონესკუმ უპასუხოდ დატოვა ეს წინადადება. იასი-კიშინევთან ჩვენი ჯარების მიერ 1944 წლის 20 აგვისტოს გერმანელ-რუმინელი ჯარების დაჯგუფების განადგურებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა რუმინელი ხალხის წარმატებითი ბრძოლისათვის ქვეყნის ფაშისტების წინააღმდეგ. 23 აგვისტოს მეფის სასახლეში დაპატიმრებულ იქნა დიქტატორი ანტონესკუ და მისი რეჟიმის წევრები, ხოლო აჯანყებულებმა და მის მხარეზე გადასულმა ჯარებმა დაიკავეს. დედაქალაქის ყველა სტრატეგიული პუნქტი. მეფე მიხაიც გაემიჯნა ფაშისტურ მთავრობას. გერმანელებმა დაბომბეს ბუქარესტი და თავისი ჯარებით დაიწყეს შეტევები. დედაქალაქში მყოფი ფაშისტებიც შეეცადნენ ამით ესარგებლათ და ძალაუფლება დაებრუნებინათ, მაგრამ დემოკრატიულმა და პატრიოტულმა ძალებმა, რომელთაც ბუქარესტში მყოფი საბჭოთა სამხედრო ტყვეებიც შეუერთდა, მოიგერიეს გერმანელთა ჯარების შემოტევები ბუქარესტზე, ამავე დროს განაიარაღეს ბუქარესტში ჰიტლერელები და რუმინელი ფაშისტები. ბურჟუაზიამ და მემამულეებმა კი ისარგებლეს იმით, რომ ხალხი ბრძოლაში იყო ჩაბმული და შექმნეს ახალი მთავრობა მეფის ადიუტანტ სანატესკუს მეთაურობით. სანატესკუს მთავრობაში მეფის გენერლებსა და მოხელეებთან ერთად შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენლებიც. მთავრობამ შემდეგი ვალდებულება აიღო: კავშირი უნდა გაეწყვიტა ფაშისტურ ბლოკთან და გაერთიანებულიყო ანტიჰიტლერულ კოალიციაში, გაეწმინდა ტერიტორია ჰიტლერელთა ჯარებისაგან და განეხორციელებინა დემოკრატიული გარდაქმნები.

რუმინეთმა 25 აგვისტოს ომი გამოუცხადა გერმანიას. ამასთანავე სანატესკუმ და მისმა ჯგუფმა მიზნად დაისახეს რუმინეთიდან მოეცილებინათ და ფრონტზე გაეგზავნათ ქვეყნის პატრიოტული ძალები, ხოლო ხელისუფლება მთლიანად თვითონ ჩაეგდოთ ხელში. ქვეყნის მემამულურ-ბურჟუაზიული პარტიები და წრეები ცდილობდნენ რუმინეთში ინგლის-ამერიკის სადესანტო ნაწილების შეყვანას, რათა

ხელი შეეშალათ იქ საბჭოთა ჯარების შესვლისათვის. მაგრამ მათი გეგმები ჩაიშალა. 31 აგვისტოს ჩვენი ჯარები თ. ვლადიმირესკუს სახელობის მოხალისეთა დივიზიასთან ერთად ბუქარესტში შევიდნენ.

რევოლუციური ძალების ბრძოლა სახალხო დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად

1944 წლის 23 აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებით რუმინეთში დაიწყო სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია: ამ აჯანყების გამარჯვების შედეგად არა მარტო ფაშისტური დიქტატურა დაემხო, არამედ ბურჟუაზიულ-მემამულურმა კლასებმაც დიდი დარტყმა განიცადეს. ამის შემდეგ დემოკრატიულმა ძალებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით გაშალეს ბრძოლა ქვეყანაში ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის. დემოკრატიული ძალების წარმატებებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1944 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში რუმინეთისა და ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილ დაზავებას, რომელიც ითვალისწინებდა ფაშიზმის სრულ ლიკვიდაციასა და სახელმწიფო აპარატის დემოკრატიზაციას. დაზავების პირობებით გარანტირებული იყო რუმინეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. რუმინეთმა ვალდებულება იკისრა, ომში ჩაბმულიყო ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე და გერმანიისა და უნგრეთის წინააღმდეგ გამოეყვანა არანაკლებ 12 დივიზიისა. დაზავების პირობები ითვალისწინებდა აგრეთვე 1940 წლის „ვენის არბიტრაჟის“ გადაწყვეტილების გაუქმებასა და ჩრდილოეთ ტრანსილვანიის რუმინეთისათვის დაბრუნებას. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რომ რუმინეთს ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინა ის დიდი ზარალი, რომელიც მიაყენა მისმა ჯარებმა ჩვენს ქვეყანას. კერძოდ, რუმინეთს უნდა გადაეხადა საბჭოთა კავშირისათვის 300 მილიონი დოლარი და დაებრუნებინა ჩვენთვის ყველა ის ფასეულობანი და სხვადასხვა საქონელი, რომელიც ჩვენი ტერიტორიიდან გაიტანეს რუმინეთში. მაგრამ რუმინეთის რეაქცია, რომელმაც დემოკრატიული ძალების სისუსტის გამო 23 აგვისტოს ამბების შემდეგაც შეინარჩუნა თავისი პოზიციები ქვეყანაში, საბოტაჟს უცხადებდა დაზავების პირობებს და ცდილობდა გადაერჩინა რეაქციული რეჟიმი. 1944 წლის აგვისტოდან 1945 წლის მარტამდე რუმინეთში შეიცვალა სამი კაბინეტი. მათ შორის ორს სათავეში ედგა გენერალი სანატესკუ. ერთს კი გენერალი რადესკუ. ამ მთავრობაში ადგილების უმრავლესობა რეაქციონერების ხელში იყო. მასში აქტიურ როლს თამაშობდნენ ბრატიანუს ეროვნულ-ლიბერალური და მანიუს-ცარანისტული პარტიები,

რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებთან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მთავრობა ხელს უშლიდა დაზავების პირობების შესრულებას, ქვეყნის დემოკრატიზაციას. დემოკრატიულმა ძალებმა კომპარტიის ხელმძღვანელობით დაიწყეს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის. 1944 წლის ოქტომბრისათვის კომპარტიამ, ნაცვლად ეროვნულ-დემოკრატიული ბლოკისა, შექმნა ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, „მიწათმოქმედთა ფრონტი", „პატრიოტების კავშირი", „მადოსი", პროფკავშირული ორგანიზაციები, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ეროვნულ-ლიბერალური პარტიიდან გამოყოფილი თათარესკუს ჯგუფი და აგრეთვე ეროვნულ-ცარანისტული პარტიიდან გამოყოფილი ალექსანდრესკუს ჯგუფი. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრონტმა წამოაყენა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს: სახელმწიფო აპარატისა და არმიის გაწმენდას ომის დამნაშავეთაგან, მათ დასჯას, დაზავების ზუსტ შესრულებას, აგრარული რეფორმის გატარებას და ა. შ. რუმინეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენდა გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენები. კლასობრივი ძალების ასეთ რთულ სტრუქტურაში მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა რევოლუციის განვითარებისათვის იყო ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების ერთ ფართო კოალიციად გაერთიანება, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ერთიანი საერთო ეროვნული და ანტიფაშისტური პროგრამით მოქმედება.

რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, აგრარული საკითხის გადაწყვეტა. რუმინეთში არსებობდა მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 12 ათას მემამულეს იმდენივე რაოდენობის მიწის ფართობი ჰქონდა, რამდენიც 2,5 მილიონ გლეხთა ოჯახს. მარტო სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა 150 ათასი ჰექტარი სახნავი და ტყის მასივის მიწა. გლეხობა ჯერ კიდევ განიცდიდა ნახევრად ფეოდალური ხასიათის ექსპლოატაციას. მემამულეები შეადგენენ ქვეყნის რეაქციის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს. მათ ხელში იყო არმიისა და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობა. ამიტომ, რევოლუციის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო იყო მათი ეკონომიური საფუძვლის ლიკვიდაცია.

რევოლუციის წარმატებებისათვის საჭირო იყო აგრეთვე არმიისა და სახელმწიფო აპარატის გაწმენდა რეაქციონერებისაგან ისე, როგორც ამას დაზავების პირობები ითვალისწინებდა. ქვეყნის დემოკ-

რატიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტების ხელმძღვანელობით გაჩაღებულ მშრომელთა მასობრივ მიტინგებს, რომლის მსვლელობაშიც იქმნებოდა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები. ქალაქად — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, სოფლად კი—გლეხთა კომიტეტები. კომპარტიის მოწოდებით 1944 წლის შემოდგომასა და ზამთარში მშრომელთა მასები ქვეყნის ყველა კუთხეში აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში. ადგილობრივი ორგანოებიდან ერეკებოდნენ რეაქციონერებს და ირჩევდნენ დემოკრატიულ ფრონტში შემავალი პარტიების წარმომადგენლებს. გლეხთა კომიტეტებმა თვითონ იწყეს ქვემოდან მემამულეთა მიწების დატაცება და ურთიერთშორის დანაწილება. კომპარტიამ აქტიურად დაუჭირა მათ მხარი და წამოაყენა ლოზუნგი: „მიწა დამმუშავებელს". რუმინეთში იმართებოდა მიტინგები, კრებები. დემონსტრაციები ქვეყნის დემოკრატიზაციის ლოზუნგებით. ხალხი მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის გაწმენდას რეაქციონერებისაგან. მაგრამ რადესკუმ უარი თქვა ხალხთა ამ მოთხოვნების შესრულებაზე. ერთ-ერთი ასეთი 600 ათას კაციანი მიტინგი, რომელიც ორგანიზებულ იქნა კომპარტიის მიერ 1945 წლის 24 თებერვალს ბუქარესტში და სხვა ცენტრებში, რადესკუს მთავრობის ბრძანებით დახვრეტილ იქნა ფრონტიდან გამოძახებული ჯარის მიერ. ამ საზარელმა აქტმა გამოიწვია ხალხთა მასების საყოველთაო მღელვარება. რამაც აიძულა რადესკუ გაქცეულიყო. მან ჯერ ინგლისის საელჩოს შეაფარა თავი, შემდეგ კი ამერიკის თვითმფრინავით საზღვარგარეთ გაიქცა. 1945 წლის 6 მარტს მეფე იძულებული გახდა დათანხმებულიყო ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის მთავრობის შექმნაზე, რომლის მეთაურად აირჩიეს პეტრუ გროზა. საყურადღებოა, რომ პ. გროზა ადრე მსხვილი მემამულე და კაპიტალისტი იყო. 20-იან წლებში იგი რამდენჯერმე აირჩიეს პარლამენტში დეპუტატად. ბურჟუაზიულ მთავრობაში მას ორჯერ მინისტრის პოსტიც კი ეკავა. იგი დარწმუნდა იმაში, რომ ბურჟუაზიული წყობილების პირობებში შეუძლებელია ხალხთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესება, უარი თქვა თავის მთელ ქონებაზე და სათავეში ჩაუდგა „მიწათმოქმედთა ფრონტს". იგი მომხრე იყო კომუნისტებთან თანამშრომლობისა. რადესკუს რეაქციული მთავრობის დამხობა, დემოკრატიული ფრონტის მთავრობის შექმნა და ამ საქმეში მშრომელთა წარმატებები შესაძლებელი გახდა საბჭოთა ჯარების წყალობით, რომლის რუმინეთში ყოფნამ საშუალება არ მისცა რეაქციას სისხლში ჩაეხშო ხალხთა გამოსვლები.

დემოკრატიული გარდაქმნები. აგრარული რეფორმა

რეაქციული რეჟიმის დამხობასა და სახალხო მთავრობის შექმნას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ კომუნისტებიც, (მათ ხელში გადავიდა შინაგან საქმეთა სამინისტრო), უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა ღრმა გარდაქმნითი ღონისძიებების ჩატარება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და რეაქციული რეჟიმის სრული ლიკვიდაციისათვის. მთავარი სამხედრო დამნაშავენი ანტონესკუს მეთაურობით გასამართლებულ და დასჯილ იქნენ სიკვდილით. ძველი ფაშისტური აპარატი მთელი თავისი მმართველობის ორგანოებით ლიკვიდირებულ იქნა.

1945 წლის 23 მარტს გამოიცა აგრარული კანონი, რომლითაც სამხედრო დამნაშავეებისა და ფაშისტებთან თანამშრომლობაში მყოფი პირების მიწები კონფისკებულ იქნა. კანონით მიწის მფლობელობა დაშვებული იყო 50 ჰექტარამდე, ხოლო ამ დაწესებულ ნორმაზე ზემოთ კი უსასყიდლოდ გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. აგრარული რეფორმის შედეგად მემამულეებს ჩამოერთვათ 1,468 ათასი ჰექტარი მიწა და განაწილდა 918 ათას ღარიბ გლეხთა ოჯახებს შორის. მიწის ყიდვა-გაყიდვა შეიზღუდა. კულაკები იძულებული გახდნენ დაებრუნებინათ გლეხებისათვის ის მიწები, რომელიც მათთვის ვალში ჰქონდათ წართმეული. რეფორმის შემდეგ გლეხთა მეურნეობა 12,7%-ით გაიზარდა, რაც შეადგენდა 400 ათას ახალ მეურნეობას. მიწა მიიღო აგრეთვე 500 ათასზე მეტმა წვრილმა მეურნემ, რომლის შედეგად მათი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამრიგად, ამ რეფორმის შედეგად მიწის დიდი ნაწილი გადავიდა მშრომელი გლეხობის ხელში და სოფლად საშუალო და წვრილი გლეხთა მეურნეობა ძირითად მეურნეობად გადაიქცა. რუმინეთში ამ რეფორმის შემდეგ სამუდამოდ მოისპო მემამულეთა მსხვილი მიწათფლობელობა. აგრარული რეფორმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან განამტკიცა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის და გლეხობა, რომელიც გათავისუფლდა ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციისაგან, გადაიქცა სახალხო რეჟიმის მტკიცე დასაყრდენად. სახალხო მთავრობა ყველგან აარსებდა მანქანა-დამქირავებულ სადგურებს, რომლებიც ურთიერთშორის შეთანხმების საფუძველზე აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სოფლის სამუშაოებს. გამოყოფილ იქნა დიდი კრედიტული თანხები გლეხთა ახალი მეურნეობისათვის. დახმარება ეწეოდა აგრეთვე რეფორმის შემდეგ ჩამორთმეულ მიწებზე შექმნილ სახელმწიფო მეურნეობებსაც, რომლებიც გადაიქცნენ საჩვენებელ მეურნეობებად.

დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება რეაქციის დიდ

წინააღმდეგობას აწყდებოდა. ქვეყნის რეაქციული ძალები საზღვარგარეთის იმპერიალისტების მხარდაჭერით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. თავისი მიზნებისათვის ისინი მეფის ხელისუფლების გამოყენებას ცდილობდნენ. 1945 წლის ზაფხულში მეფე მიხაილ პეტრუ გროზას მთავრობას წაუყენა მოთხოვნა გადადგომის შესახებ. მან იგი უარყო და განუცხადა, რომ ხალხის ნებასურვილითაა ხელისუფლების სათავეში და მხოლოდ მათი სურვილით გადადგება. ამის საპასუხოდ მეფემ უარი განაცხადა ხელი მოეწერა მთავრობის დადგენილებაზე, რათა ამით არაკონსტიტუციური ხასიათი მიეცა გარდაქმნითი ღონისძიებებისათვის.

1945 წლის 8 ნოემბერს რეაქციულმა ძალებმა მეფე მიხაის დაბადების დღის ზეიმის მომიზეზებით სამეფოს სასახლესთან და მთელ რიგ ადგილებში მოაწყვეს დემონსტრაცია, რომლის დროს ქვეყნის რეაქციულ და დემოკრატიულ ძალებს შორის მოხდა შეტაკებები და რამდენიმე კაცი დაიღუპა. მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოში შემავალმა დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს პეტრუ გროზას „არაკონსტიტუციური" მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ, მოითხოვეს მისი გადადგომა და მხარი დაუჭირეს მეფის „გაფიცვას". ეს „გაფიცვა" გრძელდებოდა 5 თვის განმავლობაში.

საშინაო და საგარეო რეაქციის გამოხდომები საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერის შედეგად ჩაიშალა. საბჭოთა მთავრობამ სცნო პეტრუ გროზას მთავრობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან, ხოლო ხალხმა თავისი გრანდიოზული დემონსტრაციებით და მიტინგებით მხარი დაუჭირეს პ. გროზას მთავრობას.

ქვეყანაში მომხდარი გარდაქმნებისა და დემოკრატიული მმართველობის დაკანონებისათვის საჭირო გახდა არჩევნების ჩატარება, რომელიც 1946 წლის ნოემბრისათვის დაინიშნა.

არჩევნებისათვის ქვეყნის ორივე დემოკრატიული და რეაქციული ძალები ემზადებოდა.

1946 წლის პარლამენტის არჩევნები

1946 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის საწინააღმდეგოდ გაერთიანდნენ მანიუს ეროვნულ-ცარანისტული პარტია და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ტიტელ პეტრუსკუს მეთაურობით. საყურადღებოა, რომ არჩევნები მიმდინარეობდა მთავრობის მიერ 1946 წლის 13 ივლისს მიღებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ეს კანონი აწესებდა საყოველთაო საარჩევნო სისტემას. არჩევნებში

მონაწილეობის უფლებას პირველად რუმინეთის ისტორიაში დებულობდნენ ქალები და სამხედრო მსახურები.

არჩევნებმა დემოკრატიულ ბანაკს ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. მან მიიღო ყველა ამომრჩეველების ხმის 80%. დემოკრატიული ფრონტის პარტიებმა პარლამენტში მიიღეს 377 ადგილი, რეაქციამ კი მხოლოდ 35 ადგილი. არჩევნების საფუძველზე კვლავ შეიქმნა დემოკრატიული ფრონტის მთავრობა პეტრუ გროზას მეთაურობით.

ამ არჩევნებში დემოკრატიული ძალების წარმატებები კომუნისტების და სხვა დემოკრატიული პარტიების მასებში ინტენსიური ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და იმ განხორციელებული ღონისძიების შედეგი იყო, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქისა და სოფლის მშრომელების სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა.

სახალხო მთავრობა ძალზე მძიმე პირობებში შეუდგა თავის მოღვაწეობას. 1945—1946 წლებში ქვეყანაში დიდი მოუსავლიანობა იყო. ამას ზედ ერთვოდა ისიც, რომ მკვეთრად იყო შემცირებული რქოსანი საქონელი (1945 წელს 1942 წელთან შედარებით თითქმის 30%-ით შემცირდა). კულაკებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით, გლეხების მძიმე მდგომარეობით და მათგან ჩალის ფასად ყიდულობდნენ მიწებს; ქვეყნის რეაქცია შექმნილი ვითარების გამოყენებას დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ შეტევისა და მისი დამხობისათვის ცდილობდა. ქვეყანაში ფულის საშინელი ინფლაცია დაიწყო, რომელსაც ხელოვნურად ქმნიდნენ ბურჟუაზიული ფენები. წარმოებები ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ხელში იყო. 1947 წლისათვის ქვეყანაში 48 ათასი კერძო საწარმო იყო 40 მილიარდი ლეის კაპიტალით. ამასთანავე, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთის კაპიტალის, უპირატესად ინგლის-ამერიკისა და გერმანიის კაპიტალისტების ხელში იყო. უცხოური კაპიტალი კონტროლს უწევდა ნავთის მრეწველობის 92%, გაზისა და ენერგეტიკის — 95, მეტალურგიის — 74 და ქიმიური მრეწველობის — 72%-ს. ომისაგან დანგრეული იყო ქვეყნის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შედეგად უმუშევართა რაოდენობა საშიშ დონეს აღწევდა. საჭირო იყო ფაბრიკა-ქარხნების სწრაფად აღდგენა და უმუშევრობის ლიკვიდაცია. მაგრამ საშინაო ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალი, საბოტაჟს უცხადებდნენ მთავრობის ღონისძიებებს და ასეთი გზით ცდილობდნენ ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, რომ თითქოს სახალხო მთავრობა ვერ ართმევდა შექმნილ ეკონომიური სიძნელეებიდან თავის დაღწევას. კაპიტალისტების საბოტაჟის შედეგად 1947 წლისათვის უმოქმედოდ იდგა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების მეხუთედი ნაწილი.

მრეწველობის ნაციონალიზაცია

შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი იყო რეაქციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ღონისძიებების მიღება და სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა.

1946 წლის დეკემბრის ბოლოს გამოიცა კანონი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. 1947 წელს მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნა და მის ნაცვლად შეიქმნა მრეწველობის ძირითადი დარგების სახელმწიფო სამრეწველო სამმართველო. მონოპოლიური გაერთიანებანი ლიკვიდირებულ იქნა. სამრეწველო სამმართველო ხელმძღვანელობდა საწარმოების მომარაგებას ნედლეულითა და მოწყობილობებით. სპეციალური კანონით სახელმწიფო კონტროლი დაწესდა კერძო საწარმოებზე, რომლის მფლობელები ვალდებული იყვნენ მომჭირნეობით გამოეყენებინათ ნედლეულის მარაგი და მკაცრად დაეცვათ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასები. ახალი საგადასახადო კანონით გაუდიდდა გადასახადი მდიდარ ფენებს და შეუმცირდა მშრომელებს.

1947 წელს გატარდა აგრეთვე ფულის რეფორმაც, რომელიც აშკარა კლასობრივ ხასიათს ატარებდა. 1 მილიონი ძველი ლეი იცვლებოდა სტაბილიზირებულ 50 ახალ ლეიზე. მუშა-მოსამსახურეებს შეეძლოთ გაეცვალათ სამ მილიონამდე, გლეხებს 5 მილიონამდე, დანარჩენებს მხოლოდ 1 მლნ. ლეი. რეფორმამ დიდი დარტყმა მიაყენა სპეკულანტებს, რომლებიც ომის დროს ხალხის გაჭირვების ხარჯზე იყვნენ გამდიდრებულნი. ქაღალდის ფულის უზარმაზარი თანხა, რომელიც ბურჟუაზიას ეკუთვნოდა, გადაუხურდავებელი დარჩა და ხმარებიდან ამოიღეს.

ყველა ამ ღონისძიების გატარებამ თავისი შედეგები გამოიღო. 1947 წლის ბოლოსათვის სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ ომამდელ დონის 61%-ს მიაღწია. მაგრამ ქვეყანა მაინც დიდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა. ამ გაჭირვების ჟამს საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი ეკონომიური დახმარება გაუწია რუმინეთს. საბჭოთა მთავრობამ რუმინეთს უსასყიდლოდ გადასცა: ორთქლმავლები, ვაგონები, გემები, აწვდიდა რუმინეთის მრეწველობისათვის აუცილებელ ნედლეულს, რომლის შედეგად ნედლეულის ნაკლებობის გამო გაჩერებული საწარმოები კვლავ ამუშავდა. რუმინეთი გათავისუფლდა დაზავების პირობებით გათვალისწინებული სარეპარაციო თანხის ანგარიშზე საბჭოთა კავშირისათვის სურსათის მიწოდებისგან.

რუმინეთის მშრომელები რეაქციასთან მწვავე ბრძოლაში ექსპლოატატორულ კლასების პოზიციებს სახალხო მეურნეობაში განუხრელად ასუსტებდნენ. 1947 წლისათვის ზემოთ აღნიშნული

ღონისძიებების განხორციელების შედეგად ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა დემოკრატიული ძალების სასარგებლოდ.

პარიზის ზავი

დასავლეთის სახელმწიფოები პარიზის ზავის შემუშავებისას ცდილობდნენ, ზეგავლენა მოეხდინათ რუმინელ ხალხზე, მის შინაურ საქმეებში ჩარეულიყვნენ და ისეთი ზავი მოეხვიათ, რომელიც ხელს შეუშლიდა ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებას. მაგრამ საბჭოთა მთავრობის მტკიცე მხარდაჭერის შედეგად რუმინეთთან დემოკრატიული ხასიათის ზავი დაიდო, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

1947 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილ იქნა პარიზის ზავი, რომელმაც განამტკიცა და განავითარა მოსკოვში 1944 წლის 12 სექტემბერს დადებული დაზავების შეთანხმება. პარიზის ზავით რუმინეთის საზღვრები დაწესდა ისე, როგორც იგი 1941 წლისათვის იყო, გარდა რუმინეთ-უნგრეთის საზღვრებისა. „ვენის არბიტაჟის“ გადაწყვეტილება გაუქმდა და რუმინეთს უკან დაუბრუნდა უნგრეთის მიერ უკანონოდ მითვისებული ტერიტორია. საყურადღებოა, რომ „ვენის არბიტრაჟის“ გადაწყვეტილებით (1940 წ. სექტემბერი) რუმინეთის ტრანსილვანია ორ ნაწილად გაიყო, რითაც ჩრდილოეთი ნაწილი ფაშისტებმა უნგრეთს მიაკუთვნეს. საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სასაზღვრები დაწესდა ამ ორ ქვეყანას შორის დადებული 1940 წლის 28 ივნისის შეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა რუმინეთში მყოფი მოკავშირეთა ჯარების 90 დღის განმავლობაში გაყვანას. ამასთანავე საბჭოთა კავშირს უფლება ეძლეოდა რუმინეთში იმდენივე რაოდენობის ჯარები ჰყოლოდა, რამდენიც საჭირო იქნებოდა ავსტრიაში მყოფი ჩვენი ჯარების კომუნიკაციების ხაზის დასაცავად.

დემოკრატიული ძალების შემდგომი წარმატებები, მონარქიის ლიკვიდაცია და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადება

. რუმინეთის ხალხის წარმატებები იწვევდა საშინაო და საგარეო რეაქციის გაცოფებას. 1947 წლის ზაფხულში უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო რეჟიმის დამხობას. ამ შეთქმულების სათავეში იყვნენ ეროვნულ-ლიბერალური და ეროვნულ-ცარანისტული პარტიები, რომლებიც მოქმედებდნენ მემარჯვენე სოციალისტებისა და მთავრობის წევრე-

ბის, ალექსანდრესკუს და თათარესკუს, ჯგუფთან ერთად. შეთქმულთ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული ამერიკა-ინგლისის დაზვერვასთან, ღებულობდნენ მათგან მითითებებსა და ინსტრუქციებს სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ. რეაქცია მათი ხელმძღვანელობით მოქმედებდა. შეთქმულება განადგურებულ იქნა, ბურჟუაზიული პარტიები პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე დათხოვნილ იქნა და შეწყდა მათი არსებობა. ეროვნულ-ცარანისტული პარტიის რეაქციონერმა ლიდერებმა შექმნეს იატაკქვეშა, ნახევრად სამხედრო ხასიათის ორგანიზაციები. ამ პარტიის ლიდერები 1947 წელს შეეცადნენ საზღვარგარეთ გაქცეულიყვნენ, იქ ემიგრანტული „მთავრობა“ შეექმნათ და რუმინელი ემიგრანტებისა და დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერით აშკარა ბრძოლა დაეწყოთ სახალხო რეჟიმის წინააღმდეგ. მაგრამ შეთქმულთა ჯგუფი, ეროვნულ-ცარანისტული პარტიის ვიცე-თავმჯდომარის ი. მიხალაკეს მეთაურობით, აეროდრომზე დააკავეს, სასამართლოს წინაშე წარდგნენ და დამსახურებული სასჯელი მიიღეს. შეთქმულების შემდეგ, პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა ბურჟუაზიული პარტია აიკრძალა. 1947 წლის ნოემბერში მთავრობიდან გადადგნენ ბურჟუაზიული პარტიების უკანასკნელი წარმომადგენლები. ყველაფერმა ამან ბურჟუაზიული რეაქცია გაანადგურა. ამის შემდეგ რუმინეთის საშინაო რეაქცია და საზღვარგარეთის იმპერიალიზმი დიდ იმედებს ამყარებდნენ მონარქიაზე. 1947 წლის 30 დეკემბერს პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა აქტი მეფის გადაყენებისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მეფე მიხაი იყო უმსხვილესი მემამულე და კაპიტალისტი. მის ხელში იყო 150 ათასი ჰექტარი მიწა, 160 სასახლე, ნავთის ოთხი უმსხვილესი კომპანია და მილიონობით აქციები მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. მონარქიის მოსპობით რუმინეთის დემოკრატიამ ბოლო მოუღო ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ხელისშემშლელ ფაქტორს. უკანასკნელ ექსპლოატატორთა კლასების ჩამოშორება ხელისუფლებიდან და მონარქიის დამხობა ნიშნავდა ძველი ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის დამსხვრევის დასასრულს. ამის შემდეგ მთელი ძალაუფლება გადავიდა მუშათა კლასის ხელში, რომელიც მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში და ქვეყნის ყველა მშრომელზე დაყრდნობით ახორციელებს ქვეყნის მმართველობას. მონარქიის ლიკვიდაციით დამთავრდა საერთო დემოკრატიული რევოლუცია და სოციალისტური რევოლუციის ამოცანების განხორციელებაზე გადასვლა. როგორც ვიცით, უკვე ამ საერთო დემოკრატიული რევოლუციის დროს განხორციელდა ზო-

გიერთი ანტიკაპიტალისტური ხასიათის ამოცანები: ბანკების ნაციონალიზაცია და მუშათა კონტროლის დაწესება საწარმოებზე.

§ 21. რუმინეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

მუშათა კლასის გათიშულობის ლიკვიდაცია

სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ამ საქმეში მუშათა კლასის ჰეგემონობის უზრუნველყოფა და მის ირგვლივ ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების გაერთიანება. კომუნისტური პარტიის საერთო ხელმძღვანელობით, ამისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო მუშათა კლასის ძალების დაქსაქსულობის ლიკვიდაცია და ერთიანი მუშათა პარტიის შექმნა. სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მემარჯვენე ძალების ჩამოშორების შემდეგ გამყიდველ ტიტელ პეტრესკუს მეთაურობით, ეს პარტია კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პოზიციებზე დადგა, რამაც შექმნა პირობები მუშათა ამ ორი პარტიის გაერთიანებისათვის. 1948 წლის 21 თებერვალს ბუქარესტში შედგა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელმაც ბოლო მოუღო მუშათა კლასის გათიშულობას და შექმნა ერთიანი პარტია „მუშათა პარტიის“ სახელწოდებით. ახლად არჩეული ცკ-ის შემადგენლობაში შევიდნენ ორივე პარტიის ხელმძღვანელები, გენერალურ მდივნად კი აირჩიეს კომპარტიის ძველი ხელმძღვანელი გეორგი გეორგიუ-დეჟი[1]. მუშათა ერთიანი პარტიის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის რუმინეთში.

სოციალისტური გარდაქმნების ღონისძიებანი რუმინეთში

1948 წლის მარტის თვეში რუმინეთში ჩატარდა დიდი ეროვნული კრების არჩევნები, რომლის დროსაც სახალხო დემოკრატიის ფრონტმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 93%. დიდმა ეროვნულმა კრებამ იმავე წლის 13 აპრილს მიიღო სახელმწიფოს ძირითადი კანონი — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელშიც ასახული იყო რუმინელი ხალ-

[1] გეორგი გეორგიუ-დეჟი კომუნისტურ პარტიაში შევიდა 1930 წელს. 1933 წელს მას მიესაჯა 12 წლით საკატორღო სამუშაო. წლების განმავლობაში იგი ციხესა და საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა. ომის შემდეგ იგი სათავეში უდგება კომუნისტურ პარტიას.

ხის მიღწევები სახალხო დემოკრატიული წყობილების განვითარების პირველ ეტაპზე.

ამ კონსტიტუციის საფუძველზე 1948 წლის 11 ივნისს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი იმ საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ, სადაც 50-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ნაციონალიზირებულ იქნა აგრეთვე ტრანსპორტი, ბანკები და სადაზღვევო საზოგადოებები, რომლებიც ეკუთვნოდა როგორც რუმინეთის, ასევე საზღვარგარეთის კაპიტალისტებს. მაგრამ ნაციონალიზაცია შეეხო მხოლოდ მსხვილ და საშუალო საწარმოებს. წვრილი საწარმოები ჯერ კიდევ კერძო პირების ხელში რჩებოდა. ნაციონალიზაციის ჩატარების შედეგად სოციალისტური სექტორის ხელში გადავიდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 90%. წარმოების ძირითადი საშუალებების ნაციონალიზაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს. რომ მან ლახვარი ჩასცა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობას. ნაციონალიზაციის ჩატარებისა და ძირითადი ეკონომიური პოზიციების სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს ხელში გადასვლის შემდეგ შესაძლებელი გახდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმაზომიერი განვითარება.

1948 წელს ნაციონალიზებული მრეწველობის ხელმძღვანელობისა და შემდგომი განვითარების მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელმაც შეიმუშავა ქვეყნის განვითარების გეგმები. თავდაპირველად. 1949—1950 წლებში. რუმინეთის ეკონომიკის განვითარება ერთწლიანი გეგმების საფუძველზე ხორციელდებოდა.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა. პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება

1949 წლიდან დაიწყო რუმინეთის სოფლის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა. მოსამზადებელ სამუშაოებს ამ მიზნით პარტია უფრო ადრე შეუდგა. უკვე 1948 წლის შემოდგომაზე სახელმწიფომ შექმნა პირველი 76 მანქანა-ტრაქტორების სადგური, რომელიც სოფლად სოციალისტური გარდაქმნის ერთ-ერთ ტექნიკურ დასაყრდენ ბაზად გადაიქცა. 1949 წლიდან კი იწყება კოლექტიურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლის პროცესი.

სოფლის კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის დაწყებისა და ერთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულების შემდეგ 1950 წლის დეკემბერში მოწვეულმა პარტიის პლენუმმა, შემდეგ კი დიდმა ეროვნულმა კრებამ, მიიღო სახალხო მერეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1951—1955 წწ.), რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების აგება. იგი

უნდა განხორციელებულიყო ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით. გეგმა ითვალისწინებდა ხუთწლედის ბოლოსათვის მრეწველობაში კაპიტალისტური ელემენტების მთლიან ლიკვიდაციას, ხოლო ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვნად შეზღუდვას. გეგმა ითვალისწინებდა ხუთწლედის ბოლოსათვის სამრეწველო წარმოების გადიდებას 2,5-ჯერ.

1950 წლის ოქტომბერში პარტიის ცკ-ის პლენუმმა მიიღო დადგენილება ქვეყნის ელექტრიფიკაციის გენერალური გეგმის შესახებ 1951—1960 წლებში. ამ ხნის განმავლობაში რუმინეთში უნდა აგებულიყო 13 თბო და 24 ჰიდროელექტროსადგური, რის შემდეგ ქვეყნის ენერგეტიკული სიმძლავრე 4-ჯერ გაიზრდებოდა.

ხუთწლიანი გეგმა წარმატებით იქნა განხორციელებული, რომლის შედეგად სამრეწველო წარმოება 1938 წელთან შედარებით 29-ჯერ გადიდდა. აიგო 100-მდე მსხვილი საწარმო, 20 ახალი ელექტროსადგური, 200-მდე საწარმო კი გაფართოვდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით.

მრეწველობის ზრდას ხუთწლედში ᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობა, რის გამოც შეიქმნა დისპროპორცია. ამასთან დაკავშირებით 1953 წლის აგვისტოში რუმინეთის მუშათა პარტიის ცკ-ის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის ტექნიკით უზრუნველყოფის მიზნით ქვეყანაში 16 სოფლის მეურნეობის მანქანების საწარმოების შექმნას. ამ საქმეში რუმინეთს დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. გაიზარდა გლეხთა მატერიალური დაინტერესება და აგრეთვე კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში. საირიგაციო მშენებლობაში და ა. შ. ყველა ამ ღონისძიებების შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებამ მნიშვნელოვნად გაღააჭარბა ომამდელ დონეს.

კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული იყო მთელი სახნავი მიწების მეოთხედი ნაწილი. რუმინეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად. პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებითი განხორციელების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურაში. სოციალისტური სექტორი მრეწველობაში იძლეოდა მთელი პროდუქციის 97%-ს, ტრანსპორტზე სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა უდრიდა 90%-ს, საშინაო ვაჭრობაში — 80%-ს, საგარეო ვაჭრობა კი მთლიანად სოციალისტურ სექტორს ეკუთვნოდა. პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად საზოგადოების ძირითად კლასებად მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა გადაიქცა.

ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობა. 1952 წელს გატარდა ფულის ახალი რეფორმა და ფართო მოხმარების საგნებზე ფასების შემცირება. 1954 წელს გაუქმდა სურსათზე არსებული საბარათო სისტემა.

დიდ წარმატებებთან ერთად დაშვებულ იქნა შეცდომები, განსაკუთრებით კოლექტივიზაციის განხორციელების დროს ირღვეოდა სოციალისტური კანონიერება. კერძოდ, უკანონოდ დაპატიმრებული, გამოძიების და გასამართლების გარეშე დახვრეტილ იქნა კომუნისტური პარტიის ძველი მოღვაწე ლ. პატრაშკანუ და სხვა მრავალი მოღვაწენი. 1968 წლის აპრილში შემდგარმა პარტიის ცკ-ის კომიტეტის პლენუმმა რეაბილიტაცია მოახდინა ლ. პატრაშკანუსა და სხვა მოღვაწეებისა.

1952 წლის კონსტიტუცია

პირველი ხუთწლედის პერიოდში საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ დაისვა საკითხი ახალი კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. ახალ კონსტიტუციაში აისახა ქვეყანაში მომხდარი ეკონომიური და სოციალური ცვლილებები. იგი მიღებულ იქნა 1952 წლის სექტემბერში დიდი ეროვნული კრების მიერ. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ კონსტიტუცია აცხადებდა დიდ ეროვნულ კრებას, რომელსაც ირჩევდა ყველა მოქალაქე, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე 4 წლის ვადით. დიდ ეროვნულ კრებებს შორის პერიოდში უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა მის მიერ ამორჩეული დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი. კონსტიტუციით უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ ითვლება მინისტრთა საბჭო, რომელიც ინიშნება დიდი ეროვნული კრების მიერ არჩევნების შედეგების მიხედვით და პასუხისმგებელია მის წინაშე. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებად კონსტიტუცია აწესებდა ადგილობრივ საბჭოებს, რომელსაც 2 წლის ვადით ირჩევენ. კონსტიტუცია მუშათა პარტიას აცხადებდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელ ძალად.

მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1960 წწ.)

1955 წლის დეკემბერში შემდგარმა რუმინეთის მუშათა პარტიის II ყრილობამ შეაჯამა პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგები და მიიღო მეორე ხუთწლიანი გეგმა (1956—1960 წწ.), რომლის ძირითადი ამოცანა იყო ერთიანი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლო-

ბა. გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას და მის ბაზაზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის დამთავრებას.

მეორე ხუთწლიანი გეგმით უპირატესად უნდა განვითარებულიყო მრეწველობის ის დარგები, რომლის ნედლეულის ბაზაც ქვეყანაში არსებობდა: ნავთის, ქიმიური, ენერგეტიკული, შავი და ფერადი მეტალურგია და ქვანახშირის მრეწველობა. მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის 50%-ით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის 30%-ით გაზრდას.

რუმინელმა ხალხმა მეორე ხუთწლიანი გეგმის დავალებები უდიდესი შრომითი შემართების შედეგად წარმატებით განახორციელა. ათვისებულ იქნა ნავთობის ახალი საბადოები, რის შედეგად ნავთის წარმოება 11.5 მლნ ტონამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზის მოპოვება. განვითარდა ახალი დარგი — ნავთობქიმია. ხუთწლედის ბოლოს, ომამდელ დონესთან შედარებით, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 9.5-ჯერ გაიზარდა, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების პროდუქცია 8.8-ჯერ.

1960 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა ომამდელ დონესთან შედარებით 5-ჯერ გაიზარდა. ელექტრიფიკაციის ათწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ელექტროენერგიის წარმოება. შრომის ნაყოფიერება 1960 წელს 1955 წელთან შედარებით 48%-ით გაიზარდა, ხოლო მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური მატების ტემპმა თითქმის 11% შეადგინა. მწყობრში ჩადგა 100-ზე მეტი საწარმო, 93 ახალი საამქრო, ხოლო 300-მდე საწარმო ხელახლა აღიჭურვა ახალი დანადგარებით.

მრეწველობის აღმავლობას მოჰყვა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი, რომელსაც ხელი შეუწყო 1970 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სავალდებულო დამზადების გაუქმებამ. სახელმწიფო გადავიდა პროდუქტების თავისუფალ შესყიდვაზე. სავალდებულო დამზადების გაუქმებამ დააჩქარა გლეხთა შესვლა კოოპერატივებში.

1959 წლის მარტში დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარ ფორმას. აიკრძალა მიწის იჯარით ან საზიაროდ გაცემა. კულაკებს ჩამოერთვათ იმაზე მეტი მიწის ნაკვეთები, რომლის დამუშავებას ისინი თავისი ოჯახის ძალებით ვერ შეძლებდნენ. მათ აეკრძალათ დაქირავებული შრომის გამოყენება. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად კულაკურ ექსპლოატაციას სოფლად ბოლო მოეღო და მალე იგი, როგორც კლასი, ლიკვიდირე-

ბულ იქნა. კულაკებს კოოპერატივში შესვლის უფლება მიეცათ, მაგრამ მათი ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩევა იკრძალებოდა.

1960 წლის ივნისში შემდგარმა რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობამ შეაჯამა კოლექტივიზაციის შედეგები და განაცხადა, რომ ამ დროისათვის სოციალისტური სექტორი სოფლად აერთიანებდა გლეხთა მეურნეობის 81%. სოციალისტურმა სექტორმა მეორე ხუთწლედის ბოლოს აწარმოა ქვეყანაში მოყვანილი მარცვლეულის 85 და ტექნიკური კულტურების 92%.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ რუმინეთში ქალაქად და სოფლად შეიქმნა მეურნეობის ერთიანი სოციალისტური სისტემა, რაც ნიშნავდა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას. პარტიის III ყრილობამ განაცხადა, რომ ქვეყანაში შეიქმნა სოციალიზმის ეკონომიური ბაზა, რომ რუმინეთი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში—სოციალიზმის მშენებლობის დასრულების პერიოდში.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონე. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 50%, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი კი 40%-ით.

მეორე ხუთწლედში მოხდა აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია. გაუქმდა შეზღუდვები, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ეძლეოდათ იმ პირებს, რომლებიც ადრე ექსპლოატატორთა კლასების ოჯახებიდან იყვნენ გამოსულნი. შეიქმნა არჩევითი სამოქალაქო კომიტეტები, რომლებიც მუშაობდნენ სახალხო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობით. მეტი მშრომელი ჩაება საზოგადოებრივი საქმეების ხელმძღვანელობაში.

მეორე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განმტკიცდა მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის. საბჭოთა კავშირის დახმარებით რუმინეთში აიგო ატომური რეაქტორი, რომელიც მწყობრში ჩადგა 1957 წელს და მეტალურგიული კომბინატი. საბჭოთა მთავრობამ რუმინეთს უკან დაუბრუნა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში დაცული ისტორიული და მხატვრული ფასეულობანი.

1958 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივით რუმინეთთან დაიდო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნენ რუმინეთის ტერიტორიიდან.

ექვსწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება. რუმინეთის გამოცხადება სოციალისტურ რესპუბლიკად

რუმინეთის მუშათა პარტიის III ყრილობამ დაამტკიცა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ექვსწლიანი პერსპექტიული გეგმის დირექტივები (1960—1965), რომელმაც გამოაცხადა სოციალიზმის მშენებლობის კურსის დასრულება.

რუმინეთის მშრომელები დიდი შრომითი შემართებით შეუდგნენ ექვსწლიანი გეგმის შესრულებას და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს. საყურადღებოა, რომ ექვსწლიანი გეგმით სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატების ტემპი რეკორდული იყო, მან 14,5% შეადგინა. ამ პერიოდში მწყობრში ჩადგა 500 ქარხანა, ფაბრიკა და ცეხი, ელექტროენერგიის გამომუშავება 2,5-ჯერ გადიდდა, ფოლადის გამოდნობა 141%-ით გაიზარდა, განსაკუთრებული წარმატებები შეინიშნებოდა ქიმიურ მრეწველობაში, რომლის პროდუქციის წარმოების მოცულობა 1965 წლისათვის 1950 წელთან შედარებით 20-ჯერ გადიდდა. ქიმიურ მრეწველობაში ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპმა ექვსწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებული 22,5%-ის ნაცვლად შეადგინა თითქმის 25%. რუმინეთის ქიმიურ მრეწველობაში პირველ ადგილზე დგას მინერალური სასუქების წარმოება სოფლის მეურნეობისათვის. დიდად განვითარდა სინთეზური და ხელოვნური ბოჭკოების წარმოება, რომლის გაზრდის შედეგად შემცირდა ნატურალური საფეიქრო ნედლეულის მოხმარება და შეწყდა მისი საზღვარგარეთიდან შემოტანა.

1965 წლისათვის მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 57% შეადგინა, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით კი რუმინეთმა 12-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სოფლის მეურნეობაში. 1962 წლისათვის რუმინეთში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მთლიანად დამთავრდა. განმტკიცდა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1965 წლისათვის სოფლად იყო 133 ათასი ტრაქტორი, 36 ათასი კომბაინი და ა. შ. ექვსწლედში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველწლიური მატება 2%-ს შეადგენდა. მიღწეული წარმატებების შედეგი ის არის, რომ რუმინეთი არა თუ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საკუთარი წარმოებით, არამედ საზღვარგარეთაც გაატარებს.

ექვსწლედში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 1,68-ჯერ, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი ერთი მესამედით. ამავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აიგო 270 ათასი ბინა, ხოლო სოფლად მოსახლეობის სახსრებით—530 ათასი სახლი.

ომამდელ რუმინეთში 4 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, რაც მთლიანად ლიკვიდირებულია. რუმინეთში შემოღებულია 8 წლიანი სავალდებულო სწავლება. უკვე 1965 წელს რუმინეთი თვალსაჩინო ადგილზე იდგა მსოფლიოში სტუდენტებისა და ექიმების რაოდენობით, მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებასთან შედარებით.

1965 წლის ივლისში შედგა რუმინეთის მუშათა პარტიის IV ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდების კომუნისტურ პარტიად შეცვლის შესახებ, რის შემდეგ შეიცვალა აგრეთვე ყრილობების ნუმერაცია, დაწყებული რუმინეთის კომუნისტური პარტიის I ყრილობიდან (1912 წ.). ამის გამო 1965 წელს შემდგარი რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობა, რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობად გამოცხადდა.

გარდაცვლილი გ. გეორგიუ-დეჟის ნაცვლად ყრილობამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩია ნ. ჩაუშესკუ[1]. პარტიის IX ყრილობამ გამოაცხადა, რომ რუმინეთში მთლიანად გაიმარჯვა სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ ქალაქად და სოფლად. ყრილობამ განიხილა და მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა 1966—1970 წწ., აგრეთვე — ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის პროექტი 1966—1975 წლებისათვის.

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პარტიაში მუშაობის სახელმძღვანელო ორგანიზაციულ პრინციპებად არის: დემოკრატიული ცენტრალიზმი, კოლექტიური ხელმძღვანელობა, ყველა კომუნისტის მიერ პარტიის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვის უზრუნველყოფა. ყრილობამ დაადგინა, რომ ყოველ კომუნისტს შეუძლია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო პოლიტიკური თანამდებობის დაკავება.

ყრილობამ მოიწონა კონსტიტუციის ახალი პროექტი, რომელიც

---

[1] ნ. ჩ ა უ შ ე ს კ უ დაიბადა 1918 წელს გლეხის ოჯახში. იგი აქტიურად მოღვაწეობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში, იყო რუმინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1936 წელს შეეიდა კომპარტიაში. 1936—1939 წლებში რევოლუციური მოღვაწეობისათვის პატიმრობაში იმყოფებოდა, მაგრამ განთავისუფლებისთანავე ჩაება რევოლუციურ მოღვაწეობაში და 1940—1944 წლებში კვლავ პატიმრობაში იყო. რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა, არის ჯერ რაიკომის, შემდეგ საოლქო კომიტეტის მდივანი. 1950—1954 წწ. იყო მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე, შემდეგ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1945 წლიდან იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, 1955 წლიდან ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, ხოლო 1965 წლიდან, გ. გეორგიუ-დეჟის სიკვდილის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის ჯერ პირველი, შემდეგ კი გენერალური მდივანია.

1965 წლის აგვისტოში დაამტკიცა დიდმა ეროვნულმა კრებამ. ახალმა კონსტიტუციამ რუმინეთი სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა.

კონსტიტუციით მთელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის, რომელსაც იგი დიდი ეროვნული კრებისა და ადგილობრივი საბჭოების მეშვეობით ახორციელებს. კონსტიტუციაში ასახულია რუმინეთის მშრომელთა მონაპოვარი: კონსტიტუცია აცხადებს მოქალაქეების თანასწორუფლებიანობას მიუხედავად სქესისა, რწმენისა, რასისა და ეროვნებისა[1]. დიდი ეროვნული კრება ახორციელებს კონტროლს მუდმივად მოქმედ სახელმწიფო ორგანოზე, სახელმწიფო საბჭოზე, მინისტრთა საბჭოზე, უმაღლეს სასამართლოზე და პროკურატურაზე. გ. გეორგიუ-დეჟის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლიდან სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს კივუ სტოიკა, 1967 წლიდან კი ნ. ჩაუშესკუ. 1965 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ი. მაურერი აირჩიეს.

22. რუმინეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში

სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება

როგორც აღვნიშნეთ, რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობამ განიხილა და მიიღო მეოთხე ხუთწლიანი გეგმის (1966—1970 წწ.) დირექტივები და ენერგეტიკული ბაზისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის განვითარების ათწლიანი გეგმა. ათწლიანი გეგმა ითვალისწინებდა რუმინეთის ენერგეტიკული რესურსების ათვისებასა და შემდგომ ელექტრიფიკაციას, რომლის შესრულების შემდეგ რუმინეთს წელიწადში უნდა ეწარმოებინა 14 მლნ ტონა ნავთი, 40 მლნ ტონა ქვანახშირი, 60 მლრდ კვტ საათი ელექტროენერგია.

რუმინეთის კომუნისტურმა პარტიამ მშრომელთა ძალების შემდგომი მობილიზაცია მოახდინა ამ გრანდიოზული ამოცანების განსახორციელებლად, ყოველმხრივი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად.

რუმინეთის მშრომელთა დაუღალავი შრომის შედეგად მეოთხე ხუთწლიანი გეგმა წარმატებით განხორციელდა. 1965—1970 წლების

---

[1] რუმინეთში რუმინელების გარდა ცხოვრობენ: რუსები, უკრაინელები, უნგრელები, ბელორუსები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელები, ხორვატები, თურქები და სხვა ეროვნებები. ყველა ეროვნული უმცირესობა თანასწორუფლებიანობით სარგებლობს. ტრანსილვანიის ტერიტორიაზე, სადაც უნგრელები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, შექმნილია უნგრეთის (მადიართა) ავტონომიური ოლქი, რომლის ცენტრია ქალაქი ტირგუ-მურეში.

განმავლობაში აშენდა და მწყობრში ჩადგა 1500 სამრეწველო საწარმო და ობიექტი. სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპი შეადგენდა 11,8%-ს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10,6-დან 11.6%-სა. ყოველწლიური ზრდის უფრო მაღალი ტემპი მიღწეულ იქნა მანქანათმშენებლობაში (15.9%), ქიმიურ მრეწველობაში (21,4%). ფოლადის გამოდნობამ გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ დონეს და მიაღწია 6,5 მლნ ტონას. ელექტროენერგიის წარმოებამ მიაღწია 35,1 მლრდ კვტ საათს. ქვანახშირისამ—22 მლნ ტონას, ნავთისამ — 13,4 მლნ ტონას, გაზისამ — 25 მლრდ მ³. მეოთხე ხუთწლედში ელექტროენერგიის წარმოებას მიემატა კიდევ ორი ახალი აგრეგატი, მშენებლობის პროცესში მყოფი გრანდიოზული ჰესიდან (მდ. დუნაიზე).

ერთ სულ მოსახლეზე ფოლადის წარმოება უდრის 325 კილოგრამს, რითაც რუმინეთი მიუახლოვდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების — საფრანგეთისა და იტალიის დონეს.

რუმინეთის მეტალურგიული წარმოება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს ლითონზე 90%-ით. მრეწველობის ყველა დარგს შორის ტემპის ზრდა უფრო სწრაფია ქიმიურ მრეწველობაში. განსაკუთრებით, პლასტიკური მასის, სინთეტიკური ბოჭკოების, ნავთისა და სასუქების წარმოებაში.

1970 წლის ბოლოსათვის მრეწველობის იმ დარგების ხვედრითი წონა (მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის, ქიმიის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროენერგეტიკის), რომლებიც სახალხო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებენ შეადგენდა 52,4%. ეროვნულ შემოსავალში მრეწველობის ხვედრითი წონა თუ 1965 წელს შეადგენდა 49%-ს, 1970 წლისათვის მან 60%-ს მიაღწია. ეროვნული შემოსავალი მეოთხე ხუთწლედში ყოველწლიურად საშუალოდ იზრდებოდა 7,7%-ით, საგარეო ვაჭრობის მოცულობა ნაცვლად დაგეგმილი 50—55%-ისა, 75%-ით გაიზარდა. რუმინეთის მრეწველობის განვითარების დაჩქარებული ტემპი შეპირობებული იყო დაგროვების ფონდის ზრდასთან, რომელმაც 1970 წლისათვის შეადგინა ეროვნული შემოსავლის 30,3%. აღნიშნულ გარემოებას ხელი შეუწყო აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებებში მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფამ. 1970 წლისათვის სახალხო მეურნეობაში 12-ჯერ მეტი თანხა გამოიყო, ვიდრე 1950 წელს და 17-ჯერ მეტი, ვიდრე 1938 წელს. ხუთწლედში გააქტიურდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომლის მიზანი იყო ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზღვარგარეთ შეძენილი ლიცენზიებით ახალი ტიპის ლაქების, საღე-

ბავების და სინთეტიკური ბოჭკოების წარმოების გაუმჯობესება.

1970 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე დაგეგმილზე ნაკლები იყო. მთელი ხუთწლედის მანძილზე წყალდიდობისა და სხვა სტიქიური უბედურების გამო, ზედიზედ, სამი წლის განმავლობაში მოუსავლიანობა იყო. 1970 წელს, წინა წელთან შედარებით, 3 მლნ. ტონით შემცირდა მარცვლეულის მოსავალი. 1970 წელს მარცვლეულის მოსავალი 3394 მლნ. ტონას შეადგენდა, სიმინდისა — 6395 ათას ტონას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო 5215,4 ათასი სული, ღორი — 6357,9 ათასი, ცხვარი — 13812,8 ათასი და ა. შ. მიუხედავად უამინდობისა, მეოთხე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა, წინა ხუთწლედთან შედარებით 24%-ით გაიზარდა. სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებების მთავარი პირობა ის იყო, რომ სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 137,5 ათასი ტრაქტორი, 50,2 ათასი კომბაინი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

წარმატებებმა მრეწველობაში, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში პირობები შექმნეს მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 1970 წლის 1 მარტისათვის დამთავრდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ისა და მთავრობის 1968 წლის დადგენილების განხორციელება, სახალხო მეურნეობის და სოციალისტური ცხოვრების ყველა დარგში ხელფასის გაზრდისა და შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის შემოღების შესახებ. ამ დადგენილების განხორციელება 1968 წლის დამლევიდან დაიწყო, რომლის შესაბამისად ხელფასი გაეზარდათ მუშა-მოსამსახურეთა ყველა კატეგორიებს. ხელფასის მინიმუმი გაიზარდა 800 ლეიმდე. დაბალხელფასიანი კატეგორიის მშრომელები გადასახადებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ.

5 წლის განმავლობაში სახელმწიფო სახსრებითა და კრედიტებით ქალაქად აიგო 344,3 ათასი ბინა, სოფლად კი 260 ათასი სახლი.

ხუთწლედის განმავლობაში მთავრობისა და პარტიის ორგანოებმ მთელი მოღვაწეობა მიზნად ისახავდა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას, ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარებისა და აყვავების ამოცანებს. 1969 წლის აგვისტოში შემდგარმა პარტიის X ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის (1971—1975 წწ.) დირექტივები და 1976—1980 წლების ეკონომიური პროგრამის ძირითადი მიმართულებანი. დასახული ღონისძიებების ძირითადი ამოცანაა „ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუწყვეტელი გაფართოება და სრულყოფა. ყოველმხრივი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნა“.

1971 წლის ოქტომბერში, დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა და ნაწილობრივ ცვლილებები შეიტანა პარტიის X ყრილობაზე მიღებულ ამ გეგმის დირექტივებში. სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,5—9,5%-ისა გაზარდეს 11—12%-მდე, სოფლის მეურნეობისა— ნაცვლად 5,0-დან 5,5%-ისა 8,3%-მდე, ეროვნული შემოსავლისა — ნაცვლად 7,7—8,5%-ისა 11—12%-მდე. დაგროვების ნორმა ხუთწლედში იქნება 30—32%.

1971 წელს მიიღეს დადგენილება „გადასახადების შემცირებისა და ნაწილობრივ გაუქმების შესახებ კოოპერატივებისა და ერთპიროვნული გლეხების შემოსავლიდან", რომელიც მიზნად ისახავს გლეხების შემოსავლის გაზრდას. გაუმჯობესდა გლეხთა პენსიებით უზრუნველყოფის საქმეც, 45%-ით გაიზარდა ბავშვებზე დახმარების ფონდი.

ცვლილებანი მმართველობის სისტემასა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში

1969 წლის მარტში დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი თავდაცვის საბჭოს დაარსების შესახებ. ამ კანონის მიხედვით თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი, რომელიც ამავე დროს, იქნებოდა რუმინეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ჩაუშესკუ.

1974 წლის 28 მარტს რუმინეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად დააწესა პრეზიდენტის პოსტი, რომელშიც გაერთიანდა შემდეგი ფუნქციები: სახელმწიფოს მეთაურისა, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლისა, თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად, იმავე დღეს აირჩიეს კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ. დაწესდა არჩევნების ახალი წესი, რომლითაც პრაქტიკაში შემოვიდა დეპუტატის რამდენიმე კანდიდატის წამოყენება ერთ ადგილზე.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება პარტიის XI ყრილობისათვის პროგრამისა და წესდების შემუშავების შესახებ. წესდებაში შეტანილია ცვლილება კადრების როტაციის (მონაცვლეობის) შესახებ, რომლის ამოცანაა პარტიული და სახელმწიფო მუშაობის გამოცდილების მიღება რაც შეიძლება მეტი მოქალაქის მიერ. ამ მიზნით პარტიულ და სახელმწიფო აპარატში განხორციელდა მრავალი გადანაცვლება.

1970 წლის მარტში ცკ-ის პლენუმმა განიხილა და მოიწონა 1970—

1980 წლებში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ეროვნული პროგრამა, აგრეთვე ეროვნული პროგრამა 1971—1975 წწ. და პერსპექტიული საერთო მონახაზები 1985 წლისათვის წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების, ირიგაციული სამუშაოების გაზრდისა, ზვავების, ჭაობის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოების გაფართოების შესახებ. რუმინეთის კომუნისტური პარტიის 1967 წლის ეროვნული კონფერენციისა და შემდეგ კი. პარტიის X (1969 წ.) ყრილობის შესაბამისად, 1967 წელს დაიწყო სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფის მიზნით ღონისძიებების განხორციელება, რომლის დამთავრება გათვალისწინებული იყო 1970 წლისათვის, მაგრამ 1970 წლის დეკემბერში შემდგარმა დიდმა ეროვნულმა კრებამ მისი დამთავრება 1971 წლის ბოლომდე გააგრძელა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით უდიდესი გარდაქმნების გამო ეს ვადა არარეალური აღმოჩნდა. ეს ღონისძიებები, რომლებიც 1973 წელსაც გრძელდებოდა, მიზნად ისახავდა ზედმეტი ცენტრალიზმის ზოგიერთი ფორმების, პარალელიზმის და შუალედური რგოლების ლიკვიდაციას. სამრეწველო გაერთიანებებს ამ ღონისძიების შედეგად დიდი სამეურნეო დამოუკიდებლობა მიენიჭათ და ამ გაერთიანებებით ხდება ძირითადად წარმოების დაგეგმვა. 1973 წლის მარტში სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა დეკრეტი სამინისტროების და სხვა ცენტრალური ორგანოების ერთიანი ნორმების დაწესების შესახებ და აგრეთვე ეკონომიური სტრუქტურის შესახებ. ამ დეკრეტის შესაბამისად სამინისტროებისა და ყველა ეკონომიური ერთეულების ორგანიზაციული სტრუქტურა გარდაიქმნება და მათი შტატები დაახლოებით 40%-ით შემცირდება. ეს ღონისძიებები შეაჯამა პარტიის ივნისის (1973 წ.) პლენუმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებების შედეგად სამრეწველო გაერთიანებების რიცხვი შემცირდა 207-დან 99-მდე, საწარმოები კი, რომლებიც სამინისტროებსა და გაერთიანებებს ექვემდებარებიან, შემცირდა 5400-დან 3600-მდე. თითქმის ნახევრამდე შემცირდა განყოფილებების და ქვეგანყოფილებების რაოდენობა ცენტრალურ აპარატში, გაერთიანებებში და საწარმოებში. 130 ათასზე მეტი განთავისუფლებული მუშაკი საწარმოებში გაგზავნეს.

დიდი გარდაქმნითი სამუშაოები ჩატარდა სოფლის მეურნეობაშიც. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მეოთხე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები სოფლად ვერ ხორციელდებოდა. მაგალითად, თუ 1972 წელს მარცვლეულის მოსავალმა 16,7 მლნ ტონამდე მიაღწია, 1973 წელს იგი შეადგენდა 13,8 მლნ ტონას. ეს აიხსნება ახალგაზრდობის და საერთოდ სოფლის მოსახლეობის მასობრივად

სოფლიდან ქალაქში[1] წასვლით და ცუდი ამინდითაც. ამასთან, მსხვილ-ფეხა საქონლის პროდუქტიულობა ძალზე დაბალ დონეზე რჩებოდა. კომპარტიის მარტის (1973 წ.) პლენუმმა იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე და გლეხთა მატერიალური დაინტერესების გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნია შემოეღო შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემა სოფლის ყველა კოოპერატიულ მეურნეობაში, და განსაკუთრებით სუსტად განვითარებულ შრომატევად დარგებში: მებოსტნეობაში, მებაღეობასა და მეცხოველეობაში. ივლისის პლენუმმა (1973 წ.) და მინისტრთა საბჭომ მეცხოველეობის განვითარების წახალისების მიზნით მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება ახალი საშემსყიდველო ფასების დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით საცალო ვაჭრობაში ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე ფასების გაზრდის შესახებ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მიერ დასახულ მიჯნებთან მიახლოებას და დაჩქარებული განვითარების შემდგომ წინსვლას.

ამან საშუალება მისცა რუმინეთის კომუნისტურ პარტიას წამოეყენებინა ლოზუნგი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულების შესახებ. სამრეწველო წარმოება 1974 წელს 1970 წელთან შედარებით 64,5%-ით გაიზარდა. კაპიტალური დაბანდებანი — 55%-ით, ეროვნული შემოსავალი კი 55%-ით.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობა. რუმინელი ხალხის წარმატებები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში

1974 წლის ნოემბერში შედგა რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობა, რომელზეც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ცკ-ის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ. „პარტიის XI ყრილობა, განაცხადა მან, მიმდინარეობს მთელი ხალხის აღფრთოვანებისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. რომელიც შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში“. „ამ გეგმას, თქვა მან, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუმინეთის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებაში. ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგება 2,400-ზე მეტი ახალი სამრეწველო ობიექტი, ძირითადი ფონდების მოცულობა გაიზრდება 420 მილიარდი ლეით, რაც 2,5-ჯერ აღემატება პირველი სამი ხუთწლედის განმავლობაში მიღებულ მთელ

[1] მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1970 წლისათვის შეადგენდა 5,1 მლნ. კაცს, 1973 წლისათვის კი 5,8 მლნ. კაცს.

მატებას. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურ-ნეობის დარგში, რომელიც ახლა იძლევა ორჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდელ პერიოდში"[1].

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებითი განხორციელების მსვლელობაში რუმინეთი გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე სოციალის-ტურ ინდუსტრიულ ქვეყნად. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1974 წლისათვის ომამდელზე 28-ჯერ მეტია. ბევრ დარ-გში თითქმის 2 კვირაში უშვებენ გაცილებით მეტ ნაწარმს, ვიდრე ომამდელი რუმინეთი მთელი წლის განმავლობაში. 26-ჯერ არის გა-დიდებული ელექტროენერგიის გამომუშავება, 24-ჯერ — ნავთობისა და ქვანახშირის ამოღება, 25-ჯერ მანქანების დამზადება. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში მნიშვნელოვნად უმჯობესდება მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონე. 1972 წლის 1 სექტემბერს დაწესდა ხელფასის მინიმუმი 1000 ლეის რაოდენობით (1970 წელს იგი 800 ლეი იყო). 1 ნოემბრიდან გაიზარდა პენსიები 16%-ით და გადიდდა მრავალშვილიანი ოჯახები-სათვის დახმარების თანხა, ხელფასის გაზრდა ორ ეტაპად დაიგეგმა. 1973 წლისათვის დამთავრდა ხელფასის გაზრდის პირველი ეტაპი. იგი გაიზარდა 8.2%-ით, 1974—1975 წლებში კი 16%-ით. 1973 წელს ხელფასის მომატება შეეხო 4,6 მლნ კაცს. მოსახლეობის საშუალო ხელფასი შეადგენდა 1500 ლეის. 1972 წლის სექტემბრიდან, ხელფა-სის მინიმუმის დაწესების შემდეგ, კვალიფიციური და არაკვლაიფი-ციური მუშების ხელფასს შორის განსხვავება შემცირდა. 1973 წლის ნოემბრის პარტიის ცკ-ის პლენუმის დადგენილებით გაიზარდა კვა-ლიფიციურ მუშათა ხელფასი.

ბინათმშენებლობის მასშტაბი ერთიორად გადიდდა. ახლა ქალა-ქებში ყოველი მეოთხე ოჯახი ახალ ბინაში ცხოვრობს. მნიშვნელოვ-ნად გაუმჯობესდა მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურების დონე, გაიზარდა მათი კადრების რაოდენობა. მედიცინაში ფართოდ ინერგება თანამედროვე მეთოდები.

თუ ომამდელი რუმინეთი ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო ევროპაში წერა-კითხვის უცოდინარობით და სწავლა-განათლების დონით, ამჟამად ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს ამა თუ იმ სახეობის სკოლაში. ომამდელ დონესთან შედარებით მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა 8-ჯერ გაიზარდა. წიგნები და ჟურნალ-გა-ზეთები მილიონობით ტირაჟით გამოდის. რუმინეთის ხელოვნების მუშაკების და მწერლების ნამუშევრები მთელ მსოფლიოშია ცნო-ბილი.

---

[1] გაზეთი „პრავდა", 29/XI-1974.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ განიხილა და მიიღო ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და კომუნიზმში თანდათნობით გადასვლის ახალი პროგრამა, ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივები (1976—1980 წწ.) და რუმინეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების 1981—1990 წლების მთავარი მიმართულებანი. „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა, განაცხადა ნ. ჩაუშესკუმ პარტიის XI ყრილობაზე. იქნება სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მთელი საზოგადოების შემდგომი სწრაფი განვითარება"[1].

დირექტივების მიხედვით მომავალ ხუთწლედში ენერგეტიკული ნახშირის მოპოვება მიაღწევს 56 მლნ. ტონას, ელექტროენერგიის წარმოება 75—80 მილიარდ კილოვატსაათს, ფოლადის წარმოება 17—18 მილიონ ტონას. ახალ ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპი იქნება 9—10%. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზრდება 25—34%-ით წინა ხუთწლედთან შედარებით. ჩაუშესკუმ პარტიის XI ყრილობაზე განაცხადა, „რომ მარცვლეულის წარმოებას სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა". 1980 წლისათვის მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 8 მილიონ სულამდე მიაღწევს, ცხვრის — 18—20 მილიონამდე, ღორის — 12 მილიონამდე, ფრინველის — 40—50 მილიონამდე. კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში მიაღწევს 110 მილიარდ ლეის.

ნ. ჩაუშესკუმ განაცხადა, რომ მთელი სოციალ-ეკონომიური მოღვაწეობის მაღალი ტემპების განვითარების შედეგად საზოგადოებრივი პროდუქტები ყოველწლიურად საშუალოდ 8—9%-ით გაიზრდება და 1980 წელს მიაღწევს დაახლოებით 1.400 მილიარდ ლეის. ეროვნული შემოსავალი ყოველწლიურად საშუალოდ 9—10%-ით გაიზრდება და 1980 წლისათვის 600 მილიარდ ლეის მიაღწევს.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ მრეწველობაში და არა სოფლის მეურნეობის დარგებში დაკავებულია მოსახლეობის 60%, სოფლის მეურნეობაში კი მათი რიცხვი 50-დან 38%-მდე შემცირდა. გაიზარდა აგრეთვე ინტელიგენციის ხვედრითი წონა განსაკუთრებით ტექნიკის დარგში. პარტიის პროგრამისა და დირექტივების შესაბამისად მომავალ ხუთწლედში ეს ცვლილებები გაღრმავდება, სამუშაო ძალის ხვედრითი წონა მრეწველობაში და სხვა არა სოფლის მეურნეობის დარგებში 1980 წლისათვის იქნება 70%, 1990 წლისათვის კი დაახლოებით 85—88%.

„ამრიგად, აღნიშნა ნ. ჩაუშესკუმ, თანდათანობით წაიშლება განსხვავება საზოგადოებრივ კატეგორიებს შორის, გათანაბრდება მათი

---

[1] გაზეთი „პრავდა", 29/XI—1974.

შრომისა და ცხოვრების პირობები, მათი პროფესიონალური, კულტურული და პოლიტიკური ცოდნის დონე, რომლის შედეგად გაძლიერდება საზოგადოების ერთნაირი სახის, ერთნაირი მშრომელი ხალხის ჩამოყალიბება"[1].

პარტიის XI ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში მეცნიერულადაა დასაბუთებული ყოველმხრივი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, როგორც სოციალიზმის უმაღლესი ეტაპის, მთავარი პრინციპები და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პროცესი.

6. ჩაუშესკუმ ყრილობაზე განაცხადა, რომ პარტიის პროგრამისა და რუმინეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დირექტივების შესაბამისად, რომელიც ფაქტიურად პროგრამის შემადგენელი ნაწილია, გათვალისწინებულია მშრომელთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება.

6. ჩაუშესკუმ აღნიშნა, რომ პარტიის XI ყრილობისათვის კომუნისტური პარტიის რიგებში გაერთიანებული იყო 2.480 ათასი წევრი, რაც 500 ათასით მეტი იყო, ვიდრე X ყრილობის დროს. მუშათა კლასის რაოდენობის, საზოგადოებაში მათი ხვედრითი როლის გაზრდის შედეგად პარტიაში ისინი თუ 1969 წელს შეადგენდნენ 42,6%-ს, 1974 წლისათვის 48,37 პროცენტამდე გაიზარდა. კოოპერაციული გლეხობა პარტიის წევრთა 22%-ს, ინტელიგენცია კი 21%-ს შეადგენდა.

1974 წლის აგვისტოში რუმინელმა ხალხმა იზეიმა ფაშიზმისაგან განთავისუფლების 30 წლისთავი, რომელიც ქვეყნის უდიდესი წარმატებების დემონსტრაცია იყო.

საგარეო პოლიტიკა

თანამედროვე რუმინეთის საგარეო პოლიტიკა ძირეულად განსხვავდება ომამდელისაგან. რუმინეთი თავის მეზობელ, განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას აგებს მშვიდობისა და მეგობრობის საფუძველზე. რუმინეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება დასავლეთის `სახელმწიფოებს უნდოდათ გამოეყენებინათ მის შინაურ საქმეებში ჩარევისა და მასზე ზემოქმედების მოსახდენად. მაგრამ საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით დასავლეთის სახელმწიფოების ეს ცდები ჩაშალა.

პარიზის ზავმა დიდი როლი შეასრულა მეზობელ და მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებისათვის. რუმინეთი შედის ეკონომიური ურთიერთდახ-

[1] გაზეთი „პრავდა", 29/XI-1974.

ბარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. რუმინეთი, უმეტეს შემთხვევაში რთული საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრის დროს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად გამოდიოდა. რუმინეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე შეიტანა განსახილველად საკითხი „ახალგაზრდობის აღზრდის ღონისძიებების შესახებ ხალხთა შორის მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით". ამ საკითხს მხარი დაუჭირა დელეგაციების უმრავლესობამ და იგი 1961 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა. 1957 წლის სექტემბერში რუმინეთის მთავრობამ ბალკანეთის ქვეყნებს გაუგზავნა მიმართვა კულტურული თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ, ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. რუმინეთის მთავრობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი და შეუერთდა სამი სახელმწიფოს მოსკოვის ხელშეკრულებას. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. 1963 წლის აგვისტოში რუმინეთმა ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და მიესალმა საბჭოთა მთავრობის მიმართვას, სადავო, ტერიტორიული საკითხების გადაჭრისას ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

60-იანი წლების მეორე ნახევარში იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც რუმინეთის მთავრობამ ზოგიერთ საერთაშორისო საკითხში. სხვა სოციალისტურ ქვეყნებისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა. განსაკუთრებით. ჩეხოსლოვაკიის ამბებთან დაკავშირებით.

1970 წლის ივლისში საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის. თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ეს ხელშეკრულება 1948 წლის თებერვლის ხელშეკრულების გაგრძელებაა საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის. 1970 წლის ხელშეკრულების შესაბამისად ორივე ქვეყანას შორის კვლავ. განვითარდება ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ. მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში, სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თანასწორობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ახალ ხელშეკრულებაში ხაზგასმითაა აღნიშნული სოციალისტური ქვეყნების ერთობისა და შემჭიდროების. მათი როლის შესახებ საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და იმპერიალისტური აგრესიის ალაგმვის საქმეში. ხელშეკრულებაში ნათქვამია. რომ ევროპის უშიშროების მთავარ წანამძღვარს წარმოადგენს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად დადგენილი საზღვრების ხელშეუხებლობა და ურყეობა. საბჭოთა კავშირმა და რუმინეთმა

ვალდებულება იკისრეს ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ, მათ შორის სამხედროც, თუ ერთ-ერთ მათგანს, რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი თავს დაესხმის. ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე ურთიერთშორის კონსულტაციები აწარმოონ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე. ერთიანი პოზიციის შემუშავების მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის განვითარებასა და სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცების საქმეში.

1970 წელს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დაიდო რიგი ახალი შეთანხმებებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური ურიოერთობის განმტკიცებას. მაგალითად, ხელმოწერილია ოქმი (სექტემბერში) ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების კოორდინაციისათვის 1971—1975 წწ., შეთანხმება რუმინეთ-საბჭოთა კავშირს შორის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის მიერ რუმინეთისათვის 1971—1975 წლებში კომპლექსურ მოწყობილობების მიწოდებისა და ტექნიკური დახმარების გაწევის შესახებ, შავი და ფერადი, მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობქიმიის, მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მშენებლობაში, სსრ კავშირში რკინის მადნის ნედლეულის წარმოების განვითარებაში თანამშრომლობის შესახებ.

1971—1975 წლებში რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის საერთო მოცულობამ მიაღწია 5,3 მლრდ მანეთს, რაც 40%-ით მეტია წინა ხუთწლედთან შედარებით. საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით რუმინეთში ომის შემდეგ აიგო 100-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და ობიექტი ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ნავთობგადამუშავება, ქიმია. იგი იძლევა რუმინეთში ელექტროენერგიის, მილების, კოქსის, ქიმიური სასუქებისა და სხვების ნახევარზე მეტს.

რუმინეთი აფართოებს თავის თანამშრომლობას სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სადაც 1970—1973 წლებში იმყოფებოდა რუმინეთის რამდენიმე დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. ბოდნარაშემის მეთაურობით და მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. რედულესკუს მეთაურობით. 1970 წელს ჩინეთმა რუმინეთს მისცა შეღავათიან პირობებში ხანგრძლივვადიანი კრედიტი. 1973 წელს კვლავ ვითარდება რუმინეთ-ჩინეთის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში. სექტემბერში ე. ბოდნარაშემი კვლავ იყო ჩინეთში და იგი პეკინში

მიიღო ჯოუ ენ-ლაიმ[1]. ნოემბერში ჩინეთში იმყოფებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პეცანი. 1973 წლის აპრილში ბუქარესტში შეიქმნა რუმინეთ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება.

რუმინეთ-ჩინეთის თანამშრომლობა გაფართოვდა ყველა დარგში, მათ შორის პარტიული ხაზითაც. 1972 წლის აპრილში რუმინეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბუქარესტ-პეკინის ავიახაზის გახსნისა და მათ მოქალაქეთა ამ ხაზით საჰაერო მგზავრობის შესახებ.

რუმინეთი ფართო და მჭიდრო ურთიერთობას ახორციელებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან პარტიულ, ეკონომიურ, კულტურულ და თითქმის ყველა დარგში.

1970 წლის სექტემბერ-ნოემბერში ნ. ჩაუშესკუს ჰქონდა შეხვედრა თ. ჟივკოვთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. მაურერს და იუგოსლავიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს მ. რიბიჩიჩს კი—ურთიერთვიზიტები თავიანთ ქვეყნებში.

ნ. ჩაუშესკუ მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრაში ყირიმსა და სხვაგან. ი. მაურერი მონაწილეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიებში 1973 წლის აგვისტოში მოსკოვში. ი. მაურერისა და ნ. კოსიგინის შეხვედრის დროს განხილულ იქნა ამ ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობის 1976—1980 წლების გეგმების კოორდინაციისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების საკითხები.

სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად რუმინეთმა ხელი მოაწერა სსრ კავშირში კიემბაევის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატის მშენებლობაში მონაწილეობაზე. რუმინეთსა და ბულგარეთს შორის ხელმოწერილია შეთანმხება დუნაიზე ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის შესახებ.

რუმინეთის საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი 50% (1973 წ.) მოდიოდა სოციალისტურ ქვეყნებზე, აქედან 25% საბჭოთა კავშირზე. რუმინეთ-საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობამ 1973 წელს 1,1 მლრდ მანეთი შეადგინა, 1974 წელს კი ამ თანხამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა.

დიდი სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული რუმინეთს განვითარებად ქვეყნებთან. 1970 წლის დამდეგს 1960 წელთან შედარებით ამ ქვეყნებთან რუმინეთის ვაჭრობა 4,6-ჯერ გაიზარდა. 1973 წელს განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა რუმინეთის მთელი საგარეო ვაჭრობის 20%. ამავე წელს რუმინეთმა ამ ქვეყნებთან 50-ზე

[1] ჯოუ ენ-ლაი გარდაიცვალა 1976 წლის 9 იანვარს.

მეტი სამთავრობო ეკონომიური შეთანმხება და ხელშეკრულება დადო.

ფართო სავაჭრო ურითერთობა აქვს დამყარებული რუმინეთს აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1970 წლისათვის რუმინეთის საქონელბრუნვა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, 1960 წელთან შედარებით, 4-ჯერ გაიზარდა. რუმინეთს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე ფართო სავაჭრო ურთიერთობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, საფრანგეთთან, ინგლისთან, იტალიასთან. რუმინეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სავაჭრო ურთიერთობა ისრაელთან. მაგალითად, 1967—1970 წლებში იგი გაიზარდა 3-ჯერ. რუმინეთი საგარეო ვაჭრობის კავშირის დარგში იყენებს საწარმოო კოოპერირების ფორმებს კაპიტალისტური სახელმწიფოების კერძო ფირმებთან, მათ შორის შერეული საზოგადოების შექმნას, პროდუქციის წარმოების და გასაღებისათვის მესამე სამყაროს ქვეყნებში. 1973 წელს რუმინეთი გამოვიდა ინიციატორად „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის და ცდილობდა მათგან მიეღო საბაჟო და სხვა სახის შეღავათები ორმხრივი და მრავალმხრივი გაფართოებისათვის განსაკუთრებით შემდეგ დარგებში: საავტომობილო, საავიაციო, ელექტროგამომთვლელი მანქანების წარმოებაში და სხვ. რუმინეთი, გარდა ამისა, ცდილობს გააფართოოს შერეული საწარმოო და სავაჭრო საზოგადოებებისა და შერეული ბანკების შექმნა „საერთო ბაზრის" ქვეყნების ფირმების მონაწილეობით და გაზარდოს ამ ქვეყნებში ექსპორტი. 1973 წლისათვის რუმინეთთან საქონელბრუნვაში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მეორე ადგილი დაიკავა (სსრ კავშირის შემდეგ). „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან რუმინეთის ექსპორტში უფრო დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის ნედლეულს და სურსათს, აგრეთვე ნავთის პროდუქტებს, ალუმინს, შავ ლითონს. იმპორტში კი მანქანა-მოწყობილობას. „საერთო ბაზრის" ქვეყნების მინისტრთა საბჭომ 1973 წლის ივნისში სცნო რა რუმინეთი „განვითარებად ქვეყნად", დაადგინა, რომ მასზე გავრცელებულიყო საერთო საბაჟო პრეფერენციების[1] სისტემა.

სავაჭრო ურთიერთობასთან ერთად რუმინეთი ფართო დიპლომატიურ და საქმიან ურთიერთობას ავითარებს კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან. 1970 წელს რუმინეთში იმყოფებოდნენ სუდანის, კონგოს სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტები და ირანის შაჰი. ნ. ჩაუშესკუ

---

[1] პრეფერენცია ნიშნავს სავაჭრო შეღავათებს, უპირატესობის მინიჭებას, ვაჭრობის გაფართოების მიზნით.

იმყოფებოდა პაკისტანში, ირანში, კოსტა-რიკაში, ვენესუელაში, კოლუმბიაში, ეკვადორში, პერუში, მაროკოში, ალჟირში, აშშ-ში; ი. მაურერი კი ირანში, თურქეთში და ა. შ.

რუმინეთი მონაწილეობდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის პირველ, მეორე და მესამე ეტაპების თათბირებში და მოლაპარაკებაში ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ.

რუმინეთი სოლიდარობას უცხადებდა ვიეტნამელი და ინდოჩინელი ხალხების სამართლიან ბრძოლას და დიდი აღფრთოვანება გამოთქვა ამ ხალხების გამარჯვებასთან დაკავშირებით; მოითხოვა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 და 1973 წლების რეზოლუციის საფუძველზე.

აზიის ამ რაიონში 1973 წელს ახალი კონფლიქტის აღმოცენების შემდეგ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ებანი (ნოემბერში) იმყოფებოდა რუმინეთში, ხოლო რუმინეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ 13 არაბულ ქვეყანაში.

1974 წელს რუმინეთს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული 115 სახელმწიფოსთან.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე, 1974 წლის ნოემბერში თავის საანგარიშო მოხსენებაში ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ გააანალიზა საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ „მსოფლიოში ჩქარდება ძალთა თანაფარდობის შეცვლის რევოლუციური პროცესი სოციალური პროგრესის სასარგებლოდ. იმ ძალების სასარგებლოდ, რომლებიც იბრძვიან უკეთესი და უფრო სამართლიანი მშვიდობისათვის, „ცივი ომის“ პოლიტიკიდან თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლისათვის. ამაში, ხაზი გაუსვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, დიდია სოციალისტური ქვეყნების, საბჭოთა კავშირის დამსახურება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში[1]“.

ჩვენი ქვეყანა, თქვა მომხსენებელმა, გამოდის რა დაძაბულობის შენელების კურსის განხორციელებისათვის, თანმიმდევრულად აყენებდა პირველ პლანზე ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან თანამშრომლობის, ურთიერთობის განთივარება. ამ პერიოდში განახლდა მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები სსრ კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან.

„მსურს კიდევ ერთხელ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო სსრ კავშირთან ურთიერთობის განვითარება, რომელსაც ახლა პირველი

[1] გაზეთი „პრავდა“, 29/XI—1974.

ადგილი უკავია რუმინეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში", — თქვა ნ. ჩაუშესკუმ. „ჩვენ გვსურს ამ ყრილობაზეც დავადასტუროთ, რომ რუმინეთის კომუნისტური პარტია, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა კვლავაც მთელი სიმტკიცით შეუწყობენ ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს შეესაბამება ორივე პარტიისა და ხალხის, ქვეყნად სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესებს". რუმინეთი, თქვა შემდეგ რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, „განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპის კონტინენტზე ახალი ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულიად ევროპის თათბირის მოწყობამ ორ ეტაპად დადებითი შედეგები მოგვცა. რუმინეთი მხარს უჭერს ამ თათბირის მესამე ეტაპის მოწყობას უმაღლეს დონეზე". რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ „ქვეყნის განვითარება მოითხოვს სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას, მათთან ფართო საწარმოო კოოპერირებას. რუმინეთი წინა პლანზე აყენებს ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან, რომლებზეც კვლავ მოვა მისი საგარეო ვაჭრობის მთავარი ნაწილი"[1].

1974 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის რეზოლუცია. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა რუმინეთის კომუნისტური პარტიის პროგრამა და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას კომუნისტების, მთელი ხალხის იმ ღონისძიებათა გაერთიანებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ რუმინეთში ყველაზე მოწინავე და ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების წარმატებით მშენებლობას.

მოწონებულია აგრეთვე დირექტივები 1976—1980 წლების ხუთწლიანი გეგმისა და 1990 წლამდე რესპუბლიკის განვითარების მთავარ მიმართულებათა შესახებ.

რეზოლუციის იმ ნაწილში, რომელიც ეძღვნება რუმინეთის კომპარტიის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას, აღნიშნულია, რომ რუმინეთი თავისი საერთაშორისო საქმიანობის ცენტრში კვლავაც დააყენებს ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან თანამშრომლობის, მეგობრობისა და სოლიდარობის განვითარებას, განამტკიცებს სოციალისტური სახელმწიფოების ერთიანობას, ყოველნაირ წვლილს შეიტანს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის

[1] გაზეთი „პრავდა", 29/XI—1974.

წარმატებით დამთავრებასა და სხვა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

ყრილობა ადგენს, ხაზგასმულია რეზოლუციაში, რომ რუმინეთის კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად იღწვოდეს ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან ამხანაგური თანამშრომლობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის განვითარებისათვის, სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მათი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

თავი VIII

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა[1]

§ 23. საერთო დემოკრატიული სახალხო რევოლუციის დაწყების ეტაპი

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლა თავისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის[2]

ჰიტლერულ გერმანიასთან ინგლის-საფრანგეთის მიუნხენის სამარცხვინო გარიგების შედეგად მესამე რაიხის შემადგენლობაში შევიდა სუდეტის ოლქი — სტრატეგიულად და მრეწველობის მხრივ უმნიშვნელოვანესი, ოდითგანვე ჩეხეთის მიწების კუთვნილი სასაზღვრო რაიონები. დასავლეთის სახელმწიფოების დათმობებით გათავხედებული ჰიტლერული გერმანია ამითაც არ დაკმაყოფილდა და

---

[1] ტერიტორია — 127,9 ათასი კმ², მოსახლეობა — 14,634 ათასი (1974 წ.). დედაქალაქი პრაღა (1103 ათასი მცხოვრები). ჩეხოსლოვაკიის საზღვრების 74% მოდის სოციალისტურ ქვეყნებზე (სსრკ-ზე, პოლონეთზე, უნგრეთსა და გდრ-ზე), 26% — ნეიტრალურ ავსტრიაზე და 10%-გფრ-ზე.

[2] ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა 1918 წელს, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით და პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად დაიშალა ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერია. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეეიდნენ: ჩეხეთი, სლოვაკია, მორავია, სილეზიის ნაწილი და კარპატისიქითა უკრაინა. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია X საუკუნემდე შედიოდა დიდი მორავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლის ამაეე საუკუნეში დაშლის შემდეგ სლოვაკი და კარპატისიქითა უკრაინა ხელთ ჩაიგდო უნგრეთმა; ჩეხეთი, მორავია და სილეზია კი თანდათანობით გაერთიანდნენ X საუკუნეში აღმოცენებულ პრაღის სამთავროს ირგვლივ, რომელიც შემდეგ ჩეხეთის სამეფოდ გადაიქცა. XIII—XIV საუკუნეებში ჩეხეთის სამეფომ მიაღწია თავის აყვავებას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო იმდროინდელ ევროპის სახელმწიფოთა შორის. სწორედ ჩეხეთის სამეფო იყო, რომელმაც XIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაამარცხა დასავლეთ ევრო-

1939 წლის მარტში მთელი ჩეხოსლოვაკია მიიტაცა. ჩეხეთი, მორავია და სილეზია ჰიტლერმა გამოაცხადა „ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატად", კარპატის იქითა უკრაინა და სლოვაკიის დიდი ნაწილი გადაეცა ჰორტისტულ უნგრეთს, ხოლო სლოვაკიის დანარჩენ ტერიტორიაზე შეიქმნა მარიონეტული სლოვაკიის სახელმწიფო, რომლის სათავეში ჰიტლერმა ჩააყენა თავისი აგენტი, სლოვაკელი ფაშისტი ტისო. ამ ტრაგიკულ დღეებში ჰიტლერულ გერმანიას მხოლოდ საბჭოთა კავშირმა განუცხადა კატეგორიულად, რომ იგი არასოდეს არ იცნობს ჩეხოსლოვაკიის მიტაცებასა და დანაწილებას. სლოვაკიაში ჰიტლერელებმა თავისი დამქაშების მეშვეობით მოახდინეს მასობრივი გაწვევა, იმ მიზნით, რომ ისინი საზარბაზნე ხორცად გამოეყენებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ სლოვაკელი ჯარისკაცები საბჭოთა ჯარებს მასობრივად ბარდებოდნენ ტყვედ, ან ტყეში გარბოდნენ პარტიზანებად.

ჰიტლერელებმა ჩეხეთში სისხლიანი ტერორი გააჩაღეს, მაგრამ ხალხს ქედი არ მოუხრია მტრის წინაშე და მაშინვე აქტიურად ჩაება ბრძოლაში ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე და ღრმა იატაკქვეშ შეჰქმნა მებრძოლი ორგანიზაციები. 1939 წელს ჩეხოსლოვაკიის კომპარტია გაიყო ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებად. პარტიზანული რაზმები ჩამოყალიბდნენ ჩეხოსლოვაკიის თითქმის ყველა კუთხეში — სლოვაკიაში, ჩეხეთის სამხრეთში, მორავიაში, სილეზიაში, ტაბორის რაიონში და ჩაებნენ ბრძოლაში ოკუპანტების წინააღმდეგ. ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, საბჭოთა მთავრობამ 1941 წლის ივლისში ლონდონში მყოფ ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტულ მთავრობასთან დადო ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ერთიანი წარმოების შესახებ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა ტერიტორიაზე ჩეხოსლოვაკიის ეროვნული არმიის ჩამოყალიბებას. მალე ამის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილები, რომლებიც 1943 წლის დასაწყისიდან თვით ომის დამთავრებამდე საბჭოთა ჯარებთან ერთად მხარდამხარ იბ-

---

პისკენ დაძრული ბათო ყაენის ჯარები და აიძულა ისინი უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII საუკუნის დამდეგს ჩეხეთის უკვე საკმაოდ დასუსტებულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო წინ აღსდომოდა ჰაბსბურგებს და 1620 წელს პრაღის მახლობლად თეთრ მთასთან მომხდარი ბრძოლის დროს იგი დამარცხდა. ამის შემდეგ ჩეხეთის სამეფოს მიწები გადაიქცა ავსტრიის იმპერიის პროვინციებად. ჩეხეთი ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში წარმოადგენდა ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებულ პროვინციას. რაც შეეხება სლოვაკიას, იგი არა თუ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის არსებობისას, არამედ თვით ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დროსაც წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ რაიონს.

რძოდნენ. ოკუპანტების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები. შეიქმნა იატაკქვეშა ორგანიზაციები. ამის საპასუხოდ 1941 წელს ჰიტლერელებმა საგანგებო მდგომარეობა შემოიღეს, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლა გაძლიერდა. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ დაიწყო ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლის ახალი ეტაპი. პ. გოტვალდმა აღნიშნა, რომ „ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულმა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ მთელი მსოფლიოს წინაშე მოახდინა იმის დემონსტრაცია, რომ ჩეხოსლოვაკია ნაცისტური გერმანიის მიმართ ომის მდგომარეობაშია". ამ ხელშეკრულებამ კიდევ უფრო განამტკიცა მებრძოლი ხალხის ძალები, იზრდებოდა წინააღმდეგობა. ხალხი უსწორდებოდა ფაშისტების მიერ დაყენებულ პირებს. მოკლეს ჰიტლერის დაყენებული ნაცვალი ჰაიდრიხი. გაცოფებულმა ფაშისტებმა ნაცარტუტად აქციეს ჩეხური სოფელი ლიდიცე და 1942 წლის 10 ივლისს დახვრიტეს სოფლის მთელი მოზრდილი მოსახლეობა. ბავშვები კი გერმანიაში გარეკეს. 1942 წ. ჩეხოსლოვაკიაში კვლავ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. დაიწყო მასობრივი რეპრესიები და დაპატიმრებები. იულიუს ფუჩიკი, ჩეხი მწერალი კომუნისტი, ხალხს მოუწოდებდა, რათა ბრძოლა არ შეეწყვიტათ და კომპარტიის ხელმძღვანელობით შეექმნათ ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი. „ჩვენ, კომუნისტებს, გვიყვარს მშვიდობა. ამიტომ ვიბრძვით, ჩვენ ვებრძვით ყველაფერს, რაც წარმოშობს ომს, ვიბრძვით საზოგადოების იმგვარი წყობილებისათვის, რომლის დროსაც უკვე ვერასოდეს ვეღარ გამოჩნდება ბოროტმოქმედი, რომელიც ერთი მუჭა ავაზაკების მოგების გულისათვის ასეულ მილიონებს გზავნის სასიკვდილოდ ომის შმაგ მძვინვარებაში. ცოცხალი ადამიანებისათვის საჭირო ფასეულობათა გასანადგურებლად". ფაშისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ კომუნისტებს არა თუ არა შეუსუსტებიათ ანტიფაშისტური ბრძოლა, არამედ იმავე წლის სექტემბრისათვის შეძლეს დარბეული ორგანიზაციის აღდგენა. „პარტიული მოღვაწეობის განახლებამ, — წერდა ფუჩიკი „რეპორტაჟში", — მაშინვე იჩინა თავი, იზრდებოდა საბოტაჟი, იზრდებოდა ქარხნებში გაფიცვების რიცხვი, სექტემბრის დამლევს ბერლინმა ჰაიდრიხი მოგვისია".

იატაკქვეშა კომუნისტური პრესა იმდენად ოპერატიულად მუშაობდა, რომ მკითხველები ხშირად უკვე მეორე დღეს იღებდნენ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტზე. კომუნისტური გაზეთები დიდი ტირაჟით გამოდიოდა და ფართოდ იყო გავრცე-

ლებული არა მხოლოდ პარტიის წევრებს შორის, არამედ მთელი ხალხის ფართო მასებს შორისაც.

ესესელები დაძრწოდნენ მთელ ჩეხეთში, ცდილობდნენ აღმოეჩინათ პარტიული ცენტრი. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ცენტრალური კომიტეტის ესა თუ ის წევრი ჩაუვარდებოდათ ხელში გესტაპოელებს, შევსება მოდიოდა და ცენტრალური კომიტეტი განაგრძობდა მუშაობას. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტები ბრძოლის პირველ რიგებში იდგნენ. ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლას თავი შესწირა 25 ათასმა კომუნისტმა, მათ შორის ი. ფუჩიკმაც. იგი გესტაპოელებმა 1942 წლის 24 აპრილს დააპატიმრეს და 1943 წლის 8 სექტემბერს სიკვდილით დასაჯეს.

1943 წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტულ მთავრობასა და საბჭოთა მთავრობას შორის 20 წლის ვადით დაიდო შეთანხმება მეგობრობისა და ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ჩვენი ჯარების ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან მიახლოებასთან ერთად პარტიზანული მოძრაობა ფაშიზმის წინააღმდეგ მასობრივ ხასიათს იღებს. პარტიზანული მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერდება სლოვაკიაში, სადაც კომუნისტების მეთაურობით შეიქმნა სლოვაკიის ეროვნული საბჭო. მან მიზნად დაისახა საყოველთაო სახალხო აჯანყების მოწყობა ტისოს მთავრობის დამხობისა და ფაშისტების განდევნის მიზნით. ამას ჰიტლერმა 1944 წლის 29 აგვისტოს უპასუხა თავისი ჯარების შეყვანით სლოვაკიაში. იმავე დღეს სლოვაკიის ეროვნული საბჭოს მოწოდებით, რომელშიც ქვეყნის დემოკრატიული და პატრიოტული ძალები იყვნენ გაერთიანებული, სლოვაკიაში დაიწყო სახალხო აჯანყება. აჯანყებულებს ამ დროს ყავდათ პარტიზანთა 42 ბრიგადა 80 ათასი მეომრით. აჯანყების ცენტრი გახდა ქალაქი ბანსკაბისტრიცა. აჯანყებულებმა გაათავისუფლეს სლოვაკიის ტერიტორიის დიდი ნაწილი და გათავისუფლებულ ტერიტორიაზე შექმნეს ეროვნული კომიტეტები, რომლებიც ძალაუფლებას ადგილებზე თავის ხელში იღებდნენ. ჰიტლერელებმა აჯანყებულების წინააღმდეგ დასძრეს „ესესელთა“ 8 დივიზია. სს-ლებმა მხოლოდ 28 ოქტომბრისათვის მოახერხეს აჯანყებულთა ცენტრის ხელთ ჩაგდება, მაგრამ სამაგიეროდ 50 ათასი კაცი დაკარგეს და ამასთანავე ვერც პარტიზანთა ძალების განადგურება შეძლეს. აჯანყებულებმა ორგანიზებულად დაიხიეს უკან, თავი შეაფარეს მთებს და კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას. საბჭოთა სარდლობამ, იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწია აჯანყებულთათვის, დააჩქარა შეტევები დუკელის უღელტეხილზე და ოქტომბერში ჩვენი ჯარები ჩეხოსლოვაკიის არმიასთან ერთად ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ამავე დროს აჯანყებულთა დასახმარებლად საბჭოთა თვითმფრინავებმა სლოვაკიის ტერიტორიაზე

გადაიყვანეს ჩეხოსლოვაკიის მთელი ბრიგადა. ჯერ კიდევ ჩვეხი ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის განთავისუფლების მსვლელობაში, ძალაუფლებას ხელში იღებდნენ ეროვნული კომიტეტები, რომლებიც ქვეყნის თანდათანობით განთავისუფლებისას წინააღმდეგობის გამწევ ხელმძღვანელ ორგანოებიდან გადაიქცნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებად. ამ კომიტეტებში ხელმძღვანელობა კომპარტიის ხელში იყო. კომიტეტების ინიციატივით შეიქმნა სარაიონო და სამაზრო კომიტეტები. ეროვნულმა კომიტეტებმა დიდი როლი ითამაშეს ადგილობრივი სახალხო-დემოკრატიული აპარატის შექმნაში. ისინი ნიშნავდნენ თავის რწმუნებულებს ქარხნებსა და ფაბრიკებში, კონტროლს აწესებდნენ ყველა დაწესებულებებზე.

კომპარტიის ინიციატივით შეიქმნა ეროვნული ფრონტი, რომელშიც მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას წამყვანი ადგილი ეკავა. ეროვნულ ფრონტში გაერთიანდნენ: ჩეხეთის კომპარტია, სლოვაკიის კომპარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია და აგრეთვე მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები — რევოლუციური პროფკავშირები, ახლგაზრდათა, გლეხთა და კოოპერაციული ორგანიზაციები. 1945 წლის აპრილში, როდესაც ქვეყნის განთავისუფლება თითქმის დამთავრებული იყო, ეროვნულ ფრონტში შევიდნენ ბურჟუაზიული პარტიები — ეროვნულ-სოციალისტური, კათოლიკური ანუ „სახალხო" პარტია და სლოვაკიის დემოკრატიული პარტია. ბურჟუაზიული პარტიის ლიდერები ბენეშის მეთაურობით, იმის შიშით, რომ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე კომუნისტების ხელში აღმოჩნდებოდა მთელი ძალაუფლება, იძულებულნი გახდნენ ჩასულიყვნენ მოსკოვში და ახალი მთავრობის შექმნის საკითხზე მოლაპარაკება გაემართათ კომპარტიის წარმომადგენლებთან კ. გოტვალდთან (რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა). 1945 წლის 4 აპრილს ჩეხოსლოვაკიის ემიტრანტული მთავრობის ძველი კაბინეტი გადადგა. შეიქმნა ეროვნული ფრონტის მთავრობა მემარცხენე სოციალ-დემოკრატ ზ. ფირლინგერის მეთაურობით.

ეროვნული ფრონტის პირველ მთავრობაში შევიდნენ: ჩეხეთის კომპარტიის, სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-სოციალისტური და კათოლიკური პარტიების სამ-სამი წარმომადგენელი. სლოვაკიის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო 9 ადგილი, აქედან 5 სლოვაკიის კომპარტიამ მიიღო. პრემიერ-მინისტრის მოადგილის ორი ადგილი მიეცათ ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებს. ვინაიდან პრაღა ფაშისტებისაგან ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული, ახალი მთავრობის რეზიდენცია გახდა ქ. კოშიცი, სადაც 5 აპრილს გამოქვეყნდა მთავრობის პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებდა ფართო სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების გატარებას როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე ეკონომიკის დარგში. პროგრამით გათვალისწინებული იყო ყველა სამხედრო დამნაშავის დასჯა, ფაშისტური და ანტისახალხო პარტიების და ორგანიზაციების აკრძალვა, ადგილობრივი ხელისუფლების ეროვნული კომიტეტებისათვის გადაცემა, ქალების თანასწორუფლებიანობა, არჩევნების უფლების მინიჭება ყველა 18 წლის მოქალაქეთათვის, დემოკრატიული არმიის შექმნა და ა. შ. ეკონომიურ დარგში პროგრამა ითვალისწინებდა გერმანელი და უნგრელი კაპიტალისტების, მემამულეებისა და სამშობლოს გამყიდველების ქონების კონფისკაციას, აგრარული რეფორმის გატარებას, ბანკების, შახტების და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას. კოშიცის პროგრამა აცხადებდა, რომ ჩეხოსლოვაკია იქნებოდა ორი თანასწორუფლებიანი ხალხის ჩეხებისა და სლოვაკების სლავური სახელმწიფო.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია, განსაკუთრებით კი პრაღა, გერმანიის სარდლობას გადაქცეული ჰქონდათ წინააღმდეგობის გამწევ ძლიერ დასაყრდენ სიმაგრედ. ბერლინის დაცემის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მყოფ ჰიტლერულ სარდლობასა და ამერიკის სარდლობას შორის გაიმართა საიდუმლო მოლაპარაკება, რომლის მთავარი მიზანი იყო, არ შეეშვათ საბჭოთა ჯარები პრაღაში, ხოლო ჩეხოსლოვაკიის დასავლეთის რაიონები კი აშშ-ის ჯარებს ჩაეგდოთ ხელთ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის გერმანიის სარდლობა ფიქრობდა საბჭოთა ჯარების შეტევების შეჩერებას პრაღასთან, რათა უზრუნველეყოთ თავისი ჯარების უკან დახევა დასავლეთისაკენ. ამ მიზნით ჩეხოსლოვაკიის ჩრდილოეთიდან პრაღისაკენ უკან იხევდა გერმანელთა 1 მილიონიანი არმია ფელდმარშალ შერნერის მეთაურობით. კომპარტიის ხელმძღვანელობით შექმნილმა ეროვნულმა კომიტეტმა 5 მაისს მოაწყო პრაღის მშრომელების აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ ჩაიგდეს ქალაქის რამდენიმე რაიონი. ქუჩებსა და ქალაქის სანაპიროებში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა აჯანყებულებსა და ფაშისტთა ჭარბ ძალებს შორის, რის გამოც აჯანყებულთა მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. უკრაინის პირველმა სატანკო შენაერთებმა, რომლებიც ბერლინში იმყოფებოდნენ, მიიღეს ბრძანება, რათა დახმარება აღმოეჩინათ აჯანყებულთათვის. მათ ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ბერლინიდან პრაღამდე გაიარეს ძნელი მთიანი ადგილები, ცენტრალური ჩეხეთი, 9 მაისს შეიჭრნენ პრაღაში და გაანადგურეს იქ გამაგრებული ჰიტლერელები. საბჭოთა ჯარების ამ ძლევამოსილმა ლაშქრობამ ჩაშალა ამერიკის გეგმები ჩეხოსლოვაკიის დასავლეთის რაიონების ოკუპაციასა და მის დანაწილებაზე და

გადაარჩინა პრაღა განადგურებას, რომელიც განზრახული ჰქონდათ გერმანელებს.

10 მაისს ეროვნული ფრონტის მთავრობა პრაღაში გადავიდა.

აგრარული რეფორმა

1945 წლის მაისსა და ივნისში მთავრობამ გამოსცა დეკრეტები, რომლებითაც ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ გერმანელი და უნგრელი მემამულეების, კულაკების და აგრეთვე სამშობლოს გამყიდველთა მიწები ცხადდებოდა კონფისკირებულად და გადადიოდა ეროვნული მიწის ფონდში. საყურადღებოა, რომ გერმანელ და უნგრელ მემამულეებს ჩეხოსლოვაკიაში ჰქონდათ 2 მილიონამდე ჰექტარი საუკეთესო მიწა. კონფისკებული მიწები ძალზე უმნიშვნელო ფასად შეეძლოთ შეესყიდათ უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ამასთანავე პატარა ოჯახებს შეეძლოთ შეეძინათ არა უმეტეს 8 ჰექტარი, დიდ ოჯახებს კი — 10 ჰექტარი მიწა. ომში მონაწილენი მიწებს იღებდნენ უფასოდ. შეძენილი მიწები გადადიოდა შემძენლის კერძო მფლობელობაში. მაგრამ კანონი კრძალავდა მიწის გაყიდვას ან მისი იჯარით გაცემას. ეროვნული კომიტეტის მიერ შექმნილი გლეხთა კომისიები აგრარული რეფორმის გატარებისას ძალზე დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. განსაკუთრებით სლოვაკიაში. ბურჟუაზიული პარტიების ლიდერები (ეროვნულ-სოციალისტური და კათოლიკური) და სლოვაკიის ე. წ. დემოკრატიულ-ბურჟუაზიული პარტიის ხელმძღვანელობა, რომლებიც ეროვნული ფრონტის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ. ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩეხეთისა და სლოვაკიის მსხვილი მაგნატების დაცვას, აგრარული რეფორმის შეზღუდვას მხოლოდ გერმანელი და უნგრელი მემამულეთა მიწების კონფისკაციით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტია გმობდა ბურჟუაზიული პარტიების ანტიხალხურ პოლიტიკას და გადაჭრით მოითხოვდა აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ, მიუხედავად რეაქციის წინააღმდეგობისა, ეს რეფორმა მაინც გატარდა, რომლის შედეგად ქვეყანაში კონფისკებულ იქნა სამ მილიონამდე ჰექტარი მიწა. ეს იყო აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი. მემამულეთა მსხვილი მიწათმფლობელობა ამ ეტაპზე ხელუხლებელი დარჩა.

მრეწველობის ნაციონალიზაცია

ეროვნული ფრონტის მთავრობაში მყოფი ბურჟუაზიული პარტიები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კოშიცის ეკონომიური პროგრამის იმ მუხლის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომე-

ლიც ეხებოდა ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიის ინტერესებს და ძირს გამოუთხრიდა მსხვილი კაპიტალის ეკონომიურ პოზიციებს ქვეყანაში. მაგრამ მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, კომუნისტები გადაჭრით მოითხოვდნენ კოშიცის პროგრამის ცხოვრებაში თანმიმდევრულ გატარებას. 1945 წლის 19 მაისს გამოიცა დეკრეტი ოკუპაციის პერიოდში შექმნილი ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობის გაუქმებისა და მტერთან თანამშრომლობაში მყოფი პირების ქონებაზე სახალხო მმართველობის შემოღების შესახებ. 1945 წლის მაისში შეიქმნა მრეწველობის ეროვნული სამმართველო, რომლის ხელში გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები გერმანელი და უნგრელი კაპიტალისტებისა და აგრეთვე სამშობლოს გამყიდველი ადგილობრივი ბურჟუაზიის ქონება. ეროვნულმა სამმართველომ თავის ხელში აიღო ქვეყნის მრეწველობისა და ბანკების 11% და დაზღვევის საზოგადოების დიდი ნაწილი. ამასთანავე კერძო საწარმოებზე დამყარდა მუშათა კონტროლი.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგაც მსხვილი ბურჟუაზია და საზღვარგარეთის კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ძლიერად ინარჩუნებდა პოზიციებს. 1945 წლის შემოდგომაზე მუშათა კლასმა კომპარტიის მეთაურობით ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის. 1945 წლის 24 ოქტომბერს დეკრეტით „მაღაროების და სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ“ სახელმწიფოს მთლიან საკუთრებაში გადავიდა ენერგეტიკული, ქვანახშირის, მეტალურგიული, სამხედრო და ქიმიური მრეწველობის ძირითადი ნაწილი, ხოლო დანარჩენ დარგში ნაციონალიზაცია შეეხო იმ საწარმოებს, სადაც 150-დან 500-მდე კაცი მუშაობდა. ერთდროულად ნაციონალიზებულ იქნა სააქციონერო ბანკები და დაზღვევის სალაროები. ამ ნაციონალიზაციის შედეგად სოციალისტური სექტორის ხელში გადავიდა მთავარი სამრეწველო წარმოების 80%. ამ ღონისძიების ჩატარების შედეგი ის იყო, რომ ქვეყანაში სამუდამოდ იქნა ლიკვიდირებული მსხვილი კაპიტალის ბატონობა და მის ნაცვლად შეიქმნა სოციალისტური სექტორი ეკონომიკაში. რაც შეეხება წვრილ და საშუალო საწარმოებს, ისინი კვლავ რჩებოდნენ მეწარმეების მფლობელობაში, მაგრამ აქაც არსებობდა მუშათა კონტროლი, რომელსაც ახორციელებდნენ საფაბრიკო-საქარხნო საბჭოები. მიუხედავად ამ უდიდესი გარდაქმნებისა, ბურჟუაზიის პოზიციები ქვეყანაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო. ფაქტიურად ჯერჯერობით მათ ხელში რჩებოდა მთელი საგარეო და საშინაო ვაჭრობა. ამავე დროს, ქვეყნის რეაქციული ძალები და ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც საზღვარგარეთის იმპერიალისტების მხარდაჭერით სარგებლობდნენ, გააფთრებულ წინააღმდეგო-

ბას უწევდნენ აგრარული რეფორმის და ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარებას, რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, საბოტაჟს უცხადებდნენ მთავრობის ღონისძიებებს და ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ჩაშლას. კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის მწვავე ხასიათს ღებულობდა ქვეყნის, როგორც ეკონომიურ, ასევე პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ბრძოლა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის ძალზე გამწვავდა 1946 წლის მაისში დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩატარების დროს. არჩევნებმა დიდი წარმატება მოუტანა კომუნისტებს. მათ ყველაზე მეტი ხმები მიიღეს სხვა პარტიებთან შედარებით. კომუნისტებმა 300 ადგილიდან მიიღეს 114 დეპუტატის ადგილი დამფუძნებელ კრებაში. არჩევნების შედეგების შესაბამისად მთავრობას სათავეში ჩაუდგა კ. გოტვალდი. კომუნისტებმა მიიღეს 9 ადგილი მთავრობაში, მათ მხარს უჭერდა 2 უპარტიო და 3 სოციალ-დემოკრატი მინისტრი, მაგრამ მთავრობაში ბურჟუაზიულ პარტიებსაც სერიოზული პოზიციები ჰქონდათ. მათ მიიღეს 12 მინისტრის ადგილი, აქედან ერთი ვიცე-პრემიერის ადგილი. საკანონმდებლო კრების არჩევნებმა ისიც ცხადყო, რომ ბურჟუაზიული პარტიების გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო ქვეყანაში. ამ მხრივ ყველაზე მეტად საგულისხმო იყო სლოვაკიის დემოკრატიული პარტიის წარმატება, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო. სლოვაკიაში გავლენიანი იყო ეროვნულ-სოციალისტური პარტიაც, რომელსაც მხარს უჭერდნენ ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და მუშათა კლასის ნაწილი. ქალაქისა და სოფლის საშუალო ბურჟუაზიულ ფენებზე, ეკლესიებზე, ხელოსნებზე, კათოლიკურ სამღვდელოებაზე დიდი გავლენით სარგებლობდა სახალხო პარტია. ეს სამივე ბურჟუაზიული პარტია კი შედიოდა ეროვნულ ფრონტში და მთავრობაში, მოჩვენებით თანამშრომლობდა კომუნისტებთან, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რათა ჩამოეშორებინა კომუნისტები ხელისუფლებისაგან და შეექმნა სუფთა ბურჟუზიული მთავრობა. ამ ბურჟუაზიულ პარტიებს იმედი ჰქონდათ როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო რეაქციული ძალების მხარდაჭერისა. ეს ბურჟუაზიული პარტიები ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყანაში ღრმა სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებას. დიდი გავლენით სარგებლობდა აგრეთვე პრეზიდენტი ბენეში. ასეთ ვითარებაში კომპარტიის ამოცანა იყო, გამოეაშკარავებინა ამ პარტიების სახე, გაენთავისუფლებინა ხალხი მათი გავლენისგან და ჩამოეშორებინა ისინი ხელისუფლებისაგან. ბურჟუაზია ცდილობდა გამოეყენებინა 1946—1947 წლების მოუსავლიანობით გამოწვეული სიძნელენი და თავს მოეხვია რესპუბლიკისათვის ამერიკის კაბალური „დახმარება“

და „მარშალის გეგმა“./ რეაქცია ავრცელებდა ცილისმწამებლურ ხმებს, ხელოვნურად იწვევდა მოსახლეობის საქონლით მომარაგებაში შეფერხებებს, ეწეოდა სპეკულაციას, საბოტაჟს, სახალხო ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაზე წამქეზებლობას — ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ძირი გამოეთხარა სახალხო ხელისუფლებისათვის, უნდობლობის სიტუაცია შეექმნა მისდამი და ამით ქაოსი გამოეწვია ქვეყანაში./ რეაქციის ლოზუნგი გახდა შემდეგი: „რაც უფრო უარესია, მით უკეთესია“. /(ბურჟუაზიულმა პარტიებმა და კაპიტალისტ-მინისტრებმა ქვეყანაში კამპანია გააჩაღეს, რათა ჩეხოსლოვაკიას ამერიკის დახმარება მიეღო და „მარშალის გეგმაში“ შესულიყო) მიუხედავად იმისა, (რომ საბჭოთა კავშირში აღნიშნულ პერიოდში მოუსავლიანობა იყო, საბჭოთა მთავრობამ 600 ათასი ტონა მარცვლეული და საკვები მიაწოდა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს და ჩაფუშა საშინაო და საერთაშორისო რეაქციის ცდები იმპერიალისტების მიერ ჩეხოსლოვაკიის ხელახალი დაკაბალებისა და „მარშალის გეგმაში“ ჩათრევისა, დაზარალებული გლეხების დახმარების გაწევის მიზნით მთავრობის წევრმა კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს მილიონერების საგანგებო გადასახადებით დაბეგვრის შესახებ. კომუნისტი დეპუტატები მოითხოვდნენ, რათა მილიონერები დაებეგრათ 6,5 მილიონი კრონით. რეაქციონერი მინისტრები გამოვიდნენ აღნიშნული წინადადებების წინააღმდეგ. ხალხმა კომუნისტური პრესის საშუალებით შეიტყო იმ რეაქციონერი მინისტრების გვარები, რომლებიც გამოდიოდნენ მილიონერების დასაცავად. ამის შემდეგ ბურჟუაზიული პარტიის მინისტრები და სოციალ-დემოკრატები ხალხში გავლენის დაკარგვისა და მათგან მთლიანი იზოლირების შიშით იძულებულნი გახდნენ 1947 წლის ოქტობერში ხმა მიეცათ მილიონერების დაბეგვრაზე. დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა ამ დროს დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის გრადეცკის პროგრამის ირგვლივ, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაციას. მართალია, რეაქცია წინააღმდეგი იყო ამ რეფორმის განხორციელებისა, მაგრამ ამ საკითხშიც ხალხის ზეგავლენით იგი იძულებული გახდა უკან დაეხია და 1947 წლის ივნისში ხმა მიეცა მისი დამტკიცებისათვის. პროგრამა მემამულეთა სახნავი მიწის მფლობელობას ზღუდავდა 50 ჰექტარამდე. ის პირები, რომლებიც უშუალოდ არ იღებდნენ მონაწილეობას მიწის დამუშავებაში, ჰკარგავდნენ მიწის მფლობელობის უფლებას. მემამულეთა მიწებზე არსებული საიჯარო გადასახადები სანახევროდ შემცირდა, შეიქმნა სახელმწიფო-სატრაქტორო კოოპერატივები. გლეხთა ყველა გადასახადები შეიცვალა ერთი საერთო სოფლის მეურნეობის გადასახადით. გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ ღარიბი გლეხები, ხოლო

შემამულეები და კულაკები კი დიდი გადასახადებით დაბეგრეს. ამრიგად, აგრარული რეფორმის ამ მეორე ეტაპზეც მემამულეთა მიწათმფლობელობა კი არ მოისპო, არამედ შეიზღუდა. მემამულეთა ხელში იყო 1,5 მლნ. ჰექტარი მიწა, ხოლო კულაკები ფლობდნენ მთელი დასამუშავებელი მიწების 25%-ს და 60 ათას მოჯამაგირეს უწევდნენ ექსპლოატაციას.

1948 წლის თებერვლის ამბები და პროლეტარული დიქტატურის დამყარება

მუშათა კლასის ხელმძღვანელი ძალა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, თანმიმდევრულად ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო დემოკრატიის განმტკიცებას და რევოლუციური პროგრამის შესრულებას, ამყღავნებდა ბურჟუაზიის საბოტაჟს. ააშკარავებდა კონკრეტულად იმ პირებს მთავრობის შიგნით და მის გარეთ, რომლებიც ეწეოღნენ საბოტაჟს, მობილიზაციას უკეთებდა მუშებსა და დანარჩენ მშრომელთა მასებს რევოლუციური მონაპოვარის შემდგომი განვითარებისათვის. იგი გაბედულად აყენებდა საკითხს ქვეყნის შემდგომი გარდაქმნითი ღონისძიებების გატარებისათვის სოციალისტური განვითარების ეტაპზე გადასასვლელად. ჩეხოსლოვაკიის რეაქცია, მემარჯვენე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხარდაჭერით მთავრობაში და სახელმწიფოს სხვა ორგანოებში, ცდილობდა რადაც არ უნდა დაჯდომოდა, წაერთმია ხელმძღვანელობა ეროვნულ და დემოკრატიულ რევოლუციასა და ქვეყნის ხელმძღვანელობაში მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის კომპარტიისათვის. შეელახა მათი ავტორიტეტი და სახელი, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა მათი ხელმძღვანელობის უნარი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. ჩამოეშორებინა მუშათა კლასისაგან მისი მოკავშირეები — წვრილი და საშუალო გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია და ხელსაყრელ მომენტში გაენადგურებინა ისინი. რეაქცია ამ მიზნისათვის იყენებდა ყველა საშუალებას: პოლიტიკურ დევნას, ცილისწამებას, სიცრუეს, ფასების ხელოვნურად გაზრდას, სპეკულაციას და ა. შ. ყველაფერს ამას უნდა შეექმნა პირობები შეიარაღებული კონტრრევოლუციური ამბოხების მომზადებისა და გატარებისათვის. რეაქციამ შეთქმულების ხელსაყრელ მომენტად მიიჩნია 1947 წლის მოუსავლიანობა, ამის გამო გამოწვეული სიძნელეები და საზღვარგარეთის იმპერიალისტების მხარდაჭერითა და წაქეზებით 1947 წლის ზაფხულიდან შეუდგა შეთქმულების მზადებას დემოკრატიული რეჟიმის დამხობის მიზნით. იმის გამო, რომ სლოვაკია ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, აქ

მუშათა კლასი ჩეხეთთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო. მართალია, ეროვნულ ფრონტში სლოვაკიის კომპარტიასთან ერთად სლოვაკიის დემოკრატიული პარტიაც შედიოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელში იყო და იგი დიდი გავლენით სარგებლობდა გლეხთა უმრავლესობაზე. დემოკრატიულ პარტიას მხარს უჭერდა კათოლიკური ეკლესიაც, რომელიც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებდა სლოვაკელ გლეხთა უმრავლესობაზე. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ რეაქციამ დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ შეტევის დაწყება სლოვაკიიდან განიზრახა, სადაც რეაქციამ შექმნა იატაკქვეშა შეიარაღებული ბანდები და დაუკავშირდა საზღვარგარეთ გაქცეულ სლოვაკელ ფაშისტებს. შეთქმულების სათავეში იდგა სლოვაკიის „დემოკრატიული" პარტია პრემიერ-მინისტრის მოადგილის იან ურსინის მეთაურობით. ეროვნული უშიშროების ორგანოებმა დროზე გახსნეს შეთქმულება, მაგრამ, როდესაც საქმე მივიდა შეთქმულთა დასჯაზე, მათ დასაცავად გამოვიდნენ ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები მთავრობასა და ეროვნულ კრებაში, აგრეთვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები. სლოვაკელი ხალხის საყოველთაო მოთხოვნის შედეგად, 1947 წლის ნოემბერში სლოვაკიაში ახალი მთავრობა შეიქმნა. მართალია, ახლად შექმნილ მთავრობაში სლოვაკიის დემოკრატიულმა პარტიამ კვლავ შეინარჩუნა თავისი პოზიციები, მაგრამ მან დაკარგა უმრავლესობა, სახელი გაუტყდა და მისგან მემარჯვენე ძალები ჩამოშორებულ იქნენ. რეაქციას ამის შემდეგ არ დაუყრია იარაღი და სახალხო რეჟიმის დამხობის მიზნით ქვეყნის საშინაო და საგარეო ანტიდემოკრატიულმა ძალებმა კვლავ დაიწყეს გაერთიანება და ახალი შეთქმულებისათვის მზადება. შეთქმულები დაუკავშირდნენ ამერიკის დაზვერვას და იმედოვნებდნენ, რომ დახმარებას მიიღებდნენ ბავარიაში მყოფი აშშ-ის ჯარებისაგან. ამბოხების ერთგვარი ნიშანი გახდა აშშ-ის ელჩის (ჩეხოსლოვაკიაში) შტეინგარდის განცხადება პრაღის აეროდრომზე 19 თებერვალს, როდესაც ის ჩამოვიდა აშშ-დან, რომ მის მთავრობას იმედი არ დაუკარგავს იმაზე, რომ ჩეხოსლოვაკია შევა „მარშალის გეგმაში". ფაქტიურად ჩეხოსლოვაკიის რეაქციის მთელ მოქმედებას კ. გოტვალდის მთავრობის წინააღმდეგ შტეინგარდი წარმართავდა. შეთქმულთა მთელი მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული ძალაუფლების რესტავრაცია.

ევროპის სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით (გდრ-ის გარდა) ჩეხოსლოვაკია განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას წარმოადგენდა და ამის გამო აქ ბურჟუაზიის პოზიციები და გავლენა საკმაოდ ძლიერი იყო. ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში ფაშისტური ან ნახევრადფაშისტური კი არა ბურჟუაზიულ-დემოკრატი-

ული მმართველობის სისტემა არსებობდა. ამიტომ იყო, რომ სახალხო ხელისუფლება აქ ბურჟუაზიის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, ბურჟუაზიისა, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ხალხთა მასების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველგვარ ხერხებში, მათ შორის პარლამენტალურშიც. 1948 წლის 20 თებერვალს ბურჟუაზიული პარტიების 12 მინისტრი გადადგა მთავრობიდან იმ იმედით, რომ გამოიწვევდა მთავრობის კრიზისს, ხელს შეუწყობდა შეთქმულთ, გათიშავდა ეროვნულ ფრონტს და დაამხობდა კ. გოტვალდის მთავრობას. რეაქცია იმედოვნებდა, რომ პრეზიდენტი ბენეში შეძლებდა კ. გოტვალდის მთავრობის გადაყენებას და ახალი მთავრობის შედგენას კომუნისტების მონაწილეობის გარეშე. მაგრამ რეაქციამ ვერ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გოტვალდის მთავრობის მხარეზე იყვნენ ჩეხოსლოვაკიის მშრომელები. მუშათა შეიარაღებული მილიცია, ადგილობრივი ეროვნული კომიტეტები და ბოლოს არმია. რეაქციის ყოველგვარი პროვოკაცია წააწყდა მშრომელთა მასების ორგანიზებულ მტკიცე წინააღმდეგობას. იმავე დღეს, ე. ი. 20 თებერვალს შეიკრიბა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დასკვნა გააკეთა, რომ რეაქციონერი მინისტრები არ უნდა დაბრუნდნენ მთავრობაში, იმავე ღამეს ცკ-მა მოახდინა პარტიის წევრების და მუშათა კლასის მობილიზება.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მოწოდებით ქვეყნის მთელი მშრომელი მასები აღდგნენ სახალხო რეჟიმის დასაცავად. 21 თებერვალს პრაღაში სტარომესტის მოედანზე შედგა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა 150 ათასი კაცი. აქ ერთად იყვნენ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და უპარტიოები. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს რეაქციონერი მინისტრების განდევნა მთავრობიდან. ხალხმა დიდი ყურადღებით მოისმინა კ. გოტვალდის გამოსვლა, რომელმაც მოუწოდა ხალხს ერთიანობისა და დარაზმვისაკენ. მუშებმა შექმნეს დამატებითი მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ნაწილები, რომელთაც თავის ხელში აიღეს ქარხნების, ფაბრიკებისა და სახელმწიფო დაწესებულებების დაცვა. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ეწერა: „ჩვენ გვსურს კ. გოტვალდის მთავრობა რეაქციონერი მინისტრების გარეშე“. მუშათა დელეგაციამ ინახულა აგრეთვე პრეზიდენტი ე. ბენეში, რომელიც გააფრთხილა, რომ მას თავის მოქმედებით ხელი არ შეეწყო შეთქმულთათვის. 22 თებერვალს შეიკრიბა საფაბრიკო-საქარხნო საბჭოსა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყრილობა, მას ესწრებოდა 2,5 მლნ მუშათა წარმომადგენელი—8 ათასი დელეგატი. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა კ. გოტვალდი, რომელმაც გამოთქვა რწმენა იმის შესახებ, რომ მშრომელები და განსაკუთრებით

მუშები. ჩაშლიან რეაქციის ხრიკებს სახალხო მთავრობის წინააღმდეგ. ყრილობამ მთავრობას წაუყენა შემდეგი მოთხოვნები: 1. სოციალური დაზღვევის დაკანონება, 2. ახალი კონსტიტუციის მიღება, 3. მთელი სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაცია, სადაც მუშაობდა 50-ზე მეტი მუშა, აგრეთვე მთელი საბითუმო და საგარეო ვაჭრობისა, 4. აგრარული რეფორმის დამთავრება. ყრილობამ მოუწოდა ჩეხოსლოვაკიის მუშებსა და მოსამსახურეებს 24 თებერვალს ჩაეტარებინათ ყველა დაწესებულებებსა და ქარხნებში ერთდღიანი გაფიცვა ყრილობის გადაწყვეტილებების მხარდაჭერის მიზნით და მოეთხოვა მთავრობის გაწმენდა რეაქციონერი მინისტრებისაგან. კომპარტიის მოწოდებით ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა იწყეს ეროვნული ფრონტის მოქმედების კომიტეტების შექმნა. საყურადღებოა, რომ ეროვნულ ფრონტში ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ამ მძიმე დღეებში გმობდნენ ბურჟუაზიული რეაქციული პარტიების ცდებს, რომ ჩეხოსლოვაკი ხალხისათვის თავს მოეხვიათ სამოქალაქო ომი, უცხოეთის ინტერვენცია და მხარს უჭერდნენ კომპარტიას. სწორედ მათ კომუნისტებთან ერთად შექმნეს ეროვნული ფრონტის მოქმედების კომიტეტები, რომლებიც რეაქციონერებს ერეკებოდნენ ადმინისტრაციული ორგანოებიდან და პოლიტიკური ორგანიზაციებიდან. ეროვნულ ფრონტს სათავეში ჩაუდგა მოქმედების ცენტრალური საბჭო. რეაქციონერები გაძევებულ იქნენ პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი პოსტებიდან. 22 თებერვალს პრაღაში, კომიტეტების ხელმძღვანელობით, შედგა ქარხნის საბჭოების ყრილობა, რომელმაც მიიღო მოთხოვნა მთავრობიდან რეაქციონერი მინისტრების განდევნის შესახებ. ამასთანავე, ყრილობამ მოითხოვა, რათა ქვეყანაში კვლავაც განხორციელებულიყო ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნითი ღონისძიებანი და მომხდარიყო მისი დაკანონება ახალ კონსტიტუციაში. ყრილობამ კერძოდ მოითხოვა, რომ გატარებულიყო მრეწველობის შემდგომი ნაციონალიზაცია და აგრარული რეფორმის გაღრმავება მემამულეთა მიწების კონფისკაციის საფუძველზე. ყრილობამ თავის ამ გადაწყვეტილების მხარდაჭერის მიზნით გადაწყვიტა 24 თებერვლისათვის მოეწყო ერთსაათიანი საყოველთაო გაფიცვა. მართლაც ასეთი გაფიცვა ზუსტად ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 2,5 მლნ კაცმა. კომუნისტების მოწოდებით ქარხნებსა და ფაბრიკებში იქმნებოდა მუშათა მილიციის ნაწილები, რომლებიც თავის ხელში იღებდნენ წარმოების დაცვის საქმეს. ასი ათასობით მუშამ მიიღო იარაღი და მზად იყო, იმ შემთხვევაში, თუ შეთქმულები გაბედავდნენ სამოქალაქო ომის გაჩაღებას, საკადრისი პასუხი გაეცათ მათთვის. გარდა ამისა, შეიარაღებული მუშები რეაქციონერებს აპატიმრებდნენ, ერე-

კებოდნენ საწარმოებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან. მუშათა მილიციებში მივლინებულ იქნენ კომუნისტი სამხედრო-ინსტრუქტორები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მუშათა მილიციის ნაწილებს, მათ მოქმედებას ორგანიზებულად წარმართავდნენ და მუშებს იარაღის ხმარებას ასწავლიდნენ. ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთების გამოსვლა მუშათა გაფიცვის შედეგად ჩაიშალა. 23 თებერვალს შედგა საერთო რესპუბლიკური ორგანიზაციების და ეროვნიული ფრონტის წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება ეროვნული ფრონტის რიგების გაწმენდის შესახებ რეაქციონერებისაგან და გამთიშველებისაგან. რეორგანიზებული ეროვნული ფრონტის შემადგენლობაში შევიდნენ საერთო ეროვნული ორგანიზაციები — პროფკავშირები, ახალგაზრდათა ორგანიზაციები, გლეხთა კავშირები, კოოპერატივები. შეიქმნა ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტი. შეთქმულთა ზურგს უკან მდგარი პრეზიდენტი ბენეში ფიქრობდა, რომ რეაქციონერი მინისტრების მიერ ხელოვნურად გამოწვეული მთავრობის კრიზისის შედეგად იგი აიძულებდა ყველა მინისტრს, რომ გადამდგარიყვნენ და შემდეგ დახმარებოდა შეთქმულებს მათთვის საჭირო მთავრობის შექმნაში. მაგრამ ბენეში იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მშრომელთა მასების მოთხოვნებისათვის. მან მიიღო რეაქციონერი მინისტრების გადადგომა და, თავისი სურვილის გარეშე, 1948 წლის 25 თებერვალს დაამტკიცა ახალი მთავრობა. ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ ნამდვილი პატრიოტები კ. გოტვალდის მეთაურობით. რეაქციონერი ეროვნულ-სოციალისტური „სახალხო" პარტია და სლოვაკიის დემოკრატები წარსდგნენ ხალხის წინაშე, როგორც საზღვარგარეთის იმპერიალისტების დაქირავებული აგენტები. ისინი არა მარტო განდევნეს მთავრობის შემადგენლობიდან, არამედ ჩამოაშორეს აღნიშნული პარტიების ხელმძღვანელობასაც, ზოგიერთ მათგანს შეეშინდა ხალხის სამსჯავროს წინაშე წარდგომა და საზღვარგარეთ გაიქცა. ამრიგად, რეაქცია იზოლირებული და განადგურებული იქნა. თებერვლის ამბებში მუშათა კლასის გამარჯვებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა ქალაქისა და სოფლის ნახევრად პროლეტარულ მასებთან ერთად გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ბურჟუაზიას, მთლიანად და სამუდამოდ განდევნა ისინი ხელისუფლებიდან. თებერვლის ამბების შემდეგ დამთავრდა სახალხო დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის განვითარების პირველი პერიოდი, ე. ი. პერიოდი დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარებისა.

ამრიგად, 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ სახალხო დე-

მოკრატიული რეჟიმი გადავიდა თავისი განვითარების მეორე პერიოდში—პროლეტარიატის დიქტატურის ეტაპზე. თებერვლის ამბებში მუშათა კლასის გამარჯვება მიღწეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის სწორი ტაქტიკისა და პოლიტიკის შედეგად. რეაქციის ძალებზე ხალხთა გამარჯვებამ უზუნველყო პროლეტარული დიქტატურის დამყარება, სოციალიზმის მშენებლობისათვის პირობების შექმნა.

§ 24. ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობაზე გადასვლა

1948 წლის თებერვლის ამბებამდე გარდაქმნების განხორციელება ჩეხოსლოვაკიაში რეაქციის ორგანიზებულ და გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამიტომ ხშირად მთავრობის დადგენილებები ცხოვრებაში ვერ ტარდებოდა. მაგალითად, აგრარული რეფორმა ვერ გატარდა მთლიანად. 1948 წლის მარტში კ. გოტვალდის მთავრობამ საკანონმდებლო კრებაში წარადგინა ჩეხოსლოვაკიის შემდგომი გარდაქმნების პროგრამა. ეს პროგრამა მოწონებულ იქნა და მთავრობა მაშინვე შეუდგა მის განხორციელებას. ამ პროგრამის საფუძველზე მთავრობამ იმ საწარმოების ნაციონალიზაცია ჩაატარა, სადაც 50-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე მუშაობდა. სახელმწიფომ თავის ხელში აიღო საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ეს იყო მრეწველობის ნაციონალიზაციის მეორე ეტაპი, რომლის შედეგად საზოგადოებრივი სექტორი საგრძნობლად გაიზარდა და შეადგინა 95%. აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ სახალხო-დემოკრატიული რეჟიმი კიდევ უფრო განმტკიცდა და ბურჟუაზიული ეკონომიური პოზიციები სამუდამოდ მოისპო. 1948 წლის მარტში საკანონმდებლო ეროვნულმა კრებამ გლეხთა მოთხოვნების შესაბამისად მიიღო აგრარული რეფორმის გაფართოების ახალი კანონი. 50 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობზე ქონების უფლება დაშვებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მიწის მესაკუთრე თვითონ ამუშავებდა მას თავის ოჯახით და არ იყენებდა დაქირავებულ შრომას. აგრარული რეფორმა ტარდებოდა პრინციპით: „მიწა ეკუთვნის იმათ, ვინც მას ამუშავებს“. ხოლო დადგენილ ზომაზე მეტი მიწები უნდა ჩამორთმეოდათ. ჩამორთმეულ მიწებზე მთავრობა მიწის მფლობელებს უხდიდა კომპენსაციებს და უმნიშვნელო ფასებში აძლევდა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს. ამ რეფორმის შემდეგ მშრომელი გლეხობისა და სახელმწიფოს ხელში გადავიდა 4 მლნ. ჰექტარზე მეტი მიწა. ეს იყო აგრარული რეფორმის მესამე ეტაპი, რომლის შედეგად სოფლად სამუ-

დამოდ იქნა ლიკვიდირებული მემამულეთა კლასი და ცენტრალური ადგილი დაიკავა საშუალო გლეხმა. აგრარულ რეფორმასთან ერთად ტარდებოდა მიწის ნაწილობრივი ნაციონალიზაცია. /1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ გოტვალდის მთავრობამ დააჩქარა კონსტიტუციის შემუშავება. /აპრილის შუა რიცხვებში ახალი კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა კომისიამ, განიხილა მთავრობამ და გადასცა ხალხს განსახორციელებლად.

18 აპრილს მთელ ქვეყანაში მიმდინარეობდა მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა კრებები. იხილავდნენ ახალი კონსტიტუციის პროექტს და შეჰქონდათ მასში შესწორებები. /9 მაისს პრაღის განთავისუფლების სამ წელთან დაკავშირებით საკანონმდებლო ეროვნულმა კრებამ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია ერთხმად დაამტკიცა./

ახალი კონსტიტუცია იურიდიულად აკანონებდა ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ გარდაქმნებს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მოხდა მისი განთავისუფლების შემდეგ. / კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლება გადადიოდა ეროვნული კრების ხელში, რომელსაც ირჩევდნენ 6 წლის ვადით. სახელმწიფოს მეთაურად ცხადდებოდა პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევდა ეროვნული კრება 7 წლის ვადით. უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოდ კი პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა. ახალი კონსტიტუციით უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი ხელისუფლების და ადგილობრივი ორგანოების თავისუფალი არჩევნები პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას იღებდა ყველა მოქალაქე განურჩევლად სქესისა 18 წლის ასაკიდან. 1948 წლის 30 მაისს შედგა ეროვნული კრების არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ ხმა მისცა ამომრჩეველთა 89,3%-მა. 1948 წლის ივნისის დასაწყისში პრეზიდენტი ბენეში გადადგა. ეროვნულმა კრებამ 1948 წლის 14 ივნისს რეპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია კ. გოტვალდი. 15 ივნისს პრეზიდენტმა კ. გოტვალდმა კომუნისტ ა. ზაპოტოცკის დაავალა ახალი ეროვნული ფრონტის მთავრობის შედგენა. / ახალ მთავრობაში კომუნისტებმა მიიღეს 15 ადგილი. ეროვნული ფრონტის სხვა პარტიებმა — 6 ადგილი. მას შემდეგ, როდესაც ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ჩამოშორებულ იქნა მემარჯვენე ხელმძღვანელობა, შეიქმნა საფუძველი მუშათა ორივე პარტიების გაერთიანებისათვის. 1948 წლის 27 ივნისს პრაღაში შედგა კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამაერთიანებელი კონფერენცია. ორივე პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ საფუძველზე ერთ კომუნისტურ პარტიად გადაიქცა.

1948 წლის სექტემბერში გაერთიანდნენ ჩეხეთის და სლოვაკიის კომპარტიები ჩეხოსლოვაკიის ერთ კომპარტიაში. ჩეხეთისა და სლოვაკიის კომპარტიებმა გაერთიანების შემდეგ შეინარჩუნეს თავიანთი ცენტრალური კომიტეტები.

მრეწველობის განვითარება

ჩეხოსლოვაკია მეორე მსოფლიო ომამდე შედიოდა ინდუსტრიულ ქვეყნების პირველ ათეულში, მაგრამ იგი ნამდვილ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს გადაიქცა. ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში ეკონომიური თვალსაზრისით ყველა რაიონი თანაბრად არ იყო განვითარებული. სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი იყო ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. სლოვაკიას თითქმის ათასი წლის განმავლობაში არ ჰქონია თავისი სახელმწიფოებრიობა და ცალკე ოლქადაც არ ყოფილა იგი გამოყოფილი, როდესაც იმყოფებოდა უნგრეთის უღლის ქვეშ. აქ ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკიის დროსაც არავის არ უზრუნია ეკონომიკის განვითარებაზე და, პირიქით, ყოველთვის ცდილობდნენ მისი განვითარების შეფერხებასა და სლოვაკიის აგრარულ-დანამატ ქვეყნად დატოვებას. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ მიუხედავად ინდუსტრიის მაღალი განვითარებისა, ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკია საერთოდ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კაპიტალისტურ ევროპას ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოებით. 1918—1937 წწ. ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური ზრდის ტემპები უფრო დაბალი იყო, ვიდრე ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებისა, მაგალითად, მისი სამრეწველო წარმოების მოცულობა საშუალოდ წელიწადში მხოლოდ 1—2%-ით იზრდებოდა. ამასთანავე, მეორე მსოფლიო ომამდე მსუბუქი და კვების მრეწველობა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში შეადგენდა 60 პროცენტს, ხოლო მრეწველობის სხვა დარგები, განსაკუთრებით მძიმე და მანქანათმშენებლობის მრეწველობა, შედარებით სუსტად იყო განვითარებული. მაგალითად, მანქანთმშენებლობის ხვედრითი წონა საერთო წარმოებაში მხოლოდ 16%-ს შეადგენდა. მრეწველობის ძველი სტრუქტურა არ შეესაბამებოდა ქვეყნის თანამედროვე გეგმაზომიერი განვითარების მოთხოვნებს. აქ მთავარი ამოცანა იყო არა სამრეწველო ბაზის შექმნა, არამედ მრეწველობაში მემკვიდრეობით მიღებული დისპროპორციის ლიკვიდაცია. ამიტომ ტრადიციული, მსუბუქი მრეწველობის (შუშის, ფაიფურის, სელის, ტყავის, ფეხსაცმლის) დარგების განვითარებასთან ერთად, საჭირო იყო უფრო სწრაფი ტემპით მძიმე მრეწველობის განვითარება, ქვანახშირის, რკინის,

ფოლადის, ენერგეტიკისა და მანქანათმშენებლობის წარმოება, რომელიც ნაკლებად განვითარებული იყო. ჯერ კიდევ ადრე მიღებული ორწლიანი, 1947—1948 წლების გეგმის ამოცანა იყო სახალხო მეურნეობის აღდგენა ძველ სამრეწველო ბაზაზე. ეს გეგმა წარმატებით შესრულდა უკვე 1947 წელს. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე მიღწეულ იქნა. აღსდგა აგრეთვე ტრანსპორტი. ორწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებამ და ღრმა სოციალ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა ქვეყანაში პირობები შექმნა ეკონომიკის განვითარების პერსპექტიულ დაგეგმვაზე გადასვლისათვის. 1949 წლის მაისში მოწვეულმა კომპარტიის IX ყრილობამ პარტიის გენერალურ ხაზად სოციალიზმის მშენებლობა გამოაცხადა. ყრილობამ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა შეიმუშავა. რომლის მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა. პირველი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ეკონომიკაში სოციალისტური სექტორის პოზიციების გაძლიერებას, კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვას მეურნეობის ყველა ღარგში და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე სლოვაკიის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. ჩეხოსლოვაკიაც განიცდიდა სიძნელეებს იმ მხრივ, რომ მას არასაკმარისი ოდენობით ჰქონია საკუთარი ნედლეულის ბაზა, კერძოდ ნავთი და ლითონი, რომლის შევსება ჩეხოსლოვაკიას ფართო საგარეო ვაჭრობით უხდებოდა. პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. სამრეწველო წარმოებამ ხუთწლედის შესრულების შედეგად ომამდელ დონეს (1937 წ.) გადააჭარბა 2.1-ჯერ, ტრადიციული სამრეწველო დარგების პროდუქციის წარმოება 70%-ით გაიზარდა. ამდენითვე გაიზარდა მრეწველობის ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში. უპირატესად იზრდებოდა მძიმე ინდუსტრია, კერძოდ, 3.3-ჯერ გაიზარდა. ხუთწლედის განმავლობაში მწყობრში ჩადგა 24 მანქანათმშენებლობის ქარხანა და 12 ელექტროსადგური, რომელთა შორის აღსანიშნავია უმსხვილესი ელექტროსადგური მდ. ელტავაზე. ომამდელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 3-ჯერ, ფოლადისა — 2-ჯერ, ნავთობისა — 7-ჯერ და ა. შ. მნიშვნელოვანი იყო წარმატებები სლოვაკიაში, სადაც აგებულ ან რეკონსტრუირებულ იქნა ასობით საწარმო. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სლოვაკიის ხვედრითი წონა მთელი სახელმწიფოს სამრეწველო წარმოებაში. აგრარული, ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან, სლოვაკია ქვეყნის მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რაიონად გადაიქცა.

1954—1955 წლებში წარმატებით ხორციელდებოდა ქვეყნის მეურნეობის განვითარების ერთწლიანი გეგმები.

გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში

პირველ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის მიზნით. მაგრამ მისი გარდაქმნის პროცესმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ერთგვარი შემცირება ომამდელ დონესთან შედარებით. ამასთანავე, პირველ ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები მკვეთრად ჩამორჩებოდა მრეწველობის განვითარების ტემპებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ნედლეულის წარმოების და მრეწველობის პროდუქტების წონასწორობის გათანაბრება ხდებოდა საგარეო ვაჭრობით, რომელსაც სამრეწველო საგნების ექსპორტით უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა.

სოფლის გადაყვანა სოციალიზმზე ძალზედ რთული პროცესი იყო და იყოფა რამდენიმე ეტაპად. ჩკპ-ამ გამოიყენა ლენინური კოოპერირების გეგმა, მაგრამ ამავე დროს იგი გამომდინარეობდა ქვეყანაში არსებული ძველი კოოპერირების ტრადიციიდან. მიწის რეფორმების ჩატარების შედეგად 1945—1948 წწ. უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებმა მიიღეს ასი ათასამდე ჰექტარი მიწა. მიწის კაპიტალისტური და მემამულური მფლობელობა მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა. 1949 წლიდან იწყება ერთიანი სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შექმნა. შეიქმნა ოთხი ტიპის ერთიანი სოფლის მეურნეობის კოოპერატივი. პირველი ტიპის კოოპერატივებში მიწა კოოპერატივის წევრის კერძო მფლობელობაში რჩებოდა, მიჯნები მიწის კერძო ნაკვეთებს შორის რჩებოდა, მაგრამ დამუშავება ხდებოდა ერთად, მოსავალს კი ყველა ცალ-ცალკე, თავისი ნაკვეთიდან იღებდა. მეორე ტიპის კოოპერატივებში მიწა გაერთიანებული იყო. მიჯნები არ. იყო, მაგრამ აქაც კოოპერატივის წევრი მიწის კერძო მფლობელობას ინარჩუნებდა. შემოსავლის განაწილება ხდებოდა დახარჯული შრომისა და კოოპერატივში შეტანილი მიწის ფართობის მიხედვით. მესამე ტიპის კოოპერატივში მიწაც და ინვენტარიც საერთო იყო. შემოსავალი ნაწილდებოდა ძირითადად შრომადღეების მიხედვით და ნაწილობრივ მიწის ფართობის მიხედვითაც. მეოთხე ტიპის კოოპერატივებში შემოსავლის განაწილება მხოლოდ შრომადღეების მიხედვით ხდებოდა. ხუთწლედის ბოლოს სოფლის მეურნეობის კოოპერატივების რიცხვი 8 ათასამდე გაიზარდა, აქედან უმრავლესობა მესამე და მეოთხე ტიპის კოოპერატიეები იყო. 1953 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა ქვეყნის სახნავი მიწების საერთო ფართობში 44%-ს შეადგენდა.

სოფლის მეურნეობის კოოპერირების დროს დაშვებულ იქნა რიგი

შეცდომები: ხშირად ირღვეოდა გლეხთა კოოპერატივებში შესვლის ნებაყოფლობითი პრინციპი, ადგილი ჰქონდა ადმინისტრირების გზით გლეხების კოოპერატივებში შეყვანას, სუსტად წარმოებდა გლეხთა შორის ახსნა-განმარტება კოოპერატიული მეურნეობის უპირატესობაზე ინდივიდუალურ, გლეხთა მეურნეობასთან შედარებით. რეაქცია ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სიძნელეები სოფლის მეურნეობაში და პროდუქტების წარმოების დროებითი შემცირების შედეგად საცალო ვაჭრობაში ფასების ერთგვარი ზრდა. გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბული ვითარების გამო მთავრობა იძულებული იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით გამოეყო გაუთვალისწინებელი დამატებითი სახსრები, რის გამოც ერთგვარი სიძნელეები შეიქმნა ხალხთა კეთილდღეობის განუხრელად ზრდაში. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ირღვეოდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, ადგილი ჰქონდა სოციალისტური კანონმდებლობის დარღვევას, პარტიის ერთგულ და გამოჩენილ მოღვაწეთა დაუსაბუთებელ დაპატიმრებებს. ერთგვარი სიძნელეები წარმოიქმნა სახელმწიფოში, რომლის გამოყენებასაც რეაქცია თავისი ანტისახალხო და ანტიდემოკრატიული მიზნებისათვის ცდილობდა. რეაქცია ამჯერად შეეცადა სახალხო ხელისუფლებისათვის დაეპირისპირებინა კათოლიკური ეკლესია. ამას მთავრობამ იმით უპასუხა, რომ 1949 წელს გამოცემული კანონით ეკლესიის მოღვაწეობაზე კონტროლი დააწესა. ამასთანავე რწმენის თავისუფლება ხელუხლებლად იქნა დატოვებული.

სახალხო მთავრობამ 50-იანი წლების შუა პერიოდში გაატარა ღონისძიებანი, რომლის მთავარი ამოცანა იყო სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება. როგორც ვიცით ომის დროს შექმნილი ეროვნული კომიტეტები წარმოადგენდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ბლოკს და ადგილობრივ მმართველობას ახორციელებდნენ. ეროვნული კომიტეტები არ წარმოადგენდნენ არჩევით ორგანოებს. ახლა კანონით ეროვნული კომიტეტები არჩევით ორგანოებად გადაიქცა და მათი უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1953 წლის მარტში გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის პარტიის ცკ პირველი მდივანი და რესპუბლიკის პრეზიდენტი კ. გოტვალდი, რის შემდეგ პრეზიდენტად აირჩიეს კ. ზაპოტოცკი. ხოლო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ა. ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი. 1957 წელს გარდაიცვალა ა. ზაპოტოცკი და პრეზიდენტად ა. ნოვოტნი აირჩიეს.

1956 წლის ივლისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ დაამტკიცა 1956—1960 წწ. მეორე ხუთწლიანი გეგმა. მისი მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მატერი-

ალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დამთავრება და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაბატონება წვრილ სასაქონლო სექტორზე. მეორე ხუთწლედი სამრეწველო წარმოების გადიდებას 54%-ით ითვალისწინებდა, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოებისას კი — 27%-ით. ჩეხოსლოვაკიის მეორე ხუთწლიანი გეგმა უკვე მაშინ კოორდინირებული იყო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სახალხო მეურნეობის გეგმებთან. ჩეხოსლოვაკიაში უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა იმ დარგების განვითარებას, რომლის ტრადიციები უფრო ძლიერი იყო ქვეყანაში. ჩეხოსლოვაკიელი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგად მეორე ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. ჯერ კიდევ 1958 წლის ივნისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XI ყრილობამ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია ლიკვიდირებულია და სოციალიზმის საფუძვლები ძირითადად აგებულია. მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ძირითადი შედეგი ის იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში აგებულ იქნა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

საყურადღებოა, რომ თუ პირველი ხუთწლედის ბოლოს სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ გაიმარჯვა მრეწველობაში, ტრანსპორტში, საშინაო და საგარეო ვაჭრობაში, მეორე ხუთწლედის ბოლოს მან გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაში. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წინა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მეორე ხუთწლედში 2-ჯერ მეტად გაიზარდა და 1960 წლისათვის 70%-ს შეადგენდა. 1960 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხელში იყო ქვეყნის მთელი დამუშავებული მიწების 87%.

სამრეწველო წარმოება მეორე ხუთწლედში 66%-ით გადიდდა და ოთხჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა კი 11%-მდე გაიზარდა.

1960 წლისათვის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ შემოსავალში 93%-ს შეადგენდა. დიდმა წარმატებებმა სახალხო მეურნეობაში პირობები შექმნა ხალხის ცხოვრების დონის სწრაფი ამაღლებისათვის. მთავრობა სისტემატურად ატარებდა ფასების დაკლებას საქონელზე. იზრდებოდა ხალხის ცხოვრების დონე. 1958—1960 წლებში მშრომელთა რეალური ხელფასი გაიზარდა 12%ით. მარტო 1960 წლისათვის საზოგადოებრივი მოხმარების ფონდისათვის (კაპიტალური დაბანდების გარეშე) გამოყენებული იყო 16 მილიარდი კრონი, რაც ფაქტიურად ნიშნავდა მოსახლეობის

შრომითი შემოსავლის გაზრდას დაახლოებით 17%-ით. მარტო სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის, საბავშვო ბაღებისა და ბაგების შესანახად სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად გამოყოფილი იყო 400 მილიონი კრონი. განუხრელად იზრდებოდა ხარჯები მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. 1959—1960 წლებში მოხუცებულობის პენსიებისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა დამატებით 400 მილიონი კრონით. მეორე ხუთწლედში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ბინების მშენებლობა. ამ დროს ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფის საკითხი ჩეხოსლოვაკიაში თითქმის გადაწყდა. ცხოვრების დონით, ხალხის განვითარებითა და აღზრდით, ჯანმრთელობის დაცვით და სოციალური უზრუნველყოფით ჩსსრ უკვე მეორე ხუთწლედში, ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში.

§ 25. ჩეხოსლოვაკია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია. ჩკპ XII ყრილობა

1960 წლის 9 ივლისს მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის კონფერენციამ, სოციალისტური გარდაქმნების დამთავრებისა და გადასვლითი პერიოდის ყველა ძირითადი ამოცანების შეჯამების შემდეგ განაცხადა, რომ სოციალიზმმა ჩეხოსლოვაკიაში მთლიანად გაიმარჯვა. კონფერენციამ მოიწონა ახალი სოციალისტური კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 11 ივლისს მიიღო ეროვნულმა კრებამ და რომელიც გახდა სახელმწიფოს ძირითადი კანონი. სახელმწიფოს ახალი სახელწოდება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ჩეხოსლოვაკიამ დაამთავრა სოციალიზმის მშენებლობა, რომ პარტია და ხალხი მზადაა წავიდნენ წინ, კომუნიზმის მშენებლობისაკენ. 1960 წლის კონსტიტუცია აღიარებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს მრავალპარტიულ სისტემას[1]. ჩსსრ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდ გამოცხადდა ეროვნული კრება (პარლამენტი),

[1] სლოვაკიის აღორძინების პარტია შეიქმნა 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ და თავის რიგებში აერთიანებს სლოვაკიის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უმნიშვნელო ნაწილს. ეს პარტია სცნობს კომპარტიის ხელმძღვანელობას, მხარს უჭერს სოციალიზმის მშენებლობას და შედის სლოვაკიის ეროვნულ ფრონტში. ამ პარტიას ჰყავს თავისი წარმომადგენლები ჩსსრ ფედერალურ კრებაში და აგრეთვე სლოვაკიის ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებში. პარტიის თავმჯდომარეა იოზეფ მიარტანი. ბეჭდვითი ორგანოა ყოველდღიური გაზეთი „ლუდ“ („ხალხი“).

სლოვაკიის თავისუფლების პარტია შეიქმნა 1946 წელს, დემოკრატიულ პარ-

ხოლო სახელმწიფოს მეთაურად — პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ ხუთი წლის ვადით. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული კრების წინაშე.

1961 წლის დამდეგს მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის კონფერენციამ მიიღო მესამე ხუთწლიანი გეგმის პროექტი (1961—1965 წწ.), რომელიც ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების გადიდებას 56%-ით, სოფლის მეურნეობის წარმოებისას კი — 21%-ით. მესამე ხუთწლედი ითვალისწინებდა გლეხთა მეურნეობის წარმოების კოოპერირებას. გეგმის მიხედვით ხალხთა ცხოვრების დონე უნდა, ამაღლებულიყო 1/3-ით. 1962 წლის დეკემბერში შედგა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XII ყრილობა, რომელმაც განვლილი გზის დიდ წარმატებებთან ერთად მიუთითა აგრეთვე ისეთ დროებით სიძნელეებზე, როგორიც იყო დისპროპორციის არსებობა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, შეუსაბამობა რესურსებსა და მოთხოვნილე-

---

ტიაში მომხდარი გათიშვის შემდეგ. მან თავის რიგებში გააერთიანა სლოვაკიის ყოფილი წვრილი ბურჟუაზია, მოსამსახურეები და ინტელიგენცია, უმთავრესად კათოლიკები. 1948 წლის თებერვლის ამბებამდე ამ პარტიის ხელმძღვანელობა რეაქციულ პოლიტიკურ კურსს ახორციელებდა, ხოლო 1948 წლის შემდეგ პარტია გაიწმინდა რეაქციონერებისაგან. ამჟამად ეს პარტია ცნობს ჩკპ-ის ხელმძღვანელ როლს და სოციალიზმის მშენებლობას, შედის სლოვაკიის ეროვნულ ფრონტში, ჰყავს თავისი წარმომადგენლები ჩსსრ-ის ფედერალურ კრებაში და სლოვაკიის ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებში. პარტიის თავმჯდომარეა მიხაილ ეაკოვიჩი, ბუჯდვითი ორგანოა ყოველდღიური გაზეთი „სლობოდა“ („თავისუფლება“).

ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტია არსებობს 1918 წლიდან, ხოლო 1948 წლის თებერვლის ამბების შემდეგ ეს პარტია გაწმენდილ იქნა რეაქციონერებისაგან და აერთიანებს ძირითადად გლეხებს, ინტელიგენციის ნაწილს, ყოფილ წვრილბურჟუაზიას და მუშათა ნაწილს, ძირითადად კათოლიკებს. ეს პარტია ქრისტიანული მსოფლმხედველობისაა და თავის რიგებში სწორედ ასეთ წრეებს აერთიანებს. პარტია ცნობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელ როლს, სოციალიზმის მშენებლობას, შედის ჩსსრ ეროვნულ ფრონტში, ჰყავს თავისი წარმომადგენლები ფედერალურ კრებაში ჩეხეთის ეროვნულ საბჭოში, მთავრობასა და ადგილობრივ ეროვნულ კომიტეტებში. პარტიის თავმჯდომარეა როტისლავ პეტერა, ცენტრალური ორგანოა ყოველდღიური გაზეთი „ლუდოვა დემოკრაციე“ („სახალხო დემოკრატია“).

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია 1948 წელს შეიქმნა და თავის რიგებში აერთიანებდა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენები იყვნენ, აგრეთვე ინტელიგენციის, მუშებისა და გლეხების უმნიშვნელო ნაწილს. ეს პარტია ცნობს კომპარტიის ხელმძღვანელობას, სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას, შედის ჩეხეთის ეროვნულ საბჭოში, ადგილობრივ ეროვნულ კომიტეტებში და მთავრობაში, ჰყავს თავისი წარმომადგენლები ფედერალურ კრებაშიც. პარტიის თავმჯდომარეა ბოგუსლავ კუჩერა, ცენტრალური ორგანოა ყოველდღიური გაზეთი „სვობოდნე სლოვო“ („თავისუფალი სიტყვა“).

ბებს შორის, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების ჩამორ-ჩენილობა, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების დარღვევა და ა. შ. ყრილობამ დასახა გზები მათი სწრაფი აღმოფხვრისათვის. [ყრილობაზე ისიც აღინიშნა, რომ 1961—1962 წლებში ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რიგ დარგებში ვერ შესრულდა.] შემცირდა აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობების ზრდის ტემპები, რომლის ძირითად მიზეზად დაასახელეს წარმოებაში ხელით შრომის დიდი ხვედრითი წონა და წარმოებული საქონლის მაღალი თვითღირებულება. ჩკპ-ამ მიზანშეწონილად ცნო შეეცვალა მესამე ხუთწლიანი გეგმა და 1963 წლისათვის შეადგინა განსაკუთრებული წლიური გეგმა, ხოლო 1964—1970 წლებისათვის ახალი შვიდწლიანი გეგმა, აგრეთვე პერსპექტიული გეგმა მომავლისათვის. რომელშიც გათვალისწინებული იყო როგორც ხარვეზები, ასევე მიღწევები. მაგრამ, 1963 წელს სამრეწველო წარმოება შემცირდა იმ მიზეზით, რომ 1962—1963 წლებში ძალზე ცივი ზამთარი იყო, მისგან გამოწვეული მატერიალური ზარალი 15 მლრდ კრონს შეადგენდა. მკაცრი ზამთრის გამო ტრანსპორტსა და მთელ რიგ საწარმოებში მოხდა შეფერხებები. ამიტომ 1963 წლის გეგმაში შეტანილ იქნა შესწორებები დავალებათა შემცირების მიზნით. ეს სიძნელეები მომავალ 1964 წელს დაძლეულ იქნა და სამრეწველო წარმოება წინა წელთან შედარებით 4%-ზე მეტად გაიზარდა. 1965 წლისათვის კი 1964 წელთან შედარებით 8 პროცენტამდე გაიზარდა. მაგრამ, 1965 წლისათვის ეროვნული შემოსავლის მოცულობამ ვერ მიაღწია დაგეგმილს უმთავრესად მატერიალური ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის გამო (6—7% ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,4 პროცენტისა). ამის გამო ეროვნული შემოსავალი 3.5 მლრდ კრონით შემცირდა. ზარალი სოფლის მეურნეობაში მემცენარეობის გეგმის შეუსრულებლობის გამო შეადგენდა 3.5 მლრდ კრონს. 1965 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1964 წელთან შედარებით გაიზარდა 4%-ზე მეტად, ე. ი. უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ეროვნული შემოსავალი. ამრიგად, 1965 წელსაც არახელსაყრელი შეფარდება იყო ეროვნული შემოსავლის ტემპების ზრდასა, ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტებსა და მატერიალურ დანახარჯებს შორის. წინა პერიოდის არახელსაყრელი განვითარების პირობები, ბუნებრივია ვერ იქნა დაძლეული ერთი-ორი წლის განმავლობაში.

1966 წლის მაისში მოწვეულმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, წინა ხუთწლედში, დაახასიათა, როგორც უპირატესად ექსტენსიური, ე. ი. ისეთი, როცა მუდმივად იზრდებოდა ნედლეულის, მასალების, ენერ-

გიის, სამუშაო ძალისა და კაპიტალური დაბანდების მოხმარება პროდუქციის ერთეულების წარმოებაში. ამის შედეგად კი იზრდებოდა ხარჯები კვლავწარმოების გაცდენისათვის და მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, ხოლო ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა იზღუდებოდა. ამიტომ, 1966—1970 წლების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო წონასწორობის აღდგენა ეროვნული შემოსავლის შექმნასა და გამოყენებაში, რაც ნიშნავდა საწარმოო დაგროვების ნორმების გაზრდას. გეგმა ითვალისწინებდა იმ წარმოებისა და დარგების გაძლიერებულ განვითარებას, რომელიც რენტაბელური იყო და პროდუქციის ხარისხითა და ტექნიკური დონით არ ჩამორჩებოდა მსოფლიო სტანდარტებს, ხოლო ნაკლებად ეფექტური წარმოებები უნდა ლიკვიდირებულიყო. ყრილობამ წამოაყენა ამოცანა სახალხო მეურნეობის კონსოლიდაციის პროგრამის განხორციელებისა და უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის გზით მისი თანდათანობითი გარდაქმნის. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ცხოვრებაში მართვის ახალი სისტემის კომპლექსური გატარება, ეროვნული შემოსავლის შემდგომი ზრდა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

მართვისა და დაგეგმვის ახალი სისტემის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1965 წ.) პლენუმმა. სისტემა ხასიათდებოდა მეტისმეტი ცენტრალიზებულობით და ძირითადად ეყრდნობოდა ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ მეთოდებს. ასეთი სისტემა განვლილ პერიოდში აჩქარებდა ინდუსტრიალიზაციის პროცესსა და მრეწველობის სტრუქტურულ გარდაქმნას, მაგრამ ქვეყნის ეკონომიური პოლიტიკის გაზრდის და საზოგადოების მოხმარების ცვლილებების პირობებში იგი უკვე აღარ შეესაბამებოდა ეკონომიური განვითარების თანამედროვე პირობებს, ვინაიდან არასაკმაოდ მოქნილი გამოდგა სტიმულირების ეფექტური მეთოდებისა და სამრეწველო წარმოების მყარი ზრდისათვის. მართვის ახალი სისტემა უპირატესად ითვალისწინებდა მართვის ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიურზე გადასვლას და სასაქონლო ფულადი მეურნეობის ისეთი კატეგორიების მთლიან გამოყენებას, როგორიცაა — ფასები, მოგებები, ხელფასი, კრედიტი, პროცენტი და ა. შ. საწარმოებს ეძლეოდათ შედარებით უფრო მეტი ადმინისტრაციული, ქონებრივი და ოპერატიული დამოუკიდებლობა; საწარმოების, კოლექტივების მოღვაწეობა და მათი შრომის ანაზღაურება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიღწეულ ეკონომიურ შედეგებზე. საწარმოოს განკარგულებაში დარჩებოდა საერთო შემოსავლის მოცულობის ნაწილი, რომელიც დადგინდებო-

და საერთო შემოსავლიდან მატერიალური დანახარჯების გამოკლებისა, ამორტიზაციის ანარიცხებისა და, აგრეთვე, სახელმწიფოსათვის წინასწარ დადგენილი გადასახადების პროცენტების ფორმით და კრედიტების ნაწილის დაფარვის შემდეგ. საერთო შემოსავლის ის ნაწილი წარმოებას დარჩებოდა და მოქმედი ეკონომიური წესების შესაბამისად განაწილდებოდა თვითონ წარმოების მიერ მშრომელთა დაჯილდოების, ტექნიკური განვითარებისა და სარეზერვო ფონდში. ვინაიდან მატერიალური დანახარჯების შემცირების გამო საერთო შემოსავალი და მასთან ერთად ხელფასის ფონდიც იზრდება, წარმოება დაინტერესებულია ნედლეულის, ენერგიისა და სხვა მატერიალური სახსრების ეკონომიაში, ძირითადი და საბრუნავი ფონდის უფრო სრულად გამოყენებაში. იმ მიზნით, რათა წარმოებაში საერთო შემოსავალი არ გაზრდილიყო ფასების გაუნართლებელი ზრდით, ფასებზე კონტროლს განახორციელებდნენ დაგემვის ცენტრალური ორგანოები.

ეკონომიკის გეგმიური მართვის ახალმა სისტემამ პრაქტიკაში თანდათანობით იწყო დანერგვა 1966 წლის იანვრიდან. მისი მექანიზმის სრულყოფის მიზნით ჯერ კიდევ 1965 წელს ტარდებოდა ფართო ეკონომიური ექსპერიმენტი 440 წარმოებაში, აქედან 144 სამრეწველო საწარმო იყო, 39 — სამშენებლო ორგანიზაცია და სამშენებლო მასალების წარმოებები, 80 — შიდა სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ.

1965 წლის პირველ ნახევარში ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ჩატარდა სახალხო მეურნეობის დარგების ორგანიზაციული გარდაქმნა. წარმოების კონცენტრაციის შედეგად მრეწველობაში, მშენებლობასა და საშინაო ვაჭრობაში საწარმოო-სამეურნეო ერთეულების რიცხვი შემცირდა 234-დან 99-მდე, აქედან 74 ორგანიზებულია ტრესტების ბაზაზე. ამ საწარმოებთან ერთად სამინისტროების გამგებლობაში იმყოფებოდა აგრეთვე 80 სხვა სპეციალიზებული ერთეული, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, მომარაგება-გასაღების ორგანიზაციები და სხვ. ჩსსრ-ის ეროვნული კრების ნოემბრის სესიამ (1965 წ.) სახალხო მეურნეობის მართვის დარგობრივ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ზოგიერთი სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ, მაგალითად, მატერიალური მრეწველობის სამინისტრო გაერთიანდა მძიმე და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან, ერთიან მძიმე მრეწველობის სამინისტროდ, შეიქმნა აგრეთვე სამთამადნო მრეწველობის სამინისტრო. ამასთანავე გაუქმდა სათბობი მრეწველობის სამინისტრო, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო. ჩეხოს-

ლოვაკიის სახელმწიფო ბანკი გამოიყვანეს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და იგი გადაიქცა დამოუკიდებელ ორგანიზაციად.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობამ (1966 წ.) მიიღო გადაწყვეტილება სამეურნეო რეფორმის მთლიანი გატარების შესახებ 1967 წლის იანვრიდან. ამავე ყრილობაზე მიიღეს ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირითადი ამოცანა, რომელიც კონკრეტიზირებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიან გეგმაში (1966—1970 წწ.). იგი თავის მთავარ ამოცანად აცხადებდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას. სტრატეგიული თვალსაზრისით იგი სწორი იყო, მაგრამ მისი რეალიზაციის დროს არათანმიმდევრობამ და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევამ ხელსაყრელი საფუძველი შექმნა ანტისოციალისტური ძალების აქტივიზაციისათვის.

§ 26. 1968 — 1969 წლების პოლიტიკური კრიზისი და მისი დაძლევის ღონისძიებები

ეკონომიკის მართვის ახალი სისტემის დანერგვამ და მისგან გამოწვეულმა დროებითმა სიძნელეებმა გამოაცოცხლა ჯერ კიდევ გაუნადგურებელი, ანტისოციალისტური ელემენტები. მათ დაიწყეს მთელი განვლილი პერიოდის უსაფუძვლო კრიტიკა. ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში 1966—1967 წლების დამლევიდან განვითარებისა და განმტკიცების ტენდენციებთან ერთად დაირღვა წონასწორობა და გაიზარდა დაძაბულობა ეკონომიკაში, რის შედეგად 1967 წლის დამლევიდან გაძლიერდა ინფლაციური ტენდენციები. ხელფასი და საერთოდ, მოსახლეობის ფულადი შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მზა პროდუქციის გამოშვება. ამის გამო მოსახლეობის მოთხოვნები ბაზარზე წინ უსწრებდა რესურსების შექმნას მათი დაკმაყოფილებისათვის. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საწარმოებისათვის დოტაციების მოცულობის რაოდენობა და სუფსიდიების მიცემა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ახალი კაპიტალური დაბანდების დიდი მასშტაბები და სახსრების დაქსაქსვა. გარდა ამისა შესუსტდა პასუხისმგებლობა ეკონომიკის ხელმძღვანელობაში და შრომის დისციპლინა. საერთოდ, ეკონომიკის განვითარების შედეგები 1968 წლისათვის, როგორც მიუთითებდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, არადამაკმაყოფილებელი იყო. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებამ გამოიწვია მდგომარეობის გამწვავება საშინაო ბაზარზე, ინფლაციისა და სტიქიურობის ტენდენციების ზრდა. მართალია, ერონვული შემოსავალი გაიზარდა თითქმის 6,8%-ით, მაგრამ სამრეწველო პროდუქციის

ტემპების ზრდა შენელდა და წინა წელთან შედარებით 1968 წელს შეადგინა 5,5% (1965—1967 წწ.), საშუალოდ 7,5 პროცენტი წელიწადში. მაგრამ მიუხედავად ჩეხოსლოვაკიაში მრეწველობის ტემპების ზრდის შედარებით შენელებისა იგი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, 1964—1969 წწ. ჩეხოსლოვაკიაში სამრეწველო წარმოების ტემპები წლიურად საშუალოდ შეადგენდა 6,4%-ს, გფრ-ში—6,2, ინგლისში — 3,1, ბელგიაში — 4.8, ავსტრიაში — 6,2%-ს. 1968 წლისათვის ჩეხოსლოვაკიამ აწარმოა 10.5 მლნ ტონა ფოლადი, 100 მლნ-ზე მეტი ტონა ნახშირი, 41.4 მლრდ კვტ/საათი ელექტროენერგია, 125,5 ათასი მსუბუქი ავტომანქანა, 350 ათასზე მეტი ტელევიზორი. განსაკუთრებით დიდი იყო წარმატებები სლოვაკიაში, რომელიც იძლეოდა იმდენივე პროდუქციას, რამდენსაც მთელი ომამდელი ჩეხოსლოვაკია.

1966 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა იზრდებოდა და 1968 წელს ზრდა 3,6%-ს შეადგენდა. იგი მარტო ხელსაყრელი კლიმატური პირობებით არ აიხსნება. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია წლების განმავლობაში დაუღალავ მუშაობას ეწეოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამის შედეგად 1968 წლის მოსავალი მთელ რიგ დარგებში იყო რეკორდული წინა წელთან შედარებით. მაგალითად, 1 ჰექტარ მიწაზე მარცვლეულის საშუალო მოსავალი იყო 31.3 ცენტნერი, ქერისა — 29.4, შაქრის ჭარხლისა — 400 ცენტნერი, კარტოფილისა — 168.2 ცენტნერი. მარცვლეულის საერთო შემოსავალი უდრიდა 7.4 მლნ ტონას, შაქრის ჭარხლისა — 8 მლნ ტონას, კარტოფილისა — 6.25 მლნ ტონას. მეცხოველეობის პროდუქცია წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4.1%-ით. ამრიგად, წარმოება ჩეხოსლოვაკიაში შიგადაშიგ ზიგზაგებით, მაგრამ განუწყვეტლივ აღმავალი გზით ვითარდებოდა. მთავარი ისაა, რომ იგი ვითარდებოდა არა ბურჟუაზიის ინტერესების, არამედ ხალხის ინტერესების შესაბამისად. ამასთანავე სოციალიზმის გამარჯვებამ ჩეხოსლოვაკიაში ერთხელ კიდევ უარყო ბურჟუაზიული მეცნიერების „თეორია“ იმის შესახებ, რომ სოციალიზმი თითქოს მარტო სუსტად განვითარებული ქვეყნების ხვედრია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობის მხრივ არაა ხელსაყრელი ნიადაგი სოციალიზმის დამყარებისათვის. სწორედ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებები ჩეხოსლოვაკიაში იწვევდა გაუნადგურებელი საშინაო რეაქციული და საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალების გაცოფებას. ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ უმნიშვნელო შეცდომები და გადახვევები, დაემხოთ სოციალისტური წყობილება და აღედგინათ კაპიტალიზმი. ამ დროს პარტიისა და სახელმწიფო აპარატის მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები. ხან-

გრძლივი დროის მანძილზე არ წყდებოდა მომწიფებული ეკონომიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ახალგაზრდობის კავშირის რიგებში შესუსტდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. კაპიტალიზმის გადმონაშთები — ნაციონალიზმი, კარჩაკეტილობა, შუღლი, უნდობლობა, რომელიც უცხოა სოციალიზმისათვის, ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად აღმოფხვრილი. ანტისოციალისტური ელემენტები ნაციონალიზმის არსებობის გამოყენებას ცდილობდნენ. კერძოდ, ცდილობდნენ ჩეხებსა და სლოვაკებს შორის შუღლის გაღრმავებას. საქმე იმაში იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ყოველთვის როდი იყო დაცული ჩეხებისა და სლოვაკების თანასწორუფლებიანობის პრინციპი. მაგლითად, 1968 წლის მარტამდე ბრატისლავა ითვლებოდა სლოვაკიის არა დედაქალაქად, არამედ საოლქო ცენტრად. არ იყო პროპორციულად დაცული ჩეხების და სლოვაკების წარმომადგენლობა ცენტრალურ მთავრობაში. 1968—1969 წლების ამბებმა ჩეხოსლოვაკიაში ერთხელ კიდევ ცხადყვეს ის, რომ იმ სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ასე თუ ისე საშინაო ანტისოციალისტური ძალები შემორჩენილი არიან, ისინი განსაზღვრულ პირობებში ყველა შესაძლებლობებს გამოიყენებენ — კონტრრევოლუციურ შეთქმულებას, ამბოხებას და სამოქალაქო ომის გაჩაღებასაც კი საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერის იმედით, რათა აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. ჩეხოსლოვაკიის რეაქციამ ისარგებლა აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით ომამდე აქ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მმართველობის სისტემა და ასე თუ ისე დემოკრატიული თავისუფლების ტრადიციები იყო. ანტისოციალისტურმა ელემენტებმა წამოაყენეს დემაგოგიური და ყალბი ლოზუნგი „სუფთა დემოკრატიის“, „პრესისა და ინფორმაციის თავისუფლების“, „საერთოდ თავისუფლების“ შესახებ და მოითხოვეს ოპოზიციური პარტიების შექმნის უფლება. ისინი ცდილობდნენ ეს ე. წ. ბურჟუაზიული დემოკრატია დაეპირისპირებინათ პროლეტარული დემოკრატიისათვის.

სოციალიზმის მტრებმა ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში გააჩაღეს ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც საერთოდ დიქტატურის წინააღმდეგ და უკვე მაშინ ცდილობდნენ მისთვის დაეპირისპირებინათ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი, რომლის შესახებ მუშათა კლასში ისინი ნერგავდნენ ილუზიებს „საყოველთაო თანასწორუფლებიანობაზე“, „სრულ დემოკრატიაზე“ და ა. შ. ვ. ი. ლენინმა ამ საკითხში სრული გარკვეულობა შეიტანა თავის გამოსვლაში კომინტერნის პირველ კონგრესზე, რომელიც ნათელს ჰფენდა მარქსის მოძღვრებას ამ საკითხზე. ვ. ი. ლენინმა ნათელყო პროლეტარიატის დიქტატურის ძირფესვიანი განსხვავება სხვა სახის

დიქტატურისაგან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროლეტარიატის დიქ-ტატურა ეს არის დიქტატურა მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა, რომელიც მიზნად ისახავს მათი საყოველთაო ინტე-რესების დაცვას და ექსპლოატატორთა კლასების წინააღმდეგობის, ე. ი. მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის, ბურჟუაზიის და მე-მამულეების წინააღმდეგობის დათრგუნვას. ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება ლაპარაკი „დემოკრატიის" შესახებ მისი კლასობრივი შინაარსის გარეშე. მანამ კლასები არსებობენ, დე-მოკრატია ამა თუ იმ კლასის ინტერესებს გამოხატავს. საკითხი შე-იძლება მხოლოდ ასე დაისვას: დემოკრატია რომელი კლასების ინტე-რესებისათვის? თავისუფლება, რომელი კლასისათვის? თანასწორუფ-ლებიანობა, რომელი კლასისა რომელ კლასთან? შეადარა რა პრო-ლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, ლენინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია წარ-მოადგენს ერთი მუჭა ბურჟუაზიისა და მემამულეების დიქტატურას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მათი ხელისუფლება და დათრგუ-ნოს მშრომელთა მასების, ე. ი. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავ-ლესობის წინააღმდეგობანი, სოციალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება თავისუფლება იყოს მათთვის, ვინც ცდილობს წა-ართვას ხალხს მათ მიერ მოპოვებული სოციალისტური დემოკრატია.

1968 წლის იანვარში შედგა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენ-ტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის პო-ლიტიკის პრინციპული საკითხები, რომელთა შორის აღსანიშნავია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კვლავაც უზრუნველეყოთ პარ-ტიის ხელმძღვანელი როლი ქვეყნის მართვაში. პლენუმმა განიხილა ადრე დაშვებული შეცდომები და დასახა გზები მათი გამოსწორები-სათვის, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყო-ფისათვის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარები-სათვის. პლენუმმა არმიზანშეწონილად ცნო ერთი პიროვნების მიერ ორი თანამდებობის შეთავსება — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პირვე-ლი მდივნისა და რესპუბლიკის პრეზიდენტისა. პირველი მდივნის თა-ნამდებობიდან გაათავისუფლეს ა. ნოვოტნი, ხოლო მის ნაცვლად აირჩიეს ა. დუბჩეკი. 30 მარტს ჩსსრ პრეზიდენტად. გადამდგარ ა. ნოვოტნის ნაცვლად, აირჩიეს ლუდვიგ სვობოდა. მარტში და აპ-რილში ჩატარდა ჩკპ-ის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც კვლავ განიხილა პარტიისა და საზოგადოებაში თანამედროვე პოლიტიკური მდგომა-რეობის საკითხები და მიიღო ჩკპ-ის მოქმედების პროგრამა, რომე-ლიც კომპრომისული იყო და წარმოადგენდა მემარჯვენე ძალები-სადმი დათმობას.

შეიქმნა ახალი მთავრობა ჩერნიკის მეთაურობით. ცვლილებები მოხდა აგრეთვე ეროვნული კრების შემადგენლობაში და ეროვნული ფრონტის ცკ-ში. ჩეხოსლოვაკიის რეაქციამ თავისი აქტიური მოღვაწეობა უშუალოდ იანვრის პლენუმის შემდეგ გააჩაღა. ასევე პარტიის და მთავრობის ახალი ხელმძღვანელობა, როგორც შემდეგ გამოირკვა, არ აპირებდა პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებას, ხოლო ანტისოციალისტური ელემენტები, საერთაშორისო რეაქციის მხარდაჭერით და წაქეზებით, დაუფარავად ირაზმებოდნენ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა საბოლოო დარტყმა მიეყენებინათ კომუნისტებისათვის. მათ დაიწყეს უსაფუძვლო კრიტიკა მთელი განვლილი პერიოდისა, აკრიტიკებდნენ გეგმიურ მეურნეობას, ხოტბას ასხამდნენ სტიქიურობას მეურნეობაში. ანტისოციალისტურ ელემენტებს სმა აუწყვეს რევიზიონისტებმაც. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ პარტიისა და სახელმწიფო აპარატის მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები. შექმნილი ვითარება გამოიყენეს ყოფილი ექსპლოატატორული კლასების ნარჩენებმა, რომლებმაც მემარჯვენე ოპორტუნისტებთან კავშირში და მსოფლიო იმპერიალიზმის მხარდაჭერით მიზნად დაისახეს ჩეხოსლოვაკიაში მოესპოთ სოციალისტური წყობილების საფუძვლები და იზოლირებული ყოლოდათ იგი სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან.

მარტ-აპრილის პლენუმის შემდეგ ანტისოციალისტურმა ძალებმა გააძლიერეს თავიანთი გამოხდომები კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ, სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ. ამრიგად, 1968 წლის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიაში ჩამოყალიბდა მემარჯვენე რევიზიონისტებისა და ანტისოციალისტური ძალების ბლოკი. მათ დაიწყეს მთელი განვლილი პერიოდის კრიტიკა. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ პარტიის და სახელმწიფო აპარატის სათავეში მოექცნენ მერყეევი და არასანდო ელემენტები. ანტისოციალისტურმა ელემენტებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და ხელთ ჩაიგდეს მასობრივი ინფორმაციის ძირითადი ორგანოები. იმპერიალისტური პროპაგანდის აქტიური მხარდაჭერით მათ ბინძური კამპანია გააჩაღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ჩირქს სცხებდნენ მშრომელთა მასების მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში. რეაქციონერებმა შექმნეს სხვადასხვა სახის ორგანიზაციები, კლუბები, კერძოდ „აქტიური უპარტიოების კლუბი“, „231 კლუბი“ და სხვ. ისინი ლეგალურად უპირისპირდებოდნენ კომუნისტურ პარტიას. გარდა ამისა, შეიქმნა არალეგალური ორგანიზაციები და იატაკქვეშა შეიარაღებული ბანდები. ყოფილმა მემარჯვნე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებმაც აქტიური საქმიანობა გააჩაღეს თავისი პარტიის აღსადგენად. თვით

კომპარტიის შიგნით ჩამოყალიბდა მემარჯვენე რევიზიონისტული ელემენტების დაჯგუფება, რომელიც ფაქტიურად ერთიანი ფრონტით გამოვიდა პარტიის ხელმძღვანელი როლის წინააღმდეგ. მათ გააჩაღეს მთელი კამპანია პარტიის და სახელმწიფოს ბევრი პატიოსანი და ერთგული მუშაკის წინააღმდეგ. აიძულებდნენ მათ გადამდგარიყვნენ. ისინი ლაყბობდნენ დემოკრატიასა და თავისუფლებაზე და თავის თავს აცხადებდნენ „ჰუმანიზაციის" მომხრედ, ფართო რეკლამას უწევდნენ ბურჟუაზიულ-რევიზიონისტულ მონაგონს „სოციალიზმის სხვადასხვა მოდელების" შესახებ. რომლის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერების დაპირისპირება ეროვნულ თავისებურებებთან და მისი ცხოვრებაში განხორციელების კონკრეტულ ფორმებთან. უფრო მეტიც. ანტისოციალისტურმა ელემენტებმა ჩეხოსლოვაკიაში გადმოიღეს ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგების ე. წ. „თეორია", რომელიც უარყოფს სოციალიზმის საერთო კანონზომიერების არსებობას. საერთო კანონზომიერების გარეშე კი სოციალიზმის აშენება შეუძლებელია. სოციალიზმის სხვადასხვა „მოდელის" ე. წ. თეორია სოციალიზმის საერთო კანონზომიერებს მხოლოდ „საბჭოთა მოდელს უკავშირებს და მოუწოდებს სხვა ქვეყნებს, რათა უარი თქვან მასზე, ე. ი. ფაქტიურად—სოციალიზმზე, შემოიღონ მრავალპარტიული სისტემა ე. წ. ძველი ტრადიციების მოტივით და „დემოკრატიის" ნიღბით, განავითარონ კერძო მწარმოებლური მოღვაწეობა. „სოციალიზმის სხვადასხვა მოდელების" თეორია შეესაბამება იმპერიალიზმის გლობალურ სტრატეგიას, ე. წ. თანდათნობითი „ევოლუციის" პოლიტიკას სოციალისტურ ქვეყნებში, რომლის ძირითადი იმპერიალისტური არსი იმაში მდგომარეობს, რომ გათიშვა შეიტანოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში და კაპიტალიზმის რესტავრაციას მიაღწიოს: სწორედ ასეთი სახის პროპაგანდა გააჩაღა ჩეხოსლოვაკიის რეაქციამ 1968—1969 წლებში. ფაქტიურად ჩეხოსლოვაკიის რეაქციას უნდოდა „სოციალიზმის გაუმჯობესების" ნიღბით კაპიტალიზმის რესტავრაცია. ანტისოციალისტურმა ძალებმა წამოაყენეს აგრეთვე ცბიერი ლოზუნგები: ჩეხოსლოვაკიის „დამოუკიდებლობის აღდგენის" და „დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის" შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხალხის ყალბი წარმოდგენის შექმნას იმის შესახებ, რომ თითქოს ჩეხოსლოვაკია, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებთან სამოკავშირეო ურთიერთობით არის დაკავშირებული, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ასეთი პროპაგანდა მიზნად ისახავდა მტრობის ჩამოგდებას უპირველეს ყოვლისა ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის და აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მიიღო დადგენილება ქვეყნის თანამედროვე საშინაო მდგომარეობის, პარტიის შემდგომი ამოცანებისა და აგრეთვე ჩსსრ-ის სახელმწიფოებრივ-უფლებრივი წყობის შესახებ. პლენუმმა გამოაქვეყნა „მიმართვა პარტიის წევრებისა და მთელი ხალხისადმი“, სადაც მითითებული იყო, რომ სოციალიზმის საქმისათვის ჩეხოსლოვაკიაში მთავარი საშიშროება მემარჯვენეებისაგან გამომდინარეობს. მაგრამ მაისის პლენუმის გადაწყვეტილება ქაღალდზე დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიული კომიტეტების მდივნების თათბირზე, მრავალრიცხოვან პარტიულ კრებებზე, სახალხო მილიციის მუშაკთა სრულიად სახელმწიფოებრივ აქტივზე კომუნისტები მოითხოვდნენ გაეძლიერებინათ ბრძოლა ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ, არ გაძლიერდა ბრძოლა მათ მიმართ. ისარგებლეს რა პარტიის და მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელობის წაყრუებით, პარტიის ხელმძღვანელი და სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვის მოშლით, ანტისოციალისტურმა ძალებმა იმდენად გააძლიერეს თავისი შავბნელი საქმიანობა, რომ უკვე აშკარად ემუქრებოდნენ სახალხო რეჟიმს. თვითონ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის შიგნით გააძლიერეს თავისი საქმიანობა მემარჯვენე რევიზიონისტულმა ელემენტებმა, რომელთა ხელმძღვანელობის ხელში აღმოჩნდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ადგილები. 27 ივნისს ანტისოციალისტურმა ელემენტებმა დასავლეთის სახელმწიფოების რეაქციული წრეების და სადაზვერვო ორგანოების კარნახით გამოაქვეყნეს თავისი პოლიტიკური პლატფორმა — „ორი ათასი სიტყვა“, რომელიც მიმართული იყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ქვეყნის სოციალისტური მონაპოვრისა და სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ამ მიზნით იგი მოუწოდებდა ხალხს გაფიცვებისა და აშკარა უწესრიგობისაკენ. ეს „ორი ათასი სიტყვა“ ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა მხოლოდ ფორმალურად დაგმეს და არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ რეაქციის ამ გამოხდომების აღსაკვეთად.

ბუნებრივია, რომ ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე ამბებს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მთელი მსოფლიოს როგორც რეაქციული, ასევე პროგრესული ძალები. მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით ამ მძიმე დღეებში არაერთხელ განიხილეს როგორც ერთად, ასევე ცალ-ცალკე — ორმხრივად და მრავალმხრივად ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება. სკკპ-ის ხელმძღვანელობას ჰქონდა თათბირები ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებთან მოსკოვში იანვრის ბოლოს და პრაღაში თებერვალში, რომლის დროსაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელების ყურადღება გაამახვილეს

იმაზე, რომ ანტისოციალისტურმა ელემენტებმა ჩეხოსლოვაკიაში საზღვარგარეთის იმპერიალისტების მხარდაჭერით გააქტიურეს თავისი შავბნელი საქმიანობა, რის გამოც სოციალისტური წყობილების არსებობა ამ ქვეყანაში საშიშროების წინაშე დგას. 1968 წლის 23 მარტს დრეზდენში მოეწყო სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, გდრ-ის და ჩეხოსლოვაკიის პარტიების და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები, სადაც ერთსულოვნად აღინიშნა, რომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლასობრივი სიფხიზლის ამაღლებას საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალების აგრესიული ზრახვებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ. აქ აღინიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება ისეთ მიმართულებას იღებს, რომ შეიძლება გამოიწვიოს კონტრრევოლუციური გადატრიალება. შეხვედრის მონაწილეებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ კვლავაც გააგრძელებენ ღონისძიებებს სოციალისტური ქვეყნების შემჭიდროებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამ შეხვედრის დროს ჩეხოსლოვაკიის მაშინდელმა წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ მათ ქვეყანაში ანტისოციალისტურმა ძალებმა გააძლიერეს თავისი საქმიანობა და ხელთ ჩაიგდეს ქვეყნის პრესა, ტელევიზია და რადიო. მაგრამ აქვე აღნიშნეს, რომ სერიოზული საფუძველი საფრთხისა არ არსებობდა.

4 მაისს მოსკოვში მოეწყო ორმხრივი შეხვედრა სკკპ-ის და ჩსსრ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს შორის, სადაც ჩეხოსლოვაკიის მხარემ აღიარა ქვეყანაში შექმნილი სერიოზული მდგომარეობა და აღნიშნა იმის შესახებ, რომ მტკიცე ღონისძიებების გარეშე საქმე შეიძლება დამთავრდეს კონტრრევოლუციური გადატრიალებით. მაგრამ ეს აღიარება ქაღალდზე დარჩა და კონტრრევოლუციური ძალების ასალაგმავად კი არავითარი ღონისძიებები არ განხორციელდა. მემარჯვენე ოპორტუნისტებმა თვით კომპარტიის შიგნით სმრკოვსკის, მიკოვას, გუბლის, მლინერჟის და სხვების სახით გააძლიერეს თავისი ძირგამომთხრელი საქმიანობა, ხოლო პარტიისა და მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელები კი მათ წინააღმდეგ არა თუ რაიმე ღონისძიებებს იღებდნენ, არამედ თავისი წაყრუების პოლიტიკით პირიქით, აქეზებდნენ მათ შავბნელ საქმიანობას. ამას აგრეთვე ზედ დაერთო ქვეყნის კონტრრევოლუციური ძალების აშკარა ტერორისტული გამოხდომები პარტიის პატიოსანი და ერთგული მუშაკების წინააღმდეგ. ამასთანავე კონტრრევოლუციურმა ძალებმა საზღვარგარეთის იმპერიალისტური წრეების და მათი დაზვერვის მხარდაჭერით კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს თავისი ანტისოციალისტური, ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა კამპანია.

8 მაისს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, გდრ-ის და პოლონეთის მუშათა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელმაც განიხილა საერთაშორისო აქტუალური საკითხები და აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარება. შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ შემდგომშიც განახორციელებენ ღონისძიებებს ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შემჭიდროვებისათვის და ერთმანეთისათვის დახმარების გაწევის გზით შეასრულებენ თავის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ვალდებულებებს.

ამავე ქვეყნების პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრა მოეწყო ვარშავაში 14—15 ივლისს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარების განსახილველად. შეხვედრის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს ჩსსრ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ მათი ქვეყნის შიდა კონტრრევოლუციას კავშირი ჰქონდა დამყარებული იმპერიალისტურ ცენტრებთან, იღებდა მათგან მხარდაჭერას და დახმარებას და ამზადებდა კონტრრევოლუციურ გადატრიალებას. შეხვედრის მონაწილენი თავის წერილში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას მოუწოდებდნენ გადამწყვეტი და გადაუდებელი ღონისძიებების მიღებაზე კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგ და აცხადებდნენ თავის მზადყოფნას ძმური დახმარების გაწევაზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიმართ საერთო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ვალდებულების შესრულებაში.

მაგრამ მემარჯვენე ძალების ზეგავლენით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა უარყო ხუთი სოციალისტური ქვეყნის წერილში მოცემული ჩეხოსლოვაკიის ამბების შეფასება.

აღნიშნული ხუთი სოციალისტური სახელმწიფოს პარტიის ხელმძღვანელებმა 3 აგვისტოს ბრატისლავაში მოაწყვეს თათბირი ჩეხოსლოვაკიის პარტიის წარმომადგენლებთან ერთად, სადაც მიღებულ იქნა განცხადება. ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში ხაზგასმით აღინიშნა ის, რომ სოციალისტური მონაპოვარის განმტკიცება და დაცვა, ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის წინსვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად და თანმიმდევრულად ვიხელმძღვანელებთ და დავიცავთ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო კანონზომიერებას, და უპირველეს ყოვლისა, მუშათა კლასის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს. ამასთანავე, ყოველი მოძმე პარტია, შემდგომი სოციალისტური განვითარების საკითხების შემოქმედებით გადაწყვეტასთან ერთად მხედველობაში იღებს ეროვ-

ნულ თავისებურებებს და პირობებს. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს თავისი მზადყოფნის შესახებ, რომ კვლავაც შეათანხმონ და კოორდინაცია გაუკეთონ თავის მოქმედებას საერთაშორისო არენაზე.

მაგრამ, ბრატისლავას თათბირის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რეაქციამ უფრო გააქტიურა თავისი საქმიანობა. ქვეყნის მთელმა რეაქციამ გაილაშქრა ქარხანა „ავტო-პრაღის“ 99 მუშის წერილის წინააღმდეგ. რომელიც გაზეთ პრავდაში გამოქვეყნდა. ამ წერილში მუშები გამოვიდნენ სოციალისტური მონაპოვარის დაცვისა და ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა ხალხის მეგობრობის მომხრედ.

რეაქციონერები ჩეხოსლოვაკიაში მოითხოვდნენ სახალხო მილიციის დათხოვნას და ამ მიზნით მოსახლეობაში დაიწყეს ხელმოწერის შეგროვება მოთხოვნით, მილიციის დათხოვნის შესახებ. სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად მოიშალა. კომპარტიაში ხელმძღვანელობას თანდათნობით ხელში იღებდნენ მემარჯვენეები. მოსახლეობის უმრავლესობა დეზორიენტირებული იყო. რეაქციონერების მიერ შექმნილი ლეგალური ორგანიზაციები და კლუბები, განსაკუთრებით „უპარტიოთა კლუბი“, ცდილობდნენ თავისი თავი დაეპირისპირებინათ კომპარტიისათვის და ძალაუფლება თვითონ აეღოთ თავის ხელში, ან ჩამოეშორებინათ კომპარტია მარქსისტულ-ლენინური პლატფორმიდან და გადაექციათ იგი რეფორმისტულ პარტიად, ხოლო საბოლოო ჯამში კი ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალიზმის რესტავრაცია მოეხდინათ. თვით კომპარტიის შიგნით შექმნილი ვითარებაც ხელს უწყობდა ამ გარემოებას. ამასთანავე, იმპერიალისტური წრეები მოუთმენლად ელოდნენ, ჩეხოსლოვაკიაში კვლავ კაპიტალისტური წყობილება ეხილათ. იმპერიალისტური სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ჩეხოსლოვაკიაში 1968—1969 წლებში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც გამოიწვევდა გამოხმაურებას და შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის რესტავრაციისა. მაგალითად, ინგლისის კონსერვატიული პარტიის ლიდერის მოადგილემ რ. მოდლინგმა პარლამენტში განაცხადა, რომ თუ ჩეხოსლოვაკია ჩამოცილდება საბჭოთა კავშირს, თუ ვარშავის პაქტი დაიშლება, ეს ხელსაყრელი იქნებაო ჩვენთვის.

ამ აზრისანი იყვნენ გფრ-ის რეაქციული წრეებიც. მაგალითად, დასავლეთ გერმანიის რეაქციისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიის ლიდერი ფ. შტრაუსი თავის წიგნში „გამოწვევა და პასუხი“ წერს, რომ „კომუნისტური რეჟიმები მთლიანად უნდა ლიკვიდირებულ იქნეს: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრების წესი და სტანდარტი უნდა შეეგუოს დასავლეთ ევროპის ცხოვრების წესს“. მისი და გფრ-ის სხვა რეაქციული წრეების გეგმით ჩეხოსლოვაკიის ამბებს უნდა შეეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა, საბჭოთა

კავშირის სამხრეთ დასავლეთ საზღვრების გასწვრივ შექმნილიყო ან „ნეიტრალური სახელმწიფოების, თუ არა და ანტისაბჭოთა განწყობილების ქვეყნების ზონა“ ან კიდევ ე. წ. „დუნაის ფედერაცია“, ან „ბუფერული ზონა“. ამ მიზნით დასავლეთის რეაქციულმა წრეებმა შეიმუშავეს „ოპერატიული გეგმა“, რომელშიც რამოდენიმე ვარიანტი იყო მოცემული ჩეხოსლოვაკიაში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობის აქციების ორგანიზებისა და განხორციელებისათვის. ეს გეგმა ითვალისწინებდა მჭიდრო კონტაქტის დამყარებას დასავლეთის დაზვერვის ცენტრების აგენტებსა და ჩეხოსლოვაკიის და სხვა სოციალისტური ქვეყნების ანტისოციალისტურ ძალებს შორის, ერთიანი და შეთანხმებული მოქმედების მიზნით. მაგრამ საერთაშორისო რეაქციის ეს მორიგი გამოხდომებიც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ სამარცხვინოდ ჩაიშალა. ასეთ ვითარებაში, როდესაც სოციალისტური წყობილების არსებობას ჩეხოსლოვაკიაში საშიშროება შეექმნა, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, გამომდინარეობდნენ რა სოციალისტური ბანაკის უშიშროების საერთო ინტერესებიდან და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებიდან, ჩეხოსლოვაკიის საზღვრები გამოაცხადეს სოციალისტური ქვეყნების საერთო საზღვრებად. 21 აგვისტოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა ხუთმა სოციალისტურმა ქვეყანამ — სსრკ, უგრეთმა, ბულგარეთმა, პოლონეთმა და გდრ-ამ დროებით შეიყვანეს თავისი ჯარები ჩეხოსლოვაკიაში, რათა დაეცვათ სოციალისტური მონაპოვარი საშინაო და საგარეო რეაქციის ხელყოფისაგან. ამ აქციით ჩაიშალა ჩეხოსლოვაკიის ანტისოციალისტური და მემარჯვენე ოპორტუნისტული ძალების და მათ ზურგს უკან მდგომი საერთაშორისო იმპერიალიზმის ცდები ჩეხოსლოვაკიაში კაპიტალიზმის რესტავრაციაზე. მეორე დღესვე, ე. ი. 22 აგვისტოს მემარჯვენე რევიზიონისტებმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში მოიწვიეს ე. წ. „ვისოჩანის ყრილობა“ და მიიღეს რიგი დოკუმენტები, რომლებიც გმობდა ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური ქვეყნების ჯარების შეყვანას.

ასეთ ვითარებაში ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა, მტკიცე ლენინელ-ინტერნაციონალისტმა ლუდვიგ სვობოდამ დიდი როლი ითამაშა ჩეხოსლოვაკიაში წესრიგის აღდგენის საქმეში. 23—26 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის დელეგაციასა, რომლის სათავეში იდგა ლ. სვობოდა და სკკპ-ის ხელმძღვანელებს შორის, რომლის დროსაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ჩეხოსლოვაკიაში ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რომლის ამოცანა იყო მდგომარეობის სწრაფად ნორმალიზაცია.

16 ოქტომბერს კი პრაღაში სსრკ-სა და ჩსსრ-ს შორის დაიდო

ხელშეკრულება საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის პირობების შესახებ.

14—17 ნოემბერს პრაღაში შედგა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია „პარტიის მთავარი ამოცანების შესახებ უახლოეს პერიოდში". პლენუმმა შეიტანა რიგი ცვლილებები ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და პრეზიდიუმში. პლენუმზე შეიქმნა ჩკპ-ის ცკ-ის ბიურო, პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ჩეხეთის ოლქებში.

პლენუმმა საფუძვლიანად გააკრიტიკა იანვრის პლენუმის შემდეგ პოლიტიკაში მომხდარი უარყოფითი მოვლენები, რომელმაც გამოიწვია ანტისოციალისტური ძალების აქტივიზაცია და ამის გამო სოციალისტური წყობილების არსებობას ქვეყანაში საშიშროება შეექმნა. პლენუმმა განიხილა აგრეთვე კომპარტიის მდგომარეობის საკითხი ქვეყანაში და გადაწყვიტა მიეღო ღონისძიებები პარტიის, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის განმტკიცებისა და კონსოლიდაციისათვის მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე.

მაგრამ პლენუმის ეს გადაწყვეტილებები ჩაიშალა ანტისოციალისტური და მემარჯვენე ძალების შეტევების გამო, რომლებიც ანტისოციალისტური შეთქმულების ჩაშლის შემდეგ ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მდგომარეობის ნორმალიზაციის საქმისათვის და ხელოვნურად შეექმნათ კრიზისული მოვლენები. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მაშინდელ ხელმძღვანელობაში ერთიანობისა და თანმიმდევრული პოლიტიკის უქონლობის გამო, რეაქციის ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა და ისტერიული ანტისაბჭოთა პროპაგანდა ქვეყნის შიგნით კვლავ გრძელდებოდა 1969 წლის პირველ თვეებშიც. საქმე იმაში იყო, რომ ანტისოციალისტური ძალების ხელში ჩეხოსლოვაკიაში კვლავ რჩებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი. მათ ხელში იყო კერძოდ ჟურნალი „პოლიტიკა", ყოველდღიური გაზეთები „ფურცლები", „სტუდენტთა ფურცლები" და სხვ. გარდა ამისა დასავლეთის პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ გააჩაღეს აღვირახსნილი, შეუოკებელი პროპაგანდა და ყოველმხრივ აქეზებდნენ ჩეხოსლოვაკიის ანტისოციალისტურ ძალებს უწესრიგობისაკენ. 1969 წლის მარტის ბოლოს ჩეხოსლოვაკიის რიგ ქალაქებში ანტისოციალისტურმა ძალებმა მოაწყვეს უწესრიგობანი, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ძალმომრეობით მოქმედებას, ტერორისტულ გამოხდომებს და რომელმაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1969 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა ჩსსრ ეროვნული კრების სესიის მიერ ჯერ კიდევ 1968 წლის 27 ოქტომბერში მიღებული

კონსტიტუციური კანონი, ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შექმნის შესახებ. ჩეხოსლოვაკია გადაიქცა ფედერაციად, რომელიც შედგება ორი თანასწორუფლებიანი — ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან. თითოეულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა: ჩეხეთში — ჩეხეთის ეროვნული საბჭო, სლოვაკიაში — სლოვაკიის ეროვნული საბჭო, ხოლო ჩსსრ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა — ფედერალური კრება, რომელიც ორი პალატისაგან შედგება — სახალხო პალატისა და ეროვნებათა პალატისაგან. ჩსსრ-ის აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფება ფეოდალური მთავრობის ხელში, ხოლო რესპუბლიკებში: ჩეხეთში და სლოვაკიაში, ადგილობრივი ეროვნული მთავრობების ხელში. ფედერალური მთავრობისა და ფედერალური კრების გამგებლობაშია: საერთო სახელმწიფოებრივი, თავდაცვის, ფინანსების და საგარეო პოლიტიკის საკითხები. მთელი 1969 წლის მანძილზე ჩსსრ სახელმწიფო ორგანოების მიერ ტარდებოდა ღონისძიებანი ქვეყნის ფედერალური მოწყობის მიზნით. ჩეხოსლოვაკიაში კრიზისული მდგომარეობის დაძლევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩკპ-ის ცკ-ის 1969 წლის 17 აპრილს მოწვეულ პლენუმს, რომელმაც ა. დუბჩეკი მოხსნა ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან და მის ნაცვლად აირჩია გუსტავ ჰუსაკი[1]. აირჩიეს აგრეთვე ცკ-ის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა.

---

[1] გ. ჰუსაკი დაიბადა 1913 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლასთან ერთად მუშაობდა ქარხანაში. 1937 წელს მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 16 წლიდან გ. ჰუსაკი აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტურ მოძრაობაში. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რიგებში შეიდა 1933 წელს. იგი იყო ბრატისლავას სტუდენტთა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 1937 წლიდან იგი მდივანია საბჭოთა კავშირთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის საზოგადოებისა. კომპარტიის აკრძალვის შემდეგ მუშაობდა პარტიის არალეგალურ ორგანიზაციებში. რევოლუციური ხელმძღვანელობისათვის არა ერთხელ იმყოფებოდა პატიმრობაში.

1943 წელს გ. ჰუსაკი შედიოდა სლოვაკიის არალეგალური კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მონაწილეობდა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მომზადებაში. აჯანყების დროს, შემდეგ კი განთავისუფლებულ ტერიტორიაზე იყო სლოვაკიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სლოვაკიის კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილე. 1945 წელს ჰუსაკი გახდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის წევრი. 50-იანი წლების დასაწყისში იგი უსაფუძვლო ბრალდებით რეპრესირებულ იყო, 1963 წელს კი მთლიანად რეაბილიტირებული იქნა.

1966 წელს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში მუშაობდა. 1968 წელს ჰუსაკს ეკავა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, შემდეგ სლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობა, იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის და მისი პრეზიდიუმის წევრი. 1969 წლის აპრილიდან კი გახდა ჩკპ-ს ცკ-ის პირველი მდივანი, XIV ყრილობის შემდეგ კი გენერალური მდივანი.

პარტიის შიგნით გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღდა მემარჯვენე ოპორტუნისტებისა, ხოლო ქვეყანაში ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ იმ მიზნით, რათა პარტიასა და ქვეყანაში შექმნილიყო ნორმალური პირობები და სასწრაფოდ გადაჭრილიყო ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები.

1969 წლის მაისის ბოლოს შედგა ჩკპ-ის ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა პარტიის უახლოესი ამოცანები კრიზისული მდგომარეობის დაძლევის და ქვეყანაში ნორმალური ვითარების შექმნის შესახებ.

აპრილის და მაისის პლენუმების შემდეგ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის შექმნის გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სექტემბრის (1969 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ყველაზე უფრო აქტიურ მემარჯვენე ოპორტუნისტებს — სმრკოვსკის, მიკოვას, გუბლს, მდინარეს და სხვებს. ისინი გადააყენეს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელი პოსტებიდან. პლენუმმა გადასინჯა და გააუქმა პარტიის მიერ ადრე მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილებანი. კერძოდ ჩკპ-ის ცკ-ის პლენუმის 1968 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება ვარშავაში ხუთი მოძმე ქვეყნის მიერ გამოგზავნილი წერილის თაობაზე, ჩკპ-ის არალეგარული ვისოჩნას „ყრილობის" გადაწყვეტილებანი, 22 აგვისტოს განცხადება ხუთი მოძმე სოციალისტური სახელმწიფოს მიერ ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანის თაობაზე და ა. შ. მაგრამ ამ ღონისძიებების ჩატარების შემდეგაც ჩეხოსლოვაკიის რეაქცია არ ცხრებოდა და საერთაშორისო რეაქციის წაქეზებით 1969 წლის 21 აგვისტოს, ე. ი. ხუთი მოძმე სოციალისტური ქვეყნის ჯარების შეყვანის წლისთავზე, ისევ შეეცადა მოეწყო კონტრრევოლუციური გამოხდომები. ამ მიზნით ცდილობდნენ გამოეყენებინათ გზას აცდენილი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით სტუდენტობა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის განახლებულ ხელმძღვანელობას დიდი ახსნა-განმარტებითი და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ჩატარება დასჭირდა ახალგაზრდობაში, რათა გაეთავისუფლებია ისინი ანტისოციალისტური, კონტრრევოლუციური და იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტების გავლენისაგან. 1969 წლის მარტში შეიქმნა ახალგაზრდობის ლენინური კავშირი, რომელიც გამოვიდა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობის მომხრედ, მარქსიზმ-ლენინიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დასაცავად. ნოემბერში შეიქმნა ჩსსრ ბავშვთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების ფედერალური საბჭო. სტუდენტურ მოძრაობაში მართალია უფრო გვიან, მაგრამ მაინც დაიწყო გაერთიანება.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

1969 წლის დამლევიდან დაიწყო მოძრაობა ახალგაზრდათა ორგანიზაციების გაერთიანებისათვის. შეიქმნა ჩეხეთის და სლოვაკიის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც დაადგინა ქვეყანაში ერთიანი ახალგაზრდული სოციალისტური ორგანიზაციის შექმნა, რომლის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია უ. ვარგოლიკი. აღნიშნული ორგანიზაცია 1971 წლის დასაწყისში თავის რიგებში აერთიანებდა 300 ათას წევრს.

იანვრის პლენუმმა მიიღო ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობიდან ო. ჩერნიკის და კ. პოლაჩეკის გადადგომა. ისინი ერთდროულად გადადგნენ ჩსსრ-ის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის და პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. ჩკპ-ის პრეზიდიუმის წევრობიდან და სლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან გადადგა შ. სადოვსკი. სლოვაკიის კომპარტიის პირველ მდივნად აირჩიეს ი. ლენარტი.

1970 წლის მარტში პარტიის რიგებიდან გაირიცხა ჩკპ-ის ცკ-ის ყოფილი ხელმძღვანელობის მემარჯვენე რევიზიონისტები: ი. სმრკოვსკი, ფ. კრიგელი, ი. შპაჩეკი, ი. ბორუვკა, ზ. მდინარჟი, ბ. შიმონი და სხვები. ჩკპ-ის ცკ-ის 1970 წლის ივნისის პლენუმმა მემარჯვენე ოპორტუნისტული მოღვაწეობის გამო პარტიის რიგებიდან გარიცხა ჩკპ-ის ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი დუბჩეკი, ხოლო ჩსსრ-ის ფედერალური მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ჩერნიკი 1970 წლის დეკემბერში გარიცხეს პარტიიდან.

მიღებულ იქნა ღონისძიებები მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების გასაწმენდად, მემარჯვენე ოპორტუნისტებისა და ნაციონალისტური ელემენტებისაგან, ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც საგანგაშო დღეებში ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა ელემენტების ბუდედ გადაიქცა, დახურულ იქნა. კერძოდ, ყოველდღიური გაზეთები „ფურცლები“, „სტუდენტთა ფურცლები“, ჟურნალი „პოლიტიკა“ და ა. შ.

ჩკპ-ის ცკ-ის სექტემბრის პლენუმის შემდეგ კომუნისტ-დეპუტატების ინიციატივით მემარჯვენე და ანტისოციალისტური ელემენტებისაგან, რომლებიც საერთაშორისო იმპერიალიზმის დაზვერვის ორგანოების აგენტებად გადაიქცნენ, გაწმენდილ იქნა ფედერალური, კრების ორივე პალატა. ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე 15 ოქტომბერს ფედერალური კრების ხელმძღვანელი ადგილებიდან გაძევებულ იქნენ ა. დუბჩეკი და ი. სმრკოვსკი. ფედერალური კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დ. ჰანესი, ეროვნული პალატის თავმჯდომ-

მარედ — ვ. მიგალიკი, სახალხო პალატის თავმჯდომარედ — ს. პენ-ნიგეროვი. ფედერალურმა კრებამ მიიღო კანონი ორივე პალატის რწმუნების ვადის გაგრძელების შესახებ. 1970 წლის თებერვლიდან ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო პარტიული ბილეთების გამოცვლის კამპა-ნია, რომლის დროსაც სპეციალურად შექმნილი კომისიები ინდივი-დუალურ გასაუბრებას აწყობდნენ პარტიის ყველა წევრთან. ამ გა-საუბრების დროს პარტიის ყველა წევრი იძლეოდა ახსნა-განმარტე-ბას თავისი მოღვაწეობისა და პოზიციის შესახებ, რომლის შემდეგ კომისიას მხოლოდ იმის უფლება ჰქონდა, რომ წამოეყენებინა თავისი დასაბუთებული წინადადება პარტიული ბილეთის გაცემის ან არ გა-ცემის შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილება კი საერთო პარტიულ კრებას გამოჰქონდა, მათ ამტკიცებდა ზემდგომი პარტიული ორგანო. წესდების თანახმად პარტიის წევრს უფლება ჰქონდა ზემდგომ პარ-ტიულ ინსტანციაში გასაჩივრებისა, თუ იგი ამ გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევდა. პარტბილეთების გამოცვლის ასეთი წესით ჩატარების ეს კამპანია შემთხვევითი არ იყო. ჩეხოსლოვაკიის კომპარ-ტია, როგორც ეს 1968—1969 წწ. ამბებმა ცხადყო, დანაგვიანებული აღმოჩნდა მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტებისაგან და ამი-ტომ საჭირო იყო პარტიის რიგებიდან როგორც ამ მემარჯვენე ელე-მენტების. ასევე პასიური წევრებისა და კარიერისტების განდევნა, ვინაიდან სწორედ ესენი წარმოადგენდნენ ოპორტუნიზმის დიდ და საშიშ რეზერვს. ამ გასაუბრების შემდეგ გადაწყდა, რომ ახალი პარ-ტიული ბილეთები არ მიეცათ 327 ათასამდე კაცისათვის, (ე. ი. 21,67%). აქედან 67 ათასზე მეტი პარტიიდან გარიცხეს, ხოლო 260 ათასი კაცის პარტიის წევრობა შეჩერებულ იქნა. გასაუბრების კომი-სიები და პარტიული ორგანოები პარტიის წეერთა ასეთი დიფერენ-ციაციით არჩევდნენ პარტიის წევრის დამოკიდებულებას ჩკპ-ის ამო-ცანებთან და მერყეევი და გულგრილი წევრებისაგან წმენდნენ პარტიის რიგებს. ამ ღონისძიებების შედეგად 1968 წლის 1 იანვართან შედა-რებით პარტიის რიგებიდან განდევნეს 473 ათასზე მეტი კაცი (ე. ი. 28%). მაგრამ პარტია მაინც მასობრივ პარტიად დარჩა და ამ დროი-სათვის თვის რიგებში აერთიანებდა 1200 ათას წევრს. 1973 წლისათ-ვის კი პარტია უკვე თავის რიგებში აერთიანებდა 1,248 ათას წევრს, პარტიის რიგები შეივსო უმთავრესად ახალგაზრდა მუშებით. ამ დროისათვის პარტიის წევრობის კანდიდატთა 90%-ს ახალგაზრდები შეადგენდნენ. საყურადღებოა, რომ პარტბილეთების გამოცვლა მიმ-დინარეობდა მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ მწვავე ბრძო-ლის პირობებში, რომლის დროსაც პარტიის რიგები გაიწმინდა მათ-გან, ვინც ღირსი არ იყო მასში ყოფნისა. ამის შედეგად პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტი უბნები უზრუნველ-

ყოფილ იქნა საიმედო მუშაკებით[1]. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ჩკპ-ის ცკ-ის 1970 წლის დეკემბრის პლენუმის მიერ მიღებულ დოკუმენტს — „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის და საზოგადოების კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩკპ-ის XIII ყრილობის შემდეგ". ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი იძლევა პარტიასა და საზოგადოებაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის მიზეზებს და ააშკარავებს ოპორტუნიზმს და რევიზიონიზმს. აღნიშნული დოკუმენტი 1968—1969 წწ. პოლიტიკური კრიზისის ძირითად მიზეზებად ასახელებს მთელ რიგ შეცდომებს, მათ შორის ისეთი სუბიექტური ხასიათის შეცდომებს, როგორიცაა პარტიის მოღვაწეობაში ლენინური პრიციპების ცხოვრებაში განხორციელების არათანმიმდევრულობა, საზოგადოებრივი პრობლემების განხორციელებაში კლასობრივი მიდგომის უქონლობა, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შესუსტება და ა. შ.

1971 წელს ჩეხოსლოვაკიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო კომპარტიის XIV ყრილობა, რომელიც მაისში შედგა. ყრილობამ დასახა სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების ფართო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკის, მისი პოლიტიკური სისტემის, ხალხის ცხოვრების და კულტურული დონის განუხრელად განვითარებას და ამაღლებას. ყრილობამ მოიწონა ჩკპ-ის ცკ-ის 1969 წლის აპრილის შემდეგ გატარებული კრიზისის დაძლევის პოლიტიკური კურსი. პარტიის წესდებაში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილებები, კერძოდ შემოღებულ იქნა ჩკპ-ის ცკ-ის გენერალური მდივნის თანამდებობა, ცკ-ის რწმუნების ვადა 4-დან 5 წლამდე გაიზარდა, აღსდგა ორწლიანი საკანდიდატო სტაჟი პარტიაში შემსვლელთათვის. პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს გ. ჰუსაკი. ყრილობამ მოუწოდა, რომ არ მისცემოდნენ თვითდამშვიდებას და არ შეესუსტებინათ სიფხიზლე კლასობრივი მტრისადმი, მათი რევიზიონისტ, ხელშემწყობებისა და მოკავშირეებისადმი. ამავე დროს ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ ყველა პატიოსან ადამიანს მოთმინებითი და დაუღალავი მუშაობა ეწარმოებინა სოციალიზმის საკეთილდღეოდ. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 77 კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის სკკპ-ის დელეგაცია ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით. ჩკპ-ის XIV ყრილობის მიერ დასახული

---

[1] ჩკპ-ის სოციალური შემადგენლობა 1973 წლისათვის შემდეგნაირია: მუშები შეადგენენ 44,1%, გლეხი-კოოპერატორები — 4,7%, ინტელიგენცია — 31,6%. ფედერალურ კრებაში ჩკპ-ს ჰყავს 252 დეპუტატი (1973 წ.). პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოა „რუდე პრავო" („წითელი უფლება"). თეორიული და პოლიტიკური ჟურნალებია ყოველდღიური ჟურნალი „ნოვა მისლ", ყოველკვირეული „ჟივოტ სტრანი" — პარტიული ცხოვრება.

ამოცანების განხორციელების მსვლელობაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის და მთავრობის ახალი ხელმძღვანელობა წარმატებით ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო ქვეყნის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაჯანსაღება, სოციალიზმის მონაპოვრის განმტკიცება. ქვეყანაში ჩკპ-ის ხელმძღვანელი როლის აღდგენა და განმტკიცება მიმდინარეობდა ცხოვრების ყველა სფეროში. ჩკპ-ის ცკ-ის ივლისის პლენუმმა დასახა ღონისძიებები ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და განათლების სისტემის სრულყოფისათვის.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოქმედებითი ინიციატივა არა მარტო ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებს შორის, არამედ აგრეთვე მეცნიერების, კულტურისა და სახალხო განათლების მუშაკთა შორისაც. დიდი წარმატებით ჩატარდა ჩეხოსლოვაკიაში ფაშისტური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების 30 წლისთავის იუბილე. ამ იუბილესთან დაკავშირებით წარმატებით ჩაიარა ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების კონკურსმა, რომელიც მიეძღვნა ხალხის ბრძოლას სოციალიზმის გამარჯვებისათვის. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ კონკურსში აქტიური მონაწილეობა მიიღო. მათ წარადგინეს 6.5 ათასი ფერწერული ტილო და ქანდაკება, ასამდე მნიშვნელოვანი სიმფონიური ნაწარმოები, ათი ოპერა და ბალეტი, 230 რომანი, პოემები, პიესები, დადგმები და ა. შ. ინტელიგენციის მთელი ეს შემოქმედება გამსჭვალულია სოციალისტური იდეებით, ახალგაზრდობის, მთელი ხალხის კომუნისტური იდეების აღზრდის სრულყოფისა და ხალხის შრომასთან კავშირის განმტკიცების მისწრაფებით.

ჩსსრ-ში არსებული მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს მიმდინარე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებების წარმატებით განხორციელებას. ეროვნული შემოსავალი 1973 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5%-ით, 1974 წელს კი 1973 წელთან შედარებით 5.5%-ით, ხოლო 1970 წელთან შედარებით 22,4-%ით[1]. სამრეწველო წარმოება 1974 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6,2%-ით, ხოლო 1970 წელთან შედარებით კი 29,1 პროცენტით. გაიზარდა აგრეთვე კაპიტალური დაბანდებები. მაგალითად, 1974 წელს წინა წელთან შედარებით იგი გაიზარდა 8,7%-ით, ხოლო 1970 წელთან შედარებით კი — 35.3%-ით. მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების სიმძლავრე ელექტროენერგიისა აზოტური მჟავის წარმოებაში, ქვანახშირის მოპოვებაში, ხელოვნური სასუქების

[1] გაზეთი „პრავდა", 29/II, 1975 წ.

წარმოებაში და ა. შ. პრაღაში მწყობრში ჩადგა მეტროს პირველი რიგი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. 1973 წლისათვის მარცვლეულის საერთო მოსავალი შეადგენდა 9825 ათას ტონას, რაც 1099 ათასი ტონით მეტია წინა წელთან შედარებით. ამასთანავე, 1 ჰექტარზე მარცვლეულის მოსავლიანობა საშუალოდ შეადგენდა 35,2 ცენტნერს. 1974 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია წინა წელთან შედარებით 3%-ით გაიზარდა. 1974 წლის დამლევისათვის ჩეხოსლოვაკიის მენავთობეებმა რესპუბლიკის უდიდეს საბადოში ქალაქ ბრეცლავის მახლობლად (სამხრეთ მორავია) ამოიღეს მემილიონე ტონა ნავთობი. ამ საბადოს ექსპლოატაცია დაიწყო 50-იანი წლების დამლევიდან. ცხადია, ეს ციფრი, ისე როგორც ნავთობის ყოველწლიური მოპოვების მთელი მოცულობა, რაც 200 ათას ტონას არ აღემატება, გადამწყვეტ როლს როდი ასრულებს ქვეყნის ენერგეტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე ძირითადი მოთხოვნილება ამ ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც სსრ კავშირთან თანამშრომლობის ბაზაზე კმაყოფილდება. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა ყოველ ღონეს ხმარობს საკუთარი ნავთობის რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის მით უფრო, რომ ჩეხოსლოვაკიის ნავთობი ერთ-ერთი ყველაზე მაღალხარისხოვანია.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობამ დასახა მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი გეგმაზომიერი ამაღლების ამოცანები. კომპარტიის ცკ-ის ახალი ხელმძღვანელობის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ამ ამოცანების განხორციელებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. მშრომელთა პირადი მოხმარება 1974 წლისათვის წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი — 5,5%-ით, 1973 წელს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი წინა წელთან შედარებით 4,3%-ით გაიზარდა.

1973 წლის აპრილში განხორციელდა ფასების შემცირება მთელ რიგ სამრეწველო საქონელზე, ოქტომბერში კი მსუბუქ ავტომანქანებზე. 1973 წლისათვის აგებულ იქნა 117,5 ათასი ბინა, 1974 წელს კი — 127,3 ბინა. ჩეხოსლოვაკიელ ხალხს თავისი ეკონომიური განვითარებით, მატერიალური და კულტურული დონით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა თითქმის 47%-ს ქალები შეადგენენ. ესენი არიან ინჟინრები და კოლმეურნეები, მასწავლებლები და მუშები, მეცნიერებათა დოქტორები და ა. შ. ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩეხოსლოვაკიაში ქალთა დასაქმების მაღალ დონესთან ერთად სწრაფად იზრდება მათი განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დონეც. მშრომელ ქალთა შორის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირთა რაოდენობამ თითქმის იგივე დონეს მიაღწია, რაც მამაკაცთა შორის. საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლეთა 63%, ხოლო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა—40% ქალია. ასეთია ის წარმატებები, რომლითაც ჩეხოსლოვაკი ხალხი შეხვდა თავის 30 წლისთავის იუბილეს.

საგარეო პოლიტიკა

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი განსაზღვრა კოშიცის პროგრამამ, რომლის ცენტრალურ ხაზს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა. ჩეხოსლოვაკიის ძმურმა კავშირმა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან თავისი გამოხატულება ჰპოვა ორმხრივი ხელშეკრულებების დადებაში მეგობრობასა და კავშირის შესახებ. ამან ხელი შეუწყო სოციალისტურ ქვეყნებთან თანამეგობრობის ფორმირების საქმეს მარქსიზმ-ლენინიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეურ-პოლიტიკურ საფუძველზე. ჩეხოსლოვაკია აღმოჩნდა იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე ხაზზე, ხრიკებისა, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალისტური თანამეგობრობის ლიკვიდაციას, კაპიტალიზმის აღდგენას. ჩეხოსლოვაკიამ სოციალისტური მონაპოვრის და დამოუკიდებლობის შენარჩუნება იმპერიალიზმის ხელყოფისაგან შეძლო სოციალისტურ ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან ყოველმხრივი თანამშრომლობის წყალობით. ამ თანამშრომლობის შედეგი იყო, რომ ჩეხოსლოვაკიამ მხარდაჭერა ჰპოვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისაგან თავის სამართლიან მოთხოვნებზე, დასავლეთის ქვეყნების მიმართ, გაუქმებულად ეცნოთ მიუნხენის სამარცხვინო გარიგება.

რევიზიონისტულმა ძალებმა ჩეხოსლოვაკიაში 60-იან წლებში წამოიწყეს ჯერ ფარული, შემდეგ კი აშკარა შეტევები. ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთობის წინააღმდეგ, მის ნაცვლად აყენებდნენ ნაციონალიზმს, ანტისაბჭოთა კურსს და -ლოზუნგებს ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის „სპეციფიკური ხაზის“ აუცილებლობის შესახებ. ანტისოციალისტური ძალების განადგურება შესაძლებელი გახდა ვარშავის ხელშეკრულების ხუთი სახელმწიფოს დახმარების შედეგად, რომელიც წარ-

მოადგენდა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სოლიდარობის გამოვლენის ერთ-ერთ ნიმუშს. იგი პასუხობდა ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა საერთო ინტერესებს.

ახალმა ხელმძღვანელობამ გ. ჰუსაკის მეთაურობით კვლავ აღადგინა მჭიდრო კავშირი და მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის 1970 წლის 6 მაისს პრაღაში დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. იგი ითვალისწინებს ორივე ქვეყნის ვალდებულებას ერთად აწარმოონ ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ევროპაში ეფექტური უშიშროებისა და თანამშრომლობის სისტემის შექმნისათვის. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე ქვეყნის ეკონომიურ, სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტური ქვეყნების გარდა ავითარებს ორმხრივ ურიოთერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს გფრ-თან 1973 წელს (დეკემბერში) პრაღაში დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მთავარი შინაარსი ის არის, რომ გაუქმდა მიუნხენის სამარცხვინო გარიგება.

1975 წლის იანვარში ჩეხოსლოვაკიასა და გფრ-ას შორის დაიდო აგრეთვე ხელშეკრულება ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური კოოპერაციის შესახებ.

1974 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის მეორე უშუალო მეზობელთან ავსტრიასთან, ზოგიერთი ფინანსური და ქონებრივ-უფლებრივი საკითხების მოგვარების შესახებ. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მათ შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის არ არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები.

დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის ერთგვარი შეყოვნების შემდეგ 1974 წელს კვლავ გადაიდგა ნაბიჯები ამ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობის განახლებისათვის. საყურადღებოა, რომ ინგლისსა და ჩეხოსლოვაკიას შორის არსებობს ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობა. ჩეხოსლოვაკიასთან ვაჭრობაში კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ინგლისს მეორე ადგილი უკავია.

ურთიერთობის ნორმალიზება ხდება აგრეთვე აშშ-თან, განსაკუთრებით სახელმწიფო მდივნის როჯერსის ვიზიტის შემდეგ პრაღაში 1973 წლის ივლისში, როდესაც ორივე მხარემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ლიკვიდაცია უყონ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორებს. 1974 წლის 5 ივლისს აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის დაიდო შეთანხმება ფინანსურ საკითხებში ზოგიერთი

მოუგვარებელი პრეტენზიების გადაწყვეტის შესახებ. ამავე წლის შემოდგომაზე უნდა დადებულიყო შეთანხმება, რომლითაც ჩეხოსლოვაკიას უნდა გადაეხადა კომპენსაციები ჩეხოსლოვაკიაში არსებული ამერიკული ქონების ნაციონალიზაციის გამო, ხოლო აშშ-ს კი უნდა დაებრუნებინა ჩეხოსლოვაკიის ოქრო (1894 ტონა), რომელიც დაკავებული იყო აშშ-ის მიერ. მაგრამ ამ ხელშეკრულების რეალიზაციას ხელი შეუშალა ამერიკის კონგრესის მიერ 1974 წლის 20 დეკემბერს მიღებულმა სავაჭრო კანონმა. აშშ-ის რეაქციულმა წრეებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ხელი შეეშალათ ჩეხოსლოვაკიის ოქროს დაბრუნებისათვის, რომელიც ნაცისტებმა ომის დროს გაიტაცეს.

ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერდა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ჩეხოსლოვაკია ავითარებს თავის ურთიერთობას განვითარებად ქვეყნებთან. მას სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან.

თავი IX

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა[1]

§ 27. სახალხო რევოლუციის გამარჯვება და განმტკიცება

მოკლე ცნობები წარსულიდან

დღევანდელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი მიეკუთვნება ნეოლითის ხანას. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში რომაელები შემოიჭრნენ. რამაც გამოიწვია აქ მცხოვრები ტომების რომანიზაცია. IV—VI სს. დღევანდელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ვესტგოთები, ჰუნები, ავარები. VI—VII სს. აქ დასახლდნენ სლავები. VIII—XIV საუკუნეებში იუგოსლავიის ტერიტორიაზე ყალიბდება სერბთა ხალხი. ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას აქ ხელი შეუწყო ქრისტიანობის მიღებამ IX საუკუნის მეორე ნახევარში. პირველი მსხვილი გაერთიანება სერბიის სამთავროს სახით ყალიბდება X საუკუნეში. XIV საუკუნეში სერბიის სამთავრო გაძლიერდა. მაგრამ XIV საუკუნის დამლევს იგი მოექცა თურქეთის ვასალურ დამოკიდებულებაში, ხოლო 1459 წლიდან იგი შეუვანილ იქნა ოს-

[1] ტერიტორია — 255,8 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 21,352 ათასი კაცი (1976 წლის იანვარი), დედაქალაქი ბელგრადი, გარეუბნებიანად 1209 ათასი მცხოვრები (1971 წ.).

მანთა იმპერიის შემადგენლობაში, რომლის შედეგად იქ თურქთა ბატონობა დამყარდა. სერბიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წარმატებებს ხელი შეუწყო რუსეთისა და ავსტრიის ომებმა ოსმანთა იმპერიის წინააღმდეგ XVIII—XIX საუკუნეებში. რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომის შედეგად სერბიამ მიიღო ავტონომია, მაგრამ მთლიან დამოუკიდებლობას მან მიაღწია რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის შედეგად.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ხელი შეუწყო იუგოსლავიის ხალხების ეროვნული ბრძოლის წარმატებებს. 1918 წელს სამხრეთ სლავები გაერთიანდნენ და შეიქმნა სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფო, რომელმაც 1929 წლიდან იუგოსლავიის სახელწოდება მიიღო. მის შემადგენლობაში შევიდნენ: სერბია, ჩერნიგორია, მაკედონიის ნაწილი, დალმაცია, ბოსნია, ჰერცოგოვინა, სლოვენია, ხორვატია, სლავონია, ვოევოდინა. იუგოსლავიის სახელმწიფოში 12 მლნ კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან 40% სერბები იყვნენ. ბურჟუაზიული იუგოსლავია შეიქმნა როგორც ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, სერბიის მეთაურობით. ამ გაერთიანებაში სერბია ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სლოვენიას და ხორვატიას კი შედარებით განვითარებული მრეწველობა ჰქონდათ.

1929 წელს იუგოსლავიაში მოწყობილი გადატრიალების შედეგად დამყარდა სამხედრო-მონარქიული დიქტატურა, პოლიტიკური პარტიები დაითხოვეს. მაგრამ მშრომელთა მოძრაობამ, განსაკუთრებით ომის დაწყების წინ, ფართო ხასიათი მიიღო. 1941 წლის 27 მარტს იუგოსლავია შეუერთდა „სამთა პაქტს", რამაც გამოიწვია საყოველთაო გამოსვლები. ამას მოჰყვა ცვეტკოვიჩის მთავრობის დამხობა. ახლად შექმნილმა სიმოვიჩის მთავრობამ უარი თქვა „სამთა პაქტში" იუგოსლავიის შესვლის ოქმის რატიფიკაციაზე. ამ მთავრობამ საბჭოთა კავშირთან დაახლოების გეზი აიღო და 1941 წლის 5 აპრილს მოსკოვში ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ხელშეკრულებას მეგობრობისა და ურთიერთდაუსხმელობის შესახებ. ამის საპასუხოდ, 1941 წლის 6 აპრილს ჰიტლერული გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა იუგოსლავიას. გერმანელებთან ერთად იუგოსლავიაში შეიჭრნენ იტალიის, ბულგარეთისა და უნგრეთის ჯარები. მტრის ჯარები ორჯერ სჯარბობდნენ იუგოსლავიის ჯარებს. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის ჯარებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს, მაგრამ ქვეყნის შიგნით მალე თავი იჩინა გამყიდველობამ. იუგოსლავიის ჯარების ზურგში ამბოხება მოაწყეს ადგილობრივმა ფაშისტებმა, ხოლო ხორვატიაში გენერალმა პაველიჩმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და გერმანელებს ფრონტი გაუხსნა. ასევე გენერალმა ნედიჩმა ჯერ ბულგარეთის ფრონტი გახსნა, 18 აპრილს კი

გერმანელებს ბელგრადი ჩაბარა. გენერლების მიერ გაყიდული იუგოსლავიის ჯარები განადგურდა. სიმოვიჩი და მეფე პეტრე II საზღვარგარეთ გაიქცნენ.

იუგოსლავია ჰიტლერმა დაანაწილა თავის მოკავშირეთა შორის. სლოვენია მესამე რაიხის შემადგენლობაში შეიყვანა, ხორვატია „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა, იტალიამ მიიტაცა დალმაციის დიდი ნაწილი, დალმაციის სანაპიროს ყველა კუნძული და ჩერნოგორია. უნგრეთს მიაკუთვნეს სლოვენიისა და ვოევოდინის ტერიტორიების ნაწილი. ბულგარეთმა მიიტაცა მაკედონია და სერბიის პომორავიე. ბელგრადში შეიქმნა სერბიის მარიონეტული მთავრობა გამყიდველ ნედიჩის მეთაურობით.

იუგოსლავი ხალხის გამათავისუფლებელი ომი დამპყრობლების წინააღმდეგ

იუგოსლავი ხალხი კომუნისტური პარტიის მოწოდებით პირველივე დღიდან ჩაება ორგანიზებულ შეიარაღებულ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. ფართოდ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში ჩადგა იუგოსლავიის მუშათა კლასი და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ბრძოლამ თავიდანვე მიიღო არა მარტო ეროვნული, არამედ აგრეთვე სოციალური განთავისუფლების ხასიათი და მისი ხელმძღვანელობა მიმართული იყო როგორც დამპყრობლების, ასევე ქვეყნის ინტერესების გამყიდველი ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგაც. ამ უკანასკნელის დიდი უმრავლესობა კოლაბორაციონიზმის ჭაობში აღმოჩნდა და ფაშისტებთან თანამშრომლობდა. ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგა აგრეთვე მემამულეთა დიდი ნაწილი. ბურჟუაზიისა და მემამულეების ის ნაწილი კი, რომელიც ჰიტლერელებთან არ თანამშრომლობდა, მომხრე იყო ლონდონში ემიგრირებული მთავრობისა და ინგლის-ამერიკის მხარდაჭერით ფიქრობდა მის უკან დაბრუნებას.

მაგრამ მშრომელი მასები მოითხოვდნენ, რომ ომის შემდგომ არ დაეშვათ ძველი რეჟიმის აღდგენა, რეჟიმისა, რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა. იუგოსლავიის ოკუპაციის უკვე პირველივე დღიდან იწყება ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომი, რომლის ძირითად ძალას წარმოადგენდა პროლეტარული ბრიგადები. ომის ბოლოს ამ ბრიგადებში გაერთიანებული მებრძოლები თავის რიგებში 800 ათას კაცს ითვლიდნენ. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე იქმნებოდა სახალხო-გამათავისუფლებელი კომიტეტები, რომლებიც უკვე 1941 წლის სექტემბერში აღმოცენდა და კომუნისტების ხელმძღვანელობით ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისა და ადგილობრივი სახალხო

ხელისუფლების ორგანოებად გადაიქცა. რაც უფრო მეტად იზრდებოდა ამ კომიტეტების რაოდენობა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა მათი ერთიან სისტემად გაერთიანება. 1942 წლის ნოემბერში შეიქმნა საერთო იუგოსლავური პოლიტიკური ორგანო — იუგოსლავიის ხალხის განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩე და მისი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა სახალხო გამათავისუფლებელი კომიტეტების საქმიანობისათვის. 1942 წლის 26—27 ნოემბერს ქალაქ ბიხაჩეში შემდგარმა ანტიფაშისტური ვეჩეს პირველმა სესიამ დააკანონა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტები სახალხო იუგოსლავიის ახალ რევოლუციურ ხელისუფლებად. ერთი წლის შემდეგ, 1943 წლის 29 ნოემბერს, ქალაქ იაიცეში შემდგარმა ანტიფაშისტური ვეჩეს მეორე სესიამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად გახდა სოციალისტური იუგოსლავიის საფუძველი. ამ გადაწყვეტილების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ანტიფაშისტური ვეჩე სახალხო გამათავისუფლებელი ომის დროს გარდაიქმნა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობის, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოდ.

სახალხო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანო გახდა ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ფაქტიურად იუგოსლავიის პირველი სახალხო მთავრობა, იუგოსლავიის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის, სახალხო გამათავისუფლებელი არმიის მთავარსარდლის იოსებ ბროზ ტიტოს[1] მეთაურობით, რომელსაც ანტიფაშისტური ვეჩეს სესიამ მარშალის წოდება მიანიჭა. ამრიგად, მეორე სესიის გადაწყვეტილებამ პოლიტიკური საფუძველი ჩაუყარა იუგოსლავიას. მან დაადგინა, რომ ახალი იუგოსლავია იქნება თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა დემოკრატიული სახელმწიფო. იგი ორგანიზებული იქნება ფედერაციის საფუძველზე, ქვეყნის ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის,

---

[1] იოსებ ბროზ ტიტო 1892 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობაში ზეინკალ-მექანიკოსად მუშაობდა. პირველი მსოფლიო ომის წინ გაიწვიეს ავსტრია-უნგრეთის არმიაში, 1915 წელს ტყვედ ჩავარდა რუსეთში. სამხედრო ტყვეებს შორის ეწეოდა ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას. 1920 წელს ტიტო იუგოსლავიაში დაბრუნებისთანავე კომპარტიაში შევიდა. აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იმყოფებოდა პატიმრობაში. 1921—1928 წწ. იყო საქალაქო კომიტეტის მდივანი ზაგრებში, 1937 წლიდან იკპ ცკ-ის, შემდეგ კი პოლიტბიუროს წევრია. 1935 წელს მონაწილეობდა კომინტერნის VII კონგრესის მუშაობაში. 1940 წლიდან ტიტო იკპ ცკ-ის გენერალური მდივანია. 1941-1945 წწ. ტიტო სახალხო გამათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანული ნაწილების მთავარსარდალია. 1943 წლიდან ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეა, ომის ბოლოს მთავრობის სათავეშია, შემდეგ პრეზიდენტი, 1966 წლიდან კი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეა.

სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის პრინციპებზე. ემიგრანტულ მთავრობას ჩამოერთვა პოლიტიკური უფლებები. მეფე პეტრე II კარაგეორგევიჩს აეკრძალა ქვეყანაში. დაბრუნება ომის დამთავრებამდე.

იუგოსლავი ხალხი თავის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაში ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირის მორალურ, მატერიალურ და სამხედრო მხარდაჭერას, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა დასავლეთის სახელმწიფოების გეგმების ჩაშლაში, რომლებიც ოცნებობდნენ ომამდელი ბურჟუაზიული წესების აღდგენაზე ქვეყანაში.

საყურადღებოა, რომ ანტიფაშისტური ვეჩეს მეორე სესიის გადაწყვეტილებამ საბჭოთა კავშირში დადებითი შეფასება ჰპოვა, რის შესახებაც საბჭოთა მთავრობმ 1943 წლის 14 დეკემბერს ოფიციალურად განაცხადა. საბჭოთა მთავრობის ყოველმხრივმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო იუგოსლავი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საყურადღებოა, რომ იუგოსლავიის განმათავისუფლებელმა არმიამ 1941—1945 წლებში 35 ფაშისტური დივიზია გაანადგურა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საერთო საქმეში. იუგოსლავიის ჯარებმა გაათავისუფლეს თავისი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი. მათი ეს წარმატებები იმის შედეგიც იყო, რომ ფაშისტური გერმანიის ჯარები საბჭოთა ჯარების მიერ იყო შებოჭილი და საშუალება არა ჰქონდა იუგოსლავიის პარტიზანების წინააღმდეგ დამატებითი ძალების გამოყენებისა.

1944 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარები ბულგარეთზე გავლით იუგოსლავიას მიადგნენ და სახალხო-განმათავისუფლებელ ჯარებთან ერთად გაათავისუფლეს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი, 20 ოქტომბერს ბელგრადში შევიდნენ. იუგოსლავიის სახალხო არმიამ 1945 წლის 15 მაისს ალყაშემორტყმული ფაშისტთა ჯარები აიძულა იარაღი დაეყარა, რითაც დამთავრდა ქვეყნის განთავისუფლება უცხოელთა ჯარებისაგან. იგი ნიშნავდა სახალხო რევოლუციის გამარჯვებასაც, რომელიც თავისი შინაარსით სოციალისტური ხასიათისა იყო. მისი თავისებურება, როგორც უკვე ვიცით, ის იყო, რომ ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლა დამპყრობლებისაგან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალურ განთავისუფლებასთანაც. ამრიგად, ფაფიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ერთდროულად წყდებოდა არა მარტო ანტიფაშისტური და დემოკრატიული, არამედ სოციალისტური რევოლუციის ამოცანებიც. ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისას განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები, იღებდნენ რა ხელისუფლებას თავის ხელში, ახორციელებდნენ რიგ დემოკრატიულ გარდაქმნებს — ახდენდნენ სამშობლოს გამყიდველთა ქონების კონფისკაციას, ხოლო საზღვარ-

გარეთის კაპიტალისტების საკუთრებას ადებდნენ სეკვესტრს, რაც ფაქტიურად მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციის დასაწყისი იყო.

§ 28. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის შექმნა

1945 წლის აგვისტოში შედგა ერთიანი სახალხო განმათავისუფლებელი ფრონტის პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა იუგოსლავიის სახალხო ფრონტი კომპარტიის ხელმძღვანელობით. მასში კომპარტიის გარდა შევიდნენ: პროფკავშირები, ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კავშირი, ქალთა ანტიფაშისტური ფრონტი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აგრეთვე ის წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახალხო ფრონტი ქვეყანაში ერთადერთ საერთო სახალხო პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაიქცა. ყრილობამ მიიღო სახალხო ფრონტის პროგრამა და წესდება.

1945 წლის აგვისტოში სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — იუგოსლავი ხალხის განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს III სესიის გადაწყვეტილების საფუძველზე გარდაიქმნა დროებით სახალხო სკუპშჩინად (პარლამენტად), რომელშიც ყირიმის კონფერენციის რეკომენდაციების საფუძველზე შევიდნენ აგრეთვე ომამდელი სკუპშჩინის ის დეპუტატებიც, რომელთაც თავი არ ჰქონდათ შერცხვენილი ფაშისტებთან თანამშრომლობით.

1945 წლის ნოემბერში ჩატარდა დამფუძნებელი სკუპშჩინის არჩევნები, სადაც ამომრჩეველთა ხმების 90% მიიღეს სახალხო ფრონტის დეპუტატებმა. 29 ნოემბერს შეკრებილმა დამფუძნებელმა სკუპშჩინამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც იუგოსლავიას ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკად აცხადებდა. ეს დღე ითვლება რესპუბლიკის, სახელმწიფოს დღესასწაულად.

1946 წლის 31 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგად მოწონებული, რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას აცხადებდა საკავშირო სახელმწიფოდ. მასში შევიდა ექვსი თანასწორუფლებიანი სახალხო რესპუბლიკა: სერბია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, მაკედონია და ჩერნიგორია. სერბიის რესპუბლიკაში მოსახლეობის რთული ეროვნული შემადგენლობის გამო შეიქმნა ვოევოდინას ავტონომიური მხარე და კოსოვოსა და მეტოხიას ავტონომიური ოლქები.

ფედერაციული სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა სახალხო სკუპშჩინა, ხოლო მისი სესიებს შორის

პერიოდში კი — სახალხო სკუპშჩინის პრეზიდიუმი. სახალხო სკუპშჩინა ორი თანასწორუფლებიანი პალატისაგან შედგებოდა — საკავშირო ვეჩესა და ეროვნებათა ვეჩესაგან. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა საკავშირო მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია სახალხო სკუპშჩინისა და მისი პრეზიდიუმის წინაშე.

კონსტიტუცია სახელმწიფო სექტორს აცხადებდა სახალხო მეურნეობის სისტემის საფუძვლად. მიწის შესახებ კონსტიტუცია აცხადებდა, რომ „იგი ეკუთვნით იმათ, ვინც მას ამუშავებს". კერძო საკუთრება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ რჩებოდა და სახელმწიფო ორგანოებს უფლება ეძლეოდათ განეხორციელებინათ კერძო საკუთრების შემდგომი ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაცია.

სოციალ-ეკონომიური გარდაქმნები, სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება

იუგოსლავ ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ძალზე ძვირი დაუჯდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომს თავი შესწირა 1.706 ათასმა კაცმა, ანუ იუგოსლავიის მოსახლეობის 10.8 პროცენტმა, რაც უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის, ინგლისის, საფრანგთისა და იტალიის სახელმწიფოების მიერ ერთად აღებული ცოცხალი ძალის ზარალი მეორე მსოფლიო ომში. იუგოსლავია მეხუთე ადგილზე გამოდის მსოფლიოში ომის დროს გაღებული მსხვერპლით. ასევე დიდია ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალიც, რომელმაც შეადგინა 46,9 მილიარდი დოლარი, ანუ მთელი ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა მატერიალური ზარალის 17%. ოკუპანტებმა გაანადგურეს ქვეყნის მთელი მეტალურგიული, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები. ააფეთქეს 200-ზე მეტი შახტი და მაღარო. მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი უბინაოდ დარჩა. სოფლის მეურნეობამაც უდიდესი ზარალი განიცადა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ომამდელი იუგოსლავია ჩამორჩენილ, აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა (მოსახლეობა თითქმის 80 % სოფლად ცხოვრობდა), გასაგები იქნება, თუ რაოდენ ჩამორჩენილი და გაპარტახებული ეკონომიკა მიიღო მემკვიდრეობით ახალმა ხელისუფლებამ.

ჯერ კიდევ ომის დროს დაწყებული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელება ტარდებოდა კონსტიტუციის მიღებამდეც. 1945 წლის აგვისტოში დროებითმა სკუპშჩინამ მიიღო აგრარული კანონი, რომლითაც მიწისმფლობელობის მაქსიმალურ ზომად დაწესდა 45 ჰექტარი მიწა, რომლის ზემოთ უნდა ჩამორთმეოდათ. ამ რეფორმის შედეგად კონფისკებულ იქნა 1,5 მლნ ჰექტარი მიწა, რომ-

ლის დიდი ნაწილი, 800 ათასი ჰექტარი უფასოდ დაურიგდათ გლეხებსა და ყოფილ პარტიზანებს. დანარჩენ მიწებზე კი შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები. რეფორმამ მიწის ნაციონალიზაცია და მასზე კერძო საკუთრების მოსპობა არ მოახდინა, მაგრამ მიწის ყიდვა-გაყიდვა შეზღუდა. 1953 წელს მიღებული ახალი კანონით მიწის მფლობელობა 10—15 ჰექტარამდე შეიზღუდა. დროებითმა სკუპშჩინამ მიიღო აგრეთვე კანონი ფულის რეფორმისა და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების შესახებ.

კონსტიტუციის საფუძველზე სახალხო სკუპშჩინამ განახორციელა რიგი გარდაქმნები, რომლებიც მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში ტარდებოდა. 1946 წლის სექტემბერში მიღებული კანონით ჩატარდა ბანკებისა და მთელი საკრედიტო სისტემის ნაციონალიზაცია. დეკემბრის კანონით ჩატარდა საერთო საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაცია, რომლის განხორციელების შედეგად უკვე 1947 წლისათვის სახელმწიფო სექტორის ხელში იყო აღნიშნული ხასიათის მსხვილი მრეწველობის 100%. ტრანსპორტიც და საბითუმო ვაჭრობაც ასევე სახელმწიფოს ხელში გადავიდა. საგარეო ვაჭრობაზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი. დაწესდა პროგრესული საგადასახადო სისტემა. ამ ღონისძიებების შედეგად სოციალისტურმა სექტორმა ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. კერძოდ კაპიტალის ხელში დარჩა მხოლოდ კუსტარული სახელოსნოები და წვრილი სავაჭრო საწარმოები.

აღდგენითი სამუშაოები ქვეყანაში ხორციელდებოდა უკვე ომის დროს და ომის დამთავრებისთანავე, რის შედეგად 1947 წლის დასაწყისში ომამდელ დონეს ძირითადად მიაღწიეს. 1947 წლის აპრილში მიღებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა (1947—1951 წლებისათვის), რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, სახელმწიფო სექტორის მრეწველობის განვითარება და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. გეგმით სამრეწველო წარმოება 5-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობა კი 1,95-ჯერ უნდა გაზრდილიყო ომამდელ დონესთან შედარებით. უპირატესად უნდა განვითარებულიყო მძიმე ინდუსტრია. უნდა შესუსტებულიყო განვითარების დონის უთანასწორობა ცალკეულ რესპუბლიკებს შორის. მაგრამ გეგმის ამოცანები აღემატებოდა ქვეყნის შესაძლებლობას. ამიტომ ის მაღალი ტემპი და წამოწყებული გრანდიოზული საწარმოების და ელექტროსადგურების მშენებლობა ძალზე გაძნელდა. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები დიდ დახმარებას უწევდნენ იუგოსლავიას.

იუგოსლავიის კომუნისტების იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის შეცდომები და ურთიერთობის გამწვავება სოციალისტურ ქვეყნებთან

იუგოსლავიის კომუნისტებმა, თავის მოღვაწეობაში, დაუშვეს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ საკითხებში რიგი შეცდომები, რასაც მოჰყვა უთანხმოება საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან.

1948 წლის ივნისში კომუნისტურმა და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურომ მიიღო რეზოლუცია „იკპ მდგომარეობის შესახებ", სადაც სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომების სამართლიან კრიტიკასთან ერთად საერთოდ დაგმობილი იყო იუგოსლავიის კომპარტიის ხელმძღვანელობის მთელი მოღვაწეობა.

ამის პასუხად 1948 წლის ივლისში მოწვეულმა იუგოსლავიის კომპარტიის V ყრილობამ უარყო ინფორმბიუროს კრიტიკა და უარი სთქვა ინფორმბიუროში მუშაობაზე. ყრილობამ იუგოსლავიის ახალხო რევოლუცია დაახასიათა, როგორც სოციალისტური ხასიათისა და მიიღო პროგრამა, რომელიც აცხადებდა, რომ სოციალიზმის მშენებლობა იუგოსლავიაში მიმდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა კავშირის და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

1949 წლის ნოემბერში ინფორმბიუროს მიერ მიღებულ მეორე რეზოლუციაში „იუგოსლავიის კომპარტიის შესახებ" არასწორი ბრალდებები იყო წამოყენებული იმის შესახებ, რომ თითქოს იგი გადავიდა იმპერიალიზმის ბანაკში და აღარ წარმოადგენს სოციალისტურ სახელმწიფოს. მართალია, ეს არასწორი რეზოლუცია უფრო გვიან გაუქმდა, მაგრამ მან გაამწვავა ურთიერთობა იუგოსლავიას, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, რის გამოც ადგილი ჰქონდა ურთიერთ უმართებულო კრიტიკას, ბრალდებებს, არასწორ პოლემიკას. საბჭოთა მთავრობამ გააუქმა იუგოსლავიასთან ჯერ კიდევ 1945 წლის აპრილში დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა კავშირის მაგალითს მიბაძეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც, რამაც სოციალიზმის საერთო საქმეს ზიანი მიაყენა. შექმნილი ვითარება მხოლოდ იმპერიალიზმისათვის იყო სასარგებლო, რომელიც ისედაც ხარჯავდა მილიარდებს, რათა სოციალისტურ ქვეყნებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო.

სოციალისტურ ქვეყნებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ იუგოსლავია დაუახლოვდა კაპიტალისტურ ქვეყნებს და მათგან ეკონომიური და სამხედრო ხასიათის დახმარებების მიღება დაიწყო. 1952 წელს

იუგოსლავიასა და აშშ-ს შორის დაიდო შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ. კაპიტალისტური ქვეყნებიდან იუგოსლავიამ მიიღო ფინანსური და ეკონომიური დახმარებები, მაგრამ მათი ცდები რომ ქვეყანა აეცდინათ სოციალისტური განვითარების გზიდან, ნაწილობრივ დამთავრდა.

ცვლილებები ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მმართველობაში

1950—1954 წლებში ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობაში რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი, რომლის შედეგად ერთი მხრივ შესუსტდა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ეკონომიკისადმი, მეორე მხრივ კი საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს ფართო უფლებები მიეცათ, რათა დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის საკითხები. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაზე სახელმწიფოს კონტროლი მხოლოდ საგადასახადო და საკრედიტო-საფინანსო საქმეებით შეიზღუდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველი ხუთწლიანი გეგმა მძიმე მრეწველობის ობიექტებისა და მთავარი ელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში შესრულდა. ბევრი მსხვილი საწარმოც რეკონსტრუირებული იქნა.

საწარმოებსა და სასოფლო-სამეურნეო მამულებში შეიქმნა მუშათა თვითმმართველობის ორგანოები — მუშათა საბჭოები, რომლებმაც ფართო რწმუნებები მიიღეს, რომლის შედეგად იუგოსლავიის ხელმძღვანელთა შეფასებით გაფართოვდა მშრომელთა მონაწილეობა წარმოების მართვაში, მათი დაინტერესება ეკონომიურ მოღვაწეობაში. ყოველივე ამან დადებითი შედეგები გამოიღო. ამასთანავე ამ ღონისძიებას გააჩნდა უარყოფითი მხარეებიც, რომელიც გამოიხატა საწარმოებს შორის თანამშრომლობის დამყარების ნაცვლად მოგებების გამოკიდებაში. ადგილი ჰქონდა საკონკურენციო ბრძოლას, ირღვეოდა აგრეთვე ფასებიც.

სოფლად შემდეგნაირი მდგომარეობა შეიქმნა. 1952 წლამდე ხორციელდებოდა სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, გლეხთა შრომითი კოოპერატივების შექმნის მიზნით და უკვე 1951 წლისათვის დაახლოებით 7 ათასი კოოპერაციული გაერთიანება არსებობდა, რომლის განკარგულებაში იყო 2,3 მლნ ჰექტარი მიწა. იგი 400 ათას გლეხთა მეურნეობას აერთიანებდა.

1953—1959 წლებში გატარდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივების რეორგანიზაცია. გადაწყდა, რომ სოფლის მეურნეობა თავისუ-

ფალი ყოფილიყო ადმინისტრაციული ხასიათის ყოველგვარი ხელმძღვანელობისაგან. კოოპერატივის წევრებს უფლება მიეცათ კოოპერატივიდან გამოსვლისა. ამან გამოიწვია კოოპერაციული მეურნეობის დაშლა და სოფლად გაბატონებული მდგომარეობა კერძო, წვრილსასაქონლო სექტორმა დაიკავა, მიწის კერძო მფლობელობა 10 ჰა-ით შეიზღუდა. ამასთანავე მიღებულ იქნა კანონი, რომლითაც მიწის თავისუფალ გაყიდვაზე არსებული შეზღუდვები მოიხსნა. სოფლად კოოპერაციის ძირითად ფორმად გადაიქცა საერთო ტიპის სოფლის მეურნეობის კოოპერატივები, რომელშიც შედიან ინდივიდუალური გლეხთა მეურნენი და ამავე დროს ინარჩუნებენ მიწაზე კერძო საკუთრებას. არსებობს აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მამულები და აგროკომბინატები, რომლებიც იუგოსლავიის სოფლებში ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. 1972 წლისათვის საზოგადოებრივ სექტორზე მოდიოდა მთელი დასამუშავებელი მიწის 15% და სასაქონლო პროდუქციის ნაწარმის თითქმის ნახევარი. სასაქონლო პროდუქციის დანარჩენ ნაწილს იძლევა კერძო სექტორი, რომელიც ითვლის 2.6 მლნ ინდივიდუალურ მეურნეობას.

განხორციელდა აგრეთვე პოლიტიკური გარდაქმნებიც. 1952 წლის ნოემბერში შემდგარმა კომპარტიის VI ყრილობამ გააუქმა ადრინდელი პროგრამა და წესდება და მიიღო ახალი წესდება, ხოლო პროგრამის შესამუშავებლად შეიქმნა კომისია. იუგოსლავიის კომპარტიამ კომუნისტთა კავშირის სახელწოდება მიიღო, კომუნისტთა კავშირის პროგრამა მიიღო VII ყრილობამ, რომელიც შედგა 1958 წლის აპრილში. ხოლო ახალი წესდება მიიღო IX ყრილობამ (1969 წ.). მასში ნათქვამია: „იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი წარმოადგენს მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების რევოლუციურ, ორგანიზებულ და წამყვან იდეურ პოლიტიკურ ძალას სოციალიზმისათვის ბრძოლაში, უკლასო კომუნისტური საზოგადოების შექმნა წარმოადგენს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ისტორიულ ამოცანას და საბოლოო მიზანს.“

1953 წელს გარდაიქმნა აგრეთვე სახალხო ფრონტიც. რომელმაც მიიღო ახალი სახელწოდება იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირისა, რომლის წესდებაში ნათქვამია, რომ მისი მიზანია სოციალისტური წყობილების მშენებლობა.

1953 წლის იანვარში მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ძველ კონსტიტუციაში. მუშათა თვითმმართველობა გამოცხადდა საზოგადოებრივი წესის საფუძვლად. ეროვნებათა ვეჩეს ნაცვლად დაწესდა მწარმოებელთა ვეჩე, რომლის დეპუტატებს ირჩევდნენ მხოლოდ ის მშრომელები, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში იყვნენ დაკავებულნი. საკავშირო ვეჩეს დეპუ-

ტატების ნაწილს, რომლებსაც ირჩევდნენ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში, აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლოთ ეროვნებათა ვეჩეს შექმნა.

კონსტიტუცია აწესებდა სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაურის პრეზიდენტის თანამდებობას, რომელსაც დიდი უფლებები ენიჭებოდა. პრეზიდენტი გახდა კომუნისტთა კავშირის თავჯდომარე ი. ბროზ ტიტო.

1963 წლის 7 აპრილს იუგოსლავიამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ქვეყანა გამოაცხადა სოციალისტურ-ფედერაციულ რესპუბლიკად. 1974 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა ახალი, ომის შემდეგ რიგით უკვე მეოთხე კონსტიტუცია, რომელიც კომუნისტთა კავშირს ახასიათებს სოციალიზმის მშენებლობაში და იუგოსლავი ხალხების ერთიანობის და ძმობის, მშრომელთა სოლიდარობის განხორციელებაში, მუშათა კლასისა და მთელი მშრომელების წამყვან იდეურ-პოლიტიკურ ძალად. ახალმა კონსტიტუციამ არსებითი ცვლილებები შეიტანა სკუპშჩინას შექმნის წესში, რომელთა შორის მთავარია ე. წ. დელეგატთა სისტემა.

ყოველ კოლექტივში, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველობის პირველად უჯრედს, მშრომელები პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ დელეგატებს ოთხი წლის ვადით. კანდიდატების წამოყენება ხდება იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის ჩარჩოებში. ყოველი დელეგატი ან კოლექტივების რამოდენიმე დელეგაცია, რომლებიც ერთიანდებიან შრომისა ან სხვა ხასიათის ინტერესებით აგზავნიან დელეგატს სკუპშჩინაში. დელეგატი შეიძლება გაიგზავნოს დელეგაციის ან მთელი რწმუნების ვადით, ან მხოლოდ განსაზღვრული საკითხების გადასაჭრელად. ასეთი წესით ირჩევენ სათემო, ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების სკუპშჩინებს. ყოველი სკუპშჩინა პრინციპში სამი ვეჩესაგან (ე. ი. პალატისაგან) შედგება: 1. გაერთიანებული შრომის ვეჩეს ფორმირება ხდება შრომითი კოლექტივებისა და მშრომელთა სხვა გაერთიანებებისაგან, 2. ადგილობრივი თანამეგობრობის ვეჩე შედგება მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ტერიტორიული გაერთიანებისაგან. 3. საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვეჩეს სათემო სკუპშჩინაში ირჩევენ თემის მოქალაქეები საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

1974 წლის კონსტიტუციამ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფედერაციად გამოაცხადა სკუპშჩინა, რომელიც ხუთი ვეჩესაგან კი არ შედგება, როგორც ეს 1963 წლის კონსტიტუციით იყო, არამედ ორი ვეჩესაგან—რესპუბლიკებისა და მხარეების ვეჩესაგან, ყველა რესპუბლიკა თანაბარი რა-

ოდენობით გზავნის თავის დელეგატებს (პირველში 30—30, მეორეში 12—12-ს). დელეგატებს ირჩევენ რესპუბლიკისა და მხარეების სკუპშჩინები. სკუპშჩინის ყოველ ვეჩეს თავისი განსაკუთრებული კომპეტენციები აქვს და ერთად მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებს იხილავენ.

დელეგატთა სისტემა, როგორც იუგოსლავიის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, უნდა უზრუნველყოს მშრომელთა ფართო მონაწილეობა ხელისუფლებაში, საზოგადოებრივ თვითმმართველობაში და დელეგატების უფრო მჭიდრო კავშირი მასებთან.

სკუპშჩინები ქმნიან თავის პოლიტიკურ ორგანოებს — საკავშირო აღმასრულებელ ვეჩეს. იგი შედგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან, რომელთაც რესპუბლიკები ირჩევენ თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე.

კონსტიტუციამ შეამცირა სახელმწიფოს პრეზიდიუმის შემადგენლობის რაოდენობა, სადაც შევიდა რესპუბლიკის მხოლოდ თითო წარმომადგენელი და კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე.

§ 29. წარმატებები ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში

მიუხედავად რიგი ეკონომიური სიძნელეებისა, იუგოსლავმა ხალხმა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამრეწველო წარმოება 30 წლის განმავლობაში 14-ჯერ გაიზარდა. 1952—1972 წლებში, ე. ი. 20 წლის განმავლობაში, მრეწველობის სიძლიერე გაიზარდა 5-ჯერ, მრეწველობაში დაკავებულთა რაოდენობა 2.8-ჯერ, შრომის ნაყოფიერება 2.6-ჯერ. ერთი თვის განმავლობაში ქვეყანა უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე მთელ 1939 წელს. საერთო წარმოებაში გაიზარდა როლი ისეთი დარგებისა როგორიცაა ქიმიური, ელექტროტექნიკური, ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, გემთმშენებლობა, რომელთა ხვედრითი წონა საერთო წარმოებაში 21 პროცენტიდან (1952 წ.) გაიზარდა 39 პროცენტამდე (1971 წ.), სოფლის მეურნეობის წარმოება გაიზარდა 2-ჯერ მეტად.

ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1974 წლის მაისში მოწვეულ კომუნისტთა კავშირის X ყრილობას. ყრილობამ გააკმტვერა „ნაციონალისტური", ლიბერალური, წვრილბურჟუაზიულ-ანარქისტული და სხვა ანტისოციალისტური კონცეპციები. რომელთაც უნდოდათ ძირი გამოეთხარათ კომუნისტთა კავშირის „კლასობრივი, ავანგარდული, წამყვანი, იდეურ-პოლიტიკური როლისათვის საზოგადოებაში". ეს ცდები საშიშროებას უქმნიდა „მუშათა კლასის ჰეგემონობას, სოციალისტური თვითმმართველობის სისტემას და აგრეთვე პროლეტარული დიქტატურის არსს".

X ყრილობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ გაძლიერებულიყო ქვეყნის ეკონომიკის გეგმიურობა. ამ მითითების შედეგად, 1975 წლის 18 ივლისს სკუპშჩინამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ათწლიანი გეგმა. ამ დოკუმენტში დაყენებულია ამოცანა იმ მიზეზების მოსპობისა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ და სტაბილურ განვითარებაზე, კერძოდ ინფლაციის, ფასების ზრდის, უცხოეთთან სავაჭრო ბალანსის დეფიციტის, სოციალური განსხვავების და ა. შ. მომავალ ათწლეულში ეროვნული შემოსავალი 2-ჯერ გაიზრდება, მრეწველობის ყოველწლიური მატება დაგეგმილია 9%, სოფლის მეურნეობის—3,5%.

X ყრილობამ მიუთითა, რომ სოფლის მეურნეობის მომავალი განვითარების საფუძველი უნდა გახდეს სოციალისტური სექტორის გაფართოება, კოოპერაციის სხვადასხვა სახეებში ინდივიდუალური გლეხთა მეურნეობის უფრო ფართოდ ჩაბმა.

იუგოსლავიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. 1947—1972 წლებში აშენდა 2 მლნ ბინა და ამჟამად საცხოვრებელი ფონდის 60% შეადგენს ახალი ბინები. 8-წლიან განათლებას იღებს სასკოლო ასაკის ბავშვთა 90%. „მივაღწიოთ 1980 წლისათვის საყოველთაო რვაწლიან სწავლებას", ასეთი მიზანი დაისახეს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკებმა. მათ წამოაყენეს 1980 წლამდე 1000 ახალი სკოლის აგების პროგრამა. ომამდე კი ეს მხარე თითქმის მთლიანად უწიგნურ მხარედ ითვლებოდა. 1975 წლისათვის სასწავლო პროცესში ჩაბმული იყო ბავშვთა 88%. რესპუბლიკაში გახსნილია 3 ათასზე მეტი სკოლა, მაგრამ ჯერ კიდევ არის ისეთი რაიონები, განსაკუთრებით შორეულ მთიან ადგილებში, სადაც მოსწავლეები 10—20 კმ დაშორებით დადიან სკოლაში.

1975 წლისათვის იუგოსლავიაში 18-ჯერ მეტი სტუდენტი იყო, ვიდრე ომამდე. ამრიგად, იუგოსლავიამ დიდ წარმატებებს მიაღწია თავისი ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურული ცხოვრების სფეროში.

საგარეო პოლიტიკა

1953 წლიდან სკკპ-ის ინიციატივით აღსდგა 1949 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური, შემდეგ კი ეკონომიური კავშირი იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

1955 წლის მაის-ივნისში საბჭოთა მთავრობის დელეგაცია იმყოფებოდა იუგოსლავიაში, სადაც 2 ივნისს ხელმოწერილი იქნა ბელ-

გრადის დეკლარაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციაში. ამის შემდეგ ურთიერთობა სსრ კავშირსა, იუგოსლავიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სწრაფად განვითარდა. როგორც ადრე აღვნიშნეთ, 1958 წელს შემდგარმა კომუნისტთა კავშირის VII ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა, რომლის ძირითადი დებულებები მიმართული იყო სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ შემუშავებული და მიღებული დეკლარაციის მთავარი მიმართულებების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ყველა მარქსისტულმა პარტიამ დაგმო ეს მცდარი დებულებები. მაგრამ ამ კრიტიკას და უთანხმოებას იდეოლოგიურ საკითხებში ხელი არ შეუშლია სახელმწიფოებრივი ხაზით განვითარებულიყო ურთიერთობანი იუგოსლავიასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ურთიერთობა იუგოსლავიის კომუნისტებსა, მოძმე ქვეყნების კომუნისტებსა და მუშათა პარტიებს შორის პარტიული ხაზითაც ვითარდება. ი. ბროზ-ტიტომ მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და ბუდაპეშტის (1967 წ.) კომუნისტური და მუშათა პარტიების, ასევე სოციალისტური ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირში ახლო აღმოსავლეთის საკითხზე, 1972 წელს იელისში პარიზში შემდგარ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე ვიეტნამის შესახებ და 1973 წლის თებერვალში მოსკოვში ასეთივე დონის შეხვედრაში, რომელმაც განიხილა ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხი.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაცია მონაწილეობდა სკკპ XXIII და XXIV ყრილობაზე, ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეზე, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეზე და ა. შ. ამ ორი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხაზით ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბროზ-ტიტოს ვიზიტს საბჭოთა კავშირში (1972 წლის ივნისში და 1973 წლის ნოემბერში) და ამ ვიზიტების შედეგად მიღებულ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ერთობლივ კომუნიკეს.

იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს წარმოადგენს მიუმხრობლობის კურსის განხორციელება, მაგრამ იგი აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობაში, იბრძვის მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

კომუნისტთა კავშირის X ყრილობამ ქვეყნის ხანგრძლივევადიან საგარეო პოლიტიკის საფუძვლად გამოაცხადა მიუმხრობლობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა, როგორც მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

თავი X

კუბის რესპუბლიკა[1]

§ 30. კუბელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. სახალხო რევოლუციის გამარჯვება

მოკლე ცნობები წარსულიდან

კუნძული კუბა აღმოაჩინა კოლუმბმა 1492 წელს. აქ მცხოვრები ინდიელები გუანახატაბები, სიბონები და უმთავრესად ტაინო ამ დროისათვის იმყოფებოდნენ გვაროვნული წყობილების განვითარების საფეხურზე. როდესაც ესპანელები მოვიდნენ, იქ მცხოვრებ ინდიელთა საერთო რაოდენობა 200 ათას კაცამდე აღწევდა. 1510—1511 წწ. კუბა დაიპყრეს ესპანელმა კონკისტადორებმა, რომელთა სათავეში იდგა ველასკერი. ინდიელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს, რის გამოც ესპანელები შეუბრალებლად ანადგურებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. კუნძულის დაპყრობის შემდეგ ესპანელებმა იქ გაავრცელეს ფეოდალური წესები. მთელი მიწები ესპანეთის მეფის საკუთრებად გამოცხადდა და მისი სახელით განაწილდა დამპყრობლებს შორის. XVII საუკუნის ბოლომდე ძირითადად იქ მეცხოველეობა. იყო განვითარებული. ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებისა და ბარბაროსული ექსპლუატაციის შედეგად, XVI საუკუნის 30-იანი წლების დამლევისათვის ინდიელებიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 5 ათასი კაცი. XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე კუნძულზე გაშენდა შაქრის ლერწმისა და თამბაქოს პლანტაციები, ამ შრომატევად და მძიმე სამუშაოებზე ესპანელებმა იწყეს მონა ზანგების გამოყენება, რომლებიც მათ აფრიკის კონტინენტიდან ჩამოყავდათ. ესპანეთმა კუბა გადააქცია თავისი ბატონობის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-საზღვაო ბაზად კარიბის ზღვაში.

XIX საუკუნეში ინგლისსა და აშშ-ს შორის გაიშალა ბრძოლა კუბაზე ბატონობისათვის. XIX საუკუნის შუა პერიოდში აშშ-ს კუბაში უკვე დიდი კაპიტალური დაბანდებები ჰქონდა. აშშ თავის პოზიციების განმტკიცების მიზნით კუბაში მხარს უჭერდა ადგილობრივი გაბატონებული კლასების ბრძოლას ესპანეთის ბატონობის წინააღ-

---

[1] მდებარეობს ვესტ-ინდოეთში, კუნძულ კუბასა და მის ახლომდებარე კუნძულებზე კარიბის ზღვის აუზში. ტერიტორია — 110,9 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 9 მლნ (1973 წ.). დედაქალაქი ჰავანა (1755 ათასი მცხოვრები. 1973 წ.). მოსახლეობის 70% ევროპიდან გადასახლებულნი, ძირითადად ესპანელები არიან, დანარჩენია: ზანგები, მულატები და მცირე ნაწილი აზიიდან გადასულნი. სახელმწიფო ენა ესპანურია.

მდეგ. ბრძოლას თავისი გათავისუფლებისათვის აწარმოებდნენ პლანტაციის მონა ზანგები. XIX საუკუნის 60-იან წლებში იფეთქა მონათა მრავალმა აჯანყებამ, ხოლო 1869 წელს კი დაიწყო საყოველთაო რახალხო აჯანყება, რომელიც გადაიზარდა დამოუკიდებლობისათვის ომში და იგი თითქმის 30 წლის განმავლობაში, ცალკეული შესვენებებით ბიმდინარეობდა. მან მთელი ძალით იფეთქა 1895 წლის 24 თებერვალს. აჯანდებულებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და მრავალი დამარცხება აგებინეს ესპანელ ჯარებს. ესპანეთის მთავრობას ეშინოდა აშშ-ის ჩარევისა და ამასთანავე კუბის დაკარგვისა. ამიტომ იგი იძულებული გახდა, 1897 წლის 25 ნოემბერს გამოექვეყნებინა მეფის დეკრეტი კუბისა და აგრეთვე პორტო-რიკოსათვის ავტონომიის ძინიშების შესახებ, მაგრამ მათზე ესპანეთის სუვერენიტეტი უხდა ნარჩენებულიყო. ხალხი, რომელიც ომს აწარმოებდა ლოზუნგით „დამოუკიდებლობა ან სიკვდილი", ბრძოლას წარმატებით აგრძელებდა და ესპანეთისაგან მთელი ქვეყანა გაათავისუფლა გარდა ნავსადგურებისა.

აშშ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ხელსაყრელ მომენტს უცდიდა იმისათვის, რათა კუბიდან ესპანელები გაეძევებინა და თვითონ დაუფლებოდა კუნძულს. 1898 წლის 25 თებერვალს აშშ-მა ჰავანას ნავსადგურში მდგომი ორი თავისი გემის პროვოკაციული აფეთქება მოაწყო, ეს ამბავი ესპანელებს გადააბრალა და აპრილში ომი ეაძოუცხადა მას. აშშ-მა ივნისში თავისი დესანტი გადასხა სანტ-იაგოში. ესპანეთი დამარცხდა და 1898 წელს პარიზში დადებული ზავით იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა კუბაზე, რომელიც მხოლოდ ფორმალურად გამოცხადდა დამოუკიდებლად. ფაქტიურად იგი ამერიკის იმპერიალიზმის ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაიქცა.

1903 წელს აშშ-მა კუბას მოახვია კაბალური ხელშეკრულება, რომლითაც მან იჯარით და განუსაზღვრელი ვადით მიიღო სამხედრო-საზღვაო ბაზა გუანტანამო, რომელიც დღემდე აშშ-ის ხელშია. 1906 წელს, როდესაც კუბაში აჯანყებამ იფეთქა, აშშ-მა იქ თავისი ჯარები გადასხა და აჯანყება სისხლში ჩაახშო. ზემოთ აღნიშნული და სხვა მრავალი კაბალური ხელშეკრულებებით კუბა, მიუხედავად ფორმალური დამოუკიდებლობისა, ამერიკის იმპერიალიზმმა თავისი ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადააქცია და ყოველგვარ ანტიამერიკულ გამოსვლებს სასტიკად ახშობდა. კუბა თანდათანობით აშშ-ის მონოპოლიების კაბალაში ექცეოდა.

კუბელი ხალხის ბრძოლის გაძლიერებაზე ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ დიდი გავლენა მოახდინა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. 1925 წელს შეიქმნა კუბის კომუნისტური პარტია. 1925—1933 წლებში კუბაში პრეზიდენტად იყო აშშ-ის აგენტი

მაჩადო, რომელმაც ქვეყანაში ტერორისტული დიქტატურა დაამყარა. მაჩადოს დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება მუშათა კლასი კომპარტიის ხელმძღვანელობით. 1931—1932 წლებში აღმოცენდა მრავალი წვრილბურჟუაზიული ორგანიზაცია, რომელმაც მაჩადოს და მისი ბრბოს წინააღმდეგ მოაწყო ტერორისტული აქტები. ამავე დროს გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა, სტუდენტთა გამოსვლები, გლეხთა მღელვარებანი.

მაჩადოს დიქტატურა, აშშ-ის იმპერიალიზმის მხარდაჭერით, დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მასობრივ რეპრესიებსა და ტერორს მიმართავდა. 1933 წლის 1 აგვისტოს ჰავანაში მაჩადოს მთავრობამ დახვრიტა საერთაშორისო ომის საწინააღმდეგო დღის აღსანიშნავად მოწყობილი მასობრივი დემონსტრაცია, რომლის საპასუხოდ 4 აგვისტოს მოეწყო საყოველთაო გაფიცვა. იგი ორგანიზებულ იქნა კომპარტიისა და მუშათა ეროვნული კონფედერაციის მიერ[1]. ეს გაფიცვა რიგ ადგილებში გადაიზარდა აჯანყებებში, საბოლოოდ კი— რევოლუციაში, რომლის შედეგად 12 აგვისტოს მაჩადოს დიქტატურა დაემხო. 1933 წლის რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა მუშათა კლასი.

ამ რევოლუციამ დიდი დარტყმა მიაყენა ნახევრადკოლონიურ ლატიფუნდიურ რეჟიმს. 1935 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუციაც. 1938 წელს დაშვებულ იქნა პარტიების, მათ შორის კომპარტიის, ლეგალურად მოღვაწეობა. 1940 წელს შეკრებილმა დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელშიც აისახა მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლის მონაპოვარი. აიკრძალა რასობრივი დისკრიმინაცია, დაწესდა საყოველთაო საარჩევნო სისტემა, 8 საათიანი სამუშაო დღე და ა. შ. მაგრამ, 1940 წლის კონსტიტუცია ფაქტიურად ცხოვრებაში არ განხორციელებულა. 1941 წლის დეკემბერში კუბამ აშშ-თან ერთად ომი გამოუცხადა გერმანიას, იტალიას და იაპონიას. 1942 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასა და სსრ კავშირს შორის. 1943 წელს კუბელი კომუნისტები შედიოდნენ კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში. ჯერ კიდევ 1939 წელს კომპარტია და „რევოლუციური კავშირი" გაერთიანდნენ და შეიქმნა რევოლუციური კომუნისტური კავშირი, რომელმაც 1944 წელს მიიღო სახალხო-სოციალისტური პარტიის სახელწოდება.

---

[1] მუშათა ეროვნული კონფედერაცია — კუბელი მუშების პროფკავშირების ცენტრი, შეიქმნა 1925 წელს.

ბრძოლა დემოკრატიულ და რეაქციულ ძალებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ბატისტას დიქტატურა

ომის შემდეგ პერიოდში მოთხოვნილება და ფასები შაქარსა და თამბაქოზე, რომლებიც წარმოადგენდა ქვეყნის მეურნეობის წამყვან დარგებს, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის შედეგად კუბის ეკონომიკისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. საყურადღებოა, რომ ომის დროს კუბაში გაიზარდა სოფლის მეურნეობის საწარმოები და მასში მოწინავე ტექნიკის დანერგვა. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია აგრეთვე მრეწველობამ, კერძოდ სამთამადნო და ენერგეტიკულმა. მაგრამ კუბის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა აშშ-ის კაპიტალს ეკავა, რომელიც ხელოვნურად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასა და აყვავებას და კუბა უნდოდა თავისი მრეწველობის გასასაღებელ ბაზად და ნედლეულის დანამატ ქვეყნად ჰყოლოდა. ამერიკის მონოპოლიების კონტროლის ქვეშ იყო სამთამადნო და ენერგეტიკული მრეწველობა, მთელი სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზი, ნავთის საბადოები, ტრამვაის და საავტომობილო ტრანსპორტი, რკინიგზის ხაზების ნახევარზე მეტი, შაქრის ქარხნების 2/3, შაქრის ლერწმის პლანტაციების ფართობის 80%-ზე მეტი. ამრიგად, კუბის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ამერიკის კაპიტალს ეკავა, რომელიც ქვეყნის მშრომელების სასტიკი ექსპლუატაციის გზით აურაცხელ მოგებებს ნახულობდა. კუბა მუდმივად იმყოფებოდა აშშ-ის ფინანსურ დამოკიდებულებაში. 1939—1955 წლებში მარტო რვა ამერიკული შაქრის კომპანიის შემოსავალი შეადგენდა 261,5 მლნ დოლარს, რაც 5-ჯერ აღემატებოდა მათ მიერ დაბანდებულ კაპიტალს.

1947 წლიდან აშშ-ის იმპერიალიზმი ადგება რეაქციული საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომლის მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო დემოკრატიული და რევოლუციური ძალების განადგურება. აშშ-ის მითითებით კუბის რეაქცია კუნძულზე კომუნისტური საშიშროების ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით საერთო შეტევაზე გადავიდა.

ამასთანავე გაიზარდა ხალხთა მასების რევოლუციური და ეროვნული მოძრაობა, რომელშიც ათი ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. რევოლუციური აღმავლობით დაშინებულმა ქვეყნის გაბატონებულმა კლასებმა აშშ-ის იმპერიალიზმის მხარდაჭერით 1952 წლის 10 მარტს მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარეს სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა გენერალ ბატისტას მეთაურობით. დემოკრატიული თავისუფლებები გაუქმდა, სახალხო-სოციალისტური და სხვა დემოკრატიული პარტიები და პროგრესული ორგანიზაციები აიკრძა-

ლა. არმია გადაიქცა დიქტატურის დამსჯელ აპარატად. 1952 წელს ბატისტამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. გენერალ ბატისტას დიქტატურის დასაყრდენს წარმოადგენდა მსხვილი ბურჟუაზია, მსხვილი პლანტატორები და აშშ-ის მონოპოლიები. ბატისტას დიქტატურამ უარი თქვა ქვეყნის სუვერენიტეტზე და კუბის ინტერესები აშშ-ის იმპერიალიზმის ინტერესებს დაუმორჩილა. 1952 წელს გაუქმებულად გამოცხადდა 1940 წლის კონსტიტუცია და მის ნაცვლად შემუშავდა „რესპუბლიკის კონსტიტუციური სტატუტი", რომლითაც სამხედრო-პოლიციური კონტროლი დაწესდა ქვეყანაში არსებულ ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისადმი. არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის ან უბრალო პროპაგანდისათვის სიკვდილით სასჯელი დაწესდა. 1953 წელს გამოცემული კანონით ქვეყანაში სასტიკად იკრძალებოდა კომუნისტური მოღვაწეობა. პროფკავშირებზე მთავრობის კონტროლი დამყარდა. კუბის მშრომელთა კონფედერაციას რადიკალური ხელმძღვანელები ჩამოაშორეს და მის სათავეში ჩააყენეს ბატისტას აგენტი მუჰალი, რომელმაც პროფკავშირები მუშათა კლასზე კონტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოდ გადააქცია.

საგარეო პოლიტიკაში ბატისტას რეჟიმი მხარს უჭერდა აშშ-ის იმპერიალიზმის აგრესიულ კურსს, მონაწილეობდა ამერიკის იმპერიალიზმის მიერ 1954 წელს ორგანიზებულ ინტერვენციაში გვატემალას წინააღმდეგ.

გამოსვლები მონკადაში. რევოლუციური ბრძოლის გაძლიერება

ბატისტას ტერორისტული რეჟიმი ხალხის დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამ რეჟიმმა ქვეყანა გადააქცია აშშ-ის მონოპოლიების გამდიდრებისა და ძარცვის ობიექტად. ბატისტა სულ ახალ და ახალ კონცესიებს აძლევდა ამერიკის მონოპოლიებს და მათთან გარიგების მეშვეობით კუბელი ხალხის ძარცვა-გლეჯვით თვითონაც მდიდრდებოდა. აშშ-ის მონოპოლიებისაგან ყოველ კონცესიაზე ბატისტა ღებულობდა უზარმაზარ ფულად ქრთამს და აქციების 50%-ს. იგი გახდა 40 სხვადასხვა კომპანიის მსხვილი აქციონერი. 7 წლის განმავლობაში ბატისტამ მიითვისა 400 მილიონი დოლარი და ყველაზე მდიდარი კაცი გახდა კუბაში. ერთი მუჭა მონოპოლიების და დიქტატურული რეჟიმის ბრბოს გამდიდრება ხდებოდა არა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის გზით, არამედ მოსახლეობის გაძლიერებული ექსპლუატაციით. მაგალითად, მარტო 1953 წელს წინა წელთან შედარებით მუშამოსამსახურეთა ხელფასი 100 მილიონი პესოთი შემცირდა.

ბატისტას რეჟიმით უკმაყოფილო იყო არა მარტო ხალხთა მასები, არამედ ეროვნული ბურჟუაზიაც, რომელიც საკუთარ ბაზარზე და ქვეყნის ეკონომიკაში ამერიკის მონოპოლიების მოძალების შედეგად დიდ შევიწროებას განიცდიდა. მაგრამ, ბურჟუაზიული ოპოზიცია არ იყო საშიში, ვინაიდან იგი ხალხთა მასებს რევოლუციური ბრძოლის გაშლის შიშით პასიური ბრძოლის ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა ეროვნული ბურჟუაზია და მათი პარტიები არ ცნობდნენ ბატისტას რეჟიმს, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვნად ავიწროებდა დიქტატურის სოციალურ დასაყრდენს.

ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლის გზას დაადგა სახალხო-სოციალისტური პარტია, რომელმაც მკაცრი ტერორისა და რეპრესიების პირობებში შეიმუშავა ქვეყნის ყველა დემოკრატიული ძალების გაერთიანებისა და ერთიანი ეროვნული ფრონტით ბრძოლის სწორი ტაქტიკა. 1953 წლის ოქტომბერში ჰავანაში უკვე მოქმედებდა სახალხო-სოციალისტური პარტიის მიერ შექმნილი 100 იატაკქვეშა ერთობის კომიტეტი, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა ბუშებს, მოსამსახურეებს, ვაჭრებს, ინტელიგენციას, სტუდენტობას და დიქტატორის მოწინააღმდეგეთა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს. ამ კომიტეტების ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ბურჟუაზიისაგან განსხვავებით იგი ხალხს ეყრდნობოდა. კომიტეტებში ძირითადად ახალგაზრდობა იყო გაერთიანებული და მათ აღიარებულ ხელმძღვანელად მალე ფიდელ კასტრო გახდა[1]. თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში იგი ჯერ არ იყო მარქსისტი, მაგრამ შემდეგ იგი ეუფლება ამ მოძღვრებას. მისი ხელმძღვანელობით დაახლოებით 200 რევოლუციონერმა 1953 წლის 26 ივლისს იერიში მიიტანა ორიენტეს პროვინციაში კარგად გამაგრებულ სამხედრო დასახლების სიმაგრე „მონკადაზე". ამ სიმაგრეს იცავდა 3 ათასი ჯარისკაცი. რევოლუციონერები იმედოვნებდნენ ციხესიმაგრის აღებას მოულოდნელი შეტევით, ყაზარმების ხელში ჩაგდებას და ჯარისკაცების განიარაღებას სისხლის ღვრის გარეშე. ყაზარმაში ბევრი იარაღი იყო და კასტრო და მისი მომხრეები იმედოვნებდნენ ამ

---

[1] ფიდელ კასტრო რუსი 1926 წელს დაიბადა ორიენტეს პროვინცია დაბა ბირანში, შაჭრის პლანტაციების მფლობელის მდიდარ ოჯახში. ჰავანის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი ხდება სტუდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელი. 1951 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს და მალე იღებს სამართლისმცოდნეობის დოქტორის ხარისხს. უნივერსიტეტში სწავლის დროს გაეცნო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ადვოკატად მუშაობდა. ბატისტას რეჟიმის დამყარების შემდეგ ჩაება ბრძოლაში ამ რეჟიმის წინააღმდეგ და ჰალე იგი რევოლუციური ბრძოლის აღიარებულ ხელმძღვანელად გადაიქცა. იგი 1951 წ. შეუერთდა „კუბის სახალხო პარტიაში" (ორტოდოქსებში) და სათავეში უდგება მის რადიკალურ ფრთას.

იარაღის ხელში ჩაგდებას, ხალხის შეიარაღებას და ბატისტას რეჟიმის დამხობით რევოლუციის დაწყებას. რევოლუციონერებს ჰქონდათ შემუშავებული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა: მემამულეთა მიწების კონფისკაციას და გლეხთა შორის მის უფასოდ განაწილებას, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის უფლების მინიჭებას იმ საწარმოების მოგებების 30%-ის მიღებაზე, სადაც ისინი მუშაობდნენ და ა. შ.

ციხესიმაგრე „მონკადაზე" თავდასხმასთან ერთად რევოლუციონერთა მეორე ჯგუფმა აბელ სანტამარიას ხელმძღვანელობით ხელთ ჩაიგდო სამოქალაქო ჰოსპიტალი, ხოლო 10 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა კასტროს უმცროსი ძმის რაულ კასტროს მეთაურობით მართლმსაჯულების სასახლე დაიკავა. მაგრამ ბატისტას ჯარმა ძალებმა ადვილად შეძლეს მცირერიცხოვან აჯანყებულთა რაზმების დაშარცხება. ასამდე კაცი მოკლული და ტყვედ იქნა წაყვანილი. კასტრო რამოდენიმე ამხანაგთან ერთად გაიქცა და მთებს შეაფარა თავი, მაგრამ მთავრობის ჯარები მძინარე, ქანცგამოლეულ რევოლუციონერებს თავს წაადგნენ და დააპატიმრეს.

ბატისტას ბრბო სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. დაახლოებით 90 ტყვედ ჩავარდნილი, მათ შორის აბელ სანტამარია, გასამართლების გარეშე დიდი წამების შემდეგ ციხეში დახოცეს. 21 სექტემბერს მოეწყო აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო. 122 კაცი წარსდგა სასამართლოს წინაშე, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში. აჯანყებულებს უშიშრად ეჭირათ თავი სასამართლო პროცესზე. მათ ბრალი დასდეს და გამოააშკარავეს ბატისტას ტერორისტული რეჟიმი. 29 კაცს, მათ შორის კასტროს და მის ძმას რაულ კასტროს მიესაჯათ 15 წლის პატიმრობა. სასამართლო პროცესზე კასტრომ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ თავისი მკაცრი ბრალმდებელი გამოსვლის დროს ნათელყო თუ ვის ინტერესებს ემსახურებოდა ბატისტას ტერორისტული დიქტატურა და იგი დაამთავრა სიტყვებით — „ისტორია მე გამამართლებს." მან მოუწოდა ხალხს გაეძლიერებინათ ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მანამ სანამ არ დაემხობოდა იგი.

ფიდელ კასტროს ეს გამოსვლა გადაიქცა კუბელი რევოლუციონერებისა და ხალხის მოქმედების პროგრამად მომავალი ბრძოლებისათვის. თავის სიტყვაში „ისტორია მე გამამართლებს" კასტრომ მიმართა 600 ათას უმუშევარს, 500 ათას სოფლის მეურნეობისა და 400 ათას სამრეწველო მუშას, 100 ათას წვრილ მიწათმფლობელს, 20 ათას წვრილ და საშუალო ვაჭარს, 40 ათას ინტელიგენტს.

„ხუთი რევოლუციური კანონიდან", რომლის გატარებას „მონკა-

დის“ გმირები ხელისუფლების ხელში აღების შემთხვევაში აპირებდნენ ოთხი—ეკონომიური ხასიათის იყო. პირველი კანონი ითვალისწინებდა 1940 წლის კონსტიტუციის აღდგენას, მეორე კანონით მიწის საკითხი გლეხთა სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო, იგი ითვალისწინებდა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის „მიწის უფასოდ და მუდმივ საკუთრებაში გადაცემას“. მესამე კანონით მუშები და მოსამსახურეები მიიღებდნენ უფლებებს მსხვილი მრეწველობიდან, ვაჭრობიდან, სამთამადნო საწარმოებიდან მოგების 30%-ზე. მეოთხე კანონით, ყველა ისინი ვინც არაკეთილსინდისიერად გამდიდრდა, სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობები თავისი პირადი გამდიდრებისათვის გამოიყენა, მათი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში უნდა გადასულიყო. 1940 წლის კონსტიტუცია, რომლის აღდგენის დაპირებასაც იძლეოდნენ „მონკადის“ გმირები. ითვალისწინებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობაში კოოპერატიული სექტორის შექმნას, ეკონომიკის დაგეგმვას და მართვას. ამის ბაზაზე სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიურ ცხოვრებაში. საბინაო და სხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და ა. შ. ბატისტას ბრბომ მონკადის ამბების შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა რეპრესიები. ქვეყანაში შემოიღო საალყო მდგომარეობა, რომელიც ერთ წელიწადს გრძელდებოდა. დიქტატორული რეჟიმის მოწინააღმდეგე ყველა ეჭვმიტანილს აპატიმრებდნენ. იატაკქვეშა რევოლუციური ორგანიზაციების დიდი ნაწილი დარბეულ და განადგურებულ იქნა. 10 ნოემბერს გამოცემული დეკრეტით „კომუნისტური მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ“, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აპატიმრებდნენ არა მარტო კომუნისტებს, არამედ აგრეთვე მშვიდობის მომხრეებს, პროფკავშირებისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციის წევრებსაც. ყველაზე დიდ დევნას განიცდიდა სახალხო-სოციალისტური პარტია. დამსჯელთა და ჯაშუშთა მრავალრიცხოვანი ბრბო მთელ ქვეყანას მოედო და ცდილობდა შიში დაეთესა ყველგან. აშშ-ის იმპერიალისტები კმაყოფილნი იყვნენ ბატისტას რეჟიმით და მხარს უჭერდნენ მას. მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა, ბატისტას უწოდა ანარქიზმისა და კომუნიზმის მტერი და „დემოკრატიის დამცველი“ ამერიკის კონტინენტზე. მასობრივი რეპრესიები ვერ აღწევდა საწადელს, პირიქით იგი მშრომელი ხალხის ზიზღს და სიძულვილს იწვევდა.

„26 ივლისის მოძრაობა“ თავისი ხასიათით თავდაპირველად წვრილბურჟუაზიული, ანტიიმპერიალისტური რევოლუციური მოძრაობა იყო, რომელიც უმთავრესად სტუდენტ-ახალგაზრდობას ეყრდნობოდა. „მონკადის“ ამბების შემდეგ ეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობა გაფართოვდა და მასში მშრომელთა მასების ფართო ფენებიც

ჩაებნენ. სახალხო-სოციალისტური პარტია და „26 ივლისის მოძრაობა" თავდაპირველად ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, მაგრამ ისინი ერთმანეთს ავსებდნენ და საბოლოოდ ერთიანი რევოლუციური გზით წავიდნენ. სახალხო-სოციალისტური პარტია ეყრდნობოდა ხალხთა ფართო მასებს და იბრძოდა ქვეყანაში არსებული დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ.

„26 ივლისის" ამბების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან საერთო გამოხმაურება ჰპოვა მთელს ქვეყანაში, გამოაცოცხლა ხალხი და დაარწმუნა, დიქტატორული რეჟიმის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაში. ასეთ პოზიციებზე იდგნენ „26 ივლისის" მოძრაობა და სახალხო-სოციალისტური პარტია, სწორედ ამან განაპირობა გამარჯვების შემდეგ მათი გაერთიანება ერთიან კუბის კომუნისტურ პარტიად.

კასტროსა და მისი მომხრეების წინააღმდეგ მიღებულმა მკაცრმა განაჩენმა საყოველთაო საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია ქვეყანაში. ამიტომ 1954 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბატისტა იძულებული გახდა პოლიტიკური პატიმრების, მათ შორის „26 ივლისის" ამბების მონაწილეთა ამნისტია გამოეცხადებინა. კასტრო და მისი მომხრეები გაანთავისუფლეს, რის შემდეგ ისინი მექსიკაში წავიდნენ, სადაც შექმნეს „26 ივლისის მოძრაობის" ორგანიზაცია. ცალე ეს ორგანიზაცია ბევრი პატრიოტი ემიგრანტი კუბელით შეივსო და საკმაოდ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ პარტიზანულ ნაწილებად გადაიქცა. პატრიოტები ემზადებოდნენ კუბაში ექსპედიციის მოწყობისათვის ბატისტას რეჟიმის დასამხობად. თვითონ კუბაშიც შეიქმნა მრავალი იატაკქვეშა რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ორგანიზაცია, რომლებიც თავის მხრივ ემზადებოდნენ დიქტატორული რეჟიმის დამხობისათვის. ამ საქმეში, ქვეყნის შიგნით, დიდ როლს თამაშობდა სახალხო-სოციალისტური პარტია. 1955 წლის 27 ნოემბერს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივისცემის ტრადიციულ დღეს, სახალხო-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელს კუბაში მოეწყო სტუდენტთა დემონსტრაცია. ისინი მოითხოვდნენ ბატისტას დიქტატურის დამხობას.

1956 წლის 29 აპრილს, ახალგაზრდა რევოლუციონერთა ჯგუფი რაინალდ გარსიას მეთაურობით ქალაქ მატანსაში თავს დაესხა „გოიკორიის" ყაზარმას. მაგრამ თავდამსხმელებმა მარცხი განიცადეს. 17 კაცი დაიღუპა, დანარჩენები დააპატიმრეს და წამებით დახოცეს. სახალხო-სოციალისტური პარტიისა და ხოსე ეჩევერიას მეთაურობით არსებულ „რევოლუციური სტუდენტობის დირექტორატის" ხელმძღვანელობით მთელ კუბას მოედო გრანდიოზული დემონსტრაციები და გაფიცვები, სტუდენტობისა და მშრომელი მასებისა ლოზუნ-

გით „ძირს ბატისტას დიქტატურა“. რევოლუციურ გამოსვლებს ბატისტას რეჟიმი მასობრივი რეპრესიებით პასუხობდა, მაგრამ იგი ვერ აღწევდა მიზანს და პირიქით სულ ახალ და ახალ გამოსვლებს იწვევდა.

1956 წლის ივლისში „26 ივლისის მოძრაობის“ ხელმძღვანელმა კასტრომ და „რევოლუციური სტუდენტობის დირექტორატმა“ ხოსე ეჩევერიას ხელმძღვანელობით დადეს პაქტი ერთიანი მოქმედებისა და საყოველთაო გაფიცვის მომზადების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 8 სექტემბერს მოწყობილ გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს რეფორმისტებმა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მან დააჩქარა ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფი რევოლუციური ძალების შეთანხმებული მოქმედება. „26 ივლისის მოძრაობამ“ შეიმუშავა შეთანხმებული მოქმედების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა 1956 წლის 30 ნოემბერს კასტროს მიერ მომზადებული პარტიზანების გადასხმას კუბაში და ერთდროულად ქალაქ სანტიაგოში აჯანყების დაწყებას. „26 ივლისის მოძრაობის“ იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელის ფრანკ პაისის მეთაურობით.

ამ მიზნით ფიდელ კასტროს პარტიზანებმა შეიძინეს ორანძიანი ნავი „გრანმა“. მაგრამ 82 კაცისაგან გადატვირთული „გრანმა“ ქარიშხალის აშოვარდნის გამო სამი დღის დაგვიანებით მიადგა კუბის ნაპირს არა დათქმულ ადგილას და წააწყდა მთავრობის ერთგულ ბატალიონს. გრიგალისაგან გაწამებული და გადაღლილი პარტიზანები ჩაებნენ უთანასწორო ბრძოლაში მთავრობის ჯარებთან. უმრავლესობა დაიღუპა, 20 კაცი კი ტყვედ ჩავარდა. გადარჩენილნი 3-5 კაციან ჯგუფებად დაიყვნენ და სერა მაესტრას მთას შეაფარეს თავი. გადარჩენილთა შორის იყო ორივე ძმა ფიდელ და რაულ კასტრო. აქ გლეხების დახმარებით იწყეს ახალი პარტიზანული ჯგუფების შექმნა. 1956 წლის 30 ნოემბერს, ე. ი. დათქმულ დროს სანტიაგოში მოხდა სტუდენტობისა და მუშათა მცირე ჯგუფის შეიარაღებული გამოსვლა ფრანკ პაისის მეთაურობით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს პოლიციის შენობა, სამხედრო-საზღვაო ნაწილების ყაზარმები, ტელეგრაფი და რადიოსადგური. მაგრამ, ეს გამოსვლა იზოლირებული აღმოჩნდა. მან ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, კასტროს პარტიზანებმა კი, როგორც აღვნიშნეთ, დაიგვიანეს. ამიტომ მთავრობის ჯარებმა საღამოსათვის ეს გამოსვლა ჩახშეს. პაისი ტყვედ ჩავარდა და იგი სიკვდილით დასაჯეს. კასტროსა და მისი მომხრეების შეთქმულებითი, და ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკა ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, მაგრამ იგი მაინც დიდ გამოხმაურებას პოულობდა მთელ კუბაში და იწვევდა მასობრივ მოძრაობაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმას. რა თქმა უნდა, რევოლუციონერთა მცირე ჯგუფით არ შეიძლებოდა დიქ-

ტატორული რეჟიმის — პოლიციურ-ბიუროკრატული აპარატისა და მისი 50 ათასიანი არმიის განადგურება. კასტრო და მისი ჯგუფი მალე დარწმუნდნენ ანარქისტული და შეთქმულებითი ტაქტიკის სრულ უსუსურობაში, იგი ვნებდა რევოლუციას, ამიტომ შეცვალეს ტაქტიკა და მალე დაადგნენ მასობრივ მოძრაობაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმის გზას.

სერა მაესტრას მთებიდან კასტრო რადიოთი ხშირად მიმართავდა კუბელ ხალხს მოწოდებით, რათა საყოველთაო ბრძოლა დაეწყოთ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ისინი ხალხს აცნობდნენ თავის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებდა ძირფესვიანი სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს და ქვეყნის განთავისუფლებას უცხოეთის კაპიტალის ძალმომრეობისაგან. უკვე 1957 წელს კასტრო წერდა „ანარქია რევოლუციური პროცესის მტერია“, ანარქისტული და შეთქმულებითი ტაქტიკის პოზიციაზე იდგა აგრეთვე „26 ივლისის მოძრაობასთან“ კავშირში მყოფი იატაკქვეშა ორგანიზაცია „რევოლუციური დირექტორატი“ ეჩევერიას მეთაურობით.

1957 წლის 13 მარტს ეს ჯგუფი შეეცადა ხელთ ჩაეგდო პრეზიდენტის სასახლე, ცენტრალური რადიოსადგური და უნივერსიტეტის შენობა გადაეკეტათ შტაბად და ხალხი აეჯანყებინათ. პრეზიდენტის სასახლეზე შეტევაში მონაწილეობდა 50 კაცი, რადიოსადგურზე—15 კაცი თვითონ ეჩევერიას მეთაურობით. ამ ჯგუფმა რადიოსადგური ხელთ ჩაიგდო და ქვეყანას აცნობა ბატისტას სიკვდილი, მაგრამ ეს უკანასკნელი დაიმალა და გადარჩა, ხოლო მთავრობის ჯარებმა შეთქმულების მონაწილენი გაანადგურეს. დაიღუპა 37 კაცი, მათ შორის ხოსე ეჩევერია.

1957 წლის 5 სექტემბერს ქალაქ სიენფუეგოსაში აჯანყდნენ მეზღვაურები კაპიტან სან რომანის მეთაურობით. ქალაქში არსებობდა იატაკქვეშა სამოქალაქო წინააღმდეგობის ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ოსვალდო დორტიკოს ტორრადო. აჯანყებულ მეზღვაურებს მხარი დაუჭირა ქალაქის მოსახლეობამ, რომელთა მხარეზე გადავიდა აგრეთვე ქალაქის გარნიზონიც, მაგრამ ბატისტამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დასძრა ტანკები და ავიაცია. მთავრობის ჯარებმა ქალაქი ნანგრევებად აქციეს. დაიღუპა 800 კაცი, მათ შორის 200 კაცი ადგილზე დახვრიტეს და აჯანყება ჩაახშეს, მაგრამ ამ აჯანყების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი შეუწყო უკმაყოფილების ზრდას არმიასა და ფლოტში ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ.

ამასთანავე სერა მაესტრას მთებში თავშეფარებული კასტროს მომხრეები თანდათანობით ძალებს იკრებდნენ და თავისი გმირული საქმიანობით მთელი კუბის მოსახლეობის ყურადღებას იპყრობდნენ.

ისინი რეგულარულად, რადიოგადამცემით მოუწოდებდნენ ხალხს ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ ბატისტას დიქტატურული რეჟიმის წინააღმდეგ.

სერა მაესტრას მთებისაკენ მიეშურებოდნენ ქვეყნის ყველა პატრიოტული ძალები. სახალხო-სოციალისტური პარტია, პირველივე დღიდან მხარს უჭერს კასტროს პატრიოტული ძალების თავგანწირულ ბრძოლას, მოუწოდებდა ხალხს, რათა ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლებისათვის მხარი დაეჭირათ და მათთან ერთად საბრძოლველად გაერთიანებულიყვნენ დიქტატორული და პროიმპერიალისტური რეჟიმის დასამხობად. ეს გადაცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა კუბაში და მას ასი ათასობით კაცი უსმენდა. კასტროს პარტიზანებში თავი მოიყარა მრავალმა კომუნისტმა მოხალისემ, რომელთაგან ბევრი უბრალო მებრძოლი ან შენაერთების მეთაური იყო. ასე თანდათანობით ხდებოდა ამ ორი ძალის ურთიერთ შერწყმა და ქვეყნის განთავისუფლებისათვის ერთიანი ძალით ბრძოლის დაწყება.

1958 წლის მარტში რაულ კასტრომ. 86 თანამებრძოლთან ერთად ბრძოლით გაიარა ბატისტას ჯარების კონტროლის ქვეშ არსებული გზა სერა მაესტრას ბანაკიდან სერა დელ კრისტალის მთებამდე და შექმნა „ორიენტეს მეორე ფრონტი". ეს „მეორე ფრონტი" გადაჭიმული იყო 15 ათასი კვ კმ-ის ფართობზე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. „ორივე ფრონტის" ტერიტორიაზე შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები და მრავალრიცხოვანი რევოლუციური ჯარები, რომლის ძირითად მასას, სტუდენტებთან, კომუნისტებთან და მუშებთან ერთად გლეხობა შეადგენდა. ეს უკანასკნელნი კმაყოფილნი იყვნენ რევოლუციური ხელისუფლების მიერ გატარებული აგრარული რეფორმით, მემამულეთა და იმპერიალისტური ლაქიების მიწების მათ შორის განაწილებით, მხარს უჭერდნენ „26 ივლისის მოძრაობას" და ხალისით შედიოდნენ პარტიზანულ რაზმებში. მალე „ორივე ფრონტის" ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი რევოლუციური ჯარები, რომელიც გაძლიერებით ემზადებოდა ბატისტას რეჟიმის დამხობისათვის.

თვითონ ქვეყნის შიგნით მრავალი სხვადასხვა სახის იატაკქვეშა მოქმედი ორგანიზაციები და სახალხო-სოციალისტური პარტია კასტროს მებრძოლებს ყოველ მხრივ დახმარებას და მხარდაჭერას უწევდნენ. ბატისტას წინააღმდეგ მებრძოლთა ძალებმა ისეთ საშიშ მასშტაბებს მიაღწია, რომ ბატისტას დიქტატურა ვეღარ ართმევდა თავს მათ წინაღმდეგ ბრძოლას. ქვეყანაში ძლიერდებოდა საგაფიცვო მოძრაობა.

ჯერ კიდევ 1957 წლის 25 ოქტომბერს კუბის ბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელები, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ პატრიოტული ძალების გავლენის ზრდითა და მათი ბრძოლის წარმატებებით, შეიკრიბნენ მაიამაში (აშშ) და დადეს „მაიამას პაქტი", ვითომცდა ბატისტას რეჟიმსა და ფიდელ კასტროს მომხრეებს შორის შუამავლის როლის შესრულებისათვის. ასეთი გზით ბურჟუაზიული პარტიის ლიდერებს უნდოდათ ხელში აეღოთ მოძრაობის ხელმძღვანელობა და აშშ-ის მთავრობა დაერწმუნებინათ იმაში, რომ ბატისტას რეჟიმი განწირული იყო და თვითონ მათ მიერ ხელისუფლების ხელში აღებით ქვეყანას დაამშვიდებდნენ და ბურჟუაზიულ წყობილებას გადაარჩენდნენ. მაგრამ ფიდელ კასტრომ „26 ივლისის მოძრაობის" სახელით სასტიკად დაგმო ეს გამყიდველური აქტი და გამოააშკარავა მისი პროამერიკული და ანტიკომუნისტური ხასიათი. ბურჟუაზიული პარტიების ლიდერების გეგმები ჩაიშალა. სახალხო-სოციალისტური პარტიის წევრები გმირულად იბრძოდნენ კასტროს პარტიზანულ რიგებში და, ამასთანავე ფართო მოღვაწეობას ეწეოდნენ ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, მშრომელი მასების აქტიურად ჩაბმისათვის. აღნიშნული პარტია ცდილობდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაეკავშირებინა პარტიზანული ბრძოლა საგაფიცვო და სხვა სახის სახალხო ბრძოლის ფორმებთან. ბრძოლის ასეთი ტაქტიკის გზას თანდათნობით დაადგნენ „26 ივლისის მოძრაობის" ხელმძღვანელებიც ფიდელ კასტროს მეთაურობით.

1958 წლის 12 მარტს კასტრომ კუბელ ხალხს მიმართა მანიფესტით, რათა საყოველთაო ომი დაეწყოთ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. მანიფესტში ცხადდებოდა მუშათა კლასის საყოველთაო გაფიცვის მომზადების შესახებ, რომელიც დანიშნული იყო 9 აპრილისათვის. აჯანყება და გაფიცვა 9 აპრილს ერთდროულად უნდა დაწყებულიყო. მართალია, ეს თარიღი საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ იგი გასცეს და მთავრობა მომზადებული შეხვდა მას.

სახალხო-სოციალისტური პარტია აქტიურად შეუდგა საყოველთაო გაფიცვის მომზადებას. ფაბრიკებში, ქარხნებში, შაქრის პლანტაციებში და ა. შ. შეიქმნა 500-ზე მეტი საგაფიცვო კომიტეტი. მაგრამ რეფორმისტები და გამთიშველები ხელს უშლიდნენ საყოველთაო გაფიცვის მოწყობას და იმას მიაღწიეს, რომ იგი ჩაშალეს. გაფიცვა 9 აპრილს მოხდა მხოლოდ ზოგიერთ ადგილას, მაგრამ მთავრობის ჯარებმა ბარბაროსულად ჩაახშო იგი. მის წინააღმდეგ გამოიყვანა ტანკები და თვითმფრინავები. საყოველთაო გაფიცვის ჩაშლამ უარყოფითი გავლენა მოახდინა აჯაყების წარმატებაზე. "26 ივლისის მოძ-

რაობის“ ორგანიზაციამ 9 აპრილს ჰავანაში მოაწყო შეიარაღებული გამოსვლა, რომლის დროსაც პატრიოტებმა ხელთ ჩაიგდეს რადიოსადგური და მიმართეს ხალხს, დაუყოვნებლივ დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა. პატრიოტები თავს დაესხნენ აგრეთვე არსენალს და სხვა სტრატეგიულ პუნქტებს, მაგრამ მთავრობა მომზადებული იყო. ეს გამოსვლაც სწრაფად იქნა ლიკვიდირებული.

ამ წარუმატებლობამ დაბნეულობა გამოიწვია პატრიოტებში. ბატისტა ცდილობდა ესარგებლა შემთხვევით და გაენადგურებინა რევოლუციის კერები. სიერა მაესტრას ბანაკის წინააღმდეგ მთავრობამ დასძრა ავიაციით, არტილერიით და ტანკებით შეიარაღებული 12 ათასიანი არმია. 28 მაისს მთავრობის ჯარებმა სასტიკად დაბომბეს აჯანყებულთა ბაზა და 30-ზე მეტი იერიში მიიტანეს პატრიოტების პოზიციებზე. მაგრამ კასტროს პარტიზანებმა, არა თუ მოიგერიეს, არამედ დიდი ზარალი მიაყენეს ბატისტას ჯარებს. მთავრობის ჯარების მარცხმა აღაფრთოვანა პატრიოტები. ამან ბატისტას დამსჯელ ჯარებში სრული დეზორგანიზაცია შეიტანა, დაიწყო მასობრივი დეზერტირობა, როგორც ჯარისკაცებს, ასევე ოფიცრებს შორის.

მთავრობის ჯარების დამარცხების შემდეგ დაბნეულობამ უკვე ბატისტას რეჟიმის მომხრეებშიც იჩინა თავი. რამაც დააჩქარა დიქტატორული რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგის გაერთიანება.

1958 წლის ივლისში, ვენესუელას ქალაქ კარაკასში შეიკრიბნენ კუბის ოპოზიციონერთა წარმომადგენლები, რომელშიც მონაწილეობდნენ „26 ივლისის მოძრაობის“ წარმომადგენლები, სტუდენტთა ორგანიზაციები და სხვები. აქ შეიქმნა „სამოქალაქო რევოლუციური ფრონტი“, რომელიც ბატისტას დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში უნდა ჩამდგარიყო. პრეზიდენტად აირჩიეს ბატისტას მიერ კუბიდან განდევნილი ზომიერი ბურჟუაზიული რესპუბლიკელი, იურისტი მანუელ ურუტია. ამ ფრონტს მხარი დაუჭირა აგრეთვე სახალხო-სოციალისტურმა პარტიამ.

ბატისტას დამსჯელი ჯარების განადგურების შემდეგ 1958 წლის ივლისიდან პარტიზანთა არმია, რომელთა რიგები თითქმის 10 ათასამდე გაიზარდა, გადადის შეტევაზე და მოკლე ხნის განმავლობაში დიდ წარმატებებსაც აღწევს. ეს წარმატებები უპირველეს ყოვლისა ხალხის საყოველთაო მხარდაჭერის შედეგი იყო. „26 ივლისის მოძრაობის“ მიერ განთავისუფლებულ რაიონებში განხორციელებული სოციალ-ეკონომიური გარდაქმნითი ღონისძიებები ხალხთა მასებს არწმუნებდა, რომ ფიდელ კასტროს მომხრეები მიზნად ისახავდნენ ქვეყნის არა მარტო ეროვნულ, არამედ სოციალურ განთავისუფლებასაც. 1958 წლის 10 ოქტომბერს კასტრომ სიერა მაესტრეში ხელი მოაწერა № 3 კანონს „მიწაზე გლეხთა უფლებების

შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა გლეხთა შორის მიწების დანაწილებას და 1940 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული ლატიფუნდიების ლიკვიდაციას. ამ კანონის გამოცემის შემდეგ გლეხობა „26 ივლისის მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი გახდა. მუშათა კლასიც ძლევდა თავის რიგებში რეფორმიზმს და ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. თანდათანობით ყალიბდებოდა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, რომელიც ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ კავშირის შექმნასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სახალხო-სოციალისტურმა პარტიამ.

პატრიოტების წარმატებები დიდ შეშფოთებას იწვევდა აშშ-ის მმართველ წრეებში. ისინი ბატისტას აწვდიდნენ სულ ახალ და ახალ ტანკებს, თვითმფრინავებს და ყველა სახის იარაღს, მაგრამ დიქტატორის არმია მთლიანად დეზორგანიზებული იყო. ამ არმიის ჯარისკაცებიც და ოფიცრებიც ხედავდნენ, რომ კუბელი ხალხი მათდამი საყოველთაო სიძულვილით იყო განწყობილი. ამიტომ მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ბატისტას რეჟიმის დაცვისა და მითუმეტეს მისთვის თავის განწირვისა. თვით ბატისტას არმიის ჯარისკაცებში პოპულარული იყო ფიდელ კასტროს ლეგენდარული სახელი და ამიტომაც ისინი სულ უფრო იხრებოდნენ და ხშირად ჯგუფ-ჯგუფადაც გადადიოდნენ მის მხარეზე, ან წინააღმდეგობას არ უწევდნენ მას. ასეთ ვითარებაში აშშ-ის მმართველმა წრეებმა ბატისტას რეჟიმის გადარჩენა გადაწყვიტეს ფარული ინტერვენციის გზით. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ბრძანებით გუანტანამოს ბაზის წყლის მომარაგების დაცვის მომიზეზებით ორიენტეს პროვინციაში 1958 წლის ივლისსა და სექტემბერში გადასხმულ იქნა აშშ-ის საზღვაო-სადესანტო ნაწილები. მაგრამ, ამერიკის მიერ ინტერვენციის დაწყების განზრახვამ კუბაში, ლათინურ ამერიკაში და თვით აშშ-ში ისეთი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მთავრობა იძულებული გახდა თავისი სადესანტო ნაწილები უკან გაეყვანა.

1958 წლის ნოემბერ-დეკემბერში აჯანყებულები უკვე გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდნენ მთელი კუბის ტერიტორიაზე. დეკემბრის ბოლოსათვის მათ ხელთ ჩაიგდეს ჰავანის გზაზე მდებარე ქალაქი სანტა-კლარა. კუბის რეაქცია აშშ-ის მხარდაჭერით შეეცადა პატრიოტთა ჯარების დედაქალაქში შესვლისათვის ხელის შეშლას. ამ მიზნით ბატისტას ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა კანტალონიომ მოლაპარაკება გამართა კასტროსთან და დათანხმდა ბატისტას დაპატიმრებასა და კაპიტულაციაზე, მაგრამ მან ბატისტა ჰავანიდან გააპარა, თვითონ სამხედრო გადატრიალება მოაწყო და დროებითი ხუნტა შექმნა.

ამის საპასუხოთ კასტრომ გასცა ბრძანება ჰავანაზე იერიშის

დაწყების შესახებ, ხოლო დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდა დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა. მართლაც, ჰავანაში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, ხოლო პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მასზე და 1959 წლის 2 იანვარს დედაქალაქში შევიდნენ.

კუბის რევოლუციამ ნათელყო დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების ურთიერთკავშირი. რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია, რომლებიც ბრძოლის პერიოდში გაერთიანდნენ პატრიოტულ, დემოკრატიულ ფრონტში. ვინაიდან სახალხო-სოციალისტური პარტია განიცდიდა მხეცურ დევნას და არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამის გამო რევოლუციაში ხელმძღვანელი როლი ითამაშეს ანტიიმპერიალისტურმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ და სტუდენტობამ, რომლებიც ახლოს იდგნენ მარქსისტულ პოზიციებთან. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სახალხო-სოციალისტური პარტია გვერდზე იდგა ამ რევოლუციური პროცესიდან. მხეცური დევნის მიუხედავად ამ პარტიის კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ დიქტატურის წინააღმდეგ საბრძოლველად მასების მობილიზაციაში და იარაღით ხელში თვითონაც იბრძოდნენ კასტროს პარტიზანულ ნაწილებში, ისინი აქ ხელმძღვანელობდნენ პარტიზანულ შენაერთებს და ერთდროულად რევოლუციური ახალგაზრდობის იდეურ აღზრდასაც ეწეოდნენ. ამრიგად, კუბის რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციის ხელმძღვანელები ახლოს იდგნენ მარქსიზმთან, მაგრამ ისინი ნამდვილი მარქსისტები არ იყვნენ. არც მუშათა კლასი, განსაკუთრებით სამრეწველო პროლეტარიატი, არ იყო რევოლუციის ჰეგემონი. იგი რევოლუციის სხვა მამოძრავებელ ძალებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ პროლეტარიატი ამ რევოლუციის ხელმძღვანელ, ჰეგემონის დონემდე არ ამაღლებულა. ამ რევოლუციაში ბრძოლის ძირითადი ფორმა იყო პარტიზანული და შეიარაღებული გამოსვლები. აჯანყებაში ძირითადად მონაწილეობდა რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენცია და სტუდენტობა, ხოლო პარტიზანული ნაწილების საფუძველს წარმოადგენდა მუშათა კლასსა და გლეხობაზე დაფუძნებული კავშირი. ამ რევოლუციის თავისებურება ბოლოს ისიც იყო, რომ ბრძოლის ფორმებად რევოლუციონერები იყენებდნენ აგრეთვე ინდივიდუალური ბრძოლის ტაქტიკას, მაგრამ იგი შერწყმული იყო მასების აქტიურ მხარდაჭერასთან და გამოსვლებთან.

კუბის რევოლუციამ ამერიკის კონტინენტზე შექმნა პირველი თავისუფალი ქვეყანა და დაამტკიცა, რომ ხალხს, რომლის რევოლუცი-

ური შეგნება მომწიფდა, შესწევს ძალა, მიაღწიოს [illegible] დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, დაიბრუნოს უკან უცხოური მონოპოლისტების მიერ მიტაცებული თავისი ეროვნული სიმდიდრე.

კუბის რევოლუციამ ლათინურ ამერიკაში გაწყვიტა ჩაგვრის ჯაჭვი და შექმნა ამერიკის კონტინენტზე პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რითაც დედამიწის დასავლეთ სფეროში რევოლუციური მოძრაობის ახალი ეტაპი დამკვიდრდა. ამ რევოლუციის გამარჯვებამ დასაბამი მისცა დემოკრატიული და ანტიიპერიალისტური მოძრაობის რევოლუციური პროცესის განვითარებას, რომელც საბოლოო ჯამში სოციალიზმის გზისაკენ მიდის.

დემოკრატიული გარდაქმნები

ჰავანაში რევოლუციური ჯარების შესვლის შემდეგ ბატისტას რეჟიმის დროს მოწვეული კონგრესი დაითხოვეს, დიქტატურის მომხრეები და აგრეთვე ე. წ. დრობითი მთავრობის წევრები დააპატიმრეს, პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს და გამოცხადდა სიტყვის, პრესის, კავშირებისა და პარტიების თავისუფლება. ლიკვიდირებულ იქნა ბატისტას რეჟიმის დროს შექმნილი რეპრესიის ორგანოები. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ბატისტას რეჟიმთან თანამშრომლობდნენ, აიკრძალა, ხოლო ბატისტას ჯალათები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ ათასობით პატრიოტების დასჯაში, რევოლუციურმა სასამართლომ გაასამართლა და სათანადო სასჯელი დაადო. პოლიტიკური უფლებები 30 წლის ვადით აეყარა ყველა იმათ, ვინც ადგილობრივ მმართველ ორგანოებში ბატისტას რეჟიმს ემსახურებოდა.

ძველი სახელმწიფოს პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატი ლიკვიდირებულ იქნა, ძველი არმია დაითხოვეს. იგი გაიწმინდა რეაქციული ოფიცრობისაგან. შეიქმნა ახალი რევოლუციური შეიარაღებული ძალები, რომელიც მხოლოდ მშრომელთა მასებისაგან შედგებოდა. პოლიციის ნაცვლად შეიქმნა სახალხო მილიცია. გაიწმინდა სასამართლო და ადმინისტრაციული აპარატი. გატარდა ღონისძიებანი მშრომელთა მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, გაეზარდათ ხელფასი დაბალხელფასიან კატეგორიის მუშებსა და მოსამსახურეებს. მკვეთრად შემცირდა ბინის ქირისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ტარიფები. გლეხებს გადაეცათ ბატისტასა და მისი მომხრეების მფლობელობაში კონფისკებული და აგრეთვე სახელმწიფო მიწები. გადაისინჯა ბატისტასა და მანამდე არსებული რეჟიმის მიერ ამერიკის ფირმებთან დადებული არახელსაყრელი კონტრაქტები.

მაგრამ ეს ღონისძიებები შეზღუდული იყო და იგი მკვეთრად ვერ

აუმჯობესებდა მშრომელთა მასების მატერიალურ მდგომარეობას, რაც უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ რევოლუციის პირველ დღეებში, 1959 წლის 19 თებერვალს მთავრობის და სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

კარაკასის პაქტის საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ურუტიამ, რომელმაც პრემიერ-მინისტრად დანიშნა ადვოკატი მირო კორდონა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად—აგრამ ონტა. ყველა ესენი აშშ-ის ორიენტაციის მომხრენი იყვნენ. კასტრო არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. ბურჟუაზიული მთავრობა, გარდა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა, შემდგომი გარდაქმნების წინააღმდეგი იყო და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაეშვა რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. რაც შეეხება ხალხს იგი მოითხოვდა რევოლუციის შემდგომ გაღრმავებას, უცხოური და საშინაო კაპიტალის ბატონობის მოსპობას, ლატიფუნდიების კონფისკაციას და ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარებას. ხალხთა ამ მოთხოვნებს მხარს უჭერდა რევოლუციური არმია კასტროს მეთაურობით. ორივე ძალებს შორის თავიდანვე მტრული. ანტაგონისტური ურთიერთობა დამყარდა. თვით „26 ივლისის მოძრაობის" ორგანიზაციაში და „რევოლუციურ დირექტორატში" იყვნენ ისეთი ხელმძღვანელებიც. რომლებსაც როგორც შემდეგ გამოირკვა, სოციალისტური წყობილებისადმი მტრული პოზიცია ეკავათ.

ფაქტიურად ქვეყანაში დამყარდა ორხელისუფლებიანობა — ბურჟუაზიული კაბინეტი და რევოლუციური არმიის ხელმძღვანელობა. ამ უკანასკნელში უმრავლესობას წარმოადგენდნენ ანტიიმპერიალისტები და დემოკრატები, რომლებიც ქვეყნის მთლიანი განთავისუფლებისა და ღრმა გარდაქმნების მტკიცე პოზიციებზე იდგნენ. თავდაპირველად ორხელისუფლებიანობა ხელსაყრელი გამოდგა, ვინაიდან აშშ-ის იმპერიალისტები იმედოვნებდნენ ბურჟუაზიული კაბინეტის არსებობის ვითარებაში თავისი პოზიციებისა და კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებაზე კუბაში. ამიტომ აშშ მაშინვე არ ჩაერია კუბის საქმეში.

ორხელისუფლებიანობა მალე დამთავრდა. 1959 წლის 19 თებერვალს პრემიერ-მინისტრი კორდონა გადადგა იმ მოტივით, რომ იგი არ იყო თანახმა რევოლუციური გარდაქმნებისა. მისი ადგილი დაიკავა კასტრომ. ივლისში გადადგა — პრეზიდენტი ურუტია და მისი ადგილი დაიკავა ოსვალდო დორტიკოს ტორრადომ. ამის შემდეგ ქვეყანაში დამყარდა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური დიქტატურა, რამაც რევოლუციურ ძალებს საშუალება მისცა დასდგომოდნენ ღრმა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდქმნითი ღონისიძებების განხორციელების გზას. ამ გზამ გაიარა

სამი ეტაპი: საერთო დემოკრატიული, რევოლუციურ-დემოკრატიული, და სოციალისტური.

რევოლუციის გამარჯვებისას სახელმწიფო სექტორი სუსტი იყო და ძირითადად ეკავა შემდეგი დარგები — ბანკები, რკინიგზის ტრანსპორტი, საზღვაო ნავსადგურები. წარმოების სფეროს ყველა დარგში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა საზღვარგარეთისა და ეროვნულ კაპიტალს. რევოლუციურმა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო განიავებული სახელმწიფო ხაზინა.

სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო სექტორის შექმნისა და გაფართოებისათვის ერთგვარ საწყის ბაზად გადაიქცა ბატისტას, მისი მომხრეების და აგრეთვე იმ პირების ქონების კონფისკაცია, რომლებიც არაკეთილსინდისიერი გზით, ან თანამდებობების გამოყენებით გამდიდრდნენ. ამ მიზნით შეიქმნა არაკეთილსინდისიერი გზით შეძენილი ქონების ჩამორთმევის სამინისტრო, რომელმაც განახორციელა ზემოთ ჩამოთვლილთა ქონების კონფისკაცია. ამ ღონისძიების გატარების შედეგად სახელმწიფო გადაიქცა მთლიან მესაკუთრედ ან საქმიან მონაწილედ ეკონომიკის ძირითად დარგებში — შაქრის ლერწმის პლანტაციებისა და შაქრის წარმოებისა, საბანკო საქმის, მომსახურების სფეროსი და ა. შ.

რევოლუციური მთავრობა უკვე 1959 წლის გაზაფხულიდან შეუდგა მრეწველობის წამყვან დარგებში სახელმწიფო საწარმოების შექმნასა და განვითარებას.

1959 წლის ნოემბერში შეიქმნა კუბის ნავთის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო: ნავთის ძიება, მოპოვება, გადამუშავება, განაწილება, ტრანსპორტირება, ყიდვა და გაყიდვა; ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარება; ყველა იმ საწარმოების მართვა, რომლებიც აღნიშნულ ამოცანებს ახორციელებდნენ. 1960 წლიდან იწყება მეტალურგიული საწარმოების რეკონსტრუქცია და გაფართოება.

ეს პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე ნავთის ძიებისა და მოპოვების საქმის გაფართოებას კონცესიონერების მიერაც იმ პირობით, თუ ისინი შეასრულებდნენ კანონით დადგენილ ნორმატივებს. კონცესიების ნაწილობრივ შენარჩუნება საშუალებას იძლეოდა უზრუნველყოფილიყო ნავთის მრეწველობის აღმავლობა, წარმოების დაცემის თავიდან აცილება ორგანიზაციული საქმიანობის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა გარდამავალ პერიოდს. რევოლუციური მთავრობა ასეთნაირად უდგებოდა სახელმწიფო სექტორის შექმნის საქმეს მრეწველობის სხვა დარგებშიც.

რევოლუციური მთავრობის გეგმაში თავდაპირველად არ შედიოდა მრეწველობაში კერძო სექტორის გასახელმწიფოებრივება. იმ პერიოდ-

ში მთავარი ამოცანა ის იყო, რომ მოსპობილიყო მშრომელთა ექსპლუატაციის პირობები და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ყოფილიყო წარმოების ურთიერთობანი, ე. ი. ურთიერთობანი შრომასა და კაპიტალს შორის.

1960 წლის ოქტომბერში მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაციის დროს გამოცხადდა, რომ წვრილ და საშუალო საწარმოებს აუცილებლად უნდა მიეცეს გარანტიები და სხვადასხვა საშუალებით ხელი შეეწყოს მის ნორმალურ განვითარებას, რაც უნდა შეესაბამებოდეს ერის ინტერესებს. ჯერ კიდევ 1959 წლის თებერვალში კასტრომ მოუწოდა კერძო კაპიტალს ეთანამშრომლა სახალხო მთავრობასთან და შერიგებოდნენ იმ გარდაქმნებს, რომელიც ქვეყანაში ტარდებოდა. კასტრომ განაცხადა: „ვინც არ შეურიგდება, ის დაიღუპება“.

კასტრომ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებისას განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ, განვახორციელოთ ყოველგვარი დაცვითი ღონისძიება, — რომელიც საჭირო იქნება, მხოლოდ ერთი პირობით: საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ მუშათა მაღალი ხელფასი“. 1959—1960 წლებში მთავრობის მიერ მიღებული ყველა კანონი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეროვნული კერძო კაპიტალის მოღვაწეობისათვის. ეროვნული მრეწველობის დაცვა ხორციელდებოდა იმპორტის რეგულირების მეშვეობით და მთელი რიგი სხვა ღონისძიებებით. მაგრამ კერძო კაპიტალის მიზიდვა რევოლუციურ მთავრობასთან თანამშრომლობაში არ ნიშნავდა მისი მოღვაწეობის შეუზღუდავ გაფართოებას აუბის ეკონომიკის კერძო სექტორში. ამასთანავე, რევოლუციურმა მთავრობამ პირველსავე დღეებში განაცხადა, რომ იგი ითანამშრომლებს მხოლოდ საშუალო და წვრილ საწარმოებთან. კერძო მონოპოლიები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კანონგარეშედ გამოცხადდა.

1959 წლის 7 თებერვლის კანონით გაუქმდა ყველა მანამდე მიღებული კანონი და განკარგულება, რომლებიც მონოპოლიების ან წარმოებისა და ვაჭრობის ისეთ რეგულირებას ახდენდა, რაც მონოპოლიების შექმნასა და მონოპოლიური კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას იწვევდა. ამ კანონის შესაბამისად რევოლუციურმა მთავრობამ განახორციელა ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდა აშშ-ის მონოპოლიების ბატონობის მოსპობას მრეწველობასა და საბანკო საქმეში. შემოღებულ იქნა საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. 1960 წლის აგვისტოში ნაციონალიზებულ იქნა უცხო კაპიტალის ხელში მყოფი ელექტრონისა და ტელეფონის კომპანიები. ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, 36 უმსხვილესი შაქრის ქარხანა და 26 სხვადასხვა სახის კომპანია. კუბის მთავრობა წინადადებას იძლეოდა ნაციონალიზებული საწარმოების საკუთრება აენაზღაურებინა 30

წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდებით და აშშ-ის შაქრის მიყიდვისაგან 25 პროცენტის ოდენობით.

მაგრამ აშშ-ის მთავრობამ უარყო კუბის მთავრობის ეს წინადადება და შეწყვიტა შაქრის შესყიდვა და მისთვის ნავთის მიწოდება. ამის საპასუხოდ კუბის მთავრობამ მოახდინა აშშ-ის ყველა ბანკის ფილიალების ნაციონალიზაცია.

1960 წლის 19 თებერვალს აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კუბაში ექსპორტი მთლიანად შეეწყვიტა, რაც თავისუფლების კუნძულის ეკონომიური ბლოკადის დაწყებას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ კასტროს მთავრობამ მოახდინა კუბაში არსებული აშშ-ის ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების ნაციონალიზაცია. ამის შედეგად კუბის სახელმწიფოს ხელში გადავიდა თავისუფლების კუნძულზე არსებული აშშ-ის მონოპოლიების მთელი ქონება, რომელიც 1 მლრდ დოლარის საერთო ღირებულებას შეადგენდა.

ქვეყნის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ რეფორმას, რომელიც ტარდებოდა პარალელურად მრეწველობასა და საბანკო საქმეში, აშშ-ის მონოპოლიების პოზიციების ლიკვიდაციასთან ერთად.

1959 წლის 17 მაისს მიღებულ იქნა კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. იგი ითვალისწინებდა მემამულეთა ლატიფუნდიების ლიკვიდაციას, საზღვარგარეთის მონოპოლიების მიწის საკუთრების კონფისკაციას და აშშ-ის კაპიტალის განდევნას სოფლის მეურნეობიდან. მიწები, რომლებიც ჩამოერთვათ მემამულეებსა და საზღვარგარეთის მონოპოლიებს, უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს გადაეცათ უფასოდ. ჩამორთმეულ მიწებზე იქმნებოდა გლეხთა წვრილი მეურნეობა და კოოპერატივები. წვრილ გლეხთა მეურნეობის „მინიმალურ სასიცოცხლო“ მფლობელობად დაწესდა 2 კაბალიერო მიწა[1].

კანონი ითვალისწინებდა საშუალო გლეხთა მეურნეობის განმტკიცებას და მათთვის 5 კაბალიერო (ე. ი. 67 ჰექტარის) მიწის მფლობელობას აწესებდა. ორივე გლეხთა მეურნეობის, წვრილისა და საშუალოს ხელში იყო მიწების 24,1% და შეადგენდა ქვეყნის კერძო მეურნეობის 89%-ს.

რევოლუციურმა მთავრობამ მსხვილი სოფლის მეურნეობის ფერმები მხოლოდ შეზღუდა იმ მიზნით, რომ არ შემცირებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და უზრუნველეყოთ ქალაქი და მრეწველობა სოფლის მეურნეობის პრდუქტებით და ნედლეულის მომარაგებით. კანონი ლატიფუნდიების მიწის მაქსიმალურ ოდენობად აწესებდა 30 კაბალიერს, ე. ი. 400 ჰექტარამდე მიწას, ხოლო დანარჩენი უნდა ექსპროპრიირებულიყო. ასეთი კაპიტალისტური ფერ-

[1] ერთი კაბალიერო უდრის 13,4 ჰექტარს.

მები შეადგენდა ქვეყნის მთელი კერძო ფერმების 2,8%-ს. აგრარული რეფორმით ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო დაშვებული იყო უფრო მსხვილი ფერმების შენარჩუნებაც—100 კაბალიეროს, ე. ი. 1340 ჰექტარის ფართობით, თუ რა თქმა უნდა, იგი ეკონომიურად მიზანშეწონილი იყო. მაგრამ ასეთი მსხვილი ფერმები რჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ მფლობელები არ იყვნენ ბატისტას მომხრენი და თავი არ ჰქონდათ შერცხვენილი მასთან თანამშრომლობით, მიწა უკანონოდ არ ჰქონდათ შეძენილი და ითანამშრომლებდნენ რევოლუციურ მთავრობასთან. გარდა ამისა, მსხვილ ფერმებს ეძლეოდათ მიწის დაშუშავებისას დაქირავებული შრომის გამოყენების უფლება, მაგრამ ეკრძალებოდათ მიწის იჯარით გაცემა და ან სხვა პირებისათვის გადაცემა.

აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მსხვილ ლატიფუნდიებს ჩამოერთვათ ქვეყნის დასამუშავებელი მიწების 57%. აგრარული რეფორმის გატარება უშუალოდ კანონის გამოცემისთანავე დაიწყო და 1960 წლის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდა, რომლის შედეგად იმპერიალიზმის ბატონობის მთავარი დასაყრდენი კუბაში — ლატიფუნდიზმი ლიკვიდირებულ იქნა. სოფლად მოისპო აგრეთვე კერძო შუამავლობა, იჯარის სხვადასხვა ფორმები და სხვადასხვა ნახევრად ფეოდალური გადმონაშთები.

კუბის რევოლუციური მთავრობის გადაწყვეტილება, რომ მსხვილი კაპიტალისტური ფერმერული მეურნეობა ჩაეყენებინა ქვეყნის სამსახურში, არ ნიშნავდა ასეთი მეურნეობის დიდი ხნით შენარჩუნებას სოფლის მეურნეობის სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურაში, ვინაიდან იგი ბაზა გახდებოდა წარსულისაკენ დასაბრუნებლად. ასეთი გადაწყვეტილების მთავარი მიზანი იყო ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

აგრარული რეფორმის გატარების დროს ექსპროპრირებული მიწების ნაწილზე იქმნებოდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივები, სოფლის მეურნეობის საწარმოები და აგრეთვე კომპლექსური მეურნეობები. თავდაპირველად ისინი კოოპერატივების, შემდეგ სახალხო მამულებისა და კოოპერატივების სახელწოდებას ატარებდნენ. ეს მეურნეობები იყო სახელმწიფო სექტორი სოფლად.

აგრარული რეფორმის გატარების დროს ექსპროპრიირებული მისოფლად მეურნეობის შემდეგნაირი სტრუქტურა შეიქმნა: საბელმწიფო სექტორის ხელში იყო ქვეყნის სახნავი და საძოვარი მიწების 41 პროცენტი, წვრილ და საშუალო გლეხთა მეურნეობის ხელში იყო მიწების 39%, ხოლო მიწების 2% კი ეკუთვნოდა დანარჩენ მესაკუთრეებს.

ეკონომიკის მრავალი სექტორის შექმნამ შესაძლებელი გახადა გადაჭრილიყო გარდამავალი პერიოდის ურთულესი პრობლემის უმ-

ნიშვნელოვანესი საკითხი — მოსახლეობის სხვადასხვა კლასების და ფენების თანამშრომლობა და პოლიტიკური ერთიანობა. მრავალ სექტორული ეკონომიკის პირობებში საკუთრების ისეთი სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა, როგორიც იყო — სახელმწიფო, კერძო, შერეული და კოოპერატიული, აუცილებელი იყო. მაგრამ ყველა ამ ფორმებში სახელმწიფოს ხელმძღვანელი პოზიციები უზრუნველყოფილი იყო. ლატიფუნდიებისა და აშშ-ის მონოპოლიების პოზიციების ლიკვიდაციამ ქვეყნის ეკონომიკაში დიდი შეშფოთება გამოიწვია კუბის სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიულ ფენებს შორის, რომლებიც ერთდროულად მსხვილი კაპიტალისტებიც და მსხვილი მემამულეებიც იყვნენ და, რაც მთავარია, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული აშშ-ს მონოპოლიებთან. კუბის ბურჟუაზია თავდაპირველად მთავრობის დეკრეტებს საბოტაჟს უცხადებდა. შემდეგ კი აშკარა კონტრრევოლუციურ მოქმედებაზე გადავიდა. რევოლუციური მთავრობის გეგმაში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავდაპირველად, გარდა მსხვილი მონოპოლიების ბატონობის ლიკვიდაციისა, არ შედიოდა კერძო მრეწველობის გასახელმწიფოებრივება, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ აიძულა მთავრობა, 1960 წლის ოქტომბერში მიეღო კანონი მსხვილი ეროვნული კაპიტალის კუთვნილებაში მყოფი 382 საწარმოს, მათ შორის 105 შაქრის ქარხნის ნაციონალიზაციის შესახებ. ნაციონალიზებულ იქნა რკინიგზები, ელექტროსადგურები, კერძო ბანკები, მსხვილი მაღაზიები.

ეს ახალი ღონისძიებები, ადრე გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, გამოდიოდა საერთო დემოკრატიული გარდაქმნების ჩარჩოებიდან და ატარებდა სოციალისტურ ხასიათს.

აშშ-ს იმპერიალიზმის მტრული მოქმედებანი კუბელი ხალხის წინააღმდეგ

აშშ-ის მონოპოლიების პოზიციების ლიკვიდაციას კუბაში ამერიკის მთავრობამ უპასუხა ძირგამომთხრელი მოქმედებით და აშკარა ძალის გამოყენებით თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ. 1961 წლის იანვარში აშშ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან და შეუდგა ინტერვენციისათვის აშკარა მზადებას. აშშ-ში შეიქმნა კუბის ემიგრანტული მთავრობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის მირო კორდონას მეთაურობით. ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სამმართველომ შეიმუშავა კუბის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობის გეგმა გვატემალასა და ნიკარაგუას ტერიტორიიდან. ამ მიზნით ამ ქვეყნებში თავი მოუყარეს კუბიდან გაქცეულ და განდევნილ ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერებს და, შეაიარაღეს რა ისინი თავიდან

ფეხებამდე, დაიწყეს მათი ინტენსიური მზადება კუბაში გადასასხმელად.

1961 წლის 15 აპრილს ამერიკის ბომბდამშენებმა, იმ მიზნით, რომ დაეშინებინათ და დაძაბული ვითარება შეექმნათ თავისუფლების კუნძულზე, დაბომბეს ჰავანა და სხვა მრავალი ქალაქი, ხოლო 17 აპრილს შეიარაღებული კონტრრევოლუციური ბანდები ამერიკის თვითმფრინავებისა და გემების მეშვეობით გადასხეს პლაია იდარგასა და პლაია ჰირონის ყურეში. 72 საათის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ კუბის რევოლუციურმა ჯარებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციური, იმპერიალისტების მიერ დაქირავებული ბანდები. მაგრამ ამ მარცხმა როდი შეაჩერა აშშ-ის იმპერიალისტები, პირიქით გააძლიერა მათი აგრესია კუბელი ხალხის წინააღმდეგ. აშშ-ის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ამერიკა იმუქრებოდა, რომ იგი იმოქმედებდა ყოველგვარი საშუალებით, თვით იარაღის გამოყენებამდე. აშშ-ის პრესამ გააჩაღა პროპაგანდა კუბელი ხალხის წინააღმდეგ. 1962 წლის იანვარში აშშ-ის წინადადებით მოიწვიეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის თათბირი, რომელმაც გადაწყვეტლება მიიღო ამ ორგანიზაციიდან კუბის გარიცხვის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ამერიკის იმპერიალიზმის ასეთმა პოზიციამ კუბის მთავრობა აიძულა სათანადო ღონისძიებები მიეღო ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ასეთ რთულ ვითარებაში კუბელ ხალხს გვერდში ამოუდგა მთელი სოციალისტური ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. საბჭოთა მთავრობამ დიდი დახმარება გაუწია კუბას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. აშშ-ის მთავრობამ კუბას მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენა, რომლებითაც ცდილობდა შეეზღუდა კუბის თავდაცვის საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომით იმუქრებოდა. 1962 წლის ოქტომბერში აშშ-ის მთავრობამ გამოაცხადა კუბის სამხედრო-საზღვაო ბლოკადა, რაც მის უფლებათა ფარგლებს სცილდებოდა და ამიტომ კონფლიქტმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო. შეიქმნა ატომური ომის საშიშროება, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მტკიცე პოზიციამ და კუბელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებამ, რომ ებრძოლათ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის აიძულა აშშ-ის იმპერიალიზმი, უკან დაეხია. მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ მან ხელი აიღო კუბელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაზე. აშშ-ის მითითებით 1964 წელს კუბასთან ურთიერთობა გაწყვიტა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ, გარდა მექსიკისა.

კუბის წინააღმდეგ ეკონომიურ ბლოკადასთან ერთად აშშ-ის იმპერიალიზმი აგრძელებდა კონტრრევოლუციური ძალების მზადებას კუბაში ინტერვენციისათვის რევოლუციური მთავრობის დასამხობად.

1970 წელს კუბაში შექმნილი ვითარების გამოყენებას შეეცადნენ კუბელი ემიგრანტი კონტრრევოლუციონერები. აპრილ-სექტემბერში მათ შეიარაღებული ბანდები გადასხეს კუბის ტერიტორიაზე. 1971 წ. განმეორდა ანალოგიური ცდები, მაგრამ მათი ინტერვენცია კრახით დამთავრდა და თავისუფალი კუნძულის მტრები სასტიკად დასაჯეს. დეკემბერში კუბის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დააკავა კუბელი ემიგრანტების ორი გემი, რომლებიც დაცურავდნენ პანამის ალმით. ამ გემებით ახორციელებდნენ ისინი კუბის სანაპიროებზე თავდასხმას, შპიონებისა და დივერსანტების გადასხმას. 1971 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, კონტრრევოლუციონერებმა მოაწყვეს თავდასხმა კუბის სანაპირო სოფლებზე და ცეცხლი დაუშინეს მათ. ჩაიშალა კონტრრევოლუციური ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობა აგრეთვე ინტელიგენციასა და სტუდენტობაში. ამ ძირგამომთხრელ საქმიანობას აქტიურად ეწეოდა პოეტი პადილიო.

1972 წლის იანვარში მატანსას პროვინციაში დააპატიმრეს ამერიკიდან შემოგზავნილ კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი, რომელიც რელიგიური სექტის ნიღბით მოქმედებდა; ოქტომბერში კუბის მესაზღვრეებმა განაიარაღეს კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი, რომლებიც გადმოსხეს აშშ-ის გემიდან ბარაკოას რაიონში (ჰავანას მახლობლად), ხოლო ნოემბერში პინარ-დელ-რიოს პროვინციაში დააპატიმრეს კონტრრევოლუციონერთა კიდევ ახალი ჯგუფი.

კუბის რევოლუციური მთავრობა არ ანელებს ყურადღებას აშშ-სა და საერთაშორისო რეაქციის სხვა ძალების წინააღმდეგ. იგი გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს და განუხრელად ამტკიცებს თავის თავდაცვისუნარიანობას.

დიდ წარმატებებს გამოუცდელობის შედეგად თან ახლდა შეცდომებიც.

რევოლუციის გამარჯვების შედეგად ბევრს ეგონა, რომ ქონების განაწილებით კუბაში შეიქმნებოდა „კეთილდღეობის უსაზღვრო წყარო“ და დამყარდებოდა სანატრელი ცხოვრება. საყურადღებოა, რომ „26 ივლისის მოძრაობის“ პროგრამაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ სოციალისტური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ეკონომიკის განუხრელად ზრდა, „წარმოების პოლიტიკის“ რეალიზაცია. აქვე აღნიშნული იყო: „თუ ჩვენ არ განვვითარდებით ეკონომიურად, ჩვენს ახლანდელ რესურსებს საშიშროების ქვეშ დავაყენებთ, რომ შემოსავლის და ქონების გადანაწილება მნიშვნელოვნად ვერ გაზრდის ვერც მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვერც ქვეყნის ეკონომიურ პოტენციალს“.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციურმა მთავრობამ პირველივე დღიდან მნიშვნელოვნად გაზარდა ხელფასის მინიმუმი, ცალკეული

პროფკავშირები მოითხოვდნენ ამ მინიმუმის შემდგომ ზრდას შრომის ნაყოფიერების აღმავლობის გარეშე, კასტრომ ამის შესახებ განაცხადა: „მე მომიხდა საუბარი შაქრის მრეწველობის მუშებთან, და იძულებული ვიყავი მათთვის მეთქვა, რომ წინადადება, რომელსაც ისინი წუთების განმავლობაში ტაშს უკრავდნენ, ჩემი შეხედულებით, ეკონომიური თვალსაზრისით უსაფუძვლოა. არ შეიძლება ეხლა გამოდიოდე დღეში ოთხსაათიანი სამუშაო დღისა და კვირაში ოთხი სამუშაო დღის მოთხოვნით, როგორც ამას ისინი მოითხოვენ. დღეს ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ, ბევრი ვიმუშაოთ, რომ გადავარჩინოთ რევოლუცია, დავაგროვოთ სიმდიდრე და გამოვიყენოთ იგი, რათა ხალხმა მიიღოს შრომის ნაყოფი"[1].

§ 32. კუბა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში
სოციალისტური გარდაქმნები

კუბის რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელებს კარიბის კრიზისმა დაანახა, რომ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ქვეყნის ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალისტური მშენებლობის გაშლის გარეშე. 1962—1963 წლებში გატარდა რიგი ღონისძიებანი კერძო კაპიტალისტური სექტორის შეზღუდვისა და აკრძალვისათვის საშინაო ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სფეროში. 1962 წლის დეკემბრის კანონით ნაციონალიზებულ იქნა 5 ათასზე მეტი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კაევეულობის და პირადი მოხმარების საგნების საცალო ვაჭრობის დაწესებულებები. 1963 წლის ოქტომბრის კანონით ნაციონალიზებულ იქნა ისეთი კულაკურ-კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის მიწის ფართობი 5 კაბალიეროს (67 ჰექტარს) აღემატებოდა. ასეთი მეურნეობის ხელში თავმოყრილი იყო ქვეყნის მსხვილფეხა საქონელი და 2 მლნ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც სახალხო მამულებად გარდაიქმნა. ეს კანონი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მეორე აგრარული რეფორმა უწოდეს. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზია ლიკვიდირებულ იქნა, რის შემდეგ კუბაში ორი მეგობრული მუშათა და გლეხთა კლასი დარჩა, რომელთაგან სწრაფად ყალიბდებოდა ინტელიგენცია.

1968 წელს მოხდა წვრილი საცალო ვაჭრობისა და კუსტარული მრეწველობის ნაციონალიზაცია. აღნიშნული ღონისძიების გატარების

[1] ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», 1963, № 8, გვ. 39.

შედეგად სოციალისტურმა სექტორმა წარმოებისა და გაცვლის ყველა სფეროში — მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, საშინაო და საგარეო ვაჭრობასა და მოხმარების სფეროში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

რევოლუციურმა მთავრობამ გარდამავალ პერიოდში ორი ეკონომიური პრობლემიდან: „გადანაწილების პოლიტიკა" თუ „წარმოების პოლიტიკა", უკანასკნელი გზა აირჩია, როგორც სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული.

1959—1963 წლებში კუბის რევოლუციურმა მთავრობამ აიღო ქვეყნის ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის კურსი, რომელიც იმ ეტაპზე აღემატებოდა ქვეყნის შესაძლებლობას. 1963 წლის ბოლოს კუბის მთავრობამ გადასინჯა განვითარების ეს გზა და დაადგა რეალურ-ტრადიციული დარგების განვითარების გზას. ქვეყნის პირობების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, 1963 წელს შემუშავდა ეკონომიური განვითარების პროგრამა უახლოეს 10—15 წლისათვის. რომლის მთავარი მიზანი იყო შაქრის ლერწმისა და მეცხოველეობის პროდუქციის განვითარება. ამასთან დაკავშირებით კასტრომ განაცხადა „ამ ათწელდსა და შესაძლებელია მომავალშიც კუბის ეკონომიკის ბაზად დარჩება სოფლის მეურნეობა... ჩვენ პირველ რიგში განვავითარებთ შაქრის ლერწმის წარმოებას, შემდეგ კი მეცხოველეობას. ამის შესაბამისად უნდა განვითარდეს ქიმიური სასუქების წარმოება და სოფლის მეურნეობის მანქანათშენებლობა"[1].

ინდუსტრიალიზაციის ასეთი გზა ნიშნავდა მთელი სახალხო მეურნეობის მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლას. იგი უნდა დაეწყოთ არა დარგობრივი მრეწველობის შექმნით, არამედ სოფლის მეურნეობის წარმოებაში თანამედროვე ტექნიკის დანერგვით. მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის შექმნა, ერთი მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მსხვილი მანქანური წარმოების საფუძველი. ეს იყო კუბაში სოციალიზმის მატერიალურ-ტექნკური ბაზის შექმნის თავისებურება.

ქვეყნის ეკონომიური განვითარების ასეთი გზა განაპირობა შემდეგმა ურთიერთდამაკავშირებელმა ფაქტორებმა. სოფლის მეურეობა წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკის ძირითად და გადამწყვეტ დარგს, სადაც თავმოყრილი იყო მუშათა კლასის და ტექნიკური დარგების ძირითადი მასა; ქვეყანაში არსებობდა სოფლის მეურნეობის

---

[1] ჟურნ. «Мировая экономика и международные отношения», 1963, № 8, გვ. 39.

განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები; ამ დარგში სოციალისტურ სექტორს ეკავა გაბატონებული მდგომარეობა, ამიტომ სახელმწიფოს თვითონ შეეძლო წარემართა მისი განვითარება; სოციალისტური სისტემის არსებობის პირობებში კუბას მუდმივი და მყარი ბაზარი გააჩნდა თავისი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებისათვის და ქვეყნისათვის საჭირო სამრეწველო საქონლის მისაღებად.

1964 წელს შემუშავდა შაქრის წარმოების განვითარების გეგმა 1965—1970 წლებისათვის. იგი ითვალისწინებდა შაქრის წარმოების და მისი ექსპორტის მოცულობის ზრდას, ნათესების გაფართოებას, ლერწმის ხარისხის გაუმჯობესებას, სასუქების გამოყენებას, სარწყავი სისტემის შექმნას და შაქრის ქარხნების სიმძლავრის აღმავლობას. ხუთწლიანი (1965—1970 წწ.) და 10—15 წლიანი გეგმები ითვალისწინებდნენ იმ დარგების განვითარებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული იყო შაქრის წარმოებასთან, კერძოდ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ქიმიურის, სოფლის მეურნეობის ტექნიკის, ჰიდრომშენებლობისა და სხვათა აღმავლობას. ამ მიზნებს ისახავს ელექტროენერგეტიკული მრეწველობის (1964—1971 წ წ.) და ცემენტის წარმოების (1965—1970 წწ.) განვითარების გეგმები.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის განვითარების კურსი, ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევა და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, პირველი ნაბიჯებიდანვე ნიშნავდა არა მარტო შაქრის წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მთლიან ან ცალკეული მისი დარგების ზრდას, არამედ მრეწველობის საერთოდ მნიშვნელოვან განვითარებას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

ამ საქმეში თავისუფლების კუნძული დიდ დახმარებას და მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან. მაგალითად, 1959—1970 წლებში კუბამ სოციალისტურ ქვეყნებში შეიძინა 60 ათასი ტრაქტორი, 8 ათასზე მეტი ავტოსატვირთავი, მრავალი თვითმფრინავი და სხვა ტექნიკა სოფლის მეურნეობისათვის.

ძლიერი ტექნიკის მეშვეობით კუბამ მოკლე პერიოდში შეძლო დიდი სამუშაოები ჩაეტარებინა მიწის გაწმენდისა და ახალი სათესი ფართობის ათვისებისათვის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა, გზების გაყვანისა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის.

მიწის გაწმენდის შედეგად ადრე უვარგისი ნაკვეთები სათეს ფართობებად იქცა. 1968 წლისათვის 100 ათასი კაბალიეროს რაოდენობის ახალი სათესი ფართობი აითვისეს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატებებია ჰიდრომშენებლობაში. 1972 წელს წყალსაცავების მოცულობამ მიაღწია 3,0 მლრდ კუბურ მეტრს. ეს დაახლოებით 100-ჯერ მეტია იმ წყალსაცავთა მოცულობასთან შედარებით, რომელიც 1958 წლისათვის არსებობდა კუბაში. 1972 წლისათვის სარწყავი ფართობი უკვე შეადგენდა 600 ათას ჰექტარს, რაც 3,5-ჯერ მეტია, ვიდრე 1959 წელს იყო.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია კუბამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. მიუხედავად იმისა, რომ შაქრის ლერწმის წარმოება ყველაზე რთული დარგია მექანიზაციის საქმისათვის, აქაც მნიშვნელოვანი წარმატებები აღინიშნა. მაგალითად შაქრის ლერწმის დატვირთვის მექანიზაციაში. 1967 წლისათვის თუ მექანიზებული იყო სამუშაოების 53%, 1973 წლის ბოლოსათვის მან 100% მიაღწია.

მთლიანად მექანიზებულია ბრინჯის წარმოება. ბრინჯი მოსახლეობის ძირითად საკვებს წარმოადგენს. მის შემოტანაზე სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს. მაგალითად, 1968 წელს ბრინჯის შემოტანაზე დაიხარჯა 34,7 მლნ პესო[1]. ამიტომ მთავრობამ დიდი ყურადღება დაუთმო ბრინჯის წარმოების ზრდას. 1968 წელს წარმოებულ იქნა 68,4 ათასი ტ. ბრინჯი, 1971 წელს კი — 75,2 ათასი ტონა.

დიდი წარმატებები აღინიშნა მეცხოველეობის, მეფრინველეობის, თამბაქოსა და კარტოფილის წარმოების მექანიზაციაში.

შედარებით რთულია მდგომარეობა შაქრის ლერწმის მოჩეხვის მექანიზაციის საქმეში, სადაც ხელით სამუშაოებზე დაკავებულია 100 ათასობით ადამიანი. ამ საქმის მექანიზებაზე მუშაობდნენ საბჭოთა და კუბელი ინჟინრები. 1975 წლისათვის დაგეგმილია ამ სახის მუშაობის მექანიზების 40%.

შაქრის წარმოების მნიშვნელოვანი სამუშაოების მექანიზაციისა და ახალი მიწების ათვისების შედეგად მკვეთრად გაიზარდა შაქრის წარმოება. მაგალითად, 1965 წლისათვის მისი წარმოება შეადგენდა 6,5 მლნ ტონას, რაც 56%-ით მეტი იყო ვიდრე 1963 წელს, ხოლო 1970 წელს ამ რიცხვმა 8,5 მლნ ტონას მიაღწია, რაც რეკორდული იყო ქვეყნის ისტორიის მანძილზე. მთლიანად სოფლის მეურნეობის წარმოება 1966 წლიდან 1970 წლამდე გაიზარდა 1,3-ჯერ. აქედან ბრინჯის წარმოება 4-ჯერ, კვერცხის — 5-ჯერ, თევზის რეწვა — 7-ჯერ და ა. შ.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მძიმე მრეწველობაში. მაგალითად, 1971 წლისათვის წინა წელთან შედარებით მრეწველობის მოცულობა გაიზარდა 18%-ით, მსუბუქ მრეწველობაში შესაბამისად 20%-ით. შემდგომი ზრდა აღინიშნა შაქრის მრეწველობაშიც 1965—1970 წწ.

[1] ათი პესო უდრის 90 კაპიკს.

მოდერნიზაციისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგად შაქრის ქარხნების საერთო სიმძლავრე 25%-ით გაიზარდა. დიდია წარმატებები ელექტროენერგიის წარმოებაში. 1958 წელს იგი შეადგენდა 1795 მლნ კვტ საათს, ხოლო 1972 წელს 4212 მლნ კვტ საათამდე გაიზარდა.

1972 წლისათვის კუბის ისტორიაში ცემენტის წარმოებამ პირველად მიაღწია 2 მლნ ტონას. სწრაფად ვითარდება საამშენებლო, ქიმიური, ნიკელის მრეწველობა, ფოლადის და სოფლის მეურნეობის მანქანების წარმოება.

1975 წლისათვის სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის ზრდა დაგეგმილი იყო 1,33—1,40-ჯერ. 1971—1975 წლებში შაქრის წარმოება მნიშვნელოვნად დაეცა, რაც გამოწვეული იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობებით. მართალია, 1972 წელს წარმოებულ იქნა 4,5 მლნ ტონა, 1973 წელს 5.3 მლნ ტონა შაქარი, მაგრამ 1970 წელთან შედარებით მაინც ნაკლები იყო. ცუდმა ამინდმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაზეც. რის გამოც მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით და ფართო მოხმარების საგნებით ნორმირებული გახდა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება ბრინჯით. 1970 წლის აპრილიდან ერთ სულზე ბრინჯის გაცემა ყოველთვიურად 4-დან 6 გირვანქამდე გაიზარდა. ამავე წელს ნორმაზე მეტს აძლევდნენ ახალ თევზს და კვერცხს, მაგრამ შემცირდა მოსახლეობის მომარაგება ბოსტნეულით, ხილით, ხორცით, ქონით, ლობიოთი და სხვა პროდუქტებით. დაწესდა ნორმები თამბაქოს გაცემაზე. არასაკმარისი იყო მზა ტანსაცმლის, თეთრეულის, ქსოვილების, ფეხსაცმლის და სხვა წარმოება. რიგ გამოსვლებში 1970 წელს შექმნილი მდგომარეობა დაწვრილებით გააანალიზა კასტრომ დასახა გზები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. „პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავანგრიოთ ის, რაც გაკეთებულია, — დასძენდა იგი, — ჩვენ უნდა ვიმუშაოთ და მივაღწიოთ იმას, რომ არ შეჩერდეს არც ერთი დამამზადებელი პუნქტების დამონტაჟება, არც ერთი სამრეწველო საწარმოს და ქარხნის მუშაობა"[1]. გამოსვლებში კასტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პარტიული მუშაობის დონის ამაღლებას, მართვის აპარატის სრულყოფას, დაგეგმვის გაუმჯობესებას და მშრომელთა ფართო ფენების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების საყოველთაო ჩაბმას ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში.

1970 წელს შეცვალეს განათლების, საშინაო ვაჭრობის, შაქრის

[1] გაზეთი „პრავდა", 9/XII-1970.

ნრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის მინისტრები და სხვა მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები. შეიქმნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების კოორდინაციის აპარატი.

რევოლუციურმა მთავრობამ 1971 წელს მთავარ ამოცანად დასახა შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირული მოძრაობის გააქტივებას. დაიწყო დარგობრივი პროფკავშირების აღდგენა და გაიზარდა მათი როლი წარმოების საკითხებში, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა 1973 წლის ნოემბრის პროფკავშირების XIII ყრილობამ. მის მუშაობაში მონაწილეობდა 23 ეროვნული პროფკავშირების წარმომადგენელი, 2 მლნ-ზე მეტი წევრით, ე. ი. მუშებისა და მოსაჰსახურეების 98,5%. ყრილობაზე განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილებანი ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა: ხელფასის სისტემის მოწესრიგება[1]. გაუქმდა დახმარებისა და პენსიების ხელფასის რაოდენობის მიხედვით 100%-ით გაცემა, რომელიც არ შეესაბამებოდა ქვეყნის რეალურ შესაძლებლობას; ყრილობაზე დაზუსტდა მშრომელთა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობანი; ეკონომიკისა და სახელმწიფოს მართვაში პროფკავშირთა მონაწილეობის ფორმა; საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობაში ქალებისა და ახალგაზრდობის ჩაბმა; სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია და მშრომელთა აღზრდა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის სულისკვეთებით. ყრილობამ მიიღო კუბის მშრომელთა პროფკავშირების ახალი წესდება.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა კასტრო. იგი შეეხო ხელფასის და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს.

კუბაში გაბატონებული ტენდენცია იყო მატერიალური სტიმულირების უარყოფა. მაგრამ ეს მცდარი ტენდენცია ყრილობაზე გამოსვლისას კასტრომ დაგმო და განაცხადა: „პრინციპი თითოეულს თავისი უნარისა და თავისი შრომის მიხედვით სოციალიზმის აუცილებელი კანონია". თუ ადრე ხორციელდებოდა სწრაფი ფორსირებული განვითარება, რომელიც ხშირად, როგორც კასტრომ აღნიშნა, „კუბის შესაძლებლობებს აღემატებოდა და თან ახლდა გარკვეული შეცდომები, შემდეგში ჩვენ გვიხდებოდა ამ შეცდომების გამოსწორება[2]". ამ ბოლო დროს კუბაში მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის მიხედვით ანაზღაურების პრინციპს.

---

[1] შემოიღეს პრინციპები: ყველასაგან უნარისა—ყველას შრომის მიხედვით, ხელფასის გაცემის დამოკიდებულება სამუშაო ნორმების შესრულებაზე, საზეგანაკვეთო მუშაობის ანაზღაურება და ა. შ.

[2] გაზ. „პრავდა", 24/XI-1973 წ.

ქვეყნის ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად ჩაება რევოლუციის დაცვის კომიტეტი (3,7 მლნ წევრი) და კუბელი ქალების ფედერაცია (1,4 მლნ წევრი).

1971 წლის დეკემბერში შედგა კუბის წვრილ მიწათმფლობელთა ეროვნული ასოციაციის IV კონგრესი, მას ესწრებოდა 1700 დელეგატი, რომლებიც 200 ათას კერძო გლეხთა მეურნეს წარმოადგენდა. კონგრესმა განიხილა სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა როლის აშაღლებისა და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საკითხი, ასევე სოფლის მეურნეობის წარმოების ეფექტურობის ამაღლების, პროდუქციის მნიშვნელოვნად ზრდის, კერძო და საზოგადოებრივი სექტორების დაახლოების ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში და კუბის საზოგადოების შემდგომი კონსოლიდაციის საკითხები სოციალისტურ საფუძველზე.

1971 წლის მარტში მიიღეს კანონი, რომელიც სავალდებულოს ხდიდა შრომის უნარიანთა სახალხო მეურნეობაში ჩაბმას. ვინც შრომას თავს აარიდებდა, მათ წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებები ტარდებოდა („კანონი უსაქმურობის წინააღმდეგ ბრძოლისა"). ამ კანონის საფუძველზე წარმოებაში 100 ათასზე მეტი კაცი ჩაება, რომლებიც ადრე არ მუშაობდნენ. სამუშაო ძალების უკეთ მობილიზაციის მიზნით 14 წლის ასაკს მიღწეულნი აღრიცხვაზე აჰყავდათ. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოჯანსაღების შემდეგ შესაძლებელი გახდა მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ზოგიერთი ფორმის შემოღება. შემცირდა საზოგადოებრივი მოხმარების ფონდის გადაჭარბებული ზრდა და უფასო მატერიალური და კულტურული დახმარების გაცემა. ფინანსური ურთიერთობის გამოსწორების მიზნით 1972 წელს ბრუნვიდან ამოიღეს ზედმეტი ფული, რის შედეგად იგი 600 მლნ პესოთი შემცირდა.

სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა მინისტრთა საბჭოს რეორგანიზაცია. 1972 წელს შეიქმნა მინისტრთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს მეთაურობით. აღმასრულებელ კომიტეტში შევიდნენ პრეზიდენტი ოსვალდოს დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო და პრემიერ მინისტრის შვიდი მოადგილე, ხოლო მინისტრთა საბჭოში 27 სამინისტროსა და უწყებების ხელმძღვანელი. ამაღლდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლი. 1973 წლის თებერვალში გაფართოვდა კუბის კომპარტიის ცკ-ის სამდივნო, მიღებულ იქნა ზომები ცკ-ის აპარატის და სხვა პარტიული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების განაწილებას. 1975 წელს

ჩატარდა კუბის კომპარტიის I ყრილობა. კუბის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1961 წელს სამი წამყვანი რევოლუციური ორგანიზაციის გაერთიანების საფუძველზე: „26 ივლისის მოძრაობა“, „რევოლუციური დირექტორატი“ და „სახალხო სოციალისტური პარტია“. მათი გაერთიანების შედეგად შეიქმნა „გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაცია“. გაერთიანების გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „ეს არის მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასისა და კუბის მთელი მშრომელების რევოლუციურ ხელისუფლებას“. 1963 წლის მაისში აღნიშნული ორგანიზაცია გადაკეთდა სოციალისტური რევოლუციის ერთიან პარტიად. 1965 წლის ოქტომბერში შედგა ამ პარტიის ხელმძღვანელების საერთო ეროვნული თათბირი, და მიიღო კუბის კომუნისტური პარტიის სახელწოდება. შეიქმნა პარტიის ცკ, პოლიტბიურო, სამდივნო და ცკ-ის სამუშაო კომისია. 1973 წელს კუბის კომუნისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებდა 170 ათას წევრს.

1973 წელს ძალაში შევიდა კანონი „ეროვნული ეკონომიკის წინააღმდეგ დანაშაულობის შესახებ“, რომლითაც ცრუ ინფორმაციისათვის წარმოებაში ტექნიკის მდგომარეობის, გეგმის შესრულების, შრომისა და ტექნიკის უშიშროების დარღვევისათვის სასჯელი დაწესდა, ხოლო მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა.

ღონისძიებათა შედეგი იყო სოციალიზმის მშენებლობაში კუბელი ხალხის ახალი წარმატებები. მაგალითად, გაიზარდა კვების პროდუქტების წარმოება, 1973 წელს კარაქის წარმოება გაიზარდა ორჯერ, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება 46%-ით. გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება პროდუქტებით, გაუქმდა საბარათო სისტემა 150 სახის სამრეწველო და კვების პროდუქტებზე. მაგრამ სამრეწველო და კვების პროდუქტების ნაკლებობა ჯერ კიდევ სახეზე იყო. მეცხოველეობაში ჩამორჩენილობის გამო დაწესდა ხორცით მომარაგებაში ზოგიერთი დამატებითი შეზღუდვები. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული სამრეწველო წარმოებაში. მაგალითად, 1974 წელს სამრეწველო წარმოება 1970 წელთან შედარებით 39%-ით გაიზარდა. ეროვნული შემოსავალი კი 40%-ით, თევზჭერა 7-ჯერ მეტად გაიზარდა რევოლუციამდელ დონესთან შედარებით.

სოციალისტური ქვეყნების დახმარება კუბისადმი

1969 წელს მოსკოვში შედგა კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი, რომელმაც ხაზი გაუსვა კუბის რევოლუციის გამოცდილების ისტორიულ მნიშვნელობას. მის ძირითად დოკუმენტში აღ-

ინიშნა: კუბის რევოლუციამ ლათინურ ამერიკაში გაწყვიტა იმპერიალისტური ჩაგვრის ჯაჭვი და შექმნა პირველი სოციალისტური სახელმწიფო ამერიკის კონტინენტზე". ეს რევოლუცია „ისტორიული შემობრუნებაა" ამერიკის კონტინენტზე.

კუბის სოციალისტურ მშენებლობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფლების კუნძულის ფართო თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. კუბასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამყარდა ყოველმხრივი ძმური ურთიერთობა, ეკონომიური თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემასა, ურთიერთსარგებლობასა და ურთიერთდახმარების პრინციპზე.

1960 წლის თებერვალში ჰავანაში ხელი მოაწერეს კუბა-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას, რომლითაც უკანასკნელმა ვალდებულება იკისრა 5 წლის განმავლობაში შეესყიდა კუბაში 1 მლნ ტონა შაქარი და მისი ღირებულების 20% ვალიუტით გადაეხადა. 1960 წლის დეკემბერში, როცა აშშ-მა უარი თქვა კუბის შაქრის ყიდვაზე, საბჭოთა მთავრობამ ვალდებულება აიღო 2,7 მლნ ტონა შაქარი ეყიდა მისგან მსოფლიოში არსებულ ფასების მეტი ღირებულებით. კუბის შაქრის შესყიდვა გაზარდეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. 1961 წელს კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც 1962—1965 წლებში ჩვენს ქვეყანას თავისუფლების კუნძულზე ყოველწლიურად უნდა შეესყიდა 4,8 მლნ ტონა შაქარი. სსრ კავშირმა კუბას მისცა სესხად 25 მლნ. დოლარი.

1965 წლის იანვარში მოსკოვში კასტროს მეორე ვიზიტის დროს დაიდო ხანგრძლივი სავაჭრო შეთანხმება კუბის შაქრის შესყიდვაზე 1965—1970 წლებში. საბჭოთა კავშირზე მოდის კუბის მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50%. თუ რევოლუციამდელი კუბის საგარეო ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ამჟამად იგი შეადგენს 75%-ს.

კუბა საბჭოთა კავშირიდან სისტემატურად იღებს ნავთსა და ნავთის პროდუქტებს, ავტომანქანებს, შავ ლითონებს და მრავალ სხვა საჭირო მასალას.

საბჭოთა სპეციალისტები კუბას ეხმარებიან გეოლოგიური ძიების სამუშაოებზე, ჰიდროტექნიკური სისტემის ნაგებობის მშენებლობაზე, მეთევზეობის განვითარებასა და შაქრის ქარხნების რეკონსტრუქციაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და კადრების მომზადებაში. განუხრელად ვითარდება მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის.

1967—1971 წლებში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს

ქვეყნებიდან კუბაში მუშაობდა 7,5 ათასი სპეციალისტი. რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კუბის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების დახმარებით კუბაში აიგო და შენდება ქარხნები, ფაბრიკები, მრავალი სხვადასხვა სახის ნაგებობები.

კულტურული რევოლუცია

რევოლუციამდელ კუბაში განათლების და აღზრდის სისტემა სოციალურ უთანასწორობაზე და რასობრივ დისკრიმინაციაზე იყო დაფუძნებული. პრივილეგიურ კლასებს თავისი საკუთარი სასწავლებლები ჰქონდათ. სადაც კარები ჩაკეტილი იყო დაბალი კლასის წარმომადგენლებისათვის. იყო სკოლები დაბალი ფენებისათვის, მაგრამ ძალზე მცირე ბიუჯეტით. საკლასო ოთახების დიდი ნაკლოვანებებისა და მოსახლეობის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო 800 ათასამდე ბავშვი განათლების გარეშე რჩებოდა. ახალგაზრდობის 85% ვერ შედიოდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში 9 ათასი უმუშევარი მასწავლებელი იყო. მკვეთრად შეიცვალა მდგომარეობა რევოლუციის შემდეგ.

რევოლუციურმა მთავრობამ არსებობის პირველ დღიდანვე ძირფესვიანად შეცვალა სახალხო განათლების სისტემა. გაუქმდა ბურჟუაზიული კერძო სკოლები და რელიგიური სასწავლებლები. 1961 წელს ქვეყანაში დიდი კამპანია გაჩაღდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და განათლების ფართო ქსელის შესაქმნელად, რის შედეგად ერთი წლის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობა მოისპო. განათლების ქსელის გაფართოებისათვის დიდი საამშენებლო სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ეს დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ, რევოლუციურმა მთავრობამ სკოლებისათვის დროებით დაიკავა სამხედრო დასახლებები, ყაზარმები, პოლიციის შენობები, ადგილობრივი და საზღვარგარეთის კაპიტალისტებისა და ლატიფუნდიის მფლობელთა სასახლეები, რეზიდენციები და ა. შ. მასობრივი კამპანია გატარდა საყოველთაო ექვსწლიანი და ტექნიკური განათლების განხორციელებისათვის. შეიქმნა მუშურ-გლეხური ფაკულტეტები, გატარდა განათლების რეფორმა უნივერსიტეტებში, დაწესდა უფასო დაწყებითი სავალდებულო სწავლება, სადაც განათლებას, კვებას, ტანსაცმელს, წიგნებს, ბინას, მედიკამენტებს ბავშვები უფასოდ ღებულობდნენ. 1973 წლისათვის სხვადასხვა სახის სასწავლებლებში 2690 ათასი ახალგაზრდა ირიცხებოდა.

ეროვნული შემოსავლის 7% იხარჯებოდა განათლების საქმეზე, რაც ბევრად მეტია, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. 1970 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებში განათლების საქმეს ბიუჯეტის 0,8% ხმარდებოდა. 70-იანი წლების დამდეგისათვის ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ფართო გავრცელება ჰპოვა ახალი ტიპის სკოლების შექმნამ — ინტერნატებისა და ნახევრად ინტერნატების სახით, სადაც მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებლით. ასეთი ტიპის სკოლებში 1973 წლისათვის სწავლობდა ნახევარმილიონამდე მოსწავლე. ინტერნატებში სწავლა და საწარმოო პრაქტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. 1972—1975 წლების პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებდა 300 საშუალო სკოლა-ინტერნატისა და 500 დაწყებითი სკოლის გახსნას. გეგმის ძირითადი ნაწილი შესრულდა. მარტო 1972/73 სასწავლო წელს სოფლის რაიონებში გაიხსნა 40 ახალი საშუალო სკოლა-ინტერნატი, სადაც 20 ათასი მოსწავლე სწავლობს. 1972 წლის აპრილში ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის II ყრილობაზე კასტრომ აღნიშნა, რომ 1975 წელს საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 300 ათასით გაიზრდება, 1980 წელს კი 1 მლნ-მდე.

მომავალი 10—15 წლის განმავლობაში დაგეგმილია სკოლა-ინტერნატების ახალი ქსელის გახსნა, რომელმაც უნდა მოიცვას ქვეყნის მთელი მოზარდი თაობა. უმაღლესი განათლების მთავარი მიზანი გახდა სპეციალისტების მომზადება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით 1968/69 სასწავლო წელს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გამოშვება გაიზარდა 2-ჯერ, ინჟინერ-მექანიკოსებისა 5-ჯერ, ინჟინერ-ქიმიკოსებისა — 2,5-ჯერ, სამთო ინჟინრებისა — 9-ჯერ.

სახალხო განათლებაში კუბელ ხალხს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჰავანაში ამენდა საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის სახელობის მანქანათმშენებლობის ცენტრი, ოლგინში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცენტრი, ორიენტეს პროვინციაში ვ. ი. ლენინის სახ. სამთამადნო მრეწველობის ცენტრი. ამ სასწავლებლის მიერ გამოშვებულთა რიცხვი აღწევს ორი ათას კაცს. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის რიგი დარგების სწრაფმა განვითარებამ ქვეყანაში გამოიწვია კვალიფიციური და არა კვალიფიციური მუშახელის მწვავე ნაკლებობა. კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ქვეყნის სპეციალისტების დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა.

კადრების პრობლემის გადაწყვეტა კულტურული რევოლუციის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი გადაწყვეტის პირველი ნაბიჯი გახდა წერა-კითხვის უცოდინარობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია. შეიქმნა სპეციალური სკოლები და ტექნიკუმები, სადაც მზადდებოდა სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სასწავლებლად ათასობით ახალგაზრდა გაიგზავნა სოციალისტურ ქვეყნებში, ხოლო ამ ქვეყნებიდან მრავალი სპეციალისტი მიიწვიეს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კადრების საკითხის თანდათანობით გადაწყვეტას. მუშახელის „შიმშილის" გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა შრომაში ქალების მასობრივად ჩაბმამ. ქალები კი კუბაში მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს. რევოლუციამდელ კუბაში ქალი უუფლებო, ცხოვრებას მოწყვეტილი იყო და სიღატაკეში ცხოვრობდა. ქალის ჩაბმა აქტიურ საზოგადოებრივ და საწარმოო მოღვაწეობაში, მარტო რევოლუციის პოლიტიკური და მორალური პრინციპების განხორციელების მიზნით კი არ ხდებოდა, იგი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დამატებითი ძალის ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენდა. მამაკაცები ბევრ ისეთ ადგილას მუშაობდნენ, რომლის სამუშაოს შესრულება ქალსაც შეეძლო. ქვეყანაში კამპანია გაიშალა, რათა სადაც შესაძლებელი იყო მამაკაცის შრომა ქალის შრომით შეცვლილიყო. ქალის ქვეყნის ცხოვრებაში ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულა კუბის ქალთა ფედერაციამ. 1972 წლისათვის წარმოების სფეროში უკვე ჩაება 500 ათასი ქალი.

მნიშვნელოვანია მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარებაში. წიგნი რევოლუციამდელ კუბაში წელიწადში გამოდიოდა 1,5 მლნ ტირაჟით, რომლის წაკითხვა, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, არ შეეძლო მოსახლეობის ერთ მესამედს. 1972 წლისათვის წიგნების საერთო ტირაჟმა მიაღწია 16 მლნ-ს, რომელთაგან 75% სახელმძღვანელო იყო, რაც ნათლად მეტყველებს საყოველთაო სწავლა-განათლების მკვეთრ გარდატეხაზე. რევოლუციური მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი რევოლუციის შემდეგ 10-ჯერ გაიზარდა. ექიმის დიპლომი მიიღო 5,5 ათასმა კაცმა. ამჟამად სამედიცინო სასწავლებლებში სწავლობს 15 ათასი კაცი. სამედიცინო კადრებს უპირველეს ყოვლისა სოფლად გზავნიან. 1972 წლისათვის უმაღლესი და საშუალო სამედიცინო კადრი კუბაში 88 ათას კაცს შეადგენდა, რაც 11-ჯერ მეტი იყო ვიდრე რევოლუციამდე. ბევრად გაიზარდა საავადმყოფოების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები.

განათლების და კულტურის დარგში მიღწეული ეს წარმატებები კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს, თუ რა წარმატებებს შეუძლია მიაღწიოს იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლებულმა სუსტად განვითარებულმა ქვეყანამ, როდესაც იგი სოციალიზმის მშენებლობის გზას ადგას.

I საგარეო პოლიტიკა

კუბის რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღიდან აშშ-ს მმართველი წრეები განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებენ თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ. ამერიკის მთავრობამ თავისუფლების კუნძულის წინააღმდეგ პირველ რიგში მიმართა ქვეყნის ბლოკადას, რომელშიც ჩაითრია სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც. მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კუბის ბლოკადამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. საკმარისია, აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1975 წლის დასაწყისში კუბას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 60 სახელმწიფოსთან და ითვლებოდა ოცზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად.

კუბას ღირსეული ადგილი უკავია სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. იგი წამყვან როლს ასრულებს მიუმხრობელი სახელმწიფოების ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. კუბის აქტიური საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის გენერალურ ხაზს წარმოადგენს მშვიდობის, დამოუკიდებლობის და თავისუფლების პრინციპები. განსაკუთრებით გაიზარდა კუბის საერთაშორისო ავტორიტეტი უკანასკნელი 15 წლის მანძილზე. ლ. ი. ბრეჟნევმა 1974 წლის 29 იანვარს ჰავანაში გამოსვლისას ხაზი გაუსვა თავისუფლების კუნძულის გავლენის და ავტორიტეტის გაზრდას მთელს მსოფლიოში. მან აღნიშნა: „ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით კუბა არ ეკუთვნის დიდ სახელმწიფოთა რიცხვს. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში მას უკავია დიდი, მე ვიტყოდი, თვალსაჩინო ადგილი. კუბას კარგად იცნობენ მთელ მსოფლიოში. იგი ძალზე უყვართ მეგობრებს, სძულთ მტრებს, მის განვითარებას სიმპათიითა და სოლიდარობით უყურებს მილიონობით და მილიარდობით ადამიანი"[1]. კუბის საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება, წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში, ეკონომიკის და კულტურის განვითარებაში, რევოლუციური მთავრობის პრინციპული და თანმიმდევრობითი საგარეო პოლიტიკის უშუალო შედეგია. სოციალისტური მიღწევების

[1] გაზ. „პრავდა", 30/1-1974.

დაცვაში სიმტკიცე, ხალხთა დამოუკიდებლობის საქმისათვის ერთგულება — აი რამ მოუტანა სახელი კუბას მთელ მსოფლიოში.

კუბის წარმატებები საერთაშორისო არენაზე დაკავშირებულია უპირველეს ყოვლისა იმასთან, რომ იგი შედის სოციალისტური თანამეგობრობის ბანაკში. ამ თანამშრომლობის ძალა კი ერთობასა და მჭიდრო კავშირშია.

კუბის ხელმძღვანელები თავის გამოსვლებში ყოველთვის ხაზს უსვამენ მას, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მორალურ-პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო მხარდაჭერა დაეხმარა კუბას გაეძლო უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფოების შემოტევისათვის, უზრუნველეყო მშვიდობიანი პირობები და მატერიალური შესაძლებლობანი ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადის გარღვევისათვის, სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობებისათვის. კუბის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს კუბაში 1974 წლის იანვარ-თებერვალში. ეს ვიზიტი, როგორც აღნიშნა კასტრომ, გახდა „ჩვენი თხუთმეტწლიანი ურთიერთობის, მეგობრობის, ძმობის, თანამშრომლობის კულმინაციური წერტილი. თანამშრომლობა რომელიც არსებობს კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის თხუთმეტი წლის მანძილზე, ბრწყინვალე დემონსტრაციაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კუბის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და კუბელი ხალხის ურთიერთობის განმტკიცებაში". ეს ვიზიტი — აღნიშნა კასტრომ, უდიდესი მორალური მხარდაჭერა იყო რევოლუციური კუბისათვის, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ლათინური ამერიკის ეროვნული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, იმ ძალების გაძლიერებისათვის, რომლებიც გამოდიან იმპერიალიზმის ჩარევისა და ბატონობის წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში"[1].

1964 წლიდან ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანამ მექსიკის გარდა შეწყვიტა ურთიერთობა კუბასთან და მონაწილეობდა მის წინააღმდეგ აშშ-ის იმპერიალიზმის მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბლოკადაში. 70-იანი წლებიდან კი ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში რადიკალური ცვლილებები ხდება. 1975 წლის დასაწყისში უკვე ათმა ლათინურმა ქვეყანამ უარი თქვა პოლიტიკურ ბლოკადაზე და კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

1974 წლის ნოემბერში ეკვადორის დედაქალაქ კიტოში შედგა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრე-

---

[1] გაზ. „პრავდა", 28/1-1974 წ.

ბის თათბირი. ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა გამოვიდა კუბის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიური სანქციების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი გაუქმება, მაგრამ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში არსებული პროცედურული წესების გამო კუბისადმი მხარდამჭერი რეზოლუციის გამოტანა არ მოხერხდა. მაგრამ, სამმა ქვეყანამ — ვენესუელამ, კოლუმბიამ და კოსტა-რიკამ განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია.

ვენესუელამ და კოლუმბიამ უკვე დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა კუბასთან.

კუბას მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა აქვს პერუსთან, არგენტინასთან, მექსიკასთან და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან. 1973 წელს არგენტინასა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთანავე ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც არგენტინამ კუბას 5 წლის ვადით მისცა 1200 მლნ დოლარის კრედიტი არგენტინის საქონლის, მათ შორის 44 ათასი ავტომანქანის შესასყიდად. მიუხედავად აშშ-ის წინააღმდეგობისა, ეს შეთანხმება, როგორც მიუთითებდა კასტრო, ნიშნავდა ხალხთა გამარჯვებას იმპერიალიზმზე.

სოციალისტური კუბა მხარს უჭერს ლათინურ ამერიკაში ანტიიმპერიალისტურ მოძრაობას და მათ მისწრაფებებს ეკონომიური ინტეგრაციის შექმნისათვის. 1975 წლის იანვარში აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებულმა დისკრიმინაციულმა კანონმა ვაჭრობის შესახებ, რომლის მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნებზე ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა, გამოიწვია ამ ქვეყნების დიდი აღშფოთება. კუბის რევოლუციური მთავრობა მხარს უჭერს ლათინური ამერიკის ქვეყნების ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის ამ ახალი გამოხდომების წინააღმდეგ. კუბის ასეთი პოლიტიკა ამერიკის კონტინენტის ყველა იმ პროგრესული ძალების დიდ მოწონებას იმსახურებს, რომლებიც თავისი ხალხების დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

კუბის მიერ ბლოკადის გარღვევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან და აგრეთვე იაპონიასთან და კანადასთან. იგი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 70-იანი წლების დამდეგიდან. მაგალითად, 1966 წელს კუბის ვაჭრობის მოცულობა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეადგენდა 303 მილიონ დოლარს, 1973 წლისათვის კი იგი 715 მილიონ დოლარამდე, ე. ი. 2-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად კუბა იაპონიას აწვდის 1 მლნ ტონა შაქარს, ე. ი. იაპონიის მიერ ამ პროდუქტის იმპორტის 40%-ს.

1974—1975 წლებში კუბამ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება დადო ევროპის ქვეყნებთან, რომლითაც კიდევ უფრო გაფართოვა მათთან სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობა. მაგალითად, 1974 წლის დეკემბერში კუბაში ესპანეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ვიზიტის დროს, ორივე მხარემ ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას, რომლითაც კუბამ ესპანეთისაგან მიიღო 900 მილიონი დოლარის კრედიტი 1975—1977 წლებში შემდეგი საქონლის შესასყიდად: გემების, ცემენტის ქარხნისა და საავტომობილო, ქიმიური და საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობათა შესასყიდად ესპანეთში. თავის მხრივ, კუბამ ვალდებულება იკისრა, ესპანეთს ყოველწლიურად მიაწოდოს 200 ათასი ტონა შაქარი და აგრეთვე თამბაქო, ზღვის პროდუქტები და ნიკელი.

1945 წლის იანვარში შედგა კუბის პრემიერ-მინისტრის მოადგილის როდრიგესის ვიზიტი საფრანგეთში, რომელმაც პრემიერ-მინისტრ შირაკთან ხელი მოაწერა ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმებას. კუბაში რევოლუციური გამარჯვების შემდეგ ეს იყო ისეთი სახის პირველი ვიზიტი, რომელმაც კარგი საფუძველი შექმნა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. სავაჭრო ურთიერთობა კუბასა და საფრანგეთს შორის განუხრელად ფართოვდება. მაგალითად, 1973 წელს კუბის სავაჭრო ბრუნვა საფრანგეთთან შეადგენდა 179 მლნ დოლარს, 1974 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში კი 310 მლნ დოლარი შეადგინა.

პარიზში მოლაპარაკების დროს განიხილეს კუბისადმი საფრანგეთის მიერ 1 მლრდ დოლარის კრედიტის მიცემის, მინერალური სასუქების, სატვირთო მანქანების ქარხნების მშენებლობის, აეროდრომების მოდერნიზაციის, ჰავანის ნავსადგურის გაფართოებისა და სხვა საკითხები.

1975 წლის იანვარში კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომელიც გაწყვეტილი ჰქონდა 1963 წლიდან, მას შემდეგ რაც თავისუფლების კუნძულთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. გფრ-ის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენამ კუბასთან ახალი დარტყმა მიაყენა კუბის იზოლირების გაბანკროტებულ პოლიტიკას და ერთხელ კიდევ ნათელყო, რომ აშშ-ის იმპერიალიზმმა კრახი განიცადა კუბის პოლიტიკური და ეკონომიური იზოლირების პოლიტიკაში.

ლათინურ ამერიკაში ამჟამად ფართოვდება მოძრაობა ამერიკის სახელმწიფოთა ახალი ორგანიზაციის შექმნისათვის, სადაც ურთიერთობა დამყარდება თანასწორობის საფუძველზე.

კასტრომ თავის გამოსვლებში მრავალჯერ განაცხადა, რომ კუბა არ დაბრუნდება ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში, მაგრამ ახალ რეგიონალურ ორგანიზაციაში შევა იმ შემთხვევაში თუ იგი უპასუხებს ლათინური ამერიკის ინტერესებს. ამასთანავე, ლათინურ ამერიკაში ძლიერდება მოძრაობა კუბასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა და იზოლირების პოლიტიკისამდი უარის თქმის შესახებ.

1974 წლის ოქტომბერში, გდრ-ის 25 წლისთავის ზეიმზე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა ამასთან დაკავშირებით თქვა: „ზოგიერთები ახლაც ებღაუქებიან ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადის, კუბის სოციალისტური რესპუბლიკის არ ცნობის პოლიტიკას. მოგიწევთ იცნოთ, ვპასუხობთ ჩვენ! ბოლოს და ბოლოს დრო არ არის. ისტორიიდან უბრალო გაკვეთილი გამოვიტანოთ? მოძრაობა სოციალიზმისაკენ — ეს ობიექტური პროცესია. იგი ხალხის სურვილს, საზოგადოებრივ განვითარების შიდა მოთხოვნებს გამოხატავს. იგი დაუძლეველია. ამას გინდა არ გინდა, უნდა შეეგუო"[1].

თავი XI

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა[2]

§ 36. კორეელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და კსდრ-ის შექმნა

მოკლე ცნობები წარსულიდან

კორეელი ხალხის ისტორია იწყება უძველესი დროიდან. XVII საუკუნიდან კორეელი ხალხი მოექცა მანჯურთა დინასტიის გავლენის ქვეშ, რომელიც ბატონობდა ჩინეთშიც. კორეის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ აშშ, საფრანგეთი და ბოლოს იაპონია. 1893 წელს კორეის სამხრეთ პროვინციაში იფეთქა გლეხთა დიდმა აჯანყებამ, რომლის ჩახშობის მომიზეზებით იაპონიამ 1894 წელს გადასხა ჯარები კორეაში. ამას მოჰყვა იაპონია-ჩინეთის ომი 1894 — 1895 წწ., რომლის დროსაც ჩინეთი დამარცხდა, 1895 წლის ზავით ჩინეთი იძულებული გახდა ეცნო კორეის დამოუკიდებლობა. რუსეთ-იაპო-

[1] გაზეთ პრავდა, 9/X-1974 წ.

[2] ტერიტორია — 121,2 ათასი კმ², მოსახლეობა — 15 მლნ (1972 წ.), დედაქალაქი ფხენიანი (1 მლნ-მდე მცხოვრები).

ნიის ომის შემდეგ 1905 წლიდან იაპონიამ პროტექტორატი დაამყარა კორეაში, ხოლო 1910 წელს მისი ოკუპაცია მოახდინა და თავის კოლონიად გადააქცია.

1919 წლის მარტში კორეაში, ოქტომბრის რევოლუციის გავლენით იფეთქა ანტიიაპონურმა სახალხო აჯანყებამ, რომელიც ბარბაროსულად ჩაახშო იაპონიამ. სახალხო ანტიიაპონური გამოსვლები კორეაში გაგრძელდა შემდეგაც, რომელსაც 1925 წლიდან სათავეში ჩაუდგა კორეის ახალგაზრდა კომპარტია. ომის პირველი კერის აღმოცენებისას, კორეაში, კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა პარტიზანული რაზმები, რომლებიც 1935 წელს გაერთიანებული იქნენ კიმ ირ სენის მეთაურობით და თავის რიგებში ითვლიდა 60 ათას კაცს. მეორე მსოფლიო ომის წლებში კორეის პარტიზანებმა კომპარტიის მეთაურობით კიდევ უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა იაპონელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მიუხედავად მათი გმირული ბრძოლისა კორეელი ხალხის განთავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ჯარების იაპონიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შედეგად.

იაპონელთა ბატონობის მძიმე წლებში კომპარტიის გმირულმა ბრძოლამ იგი ხალხთა მასებში პოპულარულ პარტიად გახადა. გათავისუფლების მომენტში კომპარტია ითვლებოდა ყველაზე მასობრივ და გავლენიან პარტიად.

ქვეყნის სხვა დანარჩენი პარტიების გავლენა ძალზე სუსტი იყო. წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის პოზიციები ეკონომიურად კოლონიური კორეის პირობებში სუსტი იყო. ეროვნული ბურჟუაზია რომელიც შეეიწროებული იყო იაპონიის კაპიტალით, ოპოზიციურად იყო განწყობილი იაპონიისადმი, მაგრამ არც ის არ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას ქვეყანაში.

კორეაში იყო, მცირერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი მსხვილი ფინანსისტების ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ-მემამულე არისტოკრატიასა და იაპონიის კოლონიზატორებთან. ყველა ესენი გაერთიანებული იყვნენ ერთ ბლოკში და უპირისპირდებოდნენ დემოკრატიულ, ანტიიაპონურ ძალებს, რომლის სათავეშიც იდგა მუშათა კლასი კომპარტიის მეთაურობით.

აღსანიშნავია, რომ კორეის ბუნებრივი სიმდიდრე და იაპონიის სტრატეგიული ნედლეულის ნაკლოვანება აიძულებდა იაპონიის იმპერიალიზმს განევითარებინა კორეაში მრეწველობის ის დარგები, რომელიც შეესაბამებოდა იაპონიის მონოპოლისტების ინტერესებს. მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდა. იგი ორი მილიონით გაიზარდა.

კორეის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდა გლეხობა (62 %), რომელიც იმყოფებოდა მემამულეთა კაბალაში. იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების შემდეგ 1945 წლის აგვისტოში, კორეაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის განვითარებისათვის, რადგან იაპონიის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციასთან ერთად ლიკვიდირებული იქნა ის ძირითადი ძალა, რომელსაც კორეის რეაქცია ეყრდნობოდა.

საშინაო რეაქციის ძალები პარალიზებული აღმოჩნდნენ, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ იალტის კონფერენციის შეთანხმების საფუძველზე კორეა 38-ე პარალელზე დროებით ორ, სსრ კავშირისა და აშშ-ის საოკუპაციო ზონად გაიყო. ჩვენი ჯარები შევიდნენ ჩრდილოეთში, ხოლო ამერიკის სამხრეთში, რამაც ცვლილებები გამოიწვია კლასთა ძალების განლაგებაში. სამხრეთ კორეის რეაქცია სერიოზულ მხარდაჭერას ღებულობდა აშშ-გან. 1945 წ. დამლევს კომპარტიის ინიციატივით ჩრდილოეთ კორეაში გაერთიანდნენ ყველა პარტიული ორგანიზაციები და 1946 წლის ივნისში შეიქმნა ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტი (ედეფ), მასში შევიდნენ: კომპარტია, ახალი სახალხო პარტია (ეყრდნობოდა მშრომელ გლეხობას და პროგრესულ ინტელიგენციას), დემოკრატიული პარტია (ასახავდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს), და სხვები. ედეფ-ის შექმნით, რომლის სათავეში იდგა მუშათა კლასი, ჩამოყალიბდა ფართო დემოკრატიული კოალიცია 5 მილიონიანი წევრით.

ჩრდილოეთ კორეაში აღმოცენდნენ სახალხო კომიტეტები, რომელთაც შეცვალეს იაპონიის ძველი კოლონიური აპარატი, ისინი ეყრდნობოდნენ ერთიან ფრონტს. 1946 წლის 8 თებერვალს შეიქმნა ჩრდილოეთ კორეის უმაღლესი ორგანო — დროებითი სახალხო კომიტეტი კიმ ირ სენის მეთაურობით. 1946 წლის მარტში გამოიცა კანონი მიწის რეფორმის შესახებ. იგი გატარდა პრინციპით: „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს". მიწის რეფორმამ, რომელიც გატარდა გლეხებისა და მათი კომიტეტების აქტიური მონაწილეობით, მოსპო მემამულური მიწათმფლობელობა, ფეოდალური გადმონაშთები და განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი.

1946 წლის 10 აგვისტოს კანონით ყველა სამრეწველო საწარმო, ტრანსპორტი, ბანკები და კავშირგაბმულობა, რომლებიც ადრე იაპონელებსა და სამშობლოს გამყიდველებს ეკუთვნოდა ნაციონალიზებული იქნა.

1946 წლის აგვისტოში კომპარტია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძ-

ველზე გაერთიანდა ახალ სახალხო პარტიასთან და შრომის პარტიის სახელწოდება მიიღო.

1947 წლის დასაწყისში ჩატარდა სახალხო კრების არჩევნები, რომლის დროსაც ეროვნულმა ფრონტმა დიდ გამარჯვებას მიაღწია. სახალხო კრება გახდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები გადავიდა სახალხო კომიტეტის ხელში.

ჩრდილოეთ კორეის ხალხმა საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით აღადგინა მრეწველობის, რკინიგზის და ტრანსპორტის ძირითადი დარგები. დიდი მუშაობა ჩატარდა განათლების დარგშიც: გაიხსნა 11 უმაღლესი სასწავლებელი, ათასობით სკოლები, ტექნიკუმები და ა. შ.

მაშინ, როდესაც ჩრდილო კორეაში ძირფესვიანი გარდაქმნები ტარდებოდა, სამხრეთ კორეაში მსგავსი არაკითარი არ მომხდარა. აშშ-ის მთავარი ამოცანა იყო ადგილობრივ რეაქციულ ძალებზე დაყრდნობით კორეის თავის კოლონიად გადაქცევა. 1948 წლის 10 მაისს სამხრეთ კორეაში მათ გაითამაშეს არჩევნების კომედია და ხელისუფლების სათავეში ჩადგა ამერიკის დამქაში ლი სინ მანი. ამის საპასუხოთ შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და დემოკრატიულმა ფრონტმა მოწოდებით მიმართეს ორივე კორეის ყველა პარტიებს და ორგანიზაციებს გაეერთიანებინათ ქვეყანა საყოველთაო არჩევნების გზით. ამ მოწოდებამ მასების მხარდაჭერა ჰპოვა. 1948 წლის 25 აგვისტოს შედგა კორეის უმაღლესი სახალხო კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ კორეის ამომრჩეველთა 99 %, ხოლო სამხრეთ კორეის, მიუხედავად აკრძალვისა — 77% ამომრჩეველმა. უმაღლესმა სახალხო კრებამ 1949 წლის სექტემბერში კსდრ შექმნილად გამოაცხადა. სახალხო კრებამ შეიმუშავა რესპუბლიკის კონსტიტუცია და შექმნა მთავრობა კიმ ირ სენის მეთაურობით[1]. საბჭოთა კავშირმა და სახალხო-დემოკრატიულმა ქვეყნებმა სცნეს კორეა და დაამყარეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

---

[1] კიმ ირ სენი დაიბადა 1912 წელს, მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა მანჯურიაში, მონაწილეობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში, იყო ჩინეთის კომკავშირის, 1931-1945 წლებში კი ჩინეთის კომპარტიის წევრი. იგი იყო პოლკის კომისარი, შემდეგ კი დივიზიისა მანჯურიაში, მეთაურობდა კორეის განსაკუთრებულ მსროლელთა ბრიგადას და მონაწილეობდა კორეის განთავისუფლებაში. კორეის განთავისუფლების შემდეგ კიმ ირ სენი — ერთიანი დემოკრატიული ეროვნული ფრონტის ცკ-ის თავმჯდომარეა. 1948 წლიდან კსრდ-ის მინისტრთა კაბინე-

1945 წლის დეკემბერში კორეის საკითხი განიხილა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თათბირმა მოსკოვში. აქ მიღებული შეთანხმებით სსრ კავშირისა და აშშ-ის ჯარების მიერ კორეის ოკუპაცია უნდა გაგრძელებულიყო ხუთი წლის ვადით, რომლის განმავლობაში შეექმნებოდა ხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები. დემოკრატიული გზით კორეის განვითარებისა. სსრ-ის მთავრობამ მიმართა საბჭოთა კავშირის და აშშ-ს მთავრობებს წინადადებით, რათა ამ ორივე მხარეებს ერთად ადრე გაეყვანათ თავისი ჯარები კორეიდან. საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1948 წლის დამლევისათვის ჩრდილოეთ კორეიდან მთლიანად გამოვიყვანეთ საბჭოთა ჯარები.

აშშ-მა უარი განაცხადა ჯარების გაყვანაზე. უფრო მეტიც. როდესაც მთავრდებოდა მათი ჯარების სამხრეთ კორეაში ყოფნის ვადა, 1950 წლის 25 ივნისს. ინტერვენცია მოაწყვეს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. რომლის მიზანი იყო ჩრდილოეთ კორეის ხელში ჩაგდება და ჩსრ-ის საზღვრებისაკენ გაქრა.

1950 წლის 27 ივნისს. როდესაც საბჭოთა წარმომადგენელი არ იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, აშშ-ის მოთხოვნით საბჭოს მიიღებინეს გადაწყვეტილება. რომლის მიხედვით ლი სინ მანი ცხადდებოდა „აგრესიის მსხვერპლად" და წინადადება მიეცათ გაერთიანებულ ერებში შემავალ სახელმწიფოებს გაწეწილ დახმარება. კსდრ-ის არმიამ არა თუ მოიგერია ლი სინ მანის ბრბოს ჯარების შეტევები. არამედ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მას. მიადგა პუსანს და ყაათავისუფლა მთელი კორეის 90 %. 1950 წლის 15-16 სექტემბერს ამერიკის სარდლობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით თავის განკარგულებაში ჰყავდა რა 500 თვითმფრინავი და 300 სამხედრო გემი. 50 ათასიანი არმია დიდძალი ტანკებით გადასხა სახალხო არმიის ზურგში. იჩხონის ყურესთან. ამერიკის ჯარების იჩხონის ოპერაციის შემდეგ კსდრ-ის სარდლობამ ბრძანება მისცა თავის ჯარს უკან დაეხია 38 პარალელზე. სარგებლობდნენ რა ტექნიკის უპირატესობით, ამერიკისა და ლი სინ მანის ჯარებმა ხელთ ჩაიგდეს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის დიდი ნაწილი და უახლოვდებოდნენ ჩსრ-ის საზღვრებს. ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ხდებოდა ამერიკის თვითმფრინავების ბარბაროსული თავდასხმები. ამან გამოიწვია ჩინელი ხალხის დიდი აღშფოთება. ჩინეთში შეიქმნა მოხა-

ტის თავმჯდომარეა, 1966 წლიდან კი გენერალური მდივანია კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ლისეთა ნაწილები, რომლებიც კორეის ხალხთან ერთად, გმირულად იბრძოდა ინტერვენტების წინააღმდეგ. 1950 წლის 25 ნოემბერს კორეის და ჩინეთის ჯარის ნაწილები გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, გადავიდნენ შეტევაზე, რის შედეგად აშშ-ის, ლი სინ მანის და სხვა სახელმწიფოს ჯარები განდევნეს 38 პარალელის ქვემოთ და დაიწყო ხანგრძლივი პოზიციური ომი.

მიუხედავად ჩრდილოეთ კორეის ბარბაროსული დაბომბვისა, კსდრ-ის და ჩინეთის მოხალისენი გმირულად იცავდნენ ტერიტორიას და არა ერთი მძიმე დარტყმა მიაყენეს მტერს. საბჭოთა მთავრობამ არაერთხელ მიმართა აშშ-ის მთავრობას, რომ შეეწყვიტათ ომი და დაედოთ ზავი. რიგი სერიოზული დარტყმების მიღების შემდეგ აშშ-ის მთავრობა დათანხმდა მოლაპარაკებაზე. 1953 წლის 27 ივნისს ცეცხლი შეწყდა და დროებითი ზავი დაიდო.

ომი სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამერიკამ კორეაში მოკლულ, დაჭრილ და ტყვეთა სახით დაკარგა 390 ათასი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს და დააზიანეს 122 თვითმფრინავი, ჩაძირეს და დააზიანეს 257 სამხედრო გემი, განადგურებულ იქნა 3 ათასი ტანკი, 7 ათასი სხვადასხვა სახის იარაღი. საერთოდ, მტრის ერთი მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულ, ტყვედ წაყვანილ და დაჭრილ იქნა. დიდი ზარალი ნახა ამ ომით კორეელმა ხალხმაც. კსდრ-ის ტერიტორიაზე ომის დროს განადგურდა 8,7 ათასი საქარხნო ნაგებობა, 600 ათასი საცხოვრებელი სახლი, 5 ათასი სკოლის შენობა და ა. შ. დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ, განსაკუთრებით მესაქონლეობამ.

§ 34. კსდრ-ა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

ომისაგან განადგურებული ეკონომიკის აღდგენითი პერიოდი

ომისაგან განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენა დიდ სახსრებსა და ხალხის შრომას მოითხოვდა. ამ მიზნით შემუშავდა სამწლიანი გეგმა (1954 — 1956), რომელიც კორეელი ხალხის გმირული და შემართებითი შრომის შედეგად დიდი წარმატებით განხორციელდა. ამ გეგმის შესრულების შედეგად კორეელმა ხალხმა არა მარტო მიაღწია ომამდელი 1949 წლის დონეს, არამედ სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციაც განახორციელა. საყურადღებოა, რომ კაპიტალისტური სექტორი 1955 წლისათვის წარმოდგენილი იყო ქალაქად რამდენიმე კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოებით, სოფლად კი კულაკური მეურნეობით, რის გამოც იგი მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში

არ თამაშობდა. 1954 წლისათვის სოფლად ძირითად როლს უკვე თამაშობდა კოოპერაციული მეურნეობა. სამწლიანი გეგმის განხორციელების მსვლელობაში, კერძოდ 1955 წლიდან გაიშალა კაპიტალისტური სექტორის და აგრეთვე ხელოსნური და კუსტარული წარმოების სოციალისტური გარდაქმნა და უკვე 1958 წლის აგვისტოში, ეს გარდაქმნები სოფლადაც და ქალაქადაც მთლიანად დამთავრდა, რის შედეგად სოციალისტურ სექტორზე მოდიოდა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და საცალო ვაჭრობის 100 პროცენტი. კსდრ-ის სახალხო მეურნეობაში სოციალისტური გარდაქმნების დასრულების შედეგად განმტკიცდა სოციალისტური საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე ორ ფორმაში: სახელმწიფოებრივ და კოოპერაციულში. ამის შედეგად ძირეულად შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ მუშები, კოოპერატივში გაერთიანებული გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია.

§ 35. კსდრ სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში

ხუთწლიანი და შვიდწლიანი გეგმების შესრულება

კორეის შრომის პარტიის მესამე ყრილობამ (1956 წ.) მიიღო პირველი ხუთწლიანი გეგმა (1957—1961 წწ.), რომლის მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების შემდგომი განმტკიცება. სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლედში უნდა გაზრდილიყო 2,6-ჯერ. პირველი ხუთწლიანი გეგმა ერთი წლით ადრე, უკვე 1960 წლისათვის შესრულდა, რომლის შედეგად სამრეწველო წარმოება 1956 წელთან შედარებით გადიდდა 3,5-ჯერ. კსდრ გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ.

1961 წელს შრომის პარტიის IV ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა (1961 — 1967 წწ.), რომელმაც მთავარ ამოცანად დასახა უმოკლეს ვადაში ქვეყნის გადაქცევა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიალურ სახელმწიფოდ. შრომის პარტიის III და IV ყრილობებმა პირველი ხუთწლიანი და შვიდწლიანი გეგმების მთავარ ამოცანად დასახეს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური მძლავრი ბაზის შექმნა. შვიდწლიანი გეგმის შესრულების ვადა, მასში კორექტივების შეტანასთან დაკავშირებით, გაგრძელდა 1970 წლამდე. იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის აგრესიულობა და აშშ-ის დახმარები-

თა და წაქეზებით ომისათვის მზადება; ამის გამო კიმ ირ სენის მთავრობა იძულებული იყო მნიშვნელოვანი სახსრები გამოეყო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

პირველი ხუთწლედისა და შვიდწლედის დროს ქვეყნის სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდა ყოველწლიურად შეადგენდა 19,1 %, ხოლო გეგმების შესრულების შედეგად ქვეყანა გადაიქცა ინდუსტრიალურ. სოციალისტურ სახელმწიფოდ. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სამრეწველო წარმოების სტრუქტურაში — შეიქმნა განვითარებული მძიმე მრეწველობა მანქანათმშენებლობით, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა რთული და ზუსტი მანქანების მოწყობილობებს. ქვეყანაში შეიქმნა ტრაქტორების, მსხვილტონაჟიანი გემების, თბომავლების, რადიოელექტრონული აპარატურის, მთელი ქარხნების კომპლექტური მოწყობილობების, საკუთარი დამოუკიდებელი და ქვეყნის ნედლეულითა და კადრებით უზრუნველყოფილი წარმოებები. აიგო მსხვილი ჰიდრო და თბოელექტროსადგურები. დიდი განვითარება ჰპოვა მეტალურგიულმა და ქიმიურმა მრეწველობამ, მკვეთრად გაიზარდა საკუთარი უმნიშვნელოვანესი ნედლეულის წარმოება — ქვანახშირის, რკინის მადნის, ფერადი ლითონების. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზოგიერთ დარგში ჩრდილოეთ კორეამ მიაღწია განვითარებული სამრეწველო ქვეყნების დონეს. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ხვედრითი წონა 1960 წლიდან 1970 წლამდე გაიზარდა 21,3 %-დან 33 პროცენტამდე. აიგო ათეულობით საწარმოო, რომელიც უშვებს ელექტრომოწყობილობებს, რაც ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს ზოგიერთი დარგის ავტომატიზაციაზე გადასვლისათვის.

უდიდესი წარმატებებია აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. საყურადღებოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე სოფლის მეურნეობა მხოლოდ სამხრეთ კორეაში იყო განვითარებული და იგი კვებავდა მთელ ქვეყანას. ამიტომ ჩრდილოეთ კორეა არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, თავდაპირველად დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ეს სიძნელეები დაძლეული იქნა. ქვეყანაში ფართოდ გაშალა საირიგაციო მშენებლობა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია, რის შედეგადაც მოსახლეობა უზრუნველყვეს საკმაო რაოდენობის სურსათით, მრეწველობა — ნედლეულით.

ექვსწლიანი გეგმა

1970 წლის ნოემბერში შრომის პარტიის V ყრილობამ შეაჯამა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების განვლილი პერიოდის შედეგები. ყრილობამ განაცხადა, რომ განხორციელდა სოციალის-

ტური ინდუსტრიალიზაცია და ქვეყნის სოციალისტურ-ინდუსტრიალურ სახელმწიფოდ გადაქცევის ისტორიული ამოცანა. ყრილობამ დასახა სოციალიზმის მთლიანი გამარჯვების მიღწევის ამოცანა. ყრილობამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ექვსწლიანი გეგმა — 1971-1976 წლებში. ექვსწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა იყო ინდუსტრიალიზაციის წარმატებების განმტკიცება და გაზრდა, ტექნიკური რევოლუციის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უფრო განმტკიცება და ამის შედეგად სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში არსებული მძიმე სამუშაოებისაგან მშრომელების გამოთავისუფლება. ექვსწლიანი გეგმით ეროვნული შემოსავალი უნდა გაიზარდოს 1,8-ჯერ. მისი ყოველწლიური საშუალო მატება 10,3 %-ით.

1976 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის გაზრდა დაიგეგმა 960 ეონამდე (1 ამერიკული დოლარი უდრის 0.95 ეონს 1970 წლის დეკემბრის კურსით), 1966 წლისათვის კი ივი უდრიდა 500 ეონს. ექვსწლიანი გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელება, შრომის ნაყოფიერების რაციონალიზაცია და ყოველმხრივი ამაღლება, სასოფლო კეთილდღეობის ზრდა. ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ლიკვიდაცია.

სამრეწველო საწარმოების მოცულობის გაზრდა დაგეგმილია 2.2-ჯერ. 1976 წლისათვის ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 23 — 30 მლრდ კვ საათით, ქვანახშირის მოპოვება 50—53 მილიონი ტონით, თუჯის გამოდნობა — 3,5 — 3.8 მლნ ტონით, ფოლადის — 3.8 — 4 მლნ ტონით.

ექვსწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება, მაგრამ ამავე დროს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება პროპორციულად უფრო გაიზრდება, ვიდრე ადრე იყო.

ექვსწლიანი გეგმის ოთხი წლის მანძილზე ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა, სამრეწველო პროდუქციის საერთო წარმოება გაიზარდა 1.9-ჯერ. ამასთანავე ზრდის ტემპები, ნაცვლად დაგეგმილი 14%-სა, იზრდებოდა 17 %-ით. ასეთი დაჩქარებული ტემპებით იზრდებოდა სოფლის მეურნეობაც. 1974 წელს აღებულ იქნა 7 მლნ ტონა მარცვლეული, აქედან 3 მლნ ტონა ბრინჯი. რაც მანამდე არასოდეს ყოფილა ამ რაოდენობით. მიმდინარეობს მექანიზირებული სოფლის მეურნეობის ფერმების ინტენსიური მშენებლობა. იზრდება მეფრინველეობა, მეცხოველეობა და ა. შ. 10 წლის განმავლობაში ხორცის წარმოება 2,51ჯერ გაიზარდა, კვერცხის—7,4-ჯერ.

1973 წლისათვის დამთავრდა ყველაზე დიდი საირიგაციო კომპლექ-

სის მშენებლობა ამნოკანში, რომელიც საკმარისია 90 ათასი ჩონბო მიწის მოსარწყავად (1 ჩონბო=0,99 ჰა-ს). 1975 წლისათვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შედეგად ყოველ 100 ჩონბო სახნავ მიწაზე 3-4 ტრაქტორი მოდიოდა. 1974 წლისათვის 1 ჰექტარ მიწაზე მიღებული იქნა 59 ცენტნერი ბრინჯი.

ექვსწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავალში განსხვავების შემცირებას. 1975 წლის კანონით გაუქმდა მოსახლეობის გადასახადები, შემცირდა ფასები სამრეწველო საქონელზე. ეკონომიკის შემდგომი სწრაფი განვითარება შესაძლებელი გახდა, პირველ რიგში, სახალხო განათლების განვითარებასა და საკუთარი კადრების მომზადების მაღალი დონის შედეგად. კორეის მოსახლეობამ სახალხო რეჟიმის წლებში, გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია კულტურული რევოლუციის საქმეში. სახალხო ხელისუფლების შექმნის პირველსავე წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, სახალხო განათლების სისტემის შექმნაში დაწყებითიდან — უმაღლეს განათლებამდე. 1958 წლიდან შემოღებულ იქნა კანონი საყოველთაო სავალდებულო 7-წლიანი სწავლების, ხოლო 1972/73 სასწავლო წლიდან კი 11-წლიანი საყოველთაო სავალდებულო განათლების შესახებ. გაფართოვდა სპეციალური საშუალო და უმაღლესი განათლების ქსელი. ამჟამად ქვეყანაში 140 უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმია, სადაც 300 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო, სპეციალური და უმაღლესი განათლება. ქვეყანაში არის 9 ათასი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც 5 მლნ კაცი სწავლობს. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რაოდენობა. 1975 წლის ნოემბრისათვის სახალხო მეურნეობაში მუშაობდა 1 მილიონამდე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომელთაც განათლება მიიღეს მშობლიურ და სოციალისტური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში. უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში ქვეყნის უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებელში მომზადდა 523 ათასი სპეციალისტი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ მეცნიერ თანამშრომლებს. სამეცნიერო კვლევის ცენტრია კსდრ-ის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ამჟამად 20 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტს აერთიანებს, უმთავრესად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს 8 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საქმიანობს მედიცინის, სოფლის მეურნეობის და პედაგოგიკის აკადემიები.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ და პარტიამ შეიმუშავა ხანგრ-ლივვადიანი პროგრამა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დამთავრებისათვის. პროგრამის ძირითადი კონტურე-ბი დასახულია შრომის პარტიის V ყრილობაზე და VIII პლენუმზე (1974 წ.), ასევე კიმ ირ სენის 1975 წლის გამოსვლაში მრეწველო-ბის მუშაკთა თათბირზე. გათვალისწინებულია სამრეწველო პრო-დუქციის წარმოების ძირითადი დარგების გაზრდა: ფოლადის წარ-მოების — 12 მლნ ტონით, ელექტროენერგიის — 50 მლრდ კვტს. ცემენტის — 20 მლნ ტონით, ქვანახშირის ამოღების — 100 მლნ ტონით. VIII პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ძალების თავმოყრაზე სოციალისტური მშენებლობის ხუთ ძირითად ფრონტზე — თევზის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტ-ში, კაპიტალისტურ მშენებლობაზე და მძიმე მრეწველობაზე.

კორეელი ხალხის ეს გრანდიოზული წარმატებები შესაძლებელი გახდა მასების შემოქმედებითი და გარდაქმნითი მუშაობის შედეგად. რომელიც ახასიათებს სოციალიზმს. ყოველივე ამის დამადასტურე-ბელ სურათს წარმოადგენს შემდეგი მონაცემები: 1973 წელს კსდრ-ში ელექტროენერგიის წარმოება შეადგენდა — 19,6 მლრდ კვტ-ს. სამხრეთ კორეაში — 12.5 მლრდ კვტს, ქვანახშირის — შესაბამისად 30,7 მლნ ტ, სამხრეთში 12 მლნ ტ. ფოლადის — ჩრდილოეთში 2.4 მლნ ტ. სამხრეთში 1,2 მლნ ტ. 1974 წელს 1 სულ მოსახლეზე ჩრდილოეთ კორეაში 2-ჯერ მეტი მარცვალი მიიღეს, ვიდრე სამ-ხრეთში.

1972 წლის დეკემბერში კსრდ-ში მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც დააკანონა ქვეყანაში მომხდარი გრანდიოზული ცვლილე-ბები, შემოიღო კორეელი ხალხის ახალი ნორმები პოლიტიკურ, ეკო-ნომიურ და კულტურულ ცხოვრებაში და განსაზღვრა სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი პერსპექტივები.

კსდრ-ს საგარეო პოლიტიკა

სოციალისტური მშენებლობის წარმატებების ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანეს ფაქტორს კსდრ-ში წარმოადგენს მჭიდრო. მეგობრუ-ლი ურთიერთობა და კავშირი სოციალისტურ ქვეყნებთან და უპირ-ველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. სსრ კავშირმა და სხვა სოცია-ლისტურმა ქვეყნებმა კორეელ ხალხს მძიმე წლებში, როდესაც ისი-ნი ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამამულო ომს აწარმოებდ-ნენ აქტიური მორალური, მატერიალური და დიპლომატიური მხარ-დაჭერა აღმოუჩინეს და აგრესორები აიძულეს 1953 წლის ივნისში ცეცხლი შეწყვიტათ.

საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარების შედეგად ომის შემდგომ აგებულ იქნა 50-ზე მეტი სამრეწველო ობიექტი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კსდრ-ის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

1956 — 1957 და 1970 წლებში სსრკ და კსდრ-ს შორის ხელმოწერილი იქნა შეთანხმებები ეკონომიური და ტექნიკური დახმარების შესახებ. საბჭოთა კავშირი კსდრ-ს დახმარებას უწევს სათბობი, ენერგეტიკული, სამთამადნო, მეტალურგიული, ნავთის მოპოვების, მანქანათმშენებლობის და სხვა დარგების განვითარებაში. საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრა, კსდრ-ს დაეხმაროს 30 ობიექტის აშენებლობაში და რეკონსტრუქციაში ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით. ექსპლუატაციაში მათი შესვლის შემდეგ 1970 წელთან შედარებით წარმოება გაიზრდება: ფოლადის—30%, ქვანახშირის 30%, ელექტროენერგიის—40%. კსდრ-ს ვაჭრობა სსრ კავშირთან -960—1973 წლებში გაიზარდა 102.7 მლნ მანეთიდან 357,3 მლნ მანეთამდე. 1965—1970 წლებში საბჭოთა კავშირმა კსდრ-ს მიაწოდა მანქანები და მოწყობილობები 259.4 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა ხუთწლედის დახმარებას. კსდრ-ს დიდ დახმარებას უწევს სოციალისტური ქვეყნებიც.

კსდრ-ს ფართო სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობა აქვს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებულ და ზოგიერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. 1975 წლისათვის კსდრ-ს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 78 სახელმწიფოსთან, ხოლო სავაჭრო — 80-ზე მეტთან. კსდრ წევრია რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, მათ შორის იუნესკოსი.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობის საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზს წარმოადგენს კორეის ორივე ნაწილის ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება დემოკრატიულ საწყისებზე, მშვიდობიანი გზით, გარედან ჩარევის გარეშე თვით კორეელი ხალხის ძალებით. ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 70-იანი წლებიდან, რის საფუძველიც გახდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია და განმტკიცება.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ არაერთხელ მიმართა სამხრეთ კორეის მთავრობას ქვეყნის ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ. სახალხო მთავრობის ეს ინიციატივა ქვეყნის ეროვნულ გაერთიანებისათვის ფართო მოწონებითა და მხარდაჭერით სარგებლობს სამხრეთ კორეის მოსახლეობის მხრივაც. ამ გარემოებამ სამხრეთ კორეის მმართველი წრეები აიძულა 1972 წლის გაზაფხულისათვის დაეწყოთ დიალოგი ქვეყნის ეროვნული გაერთიანების საკითხზე. 1973 წლის ივნის-

ში კსდრ-ის მთავრობამ ჩამოაყალიბა ქვეყნის გაერთიანების პროგრამა ხუთი პუნქტისაგან. იგი ითვალისწინებს: 1. სამხედრო კონფრონტაციის ლიკვიდაციას და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაძაბულობის აღმოფხვრას; 2. თანამშრომლობასა და გაცვლის განხორციელებას პოლიტიკის, დიპლომატიის, სამხედრო საქმის, ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში; 3. დიდი ეროვნული კრების მოწვევას მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, კორეის ორივე ნაწილს შორის დიალოგის დაწყებისათვის საერთო ეროვნული მსჯელობით გაერთიანების შესახებ; 4. გაერთიანებამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის კონფედერაციის სისტემის შემოღებას ერთიანი სახელწოდებით „კორეის კონფედერაციული რესპუბლიკა" და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლას ერთი სახელმწიფოს სახით; 5. კორეის პრობლემის დემოკრატიულ საწყისებზე პოზიტიური გადაწყვეტის აუცილებელ პირობად უნდა გახდეს სამხრეთ კორეიდან ყველა უცხოელთა და უპირველეს ყოვლისა ამერიკის ჯარების გაყვანა. სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების გაზრდისა და საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანის შეწყვეტა. სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ორივე კორეას შორის. 1973 წელს პირველად 20 წლის განმავლობაში, კსდრ-ის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე კორეის საკითხის განხილვაში, სადაც კენჭისყრის გარეშე ცნობილი იქნა კორეის მიერ დიალოგის გაგრძელების აუცილებლობა. ქვეყნის გაერთიანებისათვის. კსდრ-ის აღნიშნულმა პროგრამამ ფართო რეზონანსი და მხარდაჭერა ჰპოვა კორეის ორივე ნაწილის მოსახლეობასა და საერთაშორისო არენაზე. საბჭოთა კავშირის. სოციალისტური თანამეგობრობისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მხარდაჭერის შედეგად 1973 წლიდან ჩრდილოეთ კორეამ მუდმივი მეთვალყურის სტატუსი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ხოლო გენერალური ასამბლეის XXVIII სესიამ იმავე წლის 28 ნოემბერში მიიღო გადაწყვეტილება კორეის გაერთიანების კომისიის დათხოვნის შესახებ. ეს კომისია წლების განმავლობაში წარმოადგენდა კორეელი ხალხის შინაურ საქმეებში ჩარევის საშუალებას და მიუხედავად თავისი სახელწოდებისა. პირიქით ხელს უშლიდა კორეის გაერთიანების საქმეს. ამასთან დაკავშირებით კსდრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა. „რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კორეელი ხალხისა და მთელი სოციალისტური ქვეყნების გამარჯვებაა". განცხადებაში ხაზგასმული იყო. რომ „კსდრ-ის მთავრობა არ შეწყვეტს ბრძოლას, ვიდრე არ მოისპობა კორეელი ხალხის შინაურ საქმეებში ჩარევის ყველა ფორმა და ლიკვი-

დირებული არ იქნება სამხრეთ კორეაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობა"[1].

სამხრეთ კორეის დიქტატორმა პაკ ჩჟონ-ხინმა ამ ბოლო დროს გააძლიერა რეპრესიები დემოკრატიული და ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ. ხოლო აშშ-მა სამხრეთ კორეაში თერმოატომური და თანამედროვე იარაღი შეიტანეს და ახალი ბაზები ააგეს. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა სლიშინჯერმა განაცხადა: ომის დაწყების შემთხვევაში ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ კორეელი ხალხის წინააღმდეგ. კიმ ირ სენმა ამასთან დაკავშირებით თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ აშშ-მა „მარცხი განიცადეს რა სამხრეთ ვიეტნამში, ახლა ცდილობენ განმტკიცდნენ სამხრეთ კორეაში. მათ უნდათ საუკუნოვანი გახადონ ჩვენი ქვეყნის გათიშვა, ქვეყნის სამხრეთი თავის დასაყრდენ პუნქტად გადააქციონ აზიის ხალხების წინააღმდეგ ახალი აგრესიული აქტების განხორციელებისათვის".

1975 წლის ივნისში პაკ ჩჟონ-ხინმა სამხედრო ისტერია გააჩაღა სამხრეთ კორეაში და „განსაკუთრებული მდგომარეობა" გამოაცხადა თითქოსდა „ჩრდილოეთიდან საშიშროების გაძლიერების გამო". სამხრეთ კორეაში გამოაცხადა ამაღლებული სამხედრო მზადყოფნა და ფეხზე დააყენა მთელი ჯარები, რომელიც თავის რიგებში 600 ათას კაცს ითვლიდა. გარდა ამისა იგი ქმნის „ადგილობრივი დაცვის რაზმებს", გააუქმა შვებულებები საწარმოებსა და დაწესებულებებში და ა. შ. სამხრეთ კორეის დიქტატორს სურს სამუდამოდ დატოვოს საზღვარგარეთის ჯარები სამხრეთ კორეაში. მაგრამ სამხრეთ კორეის პატრიოტები კვლავ იბრძვიან ქვეყნიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისა და ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის.

ძალზე საშიში დაახლოება ხდება სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორისაც. 1975 წლის სექტემბერში სეულში შედგა იაპონიის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ტაკეო ფუკუდას, საგარეო საქმეთა მინისტრის კიიტი მიაძავის და სხვა მინისტრების თათბირი, სეულის რეჟიმის მაღალი თანამდებობების პირებთან, რომლის დროსაც განიხილეს სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები. კომუნიკეში ხაზგასმულია მათი მისწრაფებები, განამტკიცონ „მეგობრობა და თანამშრომლობა", ყოველმხრივ გააფართოვონ ურთიერთშორის კონტაქტები. იაპონიის მთავრობა დაპირდა სამხრეთ კორეას ფართო ეკონომიურ დახმარებას. ასეთი შეთანხმება იაპონიასა

[1] სამხრეთ კორეაში 1975 წლისათვის კვლავ რჩებოდა 40 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების სარდლობის" სახელით, რომელიც აქ არსებობს 1950 წლიდან. ასევე სახელწოდებითაა აქ ამერიკის სამხედრო ბაზები.

და სამხრეთ კორეის მმართველ წრეებს შორის ყურადღებას. იმიტომ იმსახურებს, რომ ამერიკის იმპერიალიზმს სურს შორეულ აღმოსავლეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში საერთაშორისო პოლიციის ფუნქციები იაპონიას დააკისროს. 1975 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კორეის საკითხზე მიიღო 43 სოციალისტური და მიუმხრობელი სახელმწიფოების რეზოლუცია, რომლის მიხედვით სამხრეთ კორეაში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის ქვეშ მყოფი ჯარები დათხოვნილად ცხადდება. აშშ ვალდებულია ჯარები გამოიყვანოს სამხრეთ კორეიდან, ან სამხრეთ კორეის მთავრობასთან ორმხრივი შეთანხმების ფორმით კვლავ გააგრძელოს თავისი ჯარების დისლოკაცია. მაგრამ, ამისათვის აშშ-ის კონგრესის თანხმობა არის საჭირო. ასეთი გადაწყვეტილება სოციალისტური ქვეყნებისა და და მთელი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების დიდ გამარჯვებას, ხოლო ომისა და დაძაბულობის მომხრე ძალების დიდ მარცხს ნიშნავს. იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის კორეის გაერთიანებისათვის და აზიაში დაძაბულობის შენელებისათვის.

თავი XII

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა[1]

§ 36. ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

მოკლე ცნობები წარსულიდან. ბრძოლა კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის

ვიეტნამი ფრანგმა კოლონიზატორებმა 1884 წელს, 26 წლის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს. ქვეყანაში საფრანგეთის კოლონიური რეჟიმი დამყარდა, რომელიც გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის ფაშისტურ გერმანიასთან დამარცხების შემდეგ ფრანგი კოლონიზატორები ვიეტნამში შეცვალეს იაპონელებმა. ამ უკანასკნელებმა ვიეტნამში კიდევ უფრო მკაცრი რეჟიმი დაამყარეს. ვიეტნამელი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას ჯერ ფრანგი, ხოლო შემდეგ იაპონელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1930 წლიდან ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას სათავეში ედგა ამავე წელს შექმნილი ვიეტნამის კომუნისტური პარტია, 1941 წელს იაპონელთა წინააღ-

---

[1] ტერიტორია — 158,8 ათასი კმ², მოსახლეობა — 22 მლნ (1972), დედაქალაქი ჰანოი — 1,3 მლნ მცხოვრები (1972 წ.).

მდეგ ბრძოლის მიზნით, კომუნისტური პარტიის ინიციატივით შეიქმნა ვიეტნამის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიგა ვიეტმინის სახელწოდებით. ეს იყო ანტიიაპონური, ქვეყნის დემოკრატიული და პატრიოტული ძალების გაერთიანებული ფრონტი, რომელმაც მიზნად დაისახა კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია და დამოუკიდებლობის მიღწევა. ვიეტმინმა კომპარტიის მეთაურობით დიდი როლი ითამაშა ხალხის შემზადროვებისა და შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზაციის საქმეში. ვიეტმინის პარტიზანული ნაწილები მთელი ომის განმავლობაში წარმატებით იბრძოდნენ ქვეყნის განთავისუფლებისათვის. 1944 წლის დეკემბერში მტრისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ვიეტნამის რეგულარული სახალხო არმია, რომლის ორგანიზატორი იყო ყოფილი მასწავლებელი, შემდეგ კი ამ არმიის მთავარსარდალი კომუნისტი გენერალი ვონ ნგუენ ზიაპი. 1945 წლის აგვისტოში სახალხო არმიის ნაწილებმა იაპონელთა აგრესორებისაგან მთლიანად გაათავისუფლეს ვიეტნამის ჩრდილოეთ მთიანი რაიონი ვიეტ-ბაკი, სადაც შეიქმნა ეროვნული გათავისუფლების დროებითი კომიტეტი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. ომი დამოუკიდებლობისათვის

ეროვნული გათავისუფლების დროებითმა კომიტეტმა თავის ხელში აიღო გათავისუფლებული რაიონების მმართველობა და დაცვა. 1945 წლის 9 აგვისტოდან იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ომში ჩაება საბჭოთა კავშირი. ცნობა ამის შესახებ ელვისებერად მოედო ვიეტნამელ ხალხს და გამოიწვია საყოველთაო სახალხო აჯანყება იაპონელთა ბატონობის წინააღმდეგ. 1945 წლის 19 აგვისტოს ეს აჯანყება დამთავრდა ვიეტნამელი ხალხის სრული გამარჯვებით. ძალაუფლება გადავიდა ეროვნული გათავისუფლების კომიტეტის ხელში, რომელიც გადაიქცა ვიეტნამის დროებით მთავრობად, პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით. 1945 წლის 2 სექტემბერს ჰანოიში დედაქალაქის ნახევარმილიონიან მოქალაქეთა წინაშე ხო-ში მინმა დროებითი მთავრობის სახელით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა შექმნილად. აგვისტოს რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები იყვნენ მუშათა კლასი და გლეხობა, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებული კოლონიური ბატონობის ლიკვიდაციით. რევოლუციას მხარს უჭერდა წვრილი ბურჟუაზია, პატრიოტულად განწყობილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, სამღვდელოება და მემამულეები, რომლებიც კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციის მომხრენი იყვნენ. კომპარტია

წავიდა მათთან კავშირზე და შეუერთა ერთიანი ეროვნული ფრონტი, მაგრამ გამარჯვების ძირითადი საფუძველი იყო მეშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი. ვიეტნამის რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელი გახდა მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების შედეგად, რომელთა შორის აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შედეგად შექმნილი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. ვიეტნამელი ხალხის ორგანიზატორად და ხელმძღვანელად გამოდიოდა მუშათა კლასი და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტია.

1946 წლის 6 იანვარს ვერ-ში ჩატარდა ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა ამომრჩეველებმა. ეროვნულ კრებაში არჩეულ იქნა 300 დეპუტატი, აქედან 220 ვიეტმინის კანდიდატებიდან. იმავე წლის ნოემბერში ეროვნულმა კრებამ საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ მიიღო ვდრ-ის კონსტიტუცია. რომელმაც განამტკიცა ხალხის რევოლუციური მონაპოვარი. კონსტიტუციით აღმასრულებელი ხელისუფლება გადადიოდა მთავრობის ხელში, რომელიც შედგებოდა რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან, ვიცე-პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოსაგან. სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი. რომელიც ირჩევა ეროვნული კრების დეპუტატთა მიერ სამი წლის ვადით და არჩევა შემდეგაც შეიძლება. მთავრობის სათავეში დგას მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. საკანონმდებლო ხელისუფლება ეროვნული კრების ხელში გადავიდა. რომლის არჩევა ისე, როგორც სახალხო ადგილობრივი საბჭოებისა, ხდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

ვიეტნამის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ძალზე მტრულად შეხვდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. იაპონელთა ჯარების განიარაღების საბაბით, ჩრდილოეთ ვიეტნამში შევიდნენ გომინდანელთა ჯარები, ხოლო სამხრეთ ვიეტნამში კი ინგლისისა. მალე ვიეტნამში გაიგზავნა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი. საფრანგეთის ბურჟუაზია ომის შემდეგ კვლავ ოცნებობდა თავისი კოლონიური რეჟიმის აღდგენაზე ვიეტნამში. 1945 წლის 23 სექტემბერს საიგონში გადასხმულმა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსმა შესძლო ქალაქის ხელში ჩაგდება. მაგრამ, ვიეტნამელმა ხალხმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია საფრანგეთის კოლონიზატორებს. წააწყდნენ რა დიდ წინააღმდეგობას, საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მიმართეს ხალხის მოტყუებას. 1946 წლის 6 მარტს საფრანგეთმა და ვდრ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის პირველ მუხლში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის მთავრობა ცნობს ვიეტნა-

მის რესპუბლიკას ჩრდილოეთ და ცენტრალურ ვიეტნამში, „როგორც თავისუფალ სახელმწიფოს“ თავისი მთავრობით, პარლამენტით არმიითა და ფინანსებით. სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო რეფერენდუმით. საფრანგეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა შეეწყვიტა საომარი მოქმედება ვიეტნამში. დამატებით, კონვენციაში აღნიშნული იყო, რომ საფრანგეთის ჯარები 15 ათასი კაცის შემადგენლობით დარჩებოდა ვიეტნამში იაპონიის ჯარების საბოლოო განიარაღებამდე, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ მათ შეცვლიდა ვიეტნამის ჯარები, ხოლო ჩრდილოეთ ვიეტნამში გომინდანელთა ჯარებს საფრანგეთის ჯარები. საფრანგეთის მთავრობამ ეს შეთანხმება გამოიყენა იმისათვის, რომ თავისი ჯარები შეეყვანა ჩრდილოეთ ვიეტნამში. 1946 წლის 19 დეკემბერს ინგლისის, გომინდანელთა და ადგილობრივი რეაქციის მხარდაჭერით ფრანგმა კოლონიზატორებმა ფართო ინტერვენცია დაიწყეს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ომი ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ იყოფა სამ ეტაპად: პირველი ეტაპი (1946 წლის 19 დეკემბრიდან 1947 წლის დამლევამდე) ხასიათდება დროებითი დამარცხების და ტაქტიკური მოსაზრებით უკან დახევით; მეორე ეტაპი მოიცავს 1948-1950 წლებს და იგი ხასიათდება წონასწორობის აღდგენით და ვდრ-ის ჯარების შეტევის დაწყებით; მესამე ეტაპი მოიცავს 1951 — 1954 წლებს და იგი გამარჯვების ეტაპია.

ომის პირველ ეტაპზე, 1947 წლის ზაფხულამდე, საფრანგეთის ჯარებმა რიგ წარმატებებს მიაღწიეს, ისინი სარგებლობდნენ ინგლისელთა და გომინდანელთა მხარდაჭერით. ადგილობრივი რეაქციის ძალებიც ფრანგი კოლონიზატორების მხარეზე გადავიდნენ. საფრანგეთის ჯარების ხელში აღმოჩნდა სამხრეთი და ცენტრალური ვიეტნამი და ყველა მსხვილი ქალაქი ჩრდილოეთ ვიეტნამში. საფრანგეთი ცდილობდა გამოეყენებინა კოლონიზატორთა ძველი ხერხები და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა თვით ვიეტნამელები. ამ მიზნით, 1949 წელს, სამხრეთ ვიეტნამში საფრანგეთმა ვიეტნამის ყოფილი იმპერატორის ბაო დაის მეთაურობით შექმნა მარიონეტული სახელმწიფო, რომელსაც თავს მოახვია ე. წ. „შეთანხმება“ და შეუდგა მარიონეტული არმიის შექმნას.

ვდრ-ის მთავრობა ჯერ ცდილობდა მშვიდობიანი გზით საფრანგეთის ჯარების ქვეყნიდან გაყვანას, მაგრამ დარწმუნდა, რომ ბრძოლის გარეშე ეს შეუძლებელი იყო, მოწოდებით მიმართა ხალხს, რათა ამდგარიყვნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად.

განმათავისუფლებელი ომის სათავეში ჩადგნენ ვიეტნამელი კომუნისტები. მათ მთელი ძალების მობილიზება დაჭირდათ, რომ

ქვეყნის დამოუკიდებლობა დაეცვათ. ვიეტნამელმა კომუნისტებმა შეიმუშავეს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის კონკრეტული პროგრამა, რომელიც მოიცავდა სამხედრო-პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიურ და სხვა დარგებს. ამ ბრძოლის მთავარ ლოზუნგად გადაიქცა დევიზი: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“. პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხალხთა ფართო მასების მობილიზაციას კოლონიზატორთა აგრესიისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის, სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისათვის, თავდაცვითი საწარმოების მოწესრიგებისათვის. დემოკრატიული გარდაქმნების გატარებისათვის. ვდრ-ს მთავრობა ამ კრიტიკულ მომენტში დიდ ყურადღებას აქცევდა ჯანმრთელობის დაცვას, კულტურისა და განათლების საქმეს. კომუნისტების ღონისძიებების შედეგი იყო, რომ მთელი ხალხი აღსდგა კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ომი დამოუკიდებლობისათვის 9 წელს გაგრძელდა.

რიგი ღონისძიებების განხორციელების, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს, მათ შორის საფრანგეთის პროგრესული ძალების მხარდაჭერის შედეგად, ვიეტნამის კომუნისტებმა შეძლეს ქვეყანაში მტკიცე ბაზა შეექმნათ კოლონიზატორთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

1948 — 1950 წლები, სამხედრო თვალსაზრისით, დამახასიათებელია იმით, რომ ვდრ-ის შეიარაღებულმა ძალებმა გაზარდეს, გააძლიერეს თავისი რიგები, გააჩაღეს აქტიური და ეფექტური მოქმედება, განახორციელეს რიგი მნიშვნელოვანი ოპერაციები და მათ ხელში გადავიდა ინიციატივა. ვდრ-ის საშინაო და საგარეო პოზიციების გაძლიერება უშუალოდ დაკავშირებული იყო მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლებასთან ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებითი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა 1950 წლის იანვარში დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან, რომლის შედეგად ვიეტნამელმა ხალხმა თავის გამათავისუფლებელ ბრძოლაში საიმედო მოკავშირეები შეიძინა.

50-იანი წლების დასაწყისისათვის ვდრ-ის შეიარაღებული ძალები ემზადებოდნენ ინტერვენტთა წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევებისათვის. ხალხთა მასების მობილიზაციის მიზნით 1951 წლის თებერვალში მოწვეულ იქნა ინდოჩინეთის კომუნისტური პარტიის II პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა სახალხო დემოკრატიული, ეროვნული რევოლუციის უშუალო ამოცანები ვიეტნამში: საფრანგეთის კოლონიზატორებისა და მარიონეტული ფეოდალური ძალების გა-

ნადგურება, ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა, სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარება და სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა, სოციალიზმის მშენებლობა კაპიტალიზმის განვითარების გვერდის ავლით. ყრილობამ შეცვალა, აგრეთვე კომპარტიის სახელწოდება „შრომის პარტიის“ სახელწოდებით, იმავე წლის მარტში შრომის პარტიის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ვიეტნამის გაერთიანებული ეროვნული ფრონტი ლიენ ვიეტის სახელწოდებით, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა მოსახლეობის ყველა ის ფენა და ორგანიზაცია, რომლებიც იბრძოდა ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ლიენ ვიეტი თავის რიგებში ითვლიდა 10 მლნ კაცს. ამ მასობრივმა ორგანიზაციამ, რომლის წამყვან ძალად გადაიქცა შრომის პარტია, დიდი წვლილი შეიტანა ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებაში.

1951 — 1953 წლებში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები წარმატებით ახორციელებდნენ შეტევით ოპერაციებს და გაათავისუფლეს ქვეყნის რიგი რაიონები. 1953 წლის ბოლოს ფრანგების ცდები, ხელთ ეგდოთ ინიციატივა, ჩაიშალა, რის შემდეგ ვიეტნამის ჯარებმა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დიენ ბიენ ფუს რაიონში, ალყაში მოაქციეს ინტერვენტთა მნიშვნელოვანი ჯარები და 1954 წლის 7 მაისს გაანადგურეს ისინი. ამრიგად, აშშ-ის 1 მილიარდი დოლარისა და უამრავი იარაღით დახმარებამ ვერ უშველა ფრანგ კოლონიზატორებს. ვიეტნამელი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უფრო ძლიერი აღმოჩნდა ამერიკელ მილიარდებსა და ტექნიკაზე. ეს წარმატებები მიღწეული იყო პარტიის შემდგომი ღონისძიებების გატარების შედეგად. 1949 წელს განთავისუფლებულ ტერიტორიაზე განხორციელდა აგრარული რეფორმა, რომლითაც საიჯარო გადასახადი დაყვანილ იქნა 25 %-მდე. გლეხები განთავისუფლდნენ მემამულეებისადმი ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებებისა და გადასახადებისაგან, სათემო მიწები, რომლებიც უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული მემამულეებს და კულაკებს განაწილდა გლეხთა შორის. კონფისკებულ იქნა სამშობლოს გამყიდველებისა და ფრანგ კოლონიზატორთა მიწები, რომელიც დროებით მფლობელობაში გადაეცა უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხებს, შემცირდა საკვანძო საპროცენტო გადასახადი, ხოლო 1951 წლის მაისში შემოიღეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. რითაც გლეხობა განთავისუფლდა სხვადასხვა უამრავი გადასახადებისაგან. მთავრობა დიდ დახმარებას უწევდა გლეხებს თესლით, კრედიტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სარწყავი არხებისა და საირიგაციო ნაგებობათა გაყვანით და ა. შ. ამ ღონისძიებათა შედეგად აგრარული საკითხი მთლიანად არ გადაწყდა, ვი-

ნაიდან მემამულეთა მიწათმფლობელობა კვლავ რჩებოდა, მაგრამ გლეხთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

დიდ მზრუნველობას იჩენდა მთავრობა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 1947 წელს გამოიცა დეკრეტი შრომის შესახებ, დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე, გაიზარდა მუშათა ხელფასი, აიკრძალა 12 წლის ასაკამდე ბავშვთა შრომის გამოყენება წარმოებაში და ა. შ. ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების საქმეში დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ჩსრ-ის შექმნას და გომინდანური ჩინეთის ნაცვლად ვიეტნამის მეზობლად სახალხო ჩინეთის არსებობას.

კოლონიზატორთა წინააღმდეგ სახალხო რევოლუციური არმიის ოთხი დარტყმის შედეგად საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის ნათელი გახდა, რომ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ე. წ. „ჭუჭყიანი ომი“ წაგებულია, რომ არავითარ ძალებს არ შეუძლია მათი კოლონიური ბატონობის აღდგენა ვიეტნამში. მსოფლიო პროგრესიული კაცობრიობის ბრძოლამ. საბჭოთა კავშირის მეთაურობით, მშვიდობისათვის. „ჭუჭყიანი ომის“ შესაწყვეტად ინდო-ჩინეთში აიძულა საფრანგეთისა და დასავლეთის სახელმწიფოს მმართველი წრეები მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყვნენ. 1954 წლის თებერვალში, საბჭოთა კავშირის ინიციატივით, ბერლინში მოიწვიეს სსრ კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. სადაც გადაწყდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ინდოჩინეთის და კორეის საკითხის განსახილველად. იგი შეიკრიბა 1954 წლის მაისში ჟენევაში. სსრ კავშირის, ჩსრ-ის, აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, ვდრ-ის, ლაოსის, კამბოჯას და ბაო დაის წარმომადგენლების მონაწილეობით.

1954 წლის 21 ივლისს კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. მისი მონაწილენი ვიეტნამის საკითხზე შეთანხმდნენ ქვეყნის 'მშვიდობიან' და დემოკრატიული განვითარების შესახებ. ამ მიზნით მე-17 პარალელზე გავიდოდა დროებით სადემარკაციო ხაზი ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის, და ორივე ზონის ხელისუფლება ურთიერთკონსულტაციების გზით ჩაატარებდა საყოველთაო თავისუფალ არჩევნებს 1956 წლის ივლისამდე, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ქვეყნის გაერთიანება. შეთანხმებამ აკრძალა ვიეტნამის ტერიტორიაზე უცხოელთა ჯარების შეყვანა და იარაღის შეტანა, ორივე მხარე უარს ამბობდა რაიმე სამხედრო კავშირებში შესვლაზე, საფრანგეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარები, ხოლო საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები არ უნდა ჩარეულიყვნენ ვიეტნამის შინაურ

საქმეებში. ჟენევის შეთანხმების ცხოვრებაში გატარებისათვის დაწესდა საერთაშორისო საკონტროლო კომისია.

აშშ-მა უარი განაცხადა ეცნო ჟენევის თათბირის დასკვნითი დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, მაგრამ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებული გახდა დამატებითი ცალმხრივი დეკლარაცია მიეღო, რომლითაც ვალდებულებას იღებდა პატივი ეცა ჟენევის შეთანხმებისათვის ინდოჩინეთში.

ჟენევის შეთანხმება ვიეტნამელ ხალხისა და მთელი პროგრესული ძალების დიდი გამარჯვება იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შეთანხმებიდან მაინც ისაა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამი მთლიანად გათავისუფლდა კოლონიური ბატონობისაგან და ცნეს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

§ 37. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში

სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება ვდრ-ში

დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ვდრ-ის ხალხი და მთავრობა შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას და განადგურებული ეკონომიკის აღდგენას. 1957 წლის ბოლოს ვიეტნამელმა ხალხმა საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების უანგარო და ძმური დახმარების შედეგად, შეძლო თავისი განადგურებული ეკონომიკის აღდგენა და მიაღწია 1939 წლის დონეს. 1957 წლისათვის ვდრ-ში იყო 78 სამრეწველო საწარმო. 1958 — 1960 წწ. ვიეტნამელმა ხალხმა დიდი წარმატებით განახორციელა სამწლიანი გეგმა, ხოლო 1961 წ. კი შეუდგა პირველი ხუთწლიანი გეგმის (1961 — 1965 წწ.) განხორციელებას. ამ გეგმის დირექტივები 1960 წლის სექტემბერში განიხილა მშრომელთა პარტიის მესამე ყრილობამ, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ჩრდილოეთ ვიეტნამში სოციალიზმის მშენებლობისა და ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლის ყრილობა. ყრილობამ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცკ-ის თავმჯდომარედ ხო ში მინი[1] აირჩია, ხოლო ცკ-ის პირველ მდივ-

[1] ხო ში მინი (1890—1969) დაიბადა. მასწავლებლის ოჯახში. 1912—1914 წლებში მუშაობდა მტვირთავად გემებზე, იყო სამხედრო სამსახურში საფრანგეთის არმიაში და რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იმყოფებოდა პატიმრობაში. მონაწილეობდა კომინტერნის მუშაობაში მოსკოვში. 1928 წელს იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე ტაილანდში. მიესაჯა სიკვდილით დასჯა დაუსწრებლად.

ნად კი ლე ზუანი[1]. პირველი ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანა იყო სოციალისტური გარდაქმნების დასრულება და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო წარმოების 2,2-ჯერ ზრდას, უპირატესად უნდა განვითარებულიყო მძიმე ინდუსტრია, მანქანათმშენებლობა, ფერადი და შავი მეტალურგია და ა. შ. ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 37 %-ით უნდა გაზრდილიყო.

პირველი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა. რომლის შედეგად ჩრდილოეთ ვიეტნამში დამთავრდა სახალხო მეურნეობაში სოციალისტური გარდაქმნები, რაც ფაქტიურად ნიშნავდა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პირველი ეტაპის დამთავრებას.

პირველი ხუთწლედის ბოლოს, ომის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში ვიეტნამელმა ხალხმა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარების, უანგარო დახმარებისა და საყოველთაო შრომითი აღმავლობის ვითარებაში გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია და ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, კაპიტალიზმის გვერდის აცლით, შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას. ათი წლის განმავლობაში (1955—1965 წწ.) სამრეწველო წარ-

---

1930 წელს იყო ინდოჩინეთის კომპარტიის ერთერთი ორგანიზატორი და მისი ცკ-ის წევრი. 1931 — 1934 წლებში იყო პატიმრობაში. 1935 წელს მონაწილეობდა კომინტერნის VII კონგრესში. 1941 წლის დეკემბერში იყო ინდოჩინეთის დამოუკიდებლობის ფრონტის ორგანიზატორი. 1942 წელს იგი გომინდანურმა მთავრობამ დააპატიმრა. 1943 წელს მუშაობდა პარტიულ სამეშაოზე. ვდრ-ს შექმნის შემდეგ გახდა მისი პრეზიდენტი, 1951—1969 წლებში იყო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცკ-ის თავმჯდომარე.

[1] ლე ზუანი დაიბადა 1907 წელს. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება პატრიოტულ მოძრაობაში ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1928 წელს შედის ვიეტნამის რევოლუციური ახალგაზრდობის ამხანაგობაში და მისი აქტიური წევრი ხდება. 1930 წელს ლე ზუანი შედის ინდოეთის კომპარტიაში, 1931 — 1935 წლებში იგი კოლონიური ხელისუფლების პატიმრობაშია, საიდანაც განთავისუფლდა 1936 წელს, საფრანგეთში სახალხო ფრონტის მთავრობის გამარჯვების შედეგად. 1936 — 1939 წლებში იგი ცენტრალური ვიეტნამის პარტიული კომიტეტის მდივანია, 1939 წელს აირჩიეს ინდოჩინეთის კომპარტიის ცკ-ის მუდმივი კომიტეტის წევრად. 1940 წელს იგი კვლავ დაპატიმრებული იქნა და მხოლოდ 1945 წლის აგვისტოს რევოლუციის შედეგად განთავისუფლდა პატიმრობიდან და მაშინვე კომპარტიის ცკ-მა თავის წარმომადგენლად გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში, სადაც იყო ინდოჩინეთის კომპარტიის სამხრეთ ვიეტნამის ბიუროს მდივნის თანამდებობაზე. აქ იგი აქტიურად ხელმძღვანელობდა ხალხთა მასებს ინტერვენტების და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1951 წლიდან შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრად და ცკ-ის მდივნად აირჩიეს, ხოლო 1960 წლიდან პირველი მდივანია.

ძოების საშუალო წლიური მატების ტემპმა 26,2 % შეადგინა. საბჭოთა კავშირის დახმარების შედეგად, რომელმაც ვდრ-ას ხანგრძლივვადიანი კრედიტი მისცა 300 მილიონი მანეთის ოდენობით, აგებულ იქნა 108 სამრეწველო საწარმო. პირველი ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. დიდი წარმატებები მოიპოვეს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სხვა დარგებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1961 წლისათვის მთლიანად აღმოიფხვრა წერა-კითხვის უცოდინარობა, გაიხსნა მრავალი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო დაწესებულებები, აღიზარდა საკუთარი კადრები და ა. შ.

§ 38. სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის

ვდრ-ის მთავრობა სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებთან ერთად იბრძოდა ჟენევის შეთანხმების განხორციელებისათვის, 1956 წელს გათვალისწინებული საყოველთაო არჩევნების ჩატარებისათვის, რომელიც გადაწყვეტდა ქვეყნის გაერთიანებას. მაგრამ ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანება ჟენევის შეთანხმების საფუძველზე არ აწყობდა აშშ-ის და დასავლეთის სხვა მმართველ წრეებს, რომლებიც დაადგნენ სამხრეთ ვიეტნამში „კონტრრევოლუციური ექსპორტის“ გზას და საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგად ჩაშალეს მისი განხორციელება. 1954 წლის ივლისში, ყოფილ სახელმწიფოს მეთაურის და იმპერატორ ბაო დაის ნაცვლად, ფრანგების და ამერიკელების მხარდაჭერით პრემიერ-მინისტრი გახდა ნგო დინ დიემი, რომელმაც ფალსიფიცირებული „რეფერენდუმით“ თავი სამხრეთ ვიეტნამის „სახელმწიფოს“ მეთაურად გამოაცხადა. 1954 წლის ოქტომბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ნგო დინ დიემს აცნობა, რომ ამიერიდან ამერიკა დაეხმარება საიგონის რეჟიმს საფრანგეთის შუამავლობის გარეშე. აშშ-სა და საფრანგეთს შორის დაიდო შეთანხმება, რომლითაც საიგონის არმიის გაწვრთნა ამერიკის სამხედრო მისიამ იკისრა, აშშ-ის მთავრობა არ იშურებდა სახსრებს ნგო დინ დიემის რეჟიმის განმტკიცებისათვის. 1955 — 1959 წლებში აშშ-მა მას მისცა 1,5 მლრდ დოლარი, რომლის ძირითადი ნაწილი სამხედრო საქმეს მოხმარდა. 1961 წლის ბოლოსათვის საიგონის განკარგულებაში 300 ათასიანი არმია იყო.

ნგო დინ დიემის მთავრობამ აშშ-ის მხარდაჭერითა და წაქეზებით უარი თქვა 1956 წელს გათვალისწინებული საყოველთაო არჩევნების ჩატარებაზე. 1955 წელს სამხრეთ ვიეტნამი რესპუბლიკად გამოცხადდა. მისი მოსახლეობა 14 მლნ კაცს შეადგენდა. დაიწყო კო-

მუნისტების, დემოკრატიული და პატრიოტული ძალების სასტიკი დევნა. 1959 წლის დეკრეტით კომპარტია კანონგარეშე გამოცხადდა. სამხრეთ ვიეტნამში დამყარდა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, რომლის მსხვერპლი უმოკლეს დროში გახდა 105 ათასი პატრიოტი, 350 ათასი აღმოჩნდა ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. მასობრივი რეპრესიების და ტერორის მიუხედავად აშშ-ის იმპერიალისტებმა და საიგონის მარიონეტებმა ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. პირიქით, სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობა აღსდგა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, დაიწყო პატრიოტული განმათავისუფლებელი ომი. 1960 წლის დეკემბერში სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ფრონტი, რომლის პროგრამამ დასახა ნგო დინ დიემის დიქტატორული რეჟიმის დამხობა. დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და ქვეყნის მშვიდობიანი გზით გაერთიანება. სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებმა მნიშვნელოვანი ტერიტორია გაათავისუფლეს. გათავისუფლებული ზონა თანდათან ფართოვდებოდა. ამრიგად, ნგო დინ დიემის რეჟიმმა ვერ შეძლო ხალხთა მოძრაობის ჩახშობა. იგი თვითონ აღმოჩნდა კრახის წინაშე. მოვლენების ასეთი განვითარების შედეგად აშშ-ს მთავრობა სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკიდან აშკარა სამხედრო ინტერვენციაზე გადავიდა. 1961 წლიდან ამერიკამ დაიწყო „განსაკუთრებული" ომი სამხრეთ ვიეტნამში. იგი ერთგვარი გარდამავალი ეტაპი იყო ამერიკული ლოკალური ომისა, რომელიც აშშ-ის მხედრიონმა 1964 წლიდან გააჩაღა. ამერიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ნგო დინ დიემის მარიონეტული რეჟიმი საყოველთაო სიძულვილს იმსახურებდა, რომ მისი შენარჩუნება შეარყევდა საიგონის ხელისუფლებას, ამიტომ, ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელობით, 1963 წლის ნოემბერში მოეწყო სამხედრო გადატრიალება. დიქტატორი ნგო დინ დიემი მოკლეს, ძალაუფლება ხელთ იგდო სამხედრო ხუნტამ. მაგრამ ამ გადატრიალებას მდგომარეობა არ შეუცვლია. პირიქით, იგი უფრო გამწვავდა, საიგონის რეჟიმი მხოლოდ მოსახლეობის ზედა ფენების მხარდაჭერას ეყრდნობოდა. იგი კიდევ უფრო შეიძულა ხალხმა. საქმეს ვერ შეელოდა ამ რეჟიმის მოთავეების ხშირი ცვლა, რომელიც ძირითადად სამხედრო გადატრიალების მეშვეობით ხდებოდა.

1964 წლის დამლევს და 1965 წლის დასაწყისში ამერიკის მხედრიონმა თავის თავზე აიღო სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ამასაც სასურველი შედეგი ვერ მოჰყვა, რადგან ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა

ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა ვდრ-ის მთავრობისა და სოციალისტური სისტემის ქვეყნებისაგან, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ინდოჩინეთი იმპერიალისტური აგრესიის ყველაზე უფრო საშიშ ცენტრად იქცა. 1964 წლის აგვისტოდან ამერიკის მთავრობამ დაიწყო ომი ვდრ-ის წინააღმდეგ, რომლის დროსაც ვიეტნამი აშშ-ის ავიაციის რეგულარულ და ინტენსიურ საჰაერო თავდასხმებს განიცდიდა. ამერიკის მიზანი იყო ვდრ-ის მოსახლეობის და მთავრობის დაშინება, რათა მათ შეეწყვიტათ სამხრეთ ვიეტნამისადმი მხარდაჭერა. სწრაფად იზრდებოდა აშშ-ის ჯარების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში. 1962 წლისათვის თუ იგი მხოლოდ 6,5 ათას კაცს შეადგენდა, 1969 წელს „ომის ესკალაციის" დროს 540 ათას კაცამდე გაიზარდა. ხოლო მოკავშირეებთან ერთად 600 ათას კაცს სჭარბობდა[1]. ინდოჩინეთის ნახევარკუნძული ბლოკირებული იყო ამერიკის მე-7 საზღვაო ფლოტის მიერ. ამერიკა იყენებდა თავის სამხედრო ბაზებს სამრეთ აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანის ქვეყნებში. მაგრამ ვიეტნამელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლასთან შედარებით ყველა ეს უზარმაზარი ძალები უძლური აღმოჩნდა. ვდრ-ის მონაცემებით, მის წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლის დროს აშშ-მა დაკარგეს 4 300 თვითმფრინავი და რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. სამხრეთ ვიეტნამში კი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომის გაფართოებასთან დაკავშირებით სულ უფრო ფართოვდებოდა განთავისუფლებული ტერიტორია. 1969 წლის ზაფხულში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შედეგად შეიქმნა სახალხო რევოლუციური ადმინისტრაცია. 1969 წლის 28 ივნისს განთავისუფლებულ სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე მოიწვიეს სახალხო წარმომადგენელთა კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა და შექმნა დროებითი რევოლუციური მთავრობა, იგი ჯერ კიდევ ომის მსვლელობაში ცნო 28 ქვეყანამ. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა და მთავრობა თავის ხალხის, ვდრ-ის, საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური სისტემის ქვეყნების დიდი მხარდაჭერითა და დახმარებით სარგებლობდა. ამიტომ, აშშ-ის ომის ესკალაციის ყოველგვარი ცდა სასურველ შედეგს არ აღწევდა. პირიქით, იგი და მისი მარიონეტული ჯარები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. ვიეტნამთან ომში აშშ-მა დახარჯეს 137 მლრდ დოლარი, მოკლულთა სახით დაკარგეს 46 ათასი კაცი, ხოლო დაჭრილთა და დასახიჩრებულთა სახით კი 300 ათასზე მეტი. ომმა მსოფლიო საზოგადოებრიობისა და თვით ამერიკის მშრომელთა გრანდიოზული საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. განხეთქილება მოხდა აშშ მმართველ წრეებშიც, კონგრესმენები და სენატო-

[1] აშშ-ის დასახმარებლად ვიეტნამში ჯარები გაგზავნეს სამხრეთ კორეამ, ტაილანდმა, ფილიპინებმა და ავსტრალიამ.

რები ომის შეწყვეტასა და ამერიკის ჯარების გამოყვანას მოითხოვდნენ. ასეთ ვითარებაში 1968 წელს აშშ-ის მთავრობა დათანხმდა პარიზში ოთხმხრივი მოლაპარაკება დაეწყო ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ. შეწყდა აშშ-ის ავიაციის მიერ ვდრ-ის ტერიტორიის დაბომბვა, ხოლო მომდევნო წელს აშშ-ის მთავრობამ განაცხადა აზიაში თავისი სამხედრო პოლიტიკური სტრატეგიის შეცვლის შესახებ, რომელიც პრეზიდენტ ნიქსონმა წამოაყენა და „გუამის დოქტრინის" სახელწოდება მიიღო.

„გუამის დოქტრინის" ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ აშშ არ აპირებს აზიის დატოვებას, მაგრამ იგი თავს აარიდებს აზიის რომელიმე ქვეყანასთან „ვიეტნამური ხასიათის" ომში ჩაბმას. აზიის მოკავშირე ქვეყნებისადმი აშშ-ის მთავრობა მზად იყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე იმ შემთხვევაში. თუ რომელიმე ატომური სახელმწიფო საშიშროებას შეუქმნიდა მის მოკავშირეს, ან რომელიმე ქვეყნის უშიშროება ამერიკისათვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა". ასეთ შემთხვევაში ამერიკა თერმოატომური იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა წყნარ ოკეანეში ე. წ. „ატომური საფარის" გაშლით. სხვა შემთხვევაში აშშ-ის მთავრობა მზადყოფნას აცხადებდა იარაღით და საჭურვლით დახმარებაზე, ხოლო მის მოკავშირეებს უნდა ეკისრათ ცოცხალი ძალის გამოყვანა. „გუამის დოქტრინა" დაზუსტდა 1969 წლის ბოლოს ვაშინგტონში ნიქსონთან იაპონიის პრემიერ-მინისტრის სატო მოლაპარაკების დროს. ამერიკას სურდა შორეულ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში საერთაშორისო ჟანდარმის ერთ-ერთი მთავარი როლი იაპონიას ეკისრა.

1970 წლის გაზაფხულზე ამერიკის ჯარები შეიჭრნენ კამბოჯაში, რამაც ურთიერთობის სერიოზული გამწვავება გამოიწვია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

1970 წლის 7 ნოემბერს ნიქსონი გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით და გამოაცხადა ვიეტნამში მოქმედების „ახალი" პროგრამა. რომელიც ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა. მისი მთავარი არსი ის იყო, რომ აშშ ინდოჩინეთში ომს მხოლოდ იმ პირობით შეწყვეტდა თუ მეომარი მხარეები დაკავებულ პოზიციებზე დარჩებოდნენ. ნიქსონმა მოითხოვა ინდოჩინეთის საკითხზე კონფერენციის მოწვევა სხვა სახელმწიფოთა მონაწილეობით, მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობებმა უარყვეს ეს წინადადება და ნათელჰყვეს, რომ მათი მიღება იქნებოდა სამხრეთ ვიეტნამის ამერიკის ოკუპაციის განუსაზღვრელი დროით გახანგრძლივება და თხიეუს ანტისახალხო რეჟიმის შენარჩუნება. პარიზის კონფერენციაზე ვიეტნამის დელეგაციამ

მოითხოვა რომ აშშ-ს მთავრობას ომი შეეწყვიტა ვიეტნამში, გაეყვანა მისი და მოკავშირეების ჯარები. უფლება მიეცა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობისათვის, რათა თვითონ გადაეწყვიტა თავისი სახელმწიფოებრივი წყობილების საქმე. თავის მხრივ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკა ვალდებულებას კისრულობდა უზრუნველეყო ამერიკის ჯარების გაყვანის უსაფრთხოება და გაეთავისუფლებინა სამხედრო ტყვეები. მათ შორის ამერიკის მფრინავები ვდრ-ში.

ომის „ვიეტნამიზაციის" განხორციელება ვაშინგტონმა 1969 წლის გაზაფხულიდან დაიწყო, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა. რომ ამერიკის ჯარები ვიეტნამში უნდა შეეცვალათ სამხრეთ ვიეტნამის ჯარებით, ხოლო აშშ-ის საზღვაო ძალები ადგილზე რჩებოდა. ამრიგად, ომი ვიეტნამში თვით ვიეტნამელებს უნდა ეწარმოებინათ, ხოლო აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს მასში პირდაპირი მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ. აშშ-ის მხარდაჭერით საიგონის რეჟიმის საშინაო და საგარეო პოზიციები უნდა განმტკიცებულიყო, მისი ჯარები უნდა რეორგანიზებულ და განმტკიცებულიყო, რათა თავის თავზე აეღო ომის მთელი სიმძიმე. „ვიეტნამიზაციის" პროგრამის განხორციელების შედეგად სამხრეთ ვიეტნამში საიგონმა შეშოიღო საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახური, რომლის შედეგად რეგულარული ჯარების, პოლიციის კორპუსის და ადგილობრივი ლაშქრის რაოდენობა 1,1 მლნ კაცით გაიზარდა. 1970 — 1972 წლებში ამერიკის მთავრობამ სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანა 0.5 მლნ ჯარისკაცი, მაგრამ საჰაერო ძალები დატოვა და 1970 — 1972 წლებში აგრძელებდა ვიეტნამის ტერიტორიის ბარბაროსულ დაბომბვას. მოლაპარაკება პარიზში ვიეტნამში ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ 4,5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1973 წლის დამდეგს საბოლოოდ შემუშავდა შეთანხმების ტექსტი ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ ვიეტნამში.

1973 წლის 27 იანვარს პარიზში ოთხი მხარის: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების და სამხრეთ ვიეტნამის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე, სამხრეთ ვიეტნამიდან აშშ-ისა და მისი მოკავშირეთა მთელი ჯარების გაყვანას და ვიეტნამის საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩაურევლობას. ამ შეთანხმების საფუძველზე ბოლო მოეღო ამერიკის პირდაპირ შეიარაღებულ აგრესიას და შინაურ საქმეებში ჩარევას. ჩრდილოეთ ვიეტნამი გათავისუფლ-

და ამერიკის ავიაციისა და საზღვაო ფლოტის თავდასხმისაგან, ხოლო სამხრეთ ვიეტნამი დატოვეს ინტერვენტების მთელმა ჯარებმა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1973 წლის მაისს-ივნისში ვდრ-ისა და აშშ-ის მთავრობის წარმომადგენელთა პარიზის საერთაშორისო კონფერენციას ვიეტნამის საკითხზე და ერთობლივ კომუნიკეს, იგი ნიშნავდა 1973 წლის იანვრის შეთანხმების შემდგომ განმტკიცებას. ვიეტნამელი ხალხის ხანგრძლივი დაძაბული ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენდა აშშ-ის და უცხოელი ჯარების გაყვანა, მშვიდობის აღდგენა სამხრეთ ვიეტნამში და ფაქტიური ცნობა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და მისი მთავრობისა, რომლის ხელში იყო სამხრეთ ვიეტნამის დიდი ნაწილი. ჰყავდა თავისი არმია და ადმინისტრაცია სამხრეთ ვიეტნამის ძირითად ქალაქებში. სამწუხაროდ საიგონის რეჟიმი პარიზის შეთანხმებას არღვევდა. იგი თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ცეცხლს არ წყვეტდა და მასობრივ რეპრესიებს მიმართავდა. 1973 წლის მაისისათვის საიგონის ციხეები და საკონცენტრაციო ბანაკები პატრიოტებით გაივსო, სადაც 200 ათასზე მეტი ადამიანი იტანჯებოდა. საიგონი ცდილობდა თავისი რეჟიმის გავრცელებას სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ტერიტორიის ხარჯზე. სახალხო მთავრობის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად საიგონის პოლიტიკამ პროვოკაციული ხასიათი მიიღო, რამაც ომის განახლება გამოიწვია. 1975 წლის გაზაფხულზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის შეტევები წარმატებით დამთავრდა, რასაც საიგონის რეჟიმის დამხობა მოყვა. ვიეტნამის მთელი ძალაუფლება გადავიდა დემოკრატიული მთავრობის ხელში. ამრიგად, ხანგრძლივი და მძიმე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტების გამარჯვებით დამთავრდა, ამ გამარჯვების შედეგად ვიეტნამელი ხალხის ისტორიაში იწყება განვითარების ახალი პერიოდი. ვდრ-ის მუდმივი ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჩიონგ ტინმა თავის გამოსვლაში 1975 წლის 18 ნოემბერს პოლიტიკურ საკონსულტაციო კონფერენციაზე ვიეტნამის გაერთიანების საკითხის შესახებ, ახალ პერიოდს ვიეტნამის გაერთიანების პერიოდი უწოდა და მთელი ქვეყნის სწრაფი, განუხრელი წინსვლისა სოციალიზმისაკენ. ჩიონგ ტინმა განაცხადა, რომ „ქვეყნის გაერთიანება ეს არის ჩრდილოეთის და სამხრეთის გაერთიანების დასრულება სოციალურ-პოლიტიკური სახით, ე. ი. ეკონომიურ სტრუქტურაში, საწარმოო ურთიერთობაში, სოციალურ შემადგენლობაში, სახელმწიფო ორგანიზაციაში, კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში, კულტურისა და იდეოლოგიის დარგებში და ა. შ.“[1]. მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მზადება ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნების ჩატარებისათვის ქვეყნის გაერთიანების მიზნით.

---

[1] გაზ. „პრავდა“, 1975 წ. 20/XI.

სამხრეთ ვიეტნამის შრომის პარტიის კომიტეტის მდივანმა ფამ ხუნგმა ამ კრებაზე განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების შემდეგ ვიეტნამი ფაქტიურად ერთიანი ქვეყანა გახდა. მანვე აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამში შედგა ერთობლივი გაფართოებული სხდომა განთავისუფლების სახალხო ფრონტის ცკ-სა, ეროვნული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების კავშირის ცკ-ისა. დროებით რევოლუციური მთავრობისა, მთავრობის საკონსულტაციო საბჭოსი, ინტელიგენციის, პატრიოტული და დემოკრატიულად განწყობილი ძალების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებისა. ამ სხდომაზე განიხილეს სამშობლოს გაერთიანების საკითხი ერთიან სახელმწიფოდ. თათბირის მონაწილეები, როგორც აღნიშნა მომხსენებელმა „ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ქვეყნის გაერთიანება სოციალიზმის ბაზაზე". ამრიგად. გაერთიანებული ვიეტნამის საბოლოო მიზანი იქნება სოციალისტური საზოგადოების აშენება.

ვიეტნამის ისტორიული ბრძოლის შედეგები და გაკვეთილები ერთხელ კიდევ მოწმობენ მარქსისტულ-ლენინური იდეების ბრწყინვალე გამარჯვებას. ვიეტნამელი ხალხი მთელი ძალებით შეუდგა ხანგრძლივი ომისაგან განადგურებული ეკონომიკის აღდგენას.

შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ვიეტნამელმა ხალხმა მოკლე ხანში აღადგინა მრავალი ფაბრიკა, ქარხანა, შახტები. ელექტროსადგურები, ნავსადგურები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, საირიგაციო ნაგებობები და საცხოვრებელი ბინები. მიმდინარეობს მრავალი სამრეწველო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, იქმნება ახალი ეკონომიური რაიონები. 1975 წელს ომამდელი დონის ელექტროენერგიის წარმოების 66 % უკვე აღდგენილი იყო, ხოლო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების აღდგენა და შემდგომი მშენებლობის დონე 30 % გაიზარდა 1964 წლის, ომამდელ დონესთან, შედარებით.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მიუხედავად 1973 — 1974 წლების სტიქიური უბედურებისა ვიეტნამელი ხალხის დიდი შრომის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მისი შედეგები.

ჩრდილოეთ ვიეტნამი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენასთან ერთად დიდ დახმარებას უწევს სამხრეთ ვიეტნამსაც.

1975 წლის ივნისში ჰანოიში შედგა ვდრ-ის ეროვნული კრების მეხუთე მოწვევის პირველი სესია, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიეტნამის განთავისუფლების შემდეგ ქვეყნის წინაშე ახალი რთული ამოცანები დგას. რესპუბლიკაში მუშავდება ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც გათვალისწი-

ნებულია 1976 — 1980 წლებისათვის. აღინიშნა, რომ ვდრ-ში სოციალიზმის მშენებლობა ამიერიდან უნდა წარიმართოს როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ვიეტნამის განვითარების გათვალისწინებით. ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავრობა მზადაა ხელი შეუწყოს სამხრეთ ვიეტნამს, იმპერიალიზმის და მათი დამქაშების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად მემკვიდრეობით დარჩენილი მწვავე სოციალ-ეკონომიური პრობლემების სწრაფ გადაჭრაში.

ვდრ-ის საგარეო პოლიტიკა

ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მუდმივი მხარდაჭერა და დახმარება, რომლის გარეშე ვიეტნამელ ხალხს გაუჭირდებოდა შინაური და საგარეო მტრების დამარცხება. საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობისა და კავშირის განმტკიცებას ხელი შეუწყო 1950 წლის 30 იანვარს მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ.

საბჭოთა კავშირის მატერიალური დახმარება ვდრ-თვის იყო და არის გადამწყვეტი ფაქტორი ვიეტნამელი ხალხის წარმატებებისა შრომასა და ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი აწვდიდა მას სურსათს, იარაღს, ნავთს და მრავალ სხვა საქონელს, მასალებს, რაც აუცილებელი იყო მისი გამარჯვებისა და განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის დახმარებით ვიეტნამში აგებულ და რეკონსტრუირებულ იქნა 160 საწარმო და ობიექტი. ჩვენი მაღალკვალიფიციური ათასობით სპეციალისტი დიდ დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს რთულ საწარმოთა აგებასა და მართვის დაუფლებაში. ათასობით ახალგაზრდა ვიეტნამელი ჩვენ ქვეყანაში იღებს საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას, გადის საწარმოო პრაქტიკას.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო და დიპლომატიურ მხარდაჭერას უწევდა ვიეტნამელ ხალხს, როდესაც იგი აწარმოებდა ომს დამოუკიდებლობისათვის ჯერ ფრანგი, შემდეგ კი ამერიკელი კოლონიზატორების წინააღმდეგ და ამ მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრესორების დამარცხებაში. საბჭოთა მთავრობა ამხელდა ამერიკის მოქმედებას ვიეტნამში და განუმარტავდა ევროპის, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ხალხებს ამ აგრესიული ომის არსს, ყველა ქვეყანას მოუწოდებდა ზემოქმედება მოეხდინათ აშშ-ის მთავრობაზე, ბოლო მოეღოთ ომისათვის ვიეტნამში და ინდოჩინეთში. „მეკობრული საჰაერო თავდასხმები ჰანოისა და ჰაიფონის რაიონებზე მოწმობენ, აშშ-ის ავაზაკური ომის გაფართოებაზე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, უფრო მე-

ტად ამწვავებენ მდგომარეობას ვიეტნამის რაიონში და მთელ საერთაშორისო ვითარებას, მითითებული იყო საბჭოთა მთავრობის განცხადებაში 1966 წლის ივლისში. ამ ამბებისადმი არცერთი სახელმწიფო, რანაირი დაშორებულიც არ უნდა იყოს იგი ვიეტნამიდან, არ შეიძლება გულგრილი იყოს თუკი იგი არა მოჩვენებითად, არამედ ნამდვილად ზრუნავს მშვიდობისათვის"[1].

აგრესორთა წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად, ვდრ დიპლომატიური გზითაც ცდილობდა მშვიდობის მიღწევას და აგრესიის შეწყვეტას; მან სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკურ რევოლუციურ მთავრობასთან ერთად არაერთი კონსტრუქციული წინადადებები წამოაყენა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ომის დამთავრების შემდეგ ვდრ საგარეო პოლიტიკის დარგში ახორციელებს თავისი ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების კურსს. ვდრ-ას ყველაზე ფართო და მეგობრული ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის ამ ორ ქვეყანას შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ვდრ-ის შრომის პარტიის ცკ-ის პირველი მდივნის ლე ზუანისა და პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის ვიზიტს საბჭოთა კავშირში 1973 წლის ივლისში და ლე ზუანის ვიზიტს საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში 1975 წლის ოქტომბერში. ეს უკანასკნელი ვიზიტი ადრინდელისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს მთელი ვიეტნამის ტერიტორიაზე უკვე დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა სუფევდა. ამ ვიზიტის დროს შემუშავდა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის დეკლარაცია, რომელიც ორ მოძმე პარტიასა და ხალხს შორის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს, მათ ყოველმხრივ მჭიდრო კავშირსა და ურთიერთმოქმედებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლაში.

ლე ზუანის ვიზიტის დროს გაფორმდა სსრ კავშირ-ვიეტნამის შეთანხმება ვიეტნამისათვის ეკონომიური დახმარების გაწევისა და ოქმი ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმების კოორდინაციის შესახებ 1976 — 1980 წლებში. საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას დაეხმარება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, და მათ შორის ვიეტნამის მომავალი ხუთწლედის ეკონომიური გეგმის განხორციელებაში, მსხვილი ობიექტების მშენებლობაში. ვდრ-ს მიეცა შეღავათიანი კრედიტი, რომლის ანგარიშზე საბჭოთა კავშირი ვიეტნამს დაეხმარება ენერგე-

[1] გაზ. „პრავდა", 22/VII-1966 წ.

ტიკის, სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, მრეწველობის სხვა დარგების, სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის განვითარებაში; მიაწოდებს სამრეწველო, საამშენებლო და სოფლის მეურნეობის მოწყობილობას ნავთობის პროდუქტებს, ბამბას, სურსათს და სხვა საქონელს.

ძმური და მეგობრული თანამშრომლობის განვითარება ემსახურება საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ინტერესებს და იგი ხელს შეუწყობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომ გაძლიერებისა და განმტკიცების საერთო საქმეს.

თავი XIII

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა[1]

§ 39. მონგოლეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში

მოკლე ცნობები წარსულიდან

მონგოლთა სახელმწიფო ჩამოყალიბდა XIII საუკუნის დასაწყისში და იმავე საუკუნეში დაიპყრო ჩინეთი, შუა აზია, ამიერკავკასია, ირანი და რუსეთი. მაგრამ მონგოლთა იმპერიას დიდხანს არ უარსებია. XIII — XIV საუკუნის მიჯნაზე იწყება მისი დაშლა ჯერ ულუსებად, შემდეგ ფეოდალურ სახელმწიფოებად და სახანოებად. XIV — XV საუკუნეებში მონგოლები განდევნეს დაპყრობილი ქვეყნებიდან, ხოლო XVI საუკუნის ბოლოს დაქუცმაცებული მონგოლეთი მანჯურთა ფეოდალებმა დაიპყრეს. მათი ბატონობა XX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ხელი შეუწყო მონგოლეთში 1921 წელს სახალხო რევოლუციის გამარჯვებას. მონგოლეთის სახალხო რევოლუციის პარტიის III ყრილობამ (1924 წლის აგვისტოში), ხელმძღვანელობდა რა ლენინის სწავლებით სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის დროს ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობის შესახებ, თავისი ქვეყნის განვითარების გენერალურ ხაზად დასახა ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, კაპიტალიზმის გვერდის ავლით. 1924 წლის ნოემბერში პირველმა დიდმა სახალხო ჰურალმა მონგოლეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. 30-იანი წლების ბოლოსათვის მონგოლეთში გადაწყდა რევოლუციის საერთო-დემოკრატიუ-

---

[1] ტერიტორია — 1565 ათასი კმ², მოსახლეობა — 1378 ათასი (1 . 1 = 1974), დედაქალაქი — ულან-ბატორი (280 ათასი მცხოვრები, 1971 წ.).

ლი ეტაპის ამოცანები: ფეოდალების, როგორც კლასის ლიკვიდაცია და უცხოეთის კაპიტალის განდევნა. სახალხო დემოკრატიული პარტია, რომელიც თავის სოციალური შემადგენლობით გლეხთა პარტია იყო, გადაიქცა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის პარქსისტულ-ლენინურ პარტიად.

მსრპ-ის X ყრილობამ (1940 წ.) მიიღო პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა პარტიის ძირითადი ამოცანები რევოლუციის დემოკრატიული ეტაპიდან სოციალისტურ ეტაპზე გადასვლის პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის დროს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკამ უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა ქვეყანას გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მონგოლეთის ჯარებმა საბჭოთა ჯარებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებაში.

სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა, ორი ხუთწლედისა და სამწლიანი გეგმის განხორციელება (1948 — 1960 წწ.)

საერთოდემოკრატიული ეტაპის განხორციელების შემდეგ მონგოლეთის ხალხი გადავიდა განვითარების სოციალისტურ ეტაპზე. მისი მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მშენებლობა, მეურნეობის ერთიანი სოციალისტური სისტემის შექმნა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების გზით. ეს ახალი ეტაპი პირველი საერთოდემოკრატიული ეტაპის კანონზომიერი გაგრძელება იყო.

ომის შემდეგ საერთაშორისო არენაზე მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის სასარგებლოდ მომხდარმა ცვლილებებმა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნამ ხელი შეუწყო მსრ-ის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას.

მსრ-ის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, საბჭოთა კავშირის წინადადებით, დაადასტურა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა ყირიმის კონფერენციამ. 1946 წლის იანვარში მსრ-ის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა სცნო გომინდანურმა ჩინეთმაც. 1946 წლის თებერვალში მოსკოვში სსრ კავშირისა და მსრ-ს შორის დაიდო მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. 1948 წლიდან მსრ დაამყარა დიპლომატიური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან.

მსრ-ის საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლამ და რიგ ქვეყნებთან ფართო ურთიერთობის დამყარებამ განამტკიცა მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

სახალხო მთავრობა მეორე მსოფლიო ომამდეც დიდ ყურადღებას

აქცევდა ქვეყნის ძირითადი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარებას. მაგრამ მონგოლმა ხალხმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში გრანდიოზულ წარმატებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია.

სახალხო მეურნეობის გეგმიურ წარმოებაზე მსრ 1941 წლიდან გადავიდა, მანამდე იგი წლიური გეგმების საფუძველზე ვითარდებოდა, 1948 წლიდან მსრ-ში იწყება ხუთწლიანი გეგმების განხორციელება. ორი ხუთწლიანი (1948 — 1952 წწ. და 1953 — 1957 წწ.), და სამწლიანი გეგმის (1957 — 1960 წწ.) განხორციელების შედეგად მსრ-ში ძირითადად დამთავრდა სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობა. 1959 წლისათვის დამთავრდა გლეხთა მეურნეობის კოოპერატივებში გაერთიანება. ქვეყნის მთელი პირუტყვის 80 % განსაზოგადოებულ სექტორს ეკუთვნოდა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შედეგი ის იყო, რომ მონგოლეთის ეკონომიკაში მოისპო მრავალწყობიანობა და ჩამოყალიბდა სახალხო მეურნეობის ერთიანი სოციალისტური სისტემა.

გრანდიოზულია წარმატებები მრეწველობის განვითარებაში. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მსრ-ა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო და მეორე მსოფლიო ომის ბოლოსათვის მრეწველობის მთავარ ბაზას წარმოადგენდა გადამამუშავებელი დარგები, რომლებიც ადგილობრივი მეცხოველეობის ნედლეულზე მუშაობდნენ, მაგალითად, კვების მრეწველობა, ტყავის, მატყლისა და ა. შ. მონგოლმა ხალხმა გრანდიოზული გზა განვლო ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში: სამრეწველო წარმოების მატება 1960 წელს 1940 წლის დონესთან შედარებით 7,4-ჯერ მეტი იყო, ელექტროენერგიის წარმოება 9,3-ჯერ, ხოლო ქვანახშირის ამოღება 3,5-ჯერ, განვითარდა აგრეთვე ახალი დარგები: ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამმუშავებული მრეწველობა. დიდი ყურადღება ექცეოდა ადრე არსებული მრეწველობის შემდგომ განვითარებას — კვების, საფეიქრო და ფეხსაცმლის წარმოებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გაფართოვდა მისი ეკონომიური ბაზაც, ახალი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისა და ნათესი ფართობების ზრდით. მონგოლეთში მიწათმოქმედებას ადრე არ მისდევდნენ, ან ძალზე უმნიშვნელო ადგილი ეკავა ქვეყნის ცხოვრებაში. 1950 წლისათვის ნათესი ფართობები არ აღემატებოდა 20,8 ათას ჰექტარს, 1960 წლისათვის კი 265,5 ათას ჰექტარს მიაღწია. იმავე წელს მარცვლეულის მოსავალმა 77,5 ათასი ტონა შეადგინა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა კულტურების წარმოება. მიწათმოქმედება გამოიყო როგორც სოფლის მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი. მსრპ-ის XIII ყრილობამ (1958 წ.) განაცხა-

და, რომ მსრ სუფთა მეცხოველეობის ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა».

მრეწველობის, ტრანსპორტის მშენებლობამ და სხვა დარგების განვითარებამ შეცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, განმტკიცდა მუშათა კლასის პოზიციები. 1950 წლისათვის მუშათა კლასის რაოდენობა თუ 20 ათას კაცს შეადგენდა, 1960 წლისათვის იგი 87 ათას კაცამდე გაიზარდა, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 136 ათას კაცს შეადგენდა. სოციალისტური განვითარების ეტაპზე მუშათა კლასი ახალი საზოგადოების მშენებლობის წამყვან ძალად გადაიქცა. ბუნებრივია, რომ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებამ გააუმჯობესა ხალხთა მასების მატერიალური კეთილდღეობა და გაზარდა მათი კულტურული დონე.

სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის წარმატებები აისახა კონსტიტუციაში, რომელიც 1960 წელს მიიღო დიდმა სახალხო ხურალმა. ცხადია, რომ ამ გრანდიოზული ამოცანების მიღწევა ქვეყანაში შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის დახმარების გარეშე. საბჭოთა კავშირი მსრ-ას უწევდა მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას, რომლის შედეგად მსრ-ში აიგო მთამადნეულის მრეწველობის რამდენიმე მსხვილი საწარმო, ქვანახშირის რამდენიმე შახტი, ელსადგურები, ნავთობის სამამულო მრეწველობა, ასობით სკოლის შენობა, საავადმყოფო და ა. შ. გარდა სამრეწველო მოწყობილობებისა საბჭოთა კავშირი მსრ-ას აძლევდა ტექნიკურ დოკუმენტაციას, ახალ და ახალ სესხებს. მონგოლი ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირში ღებულობდა უმაღლეს განათლებას, ეუფლებოდა სპეციალობას, ათასობით მუშა და ტექნიკური პერსონალი გადიოდა საწარმოო პრაქტიკას, იმაღლებდა კვალიფიკაციას ჩვენი ქვეყნის საწარმოებში, ხოლო მსრ-ში იგზავნებოდნენ ჩვენი მუშები და სხვადასხვა სახის სპეციალისტები, რომლებიც მათ ეხმარებოდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. 1953-1962 წლებში საბჭოთა კავშირმა მსრ-ას გაუწია ფინანსური და ტექნიკური დახმარება 110 სხვადასხვა სახის, მათ შორის 42 სამრეწველო ობიექტის მშენებლობაში.

§ 40. მსრ სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში

მსრ მესამე და მეოთხე ხუთწლედების პერიოდში

მსრპ-ის XIV ყრილობამ (1961 წ.) განაცხადა, რომ ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დასრულების პერიოდში და ქვეყნის მთავარ ამოცანად და-

სახა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია და რესპუბლიკის გადაქცევა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ამ მიზანს ემსახურებოდა მესამე და მეოთხე ხუთწლიანი გეგმები (1961 — 1965 წწ. 1966 — 1970 წწ.). მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1965 წელს 1960 წელთან შედარებით 1,2-ჯერ გადიდდა. მისი ხვედრითი წონა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში დაახლოებით 60 %-ს უდრიდა. მიწათმოქმედება თითქმის მთლიანად მექანიზირებული გახდა. მესამე ხუთწლედის ბოლოს მსრ-ამ არა მარტო მთლიანად დააკმაყოფილა ქვეყნის მოთხოვნები მარცვლეულის წარმოებით, არამედ დაიწყო მისი ექსპორტი.

მესამე ხუთწლედში მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური ზატების ტემპმა 10,5 % შეადგინა და 1965 წელს წინა ხუთწლედის დონეს 66 %-ით გადააჭარბა. ექსპლუატაციაში შევიდა 90-მდე ახალი ობიექტი. უპირატესად ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, რომლის სიმძლავრე ხუთწლედში 2,9-ჯერ გაიზარდა. წარმატებით განხორციელდა მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. მრეწველობის საერთო მოცულობა გაიზარდა 58,9%-ით. 1970 წლისათვის ელექტროენერგიის გამომუშავებამ მიაღწია 460 მლნ კვ საათს, რაც 40%-ით მეტია 1965 წელთან შედარებით.

1970 წლისათვის მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა ქვეყნის მრეწველობის საერთო მოცულობის 60%-ს. 1970 წელს სათესმა ფართობებმა შეადგინა 454,6 ათასი ჰექტარი მიწა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე. 1970 წლისათვის მშრომელთა რეალური ხელფასი გაიზარდა 3 %-ით. 1970 წლისათვის 500 კაცზე მოდიოდა 1 ექიმი, 10 ათას კაცზე — საავადმყოფოს 94 საწოლით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ზოგიერთი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის დონეს.

ხუთწლედში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახალხო განათლების დარგში. გაიხსნა 120 სკოლა, დაიწყო გადასვლა საყოველთაო არასრულ საშუალო განათლებაზე. წინა ხუთწლედთან შედარებით ტექნიკუმისა და უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებულთა რაოდენობა 34,6%-ით გაიზარდა. 1970 წელს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 4,4 ათასი კაცი.

1971 — 1975 წლებში მსრ-ს მოსახლეობა წარმატებით ახორციელებდა V ხუთწლიან გეგმას. ერთ დროს ჩამორჩენილ მესაქონლე-

ობის ქვეყანაში 1974 წელს მრეწველობაზე მოდიოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 34 %, ეროვნული შემოსავლის 22 %-ზე მეტი და ქვეყნის ექსპორტის 40 %.

1974 წლისათვის შესრულდა ხუთწლედის გეგმის ვალდებულებები ელექტროენერგიისა და ქვანახშირის მოპოვებაში. მაგალითად, წარმოებული იქნა 740 მილიონი კვტ საათი ელექტროენერგია, 2,5 მლნ ტონა ქვანახშირი, რაც 1970 წლის დონეს აღემატება შესაბამისად 50 და 25 %.

შემდგომი განვითარება ჰპოვა მსუბუქმა და კვების მრეწველობამ. მეხუთე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში შალეულის ქსოვილის წარმოება 1,4-ჯერ გაიზარდა, ტყავის ფეხსაცმლის — 1,1, ხორცის — 1,4, ფქვილის — 1,4-ჯერ და ა. შ.

წარმატებით ხორციელდება მეხუთე ხუთწლედის ვალდებულებანი სოფლის მეურნეობაში. ოთხი წლის განმავლობაში აქ დაბანდებული იყო 1,5 მლრდ ტუგრიკი, რამაც საშუალება მისცა მონგოლეთს მნიშვნელოვნად განემტკიცებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1971 — 1974 წლებში სოფლის მეურნეობას მიაწოდეს 3,5 ათასი ტრაქტორი, ათასზე მეტი მარცვლეულის და კარტოფილის ასაღები კომბაინი.

სტაბილურად ვითარდებოდა ქვეყნის ეკონომიკის მთავარი დარგი — მეცხოველეობა. 1974 წლის ბოლოსათვის პირუტყვის რაოდენობა აღწევდა 24,3 მლნ სულს. ხუთწლედის ბოლოსათვის იგი უნდა გაიზარდოს 25 მლნ-მდე. შესრულდა ხორცის, შალეულის, რძის და ტყავის დამზადების გეგმები. მიწათმოქმედებაშიც ახალი წარმატებები აღინიშნა. 1975 წელს ნათესმა ფართობმა 508,1 ათასი ჰექტარი შეადგინა. 1974 წელს რესპუბლიკაში მიიღეს 354,7 ათასი ტონა მარცვლეული. მკვეთრად გაიზარდა კარტოფილის, ბოსტნეულის და სოფლის სხვა კულტურების მოსავალი. მონგოლეთის სოფლის მეურნეობის საწარმოები, სახელმწიფო მეურნეობები და სოფლის მეურნეობის გაერთიანებები ამჟამად წარმოადგენენ მსხვილ მექანიზებულ საწარმოებს, რომელთა განკარგულებაშია დიდი სათესი ფართობები, მრავალი სახის ტექნიკა, კვალიფიციური სპეციალისტები და მნიშვნელოვანი ძირითადი ფონდები. მიმდინარე ხუთწლედში მონგოლეთში მრავალი ახალი საწარმო და ობიექტი ჩადგა მწყობრში.

ეკონომიკის სწრაფი განვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ხელფასი გაეზარდათ დაბალხელფასიანი კატეგორიის მუშებს, გაიზარდა პენსიები და სხვა სახის დახმარებები, შემცირდა ფასები ფართო მოხმარების საგნებზე. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი

ოთხი წლის განმავლობაში 26,1%-ით გაიზარდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა.

ძირეული ცვლილებები მოხდა სოციალურ სტრუქტურაში. მუშა-მოსამსახურეები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარზე მეტს. მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, დამკვიდრდა სავალდებულო შვიდწლიანი განათლება. ყოველ ათას მცხოვრებზე უმაღლესი განათლების სასწავლებლის სტუდენტთა რაოდენობით მსრ-ამ გაუსწრო ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია.

შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სახალხო რევოლუციის გამარჯვების 50 წლის იუბილე (1971 წლის ივლისში), რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით და ყველა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი მსრ-ში.

საგარეო პოლიტიკა

მონგოლი ხალხის წარმატებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობასთან.

1966 წელს მსრ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის შესაბამისად მსრ აფართოებს თანამშრომლობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნებთან, რომლებიც მსრ-ს დაეხმარნენ სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში. მათი დახმარებით აღმოჩენილია 500-ზე მეტი ახალი საბადო, მათ შორის 150 ქვანახშირის, 70-ზე მეტი ფერადი და შავი მეტალურგიის. 1976 — 1980 წლებში ამ საქმეს გააგრძელებს ახლახან შექმნილი საერთაშორისო გეოლოგიური ექსპედიცია საბჭოს ქვეყნების წარმომადგენელთა შემადგენლობით. მეხუთე ხუთწლედში მსრ-ის საგარეო ეკონომიური კავშირი კიდევ უფრო გაიზრდება განსაკუთრებით ეკონომიური ურთიერდახმარების ქვეყნებთან, რომლებზეც მოდის საგარეო ვაჭრობის 94 %, მათ შორის საბჭოთა კავშირზე 80 %. 1971 — 1974 წლებში მსრ-ის ექსპორტი 28 %-ით გაიზარდა. ქვეყანამ დაიწყო ახალი საქონლის, მათ შორის ხალიჩების, ცხვრის ქურქების, ხორცის კონსერვების და სხვათა გატანა.

მსრ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობას ავითარებს პარ-

ტიული და დიპლომატიური გზით. მსრპ-ის დელეგაცია ცკ-ის პირველი მდივნის იუმუაგიინ ცედენბალის[1] მეთაურობით მონაწილეობდა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირზე 1957, 1960 და 1969 წლებში.

მსრპ თანმიმდევრულად გამოდის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემჭიდროების მომხრედ მარქსიზმ-ლენინიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების ოფიციალური მეგობრული ვიზიტები. მაგალითად, 1973 წელს ულან-ბატორში იყო ჩეხოსლოვაკიის პარტიული დელეგაცია ჰუსაკის მეთაურობით, ვდრ-ის პრემიერ-მინისტრი ფან ვან დონგი, გდრ-ს დელეგაცია ჰონეკერის მეთაურობით, კსდრ-ის და სხვა დელეგაციები.

1961 წლიდან მსრ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. 1974 წლისათვის მსრ-ას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა 40-ზე მეტ ქვეყანასთან. დაიდო რიგი შეთანხმებები საფრანგეთთან, იტალიასთან, კანადასთან. ინგლისთან ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის შესახებ.

ცედენბალი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთში, ირანში, ეგვიპტეში, ალჟირში, ნიგერიაში და ა. შ., რომლის დროსაც დაიდო რიგი შეთანხმებები.

მონგოლი ხალხის საშინაო და საგარეო მდგომარეობის წარმატებებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლება მაგალითი გახდეს იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიურ უღელს და ნახევრად ფეოდალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირით შეუძლიათ გვერდი აუარონ კაპიტალიზმის განვითარებას და სოციალიზმში გადავიდნენ.

---

[1] მსრპ-ის პირველი მდივანი ცედენბალი 1916 წელს დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა ირკუტსკის ფინანსიურ-ეკონომიური ინსტიტუტი. 1939—1940 წლებში იყო მსრ-ის ფინანსთა მინისტრი და მონგოლ-ბანკის თავმჯდომარე. 1945 წელს მონაწილეობდა იაპონიის ჯარების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მსრ-ს ჯარების მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობაზე. 1940 წლიდან ცედენბალი მსრპ-ს ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი და გენერალური მდივანია, 1958 წლიდან პირველი მდივანია, ხოლო 1952 წლიდან მსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა.

სარჩევი

თავი I. მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განვითარება 3
§ 1. მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების ეტაპები 4
§ 2. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია 16
§ 3. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო 26
თავი II. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა 49
§ 4. ალბანეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 49
§ 5. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებიდან გადახვევის კერსი 54
თავი III. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა 57
§ 6. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ბულგარეთში და პროლეტარული დიქტატურის დამყარება 57
§ 7. ბულგარეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 75
§ 8. ბულგარეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში 82
თავი IV. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა 101
§ 9. სახალხო დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება უნგრეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში 101
§ 10. უნგრეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 119
§ 11. 1956 წლის კონტრრევოლუციური შეთქმულება 130
§ 12. უნგრეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში 143
თავი V. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა 158
§ 13. ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ბლოკების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში 158
§ 14. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 181
§ 15. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამარჯვება (1956—1961 წწ.) 193
§ 16. სოციალიზმის გაშლილ მშენებლობაზე გადასვლა 199
თავი VI. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა 219
§ 17. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება პოლონეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში 219
§ 18. პოლონეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 230
§ 19. პოლონეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში 238
თავი VII. რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა 258
§ 20. სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება რუმინეთში და მისი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში 258
§ 21. რუმინეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 272
§ 22. რუმინეთი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში 280
თავი VIII. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა 295
§ 23. საერთო დემოკრატიული სახალხო რევოლუციის დაწყების ეტაპი 295
§ 24. ჩეხოსლოვაკია სოციალისტური საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 310
§ 25. ჩეხოსლოვაკია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში 317
§ 26. 1968—1969 წლების პოლიტიკური კრიზისი ჩეხოსლოვაკიაში და მისი დაძლევის ღონისძიებები 322
თავი IX. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა 343
§ 27. სახალხო რევოლუციის გამარჯვება და განმტკიცება 343
§ 28. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის შექმნა 348
§ 29. წარმატებები ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში 355
თავი X. კუბის რესპუბლიკა 358
§ 30. კუბელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, სახალხო რევოლუციის გამარჯვება 358

§ 31. კუბა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ . . 361
§ 32. კუბა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში 383
თავი XI. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა : 399
§33. კორეელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და კსდრ-ის შექმნა 399
§ 34. კსდრ სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 404
§ 35. კსდრ სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში. 405
თავი XII. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა . 413
§ 36. ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის .. 413
§ 37. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში 420
§ 38. სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის 422
თავი XIII. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა 431
§ 39. მონგოლეთი სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის პერიოდში 431
§ 40. მსრ სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში 434

Наниташвили Николай Леванович
НОВЕЙШАЯ ИСТОРИЯ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН
(на грузинском языке)

რეცენზენტები: პროფესორი, დ. ე. ენუქიძე
დოცენტი გ. ქ. მანჯგალაძე
რედაქტორი შ. ბ. მეგრელიძე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ჯანელიძე
მხატვრული რედაქტორი ელ. სულთანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი თ. მანჯგალაძე
კორექტორი ე. გაფრინდაშვილი

გადაეცა წარმოებას 2.III.76, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.IX.76,
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆, საბეჭდი ქაღალდი 2.
ნაბეჭდი თაბახი 27,75, სააღრიცხო-საგამომცემლო თაბახი 25,78
უე 00455 შეკვეთა № 3644 ტირაჟი 3 000
ფასი 86 კაპ.

გამომცემლობა, „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Гапатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1976

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთა გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.